ვახტანგ ერქომაიშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფილოსოფია

(გადამუშავებული და შევსებული გამოცემა)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვახტანგ ერქომაიშვილი

ფილოსოფია

(გადამუშავებული და შევსებული გამოცემა)

გამომცემლობა "კვარი"
თბილისი

[2000]

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნაწილი პირველი

ფილოსოფიის არსი და თავისებურება

ფილოსოფიის წარმოშობა და განვითარება

სიტყვა "ფილოსოფია" ძველბერძნული წარმოშობისაა. "ფილია" – სიყვარულს, ხოლო "სოფია" სიბრძნეს ნიშნავს. ძველი ბერძნებისათვის "ფილოსოფია" სიბრძნის სიყვარულს, ხოლო "ფილოსოფოსი" სიბრძნის მოყვარულს აღნიშნავდა. გადმოცემის მიხედვით, სიტყვა "ფილოსოფოსი" პირველად იხმარა პითაგორამ (დაახლ. 580-500 წ. ძვ. წ.). ტირანის შეკითხვაზე "თუ ვინ არის იგი?" პითაგორამ უპასუხა: "ფილოსოფოსი". როგორც ტექნიკური ტერმინი სიტყვა "ფილოსოფია" დაამკვიდრა პლატონმა (427-347 წ. ძვ. წ.). სწორედ მან გაიაზრა იგი სიბრძნის სიყვარულის მნიშვნელობით.

ფილოსოფიური შეხედულებები და წარმოდგენები ჩამოყალიბდა ძვ. წ. მეორე ათასწლეულის შუა ხანებში ინდოეთსა და ჩინეთში. ამ ქვეყნებში ფილოსოფიამ განვითარების დიდი გზა გაიარა და დაგვიტოვა მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მდიდარი კულტურა.

თანამედროვე ევროპული ფილოსოფია დასაბამს იღებს ძველ საბერძნეთში. სწორედ ძველმა ბერძნებმა შექმნეს ფილოსოფიური აზროვნების ტიპი როგორც დამოუკიდებელი და თავისთავადი, რომელიც განსხვავდება საკაცობრიო აზრის სხვა ფორმებისაგან. ძველბერძნულმა ფილოსოფიამ მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა ევროპული აზროვნების ხასიათი და შინაარსი. ევროპული ფილოსოფიის სამშობლო ძველი საბერძნეთია, ამიტომ შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ იგი არსებითად ძველბერძნულია.

ჩვენი განხილვის ობიექტი ევროპული ფილოსოფიაა. რა თქმა უნდა, არსებობს სხვა – არაევროპული ფილოსოფიაც, ინდური ან ჩინური, მაგრამ ყოველთვის მხედველობაში უნდა გვქონდეს, რომ ჩვენ ამ წიგნში ვიზღუდებით მხოლოდ ევროპული ფილოსოფიის ანალიზით.

ფილოსოფიის განვითარებაში გამოიყოფა შემდეგი ძირითადი ეტაპები:

(1) ანტიკური ფილოსოფია (ძვ. წ. VI – ახ. წ. V სს.).

(2) შუა საუკუნეების ფილოსოფია (VI-XIVსს).

(3) აღორძინების ეპოქის ფილოსოფია (XV-XVIსს).

(4) ახალი დროის ფილოსოფია (XVII-XIX სს.)

(5) თანამედროვე ფილოსოფია (XX ს.)

მოკლედ დავახასიათოთ თითოეული მათგანი.

(1) ანტიკური ფილოსოფია. ანტიკურ ფილოსოფიას განეკუთვნება ბერძნულ-რომაული ფილოსოფია. იგი შეიქმნა ბერძნულ და ლათინურ ენებზე დაწერილი ნაშრომების საშუალებით. ამან განაპირობა ის გარემოება, რომ ფილოსოფიური ტერმინოლოგია ძირითადად ბერძნული და ლათინური წარმოშობისაა.

ანტიკური ფილოსოფია ხასიათდება სიღრმითა და მრავალფეროვნებით. მის წიაღში ჩამოყალიბდა შემდეგი ფილოსოფიური დისციპლინები: ონტოლოგია, გნოსეოლოგია, ეთიკა, ლოგიკა, ფსიქოლოგია, ფიზიკა და სხვა. შეიქმნა ერთმანეთისაგან განსხვავებული მრავალი, ხშირად ურთიერთდაპირისპირებული თეორია. აზრის თავისუფლება და პლურალიზმი ქმნიდა იმ ნოყიერ ნიადაგს, რომლის ბაზაზეც იგი ვითარდებოდა და ზოგჯერ ისეთი სრულყოფილების ნიმუშებს იძლეოდა, რომლებიც დღესაც გვაოცებს.

ძველბერძნული ფილოსოფია ჩაისახა მითოლოგიის წიაღში. ძვ. წ. VI საუკუნიდან დაიწყო მისი თანდათანობითი გამოყოფა მითოლოგიისაგან და იგი ჩამოყალიბდა როგორც კულტურის დამოუკიდებელი დარგი.

რა თქმა უნდა, პირველი ფილოსოფიური შეხედულებანი დღევანდელი თვალსაზრისით საკმაოდ გულუბრყვილო და პრიმიტიულია. მაგრამ, მათი ხასიათი ჩვენ უნდა შევაფასოთ იმდროინდელი პოზიციიდან: სამყაროსა და მისი კანონზომიერებების ახსნა ხდებოდა მითების საფუძველზე. პირველმა ბერძენმა ფილოსოფოსებმა სცადეს მოეძებნათ ამ ახსნის ბუნებრივი მიზეზი. მათ დასვეს კითხვა: რა არის სამყაროში არსებული მრავალფეროვნების ძირი, პირველსაწყისი ანუ არხე? თალესის აზრით — წყალი, ანაქსიმანდრეს აზრით — აპეირონი (განუსაზღვრელი), ანაქსიმენის აზრით — ჰაერი, ჰერაკლიტეს აზრით — კეცხლი. ეჭვს გარეშეა, რომ ამგვარი პასუხები დღეს ნებისმიერ ადამიანს სასაცილოდაც არ ეყოფა, მაგრამ ეს იყო პირველი მცდელობა აეხსნათ სამყარო არა მითების, ე. ი. შეთხზული ფანტასტიკური არსებების, არამედ ბუნებრივი მიზეზების საფუძველზე. ეს იყო გამიჯვნა რელიგიურ-მითოლოგიური აზროვნების წესისაგან და გადასვლა მეცნიერული აზროვნების წესზე. ამიტომ ბერძნული ფილოსოფიის დაბადება მოასწავებს მეცნიერების დაბადებასაც.

ძველბერძნულმა ფილოსოფიამ შექმნა ტრადიცია, რომლის მიხედვით, ფილოსოფია გაიგივებულია მეცნიერებასთან. პლატონი თვლის, რომ ფილოსოფიაა არითმეტიკა, გეომეტრია, ასტრონომია და მუსიკის თეორია. ანალოგიურ პოზიციაზე იდგა არისტოტელეც (384-322 ძვ. წ.). მას მათემატიკა და ფიზიკა ფილოსოფიურ მეცნიერებებად მიაჩნდა. შემდგომში ძველბერძნულ ფილოსოფიაში ძირითად დისციპლინებად მიიჩნიეს ლოგიკა, ფიზიკა და ეთიკა. მაგრამ ძველბერძნულმა ფილოსოფიამ დასაბამი მისცა საპირისპირო ტენდენციასაც: დაიწყო ფილოსოფიიდან კერძო მეცნიერებების გამოყოფა და მათი დამოუკიდებელ დარგებად ჩამოყალიბება. ამ პროცესს დასაბამი მიეცა ძვ. წ. მეს-

ამე საუკუნეში ალექსანდრიის აკადემიაში. აქ მოხდა ის, რაც მანამდე უცნობი იყო ძველბერძნული აზროვნებისათვის. ალექსანდრიის აკადემიაში ჩაეყარა საფუძველი ევკლიდეს გეომეტრიას, არქიმედეს ფიზიკასა და ჰიპარქეს მეოსის ასტრონომიას. გარდა ამისა, იწყება ინტენსიური კერძომეცნიერული კვლევა ფილოლოგიის, გრამატიკისა და ისტორიის დარგებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მედიცინის, როგორც კერძო მეცნიერების, ჩამოყალიბება. კვლევა მედიცინის სფეროში მანამდეც მიმდინარეობდა. მედიცინის ფუძემდებლად სამართლიანად ითვლება ჰიპოკრატე (460-370 ძვ. წ.). მაგრამ იგი მედიცინას მიიჩნევდა ფილოსოფიურ მეცნიერებად. ალექსანდრიის აკადემიაში კი დაიწყო მედიცინის, როგორც ემპირიული ცოდნის ფორმირება. აქ იგი უკვე ფილოსოფიურ მოსაზრებებს კი არა, არამედ ადამიანის ორგანიზმის ცდისეული გამოკვლევის შედეგებს ემყარება. პეროფილუსმა შექმნა ანატომია, როგორც ზუსტი მეცნიერება. ამით მედიცინა კერძომეცნიერული კვლევის მყარ ნიადაგზე დადგა. ეს ხაზი შემდგომ უფრო გაღრმავდა და განვითარდა, რამაც გამოხატულება ჰპოვა რომაელი ექიმისა და ბუნებისმეტყველის გალენოსის (129-201) სამეცნიერო მოღვაწეობაში. მედიცინის დარგში მისი დასკვნები და შეხედულებები ემყარებოდა ცხოველებზე ჩატარებულ ცდებს. მან აღწერა სამედიცინო პრეპარატების დამზადების ხერხები.

ძვ. წ. მეორე საუკუნეში გაძლიერებას იწყებს რომის სახელმწიფო. იგი თანდათანობით იპყრობს ძველი საბერძნეთის ქალაქებს. რომაელები ეცნობიან ძველბერძნულ ფილოსოფიას და მისი გავლენის ქვეშ ექცევიან. ფილოსოფიური კვლევის ცენტრი რომში ინაცვლებს. ლათინურ ენაზე ითარგმნება ძველი ბერძენი ფილოსოფოსების ტრაქტატები. ბერძენ ფილოსოფოსებს იწვევენ რომში მასწავლებლებად. რომაელები ხდებიან მათი მოწაფეები. ამის გამო, რომაული ფილოსოფია კარგავს თავსითავადობასა და ორიგინალობას. იგი ცდილობს ეზიაროს და შემდგომ განავითაროს ძველბერძნული ფილოსოფია.

რომაელებმა წინ წამოწიეს ცხოვრებისეული, პრაქტიკული საკითხები. მათ ყურადღება გაამახვილეს ეთიკურ და პოლიტიკურ პრობლემატიკაზე. ამან გამოიწვია ის გარემოება, რომ რომაული ფილოსოფია დიდად ჩამორჩა ძველბერძნულ აზროვნებას თავისი სიღრმითა და მრავალფეროვნებით. მიუხედავად ამისა, მან მაინც დიდი წვლილი შეიტანა ევროპული ფილოსოფიის განვითარებაში. ფილოსოფიის ზოგიერთ დარგში, მაგალითად, ეთიკასა და სოციალურ ფილოსოფიაში მან ორიგინალური ნიმუშებიც კი შექმნა.

ძველბერძნული ფილოსოფია თავდაპირველად, ძირითადად ბუნების მრავალფეროვნების შესახებ ბჭობდა. იგი ცდილობდა გამოეკვლია კოსმოსის წარმოშობის მიზეზები და დაედგინა მისი ცვალებადობის კანონზომიერებები. ძველბერძნული აზროვნების მიხედვით, კოსმოსი არის მოწესრიგებული, მთლიანი სამყარო, სადაც მკაცრი წესრიგი და გარდაუვალობა ბატონობს. რა არის კოსმოსის ძირი? რა კანონზომიერებას ექვემდებარება იგი? — აი კითხვები, რომელთა

გარკვევის ძიებამ განაპირობა ძველბერძნული ფილოსოფიის წარმოშობა. მისი განვითარების პირველ პერიოდს უწოდებენ კოსმოლოგიურს, რადგან იგი ძირითადად იკვლევდა ბუნებას, გარესამყაროს, ანუ კოსმოსს. არც ადამიანი რჩებოდა მისი ყურადღების გარეთ, მაგრამ იგი განიხილებოდა როგორც კოსმოსი. განსხვავებით ბუნებისაგან, რომელსაც უწოდებდნენ მაკრო ანუ დიდ კოსმოსს, ადამიანი მიჩნეული იყო მცირე ანუ მიკროკოსმოსად. კოსმოლოგიურმა პერიოდმა თავის აპოგეას მიაღწია დემოკრიტესთან (460-370 ძვ. წ.). მან შექმნა ფილოსოფიური სისტემა, რომელიც ატომისტიკის სახელითაა ცნობილი. ამ მოძღვრების მიხედვით, სამყაროს პირველსაწყისია ატომები და სიცარიელე. "ატომოს" ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს განუყოფელს ("ტომოს" ნიშნავს გაყოფადს, ხოლო "ა" – არას). ატომები განუყოფელი, დაუნაწევრებელი ნაწილაკებია, რომლებიც არ წარმოიქმნებიან და არ ისპობიან. ისინი მუდმივნი არიან და სხვა ნაწილაკებად არ გარდაიქმნებიან. ატომები მარადიულ მოძრაობაში არიან. ისინი უსასრულო სივრცეში მოძრაობენ სხვადასხვა მიმართულებით. ერთმანეთთან შეჯახების შედეგად ხდება მათი შერწყმა, რაც იწვევს სხეულების წარმოშობას. შემდეგ სხეულები იშლებიან შემადგენელ ატომებად, რის გამოც ისინი წყვეტენ არსებობას. მაშასადამე, სხეულს წარმოქმნის ატომების შეერთება, ხოლო მას სპობს მისი დაშლა ატომებად. ეს უკანასკნელნი მარადიულნი არიან, ამიტომ არც წარმოიშობიან და არც ისპობიან. მათი მუდმივი წრებრუნვა განაპირობებს განსხვავებულ სამყაროთა წარმოქმნას და ისევ მოსპობას. ეს პროცესი მიმდინარეობს მკაცრი აუცილებლობით, რადგან მას განსაზღვრავს მიზეზ-შედეგობრივი ჯაჭვი: სამყაროში არ არსებობს შემთხვევითობა, რადგან ყველაფერს აქვს მიზეზი. უმიზეზოდ არაფერი არ ხდება, ხოლო მიზეზი ბადებს წარმოშობს აუცილებლობის ძალით.

ახალი პერიოდი ძველბერძნული ფილოსოფიის განვითარებაში დაკავშირებულია სოკრატეს მოღვაწეობასთან (469-399 ძვ. წ.). მან ფილოსოფიურ ძიებათა აქცენტი რადიკალურად შეცვალა – ბუნებიდან გადაიტანა ადამიანზე. სოკრატემ ფილოსოფიის ძირითად პრინციპად გამოაცხადა დელფოს სამისნოზე წარწერილი დევიზი – შეიცან თავი შენი. ამით მან ფილოსოფიის მთავარ თემად აქცია ადამიანის არსისა და ყოფიერების თავისებურების კვლევა, რის შედეგად წინ წამოწია ეთიკური და სოციალურ-პოლიტიკური პრობლემატიკა. სოკრატეს წყალობით ძველბერძნულმა ფილოსოფიამ შეიცვალა მიმართულება, რომელმაც დასაბამი მისცა ახალ პერიოდს მის განვითარებაში. მას ანთროპოლოგიურ პერიოდს უწოდებენ ("ანთროპოს" ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს ადამიანს).

ძვ. წ. IV საუკუნის ათენში ფილოსოფიამ მწვერვალს მიაღწია, რამაც გამოხატულება ჰპოვა პლატონისა და არისტოტელეს მოძღვრებებში. მათ შექმნეს უნივერსალური ფილოსოფიური სისტემები, რომლებიც მოიცავდა იმდროინდელი მეცნიერების თითქმის ყველა დარგს – დაწყებული ფიზიკიდან და ასტრონომიიდან, დამთავრებული სახელმწიფოს თეორიითა და ლოგიკით.

ძვ. წ. III საუკუნიდან ათენი კარგავს თავის წამყვან მდგომარეობას. ამის ერთ-ერთი მიზეზი გახდა ალექსანდრე მაკედონელის დაპყრობითი ომის შედეგად მსოფლიო იმპერიის შექმნა. იწყება ბერძნული კულტურისა და განათლების გატანა აღმოსავლეთის ქვეყნებში. ჯერ ალექსანდრია, ხოლო მოგვიანებით — რომი იქცა მსოფლიო კულტურის ცენტრად. მიმდინარეობს ბერძნული და აღმოსავლური კულტურების სინთეზი, რამაც დასაბამი მისცა ელინისტურ ეპოქას.

ელინისტურ ხანაში შეიქმნა სამი მნიშვნელოვანი მიმართულება — ეპიკურეიზმი, სტოიციზმი და სკეპტიციზმი. მათ გავრცელება ჰპოვეს რომაულ ფილოსოფიაში. განსაკუთრებით ეს ეხება სტოიციზმს. რომაული სტოიციზმის გამოჩენილი წარმომადგენლებია სენეკა (4 ძვ. წ. — 65 ახ. წ.) და მარკუს ავრელიუსი (121-180)

ახ. წ. მესამე საუკუნეში ჩამოყალიბდა ახალი ფილოსოფიური მიმართულება — ნეოპლატონიზმი, რომლის თავისებურება ისაა, რომ მან ანტიკურ ფილოსოფიაში შეიტანა მისტიკურ-რელიგიური ხასიათის ელემენტები. მისი ფუძემდებელია პლოტინი, რომლის მიხედვით სამყაროს საფუძველია გონებით მიუწვდომელი და ენით გამოუთქმელი ღმერთი. ამით ნეოპლატონიზმი დაუპირისპირდა ანტიკური კულტურის ძირითად ტრადიციას, რომლის მიხედვითაც ფილოსოფიის საფუძვლად მიჩნეული იყო გონება და დასაბუთება.

მიუხედავად ანტიკური ფილოსოფიის მრავალფეროვნებისა და წინააღმდეგობრივი შინაარსისა, უტყუარად შეიძლება მივიჩნიოთ ფილოსოფიის არსის, ადგილისა და როლის შემდეგი გაგება: ფილოსოფია თავისუფალია მითოლოგიურ-რელიგიური აზროვნების წესისაგან: იგი ემყარება არა რწმენასა და ავტორიტეტს, არამედ გონებასა და დასაბუთებას: ფილოსოფია ითვლება სიბრძნედ, რომელზე უფრო მაღალი სიბრძნეც ადამიანისათვის არ არსებობს. იგი თავისთავადი, დამოუკიდებელი ფასეულობაა, რომელიც კულტურის არცერთ დარგს, მაგალითად, მითოლოგიას ან რელიგიას არ ექვემდებარება და არ ემსახურება. იგი არავის მსახური არ არის. ფილოსოფია უმაღლესი კულტურული ღირებულებაა, რომლითაც ფასდება და იზომება ყველაფერი. მის წიაღში ჩაისახა და განვითარდა მეცნიერება, უფრო მეტიც, ფილოსოფია და მეცნიერება წარმოიშვა როგორც ერთიანი, განუყრელი მთელი. მათი დიფერენციაცია და განცალკევება მოგვიანებით დაიწყო. **მაშასადამე, ფილოსოფია ერთდროულად სიბრძნეცაა და მეცნიერებაც.**

ფილოსოფიის, როგორც რაციონალური, ე. ი. გონებით დასაბუთებადი მეცნიერების ჩამოყალიბება, რომელიც ადამიანისათვის ერთადერთი სიბრძნე და უმაღლესი ღირებულებაა — აი, ესაა ანტიკური ეპოქის ფილოსოფიის ძირითადი თავისებურება.

ამან განაპირობა ის გარემოება, რომ ფილოსოფია ანტიკურ ეპოქაში მიჩნეულ იქნა ადამიანის თეორიული აზროვნებისა და პრაქტიკული საქმიანობის საფუძვლად.

ანტიკური ფილოსოფიის ფორმალურ დასასრულად ითვლება 529 წ., როდესაც იმპერატორ იუსტინიანეს ბრძანებით დაიხურა ათენის ფილოსოფიური სკოლა. იწყება ახალი ხანა ფილოსოფიის განვითარებაში — შუა საუკუნეების ეპოქა.

(2) შუა საუკუნეების ფილოსოფია. შუა საუკუნეების ფილოსოფიის ხასიათი და შინაარსი განსაზღვრა იმ საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა სტრუქტურამ, რომლის პროდუქტსაც იგი წარმოადგენს. ამ პერიოდში მოხდა ფეოდალიზმის დამკვიდრება და გავრცელება ევროპაში. აღნიშნული საზოგადოებრივი წყობილების თავისებურება ისაა, რომ იგი კლასობრივ-წოდებრივია და ემყარება კარჩაკეტილ, ნატურალურ მეურნეობას. გაბატონებული იდეოლოგიის ფორმაა რელიგია, ამიტომ ეკლესია განმსაზღვრელ როლს ასრულებს საზოგადოების პოლიტიკურ ცხოვრებაში. ევროპის ქვეყნებში ოფიციალურ იდეოლოგიად იქცა ქრისტიანობა. იგი დაუპირისპირდა ანტიკურ ფილოსოფიას როგორც წარმართობას. ბერძენი და რომაელი ავტორები შეცვალა ბიბლიამ, რომელიც შეიცავს ქრისტიანობის ძირითად პრინციპებსა და დოგმებს. იგი აღიარებულ იქნა საღვთო წიგნად, რომელშიც გაცხადებულია ღვთაებრივი სიბრძნე და ერთადერთი ჭეშმარიტება.

ეკლესიამ ავტორიტეტად მხოლოდ ბიბლია მიიჩნია: ვისაც ჭეშმარიტების დადგენა და სიბრძნის დაუფლება სურს, იგი უნდა ეზიაროს საღვთო წიგნს. მისი შინაარსის კომენტირება და ინტერპრეტაცია იქცა ფილოსოფიური აზროვნების ძირითად მიმართულებად. ღმერთი და მის მიერ სამყაროს შექმნა გახდა ფილოსოფიის საგანი. თეოლოგია (ღვთისმეტყველება) არის მოძღვრება ღმერთის შესახებ ("თეოს" — ბერძნულად ღმერთს, ხოლო "ლოგოს" — მოძღვრებას ნიშნავს). იგი გახდა წმინდა, ღვთაებრივი მეცნიერება, რომელსაც ფილოსოფია და სხვა კერძო მეცნიერებები დაექვემდებარა. მათ დაეკისრა თეოლოგიის მსახურის როლი. ამიერიდან ფილოსოფიის ამოცანაა არა ბუნებისა და ადამიანის, არამედ ღმერთის შემეცნება, მისი საიდუმლოების გახსნა და წვდომა. ყველაფერი დანარჩენი, მათ შორის, ბუნება და ადამიანი, მან უნდა გამოიკვლიოს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ღმერთის გამოვლენაა.

ღმერთის არსებობის დასაბუთება, სამყარო და ადამიანი როგორც ღვთის შემოქმედება, რწმენისა და ცოდნის ურთიერთობა, თეოლოგიისა და ფილოსოფიის მიმართება, ზოგადის ანუ უნივერსალიების პრობლემა — აი, დაახლოებით საკითხების ის წრე, რომელიც გახდა შუა საუკუნეების ფილოსოფიის მამოძრავებელი ღერძი. ფილოსოფიური კვლევის მეთოდად აღიარებულ იქნა არა მეცნიერება და მისი ხერხები, არამედ ბიბლიის, როგორც საღვთო წიგნის, კომენტირება და ინტერპრეტაცია. ეს სავსებით კანონზომიერია, რადგან ღმერთი და მისი სიბრძნე გაცხადებულია მხოლოდ ბიბლიაში.

ახლა შეგვიძლია მოკლედ დავადგინოთ არსებითი განსხვავება ანტიკურ და შუა საუკუნეების ფილოსოფიას შორის. პირველი ორიენტირებულია სამყაროსა და ადამიანზე: მას ჭეშმარიტების კრიტერიუმად გონება და ლოგიკა

მიაჩნია. მისთვის ფილოსოფია ღირებულებაა, რომელსაც სხვა უფრო მაღალი საზომი არ გააჩნია. მეორე კი ორიენტირებულია ღმერთზე. მას ჭეშმარიტების კრიტერიუმად ბიბლია მიაჩნია. არსებობს ერთადერთი ნამდვილი სიბრძნე — ღვთაებრივი გამოცხადება, რომელთან მიმართებაში ფილოსოფია უმეცრებაა. ფილოსოფია ღვთისმეტყველების მსახურია, ამიტომ იგი თავისი ხასიათით რელიგიურია.

შუა საუკუნეების ფილოსოფიამ წამოაყენა დებულება, რომლის თანახმად, რწმენას აქვს უპირატესობა გონებასთან (ცოდნასთან) შედარებით. ეს მომდინარეობს ბიბლიიდან. პავლე მოციქული თვლის: იმისათვის, რომ რაიმე გაიგო, ჯერ უნდა იწამო. ტერტულიანე (150-220) ავითარებს ამ ხაზს ფილოსოფიაში და ცდილობს ახსნას ის სასწაულქმედებანი, რომლებიც ქრისტეს ცხოვრებასთან არის დაკავშირებული: ქრისტემ მკვდარი ლაზარე გააცოცხლა; ქრისტე მკვდრეთით აღსდგა. ამასთან დაკავშირებით ტერტულიანე აღნიშნავს: რა თქმა უნდა, ეს ფაქტები დაუჯერებელია გონებისათვის, რადგან მათი არსებობა მას შეუძლებლად, დაუშვებლად მიაჩნია. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ისინი წარმოუდგენელია რწმენისათვის. ამ უკანასკნელს მათი არსებობა სრულიად დასაშვებად მიაჩნია. ის, რაც გონებისათვის დაუჯერებელია, რწმენისათვის უეჭველია. რაც უფრო მეტად მიუღებელია გონებისათვის, მით უფრო მეტად მისაღებია და უტყუარია რწმენისათვის. ტერტულიანეს მიაწერენ შემდეგ დებულებას: "მწამს, რადგან აბსურდია". გონებისათვის აბსურდი, სრულებითაც არ არის აბსურდი რწმენისათვის. ქრისტე აღსდგა, ეს ჭეშმარიტია, იმიტომ რომ იგი გონებისათვის შეუძლებელია — წერს ტერტულიანე.

ტერტულიანე უარყოფს ფილოსოფიას, განსაკუთრებით ბერძნულ ფილოსოფიას. მისთვის ერთადერთი სიბრძნე ბიბლიაა. ფილოსოფია კი მასთან შედარებით სისულელეა. ტერტულიანე წერს: ქრისტეს შემდეგ არაა საჭირო რაიმე ცნობისმოყვარეობა, ხოლო სახარების შემდეგ — გამოკვლევა. აქაც ტერტულიანე აგრძელებს პავლე მოციქულის ხაზს, რომელიც აღნიშნავდა, რომ ქრისტიანული გამოცხადება აუქმებს "სიბრძნეს ამა ქვეყნისა".

ყველაზე დიდი ფილოსოფოსი, რომელმაც განსაზღვრა შუა საუკუნეების აზროვნების ხასიათი, იყო ნეტარი ავგუსტინე (354-430). მან გაიზიარა ტერტულიანეს თვალსაზრისი რწმენის უპირატესობისა ცოდნასთან შედარებით. იგი მოუწოდებს: "იწამე, რათა გაიგო". მაგრამ მან უარყო ტერტულიანეს პოზიცია ფილოსოფიასთან მიმართებით. იგი ხაზს უსვამს ფილოსოფიის როლს ქრისტიანული რწმენის დაფუძნების საქმეში. ფილოსოფიის მიზანია დაასაბუთოს და ადამიანის გონებისათვის გასაგები გახადოს ქრისტიანობის დოგმატები. ამით ფილოსოფიას დაეკისრა ღვთისმეტყველების მსახურის როლი. შუა საუკუნეების ოფიციალურ ფილოსოფიად ითვლება სქოლასტიკა (ლათინური სიტყვა სქოლასტიკა წარმოსდგება ბერძნულიდან "სქოლასტიკოს", რაც ნიშნავს "სასკოლოს"). იგი წარმოიშვა და ჩამოყალიბდა XI-XII საუკუნეებ-

ში, ხოლო XIV საუკუნიდან იწყებს დაცემას. სქოლასტიკის წარმოშობა, განაპირობა სასკოლო განათლების შემოღების აუცილებლობამ: IX-X საუკუნეებში ქალაქების ინტენსიურმა განვითარებამ გადაუდებელი გახადა სკოლების ორგანიზება, რათა ახალგაზრდობას ესწავლა წერა-კითხვა და დაუფლებოდა მაშინდელი მეცნიერების საფუძვლებს. XII საუკუნიდან ევროპის ქალაქებში იქმნება უნივერსიტეტები, რომელთა ფარგლებში მიმდინარეობს საგანმანათლებლო და სამეცნიერო მუშაობა. ფილოსოფიამ, რომელსაც ასწავლიდნენ სკოლებსა და უნივერსიტეტებში, მიიღო სასკოლო ფილოსოფიის ანუ სქოლასტიკის სახელი. ცხადია, რომ ეს სწავლება მიმდინარეობდა კათოლიკური ეკლესიისა და რომის პაპის მკაცრი კონტროლით. ამის გამო, სქოლასტიკა რელიგიურ-თეოლოგიური ხასიათის იყო.

სქოლასტიკის მეთოდია ტექსტების ახსნა და კომენტირება. ეს ტექსტებია ბიბლია და ანტიკური ფილოსოფოსების, განსაკუთრებით, პლატონისა და არისტოტელეს ნაწარმოებები. პრობლემათა კლასიფიკაცია და სისტემატიზაცია, საკითხების დანაწევრება, ცნებების განსაზღვრება, ავტორიტეტების დამოწმება — ასეთია სქოლასტიკური აზროვნების დამახასიათებელი ნიშნები. ამას თავის დროზე გარკვეული გამართლება ჰქონდა, მაგრამ შემდეგ გადაიქცა ცხოვრებასა და რეალურ პრობლემატიკას მოწყვეტილ აზროვნებად. დღეს სქოლასტიკა გაგებულია როგორც განყენებული და უშინაარსო აზროვნება, რომელსაც არავითარი თეორიული და პრაქტიკული ღირებულება არ გააჩნია.

სქოლასტიკის პირველი მნიშვნელოვანი წარმომადგენელია ანსელმ კენტერბერიელი (1033-1109). იგი იცავდა ცნებათა რეალიზმის პოზიციას, რომლის თანახმად ზოგადი (უნივერსალია) არსებობს ობიექტურად ერთეული საგნების გარეთ და მათგან დამოუკიდებლად. მას ეკუთვნის ღმერთის არსებობის დასაბუთების ონტოლოგიური არგუმენტი, რომლის არსი მოკლედ შემდეგია: ღმერთი არის უმაღლესი და მაქსიმალურად სრულყოფილი არსება. მისი სრულყოფილება უკვე გულისხმობს მის არსებობას. ამ თეზისის უარყოფა შეიცავს შინაგან წინააღმდეგობას, რადგან თუ ღმერთი არ იარსებებდა, მაშინ იგი არც სრულყოფილი იქნებოდა. ამგვარად, ღმერთის, როგორც სრულყოფილი არსების ცნებიდან აუცილებლობით გამომდინარეობს მისი არსებობა. ანსელმი თვლის, რომ ეს არის ლოგიკურად ჭეშმარიტი დებულება, რომლის უარყოფა შინაგანი წინააღმდეგობის შემცველია. ღმერთის ონტოლოგიური დასაბუთების თავისებურება ისაა, რომ იგი ღმერთის ცნების ანალიზის საფუძველზე ასაბუთებს მის უეჭველ არსებობას.

ცნებათა რეალიზმის საპირისპიროდ სქოლასტიკაში ჩამოყალიბდა ორი მიმართულება — ნომინალიზმი და კონცეფტუალიზმი: პირველის წარმომადგენელია როსცელინი (1050-1190), ხოლო მეორის — აბელიარი (1079-1142). როსცელინი ამტკიცებს, რომ ობიექტურად არსებობს მხოლოდ ერთეული ნივთები, ხოლო ზოგადი ცარიელი სახელია და იგი არ შეიცავს რაიმე შინაარსს.

როსცელინი ზოგადს ადარებს "ჰაერის ქროლვას". აბელიარი იცავს ზომიერი ნომინალიზმის პოზიციას, რომელიც შემდეგ გახდა კონცეპტუალიზმის საფუძველი. იგი უარყოფს ზოგადის ობიექტურ არსებობას, მაგრამ თვლის, რომ ზოგადი სიტყვის შინაარსია, რომელიც პრედიკატის სახით გამოითქმის ერთეული ნივთების სიმრავლეზე. მაშასადამე, ზოგადი არის არა ცარიელი სიტყვა, როგორც ამას მიიჩნევდა როსცელინი, არამედ გარკვეული მნიშვნელობის მქონე სიტყვა. ზოგადი ობიექტურად არ არსებობს, მაგრამ არსებობს ადამიანის გონებაში.

XIII საუკუნის სქოლასტიკის გამოჩენილი წარმომადგენელია თომა აქვინელი (1225-1274). მან თეოლოგია ფილოსოფიაზე მაღლა დააყენა. მიუხედავად ამისა, მას მიაჩნია, რომ მათ შორის არაა წინააღმდეგობა. არსებობს ორი ჭეშმარიტება — ღვთაებრივი და გონებრივი. პირველი მოცემულია ბიბლიაში და მას ვწვდებით გამოცხადების მეშვეობით: მეორეს ადგენს ფილოსოფია და კერძო მეცნიერებანი გონების საშუალებით. ფილოსოფიის ამოცანაა დაფუძნოს და გასაგები გახადოს ბიბლიაში მოცემული ჭეშმარიტებანი. რასაკვირველია, ღვთაებრივ სიბრძნეს არ სჭირდება ფილოსოფიური დასაბუთება, მაგრამ ეს სჭირდება ადამიანს.

უნივერსალიების საკითხში თომა აქვინელი იცავს რეალიზმის პოზიციას. იგი უშვებს ზოგადის სამგვარ არსებობას: ზოგადი არსებობს ობიექტურად, ნივთებამდე — ღმერთის გონებაში; ნივთებში, როგორც მათი არსება; ნივთების შემდეგ — ადამიანის გონებაში ცნებების სახით.

ღმერთის არსებობის დასაბუთებას თომა აქვინელი ანსელმისაგან განსხვავებული არგუმენტით ცდილობს. ეს არის ე. წ. კოსმოლოგიური არგუმენტი, რომლის თავისებურება ისაა, რომ იგი ამოდის არა ღმერთის ცნებიდან, არამედ კოსმოსის (სამყაროს) არსებობიდან და მასში ეძებს ღმერთის არსებობის უტყუარ საბუთს. თომა აქვინელმა წამოაყენა ღმერთის არსებობის დასაბუთების ხუთი გზა, რომელთა ზოგადი წანამძღვარი ერთია: სამყარო არის სასრული, შემთხვევითი, ერთმანეთთან მიზეზობრივად დაკავშირებულ, მიზანშეწონილ მოვლენათა ერთობლიობა. იგი როგორც მთელი არ შეიძლება იყოს შემთხვევითი, თავისი თავის მიზეზი და სამყაროში არსებული საკუთარი მიზანშეწონილების განმსაზღვრელი. ამიტომ, უნდა არსებობდეს უსასრულო, აუცილებელი გონიერი, ყოვლადძლიერი, შემოქმედი ძალა, რომელიც ქმნის სამყაროს მთელი თავისი მრავალფეროვნებითა და მიზანშეწონილებით. სწორედ ასეთი ძალაა ღმერთი. ამგვარად, სამყაროს არსებობა აუცილებლობით მოითხოვს ღმერთის არსებობას — ასეთია კოსმოლოგიური არგუმენტის ძირითადი აზრი.

თომა აქვინელი ორთოდოქსალური სქოლასტიკის ცენტრალური ფიგურაა. მისი მოძღვრება, რომელიც შემდგომ გავრცელდა თომიზმის სახელით, გადაიქცა კათოლიკური ეკლესიის ოფიციალურ ფილოსოფიად. ამან გამოიწვია სქოლასტიკის სხვა წარმომადგენლების მხრიდან გარკვეული ოპოზიცია, რასაც შედეგად მოჰყვა მისი ძირითადი დებულებების კრიტიკა. ამ გარემოებამ ყვე-

ლაზე მკვეთრი გამოხატულება ჰპოვა უილიამ ოკამთან (1300-1350). იგი იცავს გონების დამოუკიდებლობას რწმენისაგან, შესაბამისად, ფილოსოფიისას — თეოლოგიისაგან. რელიგიურ რწმენას არ სჭირდება ფილოსოფიური დასაბუთება. ფილოსოფია არ არის თეოლოგიის მსახური. იგი ემყარება არა საღვთო წიგნს, არამედ ცდასა და გონებას, ამიტომ მათი მეშვეობით იმეცნებს თავის საგანს.

ზოგადის საკითხისადმი ოკამი იცავს ზომიერი ნომინალიზმის თავისებურ თეორიას, რომელიც შემდგომ ტერმინიზმის სახელით გახდა ცნობილი: ზოგადი ობიექტურად არ არსებობს. იგი ტერმინია (სიტყვაა), რომელიც ზოგადობას იძენს, როდესაც გამოიყენება ერთეული ნივთების სიმრავლის აღსანიშნავად.

ოკამს ეკუთვნის დებულება, რომელიც გავრცელდა "ოკამის სამართებლის" სახელწოდებით. მისი თანამედროვე ფორმულირება, რომელიც დღეს ყველაზე მეტად მიღებულია, არის შემდეგი: "არ გავამრავლოთ საგნები საჭიროების გარეშე". ამ მოთხოვნის აზრი ისაა, რომ არ დავუშვათ და გამოვიყენოთ საგანი ან ცნება, თუ ეს აუცილებელი არ არის.

შუა საუკუნეების ფილოსოფია დაახლოებით მოიცავს ათასწლოვან ისტორიას. ცხადია, რომ იგი არაერთგვაროვანია. მასში ადგილი აქვს აზრთა ჭიდილს, საკითხების სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას, მაგრამ მისი ძირითადი ტენდენცია და ხასიათი ცალსახად გარკვეულია: იგი რელიგიურ-თეოლოგიურია, რომელიც ემყარება რწმენასა და ავტორიტეტს. შეიცვალა ფილოსოფიის როლი და ფუნქცია საზოგადოებაში: იგი აღარ ითვლება უმაღლეს სიბრძნედ. მან დაკარგა დამოუკიდებლობა და დაექვემდებარა თეოლოგიას, რადგან გახდა მისი მსახური. თეოლოგია მიჩნეულ იქნა უმაღლეს და წმინდა მეცნიერებად, ხოლო ფილოსოფიასა და კერძო მეცნიერებებს იმდენად ჰქონდათ გამართლება, რამდენადაც მას ემსახურებოდნენ.

ამგვარად, შუა საუკუნეებში ფილოსოფიამ ანტიკურობასთან შედარებით განიცადა დაცემა. მან დაკარგა უმაღლესი სიბრძნისა და მეცნიერების სტატუსი. ბიბლიამ და თეოლოგიამ წაართვა მას პირველობა. ფილოსოფიას დაეკისრა თეოლოგიის მსახურის სამარცხვინო როლი. მან შეიძინა სქოლასტიკურ-დოგმატური აზროვნების წესი და ფორმები.

(3) ᲐᲦᲝᲠᲫᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲔᲞᲝᲥᲘᲡ ᲨᲘᲚᲘᲡᲝᲤᲘᲐ. აღორძინების ეპოქა გამოხატავს გარდამავალ პერიოდს ფეოდალიზმიდან კაპიტალიზმზე. იმსხვრევა ძველი კლასობრივ-წოდებრივი და კონფესიური საზოგადოება, რის გამოც თავის გავლენას კარგავს ეკლესია და რელიგია. ახალმა გეოგრაფიულმა აღმოჩენებმა, ქალაქების ზრდამ, მრეწველობის განვითარებამ, მეცნიერული ბუნებისმეტყველების ფორმირებამ გააფართოვა ადამიანის გონებრივი ჰორიზონტი. მან დაიწყო რელიგიისა და თეოლოგიის მარწუხებისაგან გათავისუფლება.

აღორძინების ეპოქამ აღმოაჩინა და აღადგინა ანტიკური კულტურა. სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა მისი სახელწოდება აღორძინება ანუ რენესანსი. საქმე ისაა, რომ შუა საუკუნეების ქრისტიანული იდეოლოგია

ებრძოდა ანტიკურ კულტურას როგორც წარმართობას. ამან გამოიწვია ანტიკური ფილოსოფიისა და მეცნიერების დავიწყება და დამახინჯება. მართალია, მოგვიანებით სქოლასტიკამ სცადა ზოგიერთი ანტიკური მოაზროვნის გამოყენება თავისი მიზნებისათვის. განსაკუთრებით ეს ეხებოდა პლატონს, არისტოტელესა და პლოტინს. მაგრამ იგი მათ შეხედულებებს თავისებურ და ცალმხრივ ინტერპრეტაციას აძლევდა. მაგალითად, სქოლასტიკურად გაგებულ არისტოტელეს, რომელიც შუა საუკუნეებში ითვლებოდა ყველაზე დიდ ავტორიტეტად, შორეული მსგავსება თუ ჰქონდა ნამდვილ არისტოტელესთან.

გარდა ამისა, სქოლასტიკის ენა იყო ლათინური, ამიტომ იგი არ იცნობდა ბერძნულ წყაროებს. XV საუკუნის პირველ ნახევარში გაცხოველდა კავშირი დასავლეთ ევროპასა და ბიზანტიას შორის. ბიზანტიური კულტურის ენა იყო ბერძნული, ამიტომ ივი მრავალ ბერძნულ წყაროს ინახავდა. 1453 წ., ბიზანტიის დაცემის შემდეგ, მრავალმა ბიზანტიელმა მოაზროვნემ თავი შეაფარა დასავლეთ ევროპას, განსაკუთრებით იტალიის ქალაქებს. მათ თან ჩამოიტანეს ბერძნული კულტურის წყაროები, რამაც საშუალება მისცა ევროპას ორიგინალში წაეკითხათ ისინი. პირველწყაროების გაცნობამ და ტექსტების დამუშავებამ ნათელი გახადა სქოლასტიკის შეზღუდულობა და შეუთავსებლობა ახალ რეალობასთან. დასავლეთ ევროპამ ახლად აღმოაჩინა ათასწლოვანი ისტორიის მანძილზე მივიწყებული და დამახინჯებული ანტიკური კულტურა, გააცნობიერა მისი სიდიადე და მნიშვნელობა, ამიტომ აღადგინა და აღორძინა ივი. მან ივი დაუპირისპირა სქოლასტიკურ აზროვნებას, რითაც მთელი ეპოქა შექმნა ევროპული ცივილიზაციის განვითარებაში.

ანტიკური კულტურის ახლებურ გააზრებასა და გადაფასებას მოჰყვა რადიკალური ცვლილებები ცხოვრებისა და სულიერი მოღვაწეობის ყველა სფეროში: ლიტერატურა და ხელოვნება, რელიგია და ფილოსოფია, მეცნიერება და ტექნიკა თანდათან თავისუფლდება რომის კათოლიკური ეკლესიისა და მისი ოფიციალური იდეოლოგიის ბატონობისაგან.

რელიგიის სფეროში დასაბამი მიეცა რეფორმაციულ მოძრაობას, რომელიც დაკავშირებულია ლუთერისა და კალვინის მოღვაწეობასთან. მათ შეუტიეს რომის კათოლიკურ ეკლესიას, რომელიც ორთოდოქსალური ქრისტიანობისა და ინკვიზიციის საყრდენი იყო. ლუთერმა წამოაყენა პრინციპი, რომლის თანახმად ადამიანის ხსნა შესაძლებელია მარტოოდენ რწმენით, ოღონდ ისეთი რწმენით, რომელსაც ივი უშუალოდ ღებულობს ღმერთიდან. ამით ადამიანი თავისუფლდებოდა კათოლიკური სამღვდელოების ჩარევისა და მეურვეობისაგან. რეფორმაცია მიმართული იყო არა საერთოდ ქრისტიანობის, არამედ კათოლიციზმის წინააღმდეგ. პირიქით, ივი ცდილობდა ჭეშმარიტი ქრისტიანობის აღდგენას. ამით მან მძლავრი დარტყმა მიაყენა კათოლიკური ეკლესიის განუყოფელ ბატონობას.

აღორძინების ეპოქას, აგრეთვე, უწოდებენ ჰუმანიზმის ეპოქას, რადგან მისი სულისკვეთების ძირითადი განმსაზღვრელი გახდა ჰუმანისტური

მსოფლმხედველობა. სიტყვა "ჰუმანიზმი" წარმოდგება ლათინური სიტყვიდან "ჰუმანიტას", რაც ნიშნავს ადამიანურს. იგი პირველად იხმარა ციცერონმა (ძვ. წ. I საუკუნე). შემდეგ მას იყენებდნენ სხვა მოაზროვნეებიც. ჰუმანიზმი, როგორც გარკვეული მსოფლმხედველობა, იდეათა და შეხედულებათა სისტემა ჩამოყალიბდა სწორედ აღორძინების ეპოქაში. იგი მიმართული იყო სქოლასტიკის წინააღმდეგ. ეს უკანასკნელი თეოცენტრულია, რადგან მისი საფუძველი და ამოსავალი ღმერთია, ხოლო ადამიანი მასზეა დამოკიდებული და მისით გაიზომება. ჰუმანიზმი კი ანთროპოცენტრულია, რადგან მისი საფუძველი და ამოსავალია ადამიანი როგორც უმაღლესი ღირებულება. ამ შემთხვევაში ღმერთი მეორე პლანზეა და იგი განიხილება ადამიანთან მიმართებაში. ჰუმანიზმის ანტისქოლასტიკური ხასიათი და შინაარსი აშკარაა.

აღორძინების ეპოქაში იქმნება სოციალური უტოპიები, რომელთა მიზანია სამართლიანი საზოგადოების დამყარება, სადაც გამორიცხულია ადამიანთა მიერ ერთმანეთის ჩაგვრა და ექსპლოატაცია. სწორედ ამგვარი თეორია შექმნა, მაგალითად, თომას მორმა (1478-1535). მისი წიგნი "უტოპია" გამოქვეყნდა 1616 წ.

რადიკალურად იცვლება მეცნიერების ხასიათი და შინაარსი. შუა საუკუნეების მეცნიერების საფუძველია თეოლოგია, ამიტომ იგი ტელეოლოგისტური და თეოცენტრულია. ბუნებისმეტყველება ემყარება პტოლემეოსის ასტრონომიას და არისტოტელეს ფიზიკას. პტოლემეოსმა შექმნა გეოცენტრული სისტემა, რომლის თანახმად სამყაროს ცენტრი დედამიწაა (ბერძნ. გეო ნიშნავს დედამიწას). არისტოტელეს ფიზიკას ჰქონდა ტელეოლოგისტური და არა მექანისტური ხასიათი. ტელეოლოგიზმი (ბერძნ. სიტყვიდან ტელოს – მიზანი) მოვლენათა ახსნას ახდენს მიზნობრივი მიზეზების საფუძველზე. მაგალითად, არისტოტელე მიიჩნევს, რომ მძიმე სხეულები დედამიწაზე ვარდება არა მიზიდულობის ძალით, არამედ იმის გამო, რომ ისინი ესწრაფვიან დაიკავონ მათთვის მიჩნეული ბუნებრივი ადგილი. სხეულთა ბუნებრივი ადგილი კი დედამიწაზეა.

აღორძინების ეპოქაში ბუნებისმეტყველება თანდათანობით თავისუფლდება სქოლასტიკური აზროვნების წესისაგან. ამ პროცესში განსაკუთრებული როლი ითამაშეს ნიკოლაი კოპერნიკმა, ჯორდანო ბრუნომ და გალილეო გალილეიმ. კოპერნიკმა შექმნა ჰელიოცენტრული სისტემა, რომლის თანახმად, სამყაროს ცენტრია არა დედამიწა, არამედ მზე (ბერძნ. ჰელიოს – ნიშნავს მზეს). ამით მან დარტყმა მიაყენა სქოლასტიკური აზროვნების ერთ-ერთ საბუნებისმეტყველო საყრდენს – გეოცენტრისტულ სისტემას.

იწყება ახალი ტიპის – მექანისტური ფიზიკის ჩამოყალიბება. იცვლება ბუნების კვლევის წესი და მეთოდი. სქოლასტიკა ბუნების ახსნისას ემყარებოდა ბიბლიას. იქ ეძებდა იგი მისი საიდუმლოების ამოხსნას. ახლა კი ორიენტაციის გადატანა ხდება თვით ბუნებაზე. მისი საიდუმლოების ამოხსნა თვით მასში უნდა ვეძიოთ. ბუნების შემეცნების მეთოდებია ცდა და მათემატიკა. ბუნება არის წიგნი, რომელიც დაწერილია მათემატიკის ენაზე. ვისაც

მისი წაკითხვა სურს, უნდა ისწავლოს მათემატიკა. ბუნების ცოდნა ემპირიული, ცდისეული ხასიათისაა, ამიტომ იგი უნდა დაემყაროს არა გონებაჭვრეტილ (სქოლასტიკურ) მოსაზრებებს, არამედ ცდას (ექსპერიმენტს) და დაკვირვებას. ბუნების შემეცნების ეს მეთოდი ფიზიკაში დაამკვიდრა გალილეომ.

ამგვარად, აღორძინების ეპოქაში საფუძველი ჩაეყარა მათემატიკასა და ცდაზე დამყარებულ ფიზიკას. აღნიშნული ორიენტაცია გზას იკაფავს ბუნებისმეტყველების სხვა დარგებშიც.

ანალოგიური ცვლილებები ხდება სოციალურ მეცნიერებათა სფეროში. ამ მხრივ აღსანიშნავია ნიკოლო მაკიაველი, რომელმაც წამოაყენა სახელმწიფოსა და პოლიტიკის გაგების რეალისტური თეორია. იგი სოციალური მოვლენების ახსნისას ემყარება არა ღვთაებრივ სიბრძნეს, არამედ რეალურ ფაქტორებსა და პირობებს. იგი თვლის, რომ ადამიანის ბუნება ორადაა გაყოფილი. ერთი მხრივ, მასში რაღაც მხეცურია, ხოლო მეორე მხრივ — ადამიანური. ეს გარემოება აისახება პოლიტიკაში. პოლიტიკოსი იძულებულია ზოგჯერ მოიქცეს როგორც მხეცი. მან უნდა გამოიყენოს ყველა საშუალება, თუნდაც ამორალური, თუკი ამას მოითხოვს სახელმწიფოს ინტერესები. მაკიაველმა დაასაბუთა თეორია, რომელიც შემდეგ იეზუიტთა ორდენმა გამოთქვა ფორმულით "მიზანი ამართლებს საშუალებას".

მაკიაველის თვალსაზრისი არის ნათელი დადასტურება ორიენტაციის იმ მობრუნებისა, რომელიც მოხდა აღორძინების ეპოქაში სოციალურ მეცნიერებათა სფეროში.

აღნიშნულმა გარემოებებმა განსაზღვრა ადამიანთა მსოფლმხედველობრივი აზროვნების წესის შეცვლა. მოხდა ღირებულებათა გადაფასება და შეიცვალა ორიენტაციები. ცხადია, რომ ეს ვითარება აისახა ფილოსოფიაში.

აღორძინების ეპოქის გამოჩენილი ფილოსოფოსებია ნიკოლოზ კუზანელი (1501-1564) და მიშელ მონტენი (1533-1592).

კუზანელი ერთმანეთისაგან განასხვავებს ღმერთისა და სამყაროს არსებობას. პირველი აბსოლუტურია. იგი აქტუალური უსასრულობაა, მოიცავს ყველაფერს, მაგრამ ერთიანია და მთლიანი. მეორე შედგება სასრული, კონკრეტული საგნების სიმრავლისაგან. აქ ადგილი აქვს წინააღმდეგობასა და დაპირისპირებას. ღმერთი არსებობს სამყაროში და პირიქით. "ღმერთის არსებობა სამყაროში სხვა არაფერია, თუ არა სამყაროს არსებობა ღმერთში" — ამტკიცებს კუზანელი. ღმერთის შემეცნება პრინციპულად შეუძლებელია, რადგან აქტუალური უსასრულობის წვდომა ადამიანის გონებას არ შეუძლია. ეს არის უარყოფითი თეოლოგია, რომელიც უპირისპირდება სქოლასტიკის დადებით თეოლოგიას. როგორ შეიძლება წინააღმდეგობებით აღსავსე სამყაროს არსებობა ღმერთში? ხომ არ არღვევს ეს გარემოება ღმერთის ერთიანობასა და მთლიანობას? ამ სიძნელის გადასალახავად კუზანელმა წამოაყენა დაპირისპირებულთა დამთხვევის პრინციპი. მისი აზრით, დაპირისპირება არსებობს სასრულ საგნებს შორის, უსასრულობაში კი ისინი ერთმანეთს ემთხვევიან. უსას-

რულობაში ხდება დაპირისპირებულთა დამთხვევა. ამის პრაქტიკული გამოცდილება ადამიანს არ შეუძლია, მაგრამ შეუძლია დაშვება გონების მეშვეობით. ამ დებულებას კუზანელი ასაბუთებს მათემატიკიდან მოტანილი მაგალითებით.

სამყაროს შემეცნება ეფუძნება ღმერთის შეუმეცნებადობას. ეს ნიშნავს, რომ სამყაროს შესახებ ცოდნა ემყარება ღმერთის შესახებ არცოდნას. როგორ არის ეს შესაძლებელი? აქ კუზანელი წამოაყენებს "შემეცნებული არცოდნის" კონცეფციას. ცოდნა თავის თავში შეიცავს არცოდნას. ვინც რაღაც იცის, მაგრამ ვერ აცნობიერებს, რომ არ იცის – ის უმეცარია. ნამდვილად იცის მხოლოდ იმან, ვინც იცის თავისი არცოდნა. კუზანელის მიხედვით, ყოველი ცოდნა თავის სიღრმეში არცოდნაა. ცოდნა მხოლოდ ამგვარი შეიძლება იყოს. "შემეცნებული არცოდნის" კონცეფციით კუზანელი დაუპირისპირდა სქოლასტიკურ-დოგმატური აზროვნების წესს.

მონტენი სქოლასტიკას დაუპირისპირდა ანტიკური სკეპტიციზმის საშუალებით. როგორც ცნობილია, სკეპტიციზმი უარყოფს ცოდნის უტყუარობასა და უეჭველობას. ყოველი ცოდნა საეჭვოა, ამიტომ კატეგორიულად რაიმეს მტკიცება არ შეიძლება. მონტენი სვამს კითხვას: "მაინც რა ვიცი მე?" და პასუხობს: "თუ გსურს განიკურნო უმეცრებისაგან, უნდა აღიარო იგი. ყოველგვარი ფილოსოფიის საწყისია გაოცება, მისი გაგრძელებაა კვლევა, ხოლო დასასრული – არცოდნა".

როგორც კუზანელს, ისე მონტენს ფილოსოფიის ძირითად ამოცანად მიაჩნია სქოლასტიკის დაძლევა. ამით ისინი ძირს უთხრიან რომის კათოლიკურ ეკლესიას და ორთოდოქსალურ-დოგმატურ იდეოლოგიას.

აღორძინების ეპოქას საკუთრივ ფილოსოფიაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი არაფერი შეუქმნია. ამ პერიოდის დამსახურება ისაა, რომ მან მკვეთრად შეაფრთხილა ფილოსოფიის ორიენტაცია. შუა საუკუნეების ფილოსოფია რელიგიურია და ემყარება ბიბლიას. აღორძინების ეპოქის ფილოსოფია ანტირელიგიურია და ემყარება რეალობის მეცნიერულ კვლევას. იგი ბოლომდე არ გათავისუფლებულა სქოლასტიკურ-დოგმატური აზროვნების წესისაგან, მაგრამ მისი ისტორიული დამსახურებაა ისაა, რომ მან მოამზადა ახალი დროის ფილოსოფია.

(4) ახალი დროის ფილოსოფია. ახალი დროის ფილოსოფია სასიათდება მიმდინარეობათა მრავალფეროვნებითა და სიღრმით. შეიქმნა მრავალი – ურთიერთდაპირისპირებული ფილოსოფიური სისტემა, რომლებმაც ახლებურად დააყენეს და გააშუქეს ძველი პრობლემები. ამ პერიოდის აზროვნების თავისებურების განმსაზღვრელ ერთ-ერთ ძირითად ფაქტორს წარმოადგენს შემდეგი: ინტენსიურად გრძელდება კერძო მეცნიერებათა ჩამოყალიბების პროცესი. XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისისათვის იგი მთლიანად დასრულდა. ამ დროისათვის მოხდა ფილოსოფიისა და კერძო მეცნიერების სრული გამიჯვნა. ძველ საბერძნეთში ფილოსოფია ერწყმოდა მეცნიერებასთან ერთად. ახლა კი ისინი გაემიჯნენ ერთმანეთს. ფილოსოფია და კერძო მეცნიერება ჩამოყალიბდა როგორც აზროვნებისა და ღასაბუთების ორი

ურთიერთგანსხვავებული ტიპი. ამ გარემოებამ განაპირობა ის ძირითადი პრობლემა, რომელიც ფილოსოფიის წინაშე დადგა: როგორია ურთიერთობა ფილოსოფიასა და მეცნიერებას შორის. ეს ნიშნავდა, რომ მას უნდა მოეხდინა თვითრეფლექსია: გაერკვია თავისი არსი, შესაძლებლობები და გამოყენების საზღვრები. მეცნიერების გვერდით ხომ არ დაკარგა მან ფუნქცია და გახდა ზედმეტი?

ახალი ფილოსოფიის ფუძემდებლად ითვლება ორი ფილოსოფოსი: ინგლისელი ფრენსის ბეკონი (1561-1626) და ფრანგი რენე დეკარტე (1596-1650).

ამ პერიოდში ყალიბდება ახალი ტიპის ბუნებისმეტყველება. ეს არის კლასიკური მექანიკა. მართალია, მისი საბოლოო ფორმირება მოხდა მოგვიანებით ნიუტონთან (1643-1727), მაგრამ უკვე ნათლად გარკვეულია ის ძირითადი გეზი და მიმართულება, რომელიც მან აიღო. იგი ყალიბდება როგორც მათემატიკური ბუნებისმეტყველება, რომელიც ემყარება ცდას. ეს არის ფიზიკა თანამედროვე გაგებით, რომელიც არსებითად განსხვავდება არისტოტელეს ფიზიკისაგან. ეს უკანასკნელი ფილოსოფიური დისციპლინაა, რომელიც ემყარება გონებაჭვრეტით მოსაზრებებს და არ მიმართავს არც ცდას და არც მათემატიკას. თანამედროვე ბუნებისმეტყველების საფუძველი კი მათემატიკა და ცდაა. ამ მეცნიერების ხასიათი და შინაარსი განსაზღვრავდა ფილოსოფიური აზროვნების ხასიათს.

ფილოსოფია ამართლებს თავის დამოუკიდებლობას და თავისთავადობას. ფილოსოფიური ცოდნის თავისებურება განისაზღვრება მათემატიკურ ბუმებისმეტყველებასთან მიმართებით. აქ გამოიკვეთა ორი ძირითადი ხაზი — ემპირიული და რაციონალისტური. ემპირიზმი არის თეორია, რომელიც ჭეშმარიტი შემეცნების წყაროდ მიიჩნევს ცდას (ბერძნ. ემპირეა ნიშნავს ცდას). ამ მოძღვრების მიხედვით, მეცნიერული ცოდნა ცდისეული ანუ ემპირიულია. ემპირიზმს ახალ ფილოსოფიაში დასაბამი მისცა ბეკონმა.

რაციონალიზმი არის თეორია, რომლის თანახმად, ჭეშმარიტი შემეცნების წყარო არის გონება (ლათ. რაციო ნიშნავს გონებას). ეს მოძღვრება თვლის, რომ მეცნიერული ცოდნა რაციონალური ანუ გონებისეულია. ახალ ფილოსოფიაში რაციონალიზმს დასაბამი მისცა დეკარტემ.

როგორც ემპირიზმი, ისე რაციონალიზმი ჩამოყალიბდა მათემატიკური ბუნებისმეტყველების ბაზაზე. როგორ გახდა კლასიკური მექანიკა ორივე მიმართულების წარმოშობის წყარო? ამ კითხვას, რომ პასუხი გავცეთ, ყურადღება მივაქციოთ აღნიშნული მეცნიერების ბუნებას. მისი საფუძველია ორი მეთოდი: მათემატიკა და ცდა. ის, ვინც ფილოსოფიური ცოდნის ნიმუშად მიიჩნია მათემატიკა, მან დააფუძნა რაციონალიზმი. მათემატიკა არაცდისეული, რაციონალურ-ლოგიკური მეცნიერებაა, ამიტომ მის საფუძველზე სწორედ რაციონალიზმის გამართლებაა შესაძლებელი. დეკარტეს აზრით, ფილოსოფია არის უნივერსალური მათემატიკა, ამიტომ მისთვის მისაღებია რაციონალიზმი და არა ემპირიზმი.

დეკარტე ცდილობს დაადგინოს ფილოსოფიის ამოსავალი ძირითადი პრინ-

ციპი, რომელზეც მთლიან სისტემას ლოგიკურად დააფუძნებდა. იგი ისევ
იყოს აბსოლუტურად უტყუარი და უეჭველი დებულება, რომელიც
იცხავდა ყოველგვარ ეჭვს. ასეთ პრინციპად მან მიიჩნია შემდეგი: "ვაზროვნებ,
მაშასადამე ვარსებობ". იგი თავისთავად ცხადი და ნათელი დებულებაა, ამი-
ტომ არ საჭიროებს არც ცდისეულ და არც ლოგიკურ დამტკიცებას.
მისი დადგენა ხდება უშუალოდ, ინტელექტუალური ინტუიციის საშუ-
ალებით. მაშასადამე, გონება (რაციო) თავის თავზე დაყრდნობით უზრუნველ-
ყოფს ფილოსოფიური სისტემის უტყუარობასა და უეჭველობას.

ბეკონმა ყურადღება გაამახვილა მათემატიკური ბუნებისმეტყველების მეორე
მომენტზე, კერძოდ, ცდაზე. მისთვის სანიმუშოა ემპირიული ცოდნა, რომელიც
მიიღება ცდის მონაცემების ინდუქციური განზოგადების გზით. ბეკონი სას-
ტიკად დაუპირისპირდა არისტოტელეს, რომელმაც შემეცნების ძირითად
მეთოდად აღიარა დედუქცია. ეს უკანასკნელი ამართლებს ზოგადი ცოდნიდან
კერძო ცოდნის გამოყვანას. ბეკონი თვლის, რომ სინამდვილის შემეცნების
ერთადერთი წყაროა ცდა და დაკვირვება. ზოგადი ცოდნა მისგან უნდა
იქნეს გამოყვანილი და არა პირიქით. ამის საშუალებას სწორედ ინდუქცია
იძლევა. ბეკონმა საგანგებოდ დაამუშავა ცდისა და ინდუქციის თეორია.
ფილოსოფიური ცოდნა ცდისეული-ინდუქციური ხასიათისაა. ამის გამო
ბეკონისათვის მისაღებია ემპირიზმი და არა რაციონალიზმი.

ახალ ფილოსოფიაში გაგრძელდა და გაღრმავდა ერთი მხრივ, ბეკონის,
ხოლო მეორე მხრივ – დეკარტეს ხაზი. ეს არის ემპირიულ და რაციონა-
ლურ სისტემათა დაფუძნებისა და მათი ურთიერთბრძოლის ისტორია. რაციო-
ნალიზმის ხაზი შემდგომ გააგრძელეს სპინოზამ (1632-1677), ლაიბნიცმა
(1646-1716) და კანტმა (1724-1804). მან თავის აპოგეას მიაღწია ჰეგელთან
(1770-1831), რომელმაც წამოაყენა და დააფუძნა თეზისი გონების ყოვლის-
შემძლეობის შესახებ. იგი მიიჩნევს, რომ სამყაროს საფუძველი აბსოლუ-
ტური გონებაა, ხოლო ადამიანურ გონებას ყველაფრის შემეცნება შეუძლია.
მისთვის არაფერია საიდუმლო (მისტიკური) და მიუწვდომელი.

ემპირიზმის თვალსაზრისი შემდგომ განავითარეს ჰობსმა (1588-1679),
ლოკმა (1632-1704) და იუმმა (1711-1776). მან დაგვირგვინება ჰპოვა მილლ-
ან (1806-1873), რომელმაც ინდუქციური ლოგიკა მეცნიერებათა ძირითად
მეთოდოლოგიად მიიჩნია.

ახალი ფილოსოფია არ ამოიწურება მხოლოდ ემპირიზმისა და რაციო-
ნალიზმის დაპირისპირებით. აქ მიმდინარეობს დავა რაციონალიზმსა და ირა-
ციონალიზმს შორის. იგი ეხება ფილოსოფიის, როგორც სამყაროს ზოგად-
მსოფლმხედველობრივი სისტემის დაფუძნებას. მისი საფუძველი გონებაა თუ
გონებისმიღმური რაღაც განსაკუთრებული უნარი-ინტუიცია?

ერთნი მიიჩნევდნენ, რომ სამყარო გონებისეულია და მთლიანად ემორ-
ჩილება გონების პრინციპებს, ამიტომ მისი შემეცნება ადამიანურ გონებას

მთლიანად შეუძლია. ამგვარი პოზიციის ფილოსოფიური თეორია არის რაციონალიზმი. მეორენი თვლიდნენ, რომ სამყარო არაგონებისეულია, მისი საფუძველად დევს რაღაც გონებისათვის მიუწვდომელი ძალები, ამიტომ მაინ შემეცნება ადამიანურ გონებას არ შეუძლია. ამისთვის საჭიროა გონებისაგან განსხვავებული უნარი, რომელიც წარმოადგენს არაინტელეტუალურ ინტუიციას. ამგვარი პოზიციის ფილოსოფიური დაფუძნება არის ირაციონალიზმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავა რაციონალიზმსა და ირაციონალიზმს შორის დაიწყო ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში და გრძელდებოდა შემდგომ ხანებშიც, მაგრამ განსაკუთრებული ინტენსივობით თავი იჩინა XIX საუკუნის მეორე ნახევარში. ჰეგელის რაციონალიზმმა, რომელმაც აბსოლუტური გონების ბატონობა და ყოვლისშემძლეობა აღიარა, გამოიწვია უარყოფითი რეაქცია. მას დაუპირისპირდა თვალსაზრისი, რომლის თანახმად ფილოსოფია უნდა დაეფუძნოს არაგონებისეულ (ირაციონალურ) პრინციპებს. ამგვარი პოზიციის გამომხატველია დანიელი ფილოსოფოსი – სიორენ კირკეგორი (1813-1855). ჰეგელმა ყოფიერება გააიგივა გონებასთან, იდეასთან, რომლის წვდომა ადამიანურ გონებას შეუძლია ლოგიკური აზროვნების მეშვეობით. კირკეგორის მიხედვით, ყოფიერება არა თუ გონების ივიეობრივი არ არის, არამედ მისი საპირისპიროა. იგი მოკლებულია წესრიგს, მთლიანობას, ამიტომ ალოგიკურია. ყოფიერება პარადოქსებითა და წინააღმდეგობებით სავსე რეალობაა, რომლის გაგება გონებას ლოგიკური აზროვნების საშუალებით არ ძალუძს. აქედან კირკეგორი აკეთებს შემდეგ დასკვნას: ფილოსოფია, რომელსაც ყოფიერების წვდომა უნდა, არ შეიძლება გონებას (ცოდნას) დაემყაროს. მისი საფუძველი შეიძლება იყოს მხოლოდ რწმენა და ისიც ღმერთის რწმენა. ფილოსოფია თავისი არსით რელიგიურია – ასეთია კირკეგორის თვალსაზრისი.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში შეიქმნა როგორც რაციონალისტური, ისე ირაციონალისტური თეორიები. პირველის ნიმუშია ნეოკანტიანური სკოლები. მათ მიეკუთვნება ბადენის სკოლა (ვინდელბანდი, რიკერტი) და მარბურგის სკოლა (კოჰენი, ნატორპი). ისინი მეცნიერების ფარგლებში ცდილობენ ფილოსოფიის დაფუძნებას. ირაციონალიზმის ნიმუშია შოპენჰაუერის ფილოსოფიური სისტემა, რომელიც სამყაროს საფუძვლად მიიჩნევს არაცნობიერ ბრმა ძალას – ნებას. მისი წვდომა შეიძლება არა გონებით, არამედ ინტუიციით. ირაციონალიზმის პოზიციაზეა სიცოცხლის ფილოსოფია (ნიცშე, დილთაი, ბერგსონი). იგი თვლის, რომ სამყაროს საფუძველია სიცოცხლე, რომლის წვდომა შესაძლებელია უშუალო განცდით ან ინტუიციით. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ შოპენჰაუერს და ბერგსონს ინტუიცია ესმით როგორც არარაციონალური, არაინტელექტუალური უნარი.

ახალი დროის ფილოსოფია მთლიანად განთავისუფლებულია დოგმატურ-სქოლასტური აზროვნების წესისაგან. იგი გაემიჯნა რელიგიას, ამიტომ აღარ არის მისი მსახური. მან ისევ დაიბრუნა და მოიპოვა დამოუკიდებლობა.

elibrary.nplg.gov.ge

რასაკვირველია, იგი ბჭობს რელიგიის შესახებ, უფრო მეტიც, ზოგიერთი მიმართულება ფილოსოფიას რელიგიურად თვლის, მაგრამ ყოველივე ამის განმარტება ხდება არა თეოლოგიური, არამედ წმინდა ფილოსოფიური მოსაზრებებით.

ახალ დროში ფილოსოფიამ მეტ-ნაკლებად მოახერხა აღედგინა მეცნიერულობის სტატუსი. იგი მიჩნეულ იქნა კერძო მეცნიერებებისაგან დამოუკიდებელ, თავისთავად მეცნიერებად. მაგრამ მან ვერ მოახერხა სიბრძნის სტატუსის დაბრუნება. იგი უკვე აღარ ითვლება სიბრძნედ. ამ მახასიათებელს ფილოსოფია საბოლოოდ გამოეთხოვა. მან დაკარგა ის მთავარი ნიშანი, რაც ანტიკურ ეპოქაში მის თავისებურებას განსაზღვრავდა.

(5) თანამედროვე ფილოსოფია. თანამედროვე ეპოქის ფილოსოფია მრავალფეროვანი და წინააღმდეგობრივია. იგი მოიცავს არამარტო განსხვავებულ მიმართულებებს, არამედ მის შიგნით არსებულ მრავალ სკოლასა და მიმდინარეობას. ცხადია, არც ერთი ეპოქის, მათ შორის თანამედროვე ფილოსოფიის ერთი ზოგადი სქემის ქვეშ მოქცევა არ შეიძლება. მივუთითებთ საერთო ტენდენციებს, რომლებიც გამოხატავენ ეპოქის რთულ ბუნებას. შემოვისაზღვრებით რამდენიმე ძირითადი მიმართულების მოკლე მიმოხილვით. ესენია: პრაგმატიზმი, ექსისტენციალიზმი, ნეოთომიზმი და ლოგიკური პოზიტივიზმი.

პრაგმატიზმი წარმოიშვა აშშ-ში XIX საუკუნის ბოლო მეოთხედში. მის ფუძემდებლად ითვლება ჯემსი, ხოლო XX საუკუნის ყველაზე გამოჩენილი წარმომადგენელია დიუი. პრაგმატიზმის ამოსავალი პრინციპია საკითხების განხილვა და გადაწყვეტა არა განყენებული, თეორიული, არამედ პრაქტიკული მოსაზრებებით. ცნებებსა და დებულებებს თავისთავად მნიშვნელობა და შინაარსი არ გააჩნიათ. ისინი მათ იძენენ მათგან გამომდინარე შედეგების მიხედვით. მსჯელობის ჭეშმარიტება-მცდარობა განისაზღვრება არა იმით, რამდენად შეესაბამება იგი რეალობას, არამედ იმით, თუ რა შედეგებს იწვევს იგი. თუ მსჯელობიდან გამომდინარე შედეგები სასარგებლოა, მაშინ იგი ჭეშმარიტია, თუ არა, მაშინ მცდარია. ჭეშმარიტია ის, რაც სასარგებლოა — ასეთია პრაგმატიზმის დასკვნა. პრაგმატიზმი ადამიანის პრაქტიკული საქმიანობის, მისი მიზანშეწონილებისა და სარგებლიანობის დაფუძნების ფილოსოფიური თეორიაა. პრაგმატიკოსი ჰქვია ისეთ ადამიანს, რომელიც მოქმედებს უტილიტარული, ე. ი. სარგებლიანობის პრინციპის მიხედვით.

ექსისტენციალიზმი წარმოიშვა გერმანიაში 10-20-იან წლებში. მისი ფუძემდებლებია იასპერსი და ჰაიდეგერი. შემდგომ იგი გავრცელდა საფრანგეთსა და სხვა ქვეყნებში. ფრანგული ექსისტენციალიზმის წარმომადგენლებია — სარტრი და კამიუ. ექსისტენციალიზმმა ყურადღება გაამახვილა ადამიანის ყოფიერებაზე. იგი მიიჩნევს, რომ ფილოსოფიის საგანია ადამიანური ყოფიერების ანუ ექსისტენცის ანალიზი. ადამიანური ყოფიერების დახასიათება შეიძლება არა კატეგორიებით, როგორც ეს ხდებოდა ტრადიციულ ონტოლოგიაში, არამედ ექსისტენციალებით. რათა განასხვავოს ახალი

ონტოლოგია ძველისაგან, ჰაიდეგერი მას უწოდებს ფუნდამენტურ ონტოლოგიას. ადამიანური ყოფიერების ძირითადი მახასიათებლები, ე. ი. ექსისტენციალებია შემდეგი: ზრუნვა, მარტოობა, გადაგდებულობა, ძალა, ძრწოლვა, სიკვდილი და სხვა. მათი გამოვლენა და ფილოსოფიური ანალიზი ექსისტენციალიზმის მთავარი დამსახურებაა.

ნეოთომიზმი რელიგიური ფილოსოფიაა. იგი კათოლიკური ეკლესიის ოფიციალურ დოქტრინას წარმოადგენს. მისი წარმომადგენლებია მარიტენი და ვეტერი. ნეოთომიზმი ქრისტიანობის ერთ-ერთი მიმართულების — კათოლიციზმის ფილოსოფიური თერიაა. იგი ახალი თომიზმია. მან აღადგინა თომა აქვინელის მოძღვრების ძირითადი პრინციპები და მიუსადაგა თანამედროვეობას.

ლოგიკური პოზიტივიზმი წარმოიშვა ავსტრიაში 20-იან წლებში. აღიარება და ფართო გავრცელება ჰპოვა 30-40-იან წლებში. შემდგომ თანდათანობით დათმო თავისი წამყვანი პოზიციები. მისი გამოჩენილი წარმომადგენლებია კარნაპი და რაიხენბახი. ლოგიკური პოზიტივიზმის თავისებურება ისაა, რომ მან ფილოსოფიის საგნად აღიარა არა სინამდვილე, არამედ მეცნიერება. ფილოსოფია არავითარ ინფორმაციას სინამდვილის შესახებ არ იძლევა, რადგან არ იმეცნებს მას. მისი ამოცანაა თვით მეცნიერების შინაარსის — ტერმინებისა და წინადადებების ლოგიკური ანალიზი. ფილოსოფია არის მეცნიერების ლოგიკა ანუ მეცნიერების ენის სინტაქსი და სემანტიკა — ასეთია ლოგიკური პოზიტივიზმის ამოსავალი პრინციპი.

აღნიშნული მიმართულებები ძირითადად გავრცელებული იყო XX საუკუნის პირველ ნახევარში. მეორე ნახევარში წარმოიშვა ახალი მიმართულებანი, რომელთაგან აღსანიშნავია პოსტპოზიტივიზმი (პოპერი, კუნი) და პოსტმოდერნიზმი (ფუკო, დერიდა).

თანამედროვე ფილოსოფიის ძირითად პრობლემად რჩება საკუთარი საგნის, ფილოსოფიური ცოდნის ბუნებისა და თავისთავადობის გარკვევა. ამ პრობლემის ანალიზის თავისებურება ისაა, რომ იგი დგას არა რელიგიასთან, არამედ მეცნიერებასთან მიმართებაში. ეს უკანასკნელი მთლიანად გათავისუფლებულია ფილოსოფიის ბატონობისაგან და მისი კერძო მეცნიერების სახით ჩამოყალიბების პროცესი უკვე დასრულებულია. XX საუკუნე კერძო მეცნიერებათა არნახული აღმავლობისა და ტრიუმფის ხანაა. ფუნდამენტურ მეცნიერებათა აღმოჩენებმა და მათმა ტექნიკურმა რეალიზაციამ გადამწყვეტი გავლენა იქონია საზოგადოების განვითარებაზე. დადგა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ეპოქა, რის გამოც მეცნიერებამ და ტექნიკამ შეიძინა წამყვანი და გაბატონებული ღირებულების მნიშვნელობა. ადამიანს გაუჩნდა რწმენა, რომ მათი მეშვეობით შეძლებდა სამყაროს ყველა საიდუმლოს ამოხსნასა და მის წინაშე მდგომი სიძნელეების გადალახვას. ფილოსოფიას გამოუჩნდა ახალი მეტოქე კერძო მეცნიერების სახით. მისი აღმავლობის ეპოქაში ხომ არ გახდა იგი ზედმეტი და უკუსაგდები? ამ გარემოებამ განაპირობა ის, რომ

მათი ურთიერთობის პრობლემა გახდა თანამედროვე ფილოსოფიის თავსატეხი.

კვლავ მწვავედ დადგა ძველი პრობლემა — არის თუ არა ფილოსოფია მეცნიერება? მაგრამ ეს უკანასკნელი უკვე არსებობს როგორც კერძო მეცნიერება, ამიტომ ამ ძველმა საკითხმა მიიღო შემდეგი სახე: არის თუ არა ფილოსოფია კერძო მეცნიერება? ჩამოყალიბდა ორი მიმართულება — სციენტიზმი და ანტისციენტიზმი. ეს სახელწოდებანი წარმოსდგება ლათინური სიტყვიდან "სციენტია", რაც ნიშნავს მეცნიერებას. სციენტიზმი ფილოსოფიას აიგივებს კერძო მეცნიერებასთან, ხოლო ანტისციენტიზმი რადიკალურად განასხვავებს მათ ერთმანეთისაგან. პირველი მიმართულება მთლიანად ორიენტირებულია კერძო მეცნიერებაზე, მეორე კი — პირიქით, ემიჯნება მათ.

სციენტიზმი თვლის, რომ ფილოსოფია კერძო მეცნიერებაა. იგი ერთ-ერთი რიგითი მეცნიერებაა სხვა კერძო მეცნიერებათა გვერდით. ამგვარ თვალსაზრისს იზიარებენ პოზიტივისტური სკოლები. მაგალითად, ლოგიკური პოზიტივიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი რუდოლფ კარნაპი თვლის, რომ ფილოსოფია არის მეცნიერების ლოგიკა. ფილოსოფიის საგანია არა სამყარო (ეს კერძო მეცნიერებათა საქმეა), არამედ თვით მეცნიერების სტრუქტურა, ხოლო მეთოდი — ლოგიკური ანალიზი. კარნაპის თანახმად, ფილოსოფიური პრობლემები მეცნიერების ლოგიკური პრობლემებია, მაგრამ არა სამყარო და მისი ფაქტების კვლევა ფილოსოფიამ თავისი პრობლემები უნდა გამოიკვლიოს ლოგიკური ანალიზის საშუალებით, რაც ნიშნავს მათემატიკური ლოგიკის აპარატისა და შედეგების გამოყენებას მეცნიერების სტრუქტურის მიმართ.

კარნაპის მიხედვით, ფილოსოფია ისეთივე მეცნიერებაა, როგორც ლოგიკა. ეს ნიშნავს, რომ ფილოსოფია არის მეცნიერების ლოგიკური ანალიზი ანუ მეცნიერების მეთოდოლოგია.

ანტისციენტიზმი თვლის, რომ ფილოსოფია არ არის და პრინციპულად არ შეიძლება იყოს მეცნიერება. მეცნიერებაზე დაყრდნობით მას არ ძალუძს გამოიკვლიოს საკუთარი საგანი. მეცნიერება თავისი მეთოდებითა და შედეგებით უძლურია დახმარება გაუწიოს ფილოსოფიას. ამ მიზნით მან უნდა გამოიყენოს არამეცნიერული მეთოდები. ამის გამო ფილოსოფია არ შეიძლება ორიენტირებული იყოს მეცნიერებაზე. იგი უნდა დაემყაროს სხვა რამეს, ვთქვათ, რელიგიას, ხელოვნებას, ისტორიას და ა. შ., ხოლო მეთოდად გამოიყენოს არარაციონალური ხერხები, მაგალითად, ინტუიცია.

ანტისციენტისტური მიმართულების ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ ექსისტენციალიზმი. მისი ფუძემდებელია მარტინ ჰაიდეგერი. იგი თვლის, რომ ფილოსოფია არის ყოფიერების ექსისტენციალური ანალიზი. ეს ნიშნავს, რომ ფილოსოფიის საგანია ყოფიერება, ხოლო მეთოდი — ექსისტენციალური ანალიზი. ადამიანური ყოფიერების შემეცნება შეიძლება არა მეცნიერებით და მისი მეთოდებით, არამედ ექსისტენციის გაშუქებით და წვდომით. ადამიანური ყოფიერება (ექსისტენცი) უფრო გახსნილია ხელოვნებაში, ვიდრე მეცნიერება-

ში. ამიტომ ფილოსოფია ხელოვნებასთან უფრო ახლოსაა, ვიდრე მეცნიერებასთან. ფილოსოფოსი უფრო მეტად ხელოვანია, ვიდრე მეცნიერი. ფილოსოფიური აზროვნება არსებითად განსხვავდება მეცნიერული აზროვნებისაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ ზოგადად შევაფასებთ ფილოსოფიის მდგომარეობასა და როლს საზოგადოებაში, მაშინ ნათლად გავაცნობიერებთ იმ რადიკალურ მეტამორფოზას, რომელიც მან ანტიკურობიდან დღემდე განიცადა: ანტიკურ ეპოქაში მას წამყვანი და პირველხარისხოვანი როლი აკისრია: იგი ერთდროულად სიბრძნეცაა და მეცნიერებაც. შუა საუკუნეებში მან დაკარგა თავისი პრივილეგია: სიბრძნის სტატუსი ბიბლიამ წაართვა, ხოლო წამყვანი და მთავარი მეცნიერების როლი — თეოლოგიამ. ფილოსოფიას დაეკისრა მათი მსახურის ფუნქცია.

ახალ დროში ფილოსოფიამ მოახერხა რელიგიის მარწუხებისაგან გათავისუფლება და დამოუკიდებლობის მოპოვება. მართალია, მან საბოლოოდ დაკარგა სიბრძნის სტატუსი, მაგრამ შეძლო თავისთავადი მეცნიერების რეპუტაციის ალდგენა. იგი აღარ არის რელიგიის მსახური. მას თავისი კვლევის საგანი და მეთოდი აქვს, ამიტომ ისევ გაუჩნდა პრეტენზია, რომ ფლობს აბსოლუტურად უტყუარ და უეჭველ ცოდნას. მაგრამ მას უფრო ძლიერი და ვერაგი მეტოქე გამოუჩნდა კერძო მეცნიერების სახით. უკვე ეს უკანასკნელი აცხადებს პრეტენზიას ჭეშმარიტ ცოდნაზე და ფილოსოფიას უნაყოფო აზრების გროვად აცხადებს.

XX საუკუნეში კერძო მეცნიერების პრეტენზიები ფილოსოფიის მიმართ უფრო მკაცრი და კატეგორიული გახდა: ეს გასაგებიცაა, რადგან ეს საუკუნე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ეპოქაა. შესაბამისად, კულტურის მთავარი და განმსაზღვრელი ღირებულებანი გახდა მეცნიერება და ტექნიკა, ხოლო ფილოსოფიამ უკანა პლანზე გადაინაცვლა. მას ახლა კერძო მეცნიერებათა შემოტევისაგან უხდება თავის დაცვა. სციენტიზმისა და ანტისციენტიზმის ჩამოყალიბება ამ დავის გამოძახილია. პირველი თმობს ფილოსოფიის პოზიციებს და მას აიგივებს კერძო მეცნიერებასთან, ხოლო მეორე ცდილობს მისი დამოუკიდებლობის შენარჩუნებას იმით, რომ ემიჯნება მას. სციენტიზმი ფილოსოფიას შემოსაზღვრავს კერძო მეცნიერებათა სფეროთი, ანტისციენტიზმი კი ცდილობს მათი მარწუხებისაგან გათავისუფლებას.

აღნიშნული ალტერნატივის ერთადერთი მართებული გადაწყვეტაა იმის აღიარება, რომ ფილოსოფია არ არის მეცნიერება. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვერ მოახერხებს თავისი დამოუკიდებლობისა და თავისთავადობის შენარჩუნებას. თუ მან არ დათმო მეცნიერების სტატუსი, მაშინ იგი ვერ გაექცევა კერძო მეცნიერების მარწუხებს.

სციენტიზმისა და ანტისციენტიზმის კამათში უპირატესობა უკანასკნელს უნდა მიენიჭოს. მას პრინციპულად მართებული პოზიცია უკავია, რადგან ცდილობს გამიჯნოს ფილოსოფია კერძო მეცნიერებისაგან და დააფუძნოს მისი დამოუკიდებლობა.

ამგვარად, ფილოსოფიის გადარჩენის ერთადერთი გზა არსებობს: მან

საბოლოოდ უარი უნდა თქვას არა მარტო სიბრძნეზე, არამედ მეცნიერულობაზე. ფილოსოფია არც სიბრძნეა და არც მეცნიერება — ასეთია ეფანამდეროვე ფილოსოფიის ყველაზე მნიშვნელოვანი, მაგრამ ტრაგიკული შედეგი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფილოსოფიის საგანი

ანტიკურ ეპოქაში ფილოსოფია წარმოიშვა როგორც ერთიანი, განუყოფელი ცოდნა, რომელიც მოიცავდა ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებულ შეხედულებებს: მათემატიკურს, ფიზიკურს, ქიმიურს, ბიოლოგიურს, ფსიქოლოგიურს, სოციალურს, პოლიტიკურს, ონტოლოგიურს, გნოსეოლოგიურს, ეთიკურს, ესთეტიკურს, ლოგიკურს და ა. შ. ფილოსოფია იყო საზოგადოდ თეორიული ცოდნა, რომელიც ეხებოდა სინამდვილის ნებისმიერ სფეროს. შემდეგ დაიწყო მისი დიფერენცირება. მას თანდათანობით გამოეყო ცოდნის ცალკეული დარგები და ჩამოყალიბდა კერძო მეცნიერებათა სახით. ამ პროცესს დასაბამი მიეცა ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში და დასრულდა XX საუკუნის დასაწყისისათვის. დღეს მკვეთრად გამიჯნულია ფილოსოფია და კერძო მეცნიერებანი. ისინი არა თუ არ მოიცავენ, არამედ არ კვეთენ ერთმანეთს. ცხადია, ეს გარემოება არ გამორიცხავს იმ ფაქტს, რომ მათ შორის გარკვეული კავშირია, მაგრამ თავისი ხასიათით და შინაარსით ისინი ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავდებიან.

ფილოსოფია აღმოჩნდა პარადოქსულ მდგომარეობაში: დასაწყისში იგი იყო მეცნიერება საზოგადოდ, რომელიც მოიცავდა ცოდნის თითქმის ყველა დარგს. თანდათანობით მას გამოეყო ცოდნის ცალკეული სახეები კერძო მეცნიერებათა სტატუსით, ამიტომ კანონიერად ისმება კითხვა: ხომ არ დაცალეს ფილოსოფია თავისი შინაარსისაგან კერძო მეცნიერებებმა და ხომ არ დატოვეს იგი უსაგნოდ? ეს სიტუაცია ხშირად აღუნიშნავთ ფილოსოფოსებს. მაგალითად, კანტი ფილოსოფიის მდგომარეობას ახასიათებს ოვიდიუსის "მეტამორფოზების" ერთ-ერთი პერსონაჟის ჰეკუბას სიტყვებით, რომელიც ჩივის: "სულ ცოტა ხნის წინ მე ვიყავი უდიდესი, უძლიერესი ამდენი შვილით, სიძით და რძლებით — ახლა უმწეო, დავწანწალებ გაძევებული". გერმანელმა ფილოსოფოსმა ვინდელბანდმა ფილოსოფია შეადარა მეფე ლირს, რომელმაც თავისი სამეფო გაუნაწილა ქალიშვილებს, ხოლო მათ იგი გააძევეს და დატოვეს მარტო. ხომ არ აღმოჩნდა ფილოსოფია ანალოგიურ სიტუაციაში?

აღნიშნულ კითხვას რომ ვუპასუხოთ, საჭიროა გავარკვიოთ ფილოსოფიის საგნის პრობლემა.

რა არის ფილოსოფიის საგანი? ამ კითხვაზე არ არსებობს ცალსახა პასუხი. საქმე ისაა, რომ ფილოსოფია მუდამ იყო შეტევის ობიექტი. ადრე რელიგიის, ხოლო ამჟამად კერძო მეცნიერებების მხრიდან. ამის გამო იგი საკუთარი საგნის დადგენის მუდმივ მცდელობაშია. ფილოსოფიის მთელი

ისტორია საკუთარი საგნის გარკვევისა და ძიების პროცესია. მიუხედავად ამისა, მან ვერ მიაღწია მიზანს, რადგან ფილოსოფიის საგანი ჯერ კიდევ საბოლოოდ არ არის დადგენილი. ამ საკითხთან დაკავშირებით ფილოსოფოსებს შორის არ არის მიღწეული თანხმობა. ყოველ ფილოსოფიურ სისტემას განსხვავებულად ესმის თავისი საგანი. მათ შორის იმდენად დიდი სხვაობაა, რომ ისინი რადიკალურად უპირისპირდებიან ერთმანეთს.

სანიმუშოდ განვიხილოთ თანამედროვე ფილოსოფიის ორი გავლენიანი მიმართულება, რომლებიც დაახლოებით ერთდროულად წარმოიშვა და ვითარდებოდა. ესენია ლოგიკური პოზიტივიზმი და ექსისტენციალიზმი.

ლოგიკური პოზიტივიზმის თანახმად, ფილოსოფიური პრობლემები მეცნიერების ლოგიკური პრობლემებია. ეს ნიშნავს, რომ ისინი მეცნიერების ენობრივი ანუ სინტაქსურ-სემანტიკური პრობლემებია. ამ პრინციპის საფუძველზე ლოგიკური პოზიტივიზმის განხილვის ობიექტია არა სინამდვილე, არამედ მის შესახებ არსებულ მეცნიერებათა ენობრივი ანუ სინტაქსურ-სემანტიკური პრობლემები. იგი თვლის, რომ ყოფიერების კვლევა კერძო მეცნიერების, მაგალითად, ფიზიკის საქმეა, ფილოსოფიის ამოცანა კი — ამ მეცნიერების, მოცემულ შემთხვევაში, ფიზიკის ლოგიკური ანალიზია. ყოფიერების შემეცნების ნაცვლად მის შესახებ მეცნიერებათა ლოგიკური ანალიზი — ასე ესმის ლოგიკურ პოზიტივიზმს ფილოსოფიის საგანი და მისი პრობლემატიკა.

ახლა ვნახოთ როგორ ესმის ექსისტენციალიზმს ფილოსოფიის საგანი. ფილოსოფია არის ყოფიერების ექსისტენციალური ანალიზი. ეს ნიშნავს, რომ მისი მთავარი ამოცანა ყოფიერების საზრისის დადგენაა. ამ ამოცანის გადაწყვეტა არ შეიძლება ბუნების კანონზომიერების საფუძველზე, როგორც ამას ტრადიციული ონტოლოგია ცდილობდა. მისი გადაწყვეტის ერთადერთი საშუალებაა ადამიანური ყოფიერების ანალიზი. მხოლოდ მისი მეშვეობით შეიძლება გავარკვიოთ ყოფიერების საზრისი. ადამიანური ყოფიერების ძირითადი მახასიათებლებია ექსისტენციალები, რომელთა გამომჟღავნება და დადგენა არის ფილოსოფიის საქმე. მაშასადამე, ყოფიერების ექსისტენციალური სტრუქტურის გამოვლენა და ანალიზი — ასე ესმის ექსისტენციალიზმს ფილოსოფიის საგანი და მისი პრობლემატიკა.

დაპირისპირება ლოგიკურ პოზიტივიზმსა და ექსისტენციალიზმს შორის მოკლედ შეიძლება შემდეგნაირად გამოითქვას: ლოგიკური პოზიტივიზმის თანახმად ფილოსოფია მეცნიერების ლოგიკაა, ხოლო ექსისტენციალიზმის მიხედვით — ფუნდამენტური ონტოლოგია. პირველი ონტოლოგიას მიიჩნევს მეტაფიზიკად, რომელიც უშინაარსო, საზრისს მოკლებული, ცრუ მეცნიერებაა. მეორე ფილოსოფიის მეცნიერებასთან გაიგივებას თვლის მისი არსების ფატალურ დამახინჯებად.

როგორც ვხედავთ, ლოგიკურ პოზიტივიზმს და ექსისტენციალიზმს დიამეტრალურად საპირისპიროდ ესმით ფილოსოფიის საგანი. შესაბამისად, გან-

სხვავებულია ფილოსოფიური პრობლემატიკა და ანალიზის მეთოდი. და ეს არის არა გამონაკლისი, არამედ ტიპიური შემთხვევა: ყოველ ეპოქაში ერთდროულად არსებობს დაპირისპირებული მიმართულებანი, რომელთა შორის მეტად ბელი წინააღმდეგობაა. ყველაზე უკეთ ეს ჩანს მეტაფიზიკის პრობლემასთან დაკავშირებით.

რა არის მეტაფიზიკა? ტერმინ "მეტაფიზიკის" შემოტანა მიეწერება არისტოტელეს შრომების სისტემატიკოსს ანდრონიკე როდოსელს (I ს. ძვ. წ.). მან არისტოტელეს შრომის "ფიზიკის" შემდეგ მოათავსა უსათაურო შრომა, რომელიც ბჭობდა "პირველი ფილოსოფიის" პრობლემებზე. მას მან უწოდა "მეტა ტა ფიზიკა", რაც ნიშნავს ფიზიკის შემდეგ. ამ შრომის განხილვის ობიექტი იყო ყოფიერება როგორც ასეთი. აქ განხილულია ყოფიერების პირველსაწყისები და პირველმიზეზები. სწორედ ის, რაც ფიზიკის ფარგლებს გარეთაა. შემდეგ დამკვიდრდა ტერმინი "მეტაფიზიკა" როგორც "ფიზიკის" საპირისპირო.

ფიზიკა არის მეცნიერება ბუნების შესახებ, რომელსაც იგი შეისწავლის ცდის, ანუ ემპირიის საფუძველზე. ფიზიკური ნიშნავს ბუნებრივს, ცდისეულს, ემპირიულს. მეტაფიზიკა არის ფილოსოფიური მეცნიერება, რომელიც შეისწავლის სწორედ იმას, რაც ბუნების მიღმურია, მის ფარგლებს გარეთაა. ეს ნიშნავს, რომ მეტაფიზიკური არის ზებუნებრივი და ზემპირიული. მაშასადამე, მეტაფიზიკა როგორც ფილოსოფიური დისციპლინა არის მოძღვრება სამყაროს ზებუნებრივი და ზემპირიული საფუძვლების შესახებ. იგი გონებაჭვრეტითი, თეორიული სისტემაა, რომელიც არ შეიძლება ემყარებოდეს ცდას. მისი შინაარსი სცილდება ყოველგვარი შესაძლებელი ცდის საზღვრებს.

ფილოსოფიის ისტორიაში მეტაფიზიკამ თანდათანობით მოიპოვა წამყვანი ფილოსოფიური მეცნიერების სტატუსი: მას ხან ონტოლოგიასთან აიგივებდნენ, ხან კი მთლიანად ფილოსოფიასთან. მეტაფიზიკას პრეტენზია ჰქონდა მოეცა აბსოლუტურად უტყუარი და უეჭველი ცოდნა სამყაროს პირველსაწყისებისა და პირველმიზეზების შესახებ. სამყაროს ამგვარი ცოდნის მიღწევა ზოგიერთმა მოაზროვნემ მიიჩნია ფილოსოფიის იდეალად. ამიტომ მათ ფილოსოფია და მეტაფიზიკა გააიგივეს ერთმანეთთან. მეტაფიზიკამ იმდენად დიდი უპირატესობა მოიპოვა დანარჩენ მეცნიერებებთან შედარებით, რომ მას მეცნიერებათა დედოფალიც კი უწოდეს.

მეტაფიზიკის ტრიუმფალური სვლის შეჩერება სცადა კანტმა. მან ეჭვქვეშ დააყენა საერთოდ მეტაფიზიკის როგორც მეცნიერების შესაძლებლობა. კანტი არ უარყოფს მეტაფიზიკის არსებობის ფაქტს. მაგრამ იგი სვამს კითხვას: აქვს თუ არა მეტაფიზიკას უფლება არსებობდეს როგორც მეცნიერება? ამ კითხვაზე კანტმა გასცა უარყოფითი პასუხი შემდეგ მოსაზრებათა გამო: მეცნიერება არის ისეთი აპრიორული, ე. ი. ცდისაგან დამოუკიდებელი ცოდნა, რომელიც გამოიყენება მხოლოდ შესაძლებელი ცდის საზღვრებში. იგი არის აპრიორული ცოდნისა და ცდის ე. ი. ემპირიული მოცემულობების შეერთებ-

ის შედეგი. მეცნიერება თავისი შინაარსით აპრიორულია, მაგრამ გამოყენებ-
ის მხრივ ემპირიული, რაც ნიშნავს: ის, რასაც ადამიანური გონება მეცნიერ-
რებს. მას აუცილებლად უნდა მოეძებნოს შესატყვისი ობიექტი შეუზღუდ-
ელი ცდის ფარგლებში. თუ ასეთი რამ პრინციპულად შეუძლებელია, მაშინ
მეცნიერება არ არსებობს. ახლა ვნახოთ აკმაყოფილებს თუ არა მეტაფიზიკა
მოცემულ პირობას? არა, არ აკმაყოფილებს. რატომ? იმიტომ რომ იგი სწორედ
ისეთ ცოდნას შეიცავს, რომელიც ცდის მიღმურია, ე. ი. გადის ცდის
საზღვრებს გარეთ. მეტაფიზიკა ცდილობს შეიმეცნოს სამყარო როგორც მთელი
მისი პირველსაწყისებისა და პირველმიზეზების საფუძველზე. ამგვარი მცდე-
ლობა არ შეიძლება მოექცეს ცდის ფარგლებში, ამიტომ მეტაფიზიკა არ არის
და პრინციპულად არ შეიძლება იყოს მეცნიერება.

კანტს მიაჩნია, რომ მეტაფიზიკა ადამიანისათვის ბუნებრივი და აუცი-
ლებელია, რადგან შეიცავს ისეთ კითხვებს, რომლებიც მისი გონებისათვის
მოუცილებელია. მაგრამ იგი უარყოფს მეტაფიზიკის როგორც მეცნიერების
არსებობის შესაძლებლობას, რადგან ადამიანური გონებისათვის შეუძლებლად
თვლის ცდის მიღმური სამყაროს შემეცნებას.

კანტის არგუმენტებს არ შეურყევია მეტაფიზიკურად მოაზროვნე ფილოსო-
ფოსთა რწმენა. მათ ისევ გააგრძელეს მცდელობა მეტაფიზიკის როგორც მეც-
ნიერების დასაფუძნებლად. მაგალითად, ჰეგელის თანახმად ფილოსოფია
როგორც მეცნიერება შესაძლებელია მხოლოდ მეტაფიზიკის სახით, რომელ-
იც ემყარება არა ემპირიულ, არამედ გონების სპეკულატურ აზროვნებას.

თანამედროვე ფილოსოფიაში დავა მეტაფიზიკის თაობაზე გაგრძელდა
სციენტიზმსა და ანტისციენტიზმს შორის. პირველი უარყოფს მეტაფიზიკას,
ხოლო მეორე ახლებურად იაზრებს და ცდილობს მის გამართლებას. კარნაპი
თვლის, რომ სამყაროს სწავლობს კერძო მეცნიერებანი. მათ გვერდით სამყაროს
შესახებ სხვა მეცნიერება არ შეიძლება არსებობდეს. ამიტომ მეტაფიზიკა, რომელ-
საც პრეტენზია აქვს შეიმეცნოს სამყარო მთლიანობაში მისი პირველსაწყისე-
ბის საფუძველზე, გაუმართლებელია. მეტაფიზიკა ცრუ, მოჩვენებითი მეცნიერებაა.
მას არ გააჩნია თეორიული შინაარსი, ამიტომ არც ჭეშმარიტია და არც მცდ-
არი. იგი უსაზრისო დებულებებისაგან შედგება, რომლებიც არაფერს არ
ამტკიცებენ საგნების, მათი თვისებებისა და მიმართებების შესახებ. მეტაფიზ-
იკას სუბიექტურ-ემოციური დატვირთვა აქვს. იგი გამოხატავს ადამიანის
გრძნობებსა და განცდებს. ეს უკანასკნელი მუსიკის საქმეა. მეტაფიზიკა ცუდ-
ად აკეთებს იმას, რასაც შესანიშნავად თავს ართმევს მუსიკა. ამიტომ მეტაფიზ-
იკოსებს კარნაპი უწოდებს "მუსიკოსებს მუსიკალური ნიჭის გარეშე".

კარნაპი აგრძელებს კანტის ხაზს მეტაფიზიკისადმი დამოკიდებულების
საკითხში, მაგრამ მათ შორის ერთი არსებითი განსხვავებაა. კანტი უარყოფს
მეტაფიზიკას როგორც მეცნიერებას, მაგრამ აღიარებს მას ადამიანური გონებ-
ისათვის აუცილებელ და ბუნებრივ მიდრეკილებად. კარნაპი მთლიანად უარყოფს

მეტაფიზიკას. მას არავითარი ღირებულება არ გააჩნია, ამიტომ იგი გადალახული უნდა იქნეს. მისი წარმოქმნა ემყარება ენის მეტაფორულ გამოყენებას, რომლის დაძლევა შესაძლებელია მეცნიერების ენის ლოგიკური ანალიზის მეშვეობით. ფილოსოფია უნდა დაფუძნდეს როგორც მეცნიერება, ამიტომ უნდა უარვყოთ მეტაფიზიკა როგორც მოჩვენებითი, ცრუ მეცნიერება.

ანტისციენტიზმი ცდილობს ფილოსოფია დააფუძნოს როგორც მეტაფიზიკა. მაგრამ ეს უკანასკნელი მას სხვაგვარად ესმის, ვიდრე ის ტრადიციულად იყო გაგებული. იგი თვლის, რომ ფილოსოფია არ არის მეცნიერება, ამიტომ არც მეტაფიზიკაა მეცნიერება. ჰაიდეგერის თანახმად მეტაფიზიკის ძირითადი პრობლემაა არარას საკითხის გამოკვლევა, რომლის გარეშე ადამიანური ყოფიერების ექსისტენციალური ანალიზი შეუძლებელია. ამიტომ ფილოსოფია შეიძლება დაფუძნდეს როგორც მეტაფიზიკა. იგი მეცნიერებას პრინციპულად ვერ დაეყარება — ასეთია ჰაიდეგერის დასკვნა.

რუსი ექსისტენციალისტი ბერდიაევი სციენტიზმს მიიჩნევს დაბალი ფილოსოფიური გემოვნების გამოვლენად. იგი მეცნიერული ფილოსოფიის მომხრეებს თვლის ისეთ ადამიანებად, რომლებიც მოკლებულნი არიან ფილოსოფიურ ნიჭს.

არის თუ არა ფილოსოფია მეცნიერება სამყაროს შესახებ? თანამედროვე ფილოსოფიის პოზიციიდან ამ კითხვას უნდა გაეცეს უარყოფითი პასუხი. ფილოსოფიას პრინციპულად არ შეუძლია სამყაროს შემეცნება. უფრო მეტიც, დღეს, როდესაც კერძო მეცნიერებათა განვითარებული სისტემა არსებობს, ფილოსოფიის მიზანი შეუძლებელია იყოს სამყაროს შემეცნება.

ანტიკურ ეპოქაში ფილოსოფია წარმოიშვა როგორც მეცნიერება სამყაროს შესახებ. მისი მიზანი იყო სამყაროს როგორც მთელის შემეცნება, რომლის განხორციელებას იგი ცდილობდა ორი ამოცანის გადაწყვეტით: 1) სამყაროს ძირის ანუ პირველსაწყისის დადგენით და 2) სამყაროს ცალკეული მხარეების გამოკვლევით. ფილოსოფია ცდილობდა სამყაროს როგორც მთელის შემეცნებას მისი პირველსაწყისებისა და ცალკეული მხარეების საგანგებო გამოკვლევის საფუძველზე.

როგორც ცნობილია, ფილოსოფიას თანდათანობით გამოეყო და ჩამოშორდა კერძო მეცნირებანი. მათ დაინაწილეს სამყარო და იკვლევენ მის ცალკეულ მხარეებს: ფიზიკა — ფიზიკურს, ქიმია — ქიმიურს, ბიოლოგია — სიცოცხლეს, ფსიქოლოგია — ფსიქიკურს, სოციოლოგია — სოციალურს და ა. შ. არ არსებობს სინამდვილის არც ერთი სფერო, რომელსაც შესატყვისი კერძო მეცნიერება არ იმეცნებდეს. შეიძლება თუ არა, სინამდვილის კერძო მხარეებს იმეცნებდეს ფილოსოფია? ფიზიკურ პროცესებს იმეცნებს ფიზიკა, სიცოცხლის პროცესებს იმეცნებს ბიოლოგია. მათ გვერდით რა შეიძლება შეიმეცნოს ფილოსოფიამ? ცხადია, არაფერი. საუკეთესო შემთხვევაში მას შეუძლია მხოლოდ გაიმეოროს ფიზიკისა და ბიოლოგიის კვლევის შედეგები, მაგრამ დამატებით ახალს, მათგან განსხვავებულს ვერაფერს იტყვის. ფილოსოფიის

მიერ არაცოცხალი და ცოცხალი სამყაროს შემეცნება შეუძლებელია. ეს ფიზიკისა და ბიოლოგიის საქმეა, ამიტომ მასთან ფილოსოფიას არაფერი ესაქმება.

კერძო მეცნიერებათა წარმატებით ფუნქციონირების პირობებში, ფილოსოფიას დაუსახო სამყაროს ცალკეული მხარეების შემეცნება, არის სრული უაზრობა. ამის უფლება მას წაართვა კერძო მეცნიერებამ.

მაგრამ აქედან გამოტანილ იქნა არასწორი დასკვნა: ფილოსოფიის ამოცანაა სამყაროს როგორც მთელის, სამყაროს როგორც უნივერსუმის შემეცნება. კერძო მეცნიერება იმეცნებს სამყაროს ცალკეულ მხარეებს, მაგრამ არა მთლიანობაში. სწორედ ამ ამოცანის განხორციელება არის ფილოსოფიური მეცნიერების საქმე. მაშასადამე კერძო მეცნიერება იმეცნებს სამყაროს ცალკეულ მხარეებს, ხოლო ფილოსოფია – სამყაროს როგორც მთელს. ამგვარი ამოცანა დაეკისრა სწორედ მეტაფიზიკას, რომელიც პირველსაწყისებისა და პირველმიზეზების საფუძველზე ცდილობდა მოეცა სამყაროს შესახებ უტყუარი და უეჭველი ცოდნა.

თუ რა ტრაგიკული ბედი ეწია მეტაფიზიკას, ჩვენ ეს უკვე გავარკვიეთ. იგი უარყოფილ იქნა როგორც მეცნიერება სამყაროს პირველსაწყისებისა და პირველმიზეზების შესახებ. თუ დღეს რომელიმე ფილოსოფიური სისტემა ცდილობს მეტაფიზიკის გამართლებას, ამას იგი აკეთებს არა სამყაროს, არამედ მხოლოდ ადამიანის მიმართ. ამიტომ ფილოსოფიამ საბოლოოდ უარი თქვა მეტაფიზიკაზე როგორც მეცნიერებაზე სამყაროს პირველსაწყისებისა და პირველმიზეზების შესახებ.

ამგვარი დასკვნა სავსებით ბუნებრივი და კანონზომიერია. საქმე ისაა, რომ სამყაროს ჭეშმარიტი შემეცნების ერთადერთი საშუალებაა კერძო მეცნიერება. თუ ფილოსოფიას სამყაროს მეცნიერული შემეცნება სურს, მაშინ იგი მას უნდა დაეძყაროს. ფილოსოფიას არავითარი დამოუკიდებელი საშუალება და მეთოდი არ გააჩნია, რომლითაც იგი მოახერხებდა სამყაროს როგორც მთელის შემეცნებას. თუ ამის მიღწევა კერძო მეცნიერებას არ შეუძლია, მაშინ იგი არც ფილოსოფიას ხელეწიფება. და თუ ფილოსოფია როგორც მეცნიერება ამ მიზნის განხორციელებას შეუდგება, მაშინ მან მეცნიერების ნაცვლად უნდა მიმართოს რელიგიას ან მითოლოგიას. ამ გზით მოპოვებული ცოდნა უკვე იქნება არა მეცნიერება, არამედ ფანტასმაგორია, რომელიც არავითარ მეცნიერულ შემოწმებასა და კრიტიკას არ ექვემდებარება.

ამგვარად, ფილოსოფია არ არის სამყაროს შემეცნება. იგი არ იმეცნებს მის ცალკეულ მხარეებს. ეს კერძო მეცნიერებათა საქმეა. მაგრამ იგი არც სამყაროს როგორც უნივერსუმს იმეცნებს, რადგან მას ამის მიღწევის არავითარი საშუალება არ გააჩნია. სამყაროს მეტაფიზიკური, სპეკულატური თეორიების შეთხზვის ეპოქა წარსულს ჩაბარდა. მისი ადგილი კერძომეცნიერულმა კვლევამ დაიკავა. სამყაროს შემეცნება კერძო მეცნიერების და არა ფილოსოფიის საქმეა. თუ სამყაროს შემეცნება არა, მაშინ რა არის ფილოსოფიის საგანი?

სანამ ამ კითხვას ვუპასუხებდეთ, გავარკვიოთ ფილოსოფიურ დისციპლინათა რაობა.

ფილოსოფიური დისციპლინების შესახებ. ფილოსოფია მრავალ დისციპლინას მოიცავს. ანალოგიურად ნებისმიერი მეცნიერებისა, რომელიც განსხვავებულ მეცნიერებათა ერთობლიობაა. მაგალითად, მათემატიკა მოიცავს ალგებრის, გეომეტრიის, ალბათობის თეორიას, ფუნქციონალურ ანალიზსა და ა. შ. ფიზიკა მოიცავს კლასიკურ მექანიკას, კვანტურ მექანიკას, ოპტიკას, თერმოდინამიკასა და ა. შ. ისინი განსხვავებულ ობიექტებს იკვლევენ. ალგებრა რიცხვებს, ხოლო გეომეტრია სივრცეებს იკვლევს. კლასიკური მექანიკა მაკროობიექტებს, კვანტური მექანიკა კი მიკროობიექტებს იმეცნებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა კრიტერიუმის მიხედვით ხდება განსხვავებულ დისციპლინათა გაერთიანება მეცნიერების ერთ რომელიმე დარგში? ვთქვათ, ალგებრა და გეომეტრია რატომ იჭვლება მათემატიკურ მეცნიერებად, ხოლო მექანიკა და ოპტიკა ფიზიკურ მეცნიერებად? მათ აერთიანებთ ყოფიერების, ბჭობისა და დამტკიცების ერთნაირი წესი.

ანალოგიურია ვითარება ფილოსოფიაში. ისიც მრავალ განსხვავებულ დისციპლინათა ერთობლიობაა. მათი რიცხვი და შემადგენლობა ფილოსოფიის განვითარების კვალდაკვალ იცვლებოდა. დასაწყისში არსებობდა ერთი ფილოსოფიური დისციპლინა ფიზიკა. პლატონმა მას დაუმატა არითმეტიკა, გეომეტრია, ასტრონომია და მუსიკის თეორია. არისტოტელემ აღიარა სამი ფილოსოფიური დისციპლინა თეოლოგია, ფიზიკა და მათემატიკა. ელინისტურ ხანაში დამკვიდრდა ტრადიცია, რომლის მიხედვით ძირითადი ფილოსოფიური დისციპლინებია ლოგიკა, ფიზიკა და ეთიკა.

ფილოსოფიიდან კერძო მეცნიერებათა გამოყოფის შედეგად ჩამოყალიბდა საკუთრივ ფილოსოფიური დისციპლინები. მათ მიეკუთვნება: ონტოლოგია, გნოსეოლოგია, აქსიოლოგია, ეთიკა, ესთეტიკა, ბუნების ფილოსოფია, ისტორიის ფილოსოფია, ადამიანის ფილოსოფია, კულტურის ფილოსოფია, სოციალური ფილოსოფია, მეცნიერების ფილოსოფია და სხვა. ამათგან ძირითადი ფილოსოფიური დისციპლინებია ონტოლოგია, გნოსეოლოგია და აქსიოლოგია.

ონტოლოგია (ბერძნ. "ონტოს" — ყოფიერებას, ხოლო "ლოგოს" — მოძღვრებას ნიშნავს) არის მეცნიერება ყოფიერების ანუ არსებობის, არსის, სტრუქტურისა და კანონზომიერების შესახებ. ონტოლოგიური პრობლემები ეხება ყოფიერებას, მის სახეებსა და თავისებურებებს. გნოსეოლოგია (ბერძნ. "გნისის" ცოდნას ნიშნავს) არის მოძღვრება შემეცნების რაობისა და მისი კანონზომიერების შესახებ. მოკლედ მას შემეცნების თეორიას უწოდებენ. გნოსეოლოგიური პრობლემები შემეცნებისთეორიული პრობლემებია. აქსიოლოგია (ბერძნ. "აქსი" შეფასებას ნიშნავს) არის მოძღვრება ღირებულებათა და შეფასებათა შესახებ. აქსიოლოგიური პრობლემები ეხება ღირებულებებსა და მათ საფუძველზე განხორციელებულ შეფასებებს.

მაშასადამე, ძირითადი ფილოსოფიური პრობლემებია ონტოლოგიური, გნოსეოლოგიური და აქსიოლოგიური პრობლემები, რომლებიც ეხებიან ყოფი-

ერებას, შემეცნებასა და ღირებულებას. როდესაც ფილოსოფია სამყაროს როგორც მთელს მოიაზრებს აღნიშნული პრობლემების თვალთახედვით, მაშინ ყალიბდება ზოგად-ფილოსოფიური დისციპლინები — ონტოლოგია, გნოსეოლოგია და აქსიოლოგია. როდესაც ფილოსოფია სამყაროს ცალკეულ მხარეებს მოიაზრებს აღნიშნული პრობლემების შუქზე, მაშინ ყალიბდება შესაბამისი სფეროს ფილოსოფია. მაგალითად, ბუნების ფილოსოფია არის ბუნების განხილვა ონტოლოგიური, გნოსეოლოგიური და აქსიოლოგიური პრობლემების საფუძველზე; იგივე ითქმის ისტორიის, კულტურის, მეცნიერებისა და სხვა ნებისმიერ კერძო სფეროთა მიმართ.

ამგვარად, ფილოსოფია არის სამყაროს როგორც მთელის ან მისი ნებისმიერი ცალკეული სფეროს მოაზრება ონტოლოგიური, გნოსეოლოგიური და აქსიოლოგიური პრობლემატიკის საფუძველზე.

ᲤᲘᲚᲝᲡᲝᲤᲘᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲛᲮᲔᲓᲕᲔᲚᲝᲑᲐᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ. მსოფლმხედველობისა და მეცნიერების ცნებებს ქვემოთ გავარკვევთ. აქ მივუთითებთ მხოლოდ ერთ მომენტზე, რომელიც ფილოსოფიის არსის დასახასიათებლად აუცილებელია. მეცნიერება სამყაროს შემეცნებაა, მსოფლმხედველობა კი მისი მოაზრება. პირველი კვლევა-ძიების საფუძველზე ჭეშმარიტი ცოდნის დადგენის წესია, ხოლო მეორე — მოაზრების საფუძველზე მისი ხედვის, ჭვრეტის წესი. მეცნიერება სამყაროს კვლევაა, მსოფლმხედველობა კი მისი ხედვა ანუ ჭვრეტა.

მეცნიერება იკვლევს სამყაროს თავისთავად როგორც ივი არსებობს ადამიანისაგან დამოუკიდებლად. ეს არის უკიდეგანო სამყარო, რომელიც ასტრონომიაში ცნობილია მეტაგალაქტიკის სახელწოდებით. მსოფლმხედველობა მოიაზრებს სამყაროს ადამიანთან მიმართებაში. ეს არის ადამიანის მიერ დანახული, განჭვრეტილი ანუ ადამიანური სამყარო. მეცნიერება იძლევა ინფორმაციას საგნების, მათი თვისებებისა და მიმართებების შესახებ. მსოფლმხედველობა ამგვარ ინფორმაციას არ იძლევა. ივი მხოლოდ მოიაზრებს სამყაროს, რათა გაარკვიოს ადამიანის დანიშნულება და საზრისი.

ფილოსოფია მსოფლმხედველობაა და არა მეცნიერება, ამიტომ ივი არავითარ ინფორმაციას არ იძლევა ობიექტური სამყაროს შესახებ. მისი ამოცანაა მოიაზროს სამყარო ადამიანთან და ადამიანი სამყაროსთან მიმართებაში.

ᲤᲘᲚᲝᲡᲝᲤᲘᲘᲡ ᲠᲐᲝᲑᲐ. ახლა შეგვიძლია ზოგადად დავახასიათოთ ფილოსოფიის არსი და საგანი. ფილოსოფია არ არის მეცნიერება, ამიტომ ივი არ იმეცნებს სამყაროს არც როგორც მთელს და არც მის ცალკეულ მხარეებს. ფილოსოფია მსოფლმხედველობაა, ამიტომ ივი მოიაზრებს სამყაროს როგორც მთელს ან მის რომელიმე ცალკეულ მხარეს. ფილოსოფია არის არა სამყაროს შემეცნების, არამედ ხედვის, ჭვრეტის წესი.

სამყარო, რომელსაც ფილოსოფია მოიაზრებს არის არა ობიექტურად, არამედ ადამიანთან მიმართებაში არსებული ანუ ადამიანური სამყარო.

მაშასადამე, ფილოსოფიის ამოცანაა სამყაროს ხედვა, ხოლო საგანი — სამყარო როგორც მთელი ან მისი ნებისმიერი ცალკეული მხარე, რომელიც განხილული მთელთან მიმართებაში.

ძირითადი ფილოსოფიური პრობლემებია ონტოლოგიური, გნოსეოლოგიური და აქსიოლოგიური. სამყაროს როგორც მთელის ან მისი ნებისმიერი ცალკეული მხარის მოაზრება აღნიშნული პრობლემის თვალთახედვით შეადგენს ფილოსოფიური აზროვნების თავისებურებას.

ფილოსოფიას აქვს არა შემეცნებითი, არამედ მსოფლმხედველობრივი ფუნქცია. მისი ძირითადი მიზანია გაარკვიოს ადამიანის ადგილი და როლი, დანიშნულება და საზრისი სამყაროში.

ფილოსოფია და მეცნიერება

როგორია მიმართება ფილოსოფიასა და მეცნიერებას შორის? ამ კითხვას, რომ პასუხი გავცეთ, საჭიროა მიახლოებით მაინც ჩამოვაყალიბოთ წარმოდგენა მეცნიერების არსზე.

მეცნიერების არსი და ტიპები. მეცნიერების ზოგადი განსაზღვრება დიდ სიძნელეებთანაა დაკავშირებული, რადგან არ არსებობს ერთი მეცნიერება. არსებობს მეცნიერების რამდენიმე ტიპი, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ცოდნის ხასიათით, შინაარსითა და კრიტერიუმებით. თანამედროვე გაგებით, არსებობს მხოლოდ კერძო მეცნიერება, სხვა, ე. წ. ფილოსოფიური მეცნიერება არ არსებობს. განასხვავებენ კერძო მეცნიერებათა სამ ტიპს: ფორმალურს, რეალურსა და ისტორიულს.

ა) ფორმალური მეცნიერებანი. მათ მიეკუთვნება ლოგიკა და მათემატიკა, აგრეთვე, მათემატიკურად აგებული სხვა დისციპლინა, მაგალითად, მათემატიკური ფიზიკა, მათემატიკური ლინგვისტიკა და ა. შ. ამ მეცნიერებათა თავისებურება ისაა, რომ ისინი არ სწავლობენ რეალურ ფაქტებსა და პროცესებს, არ შეიცავენ ინფორმაციას რეალობის შესახებ. მათ საქმე აქვთ აბსტრაქტულ ობიექტებთან, რომელთა აგება ხდება ლოგიკურად და არა რეალობასთან მიმართებით. მეთოდი, რომელსაც ეს მეცნიერებები იყენებენ არის ლოგიკური დამტკიცება.

ბ) რეალური მეცნიერებანი. მათ მიეკუთვნება ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, ფსიქოლოგია, სოციოლოგია, ასტრონომია და ა. შ. ისინი იკვლევენ აწმყოში არსებულ რეალურ ფაქტებსა და პროცესებს. რისი მეშვეობით ცდილობენ მათ ახსნასა და წინასწარმეტყველებას? რეალურად მოქმედი კანონების აღმოჩენისა და დაგენის საშუალებით. **რეალური მეცნიერება არის რეალურად მოქმედი კანონების საფუძველზე მოვლენათა ახსნა და წინასწარმეტყველება.** მის მიერ გამოყენებული მეთოდებია — ცდა და დაკვირვება, რადგან

მხოლოდ მათი საშუალებით შეიძლება ფაქტებისა და პროცესების შემეცნება, რა თქმა უნდა, რეალური მეცნიერება მათემატიკურ მეთოდებსაც იყენებს, მაგრამ მათ ცდით მოპოვებული ინფორმაციის დამუშავებისა და ანალიზის საშუალებას აქვთ. კანონებისა და მათგან გამოტანილი დასკვნების შემოწმება მხოლოდ ცდის მეთოდებითაა შესაძლებელი, ამიტომ ცდა და დაკვირვება რეალურ მეცნიერებათა საფუძველია.

ბ) ISTORIULI MECNIERebani. მათ მიეკუთვნება ის მეცნიერებანი, რომლებიც იმეცნებენ სინამდვილის რომელიმე სფეროს წარმოშობას, ცვალებადობასა და განვითარებას. ეს შეიძლება იყოს არა მარტო საზოგადოების, არამედ სინამდვილის ნებისმიერი მხარის შემსწავლელი მეცნიერება. მაგალითად, პალეონტოლოგია ისტორიული მეცნიერებაა, რადგან იგი შეისწავლის მცენარეთა და ცხოველთა ნაშთებს დედამიწის ქერქში შემორჩენილი ნამარხების მიხედვით. ისტორიულია ის მეცნიერებაც, რომელიც თვით მეცნიერების წარმოშობას, ცვალებადობასა და განვითარებას შეისწავლის. ვთქვათ, მათემატიკის ისტორია, ფიზიკის ისტორია, ბიოლოგიის ისტორია და ა. შ. მედიცინის ისტორია შეისწავლის სამკურნალო საქმიანობის ჩასახვის, გავრცელებისა და განვითარების ძირითად ეტაპებს.

ისტორიული მეცნიერება სწავლობს ფაქტებს, ოღონდ წარსულში და არა აწმყოში არსებულ ფაქტებს. იგი იმეცნებს იმას, რაც ოდესღაც მოხდა, მაგრამ აღარასოდეს განმეორდება.

რა მეთოდებით შეუძლია ისტორიას წარსულის ფაქტების შემეცნება? ამისათვის არ გამოდგება არც ლოგიკა და არც ცდა. ლოგიკის მეშვეობით არ შეიძლება ფაქტების დადგენა და გამოკვლევა. ცდა კი იძლევა საშუალებას დავუკვირდეთ აწმყოში, მაგრამ არა წარსულში არსებულ ფაქტებს. ისტორიული ფაქტები შემორჩენილია დოკუმენტებსა და ნივთიერ ძეგლებში. მათ ერთობლიობას უწოდებენ პირველწყაროებს. სწორედ ისინია ისტორიული მეცნიერების საფუძველი, მაგრამ პირველწყაროებს კრიტიკული შემოწმება სჭირდებათ, რადგან ისინი ზოგჯერ ურთიერთსაპირისპირო, ზოგჯერ კი სრულიად დაუჯერებელ, ფანტასტიკურ ცნობებს შეიცავენ. ამიტომ ისტორიული მეცნიერების მეთოდია პირველწყაროების კრიტიკული ანალიზი.

ისტორიული მეცნიერება არ ადგენს კანონებს და მათ საფუძველზე მოვლენათა ახსნას ან წინასწარმეტყველებას არ იძლევა. იგი აღწერითი მეცნიერებაა. მისი მიზანია ალადგინოს და აღწეროს რეალური პროცესი, რომელსაც წარსულში ჰქონდა ადგილი. რა თქმა უნდა, ეს პროცესი კანონზომიერია, რადგან იგი მიმდინარეობს გარკვეული კანონების შესაბამისად. მაგრამ კანონები, რომლებიც ისტორიული პროცესის მიმდინარეობას განსაზღვრავს, არის სოციოლოგიური, ეკონომიკური და სხვა ტიპის კანონები. მათ იმეცნებს არა ისტორია, არამედ შესაბამისი მეცნიერება, მაგალითად, სოციოლოგია ან ეკონომიკური თეორია.

ასეთია მრკლედ მეცნიერებათა ტიპების დახასიათება. ახლა ზოგადად

დავახასიათოთ მეცნიერების არსი: მეცნიერება არის ინტერსუბიექტური მეთოდებით დასაბუთებული ობიექტური ცოდნის სისტემა. იგი აყენებს ისეთ პრობლემებს, რომელთა დადებითი ან უარყოფითი გადაწყვეტა ხდება ცალსახად. მეცნიერება ადგენს უტყუარ და უეჭველ დებულებებს, რომელთაც ახასიათებს ჭეშმარიტება. მათი საპირისპირო დებულებები მცდარია.

მეცნიერული და ფილოსოფიური ცოდნის განსხვავება. მეცნიერება და ფილოსოფია აზროვნების ორი არსებითად განსხვავებული ტიპია. იმისათვის, რომ მეცნიერული ცოდნის სპეციფიკა სრულად და ნათლად გამოვავლინოთ, დავახასიათოთ იგი ფილოსოფიურ ცოდნასთან მიმართებაში.

1) მეცნიერული ცოდნა ობიექტური და უპიროვნოა, ფილოსოფიური კი — სუბიექტური და პიროვნული. მეცნიერული ცოდნა დამოუკიდებელია პიროვნების თვალსაზრისისა და პოზიციისაგან. იგი განპირობებულია ობიექტური ვითარებით. მეცნიერებაში დაუშვებელია კერძო, პიროვნული შეხედულებები: არავინ იტყვის: "ჩემი აზრით, 2+2=4-ს" ან "ჩემი აზრით, ზევით აგდებული ქვა ქვევით ჩამოვარდება". მეცნიერული დებულებები გამოთქვამენ არა რომელიმე პიროვნების პოზიციას, არამედ ობიექტურ ვითარებას. ამის გამო ისინი ჭეშმარიტია, ხოლო მათი უარყოფა — მცდარი.

ფილოსოფიური ცოდნა სუბიექტური და პიროვნულია. იგი გამოთქვამს არა ობიექტურ ვითარებას, არამედ ადამიანის დამოკიდებულებას, მიმართებას ამ ვითარებისადმი. ფილოსოფიური ცოდნა პიროვნების პოზიციის, თვალსაზრისის გამოხატულებაა. ფილოსოფიაში მიღებულია გამოთქმები: "ჩემი აზრით", "ჩემი თვალსაზრისით", "ჩემი შეხედულებით" და ა. შ.

2) მეცნიერული ცოდნის დაფუძნება ხდება ცალსახად, რადგან იგი გამორიცხავს სხვაგვარად მოაზრების შესაძლებლობას. ფილოსოფიური ცოდნა უშვებს პლურალიზმს, აზრთა სხვადასხვაობას, რადგან ივი არ გამორიცხავს სხვაგვარად მოაზრების შესაძლებლობას.

მეცნიერებაში საკითხები წყდება ცალსახად — დადებითად ან უარყოფითად. მაგალითად, ფიზიკა ადგენს, რომ დებულება "ლითონი ელექტრობის კარგი გამტარია" არის ჭეშმარიტი, ხოლო მისი უარყოფა — მცდარი, ფილოსოფიაში კი არც ერთი პრობლემა არ წყდება ცალსახად. საკითხის ნებისმიერ გადაწყვეტას აქვს თავისი ალტერნატივა, ამიტომ ყოველთვის არსებობს რამდენიმე ურთიერთგამომრიცხველი ვარიანტი, მაგალითად, კითხვაზე: "სამყარო კანონზომიერი მთელია თუ არა?" — არსებობს ორი პასუხი: დეტერმინისტული და ინდეტერმინისტული. დეტერმინიზმი ამტკიცებს, რომ სამყარო ექვემდებარება კანონზომიერებას, ხოლო ინდეტერმინიზმი უარყოფს მას. რომელი მტკიცებაა ჭეშმარიტი და რომელი მცდარი? ამგვარად საკითხის დასმა გაუმართლებელია, რადგან მათი დახასიათება ჭეშმარიტება-მცდარობის ასპექტით არ შეიძლება.

ფილოსოფიურ დებულებებს არ ახასიათებს ჭეშმარიტება-მცდარობა,

რადგან ისინი გამოხატავენ არა ობიექტურ ვითარებას, არამედ პიროვნების პოზიციას. მათ მიმართ საკითხი უნდა დაისვას შემდეგნაირად: რამდენად გამართლებულია, მიზანშეწონილია მოცემული მტკიცების მიღება? ეროვნული ბიბლიოთეკა ძლება დეტერმინიზმის, ხოლო მეორემ ინდეტერმინიზმის თეზისი მიიღოს. ეს განპირობებულია იმით, თუ ვის რა პოზიცია უჭირავს სამყაროს მიმართ. ამგვარ პოზიციას არ განსაზღვრავს რაიმე ობიექტური აუცილებლობა. იგი პიროვნების თავისუფალი არჩევანის შედეგია. ყოველ ადამიანს საკუთარი ნებით შეუძლია გადაწყვიტოს თუ რომელი პოზიციაა მისთვის უფრო მისაღები.

3) მეცნიერული ცოდნა ზოგადმნიშვნელადი და აუცილებელია, ფილოსოფიური კი — არა. მეცნიერულ დებულებას ყველა ერთნაირად გაიზიარებს. თუ იგი ჭეშმარიტია, მას ყველა მიიღებს, ხოლო თუ მცდარია, ყველა ერთნაირად უარყოფს. კერძო თვალსაზრისები აქ გამორიცხულია. ამიტომ მეცნიერული ცოდნა ინტერსუბიექტურია, ე. ი. ყველასთვის ერთნაირად მნიშვნელადი და სავალდებულო. ფილოსოფიური ცოდნა არ არის ზოგადმნიშვნელადი და ყველასათვის სავალდებულო. მისი ძალა შემოისაზღვრება მხოლოდ მოცემული სისტემის ფარგლებით, მის საზღვრებს გარეთ იგი თავის ძალას კარგავს. ის, რაც ერთი ფილოსოფიური სისტემისათვის მისაღებია, მეორისათვის მიუღებელია. დებულება, რომელიც ლოგიკური პოზიტივიზმის მიერ გამართლებული და მიღებულია, ექსისტენციალიზმის მიერ გაუმართლებლად და მიუღებლად არის მიჩნეული.

4) მეცნიერებაში დაეჭვება და კამათი გამორიცხულია, ფილოსოფიაში კი — არა. მეცნიერება ინტერსუბიექტური მეთოდების გამოყენებით ადგენს უტყუარ და უეჭველ დებულებებს, რომლებიც ყველასათვის ერთნაირად მისაღებია. ნებისმიერი ნორმალური ადამიანი, რომელიც გაიგებს მეცნიერების მოცემულ დარგს, აღიარებს მისი დებულებების ჭეშმარიტებას. აქ დაეჭვება, განსხვავებული შეხედულებების წარმოქმნა და მათ შორის კამათი გამორიცხულია. ფილოსოფია კი პირიქით — უშვებს დაეჭვებას, განსხვავებულ შეხედულებათა წარმოქმნასა და მათ შორის კამათს. ფილოსოფიაში არ არსებობს ინტერსუბიექტურად უტყუარი და უეჭველი დებულებები. აქ ყოველ ადამიანს შეუძლია დაეჭვდეს ნებისმიერი დებულების ჭეშმარიტება-მცდარობაში. განსხვავებულ შეხედულებათა წარმოქმნა და მათ შორის კამათი არა თუ დასაშვებია, არამედ აუცილებელიც.

მეცნიერება არ შეიცავს სხვაგვარ შეხედულებათა კრიტიკას. იგი იფარგლება საკითხის გამოკვლევითა და მისი პოზიტიური გადაწყვეტით. ფილოსოფია არ იფარგლება საკითხის პოზიტიური გადაწყვეტით. სხვაგვარ შეხედულებათა კრიტიკა მისი აუცილებელი მომენტია. ყოველი ფილოსოფიური სისტემა ორ მხარეს მოიცავს: ერთი მხრივ, სხვა სისტემების კრიტიკას, ხოლო მეორე მხრივ — პრობლემის დადებითი გადაწყვეტის მცდელობას.

შეიძლება შემოგვედაონ: განა მეცნიერებაში ადგილი არა აქვს აზრთა სხვადასხვაობასა და კამათს? განა აქ არ ხდება ჰიპოთეზების წამოყენება და

მათი კრიტიკული შემოწმება? რასაკვირველია, ეს ასეა. მაგრამ ნათლად უნდა გავმიჯნოთ ორი მომენტი: მეცნიერების ფორმირების პროცესი და თვით ეს მეცნიერება. მეცნიერების ფორმირება რთული, წინააღმდეგობებით აღსავსე პროცესია, სადაც ყველაფერი დასაშვებია: ჰიპოთეზების წამოყენება, დაეჭვება, კამათი, კრიტიკა და სხვა. უფრო მეტიც, დასაშვებია არამეცნიერულ, ფანტასტიკურ იდეათა წამოყენებაც კი. ოღონდ ყველაფერი ეს ხდება მანამ, სანამ პრობლემის სრულყოფილი გამოკვლევა დამთავრდება და იგი საბოლოოდ – დადებითად ან უარყოფითად გადაწყდება. ეს გადაწყვეტა უკვე ცალსახაა, უტყუარია და გამორიცხავს ყოველგვარ დაეჭვებას. მეცნიერება სწორედ ამგვარ დებულებათა სისტემაა.

მაშასადამე, მეცნიერება, როგორც ჩამოყალიბებული, დასრულებული სისტემა არ შეიცავს ჰიპოთეზებს, კერძო შეხედულებებს, არამეცნიერულ იდეებს და ა. შ. თუ ამგვარი დებულებები და მოსაზრებები მეცნიერების რომელიმე დარგში გვხდება, ეს ნიშნავს, რომ ჯერ კიდევ ბოლომდე არ ჩამოყალიბებულა და მისი ფორმირების პროცესი ჯერ არ დასრულებულა. დავა ბიოლოგიაში გენის როგორც მემკვიდრეობითობის მატარებელი ერთეულის შესახებ გრძელდებოდა მანამ, სანამ ექსპერიმენტულად არ დამტკიცდა მისი არსებობა. დღეს არავინ დაიწყებს კამათს იმის თაობაზე, არსებობს თუ არა გენი. ყველას მიერ გაზიარებულია მისი არსებობა. თუ ვინმე დაეჭვდება ამ მტკიცების სამართლიანობაში, იგი გამოავლენს ბიოლოგიის ელემენტარულ უცოდინარობას და მასთან სერიოზულ კამათს არავინ გამართავს.

ფილოსოფიური სისტემის დებულებების მიმართ დაეჭვება და მათი კრიტიკა არა თუ დასაშვებია, არამედ აუცილებელიც. სხვაგვარად ფილოსოფიური სისტემა არ არსებობს. ყოველი მათგანის აუცილებელი შემადგენელი მომენტია სხვა სისტემათა კრიტიკა. ფილოსოფიური ცოდნა ამართლებს სხვაგვარად მოაზრების შესაძლებლობას. ამიტომ, დაეჭვება და კრიტიკა მისთვის კანონზომიერი და ბუნებრივი მოვლენაა.

აზრთა სხვადასხვაობა და კამათი მეცნიერებაში, მისი ნაკლია, რომელიც მან უნდა დაძლიოს. იგი მაშინ ხდება სრულყოფილი სისტემა, როდესაც მოხსნის ყოველგვარ ეჭვს და საკამათოს, რითაც მიაღწევს უტყუარობასა და უეჭველობას. აზრთა სხვადასხვაობასა და კამათს ფილოსოფია ვერასოდეს თავს ვერ დააღწევს. ეს მისი ნაკლი კი არა, თავისებურებაა. დაეჭვება და სხვაგვარად აზროვნება, კრიტიკა და კამათი ფილოსოფიური ცოდნის სპეციფიკაა.

არის თუ არა ფილოსოფია მეცნიერება? როგორც უკვე აღვნიშნეთ, ძველ საბერძნეთში ფილოსოფია და მეცნიერება ერთად დაიბადა. თავდაპირველად ისინი ერთმანეთის იგივეობრივია. მათი დიფერენციაციის, ერთმანეთისაგან გამოყოფის პროცესი დაიწყო მოგვიანებით, სახელდობრ, III ს. ძვ. წ.-ით. დღეს ეს პროცესი დამთავრებულია. ამჟამად ფილოსოფია და კერძო მეცნიერება არსებობს როგორც ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი და განცალკევებული დარგი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მას შემდეგ, რაც ფილოსოფიიდან კერძო მეცნიერებათა გამოყოფის პროცესი დაიწყო, გაჩნდა მტკივნეული კითხვა: არის თუ არა ფილოსოფია მეცნიერება? იგი დღესაც გადაუწყვეტელია და ეს სავსებით კანონზომიერია, რადგან ფილოსოფიური პრობლემების ცალსახა გადაწყვეტა არ ხდება. აღნიშნულ კითხვაზე არსებობდა ორი ურთიერთგამომრიცხველი პასუხი: (1) ფილოსოფია არის მეცნიერება და (2) ფილოსოფია არ არის მეცნიერება. ორივე თვალსაზრისს ჰყავს თავისი მომხრეები, რომელთაც მოეპოვებათ საფუძვლიანი არგუმენტები საკუთარი პოზიციის დასამტკიცებლად. მოკლედ გავაანალიზოთ თითოეული მათგანი.

(1) **ფილოსოფია არის მეცნიერება.** ამ თვალსაზრისს იცავენ სრულიად განსხვავებული მიმართულების წარმომადგენლები. ამ გარემოებას განაპირობებს ის, თუ როგორ გავიგებთ მეცნიერებას. იგი მხოლოდ კერძო მეცნიერებაა, თუ არსებობს მისგან განსხვავებული, განსაკუთრებული ტიპის, ე. წ. ფილოსოფიური მეცნიერება? ამის შესაბამისად ორი პოზიცია გამოიკვეთა მოცემული თვალსაზრისის შიგნით.

ა) **ფილოსოფია არის კერძო მეცნიერება.** ამგვარ პოზიციას იცავდა მიმართულება — პოზიტივიზმი. იგი მიიჩნევს, რომ ერთადერთი მეცნიერებაა კერძო მეცნიერება. მისგან განსხვავებული რაღაც სხვა ტიპის მეცნიერება არ არსებობს. ამიტომ თუ ფილოსოფია მეცნიერებაა, მაშინ იგი მხოლოდ კერძო მეცნიერება შეიძლება იყოს. რაღაც განსაკუთრებული, ფილოსოფიური მეცნიერების არსებობა შეუძლებელია. ფილოსოფია ერთ-ერთი რიგითი მეცნიერებაა სხვა კერძო მეცნიერებათა გვერდით, მაგრამ არა მათზე მაღლა ან ქვემოთ მდგომი. იგი ისეთივე მეცნიერებაა როგორც ფიზიკა ან ბიოლოგია, ლოგიკა ან მათემატიკა. სარგებლობს იმ მეთოდებით, რომელთაც ეს მეცნიერებანი იყენებენ. მის მტკიცებას აქვს ინტერსუბიექტური ხასიათი, ამიტომ ყველასათვის ისევე აუცილებელი და სავალდებულოა, როგორც კერძო მეცნიერებათა დებულებები. ფილოსოფია არც მეთოდების და არც დებულებათა დაფუძნების ხასიათის მხრივ პრინციპულად არ განსხვავდება კერძო მეცნიერებისაგან.

პოზიტივიზმის თავისებურება ისაა, რომ იგი ფილოსოფიას აიგივებს **არა მეცნიერებასთან საზოგადოდ, არამედ კერძო მეცნიერებასთან.** ფილოსოფია იმავე ტიპის მეცნიერებაა, როგორიც არის კერძო მეცნიერება — აი, ეს არის პოზიტივიზმის ძირითადი თეზისი. ამ მიმართულების მრავალი სკოლა არსებობს, რომელიც განსხვავებულ მეცნიერებებზე იღებენ ორიენტაციას: ერთნი მიიჩნევენ, რომ ფილოსოფია ფიზიკის ანალოგიური უნდა გახდეს, მეორენი — ბიოლოგიასა და ფსიქოლოგიას, ხოლო მესამენი — ლოგიკას აცხადებენ ამგვარ სანიმუშო მეცნიერებად. მიუხედავად ამ განსხვავებისა, პოზიტივიზმის ძირითად მოთხოვნად რჩება თეზისი, რომ ფილოსოფია ისეთივე რიგითი მეცნიერებაა, როგორც ყველა კერძო მეცნიერება.

ბ) ფილოსოფია არის განსაკუთრებული ტიპის, კერძო მეცნიერებათაგან განსხვავებული, მაოზე მაღლა მდგომი მეცნიერება. იგი მეცნიერების დედოფალია, მეცნიერებათა მეცნიერება ან უმაღლესი რანგის მეცნიერ[illegible] თვალსაზრისს იცავდა ჰეგელი. იგი განასხვავებდა ორი ტიპის მეცნიერებას — კერძოს და ფილოსოფიურს. სინამდვილის ყოველი სფეროს, მაგალითად, ბუნების ან ისტორიის მიმართ არსებობს ორი ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული მეცნიერება: ბუნებისმეტყველება როგორც კერძო მეცნიერება და ნატურფილოსოფია ანუ ბუნების ფილოსოფია. ისტორია როგორც კერძო, აღწერითი მეცნიერება და ისტორიის ფილოსოფია. ანალოგიურია მდგომარეობა ნებისმიერი სხვა მეცნიერების მიმართ. არსებობს სამართალმცოდნეობა როგორც იურიდიული მეცნიერება და არსებობს სამართლის ფილოსოფია. არსებობს ლოგიკა როგორც ფორმალური მეცნიერება და არსებობს ლოგიკა როგორც ონტოლოგია, რომელიც ფილოსოფიურია.

2) **ფილოსოფია არ არის მეცნიერება.** საგანი, რომელსაც ფილოსოფია იმეცნებს, პრინციპულად მიუწვდომელია მეცნიერებისათვის. ფილოსოფიური ცოდნა სუბიექტური და პიროვნულია, ამგვარი ცოდნის მიღწევა კი მეცნიერების ინტერსუბიექტური მეთოდებით შეუძლებელია. ეს უკანასკნელი მხოლოდ ობიექტური და უპიროვნო ცოდნის მიღწევის საშუალებაა. ამიტომ ფილოსოფია არ არის და პრინციპულად არ შეიძლება იყოს მეცნიერება. ამგვარ პოზიციას იცავდა ექსისტენციალიზმი.

რა შეიძლება ითქვას აღნიშნული თვალსაზრისების შესახებ? სამივე თვალსაზრისი შესაძლებელია. ყოველ მათგანს თავისი ღირსება-ნაკლოვანებ[illegible] აქვს. პოზიტივიზმის ნაკლი ისაა, რომ ფილოსოფიის დაყვანით კერძო მეცნ[illegible]ებაზე, იკარგება ის თავისებურება, რომელიც ფილოსოფიურ ცოდნას აქვს — სუბიექტური და პიროვნული ხასიათი. ჰეგელის თვალსაზრისის ნაკლი ისაა, რომ იგი კერძო მეცნიერებისაგან განსხვავებულ, განსაკუთრებულ მეცნიერებას აღიარებს. ამგვარი მეცნიერება არ არსებობს. არსებობს მხოლოდ კერძო მეცნიერება.

ექსისტენციალიზმის ნაკლი ისაა, რომ მას არ გააჩნია ობიექტური კრიტერიუმი, რომლის მეშვეობით იგი შეაფასებდა ფილოსოფიურ ცოდნას. თუ ფილოსოფიური ცოდნა სუბიექტური და პიროვნულია, მაშინ მე არაფერი მაიძულებს გავიზიარო ექსისტენციალიზმის თვალსაზრისი. მე ჩემი სუბიექტური და პიროვნული ცოდნა შეიძლება მქონდეს, რომელიც ასევე სავალდებულო არ იქნება სხვისთვის.

აქ წარმოდგენილი თვალსაზრისების მიმართ არ შეიძლება დაისვას ჭეშმარიტება-მცდარობის საკითხი. არ შეიძლება ითქვას, რომ რომელიმე ერთი ჭეშმარიტია და დანარჩენი მცდარი. სამივე შესაძლებელია და ამდენად — მისაღები. ეს დამოკიდებულია ჩვენს არჩევანზე. ყოველ ადამიანს შეუძლია აირჩიოს ის თვალსაზრისი, რომელიც მას ყველაზე მეტად მისაღებად მიაჩნია. აქ დგას მიზანშეწონილობა-მიზანშეუწონლობის საკითხი. რაც ჩემთვის მიზანშე-

წონილია, ის სხვისთვის შეიძლება მიზანშეუწონელი აღმოჩნდეს.

ყველაფერი დამოკიდებულია ჩემს გადაწყვეტილებაზე — რომელი პოზიცია ჩიოთ. ამას განაპირობებს ჩემი სუბიექტური და ინდივიდუალური ინტერესები. ის, ვისაც სურს, რომ ფილოსოფიური ცოდნა იყოს ობიექტური და უპიროვნო, ის მიიღებს თვალსაზრისს, რომლის მიხედვით, ფილოსოფია არის მეცნიერება. ის, ვისაც სურს, რომ ფილოსოფიური ცოდნა იყოს სუბიექტური და პიროვნული იგი ვერ გაიზიარებს ამ თვალსაზრისს და დადგება საპირისპირო პოზიციაზე. მკითხველს შეუძლია თავისი მოსაზრებებით გადაწყვიტოს თუ რომელი თვალსაზრისი გაიზიაროს. იგი თავისუფალია გააკეთოს თავისი არჩევანი. ეს მისი ნებისა და გადაწყვეტილების საქმეა.

ჩვენ პირადად უფრო მიზანშეწონილად მიგვაჩნია ის თვალსაზრისი, რომლის თანახმად ფილოსოფია არ არის მეცნიერება. ამგვარი პოზიცია უფრო ადექვატურად და სრულად გამოხატავს ფილოსოფიის არსებას, ვიდრე ის, რომელიც მიიჩნევს, რომ ფილოსოფია არის მეცნიერება.

ფილოსოფია და მსოფლმხედველობა

იმისათვის, რომ გავარკვიოთ თუ როგორია დამოკიდებულება ფილოსოფიასა და მსოფლმხედველობას შორის, საჭიროა განვმარტოთ მსოფლმხედველობის არსი და დავახასიათოთ მისი ტიპები.

მსოფლმხედველობის არსი. მსოფლმხედველობა არის ადამიანის თვითცნობიერების, თვითრეფლექსიის ფორმა, რომლის მეშვეობით იგი განსაზღვრავს თავისი ცხოვრების საზრისს.

ადამიანი წარმოიშვა დედამიწაზე ბუნების ევოლუციის შედეგად. ბუნებას არ გაუჩენია იგი შეგნებულად ისე, რომ მისთვის რაიმე მიზანი დაეკისრა. ადამიანის ყოფიერება, არსებობა არ შეიცავს მიზანს, რომელსაც იგი უნდა ემსახუროს. ადამიანი არსებობს და ეს არის არა ვინმეს არჩევანის, არამედ ბუნების განვითარების კანონზომიერი შედეგი. მაგრამ ადამიანს თავისი არსებობის შესანარჩუნებლად უხდება ბრძოლა. მან აქტიურად უნდა იმოქმედოს და იმოღვაწოს, რათა თავისი სიცოცხლე შეინარჩუნოს და გაიხანგრძლივოს. მისი ცხოვრება ხიფათებით სავსეა. მას ყოველ წუთს რაღაც საშიშროება ემუქრება. მის წინაშე შესაძლებლობათა სამყაროა, რომელთაგან მან ერთი რომელიმე უნდა აირჩიოს. იგი შეგნებულად თუ შეუგნებლად, ცნობიერად თუ არაცნობიერად, მუდამ არჩევანს აკეთებს. ზოგჯერ ეს არჩევანი შეიძლება საბედისწეროც კი აღმოჩნდეს მისთვის, იმდენად, რომ იგი დადგეს ყოფნა-არყოფნის დილემის წინაშე.

ადამიანის ცხოვრება შესაძლებლობათა არჩევანია, რომელიც ხორციელდება ღირებულებათა და იდეალების საფუძველზე. მათ შესაბამისად იგი ირჩევს,

რაღაც მოსწონს ან არ მოსწონს, კეთილად ან ბოროტად თვლის, რაღაცისათვის იბრძვის ან არ იბრძვის, თავს სწირავს ან სრულიად გულგრილია და ა. შ. ის, რისთვისაც ადამიანი იბრძვის, რისთვისაც იგი თავს გასწირავს, რისიც მას სწამს, არის მისი ცხოვრების საზრისი. ამ უკანასკნელს განსაზღვრავს იდეალი ანუ ღირებულება, რომლის განხორციელება მას თავისი სიცოცხლის მიზნად მიაჩნია. მისი განუხორციელებლობა კი მასში უიმედობასა და სასოწარკვეთილებას იწვევს.

ის, თუ რას მიიჩნევს ადამიანი თავისი ცხოვრების საზრისად, დამოკიდებულია მის მსოფლმხედველობაზე. მსოფლმხედველობას აქვს რთული სტრუქტურა, რომლის შემადგენელი ელემენტებია:

1) შეხედულებები და წარმოდგენები სამყაროზე როგორც მთელზე, რომელთა ერთობლიობა იძლევა სამყაროს სურათს. იგი აძლევს ადამიანს ცოდნას თავისი თავისა და სამყაროს შესახებ.

2) ღირებულებები და იდეალები, რომლებიც ადგენენ იმ ძირითად მიზანს, რასაც უნდა ემსახუროს და რის განსახორციელებლადაც უნდა იბრძოლოს ადამიანმა.

როგორც ვხედავთ, მსოფლმხედველობა ორ ძირითად ელემენტს შეიცავს: ცოდნას (სამყაროს სურათს) და იდეალს, მაგრამ მისთვის მთავარია არა ცოდნა მისცეს ადამიანს, არამედ განსაზღვროს მისი ცხოვრების საზრისი. ამიტომ მსოფლმხედველობისათვის ცოდნა მხოლოდ საშუალებაა, ხოლო მიზანი — იდეალის დადგენა, რომელიც ადამიანს აძლევს ღირებულებით ორიენტაციას სამყაროში.

ამგვარად, მსოფლმხედველობა არის შეხედულებათა და ღირებულებათა სისტემა, რომელიც განსაზღვრავს ადამიანის ადგილსა და დანიშნულებას სამყაროში.

მსოფლმხედველობამ პასუხი უნდა გასცეს შემდეგ კითხვებს. მათ მსოფლმხედველობრივ კითხვებს უწოდებენ:

1) რა არის სამყარო?
2) ვინ ვარ მე?
3) როგორია ჩემი დამოკიდებულება სამყაროსადმი?
4) რა უნდა ვაკეთო და რისი იმედი შეიძლება მქონდეს მე?

მსოფლმხედველობა არის ადამიანის ცხოვრების მასწავლებელი, მისი ორიენტირი. იგი ადამიანს აძლევს ღირებულებით ორიენტაციას — რა აკეთოს და რისთვის იბრძოლოს.

მსოფლმხედველობის ტიპები. იმის მიხედვით, თუ როგორ და რა საშუალებებით ხდება მსოფლმხედველობის დაფუძნება, განასხვავებენ მის ორ ტიპს — თეორიულს და არათეორიულს. თეორიული მსოფლმხედველობის თავისებურებაა შემდეგი: 1) მისი შინაარსი მოიაზრება ცნებებისა და კატეგორიების საშუალებით; 2) იგი აგებულია ლოგიკურად მწყობრი სისტემის სახით, რომლის ყოველი დებულება დაფუძნებული და არგუმენტირებულია. მაშასადამე, **თეორიული მსოფლმხედველობა არის ცნებებისა და კატეგორიების საშუალებით მოაზრებული მწყობრი სისტემა, რომლის დებულებები დაფუძნებული და არგუმენტირებულია.**

არათეორიული მსოფლმხედველობა მოკლებულია აქ ჩამოყალიბებულ ნიშნებს: ა) მისი შინაარსი ემყარება აღქმებსა და წარმოდგენებს, პირად გამოცდილებასა და ემოციებს. ბ) მას არა აქვს ლოგიკური სისტემის სახე. ცდება მისი დებულებების მოტივირება, მაგრამ არა დაფუძნება და არგუმენტირება. არათეორიული მსოფლმხედველობის ნიმუშია მითოლოგია, რელიგია და ხელოვნება. სამივე მსოფლმხედველობაა, რადგან მათში მოცემულია სამყაროს სურათი და გარკვეულია ადამიანის ადგილი და დანიშნულება სამყაროში, მაგრამ არც ერთი მათგანი არ წარმოადგენს თეორიულ მსოფლმხედველობას, რადგან მათი შინაარსის გადმოცემა არ ხდება თეორიულად დაფუძნებული სისტემის სახით.

ფილოსოფიისა და მსოფლმხედველობის მიმართება. ფილოსოფია არის მსოფლმხედველობა, რადგან იგი ცდილობს პასუხი გასცეს მსოფლმხედველობრივ კითხვებს, მაგრამ მსოფლმხედველობა ყოველთვის არ არის ფილოსოფია. იგი შეიძლება იყოს ან არ იყოს ფილოსოფია. მსოფლმხედველობა უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე ფილოსოფია, რადგან იგი მოიცავს არაფილოსოფიურ ფორმებსაც.

ფილოსოფია არის თეორიული მსოფლმხედველობა, რადგან იგი ცნებებისა და კატეგორიების საშუალებით მოაზრებული, ლოგიკურად აგებული სისტემაა, რომლის დებულებები დაფუძნებული და არგუმენტირებულია. მსოფლმხედველობის თეორიული ხასიათი გულისხმობს მის ფილოსოფიურ ინტერპრეტაციასა და დაფუძნებას. ამის გამო ფილოსოფია და თეორიული მსოფლმხედველობა ერთი და იგივეა. ფილოსოფიური მსოფლმხედველობა, რომელიც იქნებოდა არათეორიული, არ არსებობს და პრინციპულად შეუძლებელია არსებობდეს.

მაშასადამე, **ფილოსოფიური მსოფლმხედველობა აუცილებლად თეორიულია და პირიქით.**

ფილოსოფიური მსოფლმხედველობა და მეცნიერება. არათეორიული მსოფლმხედველობა არ არის მეცნიერული. ეს ბუნებრივია, რადგან მეცნიერება გარკვეული თეორიაა. ამიტომ თუ მსოფლმხედველობა მეცნიერული იქნება, მაშინ იგი თეორიულიც უნდა იყოს.

მაშასადამე, მეცნიერული მსოფლმხედველობა თეორიული, ე. ი. ფილოსოფიურია, მაგრამ პირიქით არ არის აუცილებელი. ფილოსოფიური მსოფლმხედველობა ყოველთვის არაა მეცნიერული. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რაზეა ფილოსოფია ორიენტირებული. თუ ფილოსოფია ორიენტირებულია მეცნიერებაზე და თავის დებულებებსა და დასკვნებს აყალიბებს მის მონაცემებზე დაყრდნობით, მაშინ იგი მეცნიერულია. სხვა შემთხვევაში იგი არამეცნიერულია. თუ ფილოსოფია თავის მტკიცებებსა და დასკვნებში ემყარება რელიგიას, მაშინ იგი იქნება რელიგიური და არა მეცნიერული.

ამგვარად, ფილოსოფიური მსოფლმხედველობა მეცნიერულია იმ შემთხვევაში, როდესაც იგი თავის დებულებებსა და დასკვნებს აყალიბებს მეცნიერების გზით. კონკრეტულად მას ახასიათებს შემდეგი: ა) იგი იძლევა სამ-

ყაროს მეცნიერული სურათის. როგორც უკვე აღვნიშნეთ, სამყაროს სურათის მოცემა ყოველი მსოფლმხედველობის აუცილებელი მიმენტია. მეცნიერული მსოფლმხედველობის თავისებურება კი ისაა, რომ იგი სამყაროს მეცნიერულ სურათს ეფუძნება. ეს ნიშნავს, რომ იგი მეცნიერების აღმოჩენებისა და შედეგების საფუძველზე აყალიბებს სამყაროს სურათს; ბ) ადამიანის ადგილისა და დანიშნულების გარკვევა სამყაროში ხდება მეცნიერების მონაცემებზე დაყრდნობით.

ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ მეცნიერული მსოფლმხედველობა და მეცნიერება. პირველი ეფუძნება მეორეს, მაგრამ მისი ფოტოტიპური არ არის. მეცნიერული მსოფლმხედველობა ფილოსოფიური თეორიაა, მაგრამ არ არის თვით მეცნიერება. მაგალითად, XVII-XVIII საუკუნეებში ჩამოყალიბდა მექანისტური მსოფლმხედველობა. იგი კლასიკური მექანიკის მონაცემების განზოგადების საფუძველზე იძლევა სამყაროს სურათს და არკვევს ადამიანის ადგილისა და დანიშნულების საკითხს. აქ ორი რამ უნდა გავმიჯნოთ ერთმანეთისგან: მექანისტური მსოფლმხედველობა და კლასიკური მექანიკა. პირველი ფილოსოფიური თეორიაა, რომელიც ახდენს კლასიკური მექანიკის აბსოლუტიზაციასა და უნივერსალიზაციას, მეორე კი კერძო მეცნიერებაა, რომელიც ცდის საფუძველზე მათემატიკური მეთოდების გამოყენებით იკვლევს ბუნების შესაბამის სფეროს.

მეცნიერული მსოფლმხედველობა ისტორიული კატეგორიაა. იგი ცვალებადობას განიცდის: ის, რაც ერთ პერიოდში მეცნიერულად ითვლებოდა, შეიძლება შემდგომ გადაიქცეს ანტიმეცნიერულად. ეს დამოკიდებულია იმაზე, განიცდის თუ არა, მეცნიერება განვითარებას, რის შედეგადაც იცვლება სამყაროს მეცნიერული სურათი. შესაბამისად, ხდება მეცნიერული მსოფლმხედველობის ხასიათის შეცვლა. მაგალითად, მექანისტური მსოფლმხედველობა მეცნიერული იყო XVII-XIX საუკუნეებში. ამ პერიოდში ბუნებისმეტყველების დარგებიდან ზუსტი, მათემატიკური მეცნიერების სახით ჩამოყალიბებული იყო მხოლოდ კლასიკური მექანიკა. სხვა საბუნებისმეტყველო მეცნიერება ამგვარ სიზუსტეს მოკლებული იყო. კლასიკური მექანიკა ითვლებოდა ერთადერთ სანიმუშო მეცნიერებად. ამან განაპირობა ის გარემოება, რომ მოხდა მისი აბსოლუტიზაცია და უნივერსალიზაცია. ბუნების მოვლენების ის ახსნა, რომელსაც კლასიკური მექანიკა იძლეოდა, გავრცელდა მთელ სამყაროზე. მიჩნეულ იქნა, რომ სამყაროს ყოველი მოვლენა, მათ შორის, ადამიანიც ექვემდებარება მხოლოდ მექანიკის კანონებს. სხვა ტიპის კანონების არსებობა საერთოდ იქნა უარყოფილი. ადამიანი ისეთივე სხეულია, როგორც ბუნების ნებისმიერი სხვა საგანი და იგი მთლიანად ემორჩილება ინერციას, მიზიდულობის, ძალთა ურთიერთქმედებისა და სხვა კანონებს.

თანამედროვე ეპოქაში მექანისტური მსოფლმხედველობა უკვე აღარაა მეცნიერული. საქმე ისაა, რომ დღეს კლასიკურმა მექანიკამ დაკარგა თავისი პრივილეგიური მდგომარეობა. განვითარდა არა მხოლოდ საბუნებისმეტყველო, არამედ ჰუმანიტარული მეცნიერებანი. სამყაროს სურათი, რომელსაც დღევანდელი მეცნიერება იძლევა, არ არის მექანისტური. თანამედროვე პირობებში

მექანისტური მსოფლმხედველობის გაზიარება და დაცვა არა თუ მეცნიერული, არამედ ანტიმეცნიერულია, რადგან ივი უკვე ალარ შეესაბამება მეცნიერების განვითარების დღევანდელ დონეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფილოსოფია და მითოლოგია

მითოლოგია არათეორიული მსოფლმხედველობაა. ივი ადამიანური ცნობიერების თავდაპირველი ფორმაა, რომელიც წინ უსწრებს ფილოსოფიასა და მეცნიერებას. ძველ საბერძნეთში ფილოსოფია ჩაისახა მითოლოგიის წიაღში. შემდეგ თანდათან მოხდა მისგან გამიჯნვა და გამოყოფა.

მოკლედ დავახასიათოთ ძველბერძნული მითოლოგია. ივი არის მითებისა და ლეგენდების ერთობლიობა, რომელიც მოგვითხრობს ბუნების მოვლენების, ღმერთების, ფანტასტიკური არსებებისა და ადამიანების შესახებ. ივი ემყარება მრავალი ღმერთის არსებობას, რომლებიც განაგებენ სამყაროში მიმდინარე პროცესებსა და ადამიანთა ბედს. სამყარო განაწილებულია სამ ღმერთს შორის: ცასა და დედამიწას განაგებს ზევსი და მის გარშემო შემოკრებილი სხვა ღმერთები. ზღვისა და მდინარეების მეუფეა პოსეიდონი. მსაც თავისი ღმერთების გუნდი ჰყავს. ქვესკნელის გამგებელია ჰადესი, რომელსაც ავრეთვე თავისი ღმერთები ჰყავს.

ღმერთები ხასიათდებიან ადამიანური თვისებებით: ჭამენ, სვამენ, დროს ატარებენ, მრუშობენ, ცოლები და საყვარლები ჰყავთ, შურიანები არიან და სხვა. ერთი სიტყვით, მათ ყველა ის დადებითი თუ უარყოფითი თვისება აქვთ, რაც ადამიანებს, რომელთაგან განსხვავდებიან შემდეგით: ვერ ერთი, არიან უკვდავნი, და მეორე, გამოირჩევიან რაღაც ზებუნებრივი ძალით და არიან სასწაულმოქმედნი.

ფორმალურად ზევსი ითვლება უზენაეს ღმერთად. მას უწოდებენ "ღმერთთა და კაცთა მამას". მაგრამ რეალურად მისი ძალმოსილება შეზღუდულია. ივი ჭექა-ქუხილის ღმერთია. სინამდვილისა და ადამიანთა ცხოვრების ყველა სფეროს თავისი ღმერთი ჰყავს. მაგალითად: დემეტრე არის მიწათმოქმედებისა და ნაყოფიერების, ჰელიოსი – მზის, ათენა – სიბრძნის, ასკლეპიოსი – მკურნალობის, ეროსი – სიყვარულის, თანატოსი – სიკვდილის ღმერთი და ა. შ.

ღმერთები ბუნების პროცესებსა და ადამიანთა ცხოვრბაში უშუალოდ მონაწილეობენ. ბუნების მოვლენების გამოწვევა, მიმდინარეობა და შეწყვეტა არის დამოკიდებული ღმერთის ნება-სურვილზე. ადამიანთა საქმიანობა, მათი წარმატება-წარუმატებლობა, სიკვდილ-სიცოცხლე და სხვა განსაზღვრულია ღმერთების ნებით. ღმერთები ასწავლიან ადამიანებს გარკვეულ საქმეს და მფარველობენ მათ საქმიანობას. ათენამ ასწავლა საფეიქრო ხელოვნება, ჰეფესტომ – მჭედლობა და სხვა. ისინი მფარველობენ მიწათმოქმედებას, ნადირობას, მეზავრობას, სიმღერას და ა.შ.

როგორც ვხედავთ, ღმერთები ადამიანთა ყოველდღიური ცხოვრების უშუალო მონაწილენი არიან. მათ შორის ახლო, მჭიდრო, ხშირად ინტიმური

ურთიერთობაც კი მყარდება. ადამიანებმა იციან, რომ მათი ბედი მთლიანად ღმერთების ხელთაა, ისინი ცხოვრობენ მათთან ერთად, გრძნობენ მათ დამარებასა თუ მზაკვრობას, მაგრამ არ შეუძლიათ წინ აღუდგნენ და შეებრძოლონ მათ ნებას. ღმერთებს ადამიანისათვის მოაქვთ როგორც სიკეთე, ისე ბოროტება, როგორც ბედნიერება, ისე უბედურება.

ისმება კითხვა: თუ ყველაფერი ღმერთების ნებით ხდება, ხოლო ისინი მრავალია და დამოუკიდებლად მოქმედებენ, მაშინ ხომ არ სუფევს სამყაროში ქაოსი და განუკითხაობა? მითოლოგია მიიჩნევს, რომ სამყარო მკაცრად მოწესრიგებული მთელია. ამგვარ სამყაროს კოსმოსი ეწოდება. მასში ბატონობს ურყევი წესრიგი და გარდაუვალობა, სადაც გამორიცხულია ყოველგვარი შემთხვევითობა და თვითნებობა. რა ძალა უდევს საფუძვლად ამ რკინისებურ აუცილებლობას? ეს არის ბედისწერა, რომელიც წინასწარ, ცალსახად განსაზღვრავს ყოველივე იმას, რაც სამყაროში ხდება. მოხდება მხოლოდ ის, რაც ბედისწერით არის დადგენილი და გადაწყვეტილი. მის განაჩენს ვერავინ თავს ვერ დააღწევს. ვერავინ გაექცევა იმას, რაც მას უწერია. ბედისწერას ბერძნულად მოირა ჰქვია, რაც ნიშნავს "წილს", "ხვედრს". ყოველ საგანს, მათ შორის, ადამიანსაც თავისი წილი, არე აქვს მიჩენილი, მათი ხვედრი წინასწარ გადაწყვეტილია და ის ძალა, რომელიც ამას განსაზღვრავს, არის ბედისწერა.

ბედისწერა არის ზებუნებრივი ძალა, რომელსაც ექვემდებარება მთელი სამყარო. არა მხოლოდ ბუნების მოვლენები და ადამიანები, არამედ თვით ღმერთებიც მორჩილებენ მას. ღმერთები ვალდებულნი არიან განახორციელონ ბედისწერის განაჩენი. ისინიც ვერ გადავლენ მის ნებას. ბედისწერის განაჩენი გარდაუვალია, რომელიც მთელი სისასტიკითა და ულმობელობით აღსრულდება. არ არსებობს ძალა, რომელიც მას წინ აღუდგება. ეს ღმერთებსაც კი არ ძალუძთ.

როგორია ადამიანის ადგილი და დანიშნულება სამყაროში? ადამიანის ხვედრი, წილი წინასწარ განსაზღვრულია. მას იგი თავს ეხვევა როგორც გარდაუვალობა, რომელიც სასტიკი და ულმობელია. ადამიანი ბედისწერის მონაა. მისი დანიშნულებაა კეთილსინდისიერად და ნებაყოფლობით შეასრულოს ბედისწერის განაჩენი. მოთმინებითა და უშფოთველად აიტანოს თავისი ხვედრი, რა გინდ მძიმე და სასტიკი არ უნდა იყოს იგი. ადამიანი კი არ უნდა გაექცეს ბედისწერას, ურჩობა კი არ უნდა გაუწიოს, არამედ დამორჩილდეს და დაყვეს მის ნებას. დამოუკიდებლად იმისა, თუ რა პოზიციას დაიჭერს ადამიანი — დამორჩილდება თუ წინააღმდეგობას გაუწევს ბედისწერას, ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ბედისწერის განხორციელებისათვის. ადამიანი უძლურია რაიმე შეცვალოს. რომაელმა ფილოსოფოსმა სენეკამ ხატოვნად გამოთქვა ადამიანის უძლურება ბედისწერის წინაშე: "ბედისწერას მიჰყავს მორჩილი და მიათრევს ურჩს". დამორჩილდები — წაგიყვანს, ურჩობას გაუწევ — წაგათრევს. ამიტომ უმჯობესია დამორჩილდე და ნებაყოფლობით განახორციელო იგი.

ადამიანის უძლურება ბედისწერის წინაშე, ბედისწერის სისასტიკე და

დაუნდობლობა კარგად გამოხატა ძველმა ბერძენმა მწერალმა სოფოკლემ ტრაგედიაში "ოიდიპოს მეფე". ოიდიპოსმა ყველაფერი იღონა, რათა თავიდან აეცილებინა თავისი სასტიკი ხვედრი. "გავრბოდი, რათა გავქცეოდი ბედისწერას" — ამბობს ივი. მაგრამ მას მაინც არაფერი გამოუვიდა. ყველაფერი მოხდა ისე, როგორც ეს ბედისწერით იყო გადაწყვეტილი.

მითოლოგია მსოფლმხედველობის გარკვეული ფორმაა. იგი იძლევა სამყაროს სურათს და არკვევს ადამიანის ადგილსა და დანიშნულებას. სამყარო არის კოსმოსი, სადაც ბატონობს გარდაუვალობა. იგი ბედისწერაა, რომელიც რკინისებური აუცილებლობით წინასწარ განსაზღვრავს ყველაფერს, მათ შორის, ადამიანის ხვედრს. ადამიანი ბედისწერის მონაა. მისი დანიშნულებაა დამორჩილდეს მას და ნებაყოფლობით განახორციელოს ივი.

მითოლოგიის მსოფლმხედველობრივი ხასიათი უდავოა. მაგრამ იგი არ არის თეორიული, რადგან მითებისა და ლეგენდების საშუალებით მოგვითხრობს თავის შინაარსს. მითოსური ცნობიერება სამყაროს ემოციურ-რელიგიური განცდაა. იგი მოკლებულია ლოგიკურ და ემპირიულ დასაბუთებას. მისი წყარო ადამიანის ფანტაზიასა და წინამეცნიერული აზროვნების ფორმებშია საძიებელი. იგი არღვევს მეცნიერული აზროვნების ელემენტარულ ნორმებს. მისი ძალა სულ სხვა განზომილებაში უნდა ვეძიოთ. ეს არის მხატვრულ-რელიგიური ცნობიერება, რომელიც ემყარება არა ცდასა და ლოგიკურ აზროვნებას, არამედ მითებსა და ლეგენდებს.

მითოსური ცნობიერება წინ უსწრებდა ძველბერძნულ ფილოსოფიას. ეს უკანასკნელი დასაბამს იღებს მასში. შემდგომ მოხდა თანდათანობით მისგან გამოყოფა და აზროვნების ახალ ტიპად ჩამოყალიბება. მითოლოგია და ფილოსოფია არსებითად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ეს არის აზროვნების ორი სრულიად განსხვავებული ფორმა. მათ საერთო აქვთ ის, რომ ორივე მსოფლმხედველობაა, მაგრამ ძირეულად განსხვავებულია სამყაროს ხედვისა და მისი დაფუძნების წესი. განვიხილოთ ეს დებულება კოსმოსის გაგების მაგალითზე:

მითოლოგიის თანახმად, სამყარო კოსმოსია, სადაც ბატონობს გარდაუვალობა და გამორიცხულია ყოველგვარი შემთხვევითობა. ძველბერძნული ფილოსოფიაც ღებულობს ამ თეზისს. მასაც ანალოგიურად ესმის სამყაროს არსი. მაგრამ არსებითად განსხვავდება აღნიშნული თეზისის ფილოსოფიური და მითოსური დაფუძნება: მითოლოგია თვლის, რომ გარდაუვალობას სამყაროში განსაზღვრავს ბედისწერა, ფილოსოფიას კი მიაჩნია, რომ ამის საფუძველი მიზეზობრივობაა. სამყაროში ყველაფერი ხდება ისე, როგორც უნდა მომხდარიყო, რადგან ასე გადაწყვიტა ბედისწერამ — ასეთია მითოლოგიის ძირითადი თეზისი. სამყაროში ყველაფერი ხდება ისე, როგორც უნდა მომხდარიყო, რადგან ასე განსაზღვრა მიზეზობრივმა ჯაჭვმა — ასეთია ძველბერძნული ფილოსოფიის ძირითადი თეზისი. იგი წამოაყენა დემოკრიტემ, რითაც დასაბამი მისცა მეცნიერული აზროვნების ერთ-ერთ ძირითად პრინციპს და საბოლოოდ გაემიჯნა მითოლოგიას.

ამგვარად, ფილოსოფიასა და მითოლოგიას საერთო აქვთ ის, რომ ორივე

მსოფლმხედველობაა. მაგრამ ისინი არსებითად განსხვავდებიან აზროვნებისა და დასაბუთების წესით. ფილოსოფია თეორიული, ხოლო მითოლოგია არათეორიული მსოფლმხედველობაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფილოსოფია და რელიგია

რელიგიის არსი. რელიგია არის შეხედულებების, ემოციებისა და შესაბამისი კულტის ერთობლიობა, რომელიც ემყარება რწმენას ზებუნებრივი ძალის — ღმერთის ან ღმერთების არსებობის შესახებ. რელიგიას, რომელიც უშვებს ერთ ღმერთს, ეწოდება მონოთეიზმი (ბერძ. "მონოს" — ერთს, ხოლო "თეოს" — ღმერთს ნიშნავს). იმ რელიგიას, რომელიც აღიარებს მრავალ ღმერთს, უწოდებენ პოლითეიზმს (ბერძ. "'პოლი" ნიშნავს მრავალს). პირველი რელიგიური წარმოდგენები პოლითეისტური იყო. მონოთეიზმი კულტურის განვითარების გვიანდელ ეტაპზე წარმოიშვა. დღეს გავრცელებულია სამი მსოფლიო რელიგია: ბუდიზმი, ქრისტიანობა და ისლამი. ბუდიზმი წარმოიშვა ძველ ინდოეთში VI-V საუკუნეებში ძვ. წ.-ით. მის ფუძემდებლად ითვლება ბუდა, რომელიც ისტორიული წყაროებით დადასტურებული რეალური პიროვნებაა. ქრისტიანობა წარმოიშვა რომის იმპერიაში I საუკუნეში ახ. წ.-ით. მის ფუძემდებლად მიჩნეულია ქრისტე, რომლის რეალურობა ისტორიული წყაროებით არ არის დადასტურებული. ისლამი წარმოიშვა არაბეთის ნახევარკუნძულზე VII საუკუნის დასაწყისში ახ. წ.-ით. მისი ფუძემდებელია რეალური პიროვნება — მუჰამედი.

აღნიშნული რელიგიები ინტერნაციონალური შინაარსისაა. ისინი აერთიანებენ სხვადასხვა ქვეყნის ადამიანებს დამოუკიდებლად მათი ეროვნებისა და პოლიტიკური მრწამსისა. მათ გვერდით არსებობს მრავალი რელიგია, რომელთაც ეროვნული შინაარსი აქვთ. მაგალითად, იუდაიზმი მხოლოდ ებრაელთა რელიგიაა.

რელიგიური წარმოდგენები წარმოიშვა კულტურის განვითარების გარკვეულ საფეხურზე. ისინი გაუჩნდა პირველყოფილ ადამიანს ჯერ კიდევ უძველეს ხანაში. თავდაპირველად მან დაიწყო ბუნების მოვლენების, ცხოველებისა და მცენარეების გაღმერთება, გაფეტიშება. იგი ღმერთს აიგივებდა ბუნების რომელიმე მოვლენასთან, მაგალითად, მზესთან ან მთვარესთან. კერპად იხდიდა რომელიმე ცხოველს ან მცენარეს. მათში ხედავდა რაღაც ზებუნებრივ ძალას, რომელსაც შეუძლია გადამწყვეტი გავლენა იქონიოს მისი ცხოვრების ბედზე.

ძველი რელიგიური წარმოდგენების დამახასიათებელი ნიშნებია: **ანთროპომორფიზმი, ანიმიზმი და მაგია. ანთროპომორფიზმი** (ბერძ. "ანთროპოს" ნიშნავს ადამიანს, ხოლო მორფოს — სახეობას) არის ადამიანის თვისებების გავრცელება ბუნების მოვლენებსა და საგნებზე. მათ ახასიათებთ ადამიანური თვისებები. ბუნება ცოცხალია, სულიერია. მას რაღაც უხარია ან სწყინს, ვიღაცაზე გაბრაზებულია ან კეთილგანწყობილია, ვიღაცა უყვარს ან სძუ-

ლს და სხვა. **ანიმიზმი** (ლათ. "ანიმა" ნიშნავს სულს) არის თეორია, რომ-ლის მიხედვით ყოველ საგანში ჩასახლებულია სული. სულებს შეუძლიათ სარგებლობა ან ზიანი მოუტანონ ადამიანებს. ამის გამო ადამიანები ცდილობენ თავიანთი მოქმედებებით გამოიწვიონ სულები, რათა მათზე მოახდინონ ზეგავლენა. ამ მიზნით, ისინი ასრულებენ გარკვეულ რიტუალებს, რომელთა მეშვეობით თითქოს ხორციელდება ზემოქმედება ბუნების ძალებზე. პირველყოფილი ადამიანის ამგვარ რწმენას ემყარება მაგია.

ანთროპომორფიზმი, ანიმიზმი და მაგია მეტ-ნაკლები სისრულით დამახასიათებელია ყოველი რელიგიისათვის. რა თქმა უნდა, მონოთეისტური რელიგიაც შეიცავს მათ ელემენტებს.

რელიგიის წარმოშობის მიზეზები. რელიგიური წარმოდგენების ჩასახვა მოხდა პირველყოფილი ადამიანის პრიმიტიულ ცნობიერებაში. გაჩნდა რელიგიური ცნობიერება, რომლის წარმოშობა განაპირობა შემდეგმა მიზეზებმა: 1) **პირველყოფილი ადამიანის უძლურებამ.** იგი ბუნების მონაა, მთლიანად მიჯაჭვულია მასზე. მისი იარაღები და ფიზიკური ძალა იმდენად სუსტია, რომ მას არ შეუძლია რაიმე მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინოს ბუნების მოვლენებზე; 2) **პირველყოფილი ადამიანის უმეცრებამ.** იგი უმეცარია იმ აზრით, რომ მას არ შეუძლია მის ირგვლივ მიმდინარე პროცესები ახსნას ბუნებრივი მიზეზებით. მეცნიერული ცოდნა ჯერ არ არსებობს. ველურმა არ იცის თუ რა იწვევს დროთა ცვალებადობას, მცენარეთა ზრდასა და ნაყოფიერებას, ჭექა-ქუხილს, მიწისძვრებსა და ა. შ. 3) **სიკვდილის შიშმა.** ბუნების სტიქიურ მოვლენებს უამრავი უბედურება და ტანჯვა მოაქვს ადამიანისათვის. იგი უძლურია მათ წინაშე და არც მათი მეცნიერული ახსნა შეუძლია. ამის გამო ბუნება იწვევს შიშსა და შეძრწუნებას. მაგრამ ეს ემოციები ადამიანს უჩნდება იმის გამო, რომ თვითონ არის მოკვდავი. მან იცის თავისი სიკვდილის გარდაუვალობა. ბუნება კი განადგურებითა და დალუპვით ემუქრება მას. დგება მისი ყოფნა-არყოფნის საკითხი. ადამიანი რომ უკვდავი ყოფილიყო, მის ყოფნას რომ საფრთხე არ დამუქრებოდა, მაშინ მას ბუნების მიმართ არც შიში გაუჩნდებოდა; 4) **გამოცანისა და საიდუმლოების გრძნობის გაჩენამ.** ადამიანი მთლიანად ჩართულია სამყაროს მუდმივი ცვალებადობის ჯაჭვში. მასზე ბატონობს ბუნების ძალები, რომლებიც მისთვის უცხოა და მტრული. მას მათი მოთოკვა ან რეგულირება, მათზე ზემოქმედება ან მათგან თავის დაღწევა არ შეუძლია. ბუნების ურყევი წესრიგი და გარდაუვალობა მასში იწვევს არა მარტო შიშს, არამედ გაოცებასა და მოწიწებას. სამყარო მისთვის იქცევა გამოცანად, რომლის მეცნიერული ახსნაც მას არ შეუძლია. იგი ხდება რაღაც საიდუმლო, მისტიკური, რომელსაც უცნობი და ზებუნებრივი ძალები წარმართავს.

ზემოჩამოთვლილი მიზეზები განაპირობებს რწმენის განსაკუთრებულ სახეს, რომელიც საფუძვლად დაედო რელიგიურ ცნობიერებას. ასე გაჩნდა პირველი რელიგიური წარმოდგენები, რომელთაც დასაწყისში პრიმიტიული ხასიათი ჰქონდა. შემდგომ თანდათან მოხდა მათი დახვეწა და განვითარება, რის

შედეგად წარმოიშვა დიდი მონოთეისტური რელიგიები.

რწმენა და ცოდნა. რელიგიის საფუძველია რწმენა და არა ცოდნა. გავარკვიოთ მიმართება მათ შორის. ცოდნა არის რაღაც საგნობრივი ვითარების დახასიათება, რომელიც შეიძლება იყოს ჭეშმარიტი ან მცდარი. იგი ობიექტური და ინტერსუბიექტურია. მისი გაზიარება ან უარყოფა ხდება ცალსახად. რწმენა არის ადამიანის დარწმუნებულობის, დაჯერებულობის განცდა. იგი გამოხატავს არა საგნობრივ ვითარებას, არამედ ადამიანის დამოკიდებულებას მისადმი. იგი ინდივიდუალური და სუბიექტურია. მას არ ახასიათებს ჭეშმარიტება და მცდარობა. *ცოდნა აზრია*, რომლის ჭეშმარიტება-მცდარობა განსაზღვრულია იმ საგნობრივი ვითარებით, რომელსაც იგი გამოთქვამს. **რწმენა განცდაა**, რომლის ინტენსიობის ხარისხი განისაზღვრება ადამიანის სუბიექტური და ინდივიდუალური თავისებურებებით (ხასიათით, ტემპერამენტით, ემოციებით და ა. შ.). ცოდნის მიზანია ჭეშმარიტების დადგენა, რწმენის — ადამიანის დარწმუნებულობის განცდის გამოხატვა. ცოდნის შემთხვევაში ადამიანი გაიზიარებს ჭეშმარიტ დებულებას და არ გაიზიარებს მცდარს. რწმენის შემთხვევაში კი მან შეიძლება ირწმუნოს ჭეშმარიტიც და მცდარიც, კეთილიც და ბოროტიც, მშვენიერიც და მახინჯიც. ადამიანმა შეიძლება დაიჯეროს და იწამოს ყოველგვარი სიცრუე, თუკი ეს მის ინტერესებში შედის და მისი ეს რწმენა სრულიად გულწრფელი და პატიოსანი იყოს. შეიძლება ამგვარ ფაქტებს გონივრული ახსნა არ მოეძებნოს, მაგრამ მათი არსებობა უდავოა, რაც მეტყველებს რწმენისა და ცოდნის არსებით განსხვავებაზე.

როგორია ცოდნისა და რწმენის დამოკიდებულება? ცოდნაა დამოკიდებული რწმენაზე თუ პირიქით? თუ ისინი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელნი არიან? ამ კითხვებზე გამოიკვეთა შემდეგი პასუხები: 1) რწმენა დამოუკიდებელია ცოდნისაგან. პირიქით, ცოდნაა დამოკიდებული რწმენაზე. იმისათვის, რომ გავიგოთ, უნდა ვიწამოთ — ამტკიცებს პავლე მოციქული. ამ თვალსაზრისის გამოხატულებაა დებულება, რომელიც ტერტულიანეს მიეწერება: "მწამს, რადგან აბსურდია". 2) რწმენა დამოკიდებულია ცოდნაზე. იმისათვის, რომ ვიწამო, უნდა გავიგო. რწმენა ცოდნის ფუნქციაა. ამგვარ თვალსაზრისს იცავდა ფრანგი ფილოსოფოსი პიერ აბელიარი. 3) რწმენა და ცოდნა ერთმანეთისაგან დამოუკიდებელია. არც რწმენაა დამოკიდებული ცოდნაზე და არც ცოდნა — რწმენაზე. ამგვარ პოზიციას იცავდა გერმანელი ფილოსოფოსი იმანუელ კანტი. იგი მიიჩნევდა, რომ ცოდნა თეორიული გონების, ხოლო რწმენა პრაქტიკული გონების საქმეა.

განასხვავებენ რწმენის სხვადასხვა ტიპს: რელიგიურს და არარელიგიურს. რელიგიურია რწმენა, რომელიც ზებუნებრივი ძალის არსებობას უშვებს. მისი წვდომა არ შეიძლება. იგი დაფარული და მიღმურია, საიდუმლო და მისტიკურია. შესაძლებელია მისი არა ცოდნა, არამედ რწმენა. ამის გამო რელიგიური რწმენა არ არის ცოდნის შედეგი. იგი ცოდნისაგან დამოუკიდებე-

ლია. ამგვარად, რელიგიური რწმენის ობიექტია რაღაც ზებუნებრივი ძალა — ღმერთი, რომელიც გონებისათვის დაფარული და საიდუმლოა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რწმენა, რომელიც ცოდნას ემყარება და მისი ფუნქციაა, არარელიგიურია. უტყუარი და უეჭველი ცოდნა რწმენას გამორიცხავს, მაგრამ ალბათური ცოდნა მას შეიცავს. რაც უფრო დაბალია ცოდნის ალბათობის ხარისხი, მით უფრო მაღალია რწმენა. არარელიგიური რწმენის ერთ-ერთი სახეა მეცნიერული რწმენა. იგი ისეთი ალბათური ცოდნის ფუნქციაა, რომლის შედეგების ემპირიული შემოწმება მომავალში შესაძლებელია.

მაშასადამე, რელიგიის საფუძველია არა საერთოდ რწმენა, არამედ მხოლოდ მისი განსაკუთრებული ტიპი. ეს არის რელიგიური რწმენა, რომელიც ადამიანს აძლევს საშუალებას ირწმუნოს ზებუნებრივი ძალის — ღმერთის არსებობა. იგი ადამიანს ეძლევა არა შემეცნების, არამედ გამოცხადების მეშვეობით.

გამოცხადება და შემეცნება. რა არის გამოცხადება და რა როლს ასრულებს იგი რელიგიაში? რა განსხვავებაა გამოცხადებასა და შემეცნებას შორის? შემეცნების პროცესში ადამიანი ეწევა აქტიურ ინტელექტუალურ საქმიანობას. იგი თავისი უნარებით — აღქმით, წარმოდგენით, აზროვნებით, წარმოსახვით და ა. შ. იმეცნებს საგანს, რის შედეგად აყალიბებს ცოდნას, რომელიც ჭეშმარიტია ან მცდარი. გამოცხადება არის ადამიანის მიერ ღმერთისა და მისი სასწაულქმედებების უშუალო ხილვა, უშუალო განცდა. ამის შედეგად ადამიანი ეზიარება ღვთაებრივ სიბრძნეს. იგი უშუალოდ განიცდის მის უტყუარობასა და უეჭველობას, რომელიც გამორიცხავს ყოველგვარ ეჭვსა და ყოყმანს. ეს არის ჭეშმარიტების უშუალო ხილვა.

შემეცნების დროს ადამიანი იმეცნებს, გამოცხადების დროს კი — მას ეცხადება. ეს ხდება მისგან დამოუკიდებლად. შემეცნების დროს ადამიანი ადგენს ჭეშმარიტებას ან მცდარობას, გამოცხადების დროს კი იგი ეზიარება მხოლოდ ჭეშმარიტებას. ეს უკანასკნელი გამორიცხავს რაიმე შეცდომის შესაძლებლობას. გამოცხადების მაგალითია სინას მთაზე მოსეს მიერ მოსმენილი ათი მცნება. მას მოესმა ღმერთის ხმა, რომელმაც აუწყა მათ შესახებ. მაშასადამე, ბიბლიური მცნებები მომდინარეობს არა ადამიანიდან, არამედ ღმერთიდან. მოსემ კი არ აღმოაჩინა და დაადგინა, არამედ უშუალოდ ღმერთიდან მოისმინა და მიიღო ისინი.

რა როლს ასრულებს გამოცხადება რელიგიაში? გამოცხადება არის ერთადერთი საშუალება, რომლის მეშვეობით ადამიანს შეუძლია ღმერთს ეზიაროს და უშუალოდ მისგან მიიღოს ღვთაებრივი სიბრძნე. ამიტომ ადამიანის გონება უძლურია აზროვნების საშუალებით შეიმეცნოს იგი. გამოცხადება არის ხიდი, რომელიც ადამიანს ღმერთთან აკავშირებს, ამიტომ იგი მისი უშუალო წვდომის ერთადერთი საშუალებაა.

რელიგიის სტრუქტურა. რელიგია მოიცავს სამ მომენტს — შეხედულებებს, ემოციებსა და კულტს. მოკლედ დავახასიათოთ თითოეული მათგანი: 1) **შეხედულებები** არის იმ წარმოდგენების ერთობლიობა, რომელიც

გვაძლევს სამყაროს სურათს. რა თქმა უნდა, იგი არ არის მეცნიერული, მაგრამ მაინც სამყაროს გარკვეული სურათია. მაგალითად, ქრისტიანობა აღწერს ღმერთის მიერ სამყაროს შექმნის პროცესს. ღმერთი ყოვლისშემძლე, ყოვლისმცოდნე და ყოვლადკეთილი არსებაა, რომელმაც ექვს დღეში არაფრისაგან შექმნა ბუნება მთელი თავისი მრავალფეროვნებით. მეექვსე დღეს მან შექმნა ადამიანი "ხატად და მსგავსად თვისა". შემდეგ აღწერილია თუ როგორ ჩაიდინეს პირველმა ადამიანებმა – ადამმა და ევამ – ცოდვა. მათ იგემეს აკრძალული ხის ნაყოფი, რომლის შემდეგ ისინი ღმერთმა განდევნა სამოთხის ბაღიდან და დაუწესა მძიმე ცხოვრება დედამიწაზე. ამიერიდან მათ თვითონ თავიანთი შრომით, ოფლის ღვრითა და ტანჯვით უნდა მოიპოვონ და დაიმსახურონ ღმერთის სიყვარული. ღმერთმა ადამიანებს გამგებლობაში გადასცა ბუნება და მოუწოდა: "დაეუფლეთ და გამრავლდით". იწყება ადამიანთა მძიმე, ხიფათიანი და მოულოდნელობებით აღსავსე ცხოვრება, რომლის საბოლოო მიზანია სულიერი სიწმინდისა და სიმშვიდის მოპოვება. ეს კი შესაძლებელია ღმერთის კურთხევითა და სიყვარულით. ასეთია სამყაროს არამეცნიერული სურათი, რომელსაც ქრისტიანული რელიგია იძლევა. 2) *ემოციები* ის გრძნობებია, რომელთაც რელიგია იწვევს ადამიანში. საქმე ისაა, რომ რელიგია ადამიანის გულზე უფროა ორიენტირებული, ვიდრე გონებაზე. ქრისტიანობა სიყვარულის რელიგიაა. მისი ძირითადი მცნებებია სიყვარული და თანაგრძნობა, სიბრალული და მიტევება. რელიგია არა ცნებებისა და მტკიცებების, არამედ შთაგონებისა და ღვთაებრივი სიბრძნის მეშვეობით ცდილობს აღძრას და გამოიწვიოს შესაბამისი ემოციები. 3) *კულტი* არის იმ რიტუალებისა და ქცევის წესების ერთობლიობა, რომლის შესრულებაც მორწმუნესათვის სავალდებულოა. რელიგიის მიერ მკაცრად რეგლამენტირებულია არა მარტო ღვთისმსახურების, არამედ ყოფა-ცხოვრების ძირითადი მომენტები: როგორ ილოცოს, მოინათლოს, დაბადების დღე აღნიშნოს, მიცვალებული დამარხოს და ა. შ.

რელიგია და მორალი. ყოველი რელიგია განსაზღვრავს ადამიანის ადგილსა და დანიშნულებას სამყაროში, თუ როგორ და რისთვის უნდა იცხოვროს მან. ეს კი მოითხოვს გარკვეული ზნეობრივი ნორმების დაწესებას, რომელთა დაცვა და შესრულება ადამიანს მიიყვანს სასურველ მიზნამდე. ამისათვის რელიგია აყალიბებს მცნებებს, რომლებიც შეიცავენ მოთხოვნებს – თუ რა უნდა აკეთოს და რა არ უნდა აკეთოს ადამიანმა. ძველი აღთქმიდან ცნობილია ათი მცნება. მათგან სანიმუშოდ გამოვყოთ რამდენიმე: "არა კაც-ჰკლა", "არა იქურდო", "არა ცილი სწამო" და "არა იმრუშო". ეს შეგონებები საფუძვლად დაედო არა მარტო ქრისტიანულ, არამედ საერთოდ ყოველგვარ მორალს. ისინი, საერთოდ, ადამიანური ქცევის ნორმებად იქცნენ. მათ შეიძინეს ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა.

ყოველი რელიგია აფუძნებს თავის შესატყვის მორალს. ქრისტიანობის

ბაზაზე ჩამოყალიბდა ქრისტიანული მორალი, რომლის ქვაკუთხედია შემდეგი პრინციპი: ღმერთი ყოვლადკეთილია, ამიტომ მისგან მხოლოდ სიკეთე მომდინარეობს. იგი ამკვიდრებს სიკეთეს და გამორიცხავს ბოროტებას. მაგრამ ისმის კითხვა: ხომ ფაქტია, რომ დედამიწაზე ბოგინობს და მძლავრობს ბოროტება? თუ ღმერთიდან არა, მაშინ საიდან მომდინარეობს ბოროტება? ამაზე პასუხი ასეთია: ბოროტება მოდის არა ღმერთიდან, არამედ ადამიანიდან. ღმერთმა ადამიანს თავისუფალი ნება მისცა, მას შეუძლია თვითონ, დამოუკიდებლად მოახდინოს არჩევანი. ხშირად იგი ბოროტებას ირჩევს და ამის გამოა რომ ასე გავრცელებულია ეს მანკიერება. ადამიანებმა თვითონ უნდა იბრძოლონ ბოროტების წინააღმდეგ. ეს შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ ისინი ირწმუნებენ ღმერთის ყოვლისშემძლეობას და დაადგებიან მის მიერ ნაკარნახევ გზას. განა ღმერთს არ შეეძლო გამოერიცხა ბოროტება, თუკი ის ყოვლისშემძლეა? რა თქმა უნდა, შეეძლო. მას შეეძლო, რომ ადამიანისათვის წაერთმია თავისუფალი ნება, რათა მას არ ჰქონოდა არჩევანის უნარი. ამით იგი დაადგენდა, რომ ადამიანს მხოლოდ სიკეთე ეკეთებინა და გამორიცხავდა ყოველგვარ ბოროტებას. მაგრამ ღმერთი ასე არ მოიქცა, ამიტომ მასში ხომ არ არის რაღაც ბოროტი განზრახვა? არავითარ შემთხვევაში. საქმე ისაა, რომ ღმერთს სურდა შეექმნა ისეთი ადამიანი, რომელიც თვითონ, დამოუკიდებლად განასხვავებდა კეთილს ბოროტისაგან, რომელთაგანაც აირჩევდა პირველს და გამორიცხავდა მეორეს. ამ მიზნით მან ადამიანს მისცა თავისუფალი ნება.

ღმერთმა თავისი მცნებებითა და შეგონებებით ადამიანს დაუსახა ხსნის ერთადერთი გზა — ადამიანის ვალია წრფელი გულით, პატიოსნად მოუსმინოს მას და შემდეგ გააკეთოს თავისი არჩევანი. თუ იგი ღმერთს შეიყვარებს და იმოქმედებს მისი სიყვარულით, მაშინ დედამიწაზე დაისადგურებს სიკეთე და აღმოიფხვრება ყოველგვარი ბოროტება. ბოროტების ძირი იმ ადამიანშია საძიებელი, რომელიც განუდგა და აუჯანყდა ღმერთს.

რა საშუალებებით ცდილობს ქრისტიანობა სიკეთის დამკვიდრებას? იგი გამორიცხავს ძალადობას. ძალადობას ყოველთვის მოყვება ძალისმიერი რეაქცია, რაც გამოიწვევს მის გამრავლებას და არა შემცირებას. ამიტომ, ძალადობით ბოროტებას ვერ აღმოფხვრი. ამის ერთადერთ საშუალებად ქრისტიანობას მიაჩნია სიყვარული. "ღმერთი სიყვარული არს" — ამბობს მოციქული იოანე. "გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი" — არის ქრისტიანობის ერთერთი ძირითადი მცნება. სიყვარული მოყვასის მიმართ გასაგებია. მაგრამ როგორ უნდა მოვიქცე მტრის მიმართ? ქრისტიანობა მოითხოვს, რომ მტერიც უნდა გიყვარდეს. სახარებაში ნათქვამია: "გიყვარდეთ თქვენი მტერი, დალოცეთ თქვენი მაწყევარნი. კეთილი უყავით თქვენს მოძულეთ და ილოცეთ თქვენსავე მდევნელთა და შეურაცხმყოფელთათვის". მტერს უნდა მიუტევო და აპატიო, რითაც აღძრავ სინდისის ქენჯნას და გამოიწვევ მის სულიერ სიწმინდეს.

საყოველთაო სიყვარული და ურთიერთმბრძოლება — ასეთია ის გზა, რომელ-

იც ქრისტიანობას კაცობრიობის ხსნის ერთადერთ გზად მიაჩნია.

რელიგია და მსოფლმხედველობა. რელიგია არის მსოფლმხედველობა. ეს თავისთავად ცხადი და უეჭველი ფაქტია, რადგან იგი პასუხს სცემს ყველა მსოფლმხედველობრივ კითხვას, იძლევა სამყაროს სურათს, რის საფუძველზეც არკვევს ადამიანის ადგილსა და დანიშნულებას ამ სამყაროში. მაგრამ რელიგია თეორიული სისტემა არ არის. იგი ემყარება ადამიანის წარმოდგენებსა და პირად გამოცდილებას, ემოციებსა და ლტოლვებს. ამის გამო, რელიგია უფრო მსოფლშეგრძნებაა, ვიდრე მისი თეორიული გააზრება.

ამრიგად, რელიგია არათეორიული მსოფლმხედველობაა, რომლის საფუძველია რწმენა ყოვლისშემძლე ღმერთისა. რადგან იგი გონებისათვის, ე. ი. ცოდნისათვის საიდუმლო და მიუწვდომელია.

რელიგია და ფილოსოფია. რელიგია არ არის ფილოსოფია. ისინი კულტურის ორი, არსებითად განსხვავებული ფორმაა. პირველი — არათეორიული, ხოლო მეორე თეორიული მსოფლმხედველობაა. მაგრამ არსებობდა და დღესაც არსებობს რელიგიური ფილოსოფია. ეს ფილოსოფიის ისეთი სახეა, რომელიც ორიენტირებულია რელიგიაზე. მისი მიზანია რელიგიური დოგმებისა და ძირითადი დებულებების ინტერპრეტაცია. რწმენისა და ცოდნის მიმართება, ღმერთის არსებობის დასაბუთება, სამყარო როგორც ღმერთის შემოქმედება და მისი სიბრძნის დადასტურება, ნების თავისუფლების პრობლემა, ადამიანის დანიშნულება — აი, დაახლოებით საკითხების ის წრე, რომელიც რელიგიური ფილოსოფიის ყურადღების ცენტრშია. რელიგიაში ეს საკითხები წარმოდგენების დონეზეა მოცემული, ყოველგვარი თეორიული გააზრებისა და დასაბუთების გარეშე. ფილოსოფია კი ცდილობს მათ თეორიულ მოაზრებასა და ინტერპრეტაციას. მაგალითად, ავიღოთ ღმერთის არსებობის საკითხი. ეს პრობლემა არაა რელიგიისათვის. იგი მას უშვებს ყოველგვარი ეჭვის გარეშე. ამიტომ მისთვის ღმერთის არსებობის დასაბუთების პრობლემა არ დგას.ფილოსოფია კი მას სვამს და ცდილობს მის თეორიულ დაფუძნებას. მან წამოაყენა ღმერთის არსებობის დასაბუთების არგუმენტები. კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ ეს არის ღმერთის არსებობის ფილოსოფიური და არა რელიგიური არგუმენტები. რელიგიას არ სჭირდება ამგვარი საბუთები, რადგან მისთვის ღმერთის არსებობის პრობლემა არ დგას. ღმერთის არსებობა და მისი ყოვლისშემძლეობა უტყუარი და უეჭველი ფაქტია, რომელიც ყოველ ადამიანს რწმენის მეშვეობით ეძლევა. იგი გამოცხადებაა, რომელსაც არ სჭირდება თეორიული დასაბუთება.

შუა საუკუნეებში ფილოსოფია მხოლოდ რელიგიური იყო. ამ პერიოდში მან იკისრა სამარცხვინო როლი — გახდა თეოლოგიის მსახური. აღორძინების ეპოქიდან იწყება მისი განთავისუფლების პროცესი, რომელმაც ახალ დროში მიაღწია სრულ განთავისუფლებას. რასაკვირველია, ეს არ ნიშნავს, რომ სრულიად გაქრა რელიგიური ფილოსოფია. იგი მაინც განაგრძობს არსებობას, მაგრამ როგორც ფილოსოფიის ერთ-ერთი და არა ერთადერთი სახე.

რელიგიასთან მიმართებაში ჩამოყალიბდა რამდენიმე ფილოსოფიური მიმდინარეობა: თეიზმი, დეიზმი, პანთეიზმი და ათეიზმი. *თეიზმი* აღიარებს ღმერთის არსებობას. იგი ამართლებს მორწმუნეობასა და ღვთისმოსაობას. ღმერთი განსაზღვრავს მოვლენათა ცვალებადობას და ადამიანის ბედს. მისი ნების გარეშე სამყაროში არაფერი ხდება. *დეიზმი* მიიჩნევს, რომ სამყაროს შემოქმედი ღმერთია, მაგრამ შექმნის აქტის შემდეგ იგი მის საქმეებში აღარ ერევა. *პანთეიზმი* აიგივებს ღმერთს და ბუნებას ერთმანეთთან. ღმერთი არსებობს, მაგრამ არა ბუნების მიღმა, არამედ მასშია რეალიზებული. ათეიზმი არის თეორია, რომელიც უარყოფს ღმერთის არსებობას. იგი ამართლებს უღმერთობასა და ურწმუნობას. მისთვის ღმერთის რწმენა ცრურწმენაა, რომელიც მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის კვალობაზე დაიძლევა.

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ეპოქა და რელიგია.

რელიგია წარმოიშვა მაშინ, როდესაც მეცნიერება საერთოდ არ არსებობდა, ხოლო ტექნიკის განვითარების დონე ძალიან დაბალი იყო. შემდგომ რელიგიის გავრცელებას ხელს უწყობდა განათლებისა და კულტურის ჩამორჩენილობა. ბუნებრივად ისმის კითხვა: როგორია რელიგიის ბედი მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ეპოქაში? თითქოს ისინი შეუთავსებელია – მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი უნდა იწვევდეს რელიგიის თანდათანობით გაქრობას, მაგრამ რეალური ვითარება მეტყველებს საწინააღმდეგოზე – რელიგია განაგრძობს არსებობას, იგი მყარად ინარჩუნებს თავის პოზიციებს.

XVII-XVIII საუკუნეებში ფართოდ გავრცელდა შეხედულება, რომლის თანახმად, მეცნიერებისა და განათლების განვითარების საფუძველზე რელიგია თანდათან დაკარგავს ძალას და გაქრება. იგი აღმოჩნდა ილუზია. საქმე ისაა, რომ მეცნიერება და რელიგია არ გამორიცხავს ერთმანეთს. მათ გამოყენების თავისი საზღვრები და განსხვავებული მიზნები აქვთ. რელიგია ემყარება რწმენას. იგი მიმართულია ადამიანის გულზე და მისი მიზანია მოუტანოს მას სულიერი სიმშვიდე. მეცნიერება ემყარება ცოდნას. იგი მიმართულია ადამიანის გონებაზე და მისი მიზანია ჭეშმარიტი ცოდნა მისცეს მას. რელიგია მეცნიერებას ვერ შეცვლის და პირიქით. მათ სრულიად განსხვავებული ადგილი უკავიათ ადამიანის ცხოვრებაში.

რელიგიას ხშირად აკრიტიკებენ მეცნიერების პოზიციიდან და აღნიშნავენ, რომ სამყაროს რელიგიური სურათი არამეცნიერულია. აქედან ასკვნიან, რომ რელიგიის შინაარსი არამეცნიერულია, ამიტომ იგი უნდა უარვყოთ. ეს არგუმენტი გაუგებრობაზეა აგებული. ის, რომ რელიგიის შინაარსი არამეცნიერულია, ეს უდავოა. მაგრამ ამას თვით რელიგია აღიარებს. იგი არ უარყოფს თავის არამეცნიერულ ხასიათს, პირიქით, მას არავითარი პრეტენზია მეცნიერულობაზე არა აქვს. ამიტომ რელიგიის არამეცნიერულობის მტკიცება იქნება არა რელიგიის უარყოფა, არამედ მისი თავისებურების ჩვენება. ეს არგუმენტი გამოდგებოდა იმ შემთხვევაში, თუ რელიგიას ექნებოდა პრეტენზია მეც-

ნიერულობაზე. რელიგია რომ ამტკიცებდეს თავის მეცნიერულობას და თქვენ პირიქით, აჩვენოთ, რომ იგი ამგვარ ხასიათს მოკლებულია, მაშინ ბოლამდე-ტანილი არგუმენტი გამართლებული იქნებოდა. იგი იქნებოდა იმის მაუწყებელი, რომ რელიგიაა ცრუმეცნიერებაა, ე. ი. მას პრეტენზია აქვს მეცნიერულობაზე, მაგრამ სინამდვილეში მეცნიერება არაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რელიგია მეცნიერება არ არის და არც პრეტენზია აქვს მეცნიერულობაზე. ამის გამო მისი კრიტიკა მეცნიერების პოზიციიდან ყოვლად დაუშვებელია. მეცნიერება და რელიგია ადამიანის განსხვავებულ მოთხოვნილებებს აკმაყოფილებენ. ადამიანს აქვს ცოდნისა და რწმენის მოთხოვნილება, მას ერთიც უნდა და მეორეც. პირველს აკმაყოფილებს მეცნიერება, ხოლო მეორეს — რელიგია.

რელიგისა და მეცნიერების დაპირისპირება განპირობებული იყო იდეოლოგიური მოსაზრებებით: როცა იდეოლოგიის გაბატონებული ფორმა რელიგია იყო, იგი დევნიდა მეცნიერებას. ასეთი სულისკვეთება სუფევდა შუა საუკუნეებში. როდესაც იდეოლოგიის გაბატონებული ფორმა გახდა მეცნიერება, მან დევნა დაუწყო რელიგიას. ასეთმა ატმოსფერომ დაისადგურა სოციალისტურ ქვეყნებში.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი არა თუ ასუსტებს, არამედ აძლიერებს რელიგიის პოზიციებს. იგი ხელს უწყობს რელიგიური გრძნობის გაღრმავებას. ეს არის შიში და შეძრწუნება იმ მოსალოდნელი საფრთხით, რომელიც ემუქრება კაცობრიობას. მეცნიერულ-ტექნიკურ რევოლუციას ორგვარი შედეგი აქვს: ერთი მხრივ, იგი ხელს უწყობს ადამიანის კეთილდღეობისა და ცხოვრების დონის ამაღლებას, ხოლო მეორე მხრივ — მოსპობითა და განადგურებით ემუქრება არა თუ ცივილიზაციას, არამედ საერთოდ, სიცოხცლის არსებობას დედამიწაზე. საქმე ისაა, რომ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის შედეგად შეიქმნა მასობრივი მოსპობის იარაღი, რომლის გამოყენება კატასტროფას უქადის კაცობრიობას. ამან გაამძაფრა ადამიანის შეძრწუნება და აფორიაქება. იგი ხსნას რელიგიაში ეძებს, რომელიც მას ჰპირდება შველასა და სულიერ სიმშვიდეს.

ამგვარად, მტკიცება, რომლის თანახმად, რელიგია მომავალში თანდათან გაქრება, ილუზიაა. მას ადამიანის სულის ღრმა ფენებში აქვს ფესვი გადგმული. ამიტომ იგი იარსებებს მანამ, სანამ ადამიანი და მისი შემოქმედება — კულტურა იარსებებს.

დემოკრატიულ საზოგადოებაში რელიგიისადმი დამოკიდებულება შემდეგია: რელიგია გამოყოფილია სახელმწიფოსაგან. მისი აღიარება არ არის სავალდებულო. ეს პიროვნების კერძო საქმეა. ყოველ ადამიანს აქვს რწმენის თავისუფლება, რომლის მიხედვით, მას შეუძლია აირჩიოს ის რელიგია, რომელიც ყველაზე მისაღებად მიაჩნია ან საერთოდ უარი თქვას რელიგიაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არის თუ არა ფილოსოფია იდეოლოგია? ამ კითხვას რომ ვუპასუხოთ, უპირველეს ყოვლისა, განვმარტოთ იდეოლოგიის ცნება.

ИДЕОЛОГИИС ГАНСАХЛВРЕБА. იდეოლოგია არის იდეების, შეხედულებების, ღირებულებებისა და იდეალების თეორიული სისტემა, რომელიც გამოხატავს და იცავს ამა თუ იმ კლასის ან სოციალური ჯგუფის ინტერესებს და მიზნად ისახავს საზოგადოებრივი წყობილების შენარჩუნებას ან შეცვლას.

ტერმინი "იდეოლოგია" პირველად გამოიყენა ფრანგმა მოაზროვნემ და საზოგადო მოღვაწემ ანტუან დესტიუტ დე ტრასიმ. მან გამოაქვეყნა 4 ტომად ნაშრომი "იდეოლოგიის ელემენტები" (1801-1815), რომელშიც სცადა დაეფუძნებინა ახალი მეცნიერება – იდეოლოგია.

დესტიუტ დე ტრასიმ იდეოლოგია გაიგო როგორც მეცნიერება იდეების შესახებ და მიიჩნია იგი ძირითად ფილოსოფიურ დისციპლინად. შემდგომ ტერმინმა "იდეოლოგია" შინაარსი შეიცვალა. მან შეიძინა ნეგატიური მნიშვნელობა. ამას დასაბამი მისცა ნაპოლეონმა, რომელიც აკრიტიკებდა იდეოლოგიას როგორც ბუნდოვან მეტაფიზიკას, რადგან იგი მოწყვეტილია რეალურ ცხოვრებას და იკვლევს პირველად მიზეზებს. ნაპოლეონი აგრეთვე, ბრალს დებდა იდეოლოგებს და ადანაშაულებდა მათ ყველა იმ წარუმატებლობაში, რასაც ქვეყანა განიცდიდა. მისმა ამგვარმა დამოკიდებულებამ იდეოლოგიისადმი დასაბამი მისცა ტრადიციას, რომლის მიხედვით, იდეოლოგია დაუპირისპირდა მეცნიერებას. მეცნიერების ამოსავალი რეალობაა. იგი იკვლევს მას და ცდილობს მის ახსნას ბუნებრივი კანონების საფუძველზე, რომელთა დადგენა და შემოწმება ხდება ცდის საშუალებით. მისი პრინციპია – იდეების შესაბამისობა რეალობასთან და არა პირიქით. იდეოლოგიის ამოსავალი იდეებია. იგი ამოდის იდეებიდან და ცდილობს რეალობა დაუქვემდებაროს მათ. მისი პრინციპია – რეალობის შესაბამისობის დადგენა იდეებთან და არა პირიქით.

XIX საუკუნის 30-40-იან წლებში დამკვიდრდა ტერმინი "იდეოლოგია" ნეგატიური მნიშვნელობით, როგორც მეცნიერების საპირისპირო. ამ ფაქტმა ასახვა ჰპოვა მარქსისა და ენგელსის ნაშრომში "გერმანული იდეოლოგია" (1845-1846). ისინი იდეოლოგიას უწოდებდნენ "ყალბ ცნობიერებას", "ილუზორულ ცნობიერებას", რომელიც ცდილობს რეალობა მოაქციოს წინასწარ მიღებული იდეების მარწუხებში. მათ თავისი მოძღვრება არ მიაჩნდათ იდეოლოგიად. პირიქით, თვლიდნენ, რომ ისინი აყალიბებდნენ მეცნიერულ თვალსაზრისს, რომელიც ემყარება რეალობის ემპირიულ კვლევას.

იდეოლოგიის ნეგატიური შეფასება დამკვიდრდა თანამედროვე ფილოსოფიაში. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით "ცოდნის სოციოლოგიის" წარმომადგენლებს მაქს შელერს (1874-1928) და კარლ მანჰეიმს (1893-1947). შელერის თანახმად "იდეოლოგია არის ცრურწმენათა და ცთომილებათა სისტემა". მანჰეიმი თვლის, რომ იდეოლოგიასა და უტოპიას

ერთი საერთო საფუძველი აქვს. ეს არის ყალბი ცნობიერება. განსხვავება მათ შორის ისაა, რომ იდეოლოგია ცდილობს შეინარჩუნოს არსებული წყობილება, უტოპია კი ცდილობს შეცვალოს იგი. პირველი — აწმყოს, ხოლო მეორე — მომავალს ეხება. მაგრამ ორივესათვის საერთოა ის, რომ ისინი შეიცავენ არარეალურ, განუხორციელებელ იდეებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲘᲓᲔᲝᲚᲝᲒᲘᲘᲡ ᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲐ. იდეოლოგიაში შეიძლება გამოვყოთ შემდეგი ძირითადი მომენტები:

1) იდეებისა და შეხედულებების, ღირებულებებისა და იდეალების თეორიულად დასაბუთებული სისტემა. იგი მოიცავს განსხვავებული იდეების მთელ სპექტრს: ფილოსოფიურს, პოლიტიკურს, რელიგიურს, ეკონომიკურს, ზნეობრივს, ესთეტიკურს და სხვა. იდეოლოგია თეორიული სისტემაა, ამიტომ იგი ამ იდეებს აერთიანებს და აფუძნებს ერთი ამოსავალი პრინციპის მიხედვით.

2) იდეოლოგიის ძირითადი მიზანია არსებული საზოგადოებრივი წყობილების დაცვა ან კრიტიკა. შესაბამისად განასხვავებენ იდეოლოგიის ორ ტიპს: ერთი, რომელიც არსებულ მდგომარეობას იცავს და ამართლებს, ხოლო მეორე — აკრიტიკებს, რათა დაანგრიოს იგი და ააშენოს ახალი.

3) იდეოლოგია აუცილებლად კლასობრივია[1] იგი ვიღაცის ინტერესებს გამოხატავს და იცავს. ეს "ვიღაც" შეიძლება იყოს კლასი, სოციალური ჯგუფი, პარტია ან სახელმწიფო. შესაბამისად, იდეოლოგია იქნება კლასის, სოციალური ჯგუფის, პარტიის ან სახელმწიფოს იდეოლოგია. იგი არ შეიძლება იყოს ზეკლასობრივი, ე. ი. იდეოლოგია, რომელიც არ იქნება ვინმეს ინტერესების დამცველი და გამომხატველი, არ არსებობს. ვიღაცის ინტერესების დაცვა და სამსახური ყოველი იდეოლოგიის დამახასიათებელი მომენტია, რაც ნიშნავს, რომ იგი უსათუოდ აპოლოგეტიკაა (ბერძ. აპოლოგია ნიშნავს დაცვას).

ᲘᲓᲔᲝᲚᲝᲒᲘᲘᲡ ᲩᲐᲛᲝᲧᲐᲚᲘᲑᲔᲑᲐ. იდეოლოგია იმდენად არსებობს, რამდენადაც მას კლასი, სოციალური ჯგუფი, პარტია ან სახელმწიფო აღიარებს თავისი ინტერესების გამომხატველ და სამოქმედო პროგრამად. ამგვარი აღიარების გარეშე იგი არ არსებობს. თავისთავად თეორია იდეოლოგია არ არის. იგი თავიდანვე შეიძლება შეიქმნას ამ მიზნით, ე. ი. მას მიეცეს გარკვეული იდეოლოგიური ფუნქცია, მაგრამ ეს არ არის საკმარისი იმისათვის, რომ იგი იდეოლოგიად იქცეს. ამისათვის აუცილებელი და საკმარისი პირობა ისაა, რომ მოცემული თეორია *ვიღაცამ აღიაროს* თავის სამოქმედო პროგრამად. მხოლოდ ამის შემდეგ ხდება იგი იდეოლოგია. იმის მიხედვით, თუ ვინ (კლასი, სოციალური ჯგუფი, პარტია, სახელმწიფო და ა. შ.) აღიარებს მას, სახეზეა შესაბამისი იდეოლოგია. იგი შეიძლება იყოს კლასის ან

---

[1]ამ შემთხვევაში ტერმინი კლასობრივი იხმარება ფართო აზრით. იგი არ აღნიშნავს მხოლოდ კლასის ინტერესებს. კლასობრივი უსათუოდ ნიშნავს ვიღაცის ინტერესების დაცვასა და მის სამსახურს. თუ კონკრეტულად ვინ იქნება ეს "ვიღაცა" — კლასი, სოციალური ჯგუფი, პარტია თუ სახელმწიფო — ამას პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს.

სოციალური ჯგუფის, პარტიის ან სახელმწიფოს და ა. შ. იდეოლოგია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განვიხილოთ ქრისტიანობის იდეოლოგიად გადაქცევის მაგალითი. ვისი იდეოლოგიაა იგი? როდესაც ქრისტიანული იდეები ყალიბდებოდა, ჯერ ჯერ არავის იდეოლოგიას არ წარმოადგენდა. მათ იზიარებდა და აღიარებდა ქრისტეს მიმდევართა ვიწრო წრე. შემდეგ ამ სარწმუნოებამ გავრცელება ჰპოვა მშრომელთა ფართო მასებში. ასე გახდა იგი მაშვრალთა და ტანჯულთა იდეოლოგია. მაგრამ მას ჯერ არ მიუღია სახელმწიფო იდეოლოგიის სტატუსი, რადგან არც ერთი სახელმწიფო არ აღიარებდა და არ სცნობდა. პირიქით, დაუნდობლად ებრძოდა მას და მის მიმდევრებს სიკვდილითაც კი სჯიდა.

პირველად ბიზანტიამ აღიარა იგი თავის ოფიციალურ სარწმუნოებად, რის შემდეგ იგი იქცა სახელმწიფო იდეოლოგიად. შუა საუკუნეებში მან მოიპოვა პრივილეგიური მდგომარეობა და მრავალ ქვეყანაში შეიძინა აღნიშნული სტატუსი. უკვე სახელმწიფო არა მხოლოდ მფარველობს და იცავს მას, არამედ სასტიკად სდევნის და სჯის მის მოწინააღმდეგეებს. ახალ დროში კაპიტალიზმის განვითარების შედეგად რელიგია გამოეყო სახელმწიფოს, ამიტომ ქრისტიანობამ დაკარგა სახელმწიფო იდეოლოგიის სტატუსი და მორწმუნეთა კერძო საქმედ იქცა. დღეს ცივილიზებულ ქვეყნებში ქრისტიანობა აღარ არის სახელმწიფო იდეოლოგია. იგი მხოლოდ ქრისტიანული ეკლესიისა და მისი მრევლის იდეოლოგიაა.

ანალოგიურია მარქსიზმის, როგორც იდეოლოგიის ბედიც, იგი ჩამოყალიბეს მარქსმა და ენგელსმა XIX საუკუნის 40-იან წლებში. ვისი იდეოლოგია იყო იგი? თავდაპირველად არავისი, რადგან მას არავინ არ იზიარებდა და არ აღიარებდა. ევროპისა და ამერიკის ქვეყნებში თანდათან ჩამოყალიბდა კომუნისტური პარტიები და ორგანიზაციები, რომელთაც იგი აღიარეს თავის სამოქმედო პროგრამად. მარქსიზმი იქცა მათ იდეოლოგიად. შემდეგ მან ზოგიერთი ქვეყნის მუშათა კლასშიც ჰპოვა გავრცელება და აღიარება, რის გამოც იგი მათი იდეოლოგია გახდა. მაგრამ ის ჯერ კიდევ არ არის სახელმწიფო იდეოლოგია, რადგან არც ერთი სახელმწიფო მას არ აღიარებს. ამგვარი სტატუსი მან მოიპოვა მხოლოდ 1917 წლის ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ, როდესაც შეიქმნა სოციალისტური სახელმწიფო და მან იგი აღიარა თავის ოფიციალურ იდეოლოგიად. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ წარმოქმნილმა სოციალისტურმა ქვეყნებმა მიიღეს იგი თავიანთ სახელმწიფო იდეოლოგიად. სოციალისტური ბანაკის დაშლის შემდეგ მარქსიზმმა დაკარგა სახელმწიფო სტატუსი, რადგან ყოფილმა სოციალისტურმა ქვეყნებმა უარი თქვეს მასზე. დღეს მარქსიზმი მხოლოდ იმ კომუნისტური პარტიების ან ორგანიზაციების იდეოლოგიაა, რომლებიც მას აღიარებენ და მისდევენ.

ამგვარად, **რომელიმე თეორია რომ იდეოლოგიად ჩამოყალიბდეს ამის აუცილებელი და საკმარისი პირობაა ის, რომ იგი ვიღაცამ გაიზიაროს და აღიაროს თავის სამოქმედო პროგრამად.** ამასთან, ნებისმიერი თეორია, თუნდაც

თავისი შინაარსით არაიდეოლოგიური, შეიძლება იქცეს იდეოლოგიად. ამისათვის საკმარისია ის, რომ მას ვიღაცამ მიანიჭოს ამგვარი სტატუსი. მაგალითად, საბჭოთა კავშირში 40-იანი წლების დასასრულსა და 50-იანი წლების დასაწყისში ფიზიოლოგიაში პავლოვის თეორია მიჩნეულ იქნა მეცნიერების უმაღლეს მიღწევად. მისგან ყოველი გადახრა ითვლებოდა მკრეხელობად და იდევნებოდა. ამით პავლოვის თეორიამ შეიძინა იდეოლოგიური დატვირთვა. თავისი შინაარსით იგი მეცნიერული და არა იდეოლოგიური თეორიაა. მას დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს, მაგრამ არავითარი იდეოლოგიური ფუნქცია მის შემქმნელს მისთვის არ დაუსახავს. ამგვარი დანიშნულება მან შეიძინა მას შემდეგ, რაც იგი სახელმწიფომ თავისი მფარველობის ქვეშ აიყვანა და მისი დაცვა იკისრა. სახელმწიფომ დაუშვებლად მიიჩნია არა თუ მისი კრიტიკა, არამედ მისგან ოდნავი გადახრაც კი. ასე გადაიქცა გარკვეულ პირობებში არაიდეოლოგიური თეორია იდეოლოგიურად. პავლოვის თეორიამ მაშინვე დაკარგა იდეოლოგიური ფუნქცია, როგორც კი სახელმწიფომ მის მფარველობაზე უარი თქვა.

ვინ ქმნის იდეოლოგიას? იდეოლოგიას ქმნიან პიროვნებები, რომელთაც აქვთ სათანადო თეორიული ცოდნა და განათლება. იგი თეორიული სისტემაა, ამიტომ მისი ჩამოყალიბება შეუძლია მხოლოდ შესაბამისი მომზადებისა და ნიჭის მქონე ადამიანს. მაგრამ იდეოლოგიის მატარებელი სუბიექტია არა ის პიროვნებები, რომელთაც იგი შექმნეს, არამედ სულ სხვა, კერძოდ ის, ვინც მას აღიარებს თავის სამოქმედო პროგრამად. ასეთი კი არის კლასი, სოციალური ჯგუფი, პარტია, სახელმწიფო და ა. შ. არც ერთი მათგანი თვითონ იდეოლოგიას არ ქმნის. ისინი უკვე შექმნილ რომელიმე თეორიას იხდიან თავიანთ იდეოლოგიად.

ამგვარად, თეორიას ქმნის პიროვნება, ხოლო შემდეგ ხდება მისი გადაქცევა იდეოლოგიად. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი კლასი ან სოციალური ჯგუფი, პარტია ან სახელმწიფო დაინახავს მასში თავისი ინტერესების დამცველს და გაიხდის მას სამოქმედო პროგრამად.

მაშასადამე, თავისთავად თეორია იდეოლოგია არაა. იგი ამ ფუნქციას იძენს ან კარგავს. ნებისმიერი თეორია გარკვეულ პირობებში შეიძლება გახდეს იდეოლოგია.

ᲘᲓᲔᲝᲚᲝᲒᲘᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ. რა როლს ასრულებს იდეოლოგია საზოგადოებაში? მისი ძირითადი ფუნქციაა გამოხატოს და დაიცვას ვიღაცის ინტერესები, რათა გახდეს მისი სამოქმედო პროგრამა. სანიმუშოდ განვიხილოთ სახელმწიფო იდეოლოგია. რა როლს ასრულებს იგი საზოგადოების განვითარებაში? სახელმწიფო იდეოლოგიაა ის თეორია ან სისტემა, რომელსაც იგი მიიჩნევს თავისი ინტერესების გამომხატველად და გაიხდის სამოქმედო პროგრამად. შუა საუკუნეებში ამგვარ იდეოლოგიად ითვლებოდა რელიგია. ყველა სოციალისტურ სახელმწიფოს თავის იდეოლოგიად მიაჩნდა მარქსიზმ-ლენინიზმი.

როდესაც რომელიმე თეორია სახელმწიფო იდეოლოგია ხდება, იგი იძენს

პრივილეგიას და იწყებს გაბატონებას საზოგადოებაში. მისი კრიტიკა აკრძალულია და კანონით ისჯება. ყველამ უნდა გაიზიაროს და აღიაროს იგი. სხვაგვარად აზროვნება ანუ დისიდენტობა დაუშვებელია. სახელმწიფო იდეოლოგია ტოტალიტარიზმისა და დიქტატურის თეორიული საფუძველია. ამიტომ მისი აღიარება და მიღება არადემოკრატიული საზოგადოების არსებობისა და ფუნქციობის აუცილებელი პირობაა. ტოტალიტარიზმი და დიქტატურა შესაბამისი სახელმწიფო იდეოლოგიის გარეშე არ არსებობს.

სახელმწიფო იდეოლოგია უარყოფით როლს ასრულებს საზოგადოების განვითარებაში. იგი ზღუდავს პიროვნებას, ხელს უშლის მისი ინდივიდუალური ნიჭისა და უნარების გაშლას. ყოველი ადამიანის ვალია იფიქროს და იაზროვნოს ისე, როგორც ამას იდეოლოგია მოითხოვს. მას კანონით აკრძალული აქვს სხვაგვარად აზროვნება. კულტურის ნებისმიერი ფორმა იდეოლოგიურ დატვირთვას იღებს. ფილოსოფია, რელიგია, ხელოვნება, მეცნიერება და პოლიტიკა იდეოლოგიის მსახური ხდება. მათი ვალია მისი დაცვა და გამართლება. ეს გარემოება ზღუდავს და აფერხებს კულტურის განვითარებას, ცალმხრივსა და ერთფეროვანს ხდის მას.

დეიდეოლოგიზაციის პრობლემა. დეიდეოლოგიზაცია გულისხმობს საზოგადოების განთავისუფლებას იდეოლოგიის მარწუხებისაგან. შესაძლებელია თუ არა იდეოლოგიის უარყოფა? შეუძლია კი საზოგადოებას მის გარეშე არსებობა? ზოგიერთი თვლის, რომ იდეოლოგიის უარყოფა საერთოდ არ შეიძლება, რადგან ყოველი ამგვარი უარყოფა თვითონ გულისხმობს გარკვეული იდეოლოგიის დამკვიდრებას. ამიტომ უნდა დაისვას არა საერთოდ იდეოლოგიის უარყოფის, არამედ მისი ერთი ფორმის მეორეთი შეცვლის საკითხი.

აღნიშნული მოსაზრება გაუგებრობაზეა აგებული. საქმე ისაა, რომ დეიდეოლოგიზაციის პრობლემა გულისხმობს არა საზოგადოდ იდეოლოგიის, არამედ მხოლოდ სახელმწიფო იდეოლოგიის უარყოფას. საზოგადოება უნდა გათავისუფლდეს სახელმწიფო იდეოლოგიისაგან. სახელმწიფომ უარი უნდა თქვას საზოგადოების იდეოლოგიურ მართვაზე. მმართველობა უნდა ხორციელდებოდეს კონსტიტუციისა და კანონის საფუძველზე. რაც შეეხება პარტიებსა და ორგანიზაციებს, მიიღებენ თუ არა ისინი რაიმე იდეოლოგიას და, სახელდობრ, რომელ თეორიას, მათი კერძო საქმეა.

ამგვარად, დეიდეოლოგიზაცია არის სახელმწიფო იდეოლოგიის გაუქმება და მისი მარწუხებისაგან საზოგადოების გათავისუფლება. ეს პროცესი განხორციელებულია თანამედროვე დემოკრატიულ, ცივილიზებულ ქვეყნებში.

იდეოლოგია და მსოფლმხედველობა. იდეოლოგიას და მსოფლმხედველობას ზოგი რამ საერთო აქვთ. მაგალითად, მათთვის საერთოა ის, რომ ორივე გარკვეულ მრწამსსა და მოქმედების პროგრამას აძლევს ადამიანს. მაგრამ მათ შორის არსებითი განსხვავებაა, რაც ძირითადად შეიძლება გამოიხატოს შემდეგით:

ა) იდეოლოგია ყოველთვის თეორიული სისტემაა, მსოფლმხედველობა კი შეიძლება იყოს არათეორიულიც.

ბ) მსოფლმხედველობის მიზანია მოიაზროს სამყარო როგორც მთელი

და გაარკვიოს ადამიანის დანიშნულება სამყაროში, იდეოლოგია კი ძირითადად იზლუდება საზოგადოებრივი წყობილების არსის დახასიათებით და განსაზღვრავს კლასის ან სოციალური ჯგუფის, პარტიის ან სახელმწიფოს როლსა და მიზანს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) მსოფლმხედველობა ადამიანის მრწამსსა და ღირებულებით ორიენტაციას გამოხატავს. მისი მიღება ყოველთვის ინდივიდუალურია. ყოველი ადამიანი თვითონ, ნებაყოფლობით წყვეტს, თუ რომელ მსოფლმხედველობას აირჩევს იგი. იდეოლოგია კი სოციალური ჯგუფის ან ორგანიზაციის როლსა და მიზანს განსაზღვრავს. მისი მიღება ინდივიდის მიერ ყოველთვის არ ხდება ნებაყოფლობით. დიქტატორულ საზოგადოებაში მოქალაქე იძულებულია მიიღოს სახელმწიფო იდეოლოგია. ეს არის არა მისი პირადი საქმე, არამედ სახელმწიფოებრივი ვალი.

დ) იდეოლოგია ვიღაცის ინტერესებს იცავს, ამიტომ იგი აპოლოგეტიკაა, მსოფლმხედველობა კი მოკლებულია ამ ფუნქციას.

როგორც ვხედავთ, მსოფლმხედველობა არსებითად განსხვავდება იდეოლოგიისგან, მაგრამ გარკვეულ პირობებში მან შეიძლება იდეოლოგიური ფუნქცია შეიძინოს.

ფილოსოფია და იდეოლოგია. ფილოსოფია არ არის იდეოლოგია. მას აქვს მსოფლმხედველობრივი, მაგრამ არა იდეოლოგიური ფუნქცია. იდეოლოგია შეიცავს ფილოსოფიურ იდეებს, მაგრამ ამით არ ამოიწურება. მისი შინაარსი გაცილებით ფართოა. იგი მოიცავს პოლიტიკურ, სამართლებრივ, ეკონომიკურ, რელიგიურ და სხვა იდეებსაც.

გარკვეულ პირობებში ფილოსოფია შეიძლება გახდეს იდეოლოგია. საზოგადოებამ შეიძლება მას დააკისროს იდეოლოგიური ფუნქცია. ასე დაემართა ფილოსოფიას შუა საუკუნეებში, როდესაც მას დაეკისრა თეოლოგიის სამსახური. ეს ნიშნავდა, რომ ფილოსოფიამ დაკარგა დამოუკიდებლობა და დაექვემდებარა ღვთისმეტყველებას. მას უნდა ეკვლია რელიგიური დოგმები და დაედასტურებინა მათი ჭეშმარიტება. ასე დაემართა მარქსისტულ ფილოსოფიასაც, რომელიც გახდა პროლეტარიატის იდეოლოგიის თეორიული საფუძველი.

დეიდეოლოგიზაციის პროცესი მოითხოვს ფილოსოფიის განთავისუფლებას იდეოლოგიური ფუნქციისაგან. იგი დამოუკიდებელი, თავისთავადი ღირებულების მქონე დარგია, რომელიც არავის ემონება და არც ემსახურება. მისი ძირითადი დანიშნულებაა თეორიული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება. თუ შემდეგ რა მიზნით იქნება იგი გამოყენებული, ეს უკვე დამოკიდებულია არა მასზე, არამედ საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტრუქტურაზე. დიქტატორული რეჟიმის პირობებში მას იდეოლოგიურ ფუნქციას აკისრებენ, დემოკრატიული საზოგადოება კი მას ათავისუფლებს ამ მძიმე მოვალეობისაგან.

მეცნიერება და იდეოლოგია. მეცნიერება არ არის იდეოლოგია. მისი მიზანია ჭეშმარიტების დადგენა და არა ვიღაცის ინტერესების გამოხატვა და დაცვა. იგი არის ობიექტური და მიუკერძოებელი. მას აინტერესებს ერთადერთი რამ: გამოიკვლიოს და დაადგინოს საგნობრივი ვითარება, ე. ი. ჭეშ-

მარიტი ცოდნა. მაგრამ თუ ვინ, როგორ და რისთვის გამოიყენებს ამ ცოდნას, ეს მისი კომპეტენციის ფარგლებს გარეთაა. იდეოლოგიის მიზანი კი სულ სხვა: მას აინტერესებს გამოხატოს და დაიცვას იმ კლასის ინტერესები, რომლის იდეოლოგიასაც იგი წარმოადგენს. იგი მიკერძოებული და ტენდენციურია. მას აინტერესებს არა ჭეშმარიტების დადგენა, არამედ თავისი კლასის ინტერესების დაცვა. იგი ყოველი ფაქტის შეფასებას ახდენს კლასობრივი პოზიციიდან — რამდენად სასარგებლოა ამ ფაქტის აღიარება მისთვის.

ამგვარად, მეცნიერება და იდეოლოგია არსებითად განსხვავდება ერთმანეთისაგან. მეცნიერება არაკლასობრივია და მისი მიზანია ჭეშმარიტების დადგენა. იდეოლოგია კლასობრივია და მისი მიზანია ვიღაცის აპოლოგეტიკა. მეცნიერების ამოსავალი რეალობაა და ცდილობს მის ობიექტურ, მიუკერძოებელ შემეცნებას. იდეოლოგიის ამოსავალი იდეებია და არა რეალობა. ეს უკანასკნელი მას აინტერესებს როგორც მისი პრინციპების პრაქტიკული განხორციელება და დადასტურება. იგი იდეებს კი არ უქვემდებარებს რეალობას, არამედ პირიქით — რეალობას უქვემდებარებს იდეებს. თითქოს რეალობას სხვა დანიშნულება არ ჰქონდეს, გარდა იმისა, რომ შეესაბამებოდეს და ადასტურებდეს მოცემულ იდეოლოგიას. რაც არ უნდა მოხდეს სამყაროში, რაც არ უნდა რადიკალურად შეიცვალოს საზოგადოებრივი ცხოვრება, ეს გავლენას არ ახდენს იდეოლოგიაზე. მისი ძირითადი პრინციპები და დასკვნები მაინც ურყევია. ამიტომ იდეოლოგია ყოველთვის ახდენს რეალობის შეფერადებასა და შელამაზებას, რითაც აყალბებს და ამახინჯებს მას.

როგორც ვხედავთ, **მეცნიერება და იდეოლოგია თავიანთი არსის მიხედვით შეუთავსებელია ერთმანეთთან.** შეუძლებელია მეცნიერება იყოს იდეოლოგიური და იდეოლოგია — მეცნიერული.

ლენინმა შემოიტანა მეცნიერული იდეოლოგიის ცნება და ამგვარ იდეოლოგიად მიიჩნია ერთადერთი თეორია — მარქსიზმი. ამ თვალსაზრისს უნდა მიეცეს უარყოფითი შეფასება, რადგან მეცნიერული იდეოლოგიის არსებობა პრინციპულად შეუძლებელია. რაც შეეხება მარქსიზმს, დღეს უკვე არა მხოლოდ თეორიულად, არამედ პრაქტიკულადაც გამომჟღავნდა მისი უტოპიური და არამეცნიერული ხასიათი.

მეცნიერების შეუთავსებლობა იდეოლოგიასთან არ გამორიცხავს, რომ ამ უკანასკნელს შეუძლია მისი დაქვემდებარება და გამოყენება. ეს უკვე საზოგადოებრივ წყობილებაზეა დამოკიდებული. რასაკვირველია, დიქტატურა კულტურის ყველა ფორმას, მათ შორის მეცნიერებასაც იდეოლოგიურ დატვირთვას აძლევს. ამგვარ საზოგადოებაში მეცნიერება, განსაკუთრებით, ჰუმანიტარული დისციპლინები, იდეოლოგიურ სამსახურში დგებიან და ასრულებენ მის სოციალურ დაკვეთას. დემოკრატიულ საზოგადოებაში დეიდეოლოგიზაცია მეცნიერებასაც ეხება, რაც მას საშუალებას აძლევს მთელი სისრულით გამოავლინოს თავისი შესაძლებლობები და განვითარდეს როგორც დამოუკიდებელი დარგი.

რისთვის სჭირდება ფილოსოფიის სწავლება სტუდენტ ახალგაზრდობას?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველ ადამიანს აქვს მსოფლმხედველობა. იგი შეიძლება იყოს თეორიული ან არათეორიული. ჩვეულებრივად, ადამიანს არათეორიული მსოფლმხედველობა აქვს, ამიტომ იგი არ მიმართავს ფილოსოფიას. მას შეუძლია მის გარეშეც იოლად იცხოვროს და პრაქტიკულადაც ძალიან წარმატებით გაართვას თავი ყოველდღიურ სიძნელეებს. მაგრამ თუ ადამიანს უნდა, რომ გააცნობიეროს და თეორიულად დაიფუძნოს თავისი მსოფლმხედველობა, მაშინ მან უსათუოდ უნდა მიმართოს ფილოსოფიას. მხოლოდ ფილოსოფიის საშუალებით შეიძლება იგი ეზიაროს თეორიულ მსოფლმხედველობას, რადგან არაფილოსოფიური თეორიული მსოფლმხედველობა საერთოდ არ არსებობს.

ახლა ჩვენ ვსვამთ კონკრეტულ კითხვას: რისთვის სჭირდება სტუდენტ ახალგაზრდობას ფილოსოფია? რატომ უნდა ისწავლოს მან იგი?

დღემდე ყველაფერი ნათელი იყო, რადგან ჩვენ ვცხოვრობდით იდეოლოგიზებულ საზოგადოებაში. არსებობდა მხოლოდ სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლები, რომელთა მსმენლები ვალდებულნი იყვნენ სპეციალობის გარდა დაუფლებოდნენ ოფიციალურ იდეოლოგიას. სახელმწიფო იდეოლოგია იყო მარქსიზმ-ლენინიზმი. ამიტომ სტუდენტები ვალდებულნი იყვნენ ესწავლათ იგი. შესაბამისად, უმაღლეს სასწავლებლებში ისწავლებოდა მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფია, როგორც ამ იდეოლოგიის შემადგენელი ნაწილი. ამგვარად, ფილოსოფიის სწავლებას ჰქონდა იდეოლოგიური ფუნქცია და დატვირთვა.

დღეს ჩვენს საზოგადოებაში მიმდინარეობს დეიდეოლოგიზაციის პროცესი. იგი მოიცავს უმაღლეს სასწავლებლებში სწავლების პროცესსაც. მისი მიზანი ერთადერთია: თანამედროვე მეცნიერების შესწავლის საფუძველზე ფართო ერუდიციის მქონე სპეციალისტის აღზრდა. პროფესიონალიზმი და სპეციალიზაცია ყოველგვარი იდეოლოგიური დატვირთვის გარეშე – აი უმაღლესი სკოლის ძირითადი დანიშნულება. რა ადგილი რჩება ფილოსოფიას ამ პროცესში? თუ იდეოლოგიური არა, მაშინ სხვა რა ფუნქცია შეიძლება მას დაეკისროს?

ფილოსოფიის სწავლება სპეციალისტის აღზრდის აუცილებელი პირობაა. რა გინდ პარადოქსულად ჟღერდეს ეს დებულება, იგი მაინც ჭეშმარიტია. ნათლად გავაცნობიეროთ და გავაანალიზოთ იგი.

ყოველი სპეციალობის საფუძველია შესაბამისი მეცნიერებანი. მეცნიერება თეორიული სისტემაა, რომლის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია ფილოსოფია. ყოველ მეცნიერებას თავისი ფილოსოფია აქვს. არსებობს მათემატიკის ფილოსოფია, ფიზიკის ფილოსოფია, ბიოლოგიის ფილოსოფია და ა. შ. აგრეთვე არსებობს მედიცინის ფილოსოფია, რომელიც მოიცავს მკურნალობის თეორიისა და პრაქტიკის მსოფლმხედველობრივი პრობლემების თეორიულ გააზრებას.

ნებისმიერი სპეციალობის მეცნიერული საფუძველი მოიცავს ფილოსოფიურ მხარესაც, რადგან ეს უკანასკნელი მისი აუცილებელი მომენტია. ამიტომ

სპეციალობის დაუფლება გულისხმობს შესაბამისი ფილოსოფიის ცოდნასაც. თუ გვინდა, რომ მაღალკვალიფიციური სპეციალისტი გავზარდოთ, მაშინ აუცილებელია, რომ მას სათანადო განათლება მივცეთ, რადგან ეს მისი სპეციალობის განუყრელი მომენტია.

შეიძლება შემოგვედაონ: სჭირდება კი ფილოსოფია სპეციალისტს მის კონკრეტულ საქმიანობაში? რა დახმარებას გაუწევს ქირურგს ფილოსოფია ოპერაციის ჩატარების დროს? რა თქმა უნდა, არავითარს. აქ მთავარია ქირურგის საგანგებო, სპეციალური თეორიული მომზადება და დაოსტატება. ამ კონკრეტულ სიტუაციაში მას სხვა, მათ შორის, ზოგადფილოსოფიური განათლება არ გამოადგება. მაგრამ სანამ ქირურგი საოპერაციო მაგიდასთან მივიდოდეს, მას სჭირდება მეცნიერებათა მთელი კომპლექსის ცოდნა. მან კარგად უნდა იცოდეს ადამიანის სხეულის აღნაგობა, მისი ნერვიული სისტემა, ფსიქიკა და ა. შ. ამისათვის კი აუცილებელია, რომ მან სათანადოდ შეისწავლოს ადამიანის ანატომია, ფიზიოლოგია, ფსიქოლოგია და სხვა. ყველა ამ მეცნიერებას თავისი ფილოსოფიური მხარე აქვს. გარდა ამისა, ქირურგმა ნათლად უნდა გააცნობიეროს, რომ ყოველი დაავადება მიზეზობრივ კავშირშია ადამიანის მთლიან ორგანიზმთან, მემკვიდრეობით მიღებულ თვისებებთან, ოჯახთან, გარემოსთან და სხვა უამრავ ფაქტორთან. ერთი სიტყვით, მან უნდა იცოდეს ადამიანი და მისი გარემო. ამის ცოდნა კი სათანადო ფილოსოფიურ განათლებას მოითხოვს.

ყურადღება გვინდა მივაქციოთ ერთ მნიშვნელოვან გარემოებას. ქირურგი მედიცინის დარგის მუშაკია. მისი ვიწრო სპეციალობის საფუძველია ზოგადი სამედიცინო განათლება. მან უნდა იცოდეს შემდეგი საკითხები: მედიცინის არსი, დანიშნულება და ფუნქციები. მედიცინის ადგილი, როლი და მნიშვნელობა საზოგადოებაში, მედიცინა და ტექნიკა, მედიცინის სოციალური და ეთიკური ასპექტები, პიროვნება და ინდივიდი, ორგანიზმის ნორმალური მდგომარეობა და პათოლოგია, ორგანიზმის ფუნქციობა და მიზეზობრივი კავშირები და მრავალი მსგავსი საკითხი, რომელთა ცოდნა აუცილებლობით გულისხმობს შესაბამის ფილოსოფიურ განათლებას.

მაშასადამე, ქირურგის როგორც სპეციალისტის ჩამოყალიბების აუცილებელი პირობა ისეთი განათლებაა, რომელიც თავის საფუძველში მოიცავს ფილოსოფიასაც. რა თქმა უნდა, უშუალოდ ოპერაციის პროცესში მას ფილოსოფიის ცოდნა არ სჭირდება, მაგრამ სანამ იგი ამ პროფესიას დაეუფლებოდეს და გახდებოდეს მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, მისი მომზადებისათვის აუცილებელია ისეთი ზოგადი სამედიცინო განათლება, რომელიც უსათუოდ მოითხოვს შესაბამის ფილოსოფიურ ცოდნას.

ანალოგიურად შეგვიძლია ვიმსჯელოთ ნებისმიერი სპეციალობის შესახებ, ამიტომ სავსებით დამაჯერებლად უნდა მივიჩნიოთ შემდეგი ზოგადი დასკვნა: **ყოველი სპეციალობის დაუფლება აუცილებლობით მოითხოვს სათანადო**

ფილოსოფიურ განათლებას. მაშასადამე, სტუდენტ ახალგაზრდობას ფილოსოფიის სწავლება სჭირდება იმისათვის, რომ გახდეს თავისი დარგის მაღალკვალიფიციური სპეციალისტი.

ისმება კითხვა: რომელი ფილოსოფიური დისციპლინა უნდა ვასწავლოთ სტუდენტობას? როგორც უკვე აღვნიშნეთ, ყოველ სპეციალობას თავისი შესატყვისი ფილოსოფია აქვს. რასაკვირველია, მათემატიკოსმა უნდა ისწავლოს მათემატიკის ფილოსოფია, ხოლო ექიმმა – მედიცინის ფილოსოფია. ამიტომ ფილოსოფიის სწავლება უნდა იყოს დიფერენცირებული. ყოველ სპეციალობაზე უნდა ვასწავლოთ მისი შესატყვისი ფილოსოფია, მაგრამ ეს გარემოება არ გამორიცხავს ზოგადფილოსოფიურ შესავალს, რომელშიც ყურადღება იქნება გამახვილებული იმ ზოგად პრობლემატიკაზე, რაც აუცილებელია მოცემული სპეციალობის ფილოსოფიის შესწავლისათვის.

ამგვარად, ფილოსოფიის კურსი უნდა შედგებოდეს ორი ნაწილისაგან: პირველი, რომელიც იქნება ზოგად-ფილოსოფიური და მეორე – მოცემული სპეციალობის ფილოსოფია. რაც შეეხება სამედიცინო სპეციალობის სტუდენტებისათვის, ზოგად-ფილოსოფიური შესავლის შემდეგ, ყველაზე მიზანშეწონილია წაკითხულ იქნას ანთროპოლოგია, რომლის მიზანია გაარკვიოს ადამიანის არსი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნაწილი მეორე

სამყარო და ადამიანი

სამყაროს ზოგადი დახასიათება

სამყაროს ცნება. თანამედროვე მეცნიერებასა და ფილოსოფიაში სამყაროს ცნება იხმარება ორი მნიშვნელობით: 1) სამყარო როგორც მთლიანი რეალობა, რომელიც არსებობს ობიექტურად, ე. ი. ადამიანისაგან დამოუკიდებლად და თავისთავად. იგი მოიცავს გალაქტიკასა და გარეგალაქტიკებს. ეს არის დროსა და სივრცეში უსასრულო, უსაზღვრო სამყარო, რომელსაც არც დასაბამი და არც დასასრული აქვს. იგი თავისი მოცულობითა და სიდიდით იმდენად უზარმაზარია, რომ ყოველგვარ ფანტაზიას აღემატება. მხოლოდ ჩვენი გალაქტიკა ითვლის ას მილიარდზე მეტ ვარსკვლავს. ახლა წარმოვიდგინოთ ვარსკვლავების გიგანტური სიდიდე და მანძილი, რომლითაც ისინი ერთმანეთისაგან დაშორებულია. დედამიწისათვის უახლოესია მზე, რომელიც მისგან დაშორებულია 150 მილიონი კილომეტრით. სხვა ვარსკვლავებისაგან დაშორების მანძილი გაიზომება სინათლის წლებით. ეს ნიშნავს, რომ თუ ვიმოძრავებთ სინათლის, ე. ი. წამში 300 000 კილომეტრის სიჩქარით, მაშინ უახლოეს ვარსკვლავს მივაღწევთ 4 წლის შემდეგ. სხვა ვარსკვლავები ჩვენგან დაშორებულია რამდენიმე ათეული და მილიონი სინათლის წლით. ამგვარად არის გაგებული სამყარო თანამედროვე ასტრონომიასა და ფიზიკაში. ეს არის თვალუწვდენელი, უკიდეგანო სამყარო, რომელსაც არც თავი აქვს და არც ბოლო. იგი ადამიანისათვის უცხო და შორეულია, ცივი და მიუკარებელია, რომელიც უშუალოდ არ მონაწილეობს მის ცხოვრებაში და არ ახდენს გავლენას მის ბედზე. ეს სამყარო ადამიანისათვის გამოცანაა, რომელიც მას ანცვიფრებს თავისი გრანდიოზულობითა და მასშტაბებით. 2) ადამიანის გარემომცველი სამყარო, რომელიც მისი მოქმედების არეალია. იგი პირდაპირ თუ არაპირდაპირ გავლენას ახდენს მის ცხოვრებაზე. ეს არის ხიფათებითა და მოულოდნელობებით, შესაძლებლობებითა და შეუძლებლობებით, გარდაუვალობებითა და შემთხვევითობებით აღსავსე სამყარო, რომელთანაც მას მუდმივი კონტაქტი აქვს. მათი ურთიერთობა ორმხრივია: ერთი მხრივ, ადამიანი თავისი საქმიანობით მასზე ზეგავლენას ახდენს, ხოლო მეორე მხრივ – თვითონ განიცდის მის ზემოქმედებას. მოცემული სამყარო იმ უკიდეგანო სამყაროს მხოლოდ პატარა კუნჭულია, უმნიშვნელო ნაწილია. ეს არის დედამიწა თავისი არაცოცხალი და ცოცხალი ბუნებით, რომელიც მზის სისტემაშია მოქცეული და ექვემდებარება მის კანონზომიერებას. იგი მოიცავს ორ ერთმანე-

თისაგან განსხვავებულ ნაწილს: ა) ბუნებას, რომელიც ადამიანს არ შეექმნია, არსებობს მისგან დამოუკიდებლად და თავისთავად; ბ) კულტურას, რომელიც ადამიანმა შექმნა თავისი საქმიანობით. იგი არსებობს როგორც ძირითადი ტიკული და სულიერი მოღვაწეობის შედეგი.

სამყარო, გაგებული პირველი მნიშვნელობით მეცნიერული კვლევისა და განსჯის ობიექტია. ფილოსოფიას საქმე აქვს სამყაროსთან მეორე აზრით. ჩვენს შემდგომ ბჭობაში სწორედ იგი გვექნება მხედველობაში.

სუბსტანციის პრობლემა. ტერმინი "სუბსტანცია" წარმოსდგება ლათინური სიტყვიდან, რომელიც ნიშნავს ქვემდებარეს, იმას, რაც საფუძვლად დევს. სამყარო მრავალფეროვანია და შედგება უამრავი, თვისებრივად ერთმანეთისაგან განსხვავებული საგნების, მოვლენებისა და პროცესებისაგან, ისმება კითხვა: ხომ არ არსებობს რაღაც ერთი ძირი, საფუძველი, საიდანაც ყველაფერი წარმოიშვა? ანუ სხვაგვარად: რა არის ის თავდაპირველი საწყისი, რომლისგანაც დასაბამს იღებს ყველა დანარჩენი? ამ კითხვაზე პასუხის გაცემის მცდელობით დაიწყო ფილოსოფიური აზროვნება ძველ საბერძნეთში. საწყისს ბერძნულად არხე ჰქვია, ამიტომ ეს კითხვა არხეს პრობლემის სახელითაა ცნობილი. რასაკვირველია, პირველი ბერძენი ფილოსოფოსების პასუხი დღეს ჩვენ გვეჩვენება გულუბრყვილოდ და სასაცილოდ. მაგალითად, თალესი თვლიდა, რომ არხე წყალია, ე. ი. ის ძირი, საიდანაც ყველაფერი წარმოიშვა, არის წყალი. ანაქსიმენი არხედ მიიჩნევდა ჰაერს, ხოლო ჰარაკლიტე — ცეცხლს. მაგრამ ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ ეს მეცნიერული აზროვნების პირველი ნაბიჯებია. ეს არის ეპოქა, როდესაც მეცნიერება როგორც აზროვნების დამოუკიდებელი ფორმა არ არსებობს და გაბატონებულია მითოლოგიურ-რელიგიური წარმოდგენები. ამ დროს ჩნდებიან მოაზროვნეები, რომლებიც ცდილობენ სამყაროს მოუძებნონ ბუნებრივი საწყისი. პრობლემის გადაწყვეტის ამგვარმა მცდელობამ მისცა დასაბამი ახალი ტიპის აზროვნებას, რომელსაც შედეგად მოჰყვა ფილოსოფიის და მეცნიერების ჩამოყალიბება.

სუბსტანციის პრობლემა ფილოსოფიაში ერთ-ერთი ძირითადია, რომელიც შემდგომ დაისვა ორი ასპექტით: 1) მთლიანად სამყაროს და 2) ინდივიდუალური საგნის მიმართ. მოკლედ გავაანალიზოთ თითოეული.

(1) **სამყაროს სუბსტანციის პრობლემა.** იგი გულისხმობს შემდეგს: სამყარო შექმნილია თუ არა? აქ ორი ურთიერთსაპირისპირო თვალსაზრისია: რელიგიური და არარელიგიური. რელიგია ამოდის შექმნის აქტიდან და მიიჩნევს, რომ სამყაროს შემოქმედი არის ღმერთი. ბიბლია მოგვითხრობს, თუ როგორ შექმნა ექვს დღეში არაფრისაგან სამყარო ღმერთმა. ამგვარი თვალსაზრისი ემყარება არა ცოდნას, არამედ რწმენას ღმერთის ყოვლადძლიერების შესახებ. ის, რაც ადამიანისათვის შეუძლებელია, ღმერთისათვის შესაძლებელია. ადამიანის გონებას ამ ფაქტის ახსნა ცოდნის საფუძველზე არ შეუძლია, ამიტომ მან უნდა დაიჯეროს, იწამოს იგი.

არარელიგიური თვალსაზრისი მიიჩნევს, რომ სამყარო არავის შეუქმნია. იგი მარადიულია, არსებობდა, არსებობს და მომავალშიც იარსებებს; განიცდის მუდმივ ცვალებადობას და განახლებას. არის კი რაიმე უცვლელი ამ მარადიულ ცვალებადობაში? ამ კითხვაზეც ორი პასუხია — **პოზიტივისტური და მეტაფიზიკური.** პირველი მეცნიერებაზე დაყრდნობით თვლის, რომ სუბსტანციის პრობლემა არამეცნიერული, უსაზრისო პრობლემაა. მისი მეცნიერულად დასაბუთებული, ცალსახა გადაწყვეტა არ არსებობს. იგი მეტაფიზიკური შინაარსის მქონეა, ამიტომ მასზე საერთოდ უარი ვთქვათ და ნურც განვიხილავთ. შემოვიფარგლოთ მხოლოდ იმით, რაც ცდაში გვეძლევა. ეს უკანასკნელი კი გვეუბნება, რომ უცვლელი არაფერია, ყველაფერი მუდმივ ცვალებადობას განიცდის. მეტაფიზიკური თვალსაზრისი აღიარებს სუბსტანციის არსებობას, მაგრამ მის შიგნით აზრთა სხვადასხვაობაა იმის თაობაზე თუ რამდენი სუბსტანციაა — ერთი, ორი თუ მრავალი. შესაბამისად არსებობს სამი მიმართულება — **მონიზმი, დუალიზმი და პლურალიზმი. მონიზმი** (ბერძნ. მონოს ნიშნავს ერთს) ამტკიცებს, რომ არსებობს ერთი სუბსტანცია, ერთი საწყისი, საიდანაც ყველაფერი წარმოიშობა. აქაც ორი ურთიერთსაპირისპირო მიმართულება გაჩნდა: მატერიალიზმი და იდეალიზმი. პირველი მიიჩნევს, რომ სამყაროს საწყისი მატერიალურია (სხეულებრივია), ხოლო მეორე ამგვარ საწყისად თვლის იდეას, იდეალურს. დუალიზმი აღიარებს ორ, ხოლო პლურალიზმი — მრავალ სუბსტანციას.

ფ. ენგელსი თვლიდა, რომ მატერიალიზმი და იდეალიზმი ფილოსოფიის ძირითადი მიმართულებებია. მას მიაჩნდა, რომ ფილოსოფიის ისტორია მატერიალიზმისა და იდეალიზმის ბრძოლის ისტორიაა. ამგვარი თვალსაზრისი არასწორია. ჯერ-ერთი, ფილოსოფიის თავისებურება ისაა, რომ ყველა პრობლემის გადაწყვეტა შესაბამის მიმართულებებს წარმოშობს. მატერიალიზმი და იდეალიზმი წარმოიქნა მხოლოდ სუბსტანციის პრობლემის გადაწყვეტასთან დაკავშირებით. სხვა პრობლემებს ფილოსოფიაში თავისი მიმართულებები აქვს, რომელთა დაყვანა მატერიალიზმზე და იდეალიზმზე ყოვლად დაუშვებელია. მეორე, არც სუბსტანციის პრობლემასთან დაკავშირებით არის მატერიალიზმი და იდეალიზმი ძირითადი. აქაც ისინი არსებობენ სხვა მიმართულებების გვერდით. მათ ისეთივე არსებობის უფლება აქვთ, როგორც სხვებს. ამგვარად, მატერიალიზმი და იდეალიზმი ფილოსოფიის არა ძირითადი, არამედ ერთ-ერთი მიმართულებებია, რომლებიც წარმოიშობიან კონკრეტული საკითხის, კერძოდ, სუბსტანციის პრობლემასთან დაკავშირებით.

(2) **ინდივიდუალური საგნის სუბსტანციის პრობლემა.** ეს საკითხი გულისხმობს შემდეგს: ინდივიდუალური საგანი არსებობს დროში — მას აქვს დასაწყისი და დასრული. იგი მოქცეულია დროის ორ მონაკვეთს შუა, რომლის განმავლობაში ითვლება ერთი და ივივე საგნად. მაგრამ განიცდის მუდმივ ცვალებადობას, განახლებას. განუწყვეტლივ იცვლება მისი თვისებები. არის

თუ არა საგანში რაიმე უცვლელი, რომლის გამოც იგი რჩება ერთი და იგივე საგნად? მაგალითად, ხე იზრდება, ისხამს ტოტებს და ფოთლებს. გარკვეული ხნის შემდეგ იგი ხმება და წყვეტს არსებობას. მაგრამ ამ ხნის განმავლობაში იგი რჩება ერთი და იგივე ხედ. ანალოგიურია მდგომარეობა ადამიანის შემთხვევაში: იბადება ბავშვი, იზრდება, ვაჟკაცდება, ბერდება და კვდება. იგი იცვლება ფიზიკურად და სულიერად. მიუხედავად ამისა, მაინც რჩება ერთიდაიგივე ადამიანად. რა არის ის უცვლელი საფუძველი, რომელიც მას ამ მუდმივ ცვალებადობაში აერთიანებს? ფილოსოფიაში ჩამოყალიბდა ტრადიცია, რომლის თანახმად, ამგვარ საფუძველს უწოდეს არსება. იგი გაგებულ იქნა როგორც უცვლელი, ზოგადი და აუცილებელი, რომელიც ყოველ საგანში არსებობს და განსაზღვრავს მის ერთიანობას. საგანი, როგორც მოვლენა იცვლება, მაგრამ მისი არსება უცვლელი და მყარია. მაშასადამე, საგნის სუბსტანცია არის არსება, რომელიც მისი ცვალებადობისა და ფუნქციობის აუცილებელი საფუძველია.

ამგვარად, ინდივიდუალური საგნის სუბსტანციის პრობლემა არის არა საგნის საწყისის, არამედ მისი არსების პრობლემა. არსებობს თუ არა არსება? — აი კითხვა, რომელიც მუდმივი დავის საგანი გახდა ფილოსოფიაში. აქაც ერთმანეთს დაუპირისპირდა მეტაფიზიკური და პოზიტივისტური თვალსაზრისი. პირველი თვლის, რომ ყოველ საგანს აქვს თავისი არსება, რომელიც მის თავისებურებას განსაზღვრავს, მეორე კი მიიჩნევს, რომ არსება არ არსებობს. იგი გამოგონილი, ცრუ ცნებაა, რომელსაც მეცნიერებასთან არაფერი აქვს საერთო, ამიტომ უარი უნდა ვთქვათ მის გამოყენებაზე.

ჩვენ შედარებით დაწვრილებით მიმოვიხილეთ სუბსტანციის პრობლემის გადაწყვეტის ვარიანტები, რათა ნათლად გვეჩვენებინა, რომ ფილოსოფიაში საკითხის ყოველ გადაწყვეტას აქვს თავისი ალტერნატივა. ეს გარემოება წარმოშობს განსხვავებულ შეხედულებებს — მიმართულებებს, რომელთა შორის შეურიგებელი პაექრობაა. მათი დაპირისპირება ემყარება პოზიციათა — ამოსავალი პრინციპების განსხვავებულობას, ამიტომ საკითხის საბოლოო, ცალსახა გადაწყვეტა მიუღწეველია. რომელი მიმართულება უნდა მივიჩნიოთ ჭეშმარიტად? როგორც უკვე აღვნიშნეთ, საკითხის ამგვარი დაყენება ფილოსოფიაში არამართებულია. იგი სამართლიანია მეცნიერებაში, სადაც ყოველი საკითხი საბოლოოდ ცალსახად — დადებითად ან უარყოფითად — გადაწყდება. ეს მეცნიერული აზროვნების დამახასიათებელი ნიშანია. ფილოსოფიაში კი ამგვარი რამ დაუშვებელია. ერთხელ კიდევ ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ ეს ფილოსოფიის ნაკლი კი არა, თავისებურებაა. აღნიშნული გარემოება მუდამ მხედველობაში უნდა ჰქონდეს მკითხველს, რათა გაიგოს ფილოსოფიური აზროვნების წესის განსხვავება მეცნიერულისაგან.

შემდგომ, ზოგჯერ ჩვენ გამოვტოვებთ საკითხის გადაწყვეტის ალტერნატულ ვარიანტებს. მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ ეს კეთდება გამარტივების მიზნით. ყოველ თვალსაზრისს შეიძლება მოეძებნოს ალტერნატივა, რომელსაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

არსებობის ისეთივე უფლება აქვს, როგორც ყველა დანარჩენს. მათგან რომელს ავირჩევთ, ეს ჩვენს პოზიციაზეა დამოკიდებული.

სივრცე და დრო. რეალობას ახასიათებს სივრცესა და დროში ყოფნობა. მისი ყოველი საგანი არსებობს დროის რომელიღაც მონაკვეთში და სადღაც — სამყაროს რომელიღაც ადგილას. განვმარტოთ სივრცისა და დროის ცნებები.

სივრცე გამოხატავს ობიექტთა თანაარსებობას, რაც ნიშნავს ერთიმეორის გვერდით არსებობას. იგი გულისხმობს ორ განსხვავებულ მომენტს: ა) ერთი და იმავე საგნის ნაწილების თანაარსებობას, რასაც განფენილობა ეწოდება. იგი ქმნის საგნის მოცულობას, რომელსაც აქვს სამი განზომილება — სიგრძე, სიგანე და სიმაღლე. მათი ზუსტი გაზომვა და რაოდენობრივად გამოთქმა შესაძლებელია. ამ მიზნით გამოიყენება საზომი ერთეული მეტრი.

ბ) სხვადასხვა საგნის თანაარსებობას, რაც გამოიხატება მათი ურთიერთგანლაგებითა და ურთიერთმდებარეობით: ზევით და ქვევით, მარჯვნივ და მარცხნივ, წინ და უკან და ა. შ. საგნებს შორის დაშორება არის მანძილი, რომელიც ასევე შეიძლება გაიზომოს.

ამგვარად, სივრცე არის საგანთა თანაარსებობის, ე. ი. განფენილობის, ურთიერთგანლაგებისა და ურთიერთმდებარეობის წესრიგის ფორმა.

საგანს უკავია გარკვეული ადგილი. იგი ყოველთვის სადღაც იმყოფება. რა არის ადგილი? იგი არ არის რაღაც, რომელიც არსებობს საგნებისაგან განცალკევებით. არსებობს საგნები, რომელთა ურთიერთმიმართება ქმნის ადგილს. საგანს უკავია ადგილი ნიშნავს, რომ იგი გარკვეულ მიმართებაშია სხვა საგნებთან. მაგიდის ადგილი ოთახში განისაზღვრება იმით, თუ როგორია მისი დაშორება იატაკიდან, ჭერიდან, კედლებიდან და სხვა საგნებიდან. მაგიდამ შეიცვალა მდებარეობა, ნიშნავს, რომ შეიცვალა მისი მიმართება ამ საგნებთან. ადგილი როგორც ასეთი, რაღაც დამოუკიდებელი, თავისთავადი არ არსებობს. მას ქმნის საგანთა ურთიერთგანლაგება.

დრო გამოხატავს მოვლენათა მონაცვლეობას, თანმიმდევრობას, ერთიმეორის შემდეგ არსებობას. მისი არსია ცვალებადობა, რომელიც ქმნადობის პროცესია და გულისხმობს საგნის წარმოშობას, მის განუწყვეტლივ განახლებას და მოსპობას. თანმიმდევრობა ქმნის იმ ხანგრძლივობას, რომლის პერიოდშიც ესა თუ ის საგანი არსებობს.

მაშასადამე, **დრო არის ერთიმეორის შემდეგ არსებობის ანუ თანმიმდევრობის და ხანგრძლივობის წესრიგის ფორმა.**

დრო შედგება სამი მომენტისაგან: წარსულის, აწმყოს და მომავლისაგან. წარსული არის ის, რაც ოდესღაც აწმყოში იყო, მაგრამ დღეს უკვე აღარ არსებობს. აწმყო არის ის, რაც ახლაა. მომავალი არის ის, რაც ახლა არ არის, მაგრამ შეიძლება აწმყოდ იქცეს, წარსულსა და მომავალს მიჯნავს აწმყო — ის, რაც ახლაა. რეალურად არსებობს მხოლოდ იგი. არც წარსული და არც მომავალი რეალურად არ არსებობს.

დროის მომენტები ერთდროულად არ არსებობს. ყოველთვის სახეზეა მხოლოდ აწმყო, რომელიც წარსულში გადადის, მომავალიც აწმყოს გავლით წარსულში გადადის. რეალურია ის, რაც ახლაა. მაგრამ თვითონ ახლა მოუხელთებელია. იგი უცბად გადის. ის, რომ მე ვთქვი "ახლა", უკვე წარსულშია. თუ მას გავიმეორებ, მაშინ ის იქნება ახალი "ახლა".

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროის განსაზღვრების სიძნელე სწორედ იმ გარემოებასთან არის დაკავშირებული, რომ რეალურად მხოლოდ "ახლა" არსებობს, რომელიც წამიერია და მუდმივ განახლებას განიცდის. არც წარსული და არც მომავალი რეალურად არ არსებობს. ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ მათი ცოდნა. რას ემყარება იგი? ცოდნას აწმყოს შესახებ: გარკვეული აზრით წარსული და მომავალი აწმყოში არსებობს, მაგრამ სრულიად განსხვავებული სახით. წარსული აწმყოში არსებობს შედეგების მეშვეობით. იგი რომ აწმყოში არ ტოვებდეს რაიმე კვალს, მაშინ მის შესახებ ჩვენ წარმოდგენაც კი არ გვექნებოდა. მომავალი აწმყოში არ არსებობს, მაგრამ აწმყოში მოცემულია ის ტენდენციები და კანონზომიერებები, რომლებიც შემდეგ შეიძლება განხორციელდნენ და რეალობად იქცნენ. მომავალი, რომ ჩანასახის, შესაძლებლობის ფორმით აწმყოში არ იყოს, მაშინ არც მის შესახებ გვექნებოდა რაიმე წარმოდგენა. მაშასადამე, წარსული აწმყოში დალექილია შედეგების, ხოლო მომავალი – შესაძლებლობების სახით. როგორც ერთის, ისე მეორის ცოდნა აწმყოს ემყარება, მაგრამ განსხვავებულია მისი წვდომის წესი: წარსულის ცოდნა არის შედეგებიდან მიზეზებზე, ხოლო მომავლის ცოდნა – მიზეზებიდან შედეგებზე დასკვნა.

წარსული განსაზღვრავს აწმყოს, ხოლო ორივე ერთად – მომავალს. სივრცე შექცევადია. შეიძლება საგანს ადგილი შევუცვალოთ და ისევ უკან დავაბრუნოთ თავის ადგილზე. დრო შეუქცევადია, მას აქვს მიმართულება. იგი მიემართება წარსულიდან აწმყოს გავლით მომავლისაკენ. წარსულს ვერ დააბრუნებ და ვერ აღადგენ. მისი არც შეცვლა და არც გადაკეთება შეიძლება. შეცვლა შეიძლება მხოლოდ აწმყოსი, რადგან იგი რეალურად არსებობს და მასზე ზემოქმედება შესაძლებელია. მომავალზე უშუალოდ ზემოქმედება არ შეიძლება, რადგან იგი არ არსებობს. მასზე ზემოქმედება ხდება მხოლოდ გაშუალებით. აწმყოში ენერგიული და აქტიური მოქმედებით შეგვიძლია მომავალი შევცვალოთ და მას სასურველი მიმართულება მივცეთ.

სივრცისა და დროის აბსოლუტური და რელატური გაგება. სივრცისა და დროის აბსოლუტურ გაგებას ემყარება კლასიკური მექანიკა. თეორიის სახით იგი ჩამოაყალიბა ნიუტონმა. ნიუტონი ერთმანეთისაგან განასხვავებს გრძნობად და მათემატიკურ სივრცესა და დროს. პირველი არის სივრცისა და დროის აღქმა, რომელსაც განიცდის ადამიანი. იგი სუბიექტურია და ცვალებადი. ამიტომ რელატურია. ადამიანის მიერ საგნის სიდიდის ან დროის ინტერვალის განცდა სხვადასხვა პირობებში განსხვავებულია. მაგალითად, ადამიანი სახლს ახლოდან ხედავს როგორც დიდს, ხოლო შორიდან – როგორც პატარას.

ასევე, სხვადასხვაგვარად განიცდის იგი დროის მიმდინარეობას: როდესაც მოწყენილია, დრო ნელა მიდის, ხოლო როცა გახარებულია — სწრაფად. ამ სიტუაციებში იცვლება არა თვითონ ობიექტური სივრცე და დრო, ადამიანი მათი აღქმა, განცდა ადამიანის მიერ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც შეეხება მათემატიკურ სივრცესა და დროს, ისინი ობიექტურია. საგნის სივრცითი და დროის განზომილებანი არ იცვლება იმის მიხედვით, თუ როგორ განიცდის მათ ადამიანი. ყველა სიტუაციაში საგნის სიდიდე და დროის მიმდინარეობა ერთი და ივივეა. მათ აქვთ აბსოლუტური და მუდმივი ხასიათი.

ნიუტონის თანახმად, სივრცე და დრო პირველადია საგანთა მიმართ. ისინი ქმნიან რაღაც ჭურჭელს, რომელშიც მოთავსებულია საგნები. მათი ცვალებადობა არავითარ გავლენას არ ახდენს სივრცესა და დროზე. საგნები, რომ მოისპოს, სივრცე და დრო მაინც იარსებებს როგორც თავისთავადი და დამოუკიდებელი. წარმოვიდგინოთ ოთახი, რომელშიც მოთავსებულია საგნები. ისინი, რომ ოთახიდან გავიტანოთ, ეს უკანასკნელი მაინც დარჩება ხელუხლებელი და უცვლელი. დაახლოებით ამგვარად წარმოედგინა ნიუტონს სივრცისა და დროის მიმართება საგნებთან.

ფარდობითობის თეორიამ, რომელიც შექმნა აინშტაინმა XX საუკუნის დასაწყისში, არსებითად შეცვალა შეხედულება სივრცისა და დროის ბუნების შესახებ. ისინი ფარდობითია და არა აბსოლუტური. ეს ნიშნავს, რომ მათი თვისებები დამოკიდებულია ათვლის სიტემაზე — თუ რომელი წერტილიდან ხდება მათზე დაკვირვება. სივრცისა და დროის პარამეტრები ობიექტურად იცვლება, რაც დამოკიდებულია სამყაროში მიმდინარე პროცესებზე, კერძოდ, სიჩქარეზე. სიჩქარის ზრდის შემთხვევაში საგნის სიგრძე მოკლდება, ხოლო დროის მიმდინარეობა ნელდება. იმ სიჩქარეების პირობებში, რომელთაც ადამიანი პრაქტიკულად აღწევს, ამ მოვლენის შემჩნევა შეუძლებელია. იგი შესაჩნევია მხოლოდ დიდი სიჩქარეების, სახელდობრ, სინათლის სიჩქარესთან მიახლოებისას. აქ ბჭობა არ ეხება ადამიანის სუბიექტურ განცდას. როდესაც იგი სხვადასხვა სიტუაციაში განსხვავებულად აღიქვამს სივრცესა და დროს. იგი სუბიექტურია და ფარდობითი. საქმე ეხება თვით სივრცისა და დროის ობიექტურ ცვლილებას. ფარდობითობის თეორია ამტკიცებს, რომ ობიექტური სივრცე და დრო ცვალებადია და რელატიური, რაც შეუთავსებელია ნიუტონის თვალსაზრისთან.

სივრცე და დრო ადამიანის ცხოვრებაში. სივრცე და დრო მნიშვნელოვან როლს ასრულებს ადამიანის ცხოვრებასა და საქმიანობაში. ადამიანი ყოველთვის სადღაც არსებობს; მას დროის ყოველ მომენტში სივრცის რაღაც მონაკვეთი უკავია. სახლშია, ქუჩაშია, მანქანაშია, მატარებელშია, თვითმფრინავშია, გემზეა თუ სხვაგან. სივრცე არის მისი არსებობისა და საქმიანობის არეალი. ადამიანისათვის ჯერ-ჯერობით ამგვარი არეალი ძირითადად დედამიწაა. გასცდება თუ არა იგი ამ სივრცეს, ეს დამოკიდებულია მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესზე. კულტურის განვითარების დაბალ საფეხურზე ადამიანი მიჯაჭვული იყო თავის საცხოვრისს. თანდათანობით იგი აფარ-

თოებს თავისი საქმიანობის სფეროს და ხდება რეგიონალური არსება. დღეს ადამიანი პლანეტარული არსებაა, რადგან მისი მოღვაწეობა უკვე დედამიწას მთლიანად შეეხო. თანამედროვე პირობებში ადამიანმა პირველი ნაბიჯები გადადგა, რათა მოწყდეს მშობლიურ გარემოს და გადავიდეს კოსმოსურ სივრცეში. მაგრამ როდის შეძლებს იგი ამ სივრცის პრაქტიკულ გამოყენებას და მასზე განსახლებას, ეს მომავლის საქმეა.

დროის განცდა განსაკუთრებულ როლს ასრულებს ადამიანის ცნობიერებაში. იგი დაკავშირებულია სიკვდილის განცდასთან. ადამიანი რეალური არსებაა, რომელიც ჩაფლულია ორ თარიღს — დაბადებასა და სიკვდილს შორის. ყოველი წუთი მას სიკვდილთან აახლოებს. დრო მიედინება და თან მიაქვს ადამიანის სიცოცხლე. მისი კონტროლი, შეჩერება, გახანგრძლივება და ა. შ. შეუძლებელია. ეს არის ობიექტური და გარდაუვალი პროცესი, რომელიც ულმობელი და დაუნდობელია იმ აზრით, რომ განადგურებით ემუქრება ადამიანის ყოფიერებას. მოვა დრო, როდესაც ადამიანი რეალურად დადგება სიკვდილის წინაშე და აღარ იარსებებს. ამიტომ დროის მდინარების შეუჩერებლობა ადამიანში შიშსა და შეძრწუნებას იწვევს.

ცვალებადობა, მოძრაობა, განვითარება. ცვალებადობა უზოგადესი ცნებაა, რომელიც გამოხატავს სამყაროს, როგორც მთელის, უნივერსალურ თვისებას. იგი ახასიათებს ნებისმიერ საგანს, მოვლენას და პროცესს. ყველაფერი ცვალებადია, მარადიული არაფერია. ყოველი საგანი წარმოიშობა, იცვლება და ისპობა. ამასთან, ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში ჩამოყალიბდა ორი ძირითადი პრინციპი, რომლებიც დღესაც ძალაშია: 1) არარასაგან რაიმე არ წარმოიშობა და 2) რაიმე არარად არ გარდაიქმნება. ხდება მოვლენათა ურთიერთგარდაქმნა. რაღაცა რაღაცად გარდაიქმნება და ა. შ. უსასრულოდ. სამყარო მუდმივი ცვალებადობისა და გარდაქმნის განუწყვეტელი პროცესია.

ეს კანონზომიერება ეხება რეალობას. ე. ი. იმას, რაც დროსა და სივრცეშია. სამყაროს ნებისმიერი მოვლენა და პროცესი რეალურია, ამიტომ აუცილებლობით ექვემდებარება აღნიშნულ წესს.

ცვალებადობა არის ნებისმიერი ცვლილება დამოუკიდებლად მისი ხასიათისა და მიმართულებისა. ეს იქნება ადგილის, თვისების თუ სხვა რამის შეცვლა ამას მნიშვნელობა არა აქვს. იგი შეიძლება იყოს პროგრესული ან რეგრესული, შექცევადი ან შეუქცევადი, კანონზომიერი ან ქაოსური და სხვა ყოველგვარი ცვლილება.

მოძრაობა არ არის უნივერსალური. იგი ცვალებადობის გარკვეული სახეა, კერძოდ, გულისხმობს საგნის მიერ ადგილის შეცვლას დროის შესაბამის მონაკვეთში. მოძრაობის გაიგივება ცვალებადობასთან არასწორია. ცვალებადობა უნივერსალური კატეგორიაა, მოძრაობა კი — მისი მხოლოდ ერთ-ერთი სახე. მოძრაობა ყოველგვარი ცვლილება არ არის, იგი გამოხატავს მხოლოდ იმ ცვლილებას, რომელიც ეხება საგნის ადგილმდებარეობის შეცვლას დროის ერთეულში.

მოძრაობა და უძრაობა შეიძლება შემდეგნაირად განვსაზღვროთ:

თუ საგანი დროის რომელიღაც ორ თანმიმდევარ მომენტში იმყოფება სხვადასხვა ადგილას, მაშინ იგი მოძრაობს. თუ საგანი დროის ორ თანმიმდევარ მომენტში იმყოფება ერთსა და იმავე ადგილას, მაშინ ის უძრავია.

ბიბლიოთეკა

საგანი დროის ყოველ მომენტში იმყოფება შესაბამის ადგილას. საგანი რომ t_1 მომენტში იმყოფება m_1 ადგილას, აქედან არც ის გამომდინარეობს, რომ იგი მოძრაობს და არც ის, რომ იგი გაჩერებულია. იმისათვის, რომ საგნის მოძრაობა ან უძრაობა დავადგინოთ, საჭიროა ავიღოთ დროის რა გინდ მცირე ინტერვალით განსხვავებული ორი მომენტი t_1 და T_2, თუ აღმოჩნდება, რომ საგანი ამ ხნის განმავლობაში იმყოფება სხვადასხვა m_1 და m_2 ადგილას, მაშინ მოძრაობს, ხოლო თუ იმყოფება ერთსა და იმავე m_1 ადგილას, მაშინ გაჩერებულია.

როგორც ვხედავთ, მოძრაობა არის საგნის მიერ ადგილის შეცვლა. სხვა ტიპის ცვალებადობა მოძრაობა არ არის.

განვითარება ცვალებადობის ერთ-ერთი სახეა. იგი აუცილებლად გულისხმობს ცვალებადობას, მაგრამ გარკვეული ტიპის ცვალებადობას. რა ნიშნები ახასიათებს მას? ცვალებადობა განვითარებაა, თუ იგი აკმაყოფილებს ორ პირობას: 1) ადგილი აქვს ახლის წარმოშობას. რაიმეს სიახლეზე შეგვიძლია ვილაპარაკოთ მხოლოდ ძველთან მიმართებაში. იგი ახალია იმდენად, რამდენადაც ძველისაგან განსხვავდება რაღაც ერთი მხრივ (რომელიღაც თვისებით) ან ძირეულად (თვისებრივად). მაგრამ შემდგომ შეიძლება მოძველდეს და გახდეს ძველი სხვასთან შედარებით. ამიტომ არ არსებობს ახალი საზოგადოდ. ის ახალია მხოლოდ ძველთან შედარებით, თვითონ ძველია სხვასთან მიმართებაში. 2) ახალი უფრო მაღალ საფეხურზე მდგომია, ვიდრე ძველი. ახალი არა მარტო განსხვავდება ძველისაგან, არამედ მასზე უფრო სრულყოფილია, უფრო რთული კანონზომიერების მქონეა. ეს ნიშნავს, რომ ცვალებადობას აქვს მიმართულება. დაბლიდან მაღლისაკენ, მარტივიდან რთულისაკენ ანუ მას აქვს პროგრესული ხასიათი. რეგრესი, ე. ი. ცვალებადობა მაღალიდან დაბალისაკენ, რთულიდან მარტივისაკენ არ არის განვითარება. ეს ნიშნავს, რომ განვითარების პროცესი შეუქცევადია. იგი მიმდინარეობს მხოლოდ ერთი მიმართულებით — დაბალიდან მაღალისაკენ ანუ მას აქვს ზეაღმავალი ხასითი. საპირისპირო მიმართულების მქონე ცვალებადობა არის განვითარების უარყოფა.

ამრიგად, განვითარება არის ცვალებადობა, რომელსაც აქვს ზეაღმავალი ხასიათი. სხვა ტიპის ცვალებადობა განვითარება არ არის.

განვითარება არ არის სამყაროს უნივერსალური თვისება. იგი არ ახასიათებს სამყაროს მთლიანად. ჩვენ არ ვიცით სამყარო ვითარდება თუ არა. განვითარებას აქვს დასაწყისი და დასასრული. იმისათვის, რომ ვიმსჯელოთ რაიმეს განვითარებაზე, უნდა ვიცოდეთ საწყისი მდგომარეობა, რათა შეგვეძლოს მას შევუდაროთ მომდევნო საფეხურები. სხვაგვარად ვერ დავასკვნით აქვს თუ არა ცვალებადობას ზეაღმავალი ხასიათი. უსასრულობას არა აქვს მიმართულება.

როდესაც განვითარებაზე ბჭობენ, მხედველობაში აქვთ დედამიწაზე მიმ-

დინარე პროცესები და არა სამყარო მთლიანად. არაცოცხალიდან ცოცხალის წარმოშობა, სიცოცხლის ევოლუცია, საზოგადოების გაჩენა და ა. შ. ეხება მხოლოდ ჩვენს პლანეტას. მისი გავრცელება მთლიანად სამყაროზე ჯერ-ჯერობით ძლება. მზის სისტემის სხვა პლანეტებზე ამგვარი რამ არ მომხდარა. არც სხვა ვარსკვლავებზე ხდება ანალოგიური პროცესები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არც მთლიანად საზოგადოების განვითარებაზე ბჭობაა გამართლებული. საზოგადოება იყოფა ცალკეულ კულტურებად. მაგალითად, ანტიკური კულტურა, დასავლეთ ევროპული კულტურა, ჩინური კულტურა, ამერიკელი ინდიელების კულტურა და ა. შ. ყოველ კულტურას აქვს თავისი განვითარების ინდივიდუალური გზა: დასაწყისი, გაფურჩქვნის ხანა დაცემა და დასასრული. ანტიკური კულტურის ბაზაზე წარმოიქმნა ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი კულტურა — ბიზანტიური და დასავლეთ ევროპული. ბიზანტიურმა კულტურამ თავისი არსებობა შეწყვიტა XV საუკუნეში, როდესაც თურქებმა მოსპეს ბიზანტიის იმპერია. დასავლეთ ევროპული კულტურა კი დღესაც განაგრძობს ფუნქციობას და განვითარებას. დასავლეთ ევროპელებმა თავის მხრივ მოსპეს და გაანადგურეს ამერიკელი ინდიელების კულტურა, როდესაც დაიპყრეს ამერიკის კონტინენტი. ასე, რომ კულტურები საზოგადოებაში წარმოიშობა და ისპობა. უნდა ვიმსჯელოთ ცალკეული კულტურის და არა მთლიანად საზოგადოების განვითარებაზე. ზოგჯერ ერთი კულტურა სპობს მეორეს.

ამგვარად, განვითარებას განიცდის არა ბუნება და საზოგადოება, არამედ მათი ცალკეული სისტემები და სფეროები.

ზოგადი დასკვნა ასეთია: ცვალებადობა სამყაროს უნივერსალური თვისებაა. სამყარო მუდმივი განახლებისა და ცვლილების პროცესია. არ არსებობს საგანი, რომელიც არ ექვემდებარება მას. მოძრაობა და განვითარება ცვალებადობის სახეებია. ისინი ახასიათებენ არა სამყაროს, როგორც მთელს, არამედ საგნებს, სისტემებს და სფეროებს. ამასთან, მოძრაობას და განვითარებას დროში დასაწყისი აქვს და დასასრული. ცვალებადობას კი არც დასაწყისი აქვს და არც დასასრული.

ყოფიერება და მისი სახეები

ყოფიერების განმარტება. ყოფიერება ფართო ცნებაა, რომელიც აღნიშნავს არსებობას საზოგადოდ. ნებისმიერი არსებობა, რა სახისაც არ უნდა იყოს იგი, ყოფიერებაა. სიცარიელეც კი მას მიეკუთვნება, რადგან ისიც არსებობს. ყოფიერება და არსებობა ეგივეობრივი ცნებებია. ყოველი ყოფიერი არსებულია და პირიქით. ყოფიერების უარყოფა არარაა. იგი არ არსებობს. მაშასადამე, ყოფიერება არსებობაა, არარა კი — არარსებობა. ყოფიერი არსია, არარა კი — არარსი.

ჰამლეტის საბედისწერო კითხვა "ყოფნა-არყოფნის" შესახებ (შექსპირის ტრაგედიის "ჰამლეტის" მიხედვით) გულისხმობს მიმართებას არა ყოფიერე-

ბასა და არარას, არამედ ყოფიერების ორ სახეს — სიცოცხლესა და სიკვდილს შორის. ამ შემთხვევაში ყოფნა აღნიშნავს სიცოცხლეს, არყოფნა კი — სიკვდილს, ორივე — ყოფიერებას, მაგრამ განსხვავებული სახის ყოფიერებას გამოხატავს. ადამიანისათვის სიცოცხლე იმდენად მნიშვნელოვანია, რომ იგი მას საერთოდ ყოფნასთან აიგივებს, ხოლო სიკვდილს არყოფნად მიიჩნევს. სიცოცხლე ყოფნაა, სიკვდილი კი — არყოფნა. ამიტომ ადამიანი სიკვდილს არარად განიცდის. მისთვის სიცოცხლის მოსპობა აღიქმება როგორც არარაობაში გადასვლა. სწორედ ეს განაპირობებს იმას, რომ ჰამლეტი აიგივებს ყოფნას სიცოცხლესთან, ხოლო არყოფნას — სიკვდილთან. რა თქმა უნდა, ამგვარი გაგება ემოციის დონეზე გასაგებია, მაგრამ მიუღებელია ფილოსოფიური თვალსაზრისით. სიკვდილი არსებობის მხრივ ისეთივე ყოფიერებაა, როგორც სიცოცხლე. ისიც არსებობს, მაგრამ არსებობს არაცოცხალის სახით. სიკვდილი არ არის არყოფნა, ისიც ყოფნაა, მაგრამ არაცოცხალი სახით ყოფნაა.

რეალური და იდეალური როგორც ყოფიერების სახეები. განასხვავებენ ყოფიერების ორ სახეს — **რეალურს** და **იდეალურს**. ორივე არსებობს, მაგრამ არსებითად განსხვავებულია მათი არსებობის წესი.

რეალურია ის, რაც არსებობს დროსა და სივრცეში. იგი ქმნადობაა, მუდმივად განიცდის ცვალებადობას და განახლებას. იდეალური დროისა და სივრცის გარეშეა. იგი არ ექვემდებარება ცვალებადობას და განახლებას. უცვლელია და არ არის ქმნადი.

რეალური შეიძლება იყოს ობიექტურად და სუბიექტურად არსებული. პირველი გულისხმობს ადამიანის ცნობიერების გარეთ, მისგან დამოუკიდებლად არსებობას. ასეთია ბუნების და კულტურის მოვლენები. მეორე გულისხმობს ადამიანის ცნობიერებაში არსებობას. ასეთია სულიერი პროცესები — ფსიქიკური განცდები. ისინი ახასიათებენ ადამიანს როგორც ინდივიდს, რომელიც დროსა და სივრცეში არსებობს. ტკივილი განიცდება ამა თუ იმ კონკრეტული ადამიანის მიერ. იგი მას უჩნდება გარკვეულ დროს, აქვს ინტენსივობა და მიმდინარეობის ხანგრძლივობა, შემდეგ კი ქრება. რომელიმე კონკრეტული ადამიანის ცნობიერების გარეთ და მისგან დამოუკიდებლად იგი საერთოდ არ არსებობს. ფსიქიკური განცდები, როგორც ადამიანის სულიერი მოღვაწეობის შედეგი, სუბიექტური რეალობაა, რადგან დროსა და სივრცეში არსებობს. კი, მაგრამ ფსიქიკური ხომ ვრცეული არაა? სამართლიანად იკითხავს მავანი. რა თქმა უნდა, ეს ასეა. განცდას არ ახასიათებს სივრცითი პარამეტრები — არა აქვს სიგრძე, სიგანე და სიმაღლე. მართალია, თავისთავად ფსიქიკურს ვრცეულობა არ ახასიათებს, იგი მხოლოდ დროული პროცესია, მაგრამ თვისებაა ცოცხალი ორგანიზმისა, რომელიც დროულ-ვრცეულია. განცდა ყოველთვის დროის რომელიღაც მონაკვეთში წარმოიქმნება ადამიანის ტვინის შესაბამის ნერვულ ცენტრში. ფსიქიკური დროში მიმდინარე პროცესია, რომელიც ხდება სივრცის რომელიღაც ადგილას, კერძოდ, ადამიანის ტვინში.

შეგვიძლია ზოგადად ვამტკიცოთ, რომ რეალობის კრიტერიუმია სივრცეს და დროში არსებობა. ყოველ შემთხვევაში, დროში არსებობა მაინც. ამის გამო ჰუსერლი რეალურს განსაზღვრავდა როგორც დროულს, ხოლო იდეალურს — როგორც ზედროულს. ის, რაც დროში არსებობს, რეალურია, რაც დროის გარეთაა — იდეალური.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

იდეალური არ არის რეალობის ნაწილი ან მხარე. იგი არარეალურია, მაგრამ მაინც არსებული. იდეალური ყოფიერების თავისებური სახეა, რომელიც რეალურისაგან განსხვავდება არსებობის წესით. იგი არსებობს ობიექტურად, მაგრამ ადამიანის გონთან მიმართებაში.

თუ გამოვიყენებთ პლატონის დაყოფას ორ სამყაროდ — გრძნობად-ხილულ და გონებაჭვრეტით სამყაროდ, მაშინ შეგვიძლია ვთქვათ, რომ რეალური მიეკუთვნება პირველს, ხოლო იდეალური — მეორეს. რეალური გრძნობადი აღქმის, იდეალური კი გონებით მოაზრების ობიექტია.

რეალობა და მისი სახეები. რეალობა მოიცავს სამყაროს მთელი თავისი მრავალფეროვანი მოვლენებით და პროცესებით, რომლებიც დროსა და სივრცეში მიმდინარეობენ. უპირველეს ყოვლისა, იგი იყოფა ორ დიდ სფეროდ — ბუნებად და კულტურად. პირველი, თავისთავად არსებობს, მას ადამიანი არ ქმნის, მეორე, ადამიანის საქმიანობის შედეგია, მას ადამიანი ქმნის.

ბუნება თავის მხრივ იყოფა ორ დიდ სფეროდ — არაცოცხალ და ცოცხალ ბუნებად. არაცოცხალი მოიცავს მიკრო და მაკრო სამყაროს, რომელთაც მიეკუთვნება სხეულები, ნივთიერებები, ენერგიები, ძალები, ველები, ატომები, ელემენტარული ნაწილაკები და სხვა. მათ ახასიათებს ფიზიკური და ქიმიური თვისებები. ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდება უამრავი თვისებით, მაგრამ აქვთ ყოფიერების ერთი წესი: ყოველი მათგანი მოკლებულია საკუთარ აქტივობას, მათ მოქმედებას იწვევს გარეგანი ძალის ზემოქმედება.

ცოცხალი ბუნება მხოლოდ დედამიწაზეა. სხვაგან მისი არსებობა ჯერჯერობით ჩვენთვის უცნობია. იგი მოიცავს უამრავ განსხვავებულ სახეობას, რომელთა ერთობლიობა ქმნის ორ დიდ სფეროს — მცენარეულობას (ფლორას) და ცხოველურ სამყაროს (ფაუნას). რა თქმა უნდა, ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მრავალი თვისებით. მაგრამ მათ აერთიანებს ზოგიერთი ზოგადი კანონზომიერება. ეს არის საკუთარი აქტივობის მქონე ბიოლოგიური არსებები, რომელთაც ახასიათებს საერთო თვისებები: მემკვიდრეობითობა, გარემოსადმი შეგუება, არსებობისათვის ბრძოლა, მიზანშეწონილება, გამრავლება, ზრდა, მოკვდავობა და სხვა.

ცოცხალი ბუნების შიგნით გამოიყოფა ორი ფენა — ბიოლოგიური და ფსიქიკური. ბიოლოგიურია ცოცხალ ორგანიზმებში მიმდინარე ანატომიური, ფიზიოლოგიური, მორფოლოგიური, გენეტიკური და სხვა ტიპის პროცესები. იგი გამოხატავს მხოლოდ სიცოცხლისათვის დამახასიათებელ, სპეციფიკურ მოვლენებს. საქმე ისაა, რომ ცოცხალ ორგანიზმებში მიმდინარეობს ფიზიკური

და ქიმიური პროცესებიც. ამის გამო არ იქნება მართებული იმის მტკიცება, რომ ცოცხალ ორგანიზმებში მიმდინარე ყველა პროცესი ბიოლოგიურია. ამ უკანასკნელს მიეკუთვნება მხოლოდ ის, რაც სიცოცხლის თავისებურებას გამოხატავს, ე. ი. მხოლოდ ის, რაც ცოცხალს ახასიათებს განსხვავებით არაცოცხალისაგან.

ფსიქიკური — სიცოცხლის ევოლუციის გარკვეულ ეტაპზე წარმოიშობა. იგი უჩნდებათ ცენტრალური ნერვული სისტემის მქონე ცხოველებს. მას ბიოლოგიურ-ფიზიოლოგიური საფუძველი აქვს, მაგრამ არსებითად განსხვავდება მისგან. იგი არსებობს როგორც განცდა, რომელიც უჩნდება ცენტრალური ნერვული სისტემის მქონე ცხოველს თავისი აქტივობის პროცესში.

ამრიგად, ბიოლოგიური სიცოცხლის იგივეობრივია: ბიოლოგიური ნიშნავს ცოცხალს და პირიქით, ფსიქიკური ბიოლოგიურის ფუნქციაა, მაგრამ არა ყოველი ბილოგიურის, არამედ მხოლოდ გარკვეული ტიპის, კერძოდ, ცენტრალური ნერვული სისტემის მქონე ცხოველებში მიმდინარე ფიზიოლოგიური პროცესების შედეგია. ბიოლოგიური და ფსიქიკური რეალური პროცესებია, რადგან მიმდინარეობენ დროსა და სივრცეში. მაგრამ მათ შორის არსებითი განსხვავებაა. პირველი მატერიალური, ხოლო მეორე არამატერიალურია. ფსიქიკური არ არის რაღაც ნივთიერი ან სხეულებრივი. იგი არის განცდა, რომელიც ცოცხალ ორგანიზმს უჩნდება შესაბამისი ბიო-ფიზიოლოგიური პროცესის შედეგად.

ᲜᲘᲕᲗᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲢᲔᲠᲘᲐ. მატერია ლათინური სიტყვაა და ნიშნავს ნივთიერებას, მისგან იწარმოება ზედსართავი სახელი მატერიალური — ე. ი. ნივთიერი. ფილოსოფიაში ეს ტერმინი შემოტანილ იქნა ნივთიერების აღსანიშნავად. არისტოტელეს სწორედ ამ აზრით ესმოდა მატერია. იგი განასხვავებდა ფორმას და მატერიას. ფორმა საგნის გარკვეულობაა, მატერია კი ის მასალა, რისგანაც იგი შედგება. სახლის ფორმა არის მისი გარკვეულობა, ხოლო მასალაა ის ხე, აგურები და ა. შ., რისგანაც იგია აგებული.

მატერიალიზმის თანახმად მატერია არის ძირითადი ფილოსოფიური კატეგორია. მას მიაჩნია, რომ ნივთიერება არის სამყაროს სუბსტანცია ანუ საფუძველი. XVII-XVIII საუკუნეების მატერიალიზმმა მატერია გაუიგივა ბუნებას. მარქსისტულ ფილოსოფიაში კიდევ უფრო გაფართოვდა მატერიის ცნება და იგი გაუიგივდა ყოფიერებას, რომელიც გაგებულ იქნა როგორც ობიექტური რეალობა. მატერია იგივეა, რაც ყოფიერება ანუ ობიექტური რეალობა. თავისი პირვანდელი მნიშვნელობით მატერია აღნიშნავდა ნივთიერებას, ხოლო მატერიალური — ნივთიერს. მისი მნიშვნელობის გაფართოების შემდეგ კი იგი უკვე აღნიშნავს ყოველგვარ ყოფიერებას ანუ ობიექტურად რეალურს. რეალური, დამოუკიდებლად იმისა იგი ნივთიერია თუ არანივთიერი, მიჩნეულია მატერიალურად. ყოველი რეალობა, რომელიც ადამიანის ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად ანუ ობიექტურად

არსებობს, არის მატერია — ასეთი იყო მატერიის ლენინისეული განმარტება.

არ არის მიზანშეწონილი მატერიის ცნების ამგვარი გაფართოება, რადგან იგი კარგავს თავის საკუთარ მნიშვნელობას და იძენს მისგან განსხვავებულ საზრისს. მატერიის ცნება შემოტანილ იქნა არა საერთოდ ყოფიერების, არამედ მისი გარკვეული სახის აღსანიშნავად. არსებობს ყოფიერების სხვა სახეები, რომელთა შინაარსს გამოთქვამს შესაბამისი ტერმინები. მატერიის ცნების მოცულობის გაფართოება იწვევს ყოფიერებისა და მისი სახეების აღმნიშვნელ ცნებათა აღრევას, რაც ხდება გაუგებრობისა და გაუმართლებელი ბჭობის წყარო. სანიმუშოდ განვიხილოთ ე. წ. ფიზიკური იდეალიზმის კრიტიკა, რომელიც გავრცელებული იყო მარქსისტულ ფილოსოფიურ ლიტერატურაში.

ფიზიკურ იდეალიზმად მიჩნეულ იქნა თეორია, რომელიც ფიზიკის ახალი აღმოჩენების საფუძველზე ამტკიცებდა თეზისს მატერიის გაქრობის ანუ ანიჰილიაციის შესახებ. ამგვარი მტკიცება ეყრდნობოდა ფიზიკის მიერ ექსპერიმენტულად დადასტურებულ ფაქტს, რომ ნივთიერება გადადის ენერგიაში. ადრე ცნობილი და აღიარებული იყო, რომ ნივთიერების ერთი ფორმა გადადის მეორეში ან ენერგიის ერთი ფორმა გადადის მეორეში, მაგრამ სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა ის ფაქტი, რომ ნივთიერება შეიძლება გარდაიქმნას ენერგიად და პირიქით. აქედან ფიზიკოსებმა და ფილოსოფოსებმა გამოიტანეს დასკვნა, რომ ხდება მატერიის გაქრობა. რატომ? იმიტომ, რომ მათთვის მატერია და ნივთიერება იგივეობრივია, ენერგია კი მატერია არ არის, რადგან იგი არ არის ნივთიერება. ამიტომ მათთვის თეზისი მატერიის გაქრობის შესახებ ნიშნავს არა ობიექტური რეალობის (ყოფიერების) მოსპობას და გადასვლას აზრის სფეროში, არამედ სრულიად ელემენტარულ და უდავო ჭეშმარიტებას: ნივთიერების (მატერიის) გადასვლას არანივთიერებაში (არამატერიალურში), ანუ ენერგიაში. კი, მაგრამ ნივთიერებაც და ენერგიაც ხომ რეალურად არსებობს? რატომ არ შეიძლება ორივე მივიჩნიოთ მატერიალურად? რა თქმა უნდა, შეიძლება, მაგრამ მიზანშეწონილი არაა. საქმე ისაა, რომ ნივთიერი არის მატერიალური, არანივთიერი კი — არამატერიალური. ტრადიციულად ამ აზრით იხმარებოდა ეს ცნებები. ახლა მათი შინაარსის შეცვლა გაუგებრობის მეტს არაფერს გამოიწვევს.

აღნიშნულის გამო მიზანშეწონილია მატერიის ცნება მოვიხმაროთ მისი ტრადიციული მნიშვნელობით. იგი აღნიშნავს რეალობის მხოლოდ ერთ სახეს — ნივთიერებას. მხოლოდ ნივთიერი სახით არსებული არის მატერიალური.

ამგვარად, მატერია არ არის ობიექტური რეალობის ეკვივალენტური. ყოველი ობიექტურად არსებული არ არის მატერიალური. უფრო მეტიც, არ არის გამართლებული ფიზიკური რეალობის მთლიანად გაიგივება მატერიასთან. თანამედროვე ფიზიკაში განასხვავებენ რეალობის ორ სახეს — ნივთიერებასა და სინათლეს (ელექტრო-მაგნიტურ ველს). პირველს უწოდებენ მატერიას, მეორეს კი — არა. და ეს სავსებით შეესაბამება დასავლეთევროპული ფილოსოფიის ტრადიციებს.

ალიმენის ძიებანი. დედამიწაზე სიცოცხლის ევოლუციის გარკვე-

ულ საფეხურზე წარმოიქმნა ცხოველის სრულიად ახალი სახეობა — ადამიანი. მისი ჩამოყალიბების პროცესი ხანგრძლივ პერიოდს — რამდენიმე მილიონ წელს მოიცავს. არსებობდა ადამიანის რამდენიმე გენეტიკური სახეობა, რომელიც ერთ-ერთ უსწრებდა ადამიანის თანამედროვე ტიპს. ისინი ცხოვრობდნენ ჯგუფურად და დიდად არ განსხვავდებოდნენ ცხოველებისაგან. დაახლოებით 50 ათასი წლის წინ წარმოიშვა ადამიანის ახალი თანამედროვე ტიპი, რომელსაც უწოდებენ ჰომო საპიენს (გონიერ ადამიანს). სწორედ ცხოველის ეს სახეობაა ის ადამიანი, რომელივ ძირეულად განსხვავებულია ყველა მისი წინამორბედისაგან. იგი გენეტიკურად დღემდე არსებითად უცვლელია. რა თქმა უნდა, გარკვეული ბიოლოგიური (ანატომიური, მორფოლოგიური და სხვა) თვისებები შეიცვალა, მაგრამ გენეტიკურად იგი არ შეცვლილა. ჩვენ და ჩვენს შორეულ წინაპრებს ერთი გენეტიკური სტრუქტურა გვაქვს, რის გამოც მივეკუთვნებით ერთსა და იმავე სახეობას — გონიერ ადამიანს. როდესაც ბჭობა ეხება ადამიანური ყოფიერების ძირეულ განსხვავებულობას ცხოველის ყოფიერებისაგან, იგულისხმება სწორედ ადამიანის აღნიშნული სახეობა.

ადამიანი ბუნების შვილია, ამიტომ იგი თავის თავში შეიცავს ყოველივე იმას, რაც მას ბუნებისაგან ერგო. ადამიანს აქვს სხეული, რომელსაც მართავს ცენტრალური ნერვული სისტემა. მის ორგანიზმში მიმდინარეობს ფიზიკური, ქიმიური თუ ბიოლოგიური პროცესები. მათ საფუძველზე წარმოიქმნება ფსიქიკური განცდები. ანალოგიური პროცესები ჩვენ შეგვიძლია ვნახოთ მაღალგანვითარებულ ცხოველებში. მაგრამ ადამიანში არსებობს ერთი ფენა, რომელსაც ვერ ვხედებით ვერც ერთ სხვა ცხოველში, როგორი მაღალგანვითარებულიც არ უნდა იყოს იგი. ეს არის გონი, რომელიც აქვს მხოლოდ ადამიანს და არ გააჩნია ცხოველის არც ერთ სახეობას. ერთმანეთისაგან განასხვავებენ გონს და სულს. ქართულ ენაში სიტყვა "სული" ორი აზრით იხმარება[2]: 1) იგი გაიგივებულია ფსიქიკასთან. სულიერი და ფსიქიკური ერთი და იგივეა; 2) იგი აღნიშნავს ფსიქიკურისაგან სრულიად განსხვავებულ ფენომენს. სანიმუშოდ შეიძლება დავასახელოთ შემდეგი კონტექსტები: "ქართული სული", "სულისკვეთება", "სულიერი მოთხოვნილებანი", "სულიერი კულტურა".

ახლა შევეცადოთ კონკრეტულად ვაჩვენოთ განსხვავება სულსა და გონს შორის. სული რეალური ფენომენია, იგი არსებობს დროსა და სივრცეში. კონკრეტული ინდივიდის თვისებაა, მის სხეულთან ერთად ცოცხლობს და კვდება. სული შეიძლება დაავადდეს, რაც გამოიხატება ფსიქიკურ აშლილობებში. მათი მკურნალობა შესაძლებელია სამედიცინო პრეპარატებით. სავანგებოდ არსებობს მედიცინის დარგი ფსიქიატრია, რომლის მიზანია ფსიქიკურ (სულიერ) დაავადებათა მკურნალობა.

---

[2]გერმანულ და რუსულ ენებში მათ განასასხვავებლად იხმარება სხვადასხვა სიტყვა. გერმანულში Geist (გონი) და Seele (სული). შესაბამისად რუსულში — Дух და Душа. ქართულ ენაში ორივეს აღნიშნავდა ერთი სიტყვა "სული". რათა გაემიჯნათ ეს ორი ფენომენი ერთმანეთისაგან, შემოტანილ იქნა ახალი სიტყვა "გონი". შესაძლებელია იგი მთლად გამართული და ადექვატური არ იყოს, მაგრამ შეიცავს სულ სხვა შინაარსს, ვიდრე სიტყვა "სული".

გონი აბსტრაქტული ფენომენია. იგი არ არის ინდივიდის სხეულის თვისება, რომელიც მის სიკვდილთან ერთად კვდება. მასთან მედიცინას არაფერი ესაქმება, ამიტომ გამორიცხულია რაიმე პრეპარატებით მისი მკურნალობა. მაინც რა არის გონი? გონი არის ადამიანის მოღვაწეობით შექმნილ პროდუქტებში რეალიზებული, განივთებული, გასაგნებული აზრი. ხატოვნად შეიძლება ითქვას: გონი არის ქვაში ამეტყველებული სული. ყველაფერი, რასაც ადამიანი ქმნის, არის მისი გონის განივთება, გასაგნება.

გონი და კულტურა. სული ანუ ფსიქიკა დამოკიდებულია ადამიანის სხეულში მიმდინარე პროცესებზე. ამის გამო იგი უნდა დახასიათდეს ცოცხალ ორგანიზმებთან მიმართებაში. გონი ვლინდება ადამიანურ ქმნილებებში, რომელთა ერთობლიობას უწოდებენ კულტურას. ამიტომ იგი უნდა დახასიათდეს მასთან მიმართებაში.

რა არის კულტურა? საინტერესოა თვით ტერმინი "კულტურას" ევოლუცია. იგი ლათინური წარმოშობისაა და ნიშნავს დამუშავებას, მოვლას. დაახლოებით ძვ. წ. III-II საუკუნეებში ეს სიტყვა პირველად იხმარა კატონმა თავის ნაშრომში სოფლის მეურნეობის შესახებ, სადაც იგი აღნიშნავდა მიწის დამუშავებას. მოგვიანებით, ძვ. წ. I საუკუნის გამოჩენილმა ორატორმა და მოღვაწემ ციცერონმა სიტყვა "კულტურა" გამოიყენა სულის მიმართ. ცნობილია მისი გამოთქმა: "სულის კულტურა არის ფილოსოფია". XVIII-XIX საუკუნეებში კულტურამ შეიძინა ცივილიზაციის მნიშვნელობა. იგი აღნიშნავდა განათლებულობას, განსწავლულობას და უპირისპირდებოდა უკულტურობას, ჩამორჩენილობას. თანდათან კულტურა გაგებულ იქნა როგორც ადამიანის მიერ შექმნილი მატერიალური და სულიერი ფასეულობების ერთობლიობა. მოხდა მისი დაყოფა მატერიალურ და სულიერ კულტურად.

XX საუკუნეში ჩამოყალიბდა ფილოსოფიის ახალი დარგი — კულტურის ფილოსოფია. მასში "კულტურის" ცნება მოიხმარება ფართო აზრით. იგი აღნიშნავს ყველაფერს, რაც ადამიანის მიერაა შექმნილი. იგი უპირისპირდება ბუნებას. ეს უკანასკნელი არსებობს და ფუნქციობს თავისთავად, ადამიანთან მიმართების გარეშე. ბუნებრივია ყველაფერი, რასაც ადამიანის ხელი არ შეხებია და იცვლება მის ჩაურევლად. კულტურა არის ადამიანის მოღვაწეობით შექმნილი სამყარო. მას მიეკუთვნება საზოგადოება მთელი თავისი მრავალფეროვნებით: პოლიტიკური, სამართლებრივი, ეკონომიკური, სოციალური და ა. შ. ურთიერთობები, საზოგადოებრივი დაწესებულებები, ორგანიზაციები და ინსტიტუტები; ადამიანის საზოგადოებრივი და პირადი ცხოვრება. მაგრამ საზოგადოებით არ ამოიწურება კულტურის შინაარსი. მას აგრეთვე მიეკუთვნება ბუნების ზოგიერთი მოვლენა, ოღონდ ისეთი, რომელიც ადამიანის ხელითაა დამუშავებული. მაგალითად, გზები, ხიდები, პარკები, შინაური ცხოველები და სხვა.

ჩვეულებრივ სიტყვახმარებაში სიტყვა "კულტურა" ხშირად მოიხმარება ვიწრო აზრით: "ქცევის კულტურა", "შრომის კულტურა", "მატერიალური კულ-

ტურა", "სულიერი კულტურა", "კულტურული ადამიანი" და ა. შ. ამგვარი გამოთქმები უკვე დამკვიდრებულია და მათი გამოყენება შესაბამის კონტექსტში სავსებით გამართლებულია. კულტურის ფილოსოფიაში ამ ცნების შინაარსი ამგვარად სცილდება დამკვიდრებულ ტრადიციას. იგი აღნიშნავს ადამიანის მიერ შექმნილ სამყაროს, რომელსაც შეიძლება ეწოდოს გონითი სამყარო.

გონითი სამყარო ორი მომენტის შემცველია: ერთი მხრივ, არსებობენ მატერიალური ნივთები და პროცესები, ხოლო მეორე მხრივ — მათში რეალიზებული გონითი აქტები. კულტურის ნებისმიერი ფენომენი დაკავშირებულია შესაბამის მატერიალურ მოვლენასთან. იგი მხოლოდ მასში და მისი მეშვეობით არსებობს. მაგალითად, განვიხილოთ ფული და ხელოვნების ნაწარმოები. ისინი კულტურის სრულიად განსხვავებულ სფეროს მიეკუთვნებიან, მაგრამ მათი ყოფიერების წესი ერთია.

ფული მიმოქცევის საშუალებაა, რომლის მეშვეობით ხორციელდება საქონელთა ურთიერთგაცვლა. იგი არის ოქრო, რომელიც ძვირფასი ლითონია. ოქრო თავისი თვისებებითაა ძვირფასი, თორემ ჩვეულებრივი მატერიალური ნივთია. რა აქცევს მას ფულად? სასაქონლო წარმოება, რომლის დროს პროდუქტები მზადდება გასაცვლელად. მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის ურთიერთობა მყარდება ბაზრის მეშვეობით. აქ ხდება საქონელთა ყიდვა-გაყიდვა. ეს პროცესი რომ განხორციელდეს, საჭიროა არსებობდეს ერთი უნივერსალური საქონელი, რომელზეც ყველა დანარჩენი საქონელი გაიცვლება. ასეთი საქონელია ფული, რომელიც დაუკავშირდა ოქროს და მისი ფორმა მიიღო. რატომ გახდა ოქრო ფული? იმიტომ, რომ ადამიანებმა იგი მიიჩნიეს, აღიარეს საქონელთა ურთიერთგაცვლის საშუალებად. ადამიანის მხრიდან ამგვარი აღიარების გარეშე ფული არ არსებობს. მატერიალური საგანი — ოქრო ფულად არ გადაიქცევა, თუ ადამიანები მას არ მიიჩნევენ ყიდვა-გაყიდვის საშუალებად. ამგვარად, ფულს წარმოშობს ადამიანებს შორის ურთიერთობა, რომელიც მყარდება სასაქონლო წარმოების პროცესში. როგორც მატერიალური საგანი ოქრო თავისთავად ფული არაა. იგი ფულად იქცევა, თუ ადამიანმა იგი მიიჩნია საქონელთა ყიდვა-გაყიდვის ერთადერთ საშუალებად. ამგვარი აღიარება ადამიანის გონითი აქტია. ოქროში, ე. ი. მატერიალურ ნივთში ფული ადამიანმა უნდა ამოიკითხოს, დაინახოს და შეიცნოს. სხვაგვარად იგი უბრალო ნივთია, მაგრამ არავითარ შემთხვევაში ფული.

ახლა განვიხილოთ ხელოვნების ნაწარმოები. მას აუცილებლად აქვს ნივთიერი მხარე: ხუროთმოძღვრულ ქმნილებაში იგი არის ქვა, ნახატში — ფერი, ენობრივ ქმნილებაში — ბგერა, მუსიკაში — მელერი და ა. შ. თუ მხატვრულ ქმნილებას მატერიალური მხრიდან განვიხილავთ, მაშინ მას ისეთივე ბუნებრივი არსებობა აქვს, როგორც სხვა ნივთიერებას. ნახატი კედელზე ისევე ჰკიდია, როგორც ჭედი. ძეგლი ისევე დგას მოედანზე, როგორც ელექტრონის გადამცემი ბოძი. წიგნები ისევე აწყვია სარდაფში, როგორც ფქვილით სავსე ტომრები და სხვა.

მაგრამ ხელოვნების ნაწარმოები ნივთი როდია. იგი შერწყმულია სხვა რაღაცასთან, რომელიც მისი საზრისი და მნიშვნელობაა, მათი ამოკითხვა, გაგება და გაცნობიერება ხდება ადამიანის გონების მიერ. სწორედ ეს გარემოება ხდის მას ხელოვნებად. თუ ამგვარ გაგებას არ ეწინა ადგილი, მაშინ იგი უბრალო ნივთია და მეტი არაფერი. ადამიანთა გამგები აუდიტორიის გარეშე, მხატვრული ქმნილება, როგორც ასეთი, არ არსებობს. ხელოვნების ნაწარმოებებში რეალიზებულია ადამიანის გონი და მისი გაგებისა და გაცნობიერების გარეშე იგი არ არსებობს.

მოტანილი მაგალითების ანალიზი ნათელყოფს კულტურის ყოფიერების თავისებურებას, რითაც იგი განსხვავდება ბუნების ყოფიერებისაგან. ბუნება თავისთავადია, იგი არავის შეუქმნია, ამიტომ მასში არ არის რეალიზებული არავითარი ღვთაებრივი ან მსოფლიო გონი. კულტურა ადამიანის ქმნილებაა, ამიტომ მასში რეალიზებულია მისი გონი. ადამიანურ გონთან მიმართების გარეშე კულტურის არსებობა აზრს კარგავს და იქცევა ნივთების გროვად.

სამყაროს კანონზომიერების პრობლემა

კანონზომიერების ცნება. კანონზომიერება ნიშნავს კანონებისადმი თანხმობას. მოვლენა კანონზომიერია, თუ იგი ხდება კანონების შესაბამისად, შესატყვისად. მოვლენა არაკანონზომიერია, თუ მისი მიმდინარეობა არ ეთანხმება კანონებს და ხდება მათ საპირისპიროდ. კანონზომიერებას ახასიათებს შემდეგი ნიშნები: 1) **დეტერმინირებულობა, განპირობებულობა** (ლათ. დეტერმინაციო ნიშნავს განსაზღვრულობას). კანონზომიერი მოვლენის წარმოშობას და მიმდინარეობას განაპირობებენ გარკვეული ფაქტორები და გარემოებანი. იგი მთლიანად განსაზღვრულია მათ მიერ; 2) **აუცილებლობა.** კანონზომიერია მოვლენა, რომელიც ხდება არა თვითნებურად, შემთხვევით, არამედ აუცილებლობის ძალით. იგი დეტერმინაციის აუცილებელი შედეგია; 3) **განმეორებადობა, რეგულარობა.** კანონზომიერი მოვლენა ერთსა და იმავე პირობებში რეგულარულად მეორდება. ის, რომ პირობების შეცვლისას მოვლენა შეიცვლება, არა თუ ეწინააღმდეგება კანონზომიერებას, არამედ პირიქით — ადასტურებს მას. მაგალითად, წამალმა ერთ პაციენტზე დადებითად, ხოლო მეორეზე უარყოფითად იმოქმედა. ეს სრულიად კანონზომიერია იმ შემთხვევაში, თუ მათი ორგანიზმების მდგომარეობა არსებითად განსხვავებულია ერთმანეთისაგან. მაგრამ არაკანონზომიერი იქნება, თუ მან განსხვავებული შედეგები მოგვცა ერთსა და იმავე პაციენტზე დაახლოებით მსგავს პირობებში.

ამრიგად, კანონზომიერება არის წესრიგი, რომელიც დეტერმინირებულია შესაბამისი პირობებით და გარემოებებით. არაკანონზომიერება არის უწესრიგობა, ქაოსი, რომელიც არადეტერმინირებულია და ხდება თვითნებურად.

კანონი და მისი ფუნქციები. არსებობს მოვლენათა ახსნის ორი ფორმა — მეცნიერული და არამეცნიერული. პირველი გულისხმობს მოვლენა-

თა ახსნას ბუნებრივი კანონების საფუძველზე, ხოლო მეორე — მათ გარეშე. მაგალითად, ერთმანეთს რომ შევადაროთ დღე-ღამის ან წელიწადის დროთა ცვალებადობის მეცნიერული და მითოლოგიური ახსნა. მეცნიერება ამ ფაქტს ხსნის შემდეგნაირად: დღე-ღამის ცვალებადობა გამოწვეულია დედამიწის ბრუნვით თავისი ღერძის გარშემო. წელიწადის დროთა ცვალებადობის მიზეზია დედამიწის ბრუნვა მზის გარშემო. როგორ ხსნის ამ მოვლენებს მითოლოგია? დღე-ღამის შეცვლას იწვევს მზის ღმერთი ჰელიოსი. იგი ჯდება ოქროს ეტლში და გადაივლის ცას. როდესაც იგი ცაზეა — დღეა, ხოლო როდესაც მიეფარება — ღამე. წელიწადის დროთა ცვალებადობის მიზეზია შემდეგი: ნაყოფიერების ქალღმერთ დემეტრეს ჰადესმა მოსტაცა ქალიშვილი პერსეფონე. იგი დადარდიანდა, მიატოვა თავისი საქმე, ძაძებით შეიმოსა და დაიწყო უმიზნოდ ხეტიალი. ჩაკვდა ბუნება, მცენარეულობა აღარ იძლეოდა მოსავალს. საფრთხე დაემუქრა ადამიანთა მოდგმას. შეწუხდა ზევსი, მოელაპარაკა ჰადესს და ისინი შეთანხმდნენ: პერსეფონე წელიწადის ერთ მეოთხედს გაატარებდა ჰადესთან, დანარჩენს — დემეტრესთან. როდესაც პერსეფონე ჰადესთანაა, დემეტრე დადარდიანებულია, რის გამოც ბუნება მკვდარია და არის ზამთარი. როდესაც პერსეფონე ბრუნდება დემეტრესთან, იგი გახარებულია. ამის შედეგად ბუნება იღვიძებს და დგება გაზაფხული. როდესაც პერსეფონე დემეტრესთანაა, იგი გახარებულია და არის ზაფხული. როდესაც მოდის დრო, რომ პერსეფონე უნდა დაბრუნდეს ჰადესთან, იგი ისევ სევდას ეძლევა და ბუნება იწყებს კვდომას. დგება შემოდგომა.

აღნიშნული პროცესები რეგულარულად მეორდება. მათ აქვთ აუცილებელი და დეტერმინირებული ხასიათი. მაშასადამე, როგორც მეცნიერება, ისე მითოლოგია ცნობს და აღიარებს კანონზომიერებას. მაგრამ მათ შორის არსებითი განსხვავებაა. პირველი კანონზომიერების ახსნას იძლევა კანონების, ხოლო მეორე — რაღაც ფანტასტიკური ძალების (ღმერთების) საფუძველზე. ამიტომ კანონზომიერების აღიარება არ არის მეცნიერების სპეციფიკური ნიშანი. მას ცნობს მითოლოგიაც და რელიგიაც. განსხვავება კანონზომიერების საფუძველს ეხება. მეცნიერების თავისებურება ისაა, რომ იგი კანონზომიერების ახსნას ახდენს კანონების მეშვეობით.

რა არის კანონი? კანონი ყოველთვის გამოითქმის ზოგადი დებულებით. მაგრამ მას შეიძლება ჰქონდეს ორი სრულიად განსხვავებული შინაარსი: 1) იგი ადგენს სინამდვილის რაღაც მოვლენებს შორის მიმართებას. მაგალითად, დებულება: "თუ რკინა გავათბეთ, მაშინ იგი გაფართოვდება". იგი გამოხატავს მიზეზობრივ კავშირს რკინის გათბობასა და მის გაფართოებას შორის, რასაც ძალა აქვს ყოველ დროს და ყოველ ადგილას. 2) იგი ადგენს ზოგად წესს, რომელიც გამოხატავს ქცევის ნორმას — გარკვეულ სიტუაციაში როგორ უნდა მოიქცეს ადამიანი. მაგალითად, მედიცინაში არსებობს ოქროს წესი, რომელიც ადგენს თუ როგორ უნდა მოიქცეს ექიმი რეცეპტის გამოწერისას.

პირველი ტიპის კანონებს უწოდებენ ობიექტურს, ხოლო მეორე ტიპის — ნორმატიულს. მეცნიერება ადგენს როგორც ობიექტურ, ისე ნორმატიულ კანონ-

ებს. მათ საფუძველზე იგი ცდილობს ახსნას სამყაროს კანონზომიერება და დადგინოს ადამიანის ქცევის ნორმები.

ეროვნული

თანამედროვე მეცნიერება განასხვავებს ორი სახის — დინამიკურ და სტატისტიკურ კანონებს. დინამიკური კანონი გამოხატავს გარდაუვალობას, რომელსაც არა აქვს გამონაკლისი და მას ექვემდებარება სიმრავლის ყოველი მოვლენა. მაგალითად, ამ სახისაა კლასიკური მექანიკის კანონები — ინერციის, მიზიდულობის და სხვა. სტატისტიკური კანონი გამოხატავს იმას, რაც ხორციელდება უმეტესწილად და არა ყოველთვის. მას აქვს გამონაკლისი, ამიტომ მას არ ექვემდებარება სიმრავლის ყოველი მოვლენა.

სტატისტიკური კანონი არ განსაზღვრავს ყოველი ცალკეული მოვლენის ქცევას. იგი ეხება მოვლენათა სიმრავლეს და ადგენს რაღაც საშუალოს, რომელიც განხორციელდება მიახლოებით. ამიტომ მას აქვს ალბათური ხასიათი. სტატისტიკური კანონი ალბათურია. სანიმუშოდ განვიხილოთ მონეტის აგდებისას მიღებულ შედეგთა სიმრავლე. კანონი არ ადგენს ყოველი აგდების შედეგს — იგი შეიძლება იყოს ფულის ან გერბის მხარე. თუ კერძოდ რომელი იქნება ცალკეულ შემთხვევაში, ამის განსაზღვრა კანონით არ შეიძლება. იგი ადგენს მრავალი მცდელობის შედეგს. ვთქვათ, 1000 აგდების შემთხვევაში ორივე მხარე თანაბრად განაწილდება, მაგრამ ეს განხორციელდება არა ზუსტად, არამედ მიახლოებით. ყოველთვის იქნება გადახრა ერთ ან მეორე მხარეს, თუმცა ცდების გაზრდის შემთხვევაში მას სულ უფრო მეტად ექნება კანონთან მიახლოების ტენდენცია.

მედიცინა ემყარება იმ კანონებს, რომელთაც ადგენს ფუნდამენტური მეცნიერებანი — ადამიანის ანატომია, ფიზიოლოგია, ფსიქოლოგია, გენეტიკა და სხვა. ეს კანონები გვიხსნიან დაავადებათა წარმოშობის მიზეზებს. მაგრამ მედიცინა თვითონ ადგენს საკუთარ კანონებს, რომლებიც ეხება დაავადებათა სიმპტომებს და მათი მკურნალობის მეთოდებს. მაგალითად, განვიხილოთ ისეთი ავადმყოფობა, როგორიცაა ტუბერკულიოზი. ამასთან დაკავშირებით დგინდება შემდეგი კანონები: "ტუბერკულიოზს აქვს ასეთი და ასეთი სიმპტომები", "ტუბერკულიოზის განკურნება შეიძლება ასეთი და ასეთი მეთოდებით".

მედიცინის კანონები სტატისტიკური ხასიათისაა. ყოველ მათგანს აქვს გამონაკლისი, რაც განპირობებულია პაციენტების ინდივიდუალური თავისებურებებით და იმ განსხვავებული ფაქტორების სიმრავლით, რომლებიც მათ განხორციელებას ხელს უწყობენ ან ხელს უშლიან. აქ იმდენად დიდი რაოდენობის განსხვავებული ფაქტორი მონაწილეობს, რომ მათი ერთ სქემაში მოქცევა შეუძლებელია. ამიტომ მედიცინა იძულებულია დაადგინოს სტატისტიკური კანონი, რომელიც უზრუნველყოფს შედეგის განხორციელებას გარკვეული პროცენტით და არა უეჭველად.

მეცნიერებაში კანონს აქვს ორი ფუნქცია — ახსნა და წინასწარმეტყველება. მისი დანიშნულებაა ახსნას ცნობილი მოვლენები და იწინასწარმეტყველოს უცნობი. ამ ამოცანას ასრულებს რეალური მეცნიერება. იგი რეალობის კანონების აღმოჩენისა და ზუსტი ფორმულირების საფუძველზე ცდილობს ახსნას და იწინასწარმეტყვე-

ლოს მოვლენები. სწორედ ესაა რეალურ მეცნიერებათა ძირითადი თავისებურება.

დეტერმინიზმი და ინდეტერმინიზმი. საკითხი ეხება კანონზომიერების ობიექტურად არსებობას. ახასიათებს თუ არა იგი სამყაროს? სამყაროში წესრიგია თუ ქაოსი, კანონზომიერებაა თუ შემთხვევითობა? პროცესები დეტერმინირებულია (გაპირობებულია) თუ თვითნებურია (გაუპირობებელია)? ფილოსოფიის ისტორიაში ამ კითვებზე არ არსებობს ცალსახა პასუხი: ერთნი მიიჩნევდნენ, რომ სამყარო კანონზომიერია, მეორენი კი უარყოფდნენ მას. ამან განაპირობა ორი დაპირისპირებული მიმართულების — დეტერმინიზმის და ინდეტერმინიზმის წარმოშობა. მეორე პირველის ფუნქციაა, რადგან მას საკუთარი დადებითი შინაარსი არ გააჩნია. იგი განისაზღვრება დეტერმინიზმთან დაპირისპირებით. ინდეტერმინიზმი უარყოფს იმას, რასაც ამტკიცებს დეტერმინიზმი. ამის გამო პირველ რიგში უნდა განვსაზღვროთ დეტერმინიზმი. ეს მიმართულება სხვადასხვაგვარად იყო გაგებული. ფილოსოფიის ისტორიაში ყველაზე უფრო მიზანშეწონილად მიგვაჩნია შემდეგი გაგება:

დეტერმინიზმი არის თეორია, რომელიც ამტკიცებს კანონზომიერების ობიექტურად არსებობას. მოვლენებისა და პროცესების მიმდინარეობა სამყაროში კანონზომიერია; არაფერი არ ხდება თვითნებურად და მხოლოდ შემთხვევით, ყველაფერი განპირობებული და დეტერმინირებულია. ინდეტერმინიზმი კი არის თეორია, რომელიც კანონზომიერების ობიექტურად არსებობას უარყოფს და ამტკიცებს, რომ ყველაფერი, რაც სამყაროში ხდება, თვითნებური და შემთხვევითია.

მაშასადამე, **დეტერმინიზმის ძირითადი პრინციპია კანონზომიერების ობიექტურობის აღიარება, ხოლო ინდეტერმინიზმის — მისი უარყოფა.**

დეტერმინიზმი ფართო მოძღვრებაა. ყველა თეორია, რომელიც სამყაროს კანონზომიერებას აღიარებს, დეტერმინისტულია. მაგრამ სხვადასხვაგვარად ხდება კანონზომიერების არსის გაგება და მისი დაფუძნება. რა განაპირობებს კანონზომიერებას? რა არის მისი საფუძველი? ამ კითხვებზე პასუხი არაერთგვაროვანია, რის შედეგად საქმე გვაქვს დეტერმინიზმის განსხვავებულ სახეებთან. უპირველეს ყოვლისა, უნდა განვასხვავოთ **მეცნიერული და არამეცნიერული** დეტერმინიზმი. ორივეს მიაჩნია, რომ სამყარო კანონზომიერია, მაგრამ სხვადასხვაგვარად ესმით მისი საფუძველი. პირველს კანონზომიერების საფუძვლად მიაჩნია თვით სამყაროსათვის დამახასიათებელი შინაგანი და ობიექტური კავშირები, რომლებიც გამოიხატება შესაბამისი კანონების მეშვეობით, მეორე კანონზომიერებას აფუძნებს რაღაც ზებუნებრივ ძალაზე, რომელიც სამყაროსათვის მიღმური და გარეგანია. არამეცნიერული დეტერმინიზმის მაგალითებია ფატალიზმი და პროვიდენციალიზმი. ფატალიზმი (ლათ. სიტყვიდან ფატუმ, რაც ნიშნავს ბედისწერას) აღიარებს, რომ ბედისწერაა სწორედ ის ზებუნებრივი ძალა, რომელიც განსაზღვრავს სამყაროში არსებულ მკაცრ კანონზომიერებას ანუ გარდაუვალობას. პროვიდენციალიზმი (ლათ. სიტყვიდან პროვიდენცია, რაც ნიშნავს განგებას) მიიჩნევს, რომ ღვთის ნება — განგებაა ის

საფუძველი, რომელიც მკაცრად განსაზღვრავს სამყაროს კანონზომიერებას.

ფატალიზმი და პროვიდენციალიზმი არამეცნიერული შინაარსის დეტერმინისტული მოძღვრებებია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეცნიერების საფუძველი დეტერმინიზმია. სხვაგვარად არსებობა მას არ შეუძლია. იქ, სადაც კანონზომიერება და მოვლენათა განპირობებულობა არ არსებობს, მეცნიერება შეუძლებელია. იგი ქმნის თავისებურ დეტერმინისტულ თეორიას, რომელიც სხვა ანალოგიური თეორიებისაგან იმით განსხვავდება, რომ კანონზომიერების საფუძვლად მიაჩნია რეალობა და მისი შინაგანი კანონები.

სამყაროს კანონზომიერების ახსნა და დაფუძნება თვით მასში მოქმედი კანონების მეშვეობით — აი მეცნიერული დეტერმინიზმის ძირითადი თავისებურება. მეცნიერების მიზანიც სხვა არაფერია, თუ არა ამ კანონების აღმოჩენა და მათ საფუძველზე ცნობილ მოვლენათა ახსნა და უცნობ მოვლენათა წინასწარმეტყველება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მეცნიერება განასხვავებს კანონთა ორ სახეს — დინამიკურს და სტატისტიკურს. შესაბამისად, არსებობს მეცნიერული დეტერმინიზმის ორი ფორმა — დინამიკური და სტატისტიკური. პირველს კანონზომიერების საფუძვლად მიაჩნია დინამიკური, ხოლო მეორეს — სტატისტიკური კანონები. აქედან გამომდინარეობს მათი განსხვავებული ხასიათიც. დინამიკური დეტერმინიზმი მკაცრი და ცალსახაა. იგი კანონზომიერებას აიგივებს გარდაუვალობასთან, რომელიც გამორიცხავს შემთხვევითობის, შესაძლებლობის, ალბათობის და თავისუფლების ობიექტურობას. სტატისტიკური დეტერმინიზმი არამკაცრი და ალბათურია. მას კანონზომიერება ესმის როგორც აუცილებლობისა და შემთხვევითობის ერთიანობა, რომელიც უშვებს შესაძლებლობის, ალბათობის და თავისუფლების ობიექტურობას.

დინამიკური დეტერმინიზმის მიერ მოვლენათა ახსნა და წინასწარმეტყველება აბსოლუტურად უტყუარი და უეჭველია, ხოლო სტატისტიკური დეტერმინიზმის მიერ — მხოლოდ ალბათური.

ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში დინამიკურ დეტერმინიზმს დასაბამი მისცა დემოკრიტემ. იგი აღორძინდა კლასიკური მექანიკის საფუძველზე XVII-XVIII საუკუნეებში, რამაც გამოხატულება ჰპოვა სპინოზას, ჰობსის და ჰოლბახის კონცეფციებში. სტატისტიკური დეტერმინიზმი ჩამოყალიბდა XX საუკუნეში და საფუძვლად უდევს თანამედროვე მეცნიერებას. იგი მიიჩნევს, რომ სამყაროს ფუნდამენტური კანონები ალბათურ-სტატისტიკური ხასიათისაა.

მედიცინა თავის თეორიულ და პრაქტიკულ საქმიანობაში ემყარება სტატისტიკურ კანონზომიერებას. მისი დებულებები და დასკვნები ალბათურია.

სამყაროს კანონზომიერი კავშირები და მიმართებები

სამყარო მრავალფეროვანია. იგი შედგება მრავალგვარი მოვლენებისა და პროცესებისაგან, რომელთა შორის უშუალო თუ გაშუალებული, ფარული თუ აშკარა, დეტერმინაციული თუ არადეტერმინაციული კავშირები და ურთიერთობებია. მათ უზოგადეს და ძირეულ ტიპებს ახასიათებს ფილოსოფია კატეგორიე-

ბის მეშვეობით. საზოგადოდ, კატეგორია არის ის ძირეული და ფუნდამენტური ცნება, რომელსაც ფილოსოფიური აზროვნება ემყარება. იგი კატეგორიათა სფეროს ზე ამყალიბებს სისტემას. ჯერ ზოგადად გავარკვიოთ კატეგორიის ბუნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კატეგორიის არსი. ფილოსოფიური აზროვნება კატეგორიებით აზროვნებაა, ამიტომ მათ განსაკუთრებული ადგილი და როლი აქვთ ფილოსოფიაში. ეს გარემოება განაპირობებს იმის აუცილებლობას, რომ საჭიროა გავარკვიოთ კატეგორიის ბუნება, რათა ნათელვყოთ მისი მნიშვნელობა ფილოსოფიის როგორც დამოუკიდებელი და განსაკუთრებული დარგის ჩამოყალიბებაში.

სიტყვა "კატეგორია" წარმოსდგება ბერძნული ზმნიდან "კატეგორეო", რაც ნიშნავს თქმას რაღაცის შესახებ, დადანაშაულებას, ჩვენებას, დამტკიცებას. იგი ფილოსოფიაში პირველად შემოიტანა არისტოტელემ, რომელმაც მას მიანიჭა შემდეგი მნიშვნელობა: იგი არის თქმა რაღაცის შესახებ ანუ გამოთქმა. მისთვის კატეგორია არის გამოთქმა საგნის შესახებ ანუ პრედიკატი (შემასმენელი). აქ გასარკვევია ორი საკითხი: 1) რის შესახებ გამოითქმის პრედიკატი და 2) არის თუ არა ყოველი პრედიკატი კატეგორია? ორივე კითხვაზე არისტოტელეს აქვს გაცემული პასუხი: ის, რაზეც კატეგორია გამოითქმის არის ყოფიერება საზოგადოდ ანუ არსებული როგორც არსებული. მას არისტოტელე უწოდებს უსიას, რაც შემდგომ ლათინურ ენაზე ითარგმნა როგორც სუბსტანცია. ეს ისეთი არსებულია, რომელიც სხვა არსებულზე არ გამოითქმის, მაგრამ მასზე ყველა სხვა დანარჩენი გამოითქმის. იგი არის ერთეული – "ეი ეს", რომელიც თავისთავადია და სხვაზე არ არის დამოკიდებული. არსებულზე ბევრი რამ გამოითქმის, ე. ი. მას მიეწერება მრავალი პრედიკატი, მაგრამ ყოველი მათგანი კატეგორია როდია. ამ უკანასკნელს მიეკუთვნება გარკვეული ტიპის შემასმენელთა გვარი, რომელიც მათი გამაერთიანებელია, ამდენად მათთვის ზოგადია. მაგალითად, რომელიმე საგნის შესახებ მე შემიძლია ვთქვა: იგი ჩემს წინ ან უკან, მარჯვნივ ან მარცხნივ, ზევით ან ქვევით, სახლში ან ქუჩაშია. ყველა ეს გამოთქმა აღნიშნავს ერთ საერთო ვითარებას – ადგილს. ანალოგიურად, ადამიანის შესახებ შეგვიძლია ვთქვათ: იგი წევს, დგას, დადის, დარბის და ა. შ. ისინიც აღნისნავენ ერთ საერთო ვითარებას – მდგომარეობას. კატეგორია იქნება არა კონკრეტული პრედიკატები, არამედ მათი გამაერთიანებელი ზოგადი გვარი. ზემოთ მოტანილ მაგალითებში ასეთი იქნება ადგილი და მდგომარეობა.

ამგვარად, არისტოტელეს მიხედვით, კატეგორია არის შემასმენელთა გვარი ანუ უზოგადესი პრედიკატი, რომელიც გამოითქმის არსებულის როგორც არსებულის შესახებ. იგი აჩვენებს, ავლენს არსებულის ძირეულ ნიშანს. არისტოტელემ ფილოსოფიაში პირველად სცადა კატეგორიების საშუალებით ყოფიერების ძირეული მხარეების დახასიათება.

არისტოტელემ არა მარტო ზოგადად წამოაყენა აღნიშნული პრინციპი, არამედ კონკრეტულად დაასახელა ის ცნებები, რომლებიც მან მიიჩნია კატეგორიებად. ამით მან მოგვცა კატეგორიათა გარკვეული ცხრილი. იგი მოიცავს

ათ ცნებას: არსება, თვისებრიობა, რაოდენობა, ადგილი, დრო, მდგომარეობა, მიმართება, ფლობა, ვნება და მოქმედება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხადია, რომ ფილოსოფოსები არისტოტელემდეც მოიხმარდნენ კატეგორიებს და მათ გარკვეულ ცხრილსაც ადგენდნენ, მაგრამ დიდი ბერძენი ფილოსოფოსის დამსახურება ისაა, რომ მან პირველმა კატეგორიები აქცია საგანგებო ბჭობის საგნად, რითაც დასაბამი მისცა კატეგორიათა მოძღვრებას. ამ მხრივ საგულისხმოა მისი ნაშრომი "კატეგორიები". ამის შემდეგ კატეგორიების პრობლემა გაცხოველებული განხილვისა და დავის საგანი გახდა.

კატეგორიებმა შეიძინა ონტოლოგიური სტატუსი. მიჩნეულ იქნა, რომ ისინი წარმოადგენენ არა მხოლოდ ცნებებს, არამედ თვით ყოფიერების ძირეულ განსაზღვრულობებს. შუა საუკუნეების ფილოსოფიამ დიდი ყურადღება დაუთმო აღნიშნულ საკითხს. მან ერთმანეთისგან მკვეთრად გამიჯნა ღმერთი და სამყარო. ღმერთი ზებუნებრივია, ამიტომ ყოფიერების მიღმაა. იგი გონებისათვის მიუწვდომელია, რის გამოც მისი დახასიათება კატეგორიების საშუალებით შეუძლებელია. ყოფიერება მიეწერება სამყაროს, რომლის ძირეულ განსაზღვრულობებს გამოთქვამს კატეგორიები. მაშასადამე, კატეგორიები უზოგადესი ცნებებია, რომელთაც ობიექტურად შეესაბამება ყოფიერების ძირეული განსაზღვრულობები. შუა საუკუნეების ფილოსოფიამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ყოფიერების ისეთ უზოგადეს განსაზღვრულობებს, როგორიცაა: არსება და მოვლენა, ერთეული და ზოგადი, მიზეზი და შედეგი, შესაძლებლობა და სინამდვილე, მატერია და ფორმა.

კატეგორიათა მოძღვრების განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა კანტმა. იგი აკრიტიკებს არისტოტელეს იმისათვის, რომ მან ვერ შეძლო კატეგორიათა სისტემის ჩამოყალიბება. სამართლიანია თუ არა კანტის ეს საყვედური არისტოტელეს მიმართ? გარკვეულწილად სამართლიანია. საქმე ისაა, რომ არისტოტელესთან გაურკვეველია თუ რატომ მაინცდამაინც ის ათი ცნება, რომელიც მან დაასახელა, არის კატეგორია? იგი კატეგორიებად არ მიიჩნევს ისეთ ფუნდამენტურ ცნებებს, როგორიცაა მიზეზი და შედეგი, შემთხვევითობა და აუცილებლობა, შესაძლებლობა და სინამდვილე, მატერია და ფორმა. არისტოტელე მათ საგანგებოდ იხილავს და თავისი ფილოსოფიური სისტემის ძირითად ცნებებად თვლის. იგი ხშირად გამოთქვამს მათ პრედიკატებად ყოფიერების მიმართ. მაგალითად, არისტოტელესთან ვხვდებით ასეთ დებულებას "ყოფიერება არის შემთხვევითი, შესაძლებელი ან აუცილებელი". თუ კი ისინი მოიხმარება პრედიკატებად ყოფიერების მიმართ, მაშინ რატომ არ უნდა მივიჩნიოთ კატეგორიებად? არისტოტელეს ამ კითხვაზე არ მოეპოვება პასუხი, რაც ადასტურებს კანტის საყვედურის სამართლიანობას.

კანტი მიზნად ისახავს მოგვცეს კატეგორიათა სისტემა, სადაც ზუსტად გარკვეული იქნება თუ რომელი ცნებაა კატეგორია და რომელი არა. ეს ლოგიკურად გამომდინარეობს მისი ზოგადფილოსოფიური სისტემიდან. კანტი განასხვავებს ად-

ამიანური ცნობიერების სამ უნარს: მჭვრეტელობას, განსჯას და გონებას. ყოველ მათგანს თავისი აპრიორული ფორმები აქვს. მგრძნობელობის ფორმებია — სივრცე და დრო. ისინი გრძნობადი ჭვრეტის ფორმებია და არა ცნებები. განსჯას აქვს ცნებები, რომლებიც აზროვნების, საგანთა მოაზრების ფორმებია. გონების ცნებებს კანტი უწოდებს იდეებს. ისინი მოვლენათა მთლიანობის, ერთობლიობის მოაზრების ფორმებია. მათ მიეკუთვნება სული, სამყარო და ღმერთი.

კანტის თანახმად, კატეგორიები მხოლოდ განსჯის აპრიორული ცნებებია, მაგრამ არა მგრძნობელობის ან გონების აპრიორული ფორმები. კატეგორია არის განსჯის აპრიორული ცნება — ასეთია კანტის ამოსავალი პრინციპი. ახლა საკითხი ეხება თუ კონკრეტულად რომელია ეს ცნებები?

აქ დასმულ კითხვას, რომ ვუპასუხოთ საჭიროა გავითვალისწინოთ განსჯის ბუნება. განსჯა ცნებებით აზროვნების უნარია. იგი ხორციელდება მსჯელობაში, ამიტომ განსჯა მსჯელობის უნარია. მსჯელობაში პრედიკატი გამოითქმის სუბიექტზე. აქ ხორციელდება სუბიექტ-პრედიკატის კავშირი ანუ სინთეზი. ამ კავშირს ექნება ობიექტური, ე. ი. აუცილებელი და საყოველთაო მნიშვნელობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი განხორციელდება განსჯის აპრიორული ცნების საფუძველზე. მაშასადამე, განსჯის აპრიორული ცნება არის ის საფუძველი, რომელიც განსაზღვრავს მსჯელობაში განხორციელებული სინთეზის ობიექტურობას. ყოველი სახის მსჯელობას თავისი შესატყვისი ცნება უდევს საფუძვლად. ცნება იმდენია, რამდენი სახის მსჯელობაც გვაქვს. ასე, რომ საკითხი ეხება მსჯელობათა კლასიფიკაციას. კანტი ამოდის იმ სქემიდან, რომელიც მიღებული იყო ტრადიციულად იმდროინდელ ფორმალურ ლოგიკაში. მსჯელობათა ტრადიციული კლასიფიკაცია იყო შემდეგი:

რაოდენობის მიხედვით
ზოგადი
კერძო
ერთეული

ხარისხის მიხედვით:
დადებითი
უარყოფითი
უსასრულო

მიმართების მიხედვით:
კატეგორიული
ჰიპოთეტური
დიზიუნქციური

მოდალობის მიხედვით:
პრობლემატური
ასერტორული
აპოდიქტიკური

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ყოველი სახის მსჯელობას შეესაბამება განსჯის აპრიორული ცნება, ამიტომ გვექნება კატეგორიათა შემდეგი ცხრილი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაოდენობრიობა
ერთიანობა
სიმრავლე
ყოვლადობა

თვისებრიობა	მიმართება
რეალობა	სუბსტანცია და აქციდენცია
უარყოფა	მიზეზი და შედეგი
განსაზღვრება	ურთიერთზემოქმედება

მოდალობა
შესაძლებლობა-შეუძლებლობა
არსებობა-არარსებობა
აუცილებლობა-შემთხვევითობა

კანტმა რადიკალურად შეცვალა კატეგორიის ბუნების გაგება. მან კატეგორიას წაართვა ონტოლოგიური სტატუსი და მიანიჭა მხოლოდ გნოსეოლოგიური ფუნქცია. კანტის მიხედვით კატეგორიები არ არსებობენ ობიექტურად. ისინი განსჯას შეაქვს ბუნებაში კანონების სახით. ბუნების მოვლენები ერთმანეთთან დაკავშირებულია არა თავისთავად, არამედ მათ განსჯა აკავშირებს კატეგორიების მეშვეობით. მიზეზობრიობა არსებობს არა ობიექტურად, არამედ არის განსჯის აპრიორული ცნება. მას ადამიანი კარნახობს ბუნებას შესაბამისი კანონის სახით. ამგვარად, კატეგორიები არ წარმოადგენენ ყოფიერების ძირეულ განსაზღვრულობებს. ისინი კავშირის ანუ სინთეზის წესებია, რომელთა მეშვეობით განსჯა მოიაზრებს მოვლენებს და აკავშირებს ერთმანეთთან.

კანტმა მოგვცა კატეგორიათა სისტემა, სადაც მკაცრად განსაზღვრულია მათი რაოდენობა, ადგილი და ფუნქცია. კანტს ცალსახა პასუხი აქვს კითხვაზე თუ რატომ თორმეტი კატეგორიაა და არა მეტი ან ნაკლები. ასევე მასთან ნათელია თუ რატომ არ მიეკუთვნება კატეგორიებს, ერთის მხრივ, სივრცე და დრო, ხოლო მეორეს მხრივ — სული, სამყარო და ღმერთი. ისინი არ არიან განსჯის ცნებები, ამიტომ არ შედიან კატეგორიათა კლასში.

გერმანული ფილოსოფიის შემდეგმა წარმომადგენლებმა ფიხტემ და შელინგმა სცადეს კატეგორიათა სისტემის განსხვავებული დაფუძნება. მაგრამ ისინი ფაქტობრივად დარჩნენ კანტის მიერ მოცემული კატეგორიათა ცხრილის ფარგლებში, ამიტომ მათ ამ მხრივ რაიმე მნიშვნელოვანი ნაბიჯი არ გადაუდგამთ.

კანტის შემდეგ ჰეგელი იყო პირველი, ვინც ახლებურად გაიგო კატეგორიის ბუნება და გააღრმავა კატეგორიათა მოძღვრების შინაარსი. ეს სიახ-

ლე დაკავშირებულია ჰეგელის ფილოსოფიის ზოგად პრინციპებთან.

ჰეგელი მიხედვით ფილოსოფია არის სინამდვილის როგორც მთელის მოაზრება ცნებების საშუალებით. რა არის სინამდვილე? იგი არის აბსოლუტური იდეის რეალიზაცია, განხორციელება. ობიექტური იდეა არის საგაროს საფუძველი ანუ სუბსტანცია, მაგრამ ამავე დროს იგი არის სუბიექტიც. რადგან სუბიექტია, მას აქვს შემეცნების უნარი. რას იმეცნებს აბსოლუტური იდეა როგორც სუბიექტი? ცხადია, რომ მას მხოლოდ თავისი თავის შემეცნება შეუძლია. რადგან იგი აბსოლუტურია და ამიტომ მის გარდა სხვა არაფერი არ არსებობს. აბსოლუტური იდეის შემეცნების უნარი ვლინდება საკუთარი თავის ანუ თვითშემეცნების უნარში. იგი თვითშემეცნების პროცესში გაივლის დიდ და ტანჯვა-წვალებით აღსავსე რთულ გზას, რომლის შედეგად ამოწურავს თავისი თავის შემეცნებას. აბსოლუტური იდეის თვითშემეცნების პროცესი იგივეა, რაც სინამდვილის ქმნადობის პროცესი. ამით ხორციელდება იდეის განამდვილება, მისი სინამდვილედ ქცევა.

აბსოლუტური იდეა თვითშემეცნების პროცესში გაივლის მრავალ საფეხურს. ყოველი მათგანი გამოიხატება შესაბამისი ცნებით. მათ ჰეგელი კატეგორიებს უწოდებს. მაშასადამე, კატეგორია არის ცნება, რომელიც გამოხატავს აბსოლუტური იდეის თვითშემეცნების საფეხურს. იმის გამო, რომ აბსოლუტური იდეის თვითშემეცნების და სინამდვილის ქმნადობის პროცესი ერთმანეთს ემთხვევა, კატეგორია ხდება სინამდვილის ქმნადობის საკვანძო მომენტიც. კატეგორია არა მარტო ცნებაა, არამედ სინამდვილის ძირეული განსაზღვრულობა. უფრო ზუსტად, ცნება ობიექტურად არსებობს როგორც საგნის არსება. კატეგორიები როგორც ცნებები თვით სინამდვილის ქმნადობის ძირეული განსაზღვრულობებია. ამით ჰეგელმა კატეგორიას დაუბრუნა ონტოლოგიური სტატუსი.

ჰეგელმა თავის ფილოსოფიურ სისტემაში მოაქცია თითქმის ყველა ძირითადი და ფუნდამენტური ცნება, რომელთა განხილვა და დამუშავება ხდებოდა ფილოსოფიის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე. იგი გასცდა და მნიშვნელოვნად გააფართოვა კანტის მიერ მოცემული კატეგორიათა ცხრილი.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში კიდევ უფრო გამდიდრდა კატეგორიათა სისტემა. იგი შეივსო ახალი შემეცნებისთეორიული, აქსიოლოგიური, ანთროპოლოგიური და სხვა ტიპის კატეგორიებით. ყურადღება მიექცა ისეთ ცნებებს, როგორიცაა ღირებულება, მნიშვნელობა, საზრისი, იდეალი, ნორმა, ადამიანი, სიცოცხლე და ა. შ.

XX საუკუნეში ყველაზე დიდი წვლილი კატეგორიათა მოძღვრებაში შეიტანეს ნ. ჰარტმანმა და მ. ჰაიდეგერმა. ნ. ჰარტმანმა დააფუძნა კრიტიკული ონტოლოგია, რომლის საფუძველზეც ჩამოაყალიბა კატეგორიათა ორიგინალური სისტემა. კატეგორია ყოფიერების ძირეული განსაზღვრულობაა — ეს არის ჰარტმანის ონტოლოგიის ამოსავალი პრინციპი. მან კატეგორიები დაყო ორ ჯგუფად: პირველს მიეკუთვნება ფუნდამენტური კატეგორიები,

რომელთაც გამოყენება აქვთ ყოფიერების ყველა ფენის მიმართ. მათგან განსხვავებით არსებობენ კატეგორიები, რომლებიც სინამდვილის რომელიმე ფენის თავისებურებას გამოხატავენ. ჰარტმანი განასხვავებს ყოფიერების ოთხ ფენას: არაცოცხალს, ცოცხალს, ფსიქიკურსა და გონითს. ყოველ მათგანს თავისი გამომხატველი სპეციფიკური კატეგორიები აქვს.

ჰაიდეგერიც ონტოლოგიას აგებს, რომლის მიზანი ყოფიერების ანალიზია. იგი თავის ონტოლოგიას უწოდებს ფუნდამეტურს და პრინციპულად განასხვავებს ტრადიციული ონტოლოგიისაგან. ეს უკანასკნელი იზღუდებოდა ბუნების ყოფიერებით და მის დასახასიათებლად იყენებდა კატეგორიებს. ფუნდამენტური ონტოლოგია ყოფიერების ექსისტენციალური ანალიტიკაა, რომლის მიზანია ადამიანური ყოფიერების ანუ ექსისტენციის დახასიათება. ადამიანური ყოფიერების აღწერა შესაძლებელია არა კატეგორიებით, არამედ ექსისტენციალებით. ექსისტენციალი ადამიანური ყოფიერების ძირეული მახასიათებელია. მათ მიეკუთვნება: ზრუნვა, სამყაროში გადაგდებულობა, მარტოობა, შიში, ძრწოლა, მან-ური ყოფიერება და სხვა.

ამგვარად, კატეგორიები ტრადიციული ონტოლოგიის ფუნდამენტური ცნებებია, რომლებიც ახასიათებენ ბუნების ყოფიერებას, ხოლო ექსისტენციალები ადამიანური ყოფიერების ძირეული მახასიათებლებია, რომელთა საშუალებით ფუნდამენტური ონტოლოგია ცდილობს ყოფიერების დახასიათებას.

ასეთია მოკლედ კატეგორიების ბუნების გაგება ფილოსოფიის ისტორიაში. რა დასკვნები შეიძლება გამოვიტანოთ ამ ანალიზიდან?

არ არსებობს კატეგორიის ბუნების ერთი გაგება, შესაბამისად, არც კატეგორიათა ერთი სისტემა. თითქმის ყოველ დიდ ფილოსოფოსს კატეგორიათა თავისი სისტემა აქვს, რომლის მეშვეობით იგი ცდილობს გადაწყვიტოს მის წინაშე მდგომი პრობლემები. მიუხედავად ამგვარი განსხვავებისა, შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე იგივეობრივი მომენტი.

კატეგორია არის ფუნდამენტური, ძირითადი ცნება, რომლის გამოყენებით ამა თუ იმ ფილოსოფიურ სისტემაში ხდება გარკვეული ობიექტის გააზრება და დახასიათება. კატეგორიათა სისტემა ქმნის იმ კატეგორიალურ აპარატს, რომლის მეშვეობით ფილოსოფოსი აზროვნებს და იმეცნებს თავის საგანს. ყოველ ფილოსოფიურ მოძღვრებას თავისი შინაარსის და საგნის შესატყვისი კატეგორიათა სისტემა აქვს. ამდენად ფილოსოფიური თეორიები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან კატეგორიათა კონკრეტული შინაარსით, მაგრამ არც ერთი მათგანი არ არსებობს კატეგორიალური აპარატის გარეშე. ფილოსოფიური აზროვნება კატეგორიებით აზროვნებაა. ფილოსოფოსობა შეუძლებელია კატეგორიების გარეშე.

განასხვავებენ კატეგორიათა ტიპებს. უპირველეს ყოვლისა, ფილოსოფიურ და კერძომეცნიერულ კატეგორიებს. ამ უკანასკნელს მიეკუთვნება ის ფუნდამენტური, ძირეული ცნებები, რომლებიც მეცნიერების მხოლოდ მოცემულ დარგში მოიხმარება. მაგალითად, ფიზიკის კატეგორიებია: მასა, ენერგია, ძალა,

მიზიდულობა, ატომი, ელემენტარული ნაწილაკი და სხვა. ბილოგიის კატეგორიებია: ორგანიზმი, მემკვიდრეობითობა, გარემოსთან შეგუება, ბრძოლა არსებობისათვის, სახეობა, სიცოცხლე, სიკვდილი და ა. შ. კერძოდ, ეს ნიშნავს, რომ კატეგორიათა თავისებურება ისაა, რომ მათი შინაარსი და გამოყენება განისაზღვრება მხოლოდ მოცემული კონკრეტული სფეროთი. მათგან განსხვავებით, ფილოსოფიური კატეგორიები ის ფუნდამენტური ცნებებია, რომელთა შინაარსი და გამოყენება განისაზღვრება სინამდვილის, როგორც მთელთან მიმართებით. მაგალითად, სიცოცხლის კატეგორია ბიოლოგიური ცნებაა, როდესაც იგი გამოხატავს ორგანიზმის თავისებურებას. მაგრამ თუ სიცოცხლე განიხილება როგორც მთელი სამყაროს საფუძველი, მაშინ იგი უკვე ფილოსოფიური კატეგორიაა. ასე გარდაქმნა სიცოცხლის ცნება ფილოსოფიურ კატეგორიად მიმდინარეობა სოცოცხლის ფილოსოფიამ, როდესაც მან იგი მიიჩნია სამყაროს ფუძედ. ნება როგორც ადამიანური ცნობიერების ერთ-ერთი ელემენტი, ფსიქოლოგიის კვლევის ობიექტია. მაგრამ, როდესაც შოპენჰაუერმა ნება გამოაცხადა სამყაროს საფუძვლად, მაშინ იგი გახდა ფილოსოფიური კატეგორია.

ამგვარად, ფილოსოფიურ კატეგორიათა თავისებურება ისაა, რომ ისინი საგნებს ახასიათებენ სამყაროს როგორც მთელთან მიმართებაში.

ფილოსოფიურ კატეგორიებს შორის გამოყოფენ განსხვავებულ ტიპებს. ეს შეიძლება მოხდეს სხვადასხვა პრინციპის საფუძველზე. შესაბამისად მივიღებთ კატეგორიათა განსხვავებულ ტიპებს. ერთ-ერთ პრინციპად შეიძლება გამოვიყენოთ ფილოსოფიურ დისციპლინათა გამიჯვნა. ყოველ მათგანს თავისი სპეციალური კატეგორიები აქვს. შესაბამისად არსებობს შემდეგი ტიპის კატეგორიები: ონტოლოგიური (ყოფიერება, რეალობა, დრო, სივრცე, მიზეზობრიობა, შემთხვევითობა, შესაძლებლობა, სინამდვილე და სხვა), გნოსეოლოგიური (შემეცნება, სუბიექტი, ობიექტი, ჭეშმარიტება, ჭეშმარიტების კრიტერიუმი, ცდა, დაკვირვება, აბსტრაქტული აზროვნება, ინტუიცია და სხვა). სოციალურ ფილოსოფიას თავისი კატეგორიები აქვს: საზოგადოება, ცივილიზაცია, კულტურა, შრომა, პოლიტიკა, ეკონომიკა, სახელმწიფო, სამართალი, ზნეობა და ა. შ. ანალოგიურად შეგვიძლია ვიმსჯელოთ სხვა ფილოსოფიურ დისციპლინათა კატეგორიებზე.

მოცემულ თავში საგანგებო ბჭობის საგანია ონტოლოგიურ კატეგორიათა ის ჯგუფი, რომელიც გამოხატავს სამყაროს კანონზომიერ კავშირებსა და მიმართებებს. მათ რიცხვს მიეკუთვნება შემდეგი: მიზეზი და შედეგი, აუცილებლობა და შემთხვევითობა, შესაძლებლობა და სინამდვილე, ერთეული და ზოგადი, არსება და მოვლენა, შინაარსი და ფორმა, სისტემა და სტრუქტურა. მოკლედ დავახასიათოთ თითოეული მათგანი.

მიზეზი და შედეგი. მიზეზობრივი კავშირი არის მიმართება მოვლენათა ორ რიგს შორის, რომელთაგან ერთი მიზეზია, ხოლო მეორე — შედეგი. ცხადია, რომ ყოველგვარი კავშირი მოვლენებს შორის არ არის მიზეზობრივი. იგი თავისებური კავშირია, რომელსაც ახასიათებს შემდეგი ნიშნები:

1) **დროში თანმიმდევრობა და სივრცეში** მეზობლობა. მიზეზი წინ უსწრებს შედეგს. ჯერ მიზეზია, შემდეგ კი შედეგი. შეუძლებელია იყოს პირიქით, შედეგი წინ უსწრებდეს მიზეზს. ასევე შეუძლებელია მათი ერთდროულად არსებობა, თუნდაც მცირე, მაგრამ დროის რაღაც ინტერვალში, მიზეზი წინ უსწრებს შედეგს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიზეზი და შედეგი სივრცის რაღაც მონაკვეთში უნდა შეხვდნენ ერთმანეთს. წინააღმდეგ შემთხვევაში მიზეზი ზემოქმედებას ვერ მოახდენს შედეგზე და ვერ გამოიწვევს მას.

შეიძლება თუ არა დროსა და სივრცეში ერთმანეთისაგან დაშორებულ მოვლენებს შორის დამყარდეს მიზეზობრივი კავშირი? მაგალითად, მზის ენერგია არის დედამიწაზე არსებული სითბოს მიზეზი. მზე, რომელიც დიდი მანძილით დაშორებულია დედამიწისაგან, იწვევს შედეგს – მის გათბობას. ხომ არ ეწინააღმდეგება ეს ფაქტი სივრცეში მეზობლობას როგორც მიზეზობრივი კავშირის განხორციელების აუცილებელ პირობას? არა, არ ეწინააღმდეგება, რადგან მზესა და დედამიწას შორის კავშირი მყარდება შუალედური რგოლების საშუალებით. მზის ენერგია დედამიწაზე მოაქვს სხივებს, რომლებიც თანდათანობით გადაეცემა მეზობელ სივრცეს და გარკვეული დროის ინტერვალის შემდეგ აღწევენ დედამიწას. იგივე ითქმის დროში თანმიმდევრობის შესახებაც. ვთქვათ, ადამიანმა მიიღო რადიაციული დასხივება, რომელმაც რამდენიმე წლის შემდეგ გამოიწვია სიკვდილი. ამ ორ ფაქტს შორის დროის საკმაოდ დიდი ინტერვალია, რომელიც ივსება მათი დამაკავშირებელი შუალედით. ორგანიზმმა მიიღო დასხივების ისეთი დოზა, რომელსაც სწორედ აღნიშნული დრო დასჭირდა, რომ გამოეწვია ტრაგიკული შედეგი.

მაშასადამე, სივრცეში და დროში დაშორებულ მოვლენებს შორის მიზეზობრივი კავშირი მყარდება შუალედური რგოლების საშუალებით. მათი მეშვეობით ეს მოვლენები ერთმანეთს ხვდება სივრცისა და დროის რომელიღაც მონაკვეთში. ამგვარი შეხვედრის გარეშე მიზეზ-შედეგობრივი კავშირი არ ხორციელდება.

2) **გენეზისური კავშირი.** მიზეზი წარმოქმნის, წარმოშობს, იწვევს შედეგს. ის, რომ შედეგი მოხდა, ამის ძირი, გენეზისი მიზეზშია საძიებელი. მიზეზს მიუძღვის "ბრალი", რომ მოხდა შედეგი. მის გარეშე იგი არ მოხდებოდა. მაგალითად, მოხდა საავტომობილო ავარია. იგი გამოიწვია შესაბამისმა მიზეზმა, რაც გულისხმობს: მას წინ უსწრებდა მოვლენათა მთელი ჯაჭვი, რომლის გამოც, რომლის ძალით მოხდა იგი. რომ მოვლენათა ამგვარი გადაჯაჭვა არა, მაშინ იგი არც მოხდებოდა. შედეგის გაჩენა გამოიწვია მიზეზმა.

ერთი მოვლენის მიერ მეორის გამოწვევა, წარმოქმნა ანუ გენეზისი არის სპეციფიკური ნიშანი, რომელიც მიზეზობრივ კავშირს განასხვავებს დეტერმინაციის სხვა ფორმებისაგან. მიზეზობრივი მიმართება არსებობს მხოლოდ იქ, სადაც ადგილი აქვს ერთი მოვლენის მიერ მეორის წარმოქმნას, გამოწვევას. სწორედ ესაა მიზეზობრივი კავშირის თავისებურება.

სივრცეში მეზობლობა და დროში თანმიმდევრობა მიზეზობრივი კავშირის

აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა. ის, რომ ერთი მოვლენა სივრცეში მეზობლობს და დროში წინ უსწრებს მეორე მოვლენას, აქედან თავისთავად არ გამომდინარეობს, რომ მათ შორის მიზეზობრივი მიმართებაა. ლაქე წინ უსწრებს დილას, მაგრამ არ არის მისი მიზეზი, რადგან არ იწვევს მას. ორივეს წარმოშობას განსაზღვრავს სხვა მიზეზი – დედამიწის ბრუნვა თავისი ღერძის გარშემო. ამიტომ სავსებით სწორი იყო ინგლისელი ფილოსოფოსი იუმი, რომელიც ამტკიცებდა: "ამის შემდეგ, არ ნიშნავს, ამის გამო". ადამიანები შეცდომას უშვებენ, როდესაც მოვლენათა ხშირი განმეორების საფუძველზე ასკვნიან მათ შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობის შესახებ. დაკვირვება გვიჩვენებს, რომ რაღაც მოვლენას ყოველთვის მოსდევს ერთი და იგივე მოვლენა. ეს არ არის საკმაო საფუძველი იმისა, რომ გაკეთდეს დასკვნა "ამის შემდეგ, მაშასადამე, ამის გამო". იუმი თვლის, რომ ამგვარი დასკვნა მცდარია, რადგან ადგილი აქვს აღრევას დროში თანმიმდევრობასა და მიზეზობრივ კავშირს შორის.

3) **აუცილებლობა.** მიზეზი შედეგს იწვევს აუცილებლობით და არა შემთხვევით. ის, რომ შედეგი მოხდა, აუცილებლობით განაპირობა იმან, რომ არსებობდა მიზეზი, რომელმაც გამოიწვია იგი. შედეგი ხდება არა შემთხვევით, თვითნებურად, არამედ მიზეზის გამო – აუცილებლობის ძალით.

აღნიშნული ნიშნები აუცილებელი და საკმარისია იმისათვის, რომ განვსაზღვროთ მიზეზობრივი კავშირი: **მიზეზი არის მოვლენა, რომელიც სივრცეში მეზობლობს და დროში წინ უსწრებს მეორე მოვლენას და აუცილებლობით იწვევს მას.** როდესაც მიზეზის ცნება წინასწარ განსაზღვრული გვაქვს, უკვე მისი მეშვეობით შეგვიძლია განვსაზღვროთ შედეგი. **შედეგი არის მოვლენა, რომელიც გამოწვეულია მიზეზით.** ახლა უკვე შეგვიძლია სამართლიანად ჩავთვალოთ შემდეგი დებულება: მიზეზობრივი კავშირი არის მიმართება მიზეზსა და შედეგს შორის.

მიზეზობრივი კავშირი რეალური და არა ლოგიკური მიმართებაა. ლოგიკური მიმართება არსებობს ცნებებს შორის. როდესაც ერთი ცნების შინაარსიდან ანალიზურად გამომდინარეობს მეორე ცნების შინაარსი. მიზეზის ცნებიდან ლოგიკურად არ გამოიყვანება შედეგის ცნება. ჩახმახის დასხლეტა იწვევს თოფის გასროლას. მაგრამ "ჩახმახის დასხლეტის" ცნებიდან ანალიზურად არ გამოიყვანება "თოფის გასროლის" ცნება. არა ცნება, არამედ ერთი რეალური მოვლენა იწვევს მეორეს იმით, რომ გარკვეული ძალით ზემოქმედებს მასზე.

ლოგიკური კავშირი საფუძველ-შედეგის და არა მიზეზ-შედეგის კავშირია. წანამძღვრებიდან როგორც საფუძვლიდან აუცილებლობით გამომდინარეობს დანასკვი როგორც მისი ლოგიკური შედეგი. იგი "თუ-მაშინ" ტიპის კავშირია. თუ ჭეშმარიტია წანამძღვარი, რომ "ყოველი ადამიანი მოკვდავია და პეტრე ადამიანია", მაშინ დანასკვი "პეტრე მოკვდავია" უდავოდ ჭეშმარიტია. წანამძღვარი არის არა მიზეზი, რომელიც დანასკვს იწვევს, არამედ საფუძველი, საბუ-

თი იმისა, რომ მისგან ლოგიკურადგამომდინარეობს დანასკვი როგორც შედეგი.

ლოგიკური გამომდინარეობა დამოუკიდებელია რეალობისაგან. რაც არ უნდა, მოხდეს სამყაროში, მას მაინც ექნება ადგილი.

მიზეზობრივი კავშირი რეალურია, ამიტომ იგი ხორციელდება გარკვეულ პირობებში. ჩახმახის დასხლეტა გამოიწვევს თოფის გასროლას როგორც შედეგს, თუ სახეზე იქნება შესაბამისი პირობები. მათ გარეშე იგი ვერ შეასრულებს მიზეზის როლს. **პირობა არის მოვლენა, რომელიც თვითონ არ იწვევს შედეგს, მაგრამ მის გარეშე მიზეზი შედეგს ვერ გამოიწვევს.**

მიზეზობრიობის ძირითადი პრინციპია შემდეგი დებულება: **ერთი და იგივე მიზეზი ერთსა და იმავე პირობებში იწვევს ერთსა და იმავე შედეგს.** შეიძლება თუ არა, ერთმა მიზეზმა განსხვავებულ პირობებში გამოიწვიოს სხვადასხვა შედეგი? არ შეიძლება. მაშ როგორ ავხსნათ ის ფაქტი, რომ ჩახმახის დასხლეტას ერთხელ მოყვა თოფის გასროლა. შეცვლილ პირობებში კი მან ვეღარ შეასრულა მიზეზის როლი. აქ უკვე სხვა მოვლენა, კერძოდ თოფის დაუტენლობა გახდა მიზეზი იმისა, რომ არ მოხდა გასროლა, ე. ი. მიზეზი შეიცვალა და შედეგიც სხვა მივიღეთ. მოტანილი მაგალითი მეტყველებს იმაზე, რომ განსხვავებულ შედეგებს იწვევს სხვადასხვა და არა ერთი და ივგივე მიზეზი.

მიზეზობრიობა დეტერმინაციის ერთ-ერთი, მაგრამ არა ერთადერთი ფორმაა. არსებობს დეტერმინაციის არამიზეზობრივი მიმართებები. სტატისტიკური კანონზომიერება გამოხატავს არამიზეზობრივ დეტერმინაციას. ამის გამო დეტერმინაციის დაყვანა მიზეზობრიობაზე გაუმართლებელია.

ფილოსოფიის ისტორიაში მიზეზობრიობის პრობლემასთან დაკავშირებით არსებობდა ორი საპირისპირო თეორია — **კაუზალიზმი და აკაუზალიზმი.** კაუზალიზმი (ლათ. კაუზა ნიშნავს მიზეზს) არის თვალსაზრისი, რომელიც აღიარებს მიზეზობრიობის ობიექტურობას და მის საფუძველზე ხსნის სამყაროს კანონზომიერებას. ზოგიერთი ამ თვალსაზრისს აიგივებს დეტერმინიზმთან საზოგადოდ, რაც არასწორია. რა თქმა უნდა, კაუზალიზმი აუცილებლად დეტერმინიზმია, მაგრამ პირიქით არ არის სავალდებულო. დეტერმინიზმი შეიძლება არ იყოს კაუზალისტური, ე. ი. მიზეზობრივი. მაგალითად, ჰეგელის კონცეფცია სამყაროს კანონზომიერების შესახებ არის ტელეოლოგისტური და არა კაუზალისტური. ტელეოლოგიზმი (ბერძნ. ტელოს ნიშნავს მიზანს) არის მოძღვრება, რომლის თანახმად, სამყაროს კანონზომიერების საფუძველია ღვთაების სიბრძნე და გონვრული მიზანი. ჰეგელს მიაჩნია, რომ სინამდვილე კანონზომიერი პროცესია, რომელიც ახდენს აბსოლუტური გონის (ღმერთის) მიზნის რეალიზაციას. ჰეგელის კონცეფცია დეტერმინიზმია, მაგრამ ტელეოლოგისტური და არა კაუზალისტური.

აკაუზალიზმი არის მოძღვრება, რომელიც უარყოფს მიზეზობრიობის ობიექტურობას სამყაროში. მაგრამ იგი არ არის აუცილებლად ინდეტერმინიზმი, რადგან მან შეიძლება არამიზეზობრივი დეტერმინაციის საფუძველზე

გაამართლოს ობიექტური კანონზომიერება.

მაშასადამე, კაუზალიზმი დეტერმინიზმის ერთ-ერთი სახე, კერძოდ, მიზეზობრივი დეტერმინიზმია. მისი უარყოფა აუცილებლად არ ნიშნავს ინდეტერმინიზმს. აკაუზალიზმი შეიძლება იყოს დეტერმინისტულიც და ინდეტერმინისტულიც. მაგალითად, დინამიკური დეტერმინიზმი კაუზალისტურია, ხოლო სტატისტიკური — არა. ინდეტერმინიზმი უარყოფს არა მხოლოდ მიზეზობრივ დეტერმინაციას, არამედ ყოველგვარ დეტერმინაციას. მას მიაჩნია, რომ სამყარო არაკანონზომიერია და არის ქაოსი, შემთხვევით მოვლენათა გროვა. სტატისტიკური დეტერმინიზმი აკაუზალიზმია, მაგრამ არ არის ინდეტერმინიზმი.

აუცილებლობა და შემთხვევითობა. აუცილებლობის და შემთხვევითობის კლასიკური განსაზღვრება მოგვცა არისტოტელემ. იგი მათ განმარტავს შემდეგნაირად: **აუცილებლობა არის ის, რაც ხდება ასე და არა სხვაგვარად. იგი თავის თავში გამორიცხავს სხვაგვარად მოხდენის შესაძლებლობას.** მოვლენა აუცილებელია თუ იგი მოხდა სწორედ ისე, როგორც უნდა მომხდარიყო, რადგან შეუძლებელი იყო მისი სხვაგვარად მოხდენა. სიცოცხლე თავის თავში შეიცავს სიკვდილის აუცილებლობას, ამიტომ ყოველი ცოცხალი არსება უნდა მოკვდეს, რადგან სხვაგვარად შეუძლებელია. **შემთხვევითობა არის ის, რაც შეიძლება მოხდეს ან არ მოხდეს. მოხდეს ასე, მაგრამ სხვაგვარადაც. იგი თავის თავში შეიცავს სხვაგვარად მოხდენის შესაძლებლობას.** მოვლენა შემთხვევითია ნიშნავს, რომ იგი კი მოხდა ასე, მაგრამ შეიძლებოდა სხვაგვარად მომხდარიყო. მასში მოცემულია ალტერნატივა — "ან-ან", ამასთან არც ერთი მხარე წინასწარ განსაზღვრული არ არის. რომელიმე მათგანი რომ მკაცრად დეტერმინირებული იყოს, მაშინ იგი აუცილებელი იქნებოდა და არა შემთხვევითი. შემთხვევითობა გამორიცხავს მკაცრ, ცალსახა დეტერმინაციას.

უნდა დაზუსტდეს: სხვაგვარად მოხდენის შესაძლებლობა გულისხმობს ერთსა და იმავე თუ სხვადასხვა პირობებს. ის, რომ მოვლენა განსხვავებულ პირობებში სხვადასხვაგვარად ხდება, ეს აუცილებელია და არა შემთხვევითი. მაგალითად, წყალი ბარის პირობებში დუღს 100 გრადუსზე, მთის მწვერვალზე კი უფრო ნაკლებ ტემპერატურაზე. ამგვარი ცვალებადობა აუცილებლობით განპირობებულია გარემოს, კერძოდ, ჰაერის წნევის შეცვლით. შემთხვევითობას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც მოვლენა სხვადასხვაგვარად ხდება ერთსა და იმავე პირობებში. გარემოში არაფერი იცვლება, ხოლო მოვლენა ერთხელ ასე ხდება, მეორეჯერ კი სხვანაირად. მაგალითად, უცვლელ პირობებში ჭურვი პირველი გასროლისას დაეცა ერთ ადგილას, ხოლო მეორე გასროლისას — სხვა ადგილას. თუ ასეთი რამ შესაძლებელია, მაშინ არსებობს შემთხვევითობა. მაგრამ შესაძლებელია კი საერთოდ, რომ მოვლენა ერთხელ ასე მოხდეს და იმავე პირობებში, მეორეჯერ სხვაგვარად მოხდეს? ეს ხომ სასწაულია — იკითხავს გაკვირვებული მკითხველი.

– ფილოსოფიის ისტორიაში მართლაც სასწაულად იქნა მიჩნეული შემთხვევითობის დაშვება. საქმე ისაა, რომ შემთხვევითობა დაუპირისპირდა მიზეზო-

ბრიობას. გაცნობიერებული იქნა მათი შეუთავსებლობა. მიზეზობრიობა გამოიცხავს შემთხვევითობას და პირიქით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანტიკური ეპოქიდან მოყოლებული მიზეზობრიობის პრინციპი აღიარებულ იქნა მეცნიერული აზროვნების ძირითად პრინციპად. ამას დასაბამი მისცა დემოკრიტემ, რომელმაც წამოაყენა დებულება: სამყაროში არაფერი ხდება უმიზეზოდ, ყველაფერი წარმოიქმნება რაღაცის გამო და აუცილებლობის ძალით. არისტოტელემ კიდევ უფრო გააღრმავა ეს თვალსაზრისი. მან მეცნიერება განსაზღვრა როგორც პასუხი კითხვაზე "რატომ". მეცნიერება არის მიზეზების დადგენა და გამოკვლევა.

მეცნიერების ბუნების აღნიშნული გაგება გაბატონებული იყო XX საუკუნემდე. ის, ვინც მეცნიერული აზროვნების პოზიციაზე იდგა, მიზეზობრიობის პრინციპს აღიარებდა ძირითად მოთხოვნად, რის გამოც უარყოფდა შემთხვევითობის ობიექტურად არსებობას. ახალ დროში ამგვარ პოზიციას იცავდნენ სპინოზა, ჰობსი და ჰოლბახი. მათი არგუმენტაცია იყო შემდეგი:

მიზეზობრიობა აუცილებელი და უნივერსალურია. ყოველ მოვლენას აქვს მიზეზი. უმიზეზო მოვლენა არ არსებობს. მიზეზიდან შედეგი აუცილებლობით გამომდინარეობს. ამ წანამძღვრების საფუძველზე დანასკვი სავსებით ლოგიკურია, ყოველი მოვლენა აუცილებელია და შემთხვევითობა არ არსებობს. მასასადამე, აუცილებლობა ნიშნავს მიზეზით გაპირობებულს, ხოლო შემთხვევითობა — უმიზეზოს. უმიზეზო მოვლენის დაშვება შეუძლებელია, რადგან ეწინააღმდეგება მეცნიერებას. მისი აღიარება ისეთივე სასწაულია, როგორც რელიგიურ ცრურწმენათა ჭეშმარიტებად მიჩნევა. შემთხვევითობა არის არა ობიექტური, არამედ სუბიექტური კატეგორია. მისი აღიარება ჩვენი ცოდნის შეზღუდულობის შედეგია. ადამიანმა ბევრი მოვლენის მიზეზი არ იცის. ის, რისი წარმოშობის მიზეზიც მან არ იცის, მიაჩნია შემთხვევითად. უმიზეზო მოვლენა, ე. ი. შემთხვევითობა ობიექტურად არ არსებობს. ყოველ მოვლენას მიზეზი აქვს, ამიტომ აუცილებელია, მაგრამ მოვლენა, რომლის წარმოქმნის მიზეზიც ჩვენ არ ვიცით, გვეჩვენება შემთხვევითად. შემთხვევითობა მოჩვენებაა, ილუზიაა, რომლის აღიარება ემყარება მიზეზობრიობის უცოდინარობას. როგორც კი გამოვიკვლევთ და დავადგენთ მათ, შემთხვევითობის ილუზია მაშინვე გაქრება და აუცილებლობის აღიარება ჩვენთვის უეჭველი გახდება.

როგორ შეიძლება შევაფასოთ წარმოდგენილი კონცეფცია? მისი მტკიცება მიზეზობრიობისა და შემთხვევითობის შეუთავსებადობის შესახებ სწორია. მიზეზიდან შედეგი აუცილებლობით გამომდინარეობს, ამიტომ თავის მიზეზთან მიმართებაში ყოველი მოვლენა აუცილებელია და შემთხვევითობა მართლაც გამორიცხულია. თუ მოვახდენთ მიზეზობრიობის აბსოლუტიზაციას, რომლის თანახმად სამყაროში მხოლოდ მიზეზობრივი კავშირები არსებობს, მაშინ შემთხვევითობის ობიექტურობის გამართლება პრინციპულად შეუძლებელია. მიზეზობრიობის უნივერსალიზაცია შემთხვევითობას აღარ უტოვებს

ადგილს სამყაროში. იგი სუბიექტურ კატეგორიად იქცევა, რომლის შინაარსი ჩვენი ცოდნის შეზღუდულობაა. ღმერთისათვის, რომელმაც ყველაფერი იცის, შემთხვევითობა არ არსებობს. იგი არსებობს მხოლოდ ადამიანური გონებისათვის, რომლის ცოდნა ყოველთვის შემოსაზღვრულია. ის, რისი მიზეზიც მან იცის, აუცილებელია, ხოლო ის, რისი მიზეზიც არ იცის, შემთხვევითად ეჩვენება.

ამგვარი დასკვნის თავიდან აცილება შეიძლება, თუ უარვყოფთ მიზეზობრიობის უნივერსალიზაციის პრინციპს და დავუშვებთ, რომ სამყაროში არსებობს არამიზეზობრივი დეტერმინაციის ფორმები. შემთხვევითობის გამართლება მხოლოდ მიზეზობრიობის ფარგლებს გარეთ შეიძლება. **შემთხვევითობა არამიზეზობრივი დეტერმინაციის ერთ-ერთი ფორმაა.**

შემთხვევითობის განყენება მიზეზობრიობისაგან და მისი დაფუძნება არამიზეზობრივი მიმართების ფარგლებში გააცნობიერა ჯერ კიდევ არისტოტელემ. იგი თვლის, რომ შემთხვევითობა წარმოიშობა მოვლენათა თანამთხვევის გამო. მაგალითად, ადამიანი თხრიდა ორმოს და უეცრად წააწყდა განძს. იგი ორმოს თხრიდა არა იმიტომ, რომ განძი ამოეთხარა, არამედ ხე დაერგო. მაგრამ მოულოდნელად იქ აღმოჩნდა განძი. შემთხვევითობა იშვიათი და მოულოდნელია. მისი წინასწარმეტყველება არ შეიძლება. იგი გონების საწინააღმდეგოა, რადგან მას არ გააჩნია გარკვეული მიზეზი. შემთხვევითობის მიზეზი იმდენად გაურკვეველია, რომ მისი გათვალისწინება გონებას არ შეუძლია. მეცნიერება შემთხვევითობის შესახებ არ არსებობს — ასკვნის ძველი ბერძენი ფილოსოფოსი. ამან მისცა დასაბამი ფორმულას, რომელიც XX საუკუნემდე გაბატონებული იყო მეცნიერებაში — **მეცნიერება შემთხვევითობის მტერია.**

ჰეგელმა შემთხვევითობა გაიგო აუცილებლობის და არა მიზეზობრიობის საფუძველზე. მისი აზრით, შემთხვევითობა აუცილებლობის გამომჟღავნების ფორმაა. იგი მოჩვენებაა, რომლის უკან აუცილებლობა იმალება. რა თქმა უნდა, შემთხვევითობა ობიექტურად არსებობს, მაგრამ არსებობს აუცილებლობის ბაზაზე, როგორც მისი გამოვლენის ფორმა. ავიღოთ ისტორიის სფერო. თუ მას გარეგნულად და ზერელედ, ე. ი. არაგონივრულად შევხედავთ, მაშინ ვნახავთ, რომ თითქოს იგი თვითნებობისა და შემთხვევითობის სათარეშო არენაა. თითქოს მას მართავს ადამიანის ვნებები და ემოციები, ლტოლვები და მისწრაფებები. მაგრამ თუ ისტორიას გონების თვალით შევხედავთ, აღმოვაჩენთ, რომ ყოველივე ეს ილუზიაა, მოჩვენებაა და მის უკან ობიექტური აუცილებლობა იმალება, რომელსაც აბსოლუტური გონის მიზანი განაპირობებს. ისტორიის ზედაპირზე შემთხვევითობათა თარეში მოჩანს, ნამდვილად კი იგი ობიექტურ აუცილებლობას ექვემდებარება, რომელსაც განსაზღვრავს აბსოლუტური გონი. ისტორია გონის (აუცილებლობის) და არა ქაოსის (შემთხვევითობის) ასპარეზია.

ჰეგელი არ უარყოფს შემთხვევითობის დეტერმინირებულობას. იგი კატე-

გორიულად უარყოფს მის მიზეზობრივ განსაზღვრულობას. შემთხვევითი განპირობებულია არა მიზეზით (მიზეზით განპირობებული გარდაუვალია), არამედ აუცილებლობით. აუცილებლობაა ის საფუძველი, რომლის ბაზაზეც შემთხვევითობა წარმოიქმნება, როგორც მისი ჩენა, გამოვლინების ფორმა. აუცილებლობაც და შემთხვევითობაც დეტერმინიზებულია, მაგრამ განსხვავებულია მათი დეტერმინაციის ხასიათი. აუცილებლობა თავის თავს ემყარება, მას საფუძველი თავის თავში აქვს, შემთხვევითობა კი სხვას ემყარება, მას საფუძველი სხვაში აქვს.

მართებულია ჰეგელის მცდელობა, რომ შემთხვევითობას მიზეზობრივი ჯაჭვის ფარგლებს გარეთ მოუძებნოს ადგილი. მან შემთხვევითობა გაიგო როგორც არამიზეზობრივი დეტერმინაციის ფორმა, მაგრამ შეძლო კი ჰეგელმა ამ კატეგორიის ობიექტურობისა და თავისთავადობის დაფუძნება? ამ კითხვას რომ ვუპასუხოთ ყურადღება მივაქციოთ შემთხვევითობის ჰეგელისეულ განმარტებას. შემთხვევითობა აუცილებლობის ჩენა, გამოვლენის ფორმაა. ეს ნიშნავს, რომ ყოველი მოვლენა შემთხვევითად გამოიყურება, გვეჩვენება, თორემ თავის საფუძველში აუცილებელია. რა გინდ შემთხვევითად არ უნდა მოგვეჩვენოს მოვლენა, თუ მას დეტალურად გავაანალიზებთ და მის ძირში ჩავალთ, მაშინ აღმოჩნდება, რომ იგი აუცილებელია და არა შემთხვევითი. თუ გავიზიარებთ ჰეგელის თვალსაზრისს, მაშინ მივიღებთ, რომ შემთხვევითობა აუცილებლობის ფორმა ანუ სახეა. თავისი არსით ისიც აუცილებელია, ოღონდ ფორმით შემთხვევითი. ჰეგელმა ვერ დააფუძნა შემთხვევითობის ობიექტურობა და თავისთავადობა.

თანამედროვე მეცნიერება შემთხვევითობას აფუძნებს არამიზეზობრივი, კერძოდ, სტატისტიკური კანონზომიერების ფარგლებში. მას მიაჩნია, რომ სამყაროს ფუნდამენტური კანონზომიერება თავისი ბუნებით არის არა დინამიკური, არამედ სტატისტიკური. ეს უკანასკნელი არ გამოხატავს გარდაუვალობას, ე. ი. მკაცრ აუცილებლობას, რომელსაც არა აქვს გამონაკლისი. იგი გამოხატავს ისეთ აუცილებლობას, რომელიც დამახასიათებელია შემთხვევით მოვლენათა სიმრავლისათვის. ეს არის რაღაც საშუალო, რომელიც მიახლოებით რეალიზდება სიმრავლეში და მას არ ემორჩილება ყოველი ინდივიდუალური მოვლენა, ამიტომ ყოველთვის არსებობს გამონაკლისი.

ამგვარად, თანამედროვე მეცნიერების მიხედვით, შემთხვევითობა ობიექტურია და იგი ემორჩილება სტატისტიკურ კანონზომიერებას. მისი შემეცნება მეცნიერებას შეუძლია, მაგრამ მხოლოდ ალბათური ცოდნის ფარგლებში.

ახლა შეგვიძლია შევაფასოთ ფორმულა: მეცნიერება შემთხვევითობის მტერია. იგი სამართლიანია მეცნიერებისათვის, რომელიც არსებობდა XX საუკუნემდე, რადგან მას სამყაროს ფუნდამენტურ კანონზომიერებად მიაჩნდა დინამიკური აუცილებლობა. XX საუკუნის მეცნიერება არ არის შემთხვევითობის მტერი, რადგან იგი სამყაროს ფუნდამენტურ კანონზომიერებად აღიარებს სტატისტიკურ აუცილებლობას. დინამიკური აუცილებლობა გარდაუვალობაა, ამიტომ იგი შემთხვევითობას გამორიცხავს, სტატისტიკური — არა. თანამედ-

როვე მეცნიერების თანახმად, როგორც აუცილებლობა, ისე შემთხვევითობა სტატისტიკურ-ალბათური ბუნებისაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესაძლებლობა და სინამდვილე. შესაძლებლობა და სინამდვილე გამოხატავს არსებობის ორ განსხვავებულ ტიპს — შესაძლებლობის და სინამდვილის სახით არსებობას. პირველი არის ჩანასახის ტენდენციის, მიდრეკილების, ხოლო მეორე — უკვე რეალიზებული, განხორციელებული, მზა სახით არსებობა. მაგალითად, თესლი, რომელიც ნოყიერ ნიადაგში მოხვდა, შეიცავს მცენარის წარმოქმნის შესაძლებლობას. თესლში მცენარე არსებობს, ოღონდ არა განხორციელებული, არამედ ჩანასახის ფორმით, რომელიც შემდეგ შეიძლება განხორციელდეს და შეიძლება არ განხორციელდეს. თუ თესლიდან წარმოიქმნა მცენარე, მაშინ ადგილი აქვს შესაძლებლობის რეალიზაციას ანუ მის გარდაქმნას სინამდვილედ. მაშასადამე, შესაძლებლობაც და სინამდვილეც არსებობს. მაგრამ პირველი ჩანასახის, ხოლო მეორე — მისი რეალიზაციის ფორმით.

სინამდვილის ცნება იხმარება ფართო და ვიწრო აზრით: პირველი აღნიშნავს ყოველგვარ, ნებისმიერ არსებობას. სინამდვილე მოიცავს არა მხოლოდ განხორციელებული, არამედ ტენდენციის სახით არსებობასაც. სინამდვილე ფართო აზრით არ უპირისპირდება შესაძლებლობას, არამედ მოიცავს მას როგორც არსებობის ერთ-ერთ ტიპს. შესაძლებლობას უპირისპირდება მხოლოდ სინამდვილე გაგებული ვიწრო აზრით. იგი აღნიშნავს არსებობის მხოლოდ ერთ ტიპს — უკვე რეალიზებული, განხორციელებული სახით არსებობას. იგი აღნიშნავს მხოლოდ იმას, რაც შესაძლებლობის სინამდვილედ გარდაქმნის შედეგად მიიღება.

ქვემოთ ჩვენ გვექნება ბჭობა შესაძლებლობისა და სინამდვილის დაპირისპირების შესახებ. ყოველთვის მხედველობაში უნდა გვქონდეს ის გარემოება, რომ იგულისხმება სინამდვილე გაგებული ვიწრო აზრით. მას ზოგჯერ ნამდვილს უწოდებენ, რათა ტერმინოლოგიურად გამიჯნონ იგი სინამდვილისაგან, რომელიც მოიაზრება ფართო აზრით.

შესაძლებლობა გამოხატავს იმას, რაც შეიძლება მოხდეს, მაგრამ ასევე შეიძლება არ მოხდეს. იგი ყოველთვის ეხება შემთხვევითს. შესაძლებლობა არსებობს მხოლოდ იქ, სადაც შემთხვევითობას აქვს ადგილი. მას გამორიცხავს გარდაუვალობა. თუ მოვლენა გარადაუვალია, მაშინ შესაძლებლობაზე ბჭობა უაზრობაა. გარდაუვალი აუცილებლად მოხდება, რადგან სხვაგვარად შეუძლებელია. შეუძლებელი კი აუცილებლად არ მოხდება, რადგან მისი მოხდენა გამორიცხულია. შესაძლებელი მოთავსებულია გარდაუვალსა და შეუძლებელს შორის. მისი მოხდენა შესაძლებელია, ამიტომ არც გარდაუვალია და არც შეუძლებელი. იგი უსათუოდ შეიცავს ალტერნატივას — "ან-ან", რაც ნიშნავს: შეიძლება მოხდეს, მაგრამ ასევე შეიძლება არ მოხდეს.

სინამდვილე შესაძლებლობის რეალიზაციაა, განხორციელებაა. როდესაც ალტერნატივა მოიხსნება და დარჩება მისი ერთი მხარე, მაშინ იგი ხდება ნამდვილი, რის შედეგად მთავრდება შესაძლებლობის სინამდვილედ გარდაქმ-

ნის პროცესი. **სინამდვილე არის განხორციელებული, რეალიზებული შესაძლებლობა.** განასხვავებენ შესაძლებლობის რამდენიმე სახეს: **უპირველეს ყოვლისა ფორმალურ და რეალურ შესაძლებლობას.**

ფორმალურია შესაძლებლობა, თუ მისი მოაზრება და დაშვება არ შეიცავს ლოგიკურ წინააღმდეგობას. მას მოეთხოვება შესაბამისობა ლოგიკის კანონებთან. მნიშვნელობა არა აქვს იმას, იგი შეესატყვისება თუ არა რელობას. ფორმალურად შეუძლებელია მხოლოდ ის, რისი მოაზრება და დაშვება შეიცავს ლოგიკურ წინააღმდეგობას. მაგალითად, ფორმალურად შესაძლებელია, რომ ადამიანი იყოს უკვდავი ან არსებობდეს მუდმივი ძრავა, რადგან მათი მოაზრება არ შეიცავს ლოგიკურ წინააღმდეგობას. ამგვარი მოვლენების რეალური არსებობა გამორიცხულია, რადგან ეწინააღმდეგება რეალობის კანონებს. ფორმალურად შეუძლებელია მრგვალი კვადრატის არსებობა, რადგან "მრგვალის" ცნების შინაარსი და "კვადრატის" ცნების შინაარსი ერთმანეთს გამორიცხავს, რის გამოც მათი შეერთება ლოგიკურად წინააღმდეგობრივია.

ამგვარად, ფორმალური შესაძლებლობა თავისი ბუნებით ლოგიკურია. ფორმალური და ლოგიკური შესაძლებლობა ერთი და იგივეა. იგი დამოუკიდებელია რეალობისაგან. მისი კრიტერიუმია შესაბამისობა ლოგიკის კანონებთან.

რეალურია შესაძლებლობა, თუ მისი განხორციელება განპირობებულია რეალობის კანონზომიერებით. მისი კრიტერიუმია შესაბამისობა რეალობის კანონებთან. რასაკვირველია, იგი ფორმალურად შესაძლებელი უნდა იყოს, მაგრამ ეს არასაკმარისია. მას მოეთხოვება აუცილებლად შესაბამისობა რეალობასთან. ამის გარეშე რეალური შესაძლებლობა არ არსებობს. რეალური შესაძლებლობაა, რომ თესლიდან მცენარე ამოიზარდოს და ნაყოფი მოგვცეს; ბავშვი დაიბადოს, გაიზარდოს, დავაჟკაცდეს და ღრმა მოხუცებულობამდე იცოცხლოს. ყოველივე ეს რეალურია, რადგან განპირობებულია სინამდვილის კანონზომიერებით.

რეალური შესაძლებლობის შიგნით განასხვავებენ ორ სახეს — **აბსტრაქტულ და კონკრეტულ** შესაძლებლობას. აბსტრაქტულია ისეთი რეალური შესაძლებლობა, რომლის განხორციელების კონკრეტული პირობები ჯერ არ არსებობს. მართალია, მისი განხორციელება შეესაბამება რეალობის კანონებს, მაგრამ ამ პროცესის რეალიზაციისათვის აუცილებელი პირობები ჯერ არ წარმოქმნილა. კონკრეტულია ისეთი რეალური შესაძლებლობა, რომლის ფაქტობრივი განხორციელების პირობები სახეზეა. მაგალითად, ადამიანის მთვარეზე გაფრენის შესაძლებლობა XX საუკუნის დასაწყისში იყო რეალური, მაგრამ აბსტრაქტული, რადგან მისი განხორციელების ტექნიკური საშუალებები ჯერ კიდევ არ იყო შექმნილი. იგი კონკრეტული გახდა მხოლოდ 60-იან წლებში, როდესაც საზოგადოებამ მიაღწია იმ დონეს, რომ მას გაუჩნდა მისი რეალიზაციის ტექნიკური საშუალებების შექმნის შესაძლებლობა. ამგვარად, ერთადერთი შესაძლებლობა, რომლის სინამდვილედ გარდაქმნა ხორ-

ციელდება, არის კონკრეტული და არა აბსტრაქტული შესაძლებლობა. ეს უკანასკნელი თეორიულად დასაშვებია, მაგრამ ჯერ განუხორციელებელია, რადგან არ არსებობს სათანადო პირობები. მათი მომზადების შემდეგ იგი გახდება კონკრეტული. ეს ნიშნავს, რომ აბსტრაქტულ და კონკრეტულ შესაძლებლობას შორის განსხვავება შეფარდებითია. ის, რაც გუშინ აბსტრაქტული შესაძლებლობა იყო, დღეს ან ხვალ შეიძლება კონკრეტული გახდეს. რაც შეეხება განსხვავებას ფორმალურ და რეალურ შესაძლებლობას შორის, იგი პრინციპულია. ფორმალური შესაძლებლობა არასოდეს გახდება რეალური.

შესაძლებლობისა და სინამდვილის კატეგორიების საგანგებო ანალიზი პირველად მოგვცა არისტოტელემ. მან შესაძლებლობა დაუკავშირა მატერიას, ხოლო სინამდვილე — ფორმას. მატერია განუსაზღვრელია, გაუფორმებელია. იგი მხოლოდ მასალაა, რომლის გაფორმებით შეიძლება მივიღოთ სხვადასხვა საგანი. ფორმა განსაზღვრულობაა, გარკვეულობაა, რომლის მეშვეობით მასალისაგან მიიღება კონკრეტული საგანი. მარმარილო მასალაა, რომლისაგან შეიძლება მივიღოთ ამა თუ იმ პიროვნების ქანდაკება. მატერია შესაძლებლობაა, პოტენციაა, რომელსაც სინამდვილედ აქცევს ფორმა. იგი მას აძლევს გარკვეულ სახეს და ამით ხდის მოცემულ საგნად. ფორმა სინამდვილეა. არისტოტელემ უპირატესობა მიანიჭა სინამდვილის კატეგორიას, რადგან იგი გამოხატავს გარკვეულობას, ხოლო შესაძლებლობა — გაურკვევლობას.

შუა საუკუნეების ფილოსოფიამ ძირითადად გაიზიარა არისტოტელეს თვალსაზრისი. აქაც უპირატესობა მიენიჭა სინამდვილის კატეგორიას, რაც სრულიად ბუნებრივი და გასაგებია. ეს ფილოსოფია რელიგიურია, რომლის ამოსავალი და საყრდენი ღმერთია. იგი ერთადერთი ჭეშმარიტი რეალობაა, რომელიც თავის თავში შეიცავს მხოლოდ სინამდვილეს და გამორიცხავს ყოველგვარ შესაძლებლობას. ღმერთი ყოვლისშემძლეა, მისთვის შეუძლებელი არაფერია. მას არარასაგან შეუძლია შექმნას უკიდეგანო სამყარო მთელი თავისი მრავალფეროვნებით. ადამიანი მხოლოდ შესაძლებლობის ფარგლებშია. მას რაღაცის შექმნა შეუძლია რაღაცისაგან, მაგრამ არარასაგან იგი ვერაფერს შექმნის. ღმერთის ძალა კი განუსაზღვრელია. მას შეუძლია ისეთი სასწაულები მოახდინოს, რაც ადამიანის გონებისათვის მიუღებელი და დაუჯერებელია. სახარებაში მოთხრობილი ამბები ქრისტეს ცხოვრების შესახებ ადამიანის გონებისათვის აბსურდია — აღნიშნავს ტერტულიანე. მაგრამ იგი აბსურდია ადამიანისათვის და არა ღმერთისათვის. ადამიანი მას ვერ გაიგებს მანამ, სანამ არ ირწმუნებს ღმერთის ყოვლისშემძლეობას. მხოლოდ ამ რწმენის საფუძველზე შეიძლება მისი გაგება და დაჯერება. რაც უფრო მეტად დაუჯერებელია იგი ადამიანის გონებისათვის, მით უფრო დასაჯერებელია და გასაგებია რწმენისათვის. აქედან მოდის ფორმულა, რომელსაც მიაწერენ ტერტულიანეს: მწამს, რადგან აბსურდია.

ექსისტენციალიზმმა უპირატესობა მიანიჭა შესაძლებლობის კატეგორიას. ეს განაპირობა იმ გარემოებამ, რომ მისი ანალიზის ობიექტია ადამიანი. ათეისტური ექსისტენციალიზმი, რომლის წარმომადგენელია ჰაიდეგერი და სარტრი,

მიიჩნევს, რომ ღმერთი არ არსებობს. ადამიანი გადაგდებულია სამყაროში, იგი მარტოა, მასზე არავინ ზრუნავს. ადამიანური ყოფიერების თავისებურება ისაა, რომ მისი არსებობა წინ უსწრებს მის არსებას და არა პირიქით. ბუნებრივ საგანი, მაგალითად, ქვა, არის ის რაც ფაქტობრივად არის ის. იგი იმაზე მეტი ვერ გახდება, რაც მან ბუნებისაგან მიიღო. ქვა სინამდვილეა და არა შესაძლებლობა, ქმნილია და არა ქმნადობა. არსებითად განსხვავებულია ადამიანური ყოფიერების წესი. იგი თავიდან არ არის ის, რაც შემდეგ ხდება. ადამიანი ქმნადობაა, შესაძლებლობაა, რომელიც თვითონ თავისი მოქმედებით ქმნის თავის თავს. იგი არ არის წინასწარ განსაზღვრული, დეტერმინირებული. ადამიანი რომ ღმერთს შეექმნა, მაშინ მას გარკვეულ მიზანს დაუსახავდა და შესაბამისი მოქმედების გეგმას მისცემდა. მაგრამ იგი ღმერთს არ შეუქმნია. ადამიანი გაჩნდა, მას აქვს არსებობა და არა არსება. მან უნდა მოიპოვოს თავისი არსება, ე. ი. უნდა იქცეს ადამიანად. მაგრამ კონკრეტულად ვინ გახდება იგი, ეს დამოკიდებულია მის არჩევანზე. თუ რას აირჩევს ადამიანი (ბოროტებას თუ სიკეთეს), იმის შესაბამისი იქნება იგი. გარემოებანი არ განსაზღვრავენ არჩევანს. პირიქით, ადამიანი ირჩევს მათ. ადამიანი თავისუფალია, ამიტომ იგი პასუხისმგებელია თავისი ქმედებისათვის — ასკვნის სარტრი.

ადამიანი ცხოვრობს შესაძლებლობათა სამყაროში. გარემო სავსეა მოულოდნელობებით, ხიფათებით და მუქარებით. მის წინაშე თითქმის ყოველთვის არსებობს ალტერნატივა, რომელთაგან ერთს შეუძლია მოუტანოს მას ბედნიერება, მეორეს კი — უბედურება. ადამიანმა უნდა მოახდინოს არჩევანი, რომელზეც პასუხისმგებლობა მხოლოდ მას ეკისრება. სხვამ რომც აიძულოს იგი, საბოლოო გადაწყვეტილება მაინც მან უნდა მიიღოს. ამგვარ სიტუაციაში ადამიანმა, მართალია, იძულებით, მაგრამ მაინც თვითონ გააკეთა არჩევანი.

ამგვარად, შესაძლებლობათა გაცნობიერება და მათი რეალიზაციისათვის აქტიური საქმიანობა ადამიანის ყოფიერების ძირითადი თავისებურებაა, რაც განასხვავებს მას ყოფიერების სხვა ფორმებისაგან.

ერთეული და ზოგადი. უპირველეს ყოვლისა, განვმარტოთ "ერთეულისა" და "ზოგადის" ცნებები. მათი კლასიკური განმარტება მოგვცა არისტოტელემ.

ერთეული არის ინდივიდუალური ერთი საგანი, თვისება, მოვლენა, პროცესი და ა. შ., რომელიც დროსა და სივრცეში ლოკალიზებულია. იგი "აქ" და "ახლა" არსებობს; ერთჯერადი, განუმეორებელი და ამიტომ უნიკალურია. ერთეულია სოკრატე, რომელიც ძვ. წ. 470 წ. დაიბადა ათენში და 399 წ. ათენის სასამართლოს განაჩენით მეესავჯა სიკვდილით დასჯა. მან თავისი ნებით მიიღო საწამლავი და ამის შედეგად გარდაიცვალა. ყოველი ადამიანი ერთეულია, რომელიც იბადება, ცოცხლობს და კვდება გარკვეულ დროსა და ადგილას. მისი ყოფნა სამყაროში შემოსაზღვრულია დროსა და სივრცეში. იგი ერთხელ მოვიდა ამქვეყნად და აღარასოდეს განმეორდება. ანალოგიურია ყოველი ერთეულის ყოფიერების წესი.

ზოგადია ის, რაც ახასიათებს სიმრავლეს. იგი არ არის დროსა და სივრცეში ლოკალიზებული, არ არსებობს "აქ" და "ახლა". ზოგადი ახასიათებს სიმრავლის ნებისმიერ ელემენტს, ამიტომ საერთო და განმეორებადია. მაგალითად, ზოგადია ადამიანი, მცენარე, ცხოველი, ქალაქი, მდინარე და ა. შ., როდესაც ისინი აღნიშნავენ არა ერთ რომელიმე ერთეულ საგანს, არამედ შესაბამის საგანთა სიმრავლეს — ადამიანს საზოგადოდ, მცენარეს საზოგადოდ, მდინარეს საზოგადოდ და სხვა. ცნება "ადამიანი" აღნიშნავს ნებისმიერ ერთეულ ადამიანს, რომელთა ერთობლიობა ქმნის ადამიანთა სიმრავლეს.

ამგვარად, ერთეულია ერთისათვის, ხოლო ზოგადი — სიმრავლისათვის დამახასიათებელი. თბილისი, რიონი, გალაკტიონი ერთეულია, ხოლო ქალაქი, მდინარე, პოეტი — ზოგადი.

ფილოსოფიის ისტორიაში კამათი მიმდინარეობდა ზოგადის არსებობის შესახებ. ზოგადს ლათინურად ჰქვია უნივერსალის, ამიტომ ეს დავა ცნობილია უნივერსალიების შესახებ კამათის სახელწოდებით. იგი ეხებოდა შემდეგს: არსებობს თუ არა ზოგადი და რა სახით, როგორ არსებობს იგი? ის, რომ არსებობს ერთეული, ეს არ იყო საკამათო, რადგან მის არსებობას ადასტურებს გრძნობადი აღქმა. ერთეული გრძნობად-აღქმადია, იგი გვეძლევა რომელიმე გრძნობის ორგანოს საშუალებით. მაგრამ ზოგადი არ არის გრძნობად-აღქმადი, იგი არც ერთი გრძნობის ორგანოს მეშვეობით არ გვეძლევა. მისი არც დანახვა, არც ხელით შეხება, არც გემოს გასინჯვა, არც დაყნოსვა ან მოსმენა შეიძლება. ამიტომ დავის საგანი სწორედ ზოგადის არსებობის საკითხი გახდა. არსებობენ ერთეული ადამიანები, მაგრამ მათ გარდა არსებობს თუ არა ადამიანი საზოგადოდ? არსებობენ ერთეული სახლები, მაგრამ არსებობს თუ არა სახლი საზოგადოდ? აი, კითხვა, რომელზეც გაცემულ იქნა განსხვავებული პასუხი, რამაც განაპირობა სხვადასხვა მიმართულების წარმოშობა. ეს თეორიებია — რეალიზმი, კონცეფტუალიზმი და ნომინალიზმი.

რეალიზმის თანახმად, ზოგადი არსებობს ობიექტურად, ადამიანის ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად როგორც საგანი. ერთეული ადამიანების გარდა არსებობს კიდევ ადამიანი საზოგადოდ, როგორც საგანი. იმის მიხედვით, თუ როგორ არის გაგებული ზოგადის მიმართება ერთეულთან, სახეზეა რეალიზმის ორი სახე — უკიდურესი და ზომიერი რეალიზმი. პირველი აღიარებს, რომ ზოგადი, როგორც საგანი, არსებობს ერთეულისაგან დამოუკიდებლად და განცალკევებით. ამგვარ თვალსაზრისს იცავდა პლატონი. იგი განასხვავებდა გრძნობად საგნებს და იდეებს. გრძნობადი საგანი დროსა და სივრცეში არსებობს, წარმოიშობა, იცვლება და ბოლოს ისპობა. იგი სხეულებრივია, ამიტომ შესაძლებელია მისი გრძნობის ორგანოს მეშვეობით აღქმა. გრძნობადი საგანი ერთეულია. იდეა არ არსებობს დროსა და სივრცეში. იგი მათ გარეშეა, ამიტომ არ განიცდის ცვალებადობას. იდეა მარადიულია. იგი არის არა გრძნობად-აღქმადი, არამედ გონებაჭვრეტითი საგანი. იდეა არის ზოგადი საგანი: სახლი

საზოგადოდ, მცენარე საზოგადოდ და ა. შ. ჭეშმარიტი არსებობა მიეწერება იდეას, გრძნობადი საგანი მისი აჩრდილია, ანარეკლია. იგი არსებობს იმდენად, რამდენადაც იდეას ეზიარება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზომიერ რეალიზმი აღიარებს ზოგადის ობიექტურობას, მაგრამ უარყოფს მისი არსებობის შესაძლებლობას ერთეულის გარეშე. ზოგადი არსებობს ერთეულში როგორც მისი არსება. სახლი საზოგადოდ არსებობს არა ერთეული სახლებისაგან განცალკევებით, არამედ მათში და მხოლოდ მათი მეშვეობით. ამგვარ პოზიციაზე იდგა ჰეგელი.

კონცეფტუალიზმის თანახმად, ზოგადი არის ცნება, რომელსაც ადამიანის გონება ქმნის აბსტრაქციის მეშვეობით (ლათ. კონცეპტუს ნიშნავს ცნებას). იგი არსებობს მხოლოდ ადამიანის ცნობიერებაში და არა მისგან დამოუკიდებლად, ობიექტურად. აღნიშნულ თვალსაზრისს იზიარებდა ინგლისელი ფილოსოფოსი ლოკი. იგი თვლის, რომ რეალურად არსებობენ ერთეული საგანები, რომელთაც ახასიათებს ორი ტიპის თვისებები — საერთო და ინდივიდუალური. ისინი საგანში ერთადაა მოცემული. ადამიანის გონებას აქვს აბსტრაქციის უნარი, რომლის მეშვეობით იგი განყენებას ახდენს ინდივიდუალურისაგან და ცალკე გამოყოფს საერთო ნიშნებს. შემდეგ მათ აღნიშნავს შესაბამისი სიტყვით და ასე იქმნება ცნება, რომელიც ზოგადია, რადგან იგი გამოხატავს იმ საერთოს, რომელიც დამახასიათებელია ერთეულ საგანთა სიმრავლისათვის. მაშასადამე, ზოგადი შექმნილია ადამიანის გონების მიერ ცნების სახით და იგი არ არსებობს ობიექტურად.

ნომინალიზმის მიხედვით, ზოგადი არის სახელი (ლათ. ნომინის ნიშნავს სახელს). იგი არ არსებობს არც ობიექტურად როგორც საგანი და არც როგორც განყენებული ცნება. ყოველი საგანი, მათ შორის ცნებაც ინდივიდუალურია. მაგრამ ადამიანს შეუძლია რომელიმე ინდივიდუალური ცნება განიხილოს შესაბამისი სიმრავლის ნებისმიერი ელემენტის წარმომადგენლად. მაგალითად, სამკუთხედის ყოველი ცნება კერძოა, რადგან აღნიშნავს ერთეულ, აი ამ დაფაზე დახაზულ სამკუთხედს და არა სამკუთხედს საზოგადოდ. ეს უკანასკნელი წინააღმდეგობრივია, რადგან იგი ერთდროულად უნდა იყოს სწორკუთხა, მახვილკუთხა, ბლაგვკუთხა და ა. შ. ე. ი. უნდა მოიცავდეს ყოველი კერძო სამკუთხედის ინდივიდუალურ თვისებებს, რაც არა თუ შეუძლებელია, არამედ წარმოუდგენელიცაა. მაგრამ ადამიანს შეუძლია აი ეს კერძო სამკუთხედის იდეა განიხილოს როგორც მსგავსი ერთეული სამკუთხედების წარმომადგენელი. ამ შემთხვევაში იგი ასახელებს სამკუთხედების სიმრავლის ნებისმიერ ელემენტს, ამიტომ ხდება ზოგადი. ეს ნიშნავს, რომ რომელიმე ერთეული იდეა შეიძლება იქცეს ზოგადად, თუ კი მას განვიხილავთ, როგორც სიმრავლის სახელს. იგი თავისი ბუნებით არის არა ზოგადი, არამედ ერთეული, მაგრამ ფუნქციონირებს, იქცევა ისე, თითქოს იყოს ზოგადი. ამგვარ თვალსაზრისს იზიარებდა ინგლისელი ფილოსოფოსი ბერკლი.

ინგლისური ნომინალიზმის მეორე წარმომადგენელმა ჰობსმა ზოგადი დაახასიათა, როგორც სახელთა სახელი. მისი აზრით, ზოგადი არის სახელი, რომელ-

იც აღნიშნავს არა საგანს ან ცნებას, არამედ ერთეულ სახელთა სიმრავლეს. მაგალითად, სიტყვა "ადამიანი" არის ზოგადი სახელი, რომელიც აღნიშნავს არა ობიექტურად არსებულ რაღაც საგანს ან განყენებულ ცნებას, არამედ ერთეული ადამიანების (პეტრეს, პავლეს, ივანეს და ა. შ.) სახელების სიმრავლეს. ზოგადი ფიქციაა, იგი არ არსებობს, რადგან მას რეალურად რაიმე საგანი არ შეესაბამება. მას, როგორც სახელს, ქმნის და იყენებს ადამიანი. ბუნებრივად ჩნდება კითხვა: რატომ, რა მიზნით? აზროვნების ეკონომიის, ბჭობის გამარტივების მიზნით რომ არ ვიმეორო უსასრულოდ — პეტრე მოკვდავია, პავლე მოკვდავია, ივანე მოკვდავია და ა. შ. — გამოვხატავ ერთი ზოგადი წინადადებით: ყოველი ადამიანი მოკვდავია. გამოთქმის ამგვარი მანერა ეკონომიური და მოსახერხებელია, ამიტომ მისი გამოყენება მიზანშეწონილი და გამართლებულია. თუ შევაჯამებთ აღნიშნული თეორიების პოზიციებს, მოკლედ იგი შეიზლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს: რეალიზმის თანახმად ზოგადი საგნის სახელია, კონცეპტუალიზმის თანახმად — ცნების, ხოლო ნომინალიზმის თანახმად — სახელთა სახელია.

განხილული თეორიების შეფასება უნდა მოხდეს არა ჭეშმარიტების, არამედ მიზანშეწონილობის თვალსაზრისით. საკითხი უნდა დაისვას არა ისე, თუ რომელი თეორიაა ჭეშმარიტი და რომელი მცდარი, არამედ თუ რომელი უფრო მისაღებია, უფრო სრულყოფილია. საქმე ისაა, რომ არც ერთი მათგანი ბოლომდე სრულყოფილი და თანმიმდევრული არაა, მაგრამ ყველაზე უფრო ზომიერი და ყველაზე მეტად მისაღები მეცნიერული აზროვნებისათვის არის კონცეპტუალიზმი.

ყოველი ადამიანი ინდივიდუალურია. მას ურთიერთობა აქვს ერთეულ საგნებთან და არა ზოგადთან. რეალური დროსა და სივრცეში არსებულია, ამიტომ — ერთეული და ინდივიდუალური. ზოგადი არ არის რეალურის ნაწილი ან მხარე. რაც არ უნდა გულდასმით და ყურადღებით დავათვალიეროთ სამყაროს ყოველი კუნჭული, ვერსად ზოგადს ვერ აღმოვაჩენთ. იგი რეალურად არ არსებობს, რადგან დროისა და სივრცის გარეშეა, ამდენად იდეალურია. როგორია ზოგადის არსებობის წესი?

რეალურად არსებული საგნები ერთეულია, ინდივიდუალურია. მათ აქვთ საკუთარი თვისებები და მიმართებები, რომლებიც მათთან ერთად არსებობენ და მათი გაქრობის შემდეგ ისინიც ქრებიან. რა მოსდის ზოგადს? იგი არ არის ერთეულის შემადგენელი ნაწილი, მისი თვისება ან მხარე. ზოგადი ახასიათებს არა ერთეულს, არამედ სიმრავლეს. ერთეული საგნები ერთიანდებიან გარკვეულ სიმრავლედ. მათი გაერთიანების საფუძველია რაღაც მსგავსი, საერთო თვისებები. სწორედ ისინი ქმნიან ზოგადს. მაშასადამე, ზოგადი არის სიმრავლისათვის დამახასიათებელ საერთო ნიშანთა ერთობლიობა. იგი არ არის რეალურად არსებული საგანი. რეალურად არსებობს ერთეული და სიმრავლე. არსებობს ერთეული სახლები და მათი სიმრავლე. სახლი საზოგადოდ არის არა რაღაც განსაკუთრებული საგანი, რომელიც ერთეული სახლების სიმრავლისაგან განცალკევებით არსებობს, არამედ ამ სიმრავლისათვის დამახასიათებელ ნიშანთა

ერთობლიობა. ყოველი ადამიანი ერთეულია თავისი ინდივიდუალური ბიოგრაფიით, ცხოვრებით და ბედით. ყველაფერი, რაც მას ახასიათებს, მასთან ერთად კვდება. მისი თვისებების არც ერთი ატომი სხვას არ გადაეცემა. სხვას თავისი ინდივიდუალური ცხოვრება აქვს. მაგრამ ადამიანები ქმნიან შესაბამის სიმრავლეს, რომელსაც აერთიანებს რაღაც საერთო ნიშნები. სწორედ მათი ერთობლიობაა ზოგადი.

ერთეული და ზოგადი არ არსებობს განცალკევებით. არ არსებობს ნიშნები, რომლებიც ერთეულია და მათ გვერდით კიდევ ნიშნები, რომლებიც ზოგადია. ნებისმიერი თვისება ერთეულიცაა და ზოგადიც. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ განვიხილავთ მას. თუ იგი განვიხილეთ როგორც აი ამ საგნის კონკრეტული თვისება, მაშინ ერთეულია, მაგრამ თუ იგივე თვისება განვიხილეთ როგორც სიმრავლისათვის დამახასიათებელი, მაშინ — ზოგადია. მაგალითად, ავიღოთ თვისება "მელოტი". თუ იგი განიხილება როგორც კონკრეტული ადამიანის, ვთქვათ, პეტრეს დამახასიათებელ თვისებად, მაშინ ერთეულია. მაგრამ თუ იგი განიხილება ისეთ თვისებად, რომელიც ახასიათებს შესაბამისი სიმრავლის ნებისმიერ ელემენტს, ვთქვათ ყოველ მელოტს, მაშინ იგი ზოგადია.

ერთეულისა და ზოგადის ერთმანეთთან შეფარდებას დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის პრაქტიკულ საქმიანობაში, კერძოდ, მკურნალობის პროცესში. ყოველი პაციენტი ერთეულია თავისი ინდივიდუალური ავადმყოფობით, მისგან გამოწვეული ემოციებით და მღელვარებით. ექიმმა ისწავლა ზოგადი სქემები, წესები და მკურნალობის მეთოდები. ახლა მან ეს ზოგადი უნდა მიუყენოს კონკრეტულ სიტუაციას. წამალმა შეიძლება ერთ პაციენტზე დადებითად იმოქმედოს, ხოლო მეორეზე უარყოფითი შედეგი მოგვცეს. ექიმის ხელოვნება და გამოცდილება სწორედ ისაა, რომ ზოგადი შეუფარდოს კონკრეტულ სიტუაციას და ყოველ პაციენტს მიუდგეს ინდივიდუალურად.

ARSEBA DA MOVLENA. არსება და მოვლენა. გამოხატავს სინამდვილის ორ განსხვავებულ მხარეს: არსება არის შინაგანი, რომელიც დაფარული და მიუწვდომელია გრძნობადი აღქმისათვის, ხოლო მოვლენა გარეგანია, გრძნობად-აღქმადია და გვეძლევა უშუალოდ. განსხვავება გარეგანსა და შინაგანს შორის არ უნდა გავიგოთ სივრცითი აზრით. ამ გაგებით გარეგანია რაც საგნის ზედაპირზეა, ხოლო შინაგანია, რაც საგნის შიგნითაა. მაგალითად, განასხვავებენ ადამიანის გარეგან და შინაგან ორგანოებს. პირველს მიეკუთვნება ის ორგანოები, რომლებიც ადამიანის სხეულის ზედაპირზეა და შეგვიძლია მათი უშუალოდ წვდომა (დანახვა, ხელით შეხება და ა. შ.). მეორეს მიეკუთვნება ის ორგანოები, რომლებიც ადამიანის სხეულის შიგნითაა, ვთქვათ, გული, კუჭი, ნაწლავები და სხვა. აქ განსხვავება გარეგანსა და შინაგანს შორის ტარდება სივრცის რომელიღაც მონაკვეთის მიმართ, კერძოდ, ჩვენს მიერ მოტანილ მაგალითში გამმიჯნავი ხაზია სხეულის ზედაპირი. ის, რაც მის გარეთაა, გარეგანია, ხოლო. რაც შიგნითაა, შინაგანია. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ადამიანის გარეგანი ორგანოები მიეკუთვნება მოვ-

ლენას, ხოლო შინაგანი — არსებას. ამ შემთხვევაში ორივე მოვლენაა, რადგან ადამიანის შინაგანი ორგანოები ისევე გრძნობად-აღქმადია, როგორც გარეგანი. ამის დასტურია ის გარემოება, რომ ოპერაციის დროს ქირურგს შეუძლია გაჭრას ადამიანის სხეული და შინაგანი ორგანოც გარეთ აღმოჩნდება.

როდესაც ბჭობენ არსების როგორც შინაგანის, ხოლო მოვლენის როგორც გარეგანის განსხვავების შესახებ, მხედველობაში აქვთ სრულიად სხვა — არასივრცითი ასპექტი. გამიჯვნის კრიტერიუმია გრძნობადი აღქმა. ის, რაც პრინციპულად გრძნობად-აღქმადია მიეკუთვნება მოვლენას. მაგალითად, მკურნალობის პროცესში ექიმი უშუალოდ აკვირდება სიმპტომებს, ნიშნებს, რომლებიც პაციენტის სხეულზეა ან რომელთა შესახებ თვით პაციენტი მოუთხრობს. მათ საფუძველზე იგი სწორად ან არასწორად სვამს დიაგნოზს დაავადების შესახებ. ეს უკანასკნელი მას უშუალოდ, გრძნობად-აღქმადი ფორმით არ ეძლევა. მასზე მიუთითებენ, მეტყველებენ ის სიმპტომები, რომლებიც ექიმს სახეზე აქვს გრძნობადად მოცემული. თვით ავადმყოფობა, რომელიც ექიმს ეძლევა გაშუალებით, გონებისეული ანალიზის შედეგად, არის არსება, ხოლო ის სიმპტომები, რომლებიც დაავადებაზე მიუთითებენ და მას ამჟღავნებენ არის მოვლენა.

არსება არის საგნის ის შინაგანი, დაფარული, გრძნობადად მიუწვდომელი მხარე, რომელიც მის თავისებურებას განსაზღვრავს. მოვლენა არის საგნის გარეგანი, პრინციპულად უშუალოდ მოცემული, გრძნობად-აღქმადი მხარე, რომელიც არსების გამოვლენა და გამომჟღავნებაა. საგნის აღქმა უშუალოდ ხორციელდება შესაბამისი გრძნობის ორგანოს საშუალებით, მაგალითად, ვხედავთ თვალით, ვისმენთ ყურით და ა. შ. მაგრამ აღქმა შეიძლება განხორციელდეს სათანადო ხელსაწყოს გამოყენებით და დახმარებით. ექიმმა დიაგნოზი შეიძლება დასვას სამედიცინო აპარატის მეშვეობით. მაგრამ აპარატურის მიერ დაფიქსირებული შედეგი ექიმმა უნდა აღიქვას. მაგალითად, კარდიოგრამას იღებს შესაბამისი აპარატი, რომლის მიერ გადაღებულ სურათს ექიმმა უნდა დახედოს, რათა შეძლოს მისი წაკითხვა. სხვაგვარად მას მისი აღქმა არ შეუძლია. პრინციპულად გრძნობად-აღქმადი ნიშნავს, რომ საგნის აღქმა ხორციელდება უშუალოდ გრძნობის ორგანოს მეშვეობით შესაბამისი ხელსაწყოს გამოყენებით ან მის გარეშე.

არსება ყოველთვის შინაგანია, მაგრამ პირიქით არ არის სავალდებულო. შინაგანი შეიძლება არ იყოს არსებითი. არსება ზოგადი და აუცილებელია, მაგრამ ყოველი ზოგადი და აუცილებელი არსებითი არ არის. არსებითი მხოლოდ ისეთი შინაგანი, ზოგადი და აუცილებელია, რომელიც განსაზღვრავს საგნის თავისებურებას.

ანალოგიურია ვითარება მოვლენის მიმართაც. მოვლენა უსათუოდ გარეგანია, მაგრამ ყოველი გარეგანი მოვლენა როდია. მაგალითად, მოჩვენება გარეგანია, მაგრამ მოვლენა არაა. გავაანალიზოთ რა არის მოჩვენებითი და რითი განსხვავდება იგი მოვლენისაგან.

— ყოველი მოჩვენება სუბიექტურია იმ აზრით, რომ დაკავშირებულია ადამიანთან. მოჩვენება ობიექტურად არ არსებობს, იგი მხოლოდ ეჩვენება ადამიანს.

რაიმე ფაქტი სინამდვილეში სხვაა, მაგრამ გამოიყურება ისე, რომ სულ სხვაგვარად წარმოგვიდგება. იგი მხოლოდ გვეჩვენება ასე, მაგრამ სინამდვილეში სხვაა.

Gamgebeli

განასხვავებენ მოჩვენების ორ სახეს: 1) წმინდა სუბიექტურ მოჩვენებას, რომელსაც ობიექტური საფუძველი არ გააჩნია. მისი წარმოქმნის მიზეზი მთლიანად ადამიანშია. მაგალითად, მშიშარა კაცი მიდიოდა ტყეში და უეცრად ხის კუნძი მგლად მოეჩვენა. დამშვიდების შემდეგ იგი დარწმუნდა რომ შეცდა და მისი მოჩვენებაც გაქრა. 2) მოჩვენებას, რომელსაც სუბიექტურთან ერთად ობიექტური საფუძველიც აქვს. მას წარმოქმნის სინამდვილე ადამიანთან მიმართების პროცესში. მაგალითად, მხედველობითი აღქმისას გვეჩვენება, რომ წყალში ჩაშვებული ჯოხი გადატეხილია ან მზე დილით ამოდის, ხოლო დაბინდებისას ჩადის. ადამიანი ასე აღიქვამს მოვლენებს, სინამდვილეში კი ისინი სულ სხვაგვარია. არც წყალში ჩაშვებული ჯოხია გადატეხილი და არც მზე ამოდის და ჩადის. ფიზიკის და ფიზიოლოგიის კანონები აგვიხსნიან, თუ რატომ ხდება ასე. მიზეზების გარკვევის შემდეგ მოჩვენება მაინც რჩება. ადამიანი მაინც ისე აღიქვამს მას, როგორც ადრე. იგი არ გაქრება. ამ ტიპის მოჩვენების თავისებურება ისაა, რომ იგი განიცდება ობიექტურად, თითქოს იგი ნამდვილია.

როდესაც მოჩვენების და მოვლენის განსხვავებას ეხება ბჭობა, მხედველობაში აქვთ მეორე ტიპის მოჩვენება. რა განსხვავებაა მათ შორის? მოვლენა ობიექტურია და არსებობს ადამიანთან მიმართების გარეშე. იგი არსების გამოვლენაა. მოჩვენება სუბიექტურია და არსებობს ადამიანთან მიმართებაში. იგი არ არის არსების გამოვლენა. გვეჩვენება თითქოს ასეთია, მაგრამ სინამდვილეში სულ სხვაგვარია. მოჩვენება ობიექტურია იმ აზრით, რომ არაა დამოკიდებული ადამიანის ცოდნაზე. მან იცის, რომ ის, რასაც აღიქვამს, არ არსებობს, მაგრამ მაინც ასე ეჩვენება. იცის, რომ წყალში ჩაშვებული ჯოხი გადატეხილი არაა, მაგრამ მაინც ამგვარად ეჩვენება იგი.

არსება მოვლენაშია. იგი მის გარეთ, მის უკან, მის მიღმა კი არაა, არამედ მასშია გამოვლენილი. მაგრამ არსება არასოდეს უშუალოდ და პირდაპირ არ გვეძლევა მოვლენაში. ეს, რომ ასე იყოს, მაშინ არსება გრძნობადად-აღქმადი ფორმით იქნებოდა მოცემული. მოვლენა ხშირად ამახინჯებს, ცალმხრივად და ნაწილობრივ გამოხატავს არსებას. ამიტომ მხოლოდ მოვლენათა სიმრავლეში საგანგებო კვლევისა და ანალიზის მეშვეობით შეუძლია ადამიანს მიწვდეს არსებას.

მოვლენა არსებაზე უფრო მრავალმხრივი და მდიდარია. მასში არსებითიცაა და არაარსებითიც, აუცილებელიც და შემთხვევითიც, ზოგადიც და ერთეულიც. ხშირად მოვლენის და მოჩვენების გარჩევა ერთმანეთისაგან დიდ ყურადღებას და ანალიზს მოითხოვს. ამის განხორციელება გრძნობადი აღქმის მეშვეობით შეუძლებელია. არსების შემეცნების ერთადერთი საშუალებაა აბსტრაქტული აზროვნება, რომელიც გრძნობადი მონაცემების კრიტიკულ ანალიზსა და შემოწმებას ემყარება.

არსებისა და მოვლენის განსხვავებას დიდი მნიშვნელობა აქვს მკურნალო-

ბის პროცესში. ექიმმა უნდა გამოიკვლიოს პაციენტი, რათა დაუსვას სწორი დიაგნოზი და დაუნიშნოს სათანადო მკურნალობა. იგი უკვირდება რაღაც სიმპტომებს, რომლებიც მიანიშნებენ, მიუთითებენ შესაბამის ავადმყოფობაზე. სიმპტომები გარეგანია, გრძნობად-აღქმადია, ავადმყოფობა კი — შინაგანი, დაფარული. ეს უკანასკნელი ექიმს უშუალოდ არ ეძლევა, მისი აღქმა შეუძლებელია. მის შესახებ ექიმმა უნდა დაასკვნას. კავშირი სიმპტომებსა და დაავადებას შორის არ არის პირდაპირი და ცალსახა. იგი რთული და მრავალმხრივია. ხშირად სიმპტომები მოჩვენებითია, შემთხვევითია ან რაღაც სულ სხვა ავადმყოფობის თანმხვედრია. ექიმს უნდა შეეძლოს ყოველივე ამის გარჩევა, რათა მან მოახერხოს ნამდვილი და აუცილებელი სიმპტომების გამოყოფა, რომელთა საფუძველზეც იგი სწორად დასვამს დიაგნოზს. ამისათვის კი მას უსათუოდ სჭირდება ღრმა თეორიული პროფესიული განათლება, მდიდარი პრაქტიკული გამოცდილება და ინტუიცია.

ფორმა და შინაარსი. სისტემა და სტრუქტურა. განასხვავებენ ორი სახის მიმართებას: მატერიასა და ფორმას, ერთი მხრივ, ხოლო შინაარსსა და ფორმას შორის მეორე მხრივ. პირველი გარეგანია, მეორე კი — შინაგანი.

მატერიასა და ფორმას შორის მიმართება არის მასალასა და მის გაფორმებას შორის მიმართება. მატერია არის ის მასალა, რომელიც გაფორმების მეშვეობით იძენს გარკვეულ სახეს. ფორმა გარკვეულობაა, რომელიც შესაბამისად აფორმებს მას. მაგალითად, მიმართება სითხესა და ჭურჭელს შორის არის ამგვარი დამოკიდებულების ნიმუში. სითხე იღებს იმ ჭურჭლის ფორმას, რომელშიც იგი ასხია. ჭურჭელი სითხის მიმართ გარეგანია. იგი არ განსაზღვრავს მის თვისებებს, გულგრილია, ინდიფერენტულია მისი შინაარსის მიმართ. ჭურჭელი განაპირობებს არა სითხის შინაარსს, არამედ მის არსებობას გარკვეული სახით. ფორმა მასალის მიმართ გარეგანია იმ აზრით, რომ ერთსა და იმავე მასალას შეუძლია მიიღოს სრულიად სხვადასხვა ფორმა. მაგალითად, მარმარილოსაგან შეიძლება გაკეთდეს გიორგი სააკაძისა და შაჰ აბასის ქანდაკება. მარმარილოსათვის სულერთია, თუ მისგან ვისი — ეროვნული გმირის თუ მოსისხლე მტრის ძეგლი დაიდგმება. ეს დამოკიდებულია მოქანდაკის სურვილსა და ინტერესებზე. თვითონ მატერიასა და ფორმას შორის მიმართება გარეგანია, ისინი გულგრილი და ინდიფერენტულია ერთმანეთის მიმართ, რადგან შინაარსობრივად არ განსაზღვრავენ ერთმანეთს.

სულ სხვაგვარია მიმართება შინაარსსა და ფორმას შორის. იგი შინაგანია და არსებითი. შინაარსი განსაზღვრავს ფორმას და პირიქით. მათ შორის მიმართება ცალსახა და ერთმნიშვნელოვანია. ყოველ შინაარსს თავისი შესატყვისი ფორმა აქვს. მან არ შეიძლება სხვადასხვა ფორმა მიიღოს. შინაარსის და ფორმის მიმართების მაგალითია მხატვრული ნაწარმოები. მას თავისი შინაარსი და ფორმა აქვს, იგი მათი ორგანული ერთიანობაა. ერთ-ერთის შეცვლა იწვევს მეორის შეცვლას. მაგალითად, "ვეფხის ტყაოსანი" მხოლოდ იმ ფორმით შეიძლება გადმოიცეს, როგორც ეს რუსთაველმა განახორციელა. რა თქმა უნდა,

ის ამბავი, რაც "ვეფხის ტყაოსანშია" მოთხრობილი შეიძლება გადმოიცეს პროზის სახითაც, მაგრამ ეს იქნება ერთი და იმავე მასალის სხვადასხვა სახით გადმოცემა. აქ მასალა რჩება უცვლელი, თორემ შინაარსი არსებითად იცვლება. სულ სხვა ნაწარმოებია "ვეფხის ტყაოსანი", როგორც პოეტური ქმნილება და მისი პროზაული ვარიანტი. "ვეფხის ტყაოსანი" არის ის, რაც რუსთაველმა დაწერა. გამორიცხულია, რომ სხვის მიერ დაწერილი ნაწარმოები, თუნდაც მასთან მიმსგავსებული, დარჩეს მისადმი იგივეობრივი. იგი მხატვრულად სულ სხვა ნაწარმოები იქნება.

ახლა ზოგადად განვმარტოთ შინაარსის და ფორმის ცნებები: **შინაარსი არის საგნის ელემენტების ორგანიზაცია, ერთიანობა; ფორმა არის საგნის ელემენტების ორგანიზაციის წესი.** დახასიათო საგნის შინაარსი ნიშნავს დახასიათო ერთიანობა იმ ელემენტებისა, რომელთაგან იგი შესდგება. საგნის ფორმის დახასიათება კი გულისხმობს იმ წესის გარკვევას, რომელიც მის შემადგენელ ელემენტებს აერთიანებს.

ყოველი საგანი შინაარსისა და ფორმის ერთიანობაა. ისინი მისი მხარეებია, რომელთა შორის განუყრელი და ორგანული კავშირია. ერთ შინაარსს ერთი ფორმა აქვს და პირიქით. არ შეიძლება, რომ ერთსა და იმავე შინაარსს სხვადასხვა ფორმა ან სხვადასხვა ფორმას ერთი და ივივე შინაარსი ჰქონდეს. ერთის შეცვლა აუცილებლობით იწვევს მეორის შეცვლას. ზოგჯერ სვამენ კითხვას იმის თაობაზე თუ რომელია მთავარი, განმსაზღვრელი შინაარსი თუ ფორმა? ზოგი უპირატესობას აძლევს შინაარსს და თვლის, რომ იგი განსაზღვრავს ფორმას. ზოგი კი პირიქით, უპირატესობას ანიჭებს ფორმას და შინაარსს მიიჩნევს რაღაც მეორეხარისხოვნად, უმნიშვნელოდ. ორივე თვალსაზრისი მცდარია, რადგან ემყარება საკითხის არასწორ დასმას. შინაარსი და ფორმა საგნის ორი განუყრელი მხარეა, რომელთა გარეშე იგი არ არსებობს. მაგრამ თითოეულს სხვადასხვა როლი და ფუნქცია აკისრია საგნის სტრუქტურაში, რადგან ისინი განსხვავებულ როლს ასრულებენ, ამიტომ არ შეიძლება რომელიმე მათგანს მიენიჭოს უპირატესობა. როგორც შინაარსი, ისე ფორმა აუცილებელია საგნის არსებობისათვის. ისინი ერთმანეთს ვერ შეცვლიან. არც იმის მტკიცებაა მართებული, რომ შინაარსია მთავარი და ფორმა მეორეხარისხოვანი და არც იმისა, რომ ფორმაა მთავარი და შინაარსი უმნიშვნელო. ორივე ერთნაირად აუცილებელი და მნიშვნელოვანია საგნისათვის.

შინაარსისა და ფორმის მონათესავე ცნებებია — სტრუქტურა და სისტემა. სტრუქტურა გამოხატავს საგნის შედგენილობას, აღნაგობას. იგი მისი ელემენტების ერთობლიობაა. სტრუქტურა შინაარსის მონათესავე ცნებაა, მაგრამ არ არის მისი ივივეობრივი. სისტემა გულისხმობს წესრიგს ელემენტების სიმრავლეში. იგი ორი მომენტის შემცველია. ერთი მხრივ, რაღაც ელემენტების სიმრავლე, ხოლო მეორე მხრივ — წესი, რომელიც ამ ელემენტებს ერთმანეთთან აკავშირებს. სისტემა მოწესრიგებული სიმრავლეა. მას თავისი შინაარსი და ფორმა აქვს.

სისტემა მთლიანობაა, რომლის შემადგენელი ელემენტები მისი ნაწილებია. აქ მყარდება მთელისა და ნაწილის მიმართება. ისინი არ არსებობენ და არ

ფუნქციობენ ერთმანეთის გარეშე. მათი ურთიერთმოწყვეტა გამოიწვევს ურთიერთმოსპობას. მაგალითად, ცოცხალი ორგანიზმი სისტემაა, რომელიც მისი შემადგენელი ნაწილების მთლიანობაა. ყოველი ნაწილი ფუნქციობს მხოლოდ მთელში და მისი მეშვეობით. მისგან დამოუკიდებლად და მოწყვეტით იგი უკვე სიცოცხლის უნარს კარგავს და კვდება. ადამიანის რომელიმე ორგანო თავის ფუნქციას ასრულებს მხოლოდ მთლიანი ორგანიზმის ნორმალური არსებობის ფარგლებში. მისგან განცალკევებით იგი საერთოდ აღარ არსებობს და კვდება როგორც ასეთი. ადამიანისაგან მოკვეთილი ფეხი უკვე ფეხი არაა.

ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ **ფორმალური და ფორმალიზმი.** ფორმალიზმი ფილოსოფიური თეორიაა, რომელიც უპირატესობას ანიჭებს ფორმას შინაარსთან შედარებით. იგი მიიჩნევს, რომ ფორმა განსაზღვრავს შინაარსს, რადგან იგი არის მთავარი და მნიშვნელოვანი საგანში. ეს თეორია მცდარია, ვინაიდან ფორმა-შინაარსის მიმართებაში არ შეიძლება რომელიმე მათგანს მიენიჭოს უპირატესობა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ორივე აუცილებელი და მნიშვნელოვანია საგნის არსებობისათვის.

სულ სხვას ნიშნავს ტერმინი "ფორმალური". იგი არ გულისხმობს უშინაარსოს, უსტრუქტუროს. მას თავისი შინაარსი და სტრუქტურა აქვს. არსებობს ფორმალური მეცნიერებანი, მაგალითად, ლოგიკა, მათემატიკა და გრამატიკა.

ისინი იმეცნებენ გარკვეული ტიპის ობიექტებს, რომელთაც თავისი შინაარსი და სტრუქტურა აქვთ. ისინი განყენებას ახდენენ არა შინაარსისაგან, არამედ მატერიისაგან (მასალისაგან). ავიღოთ ორი წინადადება: "ყოველი ადამიანი მოკვდავია" და "ყოველი ხე მცენარეა". ლოგიკას არ აინტერესებს ამ წინადადებათა კონკრეტული შინაარსი, რომელიც ეხება "ადამიანს", "ხეს", "მცენარეს" და ა. შ. მათი კვლევა შესაბამის მეცნიერებათა (ანატომიის, ფიზიოლოგიის, ბოტანიკის და ა. შ.) და არა ლოგიკის საქმეა. ამ უკანასკნელს აინტერესებს ამ წინადადებათა ზოგადი სტრუქტურა, რომელსაც გამოხატავს სქემა: "ყოველი a არის b". ეს წინადადება უშინაარსო როდია. მას თავისი ლოგიკური შინაარსი აქვს, რომელიც განყენებულია კონკრეტული მასალისაგან ანუ მატერიისაგან.

ისმება კითხვა: თუ კი ლოგიკა შინაარსს სწავლობს, მაშინ რატომ ეწოდება მას ფორმალური? საქმე ისაა, რომ იგი თავის საგანს იმეცნებს გარეგანი ფორმის მიხედვით. მისი შემეცნების ობიექტია არა თვით ეს გარეგანი ფორმა. არამედ გარკვეული შინაარსი. გარეგანი ფორმა მხოლოდ საშუალებაა, რომლის გამოყენებით იგი თავის საგანს იკვლევს. რათა ნათელვყოთ აღნიშნული დებულება, გავაანალიზოთ ერთი მაგალითი.

ლოგიკა იყენებს ზოგად წესს, რომელსაც ეწოდება დასკვნის წესი. მისი ფორმულირება ასეთია:

თუ p მაშინ q
p

მაშასადამე, q

p და q აღნიშნავენ წინადადებებს, რომლებიც შეიძლება ჭეშმარიტი ან მცდარი იყოს. დასკვნის წესი ადგენს: თუ ჭეშმარიტია დებულება, რომ p-დან გამომდინარეობს q და ჭეშმარიტია p, მაშინ ჭეშმარიტია q. რის საფუძველზე კეთდება ამგვარი დასკვნა? არა ამ წინადადებათა კონკრეტული შინაარსის, არამედ მათი გარეგანი ფორმის მიხედვით. ამისათვის სავსებით საკმარისია, რომ p-ს პირველ და მეორე წინადადებაში, ხოლო q-ს პირველ და მესამე წინადადებაში ერთნაირი ფორმა-მოხაზულობა ჰქონდეს. მათი გრძნობად-აღქმადი სახე ერთი და ივივე უნდა იყოს.

ლოგიკა სწავლობს არა ასოების გრაფიკულ მოხაზულობას, არამედ წინადადებებს შორის გარკვეული სახის მიმართებას. ეს ის შინაარსია, რომელიც მისი კვლევის საგანია, მაგრამ იგი მას შეისწავლის გარეგანი ფორმის საშუალებით. სწორედ ამის გამო ითვლება ლოგიკა ფორმალურ მეცნიერებად.

ადამიანის არსი და სპეციფიკა

ფილოსოფიური ანთროპოლოგიის ჩამოყალიბება. განასხვავებენ მეცნიერულ და ფილოსოფიურ ანთროპოლოგიას. მეცნიერული ანთროპოლოგია იკვლევს ადამიანის წარმოშობისა და ფორმირების პროცესს, მისი სხეულის აღნაგობას, რასების ჩამოყალიბებას და ა.შ. იგი ემპირიული მეცნიერებაა. ფილოსოფიური ანთროპოლოგია იკვლევს ადამიანის არსს, მისი ყოფიერების სპეციფიკას და თავისებურებას. მისი ფორმირება დაიწყო ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში და დასრულდა XX საუკუნის დასაწყისში. მოკლედ აღვნიშნოთ ამ პროცესის ზოგიერთი ძირითადი მომენტი.

ადამიანი არის ერთადერთი არსება დედამიწაზე, რომელსაც შეუძლია დასვას კითხვა თავისი თავის შესახებ. იგი მის წინაშე მთელი სიმწვავით დადგა, როდესაც გაუჩნდა თვითცნობიერება. თავდაპირველად ადამიანის ცნობიერება მიპყრობილია ბუნებაზე. მან უნდა დაიკმაყოფილოს თავისი ბიოლოგიური მოთხოვნილებანი. ეს კი მას შეუძლია ბუნებასთან ურთიერთობით, ამიტომ მისი მზერა მთლიანად მიმართულია გარესამყაროზე. მაგრამ თანდათანობით ადამიანი აცნობიერებს თავის თავს, მას მზერა გადმოაქვს საკუთარ თავზეც. სიკვდილის გარდაუვალობა მის წინაშე აყენებს კითხვებს: რატომ გაჩნდა იგი? რისთვის არსებობს და იბრძვის? თუ მაინც უნდა მოკვდეს, მაშინ რა აზრი აქვს მის არსებობას? ეს და მსგავსი კითხვები ადამიანის წინაშე აყენებს თვითშემეცნების ამოცანას. მას უჩნდება თვითცნობიერება, რომლის შემდეგ მის წინაშე დამოკლეს მახვილივით აღმართულია კითხვა: ვინ ვარ მე?

რასაკვირველია, ყოველივე ეს მოხდა დიდი ხნით ადრე ფილოსოფიის წარმოშობამდე. ამის დასტურია პირველყოფილი რელიგიები და მითოლოგიები, რომლებიც ცდილობენ ფანტასტიკური ფორმებით მიწვდნენ სამყაროს და ადამიანის საიდუმლოებას. რელიგიური და მითოლოგიური ცნობიერება ადამიანური ყოფიერების შემეცნების პირველი მცდელობაა. ადამიანის თვითშე-

მეცნების ფილოსოფიური გააზრება გაცილებით გვიან მოხდა, რადგან ფილოსოფია, როგორც კულტურის დამოუკიდებელი ფორმა, ცივილიზაციის განვითარების გვიანდელ ხანას მიეკუთვნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვით ფილოსოფიის წიაღში ადამიანის პრობლემა მოგვიანებით დადგა. დასაწყისში ისიც მიმართული იყო სამყაროს საიდუმლოების ამოხსნაზე. პირველ ბერძენ ფილოსოფოსებს ფიზიკოსებს უწოდებდნენ, რადგან მათი მთავარი მიზანია ბუნების და არა ადამიანის არსის დადგენა. ჯერ სოფისტებმა დაახლოებით ძვ. წ. V საუკუნეში დაიწყეს მობრუნება ადამიანისაკენ. პროტაგორამ წამოაყენა თეზისი იმის თაობაზე, რომ ადამიანია ყველაფრის საზომი. მაგრამ ადამიანის საკითხი, როგორც ფილოსოფიის ძირითადი პრობლემა პირველად დააყენა სოკრატემ. მან დელფოს ტაძრის შესასვლელთან წარწერილი მოწოდება — "შეიცან თავი შენი" — აქცია თავისი ფილოსოფიური განსჯის ღერძად. ეს იყო გარდატეხის მომენტი ძველბერძნული ფილოსოფიის განვითარებაში. ამან გამოიწვია ყურადღების გადანაცვლება სამყაროდან (კოსმოსიდან) ადამიანზე (ანთროპოსზე). ამით დამთავრდა ძველბერძნული ფილოსოფიის ევოლუციის კოსმოლოგიური პერიოდი და დაიწყო ახალი, ანთროპოლოგიური პერიოდი. ადამიანის არსის გარკვევა და დადგენა ევროპული ფილოსოფიის ერთ-ერთი ძირითადი და წამყვანი თემა ხდება. საგანგებოდ აღვნიშნოთ ზოგიერთი ფილოსოფოსი, რომელთა ნააზრევმა განსაკუთრებული როლი შეასრულა ამ მიმართულებით. პირველია რომის იმპერატორი და ფილოსოფოსი მარკუს ავრელიუსი (121-180), რომლის ჩანაწერები მისი სიკვდილის შემდეგ გამოქვეყნდა. მან დააყენა მარადიული კითხვები, რომლებიც ადამიანური ყოფიერების აბსურდულობით არის გამოწვეული. იგი წერს: "კაცის სიცოცხლე — წამია მხოლოდ; მისი არსი — მარად მედინი; შეგრძნება — ბუნდოვანი; აღნაგობა სხეულისა — ხრწნადი; სული — ცთომილივით მოხეტიალე; ბედი — იდუმალი; დიდება — ფუჭი. ერთი სიტყვით, ყველაფერი სხეულებრივი ნაკადს წაგავს, სულისეული — სიზმარს, კვამლს, ნისლს. ცხოვრება ბრძოლაა და ხეტიალი უცხო მხარეში. სიკვდილისშემდგომი დიდება — დავიწყება. მაშ, რაღას მივყვეთ, რა გვიწინამძღვრებს? სიბრძნის სიყვარული მხოლოდ და მხოლოდ?"[3]

ფრანგი მეცნიერი და ფილოსოფოსი ბლეზ პასკალი (1623-1662) საგანგებოდ ბჭობს ადამიანური ყოფიერების არარაობაზე. იგი წერს: "ახლა კი, დაე, ადამიანი კვლავ მიუბრუნდეს საკუთარ თავს და შეადაროს თავისი არსება ყოველივე არსებულს? დაე შეიცნოს, რარიგ დაკარგულია სამყაროს ამ მივიწყებულსა და მიყრუებულ კუთხეში".[4] ადამიანი მოქცეულია ორ — არარაობისა და უსასრულობის უფსკრულს შორის: "ამაზე ფიქრი თავზარდამცემია, ვინც წარმოიდგენს, რომ ნივთიერი გარსი, რომელშიც ის მოაქცია ბუნებამ,

---

[3]მარკუს ავრელიუსი, ფიქრები, თბ., 1972, გვ. 87

[4]ბ. პასკალი, აზრები, 1981, გვ. 200.

ორ უფსკრულს შორის ქანაობს – უსასრულობის უფსკრულსა და არარაობის უფსკრულს შორის, – უთუოდ ძრწოლით აღივსება ამ სასწაულის წინაშე".[5] და მაინც რა არის ადამიანი? – სვამს კითხვას პასკალი და პასუხობს: "არარაობა უსასრულობასთან შედარებით, ყველაფერი არარაობასთან შედარებით, ანუ რაღაც საშუალო ყველაფერსა და არაფერს შორის. მას არ შეუძლია არც ერთი უკიდურესობის შეცნობა: საგანთა დასაბამი და დასასრული მისთვის სამუდამოდ დაფარულია იდუმალების განუჭვრეტელი უკუნით. ის ერთნაირად უმწეოა შეიცნოს როგორც არარაობა, რომლისგანაც იშვა, ისე უსასრულობა, რომელშიც არის დანთქმული".[6]

ადამიანი ეძებს საყრდენს, რომელსაც იგი მიენდობა, მაგრამ ვერ პოულობს. "ირგვლივ არაფერია ურყევი. ასეთია ჩვენი ბუნებრივი მდგომარეობა, და მაინც, ის სრულიად არაბუნებრივად ეჩვენება ჩვენს გრძნობებს. ჩვენ ხარბად მიველტვით მკვიდრ სამყოფელს. გვსურს ფეხქვეშ ვგრძნობდეთ მყარ ნიადაგს, რათა ცადაზიდული გოდოლი აღვმართოთ ზედ, მაგრამ საძირკველი ირღვევა და ხახადაფენილი ნაპრალიდან უფსკრულის ავბედითი თვალი გვიცქერის".[7]

დასასრულ, გვინდა მოვიტანოთ ერთი ამონაწერი პასკალის ნაშრომიდან, რომელიც მთელი სიმძაფრით გადმოგვცემს ადამიანის სულის აფორიაქებას და შფოთვას, მის შეძრწუნებას და შიშს "მე არ ვიცი ვინ წარმომგზავნა ამ ქვეყნად, არ ვიცი, რაა სამყარო, არ ვიცი, ვინა ვარ მე. ო, საშინელი და სრული უმეცრება ჩემი. მე არ ვიცი, რა არის ჩემი სხეული, ჩემი გრძნობა, ჩემი სული და ჩემი არსების ის ნაწილი, რომელიც ფიქრობს იმას, რასაც მე ვამბობ, რომელიც ცდილობს აზრით მიწვდეს და შეიცნოს ყველაფერი, შეიცნოს თავისი თავიც. მაგრამ უკეთ როდი იცნობს საკუთარ თავს, ვიდრე სხვა დანარჩენს. მე ვხედავ სამყაროს საშინელ სივრცეს, რომელშიც ვარ ჩაკეტილი, მე ვგრძნობ, რომ მიჯაჭვული ვარ ამ უვრცესი სამყაროს მხოლოდ ერთ კუნჭულს, მაგრამ არ ვიცი, რად მხვდა წილად სწორედ ეს კუთხე და არა რომელიმე სხვა ადგილი, ან რად მებოძა სასიცოცხლოდ ერთი მსწრაფლწარმავალი წამი მარადისობის სწორედ ამ და არა რომელიმე სხვა წერტილში, მარადისობისა, რომელიც წინ უსწრებს ჩემს დასაბამს და რომელიც მოსდევს ჩემს დასასრულს

მე ვერაფერს ვხედავ ჩემს ირგვლივ უსასრულობის გარდა, რომელშიც ატომივით ვარ ჩაკარგული. ჩემი სიცოცხლე მხოლოდ ჩრდილია, რომელიც მხოლოდ წამით ევლინება უსასრულობას, რათა ამ წამის წახდომისთანავე უკვალოდ გაქრეს.

მე მხოლოდ ის ვიცი, რომ მალე მოვკვდები, მაგრამ ყველაზე ნაკლებ ვიცნობ სწორედ ამ სიკვდილს, რომელსაც ვერ გავექცევი, ვერ ავიცილებ".[8]

ძნელია, უფრო შთამბეჭდავად გადმოსცე ადამიანის სულიერი მღელვარება, რომელსაც იგი განიცდის სამყაროს უსასრულობის წინაშე.

---

[5]იქვე, გვ.201.

[6]იხ. პასკალის ზემოთდასახელებული ნაშრომი, გვ. 201.

[7]იქვე, გვ. 203

[8]იქვე, გვ. 235.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანელი ფილოსოფოსი იმანუელ კანტი თავის წიგნში "წმინდა გონების კრიტიკა" წერდა: "ჩემი გონების ყველა ინტერესი (სპეკულატურიც, ასევე, როგორც პრაქტიკული) ერთდება შემდეგ სამ კითხვაში:

1) **რა შეძიძლია ვიცოდე?**

2) **რა უნდა ვაკეთო?**

3) **რის იმედი შეიძლება მქონდეს?**[9]

ეს კითხვები ჯერ კიდევ ანტიკურ ფილოსოფიაში დაისვა. ისინი განეკუთვნებიან მარადიულ კითხვებს, რომლებიც თავს დასტრიალებენ ადამიანს და მათზე პასუხის ძიება მისი მუდმივი ზრუნვის საგანია.

მოგვიანებით ერთ-ერთ კერძო წერილში კანტი წერდა, რომ მას უნდა გადაეწყვიტა სამი ამოცანა: 1) რა შეძიძლია მე ვიცოდე? (მეტაფიზიკა). 2) რა უნდა გავაკეთო? (მორალი). 3) რისი იმედი შეძიზლია მქონდეს? (რელიგია). ამას უნდა მოყოლოდა მეოთხე ამოცანა: რა არის ადამიანი? (ანთროპოლოგია).

მაგრამ კანტს ანთროპოლოგია არ მიუჩნევია ძირითად ფილოსოფიურ დისციპლინად, რადგან იგი ადამიანს არ აღიარებდა ფილოსოფიის მთავარ საგნად. თავისი ნაშრომის "პრაქტიკული გონების კრიტიკის" დასკვნაში კანტი წერდა: "ორი რამ ავსებს სულს მუდამ ახალი და სულ უფრო ძლიერი გოცებით და მოწიწებით, რაც უფრო ხშირად და ხანგრძლივად ვფიქრობთ ჩვენ მათ შესახებ — **ვარსკვლავებიანი ცა ჩემს ზევით და მორალური კანონი ჩემში**[10]. სამყარო და ადამიანი — აი ფილოსოფიური განსჯის ორი ძირითადი სფერო.

ანთროპოლოგია ძირითად ფილოსოფიურ დისციპლინად გამოაცხადა ფოიერბახმა (1804-1872), რომელმაც წამოაყენა დებულება: "ჭეშმარიტება არც მატერიალიზმია და არც იდეალიზმი, არც ფიზიოლოგია და არც ფსიქოლოგია. ჭეშმარიტება — მხოლოდ ანთროპოლოგიაა".[11] ფოიერბახს ახალი დროის ამოცანად მიაჩნდა შემდეგი: "ახალი დროის ამოცანა ისაა, რომ გახსნას და გააადამიანუროს ღმერთი, თეოლოგია გარდაქმნას და დაიყვანოს ანთროპოლოგიაზე"[12]. ანთროპოლოგიას იგი თვლის უნივერსალურ მეცნიერებად. "ახალი ფილოსოფია **ადამიანს, ბუნების როგორც მისი ბაზისის ჩათვლით,** თვლის თავის ფილოსოფიის ერთადერთ, უნივერსალურ და უმაღლეს საგნად, შესაბამისად, ანთროპოლოგიას, მათ შორის ფიზიოლოგიასაც, უნივერსალურ მეცნიერებად.[13]

მაგრამ ფილოსოფიური ანთროპოლოგია მოგვიანებით შეიქმნა. ეს მოხდა XX საუკუნის დასაწყისში. მის ფუძემდებლად ითვლება მაქს შელერი. მან განასხვავა სამი სახის ანთროპოლოგია — საბუნებისმეტყველო-მეცნიერული,

---

[9] ი. კანტი, წმინდა გონების კრიტიკა, თბ., 1979, გვ. 463.

[10] И. Кант, Соч. т.4, 4.1., М., 1965, с. 499.

[11] Л. Фейербах, избр. философские произведения, М., 1956, т.I, с. 224.

[12] იქვე, გვ. 136.

[13] Л. Фейербах, избр. философские произведения, М., 1956., т.I, с. 224.

ფილოსოფიური და თეოლოგიური, რომელთაც ერთმანეთი არ აინტერესებთ. ამის გამო არ გვაქვს ადამიანის ერთიანი იდეა. პრინციპები, რომელთა მიხედვით განიხილება ადამინი, დღეს ძლიერ შერყეულია, ამიტომ სავსებით სამართლიანია შელერის შემდეგი დებულება: "ჯერ არასდროს ისტორიაში **ადამიანი თავისთვის არ გამხდარა ისეთი პრობლემატური,** როგორც დღეს".[14]

XX საუკუნის ზოგიერთმა ფილოსოფიურმა მიმდინარეობამ თავისი განსჯის ძირითად თემად სწორედ ადამიანი და მისი ყოფიერების პრობლემა აქცია. განსაკუთრებით ეს ეხება ექსისტენციალიზმს. ფრანგული ექსისტენციალიზმის ერთ-ერთი წარმომადგენელი ალბერ კამიუ წერდა: "არის მხოლოდ ერთი ნამდვილი სერიოზული ფილოსოფიური პრობლემა. გადაწყვიტო ღირს თუ არა სიცოცხლე იმად, რომ იგი განვლო, ნიშნავს უპასუხო ფილოსოფიის ფუნდამენტურ კითხვას. ყველაფერი დანარჩენი — აქვს თუ არა სამყაროს სამი განზომილება, გონება ხელმძღვანელობს ცხრა თუ თორმეტი კატეგორიით — მეორეხარისხოვანია".[15]

კამიუ თვლის, რომ ფილოსოფიის ძირითადი საგანია ადამიანი და მისი ცხოვრების საზრისის ძიება.

ადამიანის განსაზღვრების სიძნელე. ადამიანის ცნების უამრავი განსაზღვრება არსებობს. თუ რა არის ადამიანი — ამ კითხვაზე პასუხის გაცემას მრავალი მოაზროვნე ცდილობდა. ტრადიციულად ლოგიკაში დადგენილი წესი, რომლის მიხედვითაც სრულდებოდა ადამიანის ცნების განსაზღვრა იყო შემდეგი: ცნება უნდა განისაზღვროს უახლოესი გვარისა და სპეციფიკური ნიშნის დადგენით. ადამიანის ცნების უახლოესი გვარია ცხოველის ცნება, ამის გამოა, რომ ადამიანის ყოველი განსაზღვრება შეიცავს ცხოველზე მითითებას: ადამიანი არის ცხოველი. ცხადია, ყოველი ცხოველი ადამიანი არაა, ამიტომ უნდა მოიძებნოს ისეთი სპეციფიკური ნიშანი, რომელიც ახასიათებს მხოლოდ ადამიანს, რათა გამოვყოთ იგი ცხოველთა დნარჩენი სამყაროსაგან. ამგვარი თვისება ადამიანს მრავალი აქვს. ყოველი მოაზროვნე ცდილობდა ისეთი სპეციფიკური ნიშანი გამოეყო, რომელიც ყველაზე მეტად მიაჩნდა მას ადამიანის არსების გამომხატველად. ამან განაპირობა ადამიანის ცნების განსაზღვრების სიმრავლე. სანიმუშოდ დავასახელოთ რამდენიმე მათგანი.

არისტოტელეს თანახმად ადამიანი არის პოლიტიკური ცხოველი. ე. ი. ცხოველი, რომელიც სახელმწიფოში ცხოვრობს და სახელმწიფოებრივ საქმიანობას ეწევა. თომა აქვინელმა ადამიანი განსაზღვრა როგორც საზოგადოებრივი ცხოველი. ფრანკლინის განმარტებით ადამიანი იარაღის მკეთებელი ცხოველია. კასირერმა იგი მიიჩნია სიმბოლოების შემქმნელ ცხოველად. ადამიანის გარდა, არც ერთი ცხოველი არ ქმნის სიმბოლოებს. საყოველთაოდ ცნობილია ადამიანის ისეთი განსაზღვრებანი როგორიცაა: ადამიანი მოაზროვნე

---

[14] Проблема человека в западной философии, М., 1989., с. 32..

[15] Сумерки богов, М., 1990., с. 223.

ცხოველია, ადამიანი მწარმოებელი ცხოველია და სხვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა შეიძლება ითქვას ადამიანის ცნების აღნიშნულ განსაზღვრებათა თაობაზე? ყოველი მათგანი სწორად გამოყოფს რაღაც ნიშანს, რომელიც ადამიანისათვის დამახასიათებელია. მართლაც ადამიანი საზოგადოებრივი, პოლიტიკური, იარაღის მკეთებელი, მოაზროვნე, მეტყველი და ა. შ. ცხოველია. მაგრამ, ადამიანი იმდენად რთული და მრავალმხრივი არსებაა, რომ მისი ადექვატური განსაზღვრება ერთი რომელიმე თვისების გამოყოფით შეუძლებელია. ამიტომ, ადამიანის ყოველი განსაზღვრება ცალმხრივია და ამდენად არასრულყოფილი. ყოველი მათგანი მხოლოდ ერთი მხრივ ახასიათებს მას, რის გამოც მხედველობის გარეთ რჩება მისი არანაკლებ მნიშვნელოვანი მხარეები. უფრო მიზანშეწონილია დავახასიათოთ ადამიანური ყოფიერების წესი, რათა ვაჩვენოთ მისი თავისებურებანი. ადამიანის არსი უნდა გაირკვეს ცხოველთან მიმართებაში, რადგან მათი ყოფიერების წესი, მიუხედავად ზოგიერთი მსგავსი მომენტისა, არსებითად განსხვავებულია.

ცხოველი და ადამიანი. ცხოველი და ადამიანი დედამიწაზე სიცოცხლის წარმოშობისა და ევოლუციის ბუნებრივი და კანონზომიერი შედეგია. ცხოველი შეგუებულია გარემოპირობებს. მას ჩამოუყალიბდა გარკვეული გენური სტრუქტურა და სხეულებრივი ორგანიზაცია, რომლებიც განსაზღვრავენ მისი ყოფიერების წესს.

ანალოგიურია მდგომარეობა ადამიანის მიმართაც. ცოცხალი ბუნების ხანგრძლივი ევოლუციის პროცესში მასაც ჩამოუყალიბდა შესაბამისი სხეულებრივი ორგანიზაცია და გენური სტრუქტურა. სწორედ ისინი განაპირობებენ ადამიანური ყოფიერების წესს.

თავიდანვე უნდა აღინიშნოს ერთი არსებითი განსხვავება, რომელიც არსებობს ცხოველსა და ადამიანს შორის ბუნებასთან დამოკიდებულების პროცესში. ცხოველი ყველაფერს ბუნებისაგან იღებს, რაც მისი არსებობისათვის აუცილებელია. იგი ბუნებისაგან განსხვავებულ გარემოს არ ქმნის. მასში არსებობს, მას იყენებს და მთლიანად მასზეა მიჯაჭვული. ადამიანიც ბუნებაში არსებობს, მაგრამ მთლიანად მასზე არ არის დამოკიდებული. იგი ქმნის სრულიად ახალ სამყაროს კულტურის სახით. ადამიანი აშენებს საზოგადოებას მთელი თავისი მრავალფეროვნებით. ამყარებს პოლიტიკურ, სამართლებრივ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, ზნეობრივ, რელიგიურ ურთიერთობებს და ქმნის მათ შესაბამის დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს. თვითონ აწარმოებს სასიცოცხლოდ აუცილებელ პროდუქტებს, აშენებს სახლებს, ხიდებს, გზებს, ქმნის ტექნიკას და ა. შ. ეწევა სულიერ მოღვაწეობას, რომლის შედეგად იქმნება მითოლოგია, რელიგია, ფილოსოფია, მეცნიერება, ხელოვნება და სხვა. ერთი სიტყვით, ადამიანი ქმნის გონით სამყაროს, რომელიც უცხო და მიუწვდომელია ცხოველისათვის.

ის, რომ ცხოველი ბუნებისაგან განსხვავებულს არაფერს ქმნის, ეს სავსებით კანონზომიერია, რადგან ცალსახად დეტერმინირებულია მისი გენური სტრუქტურით. მას ამგვარი ყოფიერების წესი დაუდგინა ბუნებამ. ეს მისი

ნაკლი კი არა, თავისებურებაა. ცხოველს ამის მოთხოვნილება არც აქვს, რადგან იგი ცალსახად განპირობებულია მისი გენური სტრუქტურით. სიცოცხლის ევოლუციის შედეგად ადამიანს ისეთი გენეტიკური კოდი ჩამოუყალიბდა, რომელიც მას აიძულებს შექმნას კულტურა, სხვაგვარად იგი ვერ იარსებებდა და საერთოდ გადაშენდებოდა. კულტურის შექმნა ადამიანისათვის ფუფუნება კი არა, სასიცოცხლო აუცილებლობაა. ამის მოთხოვნილება და მისი რეალიზაციის შესაძლებლობა ჩადებულია მის გენურ სტრუქტურაში.

როგორც ცხოველი, ისე ადამიანი თავიანთ მოთხოვნილებებს იკმაყოფილებენ აქტიური მოქმედების საშუალებით. საჭიროა გარკვეული ქცევის შესრულება, რათა მათ შეძლონ ამა თუ იმ მოთხოვნილების დაკმაყოფილება. აქტივობა და შესაბამისი ქცევა ორივესათვის აუცილებელია. მაგრამ განსხვავებულია ამ ქცევის ხასიათი და მისი შესრულების მექანიზმი.

ცხოველის ქცევა მიზანშეწონილია. ეს ნიშნავს, რომ მისი რეაქცია გარემოპირობებზე ადექვატურია. იგი მოქმედებს იმის შესტყვისად თუ რა მოვლენებს აწყდება გარემოში. თუ მას რაიმე დაბრკოლება შეხვდა, ცდილობს მის გადალახვას, თუ ხელსაყრელ პირობებში აღმოჩნდა, მაქსიმალურად იყენებს მას. ცხოველი აქტიურად იბრძვის, რათა შეინარჩუნოს თავისი არსებობა, გამრავლდეს და დატოვოს შთამომავლობა. არსებობისათვის აქტიური ბრძოლა არის ცხოველთა სამყაროს დამახასიათებელი თავისებურება.

ცხოველის აქტივობას ძირითადად განსაზღვრავს სამი გარემობა: 1) საკუთარი ან თავისი ოჯახის წევრების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის ზრუნვა. მაგალითად, დედ-მამა ზრუნავს არა მარტო თავისი, არამედ ახალშობილი შვილების მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. არა მხოლოდ იცავს მათ გარეშე მტრისაგან, არამედ ამარაგებს საკვებითა და სასმელით; 2) გარემოპირობები: თუ იგი საფრთხეს გრძნობს, გარბის ან თავს იცავს; 3) თამაში: ძაღლები, კატები და სხვა ცხოველები ერთმანეთს ეთამაშებიან, რათა განავითარონ თავიანთი ფიზიკური ძალები და ენერგია.

ცხოველები თავიანთ მოქმედებაში ავლენენ საოცარ გონივრულობას, წინდახედულობას და შესაშურ სიზუსტეს. ჩიტები — ბუდეებს, ფუტკრები — ფიჭას აშენებენ, ობობა ქსელს ხლართავს და ა. შ. ჯაგრიანი ამოფილა მუხლუხს აყენებს ცხრა თანმიმდევრულ ჩხვლეტას ცხრა ნერვულ ცენტრში, შემდეგ კი მის თავს ზუსტად იმდენ ხანს ღეჭავს, რომ მსხვერპლს დაეცეს დამბლა, მაგრამ არ მოკვდეს. მინდვრის თაგვი ზაფხულობით ორმოს თხრის, რომელშიც საკვებს იმარაგებს, რათა შემდეგ გამოიზამთროს. ცხოველები ურთიერთთანამშრომლობენ, მათ შორის შრომა განაწილებულია. ამის კარგი მაგალითია ფუტკრის ოჯახის საქმიანობა. მართალია ცხოველის სხვადასხვა სახეობას შორის ურთიერთბრძოლა მიმდინარეობს, მაგრამ ერთი სახეობის შიგნით არსებობს თანამშრომლობისა და შეთანხმებული მოქმედების ფაქტები.

ცხოველთა მოქმედებაზე დაკვირვების შედეგები გვიჩვენებს, რომ მათ შეუძლიათ საკმაოდ რთული ამოცანების გადაწყვეტა გასაოცარი და შესაშური სი-

ზუსტით და მოხერხებულობით. რა განაპირობებს მათ ამგვარ მოქმედებას? ის ბიოლოგიური მექანიზმი, რომელიც ცხოველებმა ბუნებისაგან მიიღეს. ეს არის მათი გენური სტრუქტურა და სხეულებრივი ორგანიზაცია. პირველი განაპირობებს ქცევის განსაკუთრებულ წესს, რომელიც მოცემული სახეობისათვის არის დამახასიათებელი. ის, რომ ფრინველი ჰაერში დაფრინავს, თევზი წყალში ცხოვრობს, ქვეწარმავალი მიწის ქვეშ ბინადრობს, განსაზღვრულია მათი გენური სტრუქტურით. მის საფუძველზე ცხოველებს ჩამოუყალიბდათ ინსტინქტი, რომელიც წარმართავს მათ საქმიანობას. ამასთანავე, ცხოველის სხეულებრივი ორგანიზაცია სავსებით საკმარისია იმისათვის, რომ მან თავისი არსებობა შეინარჩუნოს და შთამომავლობა გაამრავლოს. მას არ სჭირდება ამისათვის ხელოვნური იარაღების შექმნა და გამოყენება. იმისათვის, რომ ფრინველმა იფრინოს, ბუნებამ მას ფრთები მისცა. იმისათვის, რომ მან ბუდე ააშენოს, სავსებით საკმარისია მისი ნისკარტი.

ადამიანს გაცილებით რთული, მრავალმხრივი და გაუთვალისწინებელი ამოცანების გადაჭრა უხდება. მისი ქცევის საფუძველი ისე, როგორც ცხოველისა, არის გენური სტრუქტურა და სხეულებრივი ორგანიზაცია. მაგრამ მექანიზმი, რომელიც წარმართავს ადამიანის ქცევას, არსებითად განსხვავდება ცხოველის ბიოლოგიური მექანიზმისაგან. საქმე ისაა, რომ არც ინსტიქტი და არც სხეულებრივი ორგანიზაცია საკმარისი არ არის იმისათვის, რომ ადამიანმა უზრუნველყოს თავისი არსებობა და წარმატებით გაართვას თავი თავის საქმეს. ინსტინქტები, რომლებიც ადამიანმა ბუნებისაგან მიიღო, უმნიშვნელო როლს ასრულებენ მის საქმიანობაში. აქ წინა პლანზე გამოდის ცნობიერება. ეს უკანასკნელია ის ძირითადი მექანიზმი, რომელიც წარმართავს ადამიანის მოქმედებას.

ადამიანი თავის საქმიანობაში ეყრდნობა საკუთარ სხეულებრივ ორგანიზაციას. იყენებს ფეხებს, ხელებს, კუნთების ძალას, გრძნობის ორგანოებს და სხვა. მაგრამ ყოველივე ეს არასაკმარისია, რათა მან შეძლოს თავისი არსებობის შენარჩუნება. ამ მიზნით იგი ქმნის ხელოვნურ იარაღებს, რომელთა ერთობლიობას უწოდებენ ტექნიკას. მხოლოდ მისი გამოყენებით შეუძლია ადამიანს გადაჭრას მის წინაშე მდგომი რთული ამოცანები: ადამიანი აშენებს გზებს, ხიდებს, ტრანსპორტის საშუალებებს, აწარმოებს კვების პროდუქტებს, ტანსაცმელს; ქმნის საბრძოლო იარაღებს და ა. შ. მაგრამ ყოველივე ამას იგი აკეთებს ტექნიკის საფუძველზე. ადამიანს ისეთივე სიზუსტით და წარმატებით შეუძლია შეასრულოს ყველა ის ოპერაცია, რასაც ცხოველი აკეთებს, მაგრამ იმ პირობით, თუ ამისათვის იგი მოიხმარს მის მიერ ამ მიზნით საგანგებოდ შექმნილ ხელსაწყოებს. ქირურგს შეუძლია წარმატებით ჩაატაროს ოპერაცია, მაგრამ — სათანადო ინსტრუმენტების გამოყენებით; არქიტექტორს შეუძლია ააშენოს სახლი, მაგრამ — შესაბამისი საამშენებლო ტექნიკის საშუალებით და ეს არის არა შემთხვევითი, არამედ აუცილებელი ადამიანის არსებობისა და საქმიანობისათვის.

მაშასადამე, ცხოველის საქმიანობას წარმართავს ინსტინქტი, ხოლო ადამი-

ანისას — ცნობიერება. ცხოველმა რომ იარსებოს ამისათვის სავსებით საკმარისია მისი სხეულებრივი ორგანიზაცია. იგი არ ქმნის ტექნიკას, რადგან მას ეს არ სჭირდება. ადამიანი ეურდნობა თავის სხეულებრივ ორგანიზაციას, მაგრამ ეს მისი საქმიანობისათვის საკმარისი არ არის. ამ მიზნით იგი ქმნის და იყენებს ტექნიკას. ეს მისი არსებობისა და საქმიანობისათვის აუცილებელი პირობაა.

ინსტინქტი და ცნობიერება. ისინი ურთიერთგამომრიცხავი უნარებია. იქ, სადაც ქცევას განსაზღვრავს ინსტინქტი, არ მონაწილეობს ცნობიერება და პირიქით. ცნობიერება სწორედ იმ მომენტში იწყებს მოქმედებას, როდესაც ინსტინქტი უძლურია შეასრულოს თავისი ფუნქცია. განვმარტოთ ცნებები "ინსტინქტი" და "ცნობიერება".

ინსტინქტი არის ცხოველის თანდაყოლილი უნარი, რომელიც ავტომატურად წარმართავს მის მიზანშეწონილ ქცევას. იგი აძლევს მას საშუალებას მოახდინოს ადექვატური ორიენტაცია გარემოში, რათა სრულად დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნილებანი. ინსტინქტი საკმარისია იმისათვის, რომ ცხოველმა იარსებოს და გაიხანგრძლივოს სიცოცხლე. იგი ხასიათდება შემდეგი ნიშნებით:

1) **გვაროვნულობა.** იგი მოცემული სახეობის ზოგადი უნარია, რომელიც ახასიათებს მის ყოველ წარმომადგენელს.

2) **თანდაყოლილობა.** იგი არის არა შეძენილი, არამედ მიღებულია შთამომავლობით.

3) **ავტომატურობა.** იგი თავის ფუნქციას ასრულებს ავტომატურად. ამისათვის არ არის საჭირო არც სწავლა და არც ვარჯიში. ცხოველს დაბადებიდანვე თან დაჰყვება ის უნარი, რომელიც მის ქცევას წარმართავს.

4) **მიზანშეწონილობა.** იგი ცხოველს საშუალებას აძლევს შეასრულოს ზუსტად ის მოქმედება, რომელიც მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლადაა საჭირო. ამიტომ მას ახასიათებს ქცევის სიზუსტე და გარემოსადმი შესატყვისობა (ადექვატურობა).

5) **ცალმხრივობა და მოუქნელობა.** იგი მხოლოდ ერთი მიმართულებით წარმართავს ქცევას. შეგუებულია ერთი ტიპის პირობებს. იგი ყველგან და ყველა სიტუაციაში ერთნაირად მოქმედებს, რაც ავლენს მის ცალმხრივობას და მოუქნელობას.

ინსტინქტური ქცევა განსხვავდება იმპულსურისაგან. ეს უკანასკნელი არის უნებლიე, მყისიერი, იგი დაუყოვნებლივ პასუხობს გამღიზიანებელზე. ვთქვათ, ცხოველმა საფრთხე იგრძნო, იგი უნებლიედ გარბის. დაინახა საჭმელი, არ შია, მაგრამ პირი უნებლიედ მაინც მისკენ წაიღო. ეს იმპულსურად ხდება და ემყარება თავდაცვის ან შიმშილის ინსტინქტს. იმპულსური ქცევა ყოველთვის ინსტინქტურია, მაგრამ არა პირიქით — ინსტინქტური ქცევა ყოველთვის არ არის იმპულსური. მაგალითად, ცხოველები საკვებს წინასწარ იმარაგებენ, რომ შემდეგ თავი გამოიკვებონ. იმისათვის, რომ მაიმუნი ბანანს მიწვდეს, ასრულებს საკმაოდ რთულ მოქმედებას. მოაქვს იქვე მდებარე ყუთი, შეახტება მას და ისე ცდილობს მიზნის მიღწევას. ამგვარი ქმედებანი არავითარ შემთხვევაში არაა იმპულსური, რადგან არ არის უნებლიე და მყისიერი პასუხი გამღიზიანებელზე. ისინი თითქოს გაზრებული და გამიზნულია. თითქოს ცხოველმა იცის ის შედეგი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც მის ქმედებას უნდა მოჰყვეს. სინამდვილეში ეს მან არ იცის. იგი ამას აკეთებს არა იმის გამო, რომ მას გაცნობიერებული აქვს თავისი ქცევის შედეგი, არამედ ინსტინქტურად, ცოდნის გარეშე: ინსტინქტი არის ის ფარული ძალა, რომელიც მის ქცევას მიზანშეწონილად წარმართავს.

ცნობიერება არის საგნობრივი ვითარების ცოდნა, გააზრება, გაგება და ამის საფუძველზე შესაბამისი მიზანდასახული ქცევის წარმართვა. იგი გულისხმობს მოქმედების შესრულებას ცოდნის მეშვეობით. მე რაიმე ქმედებას ვასრულებ ცნობიერად, ნიშნავს, რომ მე წინასწარ ვიცი, შეგნებული მაქვს ის, რასაც ვაკეთებ. ჩემს მიერ სახლის აშენება ცნობიერია და არა ინსტინქტიური, ნიშნავს, რომ მე წინასწარ დასახული და მოფიქრებული მაქვს ის გეგმა, რომლის მიხედვით უნდა ავაშენო ეი.

ამგვარად, ცნობიერება არის ცოდნის სახით, ცოდნის მეშვეობით ყოფნა. საქმის გაცნობიერება ნიშნავს მის ცოდნას. ცნობიერებას ახასიათებს შემდეგი ნიშნები:

1) **არათანდაყოლილობა:** იგი შეძენილია და არ მიიღება შთამომავლობით. მისი შეძენა ინდივიდების მიერ ხდება სწავლით და ვარჯიშით.

2) **მიზანდასახულობა:** იგი გულისხმობს მიზნის დასახვას, გეგმის შედგენას და მის შესაბამისად მოქმედებას.

3) **რაციონალურობა:** ქცევის განხორციელება ექვემდებარება გონების კონტროლს. იგი გააზრებულია, მოფიქრებულია და ხდება მისი ყოველი ნაბიჯის კრიტიკული შემოწმება. ამიტომ რაციონალური ქცევა სრულდება შეგნებულად, რაც გამორიცხავს მის ავტომატურობას.

4) **მრავალმხრივობა და მოქნილობა:** იგი არ არის შეზღუდული ერთი რომელიმე მიმართულებით. მისი განხორციელება თავისუფალია და განპირობებულია ინდივიდის განათლების დონით და ნიჭიერებით. ამის გამო ცნობიერება ელასტიურია და იოლად ეგუება შეცვლილ პირობებს.

ამგვარად, ინსტინქტს და ცნობიერებას ახასიათებს ურთიერთსაპირისპირო ნიშნები, რის გამოც ისინი ერთმანეთს გამორიცხავენ.

ცხოველის ქცევა ინსტინქტურია, რა გინდ გონივრული და მიზანშეწონილი არ უნდა იყოს იგი. ჩიტები ზაფხულობით ცხელი ქვეყნებიდან ცივ ქვეყნებში გადაფრინდებიან, ხოლო შემოდგომაზე — ისევ უკან ბრუნდებიან. ამას ისინი აკეთებენ ისე, რომ არც გეოგრაფია უსწავლიათ და არც კომპასით სარგებლობენ. ინსტინქტი, რომელიც მათ ჩამოუყალიბდათ, საშუალებას აძლევს ზუსტად და უშეცდომოდ შეასრულონ ეს ხანგრძლივი და შორეული მოგზაურობა. ადამიანს შეუზლია ანალოგიური ქცევა შეასრულოს თუ ააგებს თვითმფრინავს, გამოიყენებს სათანადო აპარატურას და რაც მთავარია, მიიღებს პროფესიულ ცოდნას და გამოცდილებას. ყოველივე ამას ადამიანი იღებს არა ბუნებისაგან მზამზარეულად, არამედ თვითონ ქმნის შესაბამისი ცოდნისა და შრომის საფუძველზე. სწორედ ცნობიერებაა ის უნარი, რომლის მეოხებით იგი ამ რთულ ოპერაციას ასრულებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა უპირატესობა აქვს ინსტინქტს ცნობიერებასთან შედარებით? ინსტინქტი მოქმედებს ავტომატურად (ცოდნის გარეშე), ზუსტად და თითქმის უშეცდომოდ. ეს ცალსახად განსაზღვრულია ცხოველის გენური სტრუქტურით. მას არ შეუძლია სხვაგვარად მოქცევა. ფუტკარი იქცევა სწორედ ისე, როგორც იგი იქცევა, რადგან სხვაგვარი მოქმედება არ შეუძლია. მას არა აქვს არჩევანის შესაძლებლობა. ბუნებამ ასეთი გენური სტრუქტურით მოაწყო იგი და დიდი სურვილიც რომ ჰქონდეს იოტისოდენად ვერ გადაუხვევს მას. ცნობიერება თავისუფალია, მას არჩევანის შესაძლებლობა აქვს. იგი არ არის ცალსახად განსაზღვრული ბუნების მიერ. ამის გამო ადამიანს შეუძლია მოიქცეს ასეც და სხვაგვარადაც, იგი თავისუფალია. ფუტკარს არ შეუძლია ააგოს ფიჭა და მასში თაფლი არ ჩადოს. ადამიანს შეუძლია სახლის აგებაც და დანგრევაც. თუ რომელს აირჩევს იგი, ეს მასზეა დამოკიდებული. ადამიანი არ მოქმედებს ზუსტად და უშეცდომოდ, თუმცა მას კრიტიკული შეფასების შემდეგ მათი გასწორება შეუძლია. ის, რასაც ცხოველი ბუნებრივად აკეთებს ზუსტად და უშეცდომოდ, ადამიანი იმავეს აღწევს მხოლოდ დიდი გარჯისა და ოფლის ღვრის ფასად (სწავლითა და ვარჯიშით). პირველს უზრუნველყოფს ინსტინქტი, მეორეს — ცნობიერება.

რა ნაკლი აქვს ინსტინქტს ცნობიერებასთან შედარებით? ინსტინქტი არ იცვლება, იგი მუდამ ერთნაირად მოქმედებს ყველა დროს და ყველა სიტუაციაში. მგელი დღეს იმავე წესით ცხოვრობს, როგორც მილიონი წლის წინათ. ამ მხრივ მას ცვლილება არ განუცდია, იმიტომ, რომ არ შეცვლილა მისი ინსტინქტის ხასიათი. ცნობიერების შინაარსი იცვლება. ცოდნა ვითარდება, ღრმავდება, ზუსტდება. ამის გამო ადამიანს საშუალება ეძლევა შეცვალოს თავისი ცხოვრების წესი და პირობები. ადამიანის ყოველ თაობას რაღაც ცვლილება შეაქვს წინა თაობის საქმიანობაში. განსხვავებულია ადამიანის ცხოვრების ხასიათი ანტიკურ ეპოქაში, შუა საუკუნეებში, ინდუსტრიულ საზოგადოებაში და მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ეპოქაში. იგი დღეს სხვაგვარად ცხოვრობს, ვიდრე ათი ან ოცი წლის წინ.

ამგვარად, ინსტინქტი გამორიცხავს პროგრესს ერთი სახეობის შიგნით. არ არსებობს ანტიკური ეპოქის მგელი, შუა საუკუნეების მგელი, ინდუსტრიული საზოგადოების ან მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ეპოქის მგელი. იგი ყველგან ერთია. ცნობიერება განაპირობებს პროგრესს ადამიანის ცხოვრებაში. მისი ცხოვრების პირობები და საქმიანობის ხასიათი იცვლება ეპოქების მიხედვით.

ადამიანის ყოფიერების წესი და მისი თავისებურება. ერმანეთისაგან არსებითად განსხვავდება "ადამიანის ყოფიერების წესი" და "ადამიანის ცხოვრების წესი".

ადამიანის ყოფიერების წესი გამოხატავს ადამიანის, როგორც ასეთის, არსებობისა და ფუნქციობის ხასიათს. იგი მისთვის, როგორც გარკვეული სახეობისათვის, ორგანულად აუცილებელია. ადამიანს თავისი, სპეციფიკურ-ადამიანური, სხვებისაგან სრულიად განსხვავებული ყოფიერების წესი აქვს. იგი

უცვლელი და მუდმივია მანამდე, სანამ ადამიანს მოცემული გენური სტრუქტურა ახასიათებს. მხოლოდ უკანასკნელის შეცვლის შემთხვევაში შეიძლება მოხდეს ცვლილება. გონიერ ადამიანს, როგორც გარკვეულ ბიოლოგიურ სახეობას, ერთი ყოფიერების წესი აქვს. მას ემორჩილება ყოველი მისი წარმომადგენელი, რომელ დროსა და პირობებშიც არ უნდა უხდებოდეს მას საქმიანობა. იგი არ იცვლება ეპოქების თუ გარემო-პირობების ცვალებადობის მიხედვით. ადამიანის ყოფიერების წესი ანთროპოლოგიურ-ექსისტენციალური კატეგორიაა.

ადამიანის ცხოვრების წესი გამოხატავს ინდივიდის ყოფისა და საქმიანობის თავისებურებას. იგი დამოკიდებულია კონკრეტულ პირობებზე და იცვლება მათ შესაბამისად. ეს პირობები შეიძლება იყოს პროფესიული, რელიგიური, კლიმატური და ა. შ. განსხვავებული ცხოვრების წესი აქვთ მემაღაროელს და მასწავლებელს, ქრისტიანს და მუსლიმანს, მთაში და ბარში მცხოვრებს. ცხოვრების წესი იცვლება ეპოქების ცვალებადობის შესაბამისად. ერთია ანტიკური ეპოქის, ხოლო სულ სხვა — თანამედროვე ეპოქის ადამიანის ცხოვრების წესი. მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ მთლიანად შეცვალა ადამიანის ყოფა და მისი საქმიანობის ხასიათი. ადამიანის ცხოვრების წესი სოციალურ-ისტორიული კატეგორიაა.

მაინც რა ნიშნები ახასიათებს ადამიანის ყოფიერების წესს. კონკრეტულად შეიძლება დავასახელოთ შემდეგი:

1) **ცნობიერება.** სპეციფიკურ-ადამიანური ქცევა არის ცნობიერი ანუ მიზანდასახული.

2) **ტექნიკა.** ადამიანი ყოველთვის იყენებს და მოქმედებს შესაბამისი იარაღებისა და ხელსაწყოების გამოყენებით. ეს ეხება არა მხოლოდ თანამედროვე ეპოქის, არამედ პირველყოფილ ადამიანსაც. ისიც იყენებდა თუმცა პრიმიტიულ, მაგრამ მაინც მის მიერ შექმნილ იარაღებს.

3) **მეტყველება და ენა.** ადამიანი მეტყველი არსებაა, რომელიც სხვა ადამიანებთან ურთიერთობას ამყარებს ენის საფუძველზე.

4) **ნების თავისუფლება.** ადამიანის საქმიანობა ემყარება საკუთარი გადაწყვეტილების მიღებას და არჩევანის განხორციელებას.

5) **შემოქმედება.** ადამიანი ქმნის ახალს, რომლის შედეგად საზოგადოებაში ადგილი აქვს პროგრესს.

ამგვარად, ადამიანური ყოფიერების წესია: ცნობიერი, თავისუფალი, შემოქმედებითი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მეტყველების და ტექნიკის გამოყენებით. ესაა ის ძირითადი თავისებურება, რომელიც ადამიანურ ყოფიერებას არსებითად განასხვავებს ყოველი სხვა ყოფიერების არსებობისაგან.

ცნობიერება

ფსიქიკა. ცნობიერება მჭიდრო კავშირშია ფსიქიკასთან, მაგრამ არ არის მისი იგივეობრივი. იგი ადამიანის ფსიქიკური საქმიანობის შედეგია. **რა არის ფსიქიკა?**

სიტყვა ფსიქიკა წარმოდგება ბერძნული სიტყვიდან "ფსიხე", რაც ნიშ-

ნავს სულს. ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში ჩამოყალიბდა შეხედულება ფსიქიკის შესახებ. მიჩნეულ იქნა, რომ არსებობს ადამიანის ორგანიზმის რაღაც უსარი, რომელიც წარმოქმნის სულიერ მოვლენებს – გრძნობებს, აღქმებს, წარმოდგენებს, აზრებს, ვნებებს, ლტოლვებს და ა.შ. ზოგიერთი, მაგალითად, დემოკრიტე და ეპიკურე, თვლიდა, რომ სული ნივთიერია და შედგება ატომებისაგან. მაგრამ განსხვავებით სხვა ატომებისაგან, ისინი უფრო ფაქიზი და მოძრავნი არიან. ადამიანის სიკვდილთან ერთად სულიც კვდება და იშლება მის შემადგენელ ატომებად. სხვები პირიქით თვლიდნენ, რომ სული არანივთიერი ძალაა, რომელიც ადამიანის სიკვდილთან ერთად არ კვდება. ამგვარ პოზიციაზე იდგა პლატონი, რომელიც აღიარებდა სულის უკვდავების იდეას. პლატონის მიხედვით ადამიანი შედგება ორი ნაწილისაგან – სხეულისა და სულისაგან: პირველი ხრწნადია, ბერდება და კვდება, ხოლო მეორე სხეული არაა, ამიტომ მასთან ერთად არ კვდება.

ასე ჩამოყალიბდა სულის შესახებ ორი ურთიერთდაპირისპირებული – მატერიალისტური და იდეალისტური თვალსაზრისი, რომელთა შორის დავა სხვადასხვა ვარიანტით გრძელდებოდა ფილოსოფიის ისტორიაში და დღესაც არ დამთავრებულა.

ანტიკურ ეპოქაში წარმოიქმნა სპეციალური მეცნიერება ფსიქიკის შესახებ, რომელსაც უწოდეს ფსიქოლოგია. მის ფუძემდებლად ითვლება არისტოტელე. XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე იგი ძირითადად ატარებდა ფილოსოფიურ ხასიათს. ფილოსოფიასა და ფსიქოლოგიაში გაზიარებულ იქნა სულის მეტაფიზიკური თეორია, რომლის არსი შემდეგია: სული არის რაღაც უხილავი, არანივთიერი ძალა, რომელიც სხეულისაგან დამოუკიდებლად მოქმედებს. იგი თავისთავადი სუბსტანციაა, რომელიც წარმოქმნის და წამართავს სულიერ პროცესებს. მართალია, ფილოსოფიაში არსებობდა მატერიალისტური თვალსაზრისიც, რომელიც უარყოფდა სულის სუბსტანციურ ხასიათს, მაგრამ მას არ იზიარებდა ფსიქოლოგთა უმრავლესობა. ფსიქოლოგიაში გაბატონებული მდგომარეობა ეკავა სულის მეტაფიზიკურ თეორიას.

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ფსიქოლოგია თანდათან თავისუფლდება ფილოსოფიის გავლენისაგან. იგი ხდება ემპირიული მეცნიერება, რომელიც ექსპერიმენტის საფუძველზე იწყებს ფსიქიკური პროცესების კვლევას. ამას შედეგად მოჰყვა სულის მეტაფიზიკური თეორიის უარყოფა.

თანამედროვე მეცნიერების მონაცემების თანახმად უარყოფილია სული როგორც განსაკუთრებული სუბსტანცია. იგი არ არსებობს თავისთავად, ადამიანის ორგანიზმისაგან დამოუკიდებლად, ცოცხლობს მანამ, სანამ ცოცხლობს ეს ინდივიდი და კვდება მასთან ერთად.

სულიერი (ფსიქიკური) პროცესები წარმოიქმნება და ძიძდინარეობს ინდივიდის ორგანიზმში. მათი საფუძველია ადამიანის ცენტრალური ნერვული სისტემის, კერძოდ, თავის ტვინის ნორმალური ფუნქციობა. ეს ერკანასკნელი მატერიალურია. იგი, რომ გულდასმით დავათვალიეროთ მასში ,ამოვაჩენთ უჯრედებს, ნერვულ

ბოჭკოებს, კვანძებს, სითხეს და ა. შ., მაგრამ ვერ ვნახავთ ვერც ერთ ფსიქიკურ მოვლენას — აღქმებს, წარმოდგენებს, აზრებს, ვნებებს და ა. შ. ეს ბუნებრივია, რადგან ფსიქიკური არამატერიალურია. იგი ცენტრალური ნერვული სისტემის აქტივობის შედეგია, მაგრამ არ არის მისი შემადგენელი ნაწილი.

ადამიანის თავის ტვინში მიმდინარეობს ბიო-ფიზიოლოგიური პროცესები. რომ მოხდეს მათი ნორმალური ფუნქციობის დარღვევა, მას აუცილებლად მოჰყვება შესატყვისი ფსიქიკური აქტიობის დაქვეითება. ადადმიანს შეიძლება საგრძნობლად დაუქვეითდეს ან საერთოდ დაეკარგოს მეხსიერება, მეტყველება, აზროვნება და სხვა. სათანადო მკურნალობის შემდეგ შეიძლება მათი მთლიანი ან ნაწილობრივი აღდგენა. აღნიშნული მეტყველებს იმაზე, რომ ადამიანის ფსიქიკა პირდაპირ დამოკიდებულია მისი ცენტრალური ნერვული სისტემის ნორმალურ ფუნქციობაზე.

ფსიქიკური ფიზიოლოგიურის ფუნქციაა, მაგრამ არ არის მისი იგივეობრივი. მაშ, რა არის იგი? **ფსიქიკური არის განცდა.** იგი ადამიანის მიერ რეალურად განიცდება როგორც მისი ორგანიზმის მდგომარეობა. ფსიქიკა განცდების ერთობლიობაა, რომლის მიღმა და საფუძვლად არავითარი სულიერი სუბსტანცია არ დევს. მისი საფუძველი, რომლის ბაზაზეც იგი წარმოიქმნება და არსებობს არის თავის ტვინში მიმდინარე ბიო-ფიზიოლოგიური პროცესები.

ფსიქიკური როგორც განცდა რეალური პროცესია, რაზეც მეტყველებს შემდეგი: ჯერ-ერთი, იგი დროში მიმდინარე პროცესია — წარმოიქმნება გარკვეულ დროს, აქვს ინტენსივობა და ხანგრძლივობა, შემდეგ კი ქრება. მეორე, იგი დაკავშირებულია გარკვეულ ფიზიოლოგიურ აქტთან, რომელიც ადამიანის ორგანიზმის რომელიღაც ვრცეულ, ლოკალურ მონაკვეთში მიმდინარეობს.

ადამიანი, რომლის ორგანიზმის შიგნით ფსიქიკური არსებობს და ფუნქციობს არის დროულ-ვრცეული არსება. იგი შედგება სხეულისაგან, აქვს ნერვული სისტემა, სისხლძარღვები, შეიცავს სითხეს, ნივთიერებებს და ა. შ. ფსიქიკა როგორც ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე ბიო-ფიზიოლოგიური პროცესების ფუნქცია არსებობს, მოქმედებს და ცოცხლობს მათთან ერთად. ორგანიზმის სიკვდილთან ერთად ისიც კვდება, ამიტომ სული ისევე მოკვდავია, როგორც სხეული.

რა არის ცნობიერება? ცნობიერება ჩვენ უკვე დავახასიათეთ ინსტინქტთან მიმართებაში. ახლა კონკრეტულად გავარკვიოთ მისი არსი.

ცნობიერება არის რაღაც საგნობრივი ვითარების გაცნობიერება და გააზრება. იგი არის მისი ცნობიერყოფა და აზრის სახით ჩამოყალიბება. ეს ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც ადამიანს უყალიბდება ცოდნა. მე გაცნობიერებული მაქვს რაიმე, ნიშნავს, რომ მე ვიცი იგი. ადამიანის საქმიანობა ცნობიერია, ე. ი. ცოდნისმიერია და ხორციელდება ცოდნის საფუძველზე. ადამიანი წინასწარ ადგენს გეგმას, ისახავს მიზანს, ირჩევს მის განსახორციელებელ საშუალებებს და მხოლოდ ამის შემ-

დეგ იწყებს მოქმედებას. ცნობიერება მოფიქრებული, გააზრებული გეგმა – პროექტია, საქმიანობა კი მისი რეალიზაცია და განხორციელება. თუ ისინი ერთმანეთს არ დაემთხვა, მაშინ ადამიანი იწყებს მიზეზის ძიებას და აღმოჩენის შემთხვევაში სათანადო კორექტივები შეაქვს თავის საქმიანობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშადამე, ცნობიერება არის რაიმეს ცნობიერყოფა, გააზრება და გაგება. მარტივად რომ ვთქვათ, იგი მისი ცოდნაა.

ცოდნა შეიძლება იყოს ნათელი ან ბნელი, მკაფიო ან ბუნდოვანი, ჭეშმარიტი ან მცდარი, რეალური ან გამოგონილი და ა. შ. ამ გარემოებას არავიტარი მნიშვნელობა არა აქვს ცნობიერების არსის გამოსავლენად. იგი ნებისმიერი ტიპის ცოდნაა. შესაბამისად, ცნობიერება შეიძლება იყოს რეალური ან ფანტასტიკური, ჭეშმარიტი ან მცდარი, ყალბი ან უკეთილშობილური და სხვა. მიუხედავად ამისა, ცნობიერების არსი ერთია: ეს არის ცოდნა დამოუკიდებლად იმისა, თუ რა ხასიათისაა იგი.

ᲤᲡᲘᲥᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲪᲜᲝᲑᲘᲔᲠᲔᲑᲐ. ფსიქიკისა და ცნობიერების ურთიერთობის დახასიათება მოითხოვს მათ შორის კავშირისა და განსხვავების ჩვენებას.

ცნობიერება ადამიანის ფსიქიკური აქტიობის შედეგია. ამიტომ არ არსებობს მის გარეშე. იგი ფსიქიკურის შინაარსი, მისი მეშვეობით მოაზრებული ცოდნაა. როდესაც ადამიანი აზროვნებს, მაშინ თავის ტვინში მიმდინარეობს შესატყვისი ფსიქიკური პროცესები. ამგვარი ფსიქიკური მექანიზმის გარეშე აზროვნება არ არსებობს. მაშასადამე, ფსიქიკური აქტიობა ცნობიერების წარმოქმნისა და ფუნქციობის აუცილებელი პირობაა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფსიქიკური თავის მხრივ ეკუთვნება ფიზიოლოგიურს, ამიტომ ცნობიერებაც მის გარეშე ვერ იარსებებს. ამის გამო შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ ცნობიერება ადამიანის ფსიქო-ნერვული აქტივობის შედეგია. ფსიქიკური მექანიზმის გამოკვლევა და მისი კანონზომიერების დადგენა ფსიქოლოგიის, ხოლო ფიზიოლოგიური მექანიზმის შესწავლა ფიზიოლოგიის საქმეა. ფილოსოფიას აინტერესებს თვითონ ცნობიერება, მისი წარმოშობა და სტრუქტურა.

ახლა გავაანალიზოთ განსხვავება ფსიქიკასა და ცნობიერებას შორის.

ფსიქიკა განცდების, ხოლო ცნობიერება აზრების ერთობლიობაა. შესაბამისად, ფსიქიკური განცდაა, ცნობიერი კი აზრი. პირველი რეალური, ე. ი. დროსა და სივრცეში მიმდინარე პროცესია. იგი ადამიანის თავის ტვინში გარკვეულ დროს წარმოიქმნება, აქვს ხანგრძლიობა და გარკვეული ინტერვალის შემდეგ გაქრება. მეორე იდეალურია. იგი მოკლებულია დროულ-ვრცეულ პარამეტრებს, არ არის ადამიანის ტვინში მიმდინარე რეალური პროცესი.

ფსიქიკური სუბიექტურ-ინდივიდუალურია. ყოველ ადამიანს თავისი ფსიქიკური აქვს უშუალოდ მოცემული, სხვისი ფსიქიკური მისთვის უცხოა და მიუწვდომელი. მის შესახებ მხოლოდ აზროვნების გზით შეიძლება გარკვეული დასკვნების გამოტანა, მაგრამ ეს უკვე აზრია და არა განცდა. რამდენი ადამიანია, იმდენი განცდაა. ყოველ მათგანს თავისი განუმეორებელი განცდა აქვს, რომელიც მასთან ერთად ცოცხლობს და კვდება. აზრი ობიექტური და

ინტერსუბიექტურია. იგი ინდივიდთან ერთად არ ცოცხლობს და არ კვდება. აზრი ეკუთვნის არა ერთ, არამედ მრავალ ინდივიდს. ისინი ერთსა და იმავეს მოიაზრებენ იგივეობრივი მნიშვნელობით. რუსთაველის სიკვდილთან ერთად მოკვდა მისი განცდები, მაგრამ აზრები, რომლებიც მან თავისი უკვდავი პოემით გადმოსცა, დარჩა და ეკუთვნის ყველას, ვინც მას წაიკითხავს და გაიგებს.

ამგვარად, ფსიქიკა რეალური პროცესების (განცდების) ერთობლიობაა, ამიტომ იგი სუბიექტურ-ინდივიდუალურია, ხოლო ცნობიერება თავისი შინაარსით იდეალურია (აზრების ერთობლიობაა), ამიტომ იგი ზოგადი და ინტერსუბიექტურია.

ფსიქიკურისა და ცნობიერების სტრუქტურა. ფსიქიკა და ცნობიერება სტრუქტურის მხრივაც განსხვავდება ერთმანეთისაგან.

ფსიქიკა შედგება განცდებისაგან. ადამიანი განიცდის სამ რამეს: საგანს, თავის მდგომარეობას და აქტიობას. როდესაც მისი ყურადღება მიპყრობილია საგანზე, მაშინ იგი ახორციელებს შემეცნებას. შესაბამისად, წარმოიქმნება შემეცნებითი აქტები: შეგრძნება, აღქმა, წარმოდგენა, აზროვნება, წარმოსახვა და სხვა. მაგრამ ადამიანი განიცდის არა მხოლოდ საგანს, არამედ თავის მდგომარეობას: მას რაღაც სიამოვნებს ან არ სიამოვნებს, უყვარს ან სძულს, უხარია ან სწყინს, ეშინია ან იმედიანია და სხვა. ადამიანს უჩნდება ლტოლვები და მისწრაფებები, ვნებები და აფექტები, მოთხოვნილებები და ინტერესები. ამგვარ განცდებს უწოდებენ გრძნობებს და ემოციებს. ადამიანი აქტიური, მოქმედი არსებაა, ამიტომ იგი განიცდის თავის აქტიობას — ღებულობს გადაწყვეტილებას, ახდენს არჩევანს, ცდილობს მის რეალიზაციას, იჩენს შეუპოვრობას ან უნიათობას, ავლენს ხასიათის სიმტკიცეს ან სისუსტეს და ა. შ. ამგვარი განცდები დაკავშირებულია ნებისყოფის უნართან. **მაშასადამე, ადამიანის ფსიქიკა მოიცავს სამი ტიპის — შემეცნებითი, ემოციური და ნებისყოფითი განცდების ერთობლიობას.**

სულ სხვაგვარია ცნობიერების სტრუქტურა: ცნობიერება ცოდნაა, ამიტომ იგი შედგება მხოლოდ აზრებისაგან. ყველაფერი, რაც აზრის ფორმით არის გამოთქმული, მიეკუთვნება ცნობიერებას. იგი მოიცავს ფართო სპექტრს — დაწყებული გარესამყაროდან დამთავრებული ადამიანის შინაგანი სამყაროთი. ცნობიერების მეშვეობით ხდება არა მარტო ყოფიერების, არამედ ყოფიერებისადმი ადამიანის დამოკიდებულების და საკუთარი აქტიობის გააზრება.

გავრცელებული დებულება, რომ ცნობიერება არის ყოფიერების გაცნობიერება, არ გამოხატავს სრულად ცნობიერების შინაარსს. ყოფიერება მისი მხოლოდ ერთი მომენტია. მის აუცილებელ მხარეებს შეადგენს აგრეთვე ემოციური და ნებისყოფითი აქტების გაცნობიერება. მაგრამ ხაზი უნდა გაესვას იმ არსებით განსხვავებას, რაც არსებობს ფსიქიკას და ცნობიერებას შორის: პირველს მიეკუთვნება განცდები, ხოლო მეორეს აზრები. ცნობიერების სტრუქტურა მოიცავს მხოლოდ აზრისეულ ელემენტებს, რომლებიც ეხება არა მარტო ყოფიერებას, არამედ თვით ადამიანის შინაგან სამყაროს.

– ცნობიერება და თვითცნობიერება. თვითცნობიერება ცნობიერების

ფორმაა. მათ შორის განსხვავება საგნობრივი ხასიათისაა. პირველი რაღაც ობიექტის, ხოლო მეორე — ცნობიერების გაცნობიერებაა. ცნობიერების ობიექტი შეიძლება იყოს სამყარო მთელი თავისი მრავალფეროვნებით ან თვით ადამიანის შინაგანი სამყარო — გრძნობები, ემოციები, ენებები, ლტოლვები, მოთხოვნილებები და ა. შ. ასეთ ჩამოყალიბება და გამოთქმა აზრის ფორმით ცნობიერებაა. თვითცნობიერება მიმართულია არა სხვაზე, არამედ ცნობიერებაზე. იგი ცნობიერების გაცნობიერებაა. სხვაგვარად, თვითცნობიერება არის ცოდნის ცოდნა ანუ აზრი აზრის შესახებ.

elibrary.ge

თვითცნობიერება ადამიანის განსაკუთრებული უნარია. იგი მას საშუალებას აძლევს მიუბრუნდეს თავის თავს და შეიმეცნოს იგი. მისი მეშვეობით ადამიანი იაზრებს თავის ადგილს სამყაროში და ცხოვრების საზრისს. მეცნიერება ცნობიერების, ხოლო მსოფლმხედველობა თვითცნობიერების ფორმაა.

ფილოსოფიის ისტორიიდან თვითცნობიერების გამოვლენის კონკრეტული მაგალითია სოკრატეს ფილოსოფიური მოღვაწეობა. მისი ძირითადი დევიზი იყო "შეიცან თავი შენი", რომლის გაცნობიერების შედეგად მივიდა დასკვნამდე: "მე ვიცი, რომ არაფერი არ ვიცი". ამით მას იმის თქმა უნდოდა, რომ მან სხვებისაგან განსხვავებით გააცნობიერა თავისი ცოდნის არასრულყოფილება და უკმარობა. აღნიშნული ფაქტი თვალნათლივ მეტყველებს იმაზე, რომ თვითცნობიერება ფილოსოფიური აზრის განვითარების მოგვიანო პერიოდს განეკუთვნება.

არაცნობიერი ფსიქიკური ის პრობლემა. არაცნობიერი საზოგადოდ ნიშნავს რაიმეს არსებობას ცოდნის გარეშე. ამგვარი არსებობა ახასიათებს მთელ გარემომცველ სამყაროს. იგი არსებობს იმისგან დამოუკიდებლად ჩვენ ვიცით თუ არა ამის შესახებ. ეს უდავო ფაქტია და მისი აღიარება არ წარმოადგენს რაიმე სერიოზულ პრობლემას. პრობლემაა საკითხი **არაცნობიერი ფსიქიკის** არსებობის შესახებ. შესაძლებელია თუ არა არაცნობიერი ფსიქიკურის არსებობა? აქ სიძნელე შემდეგია: ფსიქიკური არის ის, რასაც განიცდის ადამიანი. შეიძლება თუ არა იგი განიცდიდეს რაიმეს ისე, რომ არ იცოდეს ამის შესახებ? შეიძლება თუ არა, ადამიანი განიცდიდეს კბილის ტკივილს და არ იცოდეს, რომ ტკივა კბილი? ერთი სიტყვით, საკითხი ეხება არაცნობიერი განცდების არსებობის შესაძლებლობას.

ის, რომ ფსიქიკა და ცნობიერება ერთმანეთთან ორგანულ კავშირშია, ეს უდავოა, მაგრამ ემთხვევა თუ არა ისინი ერთმანეთს? ცნობიერება მთლიანად მოიცავს თუ არა ფსიქიკურს? თუ იგი მისი მხოლოდ ერთი მხარეა, ხოლო მეორე ასევე მნიშვნელოვანი მხარეა არაცნობიერი? აი, ეს საკითხი მწვავედ დადგა XX საუკუნის ფსიქოლოგიაში. მისი დასმა და დამუშავება დაკავშირებულია ფროიდის სახელთან. მან შეიმუშავა ფსიქოანალიზის თეორია, რომლის საფუძველზე აღიარა არაცნობიერი ფსიქიკურის არსებობა. უფრო მეტი, ფროიდმა მიიჩნია, რომ არაცნობიერი ფსიქიკის სიღრმისეული ფენაა, რომელიც განსაზღვრავს ინდივიდის ცხოვრებას და საქმიანობას. ადამიანი სუსტი ინტელექტის მქონე არსებაა, რომელიც ემორ-

ჩილება და ექვემდებარება არაცნობიერ ვნებებსა და ლტოლვებს.

ფროიდმა შემდგომ გაფართოვა თავისი ფსიქოანალიზის თეორიის საზღვრები და იგი ზოგად-შოფლშეზეველობრივ მოძღვრებად აქცია. ამ მოძღვრების მიხედვით არაცნობიერი წარმართავს არა მარტო ინდივიდის, არამედ მთელი საზოგადოების არსებობას და ფუნქციობას. ადამიანის საზოგადოებრივ საქმიანობას საფუძვლად უდევს ორი ურთიერთსაპირისპირო მისწრაფება: ლტოლვა სიცოცხლისადმი (ერონსი) და ლტოლვა სიკვდილისადმი (თანატოსი). პირველი კონსტრუქციული, შემოქმედებითი, გამაერთიანებელი, ხოლო მეორე დესტრუქციული, დამანგრეველი, ადამიანთა გამთიშველი ძალაა. მათ შორის მუდმივი ჭიდილია და იმის შესაბამისად თუ რომელი მათგანი გაიმარჯვებს, საზოგადოებაც შესაბამის სახეს იღებს. თუ გაიმარჯვა ერონსმ, მაშინ საზოგადოებაში მყარდება წესრიგი და აღმშენებლობა, ხოლო თუ გაიმარჯვა თანატოსმ, მაშინ ნგრევა და ქაოსი ისადგურებს.

არაცნობიერის შესახებ მსჯელობას ფილოსოფიაში ფროიდამდეც ჰქონდა ადგილი. მის არსებობას სხვადასხვა ვარიანტით აღიარებდნენ ლაიბნიცი, კანტი, შელინგი და შოპენჰაუერი. მაგრამ ეს ხდებოდა ფილოსოფიურ დონეზე და მის გამართლებას საფუძვლად ედო მარტოოდენ ფილოსოფიური მოსაზრებები. ამიტომ არაცნობიერების პრობლემის დასმა ფროიდთან არ წარმოადგენს სიახლეს. ფსიქოანალიზის ავტორის დამსახურებაა ემპირიულ დონეზე საკითხის დასმა და კვლევა. მან შეიმუშავა ექსპერიმენტული მეთოდი ფსიქოლოგიაში, რომლის გამოყენებით შეძლო გამოემზეურებინა არაცნობიერი ფსიქიკურის განსხვავებული შრეები და დონეები.

არაცნობიერის შესახებ დავა ფსიქოლოგიაში დღესაც გრძელდება. მისი გადაწყვეტა ფსიქოლოგიის და არა ფილოსოფიის ამოცანაა. ფილოსოფიისათვის საყურადღებოა შემდეგი მომენტი: არაცნობიერი მისწრაფებები და ლტოლვები მნიშვნელოვან როლს ასრულებს არა მარტო ინდივიდის, არამედ საზოგადოების ცხოვრებასა და საქმიანობაში. მართალია, ისინი არ განსაზღვრავენ, არ წარმართავენ მათ მოღვაწეობას, მაგრამ ერთ-ერთი იმდენად მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომ მისი გაუთვალისწინებლობა ადამიანის ინდივიდუალური თუ საზოგადოებრივი საქმიანობის ანალიზისას შეუძლებელია.

ᲪᲜᲝᲑᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲓᲔᲚᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ. ცნობიერება საფუძვლად უდევს ადამიანის ინტელექტუალურ საქმიანობას: შემეცნება, ანგარიში, ამოცანის ამოხსნა, თამაში და სხვა უამრავი ოპერაცია განსაზღვრულია სწორედ ცნობიერებით. საკითხი დგას ასე: შეიძლება თუ არა, შეიქმნას ისეთი ტექნიკური მოწყობილებანი – მანქანების სახით, რომლებიც შეასრულებენ ანალოგიურ ოპერაციებს. ეს ნიშნავს: ხომ არ არის შესაძლებელი, რომ მანქანებმა შეასრულონ ინტელექტუალური ოპერაციები? **ცნობიერების მოდელირებაა ადამიანის ინტელექტუალური ფუნქციობის გადატანა, ასე ვთქვათ, დამონტაჟება, დანერგვა მანქანებში.**

თანამედროვე მეცნიერებამ აღნიშნული საკითხს არა მხოლოდ თეორიუ-

ლად გასცა დადებითი პასუხი, არამედ პრაქტიკულადაც განახორციელა იგი. XX საუკუნის 40-იანი წლებიდან მოყოლებული, კიბერნეტიკის როგორც მეცნიერების ჩამოყალიბების კვალდაკვალ მიმდინარეობდა ე. წ. გონიერი მანქანების შექმნა, რომელთაც შესწევთ უნარი განახორციელონ ინტელექტუალური ფუნქციები. ავტომატებმა, კომპიუტერებმა და რობოტებმა შეცვალეს ადამიანი ინტელექტუალური საქმიანობის მრავალ სფეროში.

მანქანებს ადრეც ქმნიდა ადამიანი, მაგრამ ისინი ასრულებდნენ მხოლოდ ფიზიკურ სამუშაოს. მათგან განსხვავებით ახალი მანქანები ასრულებს ინტელექტუალურ სამუშაოს. რა მექანიზმი განაპირობებს ამგვარ საქმიანობას?

ადამიანი და ცხოველი თვითმარეგულირებელი, თვითმართვადი სისტემებია. ისინი გარედან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე თვითონ არეგულირებენ თავიანთ ქცევას. ანალოგიურად იქცევა გონიერი მანქანაც. იგი ავტომატია, რომელიც გარედან ჩარევის გარეშე, თვითონ წყვეტს მის წინაშე მდგომ ამოცანას. ამიტომ ისიც თვითმარეგულირებელი სისტემაა. ადამიანის თვითრეგულაციას განსაზღვრავს ცნობიერება, ცხოველისას კი — ინსტინქტი. რა განსაზღვრავს მანქანის თვითრეგულაციას? პროგრამა, რომელიც შექმნილია და შეტანილი მანქანაში ადამიანის მიერ. მანქანა წინასწარ დაპროგრამებულია ისე, რომ თვითონ წარმართავს თავის მოქმედებას. ამგვარად, მანქანის გონიერება ხელოვნურად დაპროგრამებულია ადამიანის მიერ.

ადამიანს აქვს ბუნებრივი ინტელექტი. იგი ბუნების ევოლუციის შედეგად მილიონობით წლების განმავლობაში თანდათანობით ჩამოყალიბდა. ხომ არ შეიძლება ადამიანმა შექმნას ხელოვნური ინტელექტი, რომელიც შეცვლიდა ბუნებრივს? ჯერ-ჯერობით ადამიანს ძალუძს შექმნას მანქანები, რომლებიც ასრულებენ ინტელექტუალური საქმიანობის ცალკეულ ოპერაციებს. მაგრამ შესაძლებელია თუ არა მომავალში შეიქმნას ისეთი მანქანა, რომელიც მთლიანად შეცვლიდა ადამიანს? ამ კითხვას მივყავართ ადამიანისა და მანქანის მიმართების ურთულეს პრობლემამდე.

ადამიანი და მანქანა. არის თუ არა ადამიანი მანქანა? ამ კითხვას დადებითი პასუხი გასცა XVIII საუკუნის ფრანგმა ფილოსოფოსმა ლამეტრიმ. მან გამოაქვეყნა ნაშრომი სათაურით "ადამიანი — მანქანა", რომელშიც საგანგებოდ განიხილა აღნიშნული საკითხი. იგი თვლის, რომ ადამიანი ისეთივე სხეულია, როგორც სამყაროს ყველა დანარჩენი მოვლენა. ისინი ექვემდებარებიან ერთსა და იმავე, კერძოდ, მექანიკის ფუნდამენტურ კანონებს. ყოველი სხეული მექანიკური სისტემაა. მათ შორის არ არსებობს რაიმე პრინციპული განსხვავება. ადამიანის სულიც სხეულებრივია, ამიტომ ისიც მექანიკური ხასიათისაა.

ლამეტრის დასკვნა, რომ ადამიანი მანქანაა, ლოგიკურად გამომდინარეობს მისი ზოგად-მსოფლმხედველობრივი პოზიციიდან. ეს არის სამყაროს მექანისტური კონცეფცია, რომელიც ახდენს კლასიკური მექანიკის პრინციპების და კანონების აბსოლუტიზაციას. სამყარო შედგება სხეულებისაგან,

რომლებიც მხოლოდ მექანიკის კანონებს ექვემდებარებიან. ადამიანი ერთ-ერთი რიგითი სხეულია, ამიტომ ისიც თავისი ბუნებით მექანიკურია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

XX საუკუნეში კვლავ აქტუალური გახდა ადამიანის და მანქანის ურთიერთობის პრობლემა. მაგრამ ახლა საკითხი დადგა სულ სხვა დონეზე, სახელდობრ, მას საფუძვლად დაედო მეცნიერება კიბერნეტიკა და მისი ალმოჩენების პრაქტიკული რეალიზაცია ტექნიკაში. დღეს საბოლოოდ უარყოფილია სამყაროს მექანისტური კონცეფცია, რომელიც ადამიანს აიგივებს მანქანასთან და მთლიანად დაყავს მასზე. აღარავინ დავობს იმაზე, რომ ადამიანი მანქანა არ არის. ადამიანი ცოცხალი ორგანიზმია, რომელსაც აქვს ნერვული სისტემა, ემოციები, ნებისყოფა და სხვა ბიო-ფსიქიკური უნარები. მანქანა არაცოცხალი ტექნიკური მოწყობილობაა, რომელიც მოკლებულია ყოველგვარ ბიო-ფსიქიკურ თვისებებს. ამის გამო ადამიანის და მანქანის ივიევობაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია.

საკითხი დგას ასე: არის თუ არა ადამიანსა და მანქანას შორის ფუნქციონალური მსგავსება? შეუძლია თუ არა მანქანას შეასრულოს იმის ანალოგიური ფუნქციები, რასაც ასრულებს ადამიანი? მაშასადამე, ბჭობა ეხება მათ შორის მსგავსებას, ანალოგიას და არავითარ შემთხვევაში ივიევობას. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საკითხი ეხება ხელოვნური ინტელექტის შექმნას.

ბუნების ევოლუციის შედეგად, ყოველგვარი ზებუნებრივი ძალების ჩარევის გარეშე ჩამოყალიბდა ბუნებრივი ინტელექტი ადამიანის სახით. ეს მოხდა არაცნობიერად. ე. ი. წინასწარდაგეგმილი განზრახვის გარეშე. კანონიერად ისმის კითხვა: რატომ არ შეიძლება ადამიანმა, ცნობიერმა არსებამ შექმნას ხელოვნური ინტელექტი მანქანის სახით? რელიგიის პოზიციიდან აქ დასმულ კითხვაზე უარყოფითი პასუხი ბუნებრივი და გასაგებია: ადამიანი შექმნა ღმერთმა და არა ბუნებამ. იგი ღვთაებრივი შემოქმედებაა. ადამიანი ღმერთი არაა, ამიტომ მას მსგავსი ჩანაფიქრის განხორციელება არ შეუძლია. რაც შეეხება მეცნიერებას, მას ამგვარი შესაძლებლობის კატეგორიული უარყოფა არ შეუძლია.

თუ კი მკედარმა ბუნებამ ევოლუციის შედეგად წარმოქმნა სიცოცხლე, ხოლო ამ უკანასკნელმა ასევე ბუნებრივი განვითარების საფუძველზე მოგვცა გონიერი არსება — ადამიანი, მაშინ ლოგიკურია კითხვა: ცნობიერების მქონე არსებას რატომ არ შეუძლია შექმნას ხელოვნური ინტელექტი? თუ კი ადამიანს ძალუძს შექმნას ბუნებისაგან განსხვავებული რეალობა — კულტურა და მისი განვითარების თანამედროვე ეტაპზე — გონიერი მანქანები, მაშინ რატომაა გამორიცხული, რომ მომავალში მან მოახერხოს ხელოვნური ინტელექტის შექმნა? მეცნიერების პოზიციიდან ამის უარყოფა არ შეიძლება.

უდავო ფაქტია, რომ კულტურის განვითარების თანამედროვე ეტაპზე არ არსებობს ხელოვნური ინტელექტი. დღევანდელ გონიერ მანქანას არ შეუძლია ადამიანს გაუწიოს მეტოქეობა. იგი მისი მსახური და მონაა. მაგრამ თანამედროვე მანქანის ისტორია სულ 50-ოდე წელს ითვლის. რაც შეეხება ადამიანის თანამედროვე სახეობას — ჰომო საპიენსს, მისი ფორმირება და განვითარება

50 ათასი წლის წინ დაიწყო. რა თქმა უნდა, დღევანდელი ადამიანი და მანქანა არათანაბარ პირობებშია; რადგან მათ შორის ისტორიის ხანგრძლივობის სხვაობა აშკარა შეუსაბამობაა. ამიტომ საკითხი უნდა დაისვას არა დღევანდელი მანქანისა და ადამიანის შედარების შესახებ, არამედ პრინციპულად: თუ გავითვალისწინებთ მანქანის მომავალ შესაძლებლობებს, შეიძლება თუ არა დადგეს ისეთი მომენტი, როდესაც მანქანა შეცვლის ადამიანს? მაშასადამე, საკითხი ეხება არა დღევანდელ სიტუაციას, არამედ პერსპექტივას — როგორი იქნება მდგომარეობა ასი, ორასი წლის შემდეგ ან უფრო შორეულ მომავალშიც კი?

არ არსებობს ადამიანის არც ერთი ბიო-ფსიქიკური უნარი, რომლის ანალოგიური ფუნქციის შესრულება მანქანას არ შეეძლოს. ავიღოთ გამრავლება, რომელიც საერთოდ სიცოცხლის დამახასიათებელი თავისებურებაა. თითქოს გამორიცხულია მანქანის თვითგამრავლება. რა თქმა უნდა, ბიოლოგიური გზით იგი ვერ გამრავლდება. მაგრამ რა არის გამრავლება? ეს არის თაობათა მიერ შთამომავლობის წარმოქმნა. თუ კი მანქანები მომავალში თვითონ შექმნიან თავიანთ მსგავს მანქანებს, მაშინ იგი იქნება გამრავლების ანალოგიური პროცესი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბჭობა ეხება მხოლოდ ანალოგიას და არა იგივეობას. მანქანა ადამიანის იგივეობრივი ვერასოდეს გახდება, მაგრამ შეიძლება გახდეს მისი მსგავსი.

ადამიანი და მანქანა თვითმარეგულირებელი სისტემებია, მაგრამ მათ შორის არსებითი განსხვავებაა. ადამიანი თვითრეგულაციას ახდენს ცნობიერების, ხოლო მანქანა პროგრამის მეშვეობით. პროგრამას ქმნის ადამიანი და შეაქვს მანქანაში, ამიტომ იგი ყოველთვის მასზე იქნება დამოკიდებული.

ამგვარი არგუმენტი სამართლიანია დღევანდელი, მაგრამ არა მომავალი მანქანის მიმართ. საქმე ისაა, რომ შესაძლებელია შეიქმნას თვითმაპროგრამებელი მანქანები, ე. ი. ისეთები, რომლებიც თავიანთ თავს დააპროგრამებენ და შექმნიან კიდეც.

ადამიანს ახასიათებს შემოქმედება, რომლის წყალობით ადგილი აქვს საზოგადოებრივ პროგრესს. ადამიანთა ახალ თაობას შეუძლია წინა თაობის აზროვნებისა და საქმიანობის ფარგლებს გარეთ გასვლა, რომლის მეშვეობით იგი ქმნის რაღაც პრინციპულად ახალს. მანქანა დაპროგრამებულია. მას შეუძლია იმოქმედოს მის ფარგლებში, მაგრამ იგი ვერ გასცდება მათ. მანქანას შეუძლია უფრო სწრაფად, ზუსტად და ეფექტურად იმოქმედოს, ვიდრე ადამიანმა, მაგრამ მხოლოდ პროგრამის ფარგლებში. ერთი სიტყვით, მანქანა მოკლებულია შემოქმედების უნარს, რაც მას არ მისცემს თვითგანვითარების და გაუმჯობესების საშუალებას. იგი მთლიანად დამოკიდებულია ადამიანზე და მის გარეშე ნაბიჯსაც ვერ გადადგამს. ამის გამო მანქანა იყო, არის და მომავალშიც დარჩება ადამიანის მსახური და მონა.

ასეთია ყველაზე ძლიერი არგუმენტი იმათი მხრიდან, ვინც უარყოფს ხელოვნური ინტელექტის შექმნის შესაძლებლობას. ცხადია, ეს არგუმენტი სავსებით სწორია იმ მანქანების მიმართ, რომლებიც დღეს არსებობენ. იგი ალბათ

მართებულია წინასწარმეტყველებადი მომავლის მიმართაც. მაგრამ თუ როგორი იქნება ვითარება შორეულ მომავალში, ამის წინასწარმეტყველება არავის შეუძლია. ამის გამო უნდა შევიზღუდოთ მხოლოდ ვარაუდების გამოთქმით: საკმაო არგუმენტები მოეპოვება იმ პოზიციას, რომელიც დადებითად პასუხობს აქ დასმულ კითხვას და იმ პოზიციასაც, რომელიც უარყოფითად წყვეტს მას. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ მეცნიერების თვალთახედვით არც ერთის გამორიცხვა არ შეიძლება. მასზე ცალსახა, კატეგორიული უარყოფითი პასუხი მოეპოვება რელიგიას, მაგრამ არა მეცნიერებას.

ადამიანი და ენა

ადამიანი საზოგადოებრივი არსებაა. იგი ურთიერთობაშია სხვა ადამიანებთან. მათ შორის მყარდება კონტაქტი, რომლის მიზანია ურთიერთგაგების მიღწევა. მას უწოდებენ კომუნიკაციას. ეს არის პროცესი, რომლის შედეგად ადამიანები ერთმანეთს აგებინებენ აზრების ურთიერთ გადაცემისა და გაზიარების მეშვეობით.

კომუნიკაცია უნდა განვასხვავოთ ურთიერთობისაგან საზოგადოდ. ეს უკანასკნელი ფართო ცნებაა, რომელიც მოიცავს ნებისმიერ კავშირს: სამყაროში საგნები ურთიერთზემოქმედებენ. ცხოველები ერთმანეთთან კონტაქტს ამყარებენ სიგნალების მეშვეობით. არც ადამიანთა შორის ყოველგვარი ურთიერთობაა კომუნიკაცია: ვაჭრობა გულისხმობს საქონელთა ურთიერთგაცვლას ფულის მეშვეობით. შრომის ან მომსახურების პროცესი მოითხოვს ურთიერთობას ადამიანთა შორის. კომუნიკაცია ურთიერთობის ისეთი სახეა, როდესაც ადამიანები ურთიერთგაგებას აღწევენ ცნობიერების მეშვეობით. იგი არის ადამიანების ერთმანეთთან ცნობიერი ურთიერთობა, ე. ი. აზრების შეტყობინება და გაგებინება. მისი საფუძველია ენა.

რა არის ენა? ჯერ კიდევ ანტიკური ეპოქის ფილოსოფოსებმა მიქცეს ყურადღება ენის ბუნებისა და რაობის გარკვევას. პირველად სოფისტებმა, ხოლო შემდეგ სტოიკოსებმა აქტიურად დაიწყეს ენის თავისებურებათა კვლევა. ძირითადი პრობლემა, რომელიც მათ დააყენეს, იყო შემდეგი: სიტყვა ხელოვნური ნიშანია, რომელიც შეთანხმებით დგინდება, თუ იგი ბუნებრივია, რომელიც განისაზღვრება საგნობრივი ვითარებით? ჩამოყალიბდა ორი თვალსაზრისი: ერთი მიიჩნევდა, რომ სიტყვა არის პირობითი ნიშანი და მას არავითარი კავშირი არა აქვს თავის საგანთან. მას ადამიანები ადგენენ შეთანხმების საფუძველზე. მეორე თვალსაზრისი პირიქით თვლიდა, რომ სიტყვას განსაზღვრავს თვით საგანი, ამიტომ მისი დადგენა ხდება ბუნებრივად და არ არის დამოკიდებული ადამიანთა შეთანხმებაზე.

აღნიშნულ პოზიციებს შორის დავა ფილოსოფიის ისტორიაში სხვადასხვა ვარიაციით გაგრძელდა და იგი გვესაც არ დამთავრებულა. XIX-XX საუკუნეებში ჩამოყალიბდა ორი ურთიერთსაპირისპირო კონცეფცია, რომლთაგან ერთი ენას განიხილავს

როგორც ნიშნთა სისტემას, ხოლო მეორე – როგორც გარკვეულ ცოდნას სამყაროს შესახებ. პირველი კონცეფციის სანიმუშოდ შეიძლება დავასახელოთ მარქსისტულ ფილოსოფიურ ლიტერატურაში მიღებული თვალსაზრისი, რომლის თანახმად ენა ნიშნთა სისტემა და ცნობიერების მატერიალური გამოხატულებაა.

მეორე კონცეფციის წარმომადგენლებად შეიძლება დავასახელოთ ჰუმბოლდტი და ჰაიდეგერი. ჰუმბოლდტის მიხედვით ენა სამყაროს ხედვაა, ამიტომ იგი გარკვეული ტიპის მსოფლმხედველობაა. ჰაიდეგერის თანახმად ენა ყოფიერების სახლია. იგი მისთვის გარეგანი კი არაა, არამედ მასში ცოცხლობს და სახლობს ყოფიერება.

სანამ აღნიშნულ კონცეფციებს შევაფასებდეთ, მანამ გავარკვიოთ ენის არსი და თავისებურება.

ენა, მეტყველება და დამწერლობა. ენის რაობა მეტყველებასა და დამწერლობასთან მიმართებაში უნდა გაირკვეს.

მეტყველება არის ადამიანთა შორის კომუნიკაციის რეალური პროცესი, რომელიც ხორციელდება ბგერათა კომპლექსების მეშვეობით. მას ახორციელებს სივრცის გარკვეულ მონაკვეთში ერთდროულად მყოფი ორი ინდივიდი: ერთი არის მთქმელი, რომელიც წარმოთქვამს ბგერებს, ხოლო მეორე არის მსმენელი, რომელიც ისმენს მას. ბგერა ჰაერის რხევაა, რომელიც მთქმელიდან მსმენელამდე გადადის ჰაერის მეშვეობით. უჰაერო სივრცეში იგი ვერ გავრცელდება. თუ გამოვიყენებთ რომელიმე ხელსაწყოს, მაგალითად, ტელეფონს, მაშინ იგი შეიძლება განხორციელდეს შორეულ მანძილზეც. მაგრამ ამით საქმის არსი არ იცვლება.

მაშასადამე, ჰაერის რხევები მატერიალური, კერძოდ, ფიზიკური მოვლენებია, რომელთა მეშვეობით ხორციელდება მეტყველება.

დამწერლობაც მატერიალურ ნიშნთა სისტემაა. დღეს მსოფლიოში გავრცელებულია სულ 14 ორიგინალური ანბანი, რომელთა შორის ერთ-ერთი ქართულია. წერის ანბანური სისტემა ხორციელდება იეროგლიფების ან ასოების მეშვეობით. ორივე გრაფიკული მოხაზულობაა, რომელიც იწერება ან იბეჭდება ქაღალდზე.

ენა არც მეტყველებაა და არც დამწერლობა. პირველი მისი გამოთქმის, ხოლო მეორე – ჩაწერის საშუალებაა. მათ შორის არსებითი განსხვავებაა. მეტყველება და ენა ერთდროულად წარმოიშვა. ადამიანი მეტყველებს გარკვეულ ენაზე. მაგალითად, ქართველი მეტყველებს ქართულ ენაზე. როდესაც დაიბადა პირველი ქართველი, მასთან ერთად გაჩნდა ქართული მეტყველებაც და ენაც. რაც შეეხება დამწერლობას, იგი ჩნდება მოგვიანებით, ცივილიზაციის განვითარების გარკვეულ ეტაპზე. დამწერლობის შექმნა კაცობრიობის უდიდესი აღმოჩენაა, რამაც გადამწყვეტი გავლენა მოახდინა კულტურის განვითარებაზე. მაშასადამე, მეტყველება და დამწერლობა ენის მატერიალური რეალიზაციაა. პირველი ბგერების (ჰაერის რხევების), ხოლო მეორე – ანბანის (გრაფიკული მოხაზულობების) საშუალებით გამოხატავს ენას. მაგრამ ეს უკანასკნელი მათგან არსებითად განსხვავებული მოვლენაა.

ენა მოიცავს ორ მომენტს — გამოსახულებას და შინაარსს. პირველს მიეკუთვნება ფონემები, მეორეს კი — აზრი. ფონემათა თანმიმდევრობა ქმნის სიტყვას, სიტყვათა შეერთება გვაძლევს წინადადებას, ხოლო წინადადებათა თანმიმდევრობა — ფრაზებს. ცალკე აღებულ ფონემას შინაარსი არ გააჩნია. მხოლოდ სიტყვა არის ისეთი ენობრივი ერთეული, რომელსაც აქვს შინაარსი ანუ მნიშვნელობა. სიტყვების ბაზაზე წინადადებები, ხოლო მათ საფუძველზე ფრაზები იძენენ შესაბამის მნიშვნელობას. ყოველ ენას აქვს თავისი წესები, რომლებიც განსაზღვრავენ ენის სტრუქტურას და აღნაგობას. ფონემატური წესები განსაზღვრავენ თუ ფონემათა როგორი თანმიმდევრობისაგან მიიღება სიტყვები, გრამატიკული (მორფოლოგიური და სინტაქსური) წესები განსაზღვრავენ სიტყვათა ცვალებადობას და მათ შეერთებას წინადადებებად, აგრეთვე ფრაზებად. სიტყვათა მნიშვნელობის ჩამოყალიბებას და შეცვლას იკვლევს ენათმეცნიერების ისეთი დარგები როგორიცაა — ეტიმოლოგია და სემანტოლოგია (სემანტიკა).

როგორც ვხედავთ, აზრი არის ენის შემადგენელი მომენტი. აზრი ყალიბდება ენაში. იგი მისგან დამოუკიდებლად არ არსებობს. აზრი ენობრივია, ანუ ვერბალურია. უფრო ზუსტად, აზრი არის ფონემებით დანაწევრებული შინაარსი. ერთიც და მეორეც ენის მხარეებია. არც ცალკე აღებული ფონემები და არც ცალკე აღებული შინაარსი არ არის ენა. ეს უკანასკნელი გამოსახულებისა და შინაარსის ერთიანობაა. აზრი გამოსახულების შინაარსია, ხოლო შინაარსი გამოსახულების აზრია.

ამგვარად, ენა არ არსებობს აზრის გარეშე და აზრი ენის გარეშე. ამის გამო მარქსისტული დებულება, რომელიც ენას მიიჩნევს აზრის მატერიალურ გამოხატულებად, არ არის მართებული. აზრი ენის ერთ-ერთი შემადგენელი, მისთვის ისეთივე აუცილებელი მომენტია, როგორც გამოსახულება. ზოგიერთი ენისა და აზრის მიმართებას ადარებს ჭურჭლისა და წყლის მიმართებას. როგორც წყალს არ შეუძლია ჭურჭლის გარეშე არსებობა და იგი მხოლოდ მისი მეშვეობით იღებს გარეგნულ ფორმას, თითქოს ასევე აზრი ენის საშუალებით იღებს შესაბამის ფორმას. ამ ანალოგიით გამოდის, რომ ენა აზრის მხოლოდ გაფორმების იარაღია, რომ იგი ენის მეშვეობით იძენს ფორმას. ეს შედარება არ გამოდგება ენისა და აზრის ურთიერთობის დასახასიათებლად შემდეგ გარემოებათა გამო: ჯერ-ერთი, ჭურჭელს შეუძლია წყლის გარეშე არსებობა, წყალი მისთვის გარეგანია. ენას არ შეუძლია აზრის გარეშე არსებობა. იგი მისთვის გარეგანი კი არა, შინაგანია. ენა აზრის მეშვეობით არსებობს. მის გარეშე იგი არ ფუნქციობს. მეორე, ენა არ არის აზრის გაფორმების იარაღი. აზრი მის გარეშე არ არსებობს. იგი მხოლოდ ენაშია მოცემული. აზრი ენობრივია, ხოლო ენა აზრობრივი.

თუ ენა თავის აუცილებელ კომპონენტად მოიცავს აზრს, მაშინ იგი გარკვეული ცოდნის შემცველია. ამის გამო მართებულად უნდა მივიჩნიოთ მეორე კონცეფცია, რომელიც ენას განიხილავს როგორც გარკვეულ ცოდნას. ჰუმ-

ბოლდტს ენა მიაჩნდა ხალხის მსოფლმხედველობის გამოხატვის ფორმად. ჰაიდეგერი თვლის, რომ ენაშია დაფიქსირებული ყოფიერების თავდაპირველი სახე. ამისათვის საჭიროა მისი ეტიმოლოგიური ძირის ძიება და ანალიზი, რათა დავადგინოთ სიტყვის ჭეშმარიტი მნიშვნელობა. ენა რაღაც ცარიელი ჭურჭელი კი არაა, რომელშიც შემდეგ ჩაისხმება წყალი, არამედ ყოფიერება იმთავითვე სახლობს ენაში. ენა ყოფიერების გამომჟღავნება და გამოვლენაა.

ენა კულტურის ფენომენია, რომელსაც ქმნის ადამიანის გონი. იგი იდეალურია, მაგრამ განივთებული და რეალიზებული მატერიალურში. მისი მატერიალიზაციის ფორმებია მეტყველება და დამწერლობა.

ნიშანთა სისტემა. ადამიანი თავის პრაქტიკულ და სულიერ საქმიანობაში იყენებს უამრავ ნიშანთა სისტემას, რომელთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მეტყველებას და დამწერლობას. ზოგადად გავარკვიოთ ნიშნის ბუნება. რა არის ნიშანი? იგი ხასიათდება შემდეგი თავისებურებით:

1) ნიშანი აუცილებლად არის გრძნობად-აღქმადი მოვლენა. იგი შეიძლება იყოს მატერიალური ან სულიერი. მაგალითად, კვამლი ცეცხლის ან მწვანე შუქი ქუჩაზე გადასვლის ნიშანია. კვამლიც და შუქნიშანიც მატერიალურია. მაგრამ ნიშანი შეიძლება იყოს ფსიქიკური მოვლენა, რომელიც მატერიალური არაა. მაგალითად, ჩემი გუნება-განწყობილება ან ფსიქიური აშლილობა შეიძლება იყოს რაღაც სერიოზული დაავადების ნიშანი. ამ შემთხვევაში ჩემი განცდა, ე. ი. მისი ჩემთვის გრძნობად-აღქმადი ფორმით მოცემულობა არის დაავადების მანიშნებელი. ამიტომ ნიშნის აუცილებელი თვისება ისაა, რომ იგი გრძნობად-აღქმადი უნდა იყოს, მაგრამ მატერიალური იქნება თუ არა, ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს.

2) ნიშანი **რაღაცის** მანიშნებელია, რაღაცაზე მიანიშნებს. იგი საინტერესოა არა თავისთავად, არამედ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც აღნიშნავს რაღაცას. ეს უკანაკნელი მისი მნიშვნელობაა, რომელიც მისთვის გარეგანია. ნიშნის მნიშვნელობა მის გარეთაა: ცეცხლი კვამლის გარეთაა, ჩემი გადასვლა ქუჩაზე შუქნიშანისათვის გარეგანია. ნიშნის მნიშვნელობა არის ის, რაზეც იგი მიანიშნებს, მიუთითებს. იგი მასში კი არა, არამედ მის გარეთაა.

3) ნიშანი მნიშვნელობს **ვიღაცისათვის**. იგი ნიშანია არა საერთოდ, არამედ მხოლოდ იმისათვის, ვისთვისაც იგი რაღაცას ნიშნავს, ე. ი. ვისთვისაც იგი ასრულებს მითითების, ანუ მინიშნების ფუნქციას. აშკვარი გამგების, ინტერპრეტატორის გარეშე ნიშანი არ არსებობს. თუ მოვლენა არავისთვის არ მნიშვნელობს, მაშინ იგი სერთოდ არ არის ნიშანი.

4) ნიშანი წინასწარ გულისხმობს **ცოდნას** იმის შესახებ, რასაც იგი აღნიშნავს. გამგებმა **იცის** თუ რას აღნიშნავს, მიუთითებს ნიშანი. შუქნიშანი მხოლოდ იმისთვის ფუნქციობს, ვინც წინასწარ იცის მისი დანიშნულება. ვისაც ამგვარი ცოდნა არა აქვს, იმისათვის იგი საკუთრივ ფიზიკური მოვლენაა და მეტი არაფერი.

როგორი ხასიათისაა წინასწარი ცოდნა ნიშნისა და აღსანიშნის მიმართების შესახებ? იგი შეიძლება იყოს ბუნებრივი ან ხელოვნური. პირველ შემთხვევაში იგი

მოვლენებს შორის ბუნებრივი მიმართებების, ხოლო მეორე შემთხვევაში — შეთანხმების საფუძველზე ყალიბდება. ციცხლი მიზეზია, რომელიც იწვევს კვამლს. ვინც მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი მიმართება იცის, იგი კვმლს მიიჩნევს ცეცხლის არსებობის მაუწყებლად. ვინც ეს არ იცის, მისთვის კვამლი არაფრის ნიშანი არაა.

რაკეტის გასროლა დივიზიის შეტევაზე გადასვლის ნიშანია. რა შემთხვევაში? თუ შტაბსა და დივიზიას შორის წინასწარ მოხდა შეთანხმება ამის თაობაზე. ამგვარი შეთანხმების გარეშე რაკეტის გასროლა არაფრის ნიშანი არ იქნება. მსგავს სიტუაციებში ნიშნის აღსანიშნთან მიმართების ცოდნა შეთანხმების საფუძველზეა დადგენილი.

ახლა შეგვიძლია ზოგადად განვსაზღვროთ ნიშანი. **ნიშანი არის ისეთი გრძნობად-აღქმადი მოვლენა, რომელიც ბუნებრივი შემეცნებით ან შეთანხმებით დადგენილი ცოდნის საფუძველზე ვიღაცისათვის ასრულებს რაღაცის მითითების, მინიშნების ფუნქციას.** ნიშნის მნიშვნელობა არის აღსანიშნი, რომელიც არსებობს მხოლოდ მის გარეთ. მას თავისთავადი საზრისი არ გააჩნია. იგი ამოიკითხება გამგების მიერ, რომელმაც წინასწარ იცის, თუ რას აღნიშნავს იგი.

მეტყველება ნიშანთა სისტემაა. აქ ნიშანია ბგერათა კომპლექსი. იგი თავისთავად ფიზიკური მოვლენაა, ჰაერის რხევაა და მეტი არაფერი. მაგრამ იგი კომუნიკაციის პროცესში მთქმელისა და მსმენლისათვის ასრულებს ნიშნის ფუნქციას. მათთვის იგი ნიშანია, რადგან მიუთითებს შესაბამის ენობრივ ერთეულზე. ამ უკანასკნელის ცოდნის გარეშე ბგერათა კომპლექსი გაუგებარია. იგი მხოლოდ ჰაერის რხევაა, რომელიც არსებითად არ განსხვავდება ხმაურისაგან.

მეტყველება ენის მაუწყებელია, ე. ი. მისი ნიშანია. მას გაიგებს მხოლოდ ის, ვინც შესაბამისი ენა იცის. მაგალითად, ჩინურ მეტყველებას გაიგებს მხოლოდ ის, ვინც ჩინური ენა იცის. სხვისთვის იგი მართლაც ჩინური, ე. ი. გაუგებარი დარჩება.

ანალოგიურია მდგომარეობა დამწერლობის მიმართაც. ისიც ნიშანთა სისტემაა, სადაც ნიშნის ფუნქციას ასრულებს გრაფიკული მოხაზულობა. იგი მატერიალური, გრძნობად-აღქმადი მოვლენაა, რომლის გაგება შესაძლებელია მხოლოდ იმისთვის, ვინც წინასწარ იცის თუ რას აღნიშნავს იგი. ამისათვის აუცილებელია შესაბამისი ენის ცოდნა. ბერძნული დამწერლობის წაკითხვა და გაგება შეუძლია მხოლოდ იმას, ვინც იცის ბერძნული ენა. სხვისთვის იგი გაუგებარია.

ამგვარად, მეტყველება და დამწერლობა ნიშანთა სისტემაა, რომელიც აღნიშნავს შესაბამის ენას. ამ უკანასკნელის წინასწარი ცოდნის გარეშე მათი გაგება გამორიცხულია. ენაა სწორედ ის მნიშვნელობა, რომლის გამოთქმის საშუალებაა მეტყველება, ხოლო ჩაწერის — დამწერლობა.

არის თუ არა თვით ენა ნიშანთა სისტემა, ამ საკითხს შევეხებით ქვემოთ, როდესაც გავარკვევთ განსხვავებას ბუნებრივ და მეცნიერულ ენებს შორის.

ენის ფუნქციები. ენა ფუნქციების მხრივაც განსხვავდება მეტყველებისა და დამწერლობისაგან.

1) **კომუნიკაციის ფუნქცია.** ენა არის კომუნიკაციის საფუძველი. ზშირად მას ახასიათებენ როგორც კომუნიკაციის იარაღს, რაც არაზუსტია. კომუნიკაციის იარაღი არის მეტყველება და არა ენა. მეტყველება — თქმა და-ბმა. ენა — არის საშუალება, რომლის გამოყენებით ადამიანები ერთმანეთს გადასცემენ ბგერათა კომპლექსებს (ჰაერის რხევებს). ისინი მათთვის გასაგებია იმდენად, რამდენადაც მათ წინასწარ იციან შესაბამისი ენა. ქართული მეტყველება გასაგებია მხოლოდ იმათთვის, ვინც ქართული ენა იცის. მაშასადამე, მეტყველებაა სწორედ ის იარაღი, რომლის მეშვეობით ადამიანები ერთი ენის ცოდნის საფუძველზე აღწევენ ურთიერთგაგებას. ამის გამო უფრო ზუსტი იქნება თუ ვიტყვით, რომ ენა კომუნიკაციის საფუძველია და არა იარაღი. ამ უკანასკნელს წარმოადგენს მეტყველება.

2) **ექსპრესიის, ანუ გამოხატვის ფუნქცია.** იგი მიეწერება მეტყველებას, რადგან გამოხატავს ენას. მეტყველების შინაარსი, მნიშვნელობა, რომელსაც იგი გამოთქვამს, არის ენა. ეს უკანასკნელი კი არ გამოთქვამს, არამედ თავის თავში შეიცავს ცოდნას. იგი მისთვის შინაგანია და არა გარეგანი, ამიტომ მას არ სჭირდება მისი გამოხატვა, რადგან იგი თვითონ არის ცოდნა. ენის ფუნქციის ზუსტი დახასიათება იქნება თუ ვიტყვით, რომ იგი არის ცოდნის **ჩამოყალიბების და ფორმირების საშუალება.**

3) **აღნიშვნის ანუ დენოტაციის ფუნქცია.** მეტყველება არა მარტო გამოხატავს ენას, არამედ აღნიშნავს ასახელებს შესაბამის საგანს. როდესაც მე ვამბობ "ზეს", ამით არა მარტო გამოვთქვამ ქართული ენის სიტყვას, არამედ აღვნიშნავ, ვასახელებ შესაბამის .საგანსაც. ენა არა მარტო აღნიშნავს საგანს, არამედ ახასიათებს მას. ენაში არის საგნობრივი ვითარების აღწერა, დახასიათება. ენის ფუნქციაა რაღაც თვისების მიხედვით საგნის დახასიათება ანუ ცოდნის მოცემა მის შესახებ.

ამგვარად, მეტყველება და ენა ერთმანეთისაგან განსხვავდება შემდეგი ფუნქციების მიხედვით: მეტყველება გამოხატავს ენას და აღნიშნავს საგანს. იგი კომუნიკაციის იარაღია. ენა იძლევა ცოდნას, რომლის მეშვეობით ახასიათებს საგანს. იგი კომუნიკაციის საფუძველია.

დამწერლობის ფუნქციაა ენის ჩაწერა და გადატანა ქაღალდზე. ამის მეშვეობით ხდება მისი შემონახვა და უკვდავყოფა. ამ მხრივ მეტყველება შეზღუდულია: ჯერ-ერთი, იგი შემოსაზღვრულია დროუღ-ვრცეული ჩარჩოებით, მეორე, იგი ფუნქციობს მხოლოდ იქ და იმ დროს, როდესაც მასზე მეტყველებს ხალხი. თუ ხალხი გაქრა, მაშინ მეტყველება და მასთან ერთად ენაც გაქრება. ასე დაემართა მსოფლიოს მრავალ ხალხს, მათ შორის, ძველბერძნებს და რომაელებს. მაგრამ საბედნიეროდ, ბერძნულმა და ლათინურმა დამწერლობამ შემოგვინახა მათი ენები. სწორედ ამან მისცა საშუალება შთამომავლობას გასცნობოდა ანტიკურ კულტურას. დამწერლობის გარეშე კაცობრიობა ვერ ეზიარებოდა წარსულის მდიდარ კულტურას და გამოცდილებას.

რასაკვირველია, დამწერლობის ფუნქცია მხოლოდ ამით არ ამოიწურება. იგი ცოდნის დაგროვების, ურთიერთგაზიარების და განვითარების უდიდესი

საშუალებაა. ამიტომ დამწერლობის გამოგონება და შექმნა ადამიანის გონის უდიდესი მონაპოვარია, რომლის გარეშე კაცობრიობა ვერ მიაღწევდა ამ ეტაპ-მატებებს, რაც მას დღეს მოეპოვება.

ბუნებრივი და მეცნიერული ენები. ბუნებრივი ენა არის ეთნიკური ჯგუფის ან ერის ენა. მას მიეკუთვნება მსოფლიოში გავრცელებული ყველა ენა, რომელზეც ესა თუ ის ეთნიკური ჯგუფი ან ერი მეტყველებს. ბუნებრივი ენა ჩნდება ეთნიკური ჯგუფის გაჩენასთან ერთად და შემდგომ განიცდის განვითარებას. იმის კვალდაკვალ თუ როგორ ხდება ეთნიკური ჯგუფის გარდაქმნა ჯერ ხალხად, შემდეგ კი ერად, ეთნიკური ენა ყალიბდება ხალხის და ერის ენად.

ეთნიკური ენის წარმოქმნა ხდება ბუნებრივი გზით. იგი იბადება ეთნოსთან ერთად. ისე არ უნდა წარმოიდგინოთ ვითარება, რომ ჯერ ეთნოსი ჩნდება და შემდეგ იგი კოლექტიური ცნობიერებით ქმნის ენას. იგი გენეტიკურად თან დაჰყვება ეთნოსს და მის ინდივიდებს გადაეცემათ მემკვიდრეობით როგორც მათთვის მშობლიური.

ეთნიკური ენის სიტყვათა მნიშვნელობა არ დგინდება ხელოვნურად — შეთანხმების გზით. იგი ყალიბდება ბუნებრივად — ეთნოსის მიერ სამყაროს მოვლენებისა და საგნების უშუალო ხედვით. ეთნოსის კოლექტიურ ცნობიერებაში სამყაროს მრავალფეროვნება თავისებურად გადატყდება და ყალიბდება შესაბამისი სიტყვების სახით. ყოველ ეთნოსს სამყაროს თავისი ხედვა აქვს, ამიტომ მათი ენებიც შინაარსობრივად ერთმანეთისაგან განსხვავდებიან.

ბუნებრივი ენა გამოხატავს არა მხოლოდ სამყაროს მრავალფეროვნებას, არამედ ადამიანის სულიერი და პრაქტიკული მოღვაწეობის ყველა სფეროს. სამეურნეო, სამხედრო, სამშენებლო, პოლიტიკური, სასამართლო, სოციალური, საოჯახო და ა. შ. საქმიანობა მოითხოვს ასახვას ენაში. ჩნდება შესაბამისი სიტყვები და ტერმინები. მწერლობის ფორმირება საჭიროებს სათანადო ლიტერატურული ენის შექმნას. ფილოსოფიისა და მეცნიერების განვითარების კვალობაზე ყალიბდება ფილოსოფიური და მეცნიერული ენა. ადამიანის მოღვაწეობის ყოველი ახალი სფეროს გაჩენა მოითხოვს ენის გამდიდრებას შესაბამისი სიტყვებით.

არც ერთი ბუნებრივი ენა არ ვითარდება იზოლირებულად. ყოველი მათგანი განიცდის სხვა ენათა გავლენას, სესხულობს უცხოურ სიტყვებს, რითაც ამდიდრებს თავის ლექსიკას.

როგორც შინაგანი, ისე გარეგანი ფაქტორები განსაზღვრავს ენის განვითარებას. იცვლება არა მარტო ენის ლექსიკური ფონდი, არამედ მისი სტრუქტურა. ხშირად იმდენად რადიკალურად ხდება ეს ცვლილება, რომ ერთი ენა შეიძლება გარდაიქმნას სრულიად სხვა ენად. ასე მოუვიდა ძველბერძნულ ენას, რომლისაგანაც განსხვავდება თანამედროვე ბერძნული ენა. ისინი არსებითად განსხვავებული ენებია.

ბუნებრივ ენაში განასხვავებენ სიტყვების ორ ფენას: პირველი განეკუთვნება ძირითად ლექსიკურ ფონდს, რომელიც ჩნდება ეთნიკურ ენასთან ერთად. იგი

თავდაპირველია და შეიცავს ფუძე სიტყვებს, რომელთა ბაზაზეც შემდეგ სხვა სიტყვები იწარმოება. მეორე ფენა მოიცავს ისეთ სიტყვებს, რომლებიც მოგვიანებით იქმნება ფუძე სიტყვების ბაზაზე. ლექსიკა მდიდრდება არა მარტივი იმით, რომ ძველი სიტყვები იძენს ახალ მნიშვნელობას, არამედ ჩნდება ახალი სიტყვები და ტერმინები. ეს ბუნებრივი პროცესია, რაც ენის განვითარების კანონზომიერი შედეგია. მიუხედავად ამგვარი გარდაქმნებისა, ენა რჩება უცვლელი მანამ, სანამ მისი ძირითადი ლექსიკური ფონდი ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას.

ბუნებრივი ენის ძირითადი ლექსიკური ფონდი ყალიბდება სტიქიურად, არაცნობიერად, წინასწარი გეგმაზომიერი, გამიზნული საქმიანობის გარეშე. ადამიანები სიტყვებს არ ქმნიან ხელოვნურად, ურთიერთშეთანხმებისა და მოლაპარაკების გზით. ამიტომ მათი მნიშვნელობა არ არის ზუსტად დადგენილი და განსაზღვრული. ბუნებრივი ენის სიტყვები მრავალმნიშვნელოვანია. ერთ სიტყვას რამდენიმე, ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული მნიშვნელობა აქვს. მათი განსხვავება და ზუსტი განსაზღვრა შესაძლებელია მხოლოდ კონტექსტის მიხედვით. ეს გარემოება ართულებს ბუნებრივი ენის ცალსახა გაგებას და მის ზუსტ გამოყენებას.

ბუნებრივი ენის გამოყენება ყოველდღიურ ცხოვრებასა და მეტყველებაში სავსებით საკმარისია. ყოველდღიურობის დონეზე ადამიანებს არ სჭირდებათ ზუსტი მნიშვნელობების ცალსახა დადგენა და გაგება. ისინი უშუალო კონტაქტებისა და კონკრეტული სიტუაციების მიხედვით კარგად უგებენ ერთმანეთს და წარმატებით ახორციელებენ კომუნიკაციას. ამ შემთხვევაში მთავარია არა სიტყვის საზრისის ზუსტი განსაზღვრა, არამედ იმ საგნების აღნიშვნა, რომელთაც ისინი მიუთითებენ. როდესაც ყოველდღიური მეტყველების დროს მეუბნებიან "დღეს კარგი დარია", მე არ მჭირდება ამ სიტყვების ზუსტი განმარტება, რადგან კონკრეტული სიტუაციის მიხედვით შესანიშნავად მესმის თუ რისი თქმა უნდა ჩემს მოსაუბრეს. ყოველგვარი ზუსტი და ცალსახა განსაზღვრების გარეშე ჩვენ შესანიშნავად გვესმის ერთმანეთის.

მეცნიერების მიზანია სინამდვილის გარკვეული სფეროს ზუსტი და ადექვატური შემეცნება. იგი საგანგებო კვლევა-ძიების შედეგია. მან თავისი დებულებები უნდა ჩამოაყალიბოს ცალსახად და ერთმნიშვნელოვნად. ამ მიზნით მას ბუნებრივი ენა იმ სახით, როგორც იგი ფუნქციობს ყოველდღიურ ცხოვრებაში, არ გამოადგება ორი მიზეზის გამო: ჯერ-ერთი, მისი სიტყვები არაზუსტი და მრავალმნიშვნელოვანია; მეორე, არ შეიცავს ისეთ სიტყვებსა და ტერმინებს, რომლებიც გამოხატავენ მეცნიერების კვლევის ობიექტებს. ამ ნაკლოვანებათა დასაძლევად მეცნიერება მიმართავს საგანგებო ზომებს. იგი ცდილობს დააზუსტოს ბუნებრივი ენის სიტყვების მნიშვნელობა ანალიზისა და განსაზღვრებების მეშვეობით. შესაბამისად, მეცნიერებაში აყალიბებს ცნებებს, რომელთაც ცალსახა და ზუსტი მნიშვნელობა აქვს. მეცნიერული ცნებების თავისებურება ისაა, რომ მათი მნიშვნელობა დადგენილია საგანგებო კვლევისა და განსაზღვრების გზით.

ამით მეცნიერება აღწევს საგნის შემეცნების და განხილვის სიზუსტეს.

გარდა ამისა, მეცნიერება ბუნებრივ ენას ამდიდრებს ახალი სიტყვებით და ტერმინებით, რომლებსაც უსადაგებს თავისი კვლევის ობიექტს. ამით იგი აყალიბებს შესაბამის მეცნიერულ ტერმინოლოგიას, რომელსაც იყენებს თავისი მიზნების განსახორციელებლად. ყოველი რეალური მეცნიერება, მაგალითად, ფიზიკა ან ბიოლოგია მოიხმარს ბუნებრივ ენას, რომელიც გამდიდრებულია სათანადო ტერმინოლოგიით.

ფორმალური მეცნიერება ქმნის ახალი ტიპის ენას, რომელსაც უწოდებენ ფორმალიზებულ ენას. ამ მიზნით იგი იყენებს არა ბუნებრივი ენის სიტყვებს, არამედ სიმბოლოებს. ამის გამო ამ ენას ხშირად სიმბოლურ ენასაც უწოდებენ, რაც არაზუსტია. სიმბოლოები ნიშნებია, რომელთა საშუალებით ხდება ენის ფორმალიზაცია. ფორმალიზებული ენის აგება ხდება სინტაქსური და სემანტიკური წესების საფუძველზე. პირველს მიეკუთვნება წარმოქმნისა და გარდაქმნის წესები. წარმოქმნის წესები ადგენენ თუ რა სიმბოლოები გამოიყენება, სიმბოლოთა როგორი თანმიმდევრობა ჩაითვლება წესიერად აგებულ ფორმულად. წესიერად აგებული ფორმულებიდან გამოიყოფა აქსიომები, რომლებიც მიიღება დამტკიცების გარეშე.

გარდაქმნის წესები ადგენენ ხერხებს, რომელთა გამოყენებით შეგვიძლია აქსიომებიდან ლოგიკურად გამოვიყვანოთ ახალი ფორმულები. მათ თეორემები ეწოდება.

სინტაქსური წესების თანახმად სისტემის აგება ხდება მექანიკურად. ყოველგვარი შინაარსის გაგების გარეშე. აქ მთავარია სიმბოლოთა გარეგანი მოხაზულობა. ამგვარად აგებულ სისტემას უწოდებენ სინტაქსურ სისტემას, რომელიც შინაარსისაგან ცარიელია. იგი მხოლოდ აღრიცხვაა, მაგრამ არ არის ენა.

სემანტიკურ წესებს მიეკუთვნება აღნიშვნისა და ჭეშმარიტების წესები. პირველი ადგენს თუ რომელი სიმბოლო რას აღნიშნავს, ხოლო მეორე ადგენს ფორმულის ჭეშმარიტება-მცდარობის პირობებს: როდისაა იგი ჭეშმარიტი და როდის მცდარი. სემანტიკური წესების მეშვეობით აღრიცხვა იძენს მნიშვნელობას, რის შედეგად იგი ხდება ენა.

ფორმალიზებული ენა არის სინტაქსური სისტემა, რომელსაც აქვს სემანტიკური ინტერპრეტაცია. ამგვარ ენებს იყენებენ ფორმალური მეცნიერებანი, ე. ი. ლოგიკა და მათემატიკა. ამით ისინი აღწევენ ბჭობის სიზუსტეს და ლაკონურობას.

ფორმალიზებული ენის აგება შესაძლებელია ბუნებრივი ენის ბაზაზე. განასხვავებენ **საობიექტო ენას და მეტაენას.** პირველი ბჭობს ობიექტების, მათი თვისებებისა და მიმართებების შესახებ, ხოლო მეორე თვით საობიექტო ენის შესახებ. ფორმალიზაცია ეხება საობიექტო ენას. მეტაენის ფორმალიზაცია შესაძლებელია, მაგრამ ამისათვის საჭირო გახდება ახალი მეტაენა. ასე, რომ მეტაენის გარეშე საობიექტო ენის ფორმალიზაცია გამორიცხულია. სინტაქსური და სემანტიკური წესები, რომელთა მეშვეობით უნდა განხორციელდეს

საობიექტო ენის ფორმალიზაცია ყალიბდება შესაბამის მეტაენაზე. მათი ფორ-
მულირება უნდა მოხდეს რომელიმე ბუნებრივ ენაზე, მაგალითად, ქართულ-
ან ინგლისურზე: რა სიმბოლოები მოიხმარება, რას აღნიშნავენ ისინი, ფორმა-
ლოთა როგორი თანმიმდევრობა მივიჩნიოთ ფორმულად, ფორმულის ჭეშმარ-
იტება-მცდარობის პირობები და ა. შ. უნდა ჩამოყალიბდეს ბუნებრივ ენაზე.
წინაალმდეგ შემთხვევაში ფორმალიზებული ენა იქნება სრულიად გაუგებარი.

ამგვარად, ფორმალიზებული ენის აგება, ხოლო შემდეგ სხვების მიერ მისი წაკითხვა და გაგება შესაძლებელია მხოლოდ იმ მეტაენის მეშვეობით, რომელიც ფორმულირებულია ბუნებრივ ენაზე.

ახლა პასუხი გავცეთ კითხვას: არის თუ არა ენა ნიშანთა სისტემა? ბგერათა კომპლექსები მეტყველებაში, ასოები დაწერილობაში, სიმბოლოები ფორმალიზებულ ენაში, ცხადია, რომ ნიშანთა სისტემას მიეკუთვნება, რადგან ისინი მატერიალური ობიექტებია. მაგრამ აქედან არ გამომდინარეობს, რომ ენა ნიშანთა სისტემაა. ენა არ მოიცავს მათ, ისინი მხოლოდ მისი მატერიალიზაციის საშუალებაა.

ბუნებრივი ენის ძირითადი ლექსიკური ფონდი შედგება ისეთი სიტყვებისაგან, რომლებიც თავიანთი შინაარსით ახასიათებენ ობიექტებს რაიმე თვისების მიხედვით. ამიტომ ისინი არ არიან საგნის ნიშნები, რომლებიც პირობით დგინდება შეთანხმების საფუძველზე. სიტყვასა და საგანს შორის შინაარსობრივი კავშირია, რაც გამოიხატება იმით, რომ იგი მისი დახასიათებაა. ყოველი სიტყვა თავისი თავდაპირველი, ძირეული მნიშვნელობით რაღაცას ნიშნავს. მას თავისი საკუთარი მნიშვნელობა აქვს, რომლის გარეშეც იგი არ ფუნქციობს. ეს ეხება სიტყვის ძირეულ, ეტიმოლოგიურ მნიშვნელობას.

მაგრამ ენის განვითარების კვალობაზე იცვლება სიტყვათა მნიშვნელობა — ხდება მათი შინაარსის გაფართოება და გადატანა ახალ ობიექტებზე, რის შედეგად ისინი თანდათან შორდებიან თავიანთ თავდაპირველ მნიშვნელობას. უკვე ისინი აღნიშნავენ ისეთ ობიექტებს, რომლებთანაც მათ აღარ აქვთ შინაარსეული კავშირი. საილუსტრაციოდ განვიხილოთ ძველბერძნული ენის სიტყვები "სოფია" და "მელანოს". როგორც ვიცით, "სოფია" ნიშნავს სიბრძნეს. მრავალი ხალხი, მათ შორის ქართველებიც მას იყენებენ სახელად. იგი შეიძლება იყოს ისეთი ქალის სახელი, რომელსაც სიბრძნესთან არავითარი კავშირი არა აქვს. სიტყვა "მელანოს" ნიშნავს შავს. თავდაპირველად იგი აღნიშნავდა შავი ფერის, შემდეგ კი ნებისმიერი ფერის სითხეს, რომელიც საწერად გამოიყენება. გარდა ამისა, მას იყენებენ საკუთარ სახელადაც. იგი ჰქვია ისეთ ქალებსაც, რომელთაც შავი ფერის ნასახიც კი არ გააჩნიათ.

ანალოგიურია ვითარება მეცნიერული ენების მიმართაც. მეცნიერული ენის შინაარსი არსებითად დაშორებულია ბუნებრივ ენას. ამის გამო დაკარგულია მისი სიტყვების კავშირი ეტიმოლოგიურ მნიშვნელობასთან. ეს გასაგები და ცხადია, რადგან მეცნიერული ენის სიტყვების მნიშვნელობა დგინდება ხელოვნურად, შეთანხმების გზით კვლევა-ძიებისა და განსაზღვრებათა საფუძველზე. ისინი იძენენ ახალ მნიშვნელობას, რომელთა გარეშეც გამორიცხულია მათი არსებობა და ფუნქციობა.

მეცნიერული ენის სიტყვების მნიშვნელობაა ცნება, რომელიც არის ბუნ-
ნის დახასიათება და აღწერა არსებითი ნიშნების მიხედვით. იგი ცალსახად
განსაზღვრულია, ამიტომ ზუსტია და ერთმნიშვნელოვანი.

ამგვარად, მეცნიერული და ყოველდღიური ენა ერთმანეთისაგან განსხ-
ვავდებიან შინაარსის სიზუსტითა და ადექვატურობით. პირველი დგინდება
ხელოვნურად და შეთანხმებით, რომლის საფუძველია საგანგებო კვლევა-ძიე-
ბა. მეორე დგინდება ბუნებრივად და სტიქიურად, რომლის საფუძველია ხალხის
კოლექტიური გამოცდილება. მეცნიერული ენის შინაარსი ინტერნაციონალურია,
ყოველდღიური ენისა კი ნაციონალური. ცნების შინაარსი ყველა ენაზე იგი-
ვეობრივია, ყოველდღიური ენის სიტყვის მნიშვნელობას კი თავისი ეროვნუ-
ლი შეფერილობა, ნიუანსი აქვს.

როგორც ვხედავთ, განსხვავება მეცნიერულ ენასა და ბუნებრივ ენას შორის
აშკარაა. მიუხედავად ამისა, ყოველი ენის აგებისა და გაგების საფუძველია
რომელიმე ეთნიკური ენის ძირითადი ლექსიკური ფონდი. ამის გამო არც ერთი
ენა, რა გინდ შინაარსობრივად არ უნდა იყოს მისგან დაშორებული, მაინც
არ შეიძლება მივიჩნიოთ ნიშანთა სისტემად.

ენა ადამიანთა ყოფიერებისა და საქმიანობის საფუძველია. მის გარეშე იგი
ვერ იარსებებდა როგორც საზოგადოებრივი არსება. ენა არ არის ნიშანთა სისტემა.

ადამიანის შემეცნებითი მიმართება სამყაროსთან

შემეცნების არსი. ადამიანი იმეცნებს სამყაროს. შემეცნების არსის და
კანონზომიერების გარკვევა არის შემეცნების თეორიის ანუ გნოსეოლოგიის საგანი.

შემეცნება ხორციელდება სუბიექტის ობიექტთან მიმართების პროცესში.
სუბიექტი არის ის, ვინც იმეცნებს, ხოლო ობიექტია ის, რასაც იმეცნებენ.
სუბიექტია ადამიანი, რადგან იგი ახორციელებს შემეცნებას. ობიექტია ყვე-
ლაფერი, რისი შემეცნებაც ხორციელდება. ეს არის სინამდვილე ფართო გაგე-
ბით. იგი მოიცავს როგორც გარესამყაროს, ისე ადამიანს თავისი შინაგანი სამყა-
როთი. შემეცნების ობიექტია არა მხოლოდ არსებული, არამედ არარსებულიც,
მაგალითად, ფანტასტიკური, შეთხზული არსებებიც. მაშასადამე, შემეცნების
ობიექტია როგორც რეალური, ისე ირეალური, გამოგონილი სინამდვილე.

შემეცნება კონკრეტულ-ისტორიული პროცესია, რომელიც განიცდის მუდმივ
ცვალებადობაზ. ადამიანს სინამდვილე მთლიანად არასოდეს ეძლევა, რადგან იგი
უსაზღვრო და უკიდეგანოა. მას შემეცნების პროცესში საქმე აქვს სინამდვი-
ლის რაღაც მცირე ნაწილთან, რომელიც მისთვის გარკვეული წესით მოცემულია.
სამყაროს დიდი ნაწილი ადამიანისათვის მოცემული არაა, ამიტომ იგი ჯერ-
ჯერობით შეუმეცნებელია. შემეცნებას აქვს საზღვრები — ადამიანს რაღაცის
შემეცნება შეუძლია, რაღაცის კი არა. მიჯნა შემეცნებულსა და შეუმეცნებელს
შორის არ არის მყარი და მუდმივი. იგი იცვლება: ის, რაც გუშინ შეუმეცნე-

ბელი იყო, დღეს შემეცნებულია. თუ დღეს არა, ხვალ მაინც იქნება შემეცნებული. ამიტომ შემეცნების საზღვრები თანდათან ფართოვდება, მაგრამ როგორც არ უნდა მოხდეს, მათი გაფართოება, ყოველთვის დარჩება სინამდვილის ... სფერო, რომელიც შემეცნების ფარგლებს გარეთ აღმოჩნდება. ამგვარად, შემეცნების ობიექტია სამყაროს გარკვეული ნაწილი და არა სამყარო მთლიანად.

მაინც რა არის შემეცნება? რა არის მისი არსი? არსებობს ადამიანის სამყაროსთან მიმართების რამდენიმე ასპექტი:

1) **პრაქტიკული,** რომელიც გულისხმობს მომხმარებლურ-უტილიტარულ დამოკიდებულებას სამყაროსთან. ადამიანი მოიხმარს რეალობის საგნებს და პროცესებს, რათა დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნილებანი. ეს არის ადამიანის ანგარებითი დამოკიდებულება სამყაროსთან სარგებლიანობის თვალსაზრისით.

2) **ემოციური,** რომელიც გულისხმობს სამყაროს განცდას ადამიანის მიერ. მაგალითად, ადამიანი ტკბება ბუნების სიმშვენიერით ან შეძრწუნებას განიცდის მოსალოდნელი მიწისძვრის გამო.

3) **აქსიოლოგიური,** რომელიც გულისხმობს შეფასებით, ღირებულებით დამოკიდებულებას სამყაროსთან. ადამიანს რაღაც მოსწონს ან არ მოსწონს, რის გამოც დადებით ან უარყოფით შეფასებას აძლევს მოვლენებს.

4) **თეორიული,** რომელიც გულისხმობს რაღაც საგნობრივი ვითარების გარკვევას, მისი თვისებების დადგენას. ადამიანს აინტერესებს თვითონ საგანი, ცდილობს გაარკვიოს მისი არსი, რათა უპასუხოს კითხვას — თუ რა არის იგი. ამის შედეგად ყალიბდება ცოდნა საგნის შესახებ. სწორედ ესაა შემეცნების მიზანი.

მაშასადამე, შემეცნება არის სუბიექტის ობიექტთან ანუ ადამიანის სინამდვილესთან თეორიული მიმართება, რომლის შედეგად ყალიბდება ცოდნა მის შესახებ.

შემეცნების მიზანია არა ყოველგვარი, არამედ ისეთი ცოდნა, რომელიც საგნობრივი ვითარების შესატყვისი იქნება. ამგვარ ცოდნას ეწოდება ობიექტური, რადგან მისი შინაარსი განპირობებულია არა სუბიექტის თავისებურებით, არამედ თვით საგნობრივი ვითარებით. მას ინტერსუბიექტური და აუცილებელი ხასიათი აქვს. შემეცნების თეორიის ერთ-ერთი ძირითადი პრობლემაა დადგენა იმისა — შესაძლებელია თუ არა ობიექტური ცოდნა. საქმე ისაა, რომ შემეცნებას ახორციელებს ადამიანი, რომელსაც გარკვეული ფსიქოფიზიკური ორგანიზაცია აქვს. იგი თავის პრიზმაში გადატეხს საგანს, ასე ვთქვათ, თავისი სარკით ასახავს მას. სად არის გარანტია, რომ ცოდნა, რომელსაც იგი იძუშავებს, არ არის მის მიერ შეთხზული, გამოგონილი და არის თვით საგნობრივი ვითარების შემეცნება? რა არის იმის კრიტერიუმი, რომელიც გამიჯნავს სუბიექტურს ობიექტურისაგან? ეს არის სადავო საკითხი, რომლის ცალსახა გადაწყვეტა არ არსებობს. ამ კითხვაზე პასუხის სხვადასხვაობამ განაპირობა შესაბამისი ფილოსოფიური თეორიების წარმოშობა. მათ მიეკუთვნება დოგმატიზმი, სკეპტიციზმი და კრიტიციზმი. მოკლედ დავახასიათოთ თითოეული მათგანი.

დოგმატიზმი, სკეპტიციზმი და კრიტიციზმი. დოგმატიზმი წარმოდგება ბერძნული სიტყვიდან დოგმა, რაც ნიშნავს შეხედულებას, რომელ-

იც ამართლებს ცოდნის ობიექტურობას ყოველგვარი კრიტიკული შემოწმებისა და დამტკიცების გარეშე. ამ მოძღვრების თანახმად, არსებობს აბსოლუტურად უტყუარი და უეჭველი ცოდნა, რომელიც ემყარება ავტორიტეტს ან ბრმა ერწმუნებას. კანტი დოგმატიზმად მიიჩნევდა ყოველგვარ თეორიას, რომელიც ამართლებდა ცოდნას მისი შესაძლებლობის საზღვრებისა და წანამძღვრების წინასწარი გამოკვლევის გარეშე.

Library.ge

სკეპტიციზმი (ბერძნ. სკეპტიკოს — ის, ვინც იხილავს, ვინც იკვლევს) არის მოძღვრება, რომელიც უარყოფს ობიექტური, უტყუარი და უეჭველი ცოდნის არსებობას. ყოველი ცოდნა საეჭვოა. საეჭვოა მტკიცებაც და მისი უარყოფაც, თეზისიც და ანტითეზისიც. შესაძლებელია თუ არა სამყაროს შემეცნება?

ამ კითხვაზე სკეპტიკოსის პასუხი ასეთია: საეჭვოა თეზისი, რომელიც ამტკიცებს, რომ სამყარო შემეცნებადია, მაგრამ ასევე საეჭვოა ანტითეზისიც, რომელიც ამტკიცებს, რომ იგი შეუმეცნებადია. არც ერთია ჭეშმარიტი და არც მეორე, ამიტომ საერთოდ თავი უნდა შევიკავოთ ყოველგვარი კატეგორიული მტკიცებისაგან. არსებობს მხოლოდ ალბათური ცოდნა, რომლის მიმართ ეჭვი ყოველთვის დასაშვებია. დაეჭვება, როგორც შემეცნების საფუძველი და შედეგი — ასეთია სკეპტიციზმის ამოსავალი პრინციპი. ეს მოძღვრება ჩამოყალიბდა ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში ძვ. წ.-ით IV-III საუკუნეების მიჯნაზე. მისი ფუძემდებელი იყო პირონი.

კრიტიციზმი არის თეორია, რომელიც მოითხოვს შემეცნების შესაძლებლობის, წანამძღვრებისა და საზღვრების წინასწარ გამოკვლევას. მისი ფუძემდებელია კანტი. იგი თვლის, რომ სანამ ადამიანი სამყაროს შემეცნებას შეუდგებოდეს, მანამ საჭიროა გამოვიკვლიოთ გონების უნარი — რისი შემეცნება შეუძლია და რისი არ შეუძლია მას. ამგვარი კრიტიკული შეფასების გარეშე დოგმატიზმი გარდაუვალია, რაც კატეგორიულად მიუღებელია კანტისათვის. მაგრამ მისთვის ასევე მიუღებელია სკეპტიციზმიც, რომელიც საერთოდ ყოველგვარი ცოდნის ობიექტურობას უარყოფს. კანტი ამართლებს მეცნიერების ობიექტურობას, მაგრამ გარკვეულ საზღვრებში. მისი აზრით, მეცნიერება შესაძლებელია მოვლენათა, მაგრამ პრინციპულად შეუძლებელია ნივთების როგორც თავისთავადის მიმართ. ეს ნიშნავს, რომ კანტი ამართლებს ცოდნის ობიექტურობას იმ საგნების მიმართ, რომლებიც ცდაში გვეძლევიან, მაგრამ არ ამართლებს იმ საგნების მიმართ, რომლებიც ცდაში არანაირად არ გვეძლევიან. ეს არის ნივთები თავისთავად, რომლებიც ცდის მიღმურია.

მეცნიერებისათვის მიუღებელია დოგმატიზმი. იგი გამორიცხავს ყოველგვარ ავტორიტეტს. მისი ფუნქციობის აუცილებელი პირობაა დაეჭვება, როგორც კვლევის მეთოდი. მაგრამ მეცნიერება ვერც სკეპტიციზმს გაიზიარებს, რადგან იგი ცდილობს დაადგინოს ჭეშმარიტება, რის გამოც ვერ მიიღებს ეჭვს, როგორც კვლევის შედეგს. განასხვავებენ მეთოდოლოგიურ და გნოსეოლოგიურ სკეპტიციზმს. პირველი ამართლებს ეჭვს როგორც ჭეშმარიტების მიღწევის საშუალებას, მეორე კი საერთოდ უარყოფს ჭეშმარიტებას. მისთვის ეჭვი

კვლევის შედეგია და არა მეთოდი. ასეთია გნოსეოლოგიური სკეპტიციზმის პოზიცია, რომელიც პრინციპულად შეუთავსებელია მეცნიერების არსთან.

მეცნიერებისათვის ყველაზე მიზანშეწონილია კრიტიციზმის ძირითადი პოზიციის გაზიარება, რომელიც მოითხოვს ცოდნის ობიექტურობის შესაძლებლობის და საზღვრების წინასწარ კრიტიკულ გამოკვლევას. მეცნიერებასაც თავისი საზღვრები აქვს – მას რაღაცის შემეცნება შეუძლია, მაგრამ რაღაცის – პრინციპულად არ შეუძლია.

ჭეშმარიტების პრობლემა. ჭეშმარიტების ცნება ორი – ონტოლოგიური და გნოსეოლოგიური აზრით იხმარება. ონტოლოგიურად იგი აღნიშნავს ნამდვილს. ამ კონტექსტში იგი უპირისპირდება მოჩვენებითს, ყალბს, ილუზორულს. მაგალითად, ვამბობთ "ჭეშმარიტი მეგობრობა", "ჭეშმარიტი დემოკრატია", რათა გავმიჯნოთ ყალბი, მოჩვენებითი მეგობრობისა და დემოკრატიისაგან. ონტოლოგიურად ჭეშმარიტება იგივეა, რაც სინამდვილე, რაც ნამდვილად არსებობს. ჭეშმარიტების ამგვარ გაგებას დასაბამი მისცა პლატონმა.

გნოსეოლოგიაში ჭეშმარიტების ცნებას სულ სხვა შინაარსი აქვს. იგი ახასიათებს არა თვით სინამდვილეს, არამედ ცოდნას მასზე: ჭეშმარიტება ცოდნის თვისებაა, მხოლოდ იგი შეიძლება იყოს ჭეშმარიტი. აქ ჭეშმარიტება უპირისპირდება მცდარობას. ამგვარ თვალსაზრისს დასაბამი მისცა არისტოტელემ. მისი აზრით ჭეშმარიტება მსჯელობის თვისებაა. მსჯელობა არის მტკიცება, რომელიც ადგენს რაღაც საგნობრივ ვითარებას. მას პრეტენზია აქვს, რომ იგი გამოთქვამს სწორედ იმას, რაც ნამდვილად არსებობს. მაგალითად, "ხე მცენარეა" ადგენს საგნობრივ ვითარებას, რომლის მიხედვით ხე მიეკუთვნება მცენარეთა კლასს. ამ მსჯელობას პრეტენზია აქვს, რომ სინამდვილე სწორედ ისეთია, როგორც თვითონ გამოთქვამს, რომ იგი ამტკიცებს სწორედ იმას, რაც ნამდვილია. არისტოტელე შემდეგნაირად განსაზღვრავს ჭეშმარიტებას: ჭეშმარიტია მსჯელობა, რომელიც აერთიანებს იმას, რაც სინამდვილეში გაერთიანებულია და ყოფს იმას, რაც სინამდვილეში გაყოფილია. თუ საწინააღმდეგო ვითარებას აქვს ადგილი, მაშინ იგი მცდარია.

არისტოტელეს თვალსაზრისის საფუძველზე ჩამოყალიბდა კლასიკური თეორია, რომელიც ჭეშმარიტების ადექვატურობის (შესატყვისობის) კონცეფციის სახელითაა ცნობილი. აღნიშნული თეორიის თანახმად ჭეშმარიტია მსჯელობა, როდესაც იგი ადექვატურად ასახავს ანუ შეესატყვისება სინამდვილეს. თუ მსჯელობა არ შეესაბამება სინამდვილეს ე. ი. არ არის მისი ადექვატური, მაშინ მცდარია.

ფილოსოფიის ისტორიაში არ არსებობს ჭეშმარიტების ერთგვაროვანი გაგება. ჩამოყალიბდა ერთმანეთისაგან განსხვავებული თეორიები, რომელთაც სხვადასხვაგვარად ესმით ჭეშმარიტების ბუნება, ამიტომ არ მოიძებნება ჭეშმარიტების ცნების ერთი განსაზღვრება, რომელსაც ყველა გაიზიარებდა და მიიღებდა. ყოველი თეორია თავისებურად განმარტავს მას. ჩვენ არ შევუდგებით ამ თეორიების დახასიათებას, აღვნიშნავთ მხოლოდ შემდეგს: ჭეშმარიტების

ადექვატურობის კონცეფცია არის ჭეშმარიტების ერთ-ერთი და არა ერთადერთი შესაძლებელი თეორია, მაგრამ ჩვენ შემდგომი ბჭობის საფუძვლად მას ვიღებთ. მიგვაჩნია, რომ მისი პოზიცია პრინციპულად სწორია, ამიტომ ეს ბაზაზე უნდა ჩამოყალიბდეს ჭეშმარიტების ბუნების გაგება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამგვარად, ჩვენი განხილვის საგანია ჭეშმარიტების გნოსეოლოგიური გაგება და ისიც — ადექვატურობის კონცეფციის ბაზაზე.

რისი თვისებაა ჭეშმარიტება? დავიწყოთ იმით, თუ რისი თვისება არ არის იგი. ჭეშმარიტება არ არის საგნის თვისება. საგანი არსებობს ან არ არსებობს, მაგრამ იგი არც ჭეშმარიტია და არც მცდარი. ჭეშმარიტება არ არსებობს ობიექტურად, იგი არ აგდია სადღაც, როგორც, ვთქვათ, ქვა ზღვის ნაპირზე და მას ფეხს ვერ წამოკრავთ. ჭეშმარიტება არც აღქმის თვისებაა. აღქმა საგნის უშუალო განცდაა. იგი გვიჩვენებს იმას, რაც ჩვენ უშუალოდ გვეძლევა, მაგრამ არა იმას, რაც ობიექტურად არსებობს. აღქმა ახასიათებს საგანს, რომელიც მე უშუალოდ მეძლევა, ჩემთან მიმართებაშია, მაგრამ არაფერს მეუბნება იმაზე, თუ როგორია თვით საგანი თავისთავად, ჩემთან მიმართების გარეშე. გავაანალიზოთ აღქმის ილუზიის მაგალითი: წყალში ჩაშვებული ჯოხი მხედველობითი აღქმისას გვეჩვენება გადატეხილად. აღქმა ახასიათებს ჯოხს, რომელიც მე მეჩვენება გადატეხილად და იგი სავსებით სწორია. მე მართლაც ასეთად მეჩვენება წყალში ჩაშვებული ჯოხი. ამიტომ ჭეშმარიტია აღქმითი მსჯელობა: „წყალში ჩაშვებული ჯოხი მე მეჩვენება გადატეხილად". მაგრამ მცდარია მსჯელობა, რომელიც უკვე ეხება არა ჩემს აღქმას, არა იმას, რასაც მე უშუალოდ განვიცდი, არამედ თვითონ საგანს. "წყალში ჩაშვებული ჯოხი გადატეხილია" ეს არ არის აღქმითი მსჯელობა. იგი ჩემს მიერ თვითნებურად გაკეთებული დასკვნაა, რომლის საფუძველსაც აღქმა არ მაძლევს. ამგვარად, თვითონ აღქმა არც ჭეშმარიტია და არც მცდარი. იგი ყოველთვის ისეთია, როგორიც უნდა იყოს. ეს ცალსახად განპირობებულია ინდივიდის გრძნობის ორგანოს თავისებურებით და გარემო პირობებით. აღქმა იმას მეუბნება, რასაც მიჩვენებს. მაგრამ თუ მე ამის საფუძველზე დავასკვნი, რომ თვითონ საგანი ასეთია, ეს უკვე ჩემს და არა აღქმის მცდარობაზე მეტყველებს.

ჭეშმარიტება აზრის თვისებაა, მაგრამ ყოველ აზრს იგი არ ახასიათებს. მაგალითად, ავიღოთ კითხვითი წინადადება: "მიდიხართ დღეს თქვენ კინოში?" იგი აზრის შემცველია, მაგრამ არც ჭეშმარიტია და არც მცდარი. რატომ? იმიტომ, რომ იგი არაფერს ამტკიცებს. კითხვითი წინადადება არ გამოთქვამს მტკიცებას. მას პრეტენზია არა აქვს ამტკიცოს რაღაც საგნობრივი ვითარება. ამიტომ იგი არ შეიძლება იყოს ჭეშმარიტი ან მცდარი.

ჭეშმარიტება აზრის მხოლოდ ისეთი ფორმის თვისებაა, რომელიც რაღაცას ამტკიცებს და ამით ადგენს შესაბამის საგნობრივ ვითარებას. აზრის ამგვარი ფორმაა მსჯელობა. იგი გამოითქმის თხრობითი წინადადების სახით. "წვიმს" (არ წვიმს), "თოვს" (არ თოვს), "რკინა მეტალია", "ორს მივუმატოთ ორი უდრის ხუთს" და ა. შ. აზრი გამოთქმული მსჯელობის ფორმით არის ცოდნა. ამიტომ ჭეშმარიტება ცოდნის თვისებაა. ზოგჯერ ჭეშმარიტებ-

ის ცნებას გამოთქვამენ რომელიმე თეორიის მიმართ. აქ ჭეშმარიტება-მოიხ-
მარება გადატანითი მნიშვნელობით. თეორია შედგება დებულებებისაგან, რომ-
ლებიც გამოითქმება მსჯელობების სახით. მისი ჭეშმარიტება დამოკიდებუ-
მსჯელობების ჭეშმარიტება-მცდარობაზე. თეორია ჭეშმარიტია, თუ იგი შეი-
ცავს ჭეშმარიტ მსჯელობებს, იგი მცდარია, თუ მისი ძირითადი პრინციპის
გამომთქმელი მსჯელობა მცდარია.

ამგვარად, სწორია არისტოტელეს შეხედულება, რომ ჭეშმარიტება არის
მარტოოდენ მსჯელობის თვისება, რადგან ცოდნა მხოლოდ მსჯელობის ფორ-
მით არსებობს. ამიტომ მართებულია დასკვნა, რომ ჭეშმარიტება ცოდნის თვისებაა.

ჭეშმარიტება უნდა განისაზღვროს მსჯელობის ან ცოდნის მიმართ. რა
შემთხვევაშია იგი ჭეშმარიტი ან მცდარი? აქ უნდა დავემყაროთ შესაბამისო-
ბის (ადექვატურობის) პრინციპს, რომლის თანახმად მსჯელობა ჭეშმარიტია,
თუ შეესაბამება იმას, რასაც იგი გამოთქვამს, ამტკიცებს. მაგრამ რას გამოთქ-
ვამს ან ამტკიცებს მსჯელობა? რა არის ის საგნობრივი ვითარება, რომლის
გამოთქმის პრეტენზიაც მსჯელობას აქვს? ამის გასარკვევად საჭიროა განვასხ-
ვავოთ ჭეშმარიტების ორი სახე — **ლოგიკური და ფაქტობრივი ჭეშმარიტება.** ეს
აუცილებელია, რადგან ისინი გამოთქვამენ სულ სხვადასხვა საგნობრივ ვითარებას.

ფაქტობრივი და ლოგიკური ჭეშმარიტება. ფაქტობრივი ჭეშ-
მარიტება გამოხატავს მსჯელობის შესაბამისობას ფაქტთან. თუ მსჯელობა
შეესატყვისება ფაქტს, მაშინ ჭეშმარიტია, თუ არა — მცდარი. ფაქტი გაგე-
ბულია ფართოდ. მასში იგულისხმება რეალობის ნებისმიერი მოვლენა. ფაქ-
ტია არა მხოლოდ ის, რომ მზე ანათებს, არამედ ისიც, რომ ყველა ლითონი
ელექტრობის კარგი გამტარია. ასე, რომ ფაქტობრივი ჭეშმარიტება ახასი-
ათებს არა მხოლოდ ერთეულ, არამედ ზოგად მსჯელობებსაც, რომლებიც
გამოთქვამენ სინამდვილის არსებით და აუცილებელ მხარეებს. ფაქტობრივი
ჭეშმარიტების თავისებურება ისაა, რომ იგი ახასიათებს იმ ცოდნას, რომელიც
ასახავს სინამდვილეს; რეალობას. იგი ჭეშმარიტია თუ მისი შესატყვისი სა-
განი მართლაც, ნამდვილად არსებობს. მაგალითად, მსჯელობის — "დღეს
თბილისში, ვაკის რაიონში, მოდის წვიმა" — ჭეშმარიტება-მცდარობა დამოკ-
იდებულია იმაზე, თუ სამყაროს ამ უბანში რა ვითარებას აქვს ადგილი. მართლა
მოდის თუ არა წვიმა. ამის დადგენა შესაძლებელია მხოლოდ დაკვირვების
საშუალებით. წვიმა არ არის მუდმივი მოვლენა. იგი ხან მოდის, ხან — არა.
ეს, რომ დავადგინოთ აუცილებელია დაკვირვება. სხვაგვარად ჩვენ ვერ
გავარკვევთ მოცემულ ფაქტს აქვს ადგილი თუ არა. ამის გამო **ფაქტობრივი
ჭეშმარიტება ცდისეულია (ემპირიულია), ცვალებადია და არ არის მუდმივი.**

ლოგიკური ჭეშმარიტება გამოხატავს მსჯელობის შესაბამისობას
ლოგიკის წესებთან. იგი ახასიათებს ისეთ მსჯელობას, რომელიც არაფერს
ამტკიცებს ფაქტის შესახებ. ცხადია, მისი ჭეშმარიტება-მცდარობა არ არის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამოკიდებული ფაქტის არსებობა-არარსებობაზე. ავიღოთ დისიუნქციური მსჯელობა, რომელიც ორ ურთიერთუარმყოფელ მსჯელობას აერთიანებს "ან" კავშირით: "დღეს თბილისში მოდის წვიმა ან დღეს თბილისში არ მოდის წვიმა". ამ მსჯელობის ჭეშმარიტება არ არის დამოკიდებული იმაზე, თუ რა ვითარებას აქვს ადგილი თბილისში. იგი ჭეშმარიტია დამოუკიდებლად იმისგან დღეს თბილისში მოდის წვიმა თუ არა. ამას განაპირობებს ლოგიკის წესი, რომელიც ამტკიცებს: დისიუნქცია ჭეშმარიტია მუდამ, როდესაც ერთ-ერთი მისი შემადგენელი მსჯელობა მაინც ჭეშმარიტია. მცდარია მხოლოდ ერთ შემთხვევაში, როდესაც ორივე მსჯელობაა მცდარი. ლოგიკის ერთ-ერთი კანონი — გამორიცხული მესამის წესი ადგენს: ორი ურთიერთდაპირისპირებული მსჯელობიდან ერთ-ერთი აუცილებლად ჭეშმარიტია, მესამე — გამორიცხულია. თბილისში დღეს წვიმა მოდის ან არ მოდის, მესამე გამორიცხულია. ზემოთ მოტანილი დისიუნქციის ერთ-ერთი მსჯელობა აუცილებლად ჭეშმარიტია, რადგან მესამე შეუძლებელია, ამიტომ მთლიანი დისიუნქცია მუდამ ჭეშმარიტია. ამის დადგენას არ სჭირდება ცდა და დაკვირვება. ამისათვის სავსებით საკმარისია ლოგიკის წესების ცოდნა. ამიტომ **ლოგიკური ჭეშმარიტება აპრიორულია**, ე. ი. ცდისაგან დამოუკიდებელია.

ფაქტობრივი ჭეშმარიტება ახასიათებს რეალურ და ისტორიულ, ხოლო ლოგიკური ჭეშმარიტება მხოლოდ ფორმალურ მეცნიერებათა დებულებებს. პირველი გვაძლევს ინფორმაციას რეალობის შესახებ, მეორე კი — არა. ეს უკანასკნელი ტავტოლოგიაა, იმ აზრით, რომ იგი ახალ ცოდნას არ შეიცავს. იგი მხოლოდ იმას გამოთქვამს, რაც ნაგულისხმევია ლოგიკის წესებით.

მაშასადამე, ფაქტობრივი ჭეშმარიტება არის მსჯელობის შესაბამისობა ფაქტთან, ხოლო ლოგიკური ჭეშმარიტება — ლოგიკის წესებთან. პირველი ემპირიულია (ცდაზეა დამოკიდებული). მეორე კი — აპრიორული (ცდისაგან დამოუკიდებელია).

ჭეშმარიტების კრიტერიუმის პრობლემა. კრიტერიუმი ნიშნავს საზომს, ამიტომ ჭეშმარიტების კრიტერიუმის პრობლემა იგივეა, რაც ჭეშმარიტების საზომის პრობლემა. რომელია ის საშუალება, ასე ვთქვათ, "ხელსაწყო", რომლის მეშვეობით შეიძლება გავზომოთ მსჯელობის ჭეშმარიტება-მცდარობა? მაგრამ საჭიროა კი ამგვარი ინსტრუმენტის არსებობა? საქმე ისაა, რომ მსჯელობა თვითონ არ აცლენს ამ თვისებას — შეესაბამება თუ არ საგანს. ეს ადამიანს უშუალოდ არ ეძლევა. მან იგი უნდა დაადგინოს, გაარკვიოს. ამისათვის კი აუცილებელია რაღაც საშუალება, რომელიც შეასრულებს საზომის როლს. ანალოგიურია მდგომარეობა ტემპერატურის მიმართ. სხეული თვითონ არ გვეუბნება თუ რამდენია მისი ტემპერატურა. ამისათვის არსებობს ხელსაწყო — თერმომეტრი, რომლის მეშვეობით ადამიანს შეუძლია გაზომოს და ზუსტად დაადგინოს იგი.

ჭეშმარიტების კრიტერიუმი არის მსჯელობის აღნიშნული თვისების გამოვლენის, გამომჟღავნების საშუალება. მსჯელობა თავისთავად ჭეშმარიტია ან მცდარი იმის მიხედვით, შეესაბამება თუ არა იგი საგნობრივ ვითარებას. ეგრამ ამ მიმართებას დადგენა, გარკვევა სჭირდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ უნდა ვიცოდეთ, დარწმუნებული ვიყოთ მოცემული მსჯელობა ჭეშმარიტია თუ მცდარი. ამიტომ კრიტერიუმის გამოყენებით ჩვენ ვიძენთ ცოდნას მსჯელობის ჭეშმარიტების შესახებ. კრიტერიუმის მეშვეობით მსჯელობა კი არ ხდება ჭეშმარიტი, არამედ ჩვენ ვიგებთ, ვადგენთ, რომ იგი ჭეშმარიტია. ისევე, როგორც საგანს, ვთქვათ, რკინა მეტალია თუ არა, შემეცნება სჭირდება, ასევე მსჯელობის ჭეშმარიტებასაც სჭირდება შემეცნება. ერთია, დავადგინოთ მსჯელობა, რომ "რკინა მეტალია" (იგი საგანს ეხება), სულ სხვაა დავადგინოთ, რომ მსჯელობა "რკინა მეტალია" არის ჭეშმარიტი (იგი უკვე მსჯელობის თვისებას ეხება).

ამგვარად ჭეშმარიტების კრიტერიუმი ადამიანისათვის ხდის ცხადს და ცნობილს ცოდნის ჭეშმარიტებას. იგი იძლევა ცოდნას არა საგნის, არამედ ცოდნის ჭეშმარიტების შესახებ.

რა არის ჭეშმარიტების კრიტერიუმი? ყოველდღიურ ცხოვრებაში ჭეშმარიტების კრიტერიუმია საღი განსჯა, რომელიც პირად გამოცდილებას ემყარება. ცხადია, რომ იგი მეცნიერებაში არ გამოდგება. ამ უკანასკნელს ჭეშმარიტების დადგენის თავისი ხერხები და საშუალებები აქვს. მეცნიერებაში არსებობს ჭეშმარიტების არა ერთი, არამედ რამდენიმე კრიტერიუმი. ეს განპირობებულია იმით, რომ თვით მეცნიერება არაერთგვაროვანია. არსებობს მისი რამდენიმე სახე, რომლებიც ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავდება. როგორც ზემოთ უკვე გავარკვიეთ, მათ მიეკუთვნება ფორმალური, რეალური და ისტორიული მეცნიერება. ყოველ მათგანს დამტკიცების თავისი მეთოდი, შესაბამისად ჭეშმარიტების თავისი კრიტერიუმი აქვს.

ფორმალურ მეცნიერებაში ჭეშმარიტების კრიტერიუმია **ლოგიკური დამტკიცების** მეთოდი. თეორია აიგება აქსიომატურად. დებულება, რომელიც ამგვარად აგებული სისტემის ფარგლებში, ლოგიკურად მტკიცდება, ჭეშმარიტია, ხოლო, რომელიც უარიყოფა — მცდარი.

რეალურ მეცნიერებაში ჭეშმარიტების კრიტერიუმია **ცდა და დაკვირვება.** დებულება, რომელიც ცდით დასტურდება ჭეშმარიტია, ხოლო დებულება, რომელიც ცდით უარიყოფა, მცდარი.

ისტორიულ მეცნიერებებში ჭეშმარიტების კრიტერიუმია პირველწყაროების კრიტიკული ანალიზის მეთოდი. დებულება, რომელიც დასტურდება კრიტიკულად შეჯერებული პირველწყაროების ანალიზის შედეგად, ჭეშმარიტია, ხოლო დებულება, რომელიც ამ წესით არ დასტურდება — მცდარი.

ცოდნა სინამდვილის შესახებ ცვალებადია, განიცდის მუდმივ განახლებას და განვითარებას. ანალოგიურ მდგომარეობაშია ცოდნა ჭეშმარიტების შესახებ. ისიც განიცდის ცვალებადობას: ის, რაც გუშინ ჭეშმარიტად ითვ-

ლებოდა, დღეს შეიძლება აღმოჩნდეს მცდარი და პირიქით. ამიტომ არ არსებობს აბსოლუტურად უტყუარი და უეჭველი ცოდნა. იგი ყოველთვის შეფარდებითია და ეს სავსებით კანონზომიერი მოვლენაა ადამიანის მიმართ. იგი სასრული არსებაა, რომლის უნარი და შესაძლებლობები შეზღუდულია. ადამიანის არც ერთი უნარი არ იძლევა აბსოლუტურად უეჭველი ცოდნის დადგენის საშუალებას. ყოველი მათგანი მხოლოდ შეფარდებითად სანდო და უტყუარი ცოდნის შესაძლებლობას განსაზღვრავს, რომელიც მოითხოვს მუდმივ ყურადღებას და კრიტიკულ შემოწმებას. ადამიანური ცოდნა შეფარდებითად და არა აბსოლუტურად უტყუარია. ეს უკანასკნელი ღვთაებრივი სიბრძნის და ახასიათებელი ნიშანია. თუნდაც, რომ დავუშვათ მისი არსებობა, იგი მაინც ადამიანისათვის საიდუმლო და მიუწვდომელი დარჩება.

შემეცნების პროცესი. როგორ იმეცნებს ადამიანი სინამდვილეს? ეს არის რთული, მრავალასპექტიანი პროცესი, რომელშიც გამოიყოფა ორი ძირითადი — გრძნობადი და აბსტრაქტული ეტაპი. მოკლედ დავახასიათოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე.

შემეცნების გრძნობადი ეტაპი მოიცავს ცოდნას, რომელსაც ადამიანი ღებულობს შეგრძნებების, აღქმების და წარმოდგენების საფუძველზე. რა თავისებურება ახასიათებს მას? ამისათვის უნდა დავახასიათოთ ამ ცოდნის წყარო, ე. ი. შეგრძნება, აღქმა და წარმოდგენა.

შეგრძნება არის რაიმე თვისების უშუალო განცდა, მაგრამ თვისება არასოდეს ცალკე არ გვეძლევა. მას ჩვეულებრივად განვიცდით როგორც რაიმე საგნის თვისებას. საგნის უშუალო განცდა არის აღქმა. ადამიანი აღიქვამს საგანს, რომელსაც რაღაცა თვისება აქვს. შეგრძნება აღქმის მომენტია, რადგან [illegible] ახლავს საგნობრიობის უშუალო განცდა. საგნის შემეცნების წყარო აღქმაა [illegible] შეგრძნება. ამის გამო ფილოსოფიაში ისინი მიჩნეულია სინონიმებად. [illegible] ეს არ ნიშნავს მათ გაიგივებას. ფსიქოლოგია მათ ცალ-ცალკე ახასიათებს.

წარმოდგენა არის ერთხელ აღქმული საგნის სურათის აღდგენა მეხსიერების საშუალებით. წარმოდგენის შინაარსი მთლიანად დაიყვანება აღქმის შინაარსზე. მათ ერთმანეთისაგან განასხვავებს საგნის მოცემის წესი და არა შინაარსი. აღქმის დროს საგანი გვეძლევა უშუალოდ, ვთქვათ ქობულეთში ვზივარ ზღვის ნაპირას და აღვიქვამ მზის ჩასვლას. წარმოდგენის დროს ივივე საგანი გვეძლევა გაშუალებით; როდესაც დავბრუნდი თბილისში და მეხსიერების მეშვეობით აღვადგინე მზის ჩასვლის სურათი. მისი შინაარსი არსებითად იმეორებს აღქმის შინაარსს. მათ შორის განსხვავებაა მხოლოდ სიცხადის და კონკრეტულობის მხრივ. აღქმა უფრო ცხადი და შინაარსობრივად მდიდარია, წარმოდგენა კი — უფრო აბსტრაქტული და ღარიბი. მაგრამ წარმოდგენა პრინციპულად არ გადის აღქმის ფარგლებს გარეთ, ამიტომ შინაარსის თვალსაზრისით იგი მას იმეორებს.

ამგვარად, გრძნობადი შემეცნების წყარო აღქმაა. შეგრძნება მისი მომენტია, ხოლო წარმოდგენის შინაარსი მთლიანად მასზე დაიყვანება. გრძნობადი ცოდნა

საბოლოოდ აღქმიდან მომდინარეობს და პრინციპულად მასზე დაიყვანება.

როგორია გრძნობადი შემეცნების საზღვრები? რას იმეცნებს და რას ვერ იმეცნებს ადამიანი ამ ეტაპზე? ამ კითხვებს, რომ ვუპასუხოთ ყურადღება მივაქციოთ აღქმის თავისებურებას. რის შემეცნების საშუალებას იძლევა იგი? აღქმაში გვეძლევა ერთეული, მოვლენა და შემთხვევითი, მაგრამ არ გვეძლევა ზოგადი, არსება და აუცილებელი. აღქმის საფუძველზე ადამიანი იმეცნებს სინამდვილის გარეგან და ზედაპირულ მხარეებს, მაგრამ ვერ წვდება მის შინაგან და სიღრმისეულ ფენებს.

აღქმა სინამდვილის შემეცნების აუცილებელი პირობაა. იგი არის ერთადერთი, რომლის მეშვეობით ადამიანი ინფორმაციას იღებს საგნის შესახებ. აღქმა არის ადამიანის გრძნობის ორგანოზე საგნის უშუალო ზემოქმედების შედეგი. სხვაგვარად, ადამიანს საგანი არ ეძლევა, მის გარეშე სინამდვილის შემეცნება იქნებოდა უსაგნო და ცარიელი. ამიტომ, გრძნობადი ეტაპი სინამდვილის შემეცნების აუცილებელი პირობაა, მაგრამ არის კი ეს საკმარისი?

წარმოვიდგინოთ, რომ ადამიანს ცხოველების მსგავსად მხოლოდ გრძნობადი შემეცნების უნარი აქვს. მაშინ მას ეცოდინებოდა ერთეული საგანი, მისი გარეგანი და შემთხვევითი თვისებები, მაგრამ არ ეცოდინებოდა ზოგადი, არსებითი და აუცილებელი. ადამიანური შემეცნების ფარგლებს მიღმა დარჩებოდა ის, რაც შინაგანი და დაფარულია. ეს ნიშნავს, რომ მხოლოდ გრძნობადი შემეცნება მთლიანად სინამდვილის შემეცნებას ვერ მოახერხებს.

ამგვარად, გრძნობადი ეტაპი სინამდვილის შემეცნების აუცილებელი, მაგრამ არა საკმარისი პირობაა.

შემეცნების აბსტრაქტული ეტაპი მოიცავს ცოდნას, რომელიც ემყარება ცნებებს. იგი ცნებებით აზროვნებაა. მისი თავისებურება ისაა, რომ იგი სინამდვილის შემეცნებას ახორციელებს ცნებების მეშვეობით.

სად არის მიჯნა შემეცნების გრძნობად და აბსტრაქტულ ეტაპებს შორის? არ არის მართებული თვალსაზრისი, რომლის თანახმად გრძნობადი შემეცნების ფორმებად მიჩნეულია შეგრძნება, აღქმა და წარმოდგენა, ხოლო აბსტრაქტული შემეცნების ფორმებად — მსჯელობა, ცნება და დასკვნა. ადამიანი თავისი შემეცნების შედეგებს გამოთქვამს მსჯელობების სახით. იგი იყენებს დასკვნებს, რომელთა მეშვეობით ხდება მოცემული მსჯელობებიდან (წანამძღვრებიდან) ახალი მსჯელობების (დასკვნის) გამოყვანა. როგორც გრძნობადი, ისე აბსტრაქტული ცოდნა გამოითქმება მსჯელობებით. როგორც პირველ, ისე მეორე ეტაპზე ადამიანი აკეთებს დასკვნას. ამ მხრივ არსებითი განსხვავება არაა შემეცნების გრძნობად და აბსტრაქტულ ფორმებს შორის. მათ ერთმანეთისაგან მიჯნავს პრინციპული განსხვავება აღქმასა და ცნებას შორის. გრძნობადი შემეცნება აღქმისეული, ხოლო აბსტრაქტული — ცნებისეულია. პირველი აღქმებს, მეორე კი — ცნებებს ემყარება.

მაშასადამე, აბსტრაქტული შემეცნების თავისებურებას განსაზღვრავს ცნე-

ბა. რა არის ცნება? იგი აზრის ისეთი ფორმაა, რომელიც ასახავს საგნის არსებითი, ე. ი. აუცილებელ და ზოგად თვისებებს. "ადამიანის" ცნება გამოხატავს ადამიანთა სიმრავლისათვის დამახასიათებელ არა ყველა, არამედ მხოლოდ ერთ-სებით, აუცილებელ და ზოგად ნიშნებს. ყოველდღიურ ცხოვრებაში ადამიანი კმაყოფილდება აღქმებით და წარმოდგენებით. აქ მისთვის სავსებით საკმარისია ის წარმოდგენები მზის, მცენარის, ცხოველის, დედამიწის, მთვარის და ა. შ. შესახებ, რომლებიც მას ჩამოუყალიბდა აღქმებისა და პირადი გამოცდილების საფუძველზე. მაგრამ მეცნიერებისათვის ეს საკმარისი არაა. ამისათვის იგი საგანგებოდ ქმნის ცნებებს, რომელთა მეშვეობით წვდება მათ შინაგან და დაფარულ ბუნებას.

როგორია აბსტრაქტული შემეცნების საზღვრები? ეს განპირობებულია ცნების თავისებურებით. ცნება წვდება საგნის არსებით, აუცილებელ და ზოგად თვისებებს. მისი მეშვეობით შეიმეცნება სინამდვილის შინაგანი და ფარული მხარეები. მაგრამ იგი ვერ წვდება გარეგანსა და ზედაპირულს. რატომ? იმიტომ რომ მასში არ არის დაფიქსირებული ინდივიდუალური, გამოვლენილი და შემთხვევითი თვისებები. ადამიანს, რომელსაც აქვს ცნება ძაღლის შესახებ, ეცოდინება ის არსებითი, აუცილებელი და ზოგადი ნიშნები, რომლებიც ცხოველის მოცემულ სახეობას ახასიათებს. მაგრამ არ ეცოდინება ის კონკრეტული ფინია, რომელიც მას ჰყავს და ყოველდღე მის თვალწინ დარბის. ამის შემეცნება შესაძლებელია მხოლოდ აღქმის საფუძველზე. ცნებას ეს პრინციპულად არ შეუძლია.

წარმოვიდგინოთ, რომ ადამიანს მხოლოდ აბსტრაქტული შემეცნების უნარი აქვს. მაშინ მას ეცოდინებოდა სინამდვილის შინაგანი და სიღრმისეული, მაგრამ არ ეცოდინებოდა — გარეგანი და ზედაპირული მხარე. ეცოდინებოდა არსებითი, აუცილებელი და ზოგადი, მაგრამ არ ეცოდინებოდა — ერთეული, გამოვლენილი და შემთხვევითი. ეს გარემოება მეტყველებს იმაზე, რომ აბსტრაქტული შემეცნება სინამდვილის მთლიანად წვდომის არასაკმარისი პირობაა. მაგრამ არის კი იგი საერთოდ აუცილებელი? მის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა სინამდვილის შინაგანი და არსებითი მხარის წვდომა, ამდენად იგი აუცილებელია.

ამგვარად, შემეცნების აბსტრაქტული ეტაპი არის სინამდვილის შემეცნების აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობა.

სინამდვილე არის შინაგანის და გარეგანის, არსების და მოვლენის, ზოგადის და ერთეულის, აუცილებელის და შემთხვევითის ერთიანობა. სინამდვილის გარეგან მხარეს წვდება აღქმა, ხოლო შინაგანს — ცნება. ორივე ერთად საშუალებას იძლევა შევიმეცნოთ სინამდვილე მთლიანად.

მაშასადამე, გრძნობადი და აბსტრაქტული შემეცნება ერთად საშუალებას იძლევა შევიმეცნოთ სინამდვილე მთლიანობაში, ე. ი. მისი გარეგანი და შინაგანი მხარე. ამის გამო **შემეცნების გრძნობადი და აბსტრაქტული ეტაპების ერთიანობა არის სინამდვილის შემეცნების აუცილებელი და საკმარისი პირობა.**

სინამდვილის ნებისმიერი სფეროს შემეცნება იწყება გრძნობადი შემეცნებით და გადადის აბსტრაქტულზე. ისინი ერთმანეთს ვერ შეცვლიან ყოველ

მათგანს თავისი ადგილი და როლი აქვს შემეცნების პროცესში. სინამდვილის შემეცნება გრძნობადის და აბსტრაქტულის ანუ აღქმისეულის და ცნებისეულის ერთიანობაა. ისინი ერთმანეთს ავსებენ და ურთიერთდამატებად მოადგენენ. გრძნობადი შემეცნება ადამიანს აძლევს ინფორმაციას სინამდვილის საგნებისა და მოვლენების შესახებ მიღებული მასალის ანალიზისა და გადამუ შავებს საფუძველზე აბსტრაქტული აზროვნება აყალიბებს ცნებებს, რომელთა მეშვეობით წვდება მათ არსებით და სიღრმისეულ მხარეს. აბსტრაქტული შემეცნება გრძნობადის გარეშე იქნებოდა უსაგნო და ცარიელი. მხოლოდ მასზე დაყრდნობით იძენს იგი საგნობრივ შინაარსს.

მკურნალობის პროცესში ექიმი იწყებს გრძნობადი შემეცნებით. იგი უკვირდება პაციენტს: ისმენს მის ჩივილებს, ათვალიერებს სხეულის ნაწილებს, ეცნობა ანალიზის შედეგებს, რათა მიიღოს რაც შეიძლება მაქსიმალური ინფორმაცია ავადმყოფობის სიმპტომების შესახებ. ყოველივე ეს ხორციელდება აღქმის საფუძველზე. ამის შემდეგ ექიმი ცდილობს გააანალიზოს მიღებული ინფორმაცია. იგი იკვლევს სიმპტომების მიღმა დაფარულ მხარეს, ეძებს მათ გამომწვევ მიზეზებს. განყენებას ახდენს შემთხვევითისა და არაარსებითისაგან, რათა ჩაწვდეს არსებითსა და აუცილებელს. ამაში ეხმარება ის თეორიული ცოდნა, რომელიც მან სწავლის პროცესში შეიძინა, ხოლო შემდგომ პრაქტიკული მუშაობით განამტკიცა და გაამდიდრა. თუ ექიმს არ შესწევს უნარი, გრძნობადი აღქმით მიღებული ინფორმაცია გააანალიზოს აბსტრაქტული აზროვნებით, მაშინ იგი სწორად ვერ დასვამს დიაგნოზს და, რა თქმა უნდა, ვერც სწორად წარმართავს მკურნალობის პროცესს.

ინტუიცია და მისი როლი შემეცნების პროცესში. სიტყვა "ინტუიცია" ლათინური წარმომავლობისაა და ნიშნავს ხედვას, ჭვრეტას, ხილვას. იგი ისეთი ხედვაა, რომელიც არ მოითხოვს შემდგომ დაფუძნებას. ინტუიცია არის შემეცნების განსაკუთრებული უნარი, რომელიც ცდისა და ლოგიკური აზროვნებისაგან დამოუკიდებლად, უშუალოდ წვდება ჭეშმარიტებას. ასეთია ამ სიტყვის საყოველთაოდ მიღებული მნიშვნელობა.

მაგრამ ინტუიციის ბუნების, ადგილისა და როლის საკითხი განსხვავებულად იყო გაგებული. ფილოსოფიაში იგი წარმოადგენდა სერიოზული ბჭობისა და დავის საგანს. გავარკვიოთ ინტუიციის პრობლემის არსი.

ინტუიციის პრობლემის ორი ასპექტი. ინტუიციის პრობლემის განხილვისას განასხვავებენ ორ — ფსიქოლოგიურ და ფილოსოფიურ ასპექტს. პირველი თვალსაზრისით ანალიზისას ინტუიცია არის რაღაცის მიხვედრა, მიგნება, რომელიც არ ემყარება არც ცდას და არც ლოგიკას. ადამიანი უშუალოდ ისე ნათლად და ცხადად ჭვრეტს რაღაცას, რომ მას არ სჭირდება მისი დასაბუთება. რას ემყარება იგი ამ პროცესში? გუმანს, ალღოს, უეცარ განათებას, გაცისკროვნებას, გაელვებას, აღტყინებას და სხვა. ამგვარი ექსტაზი და აღმაფრენა ადამიანს აძლევს საშუალებას უშუალოდ, ყოველგვარი ანალიზის

გარეშე ნათლად და ცხადად დაინახოს საძიებელი დებულების ჭეშმარიტება.

კვლევა-ძიების პროცესში მიხვედრა, მგზნება და უეცარი განათება მნიშვნელოვან როლს ასრულებს. მეცნიერი ზოგჯერ გუმანით გრძნობს საძიებელი ამოცანის გადაწყვეტას, თუმცა მას ნათლად გაცნობიერებული და დასაბუთებული არა აქვს იგი.

ინტუიცია, როგორც მიხვედრა, გუმანი მართლაც მონაწილეობს კვლევა-ძიების პროცესში, რომლის მეშვეობით მეცნიერი ახდენს ახალი ფაქტების აღმოჩენას. ეს არის პიროვნების ფსიქიკური უნარი, რომელიც დამოკიდებულია მის ინდივიდუალურ ნიჭიერებასა და გამოცდილებაზე. ის, რასაც ერთი გუმანით გრძნობს, მეორისათვის — მიუწვდომელია. ვინ, როდის და სად გამოავლენს ამგვარ ხილვას, ამის წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელია, რადგან მას არ განაპირობებს ზოგადი კანონზომიერება. იგი სუბიექტურ-ინდივიდუალური და კონკრეტულ-სიტუაციური ხასიათის მოვლენაა.

მაგრამ აღმოჩენის შემდეგ დებულებას სჭირდება დამტკიცება, რათა მისი ჭეშმარიტება სხვებისათვისაც გახდეს ცხადი და ნათელი. ეს უკვე ობიექტური პროცესია და იგი დამოკიდებულია ლოგიკაზე. აქ გუმანი და მიხვედრა დამტკიცების ობიექტურობას ვერ უზრუნველყოფს. ამგვარად, აღმოჩენის პროცესში მეცნიერი მიმართავს ინტუიციას, ხოლო დამტკიცებისას ემყარება ლოგიკას. ამიტომ პუანკარე ინტუიციას და ლოგიკას შემდეგნაირად მიჯნავდა ერთმანეთისაგან: ინტუიცია არის აღმოჩენის იარაღი, ლოგიკა კი დამტკიცების საშუალება.

ინტუიცია როგორც უეცარი განათება, რომელიც ზოგჯერ გადამწყვეტ როლს ასრულებს აღმოჩენის პროცესში, ფსიქოლოგიური და არა ფილოსოფიური პრობლემაა. იგი პიროვნების ინდივიდუალურ-სუბიექტური უნარია, ამიტომ მისი კვლევა ფსიქოლოგიის, მაგრამ არა ფილოსოფიის საქმეა. ამ უკანასკნელს ინტუიცია აინტერესებს სულ სხვა მხრივ, რომელიც უკვე შეადგენს პრობლემის მეორე ასპექტს. გავაანალიზოთ იგი.

ინტუიციის ფილოსოფიური ასპექტი გულისხმობს ინტუიციური ცოდნის შესაძლებლობის გარკვევას. არსებობს თუ არა ინტუიციური ცოდნა როგორც განსხვავებული ემპირიული და ლოგიკური ცოდნისაგან? — აი, კითხვა, რომელიც ფილოსოფიური ანალიზის ობიექტია.

ამგვარად, ფილოსოფიას ინტუიცია არ აინტერესებს როგორც პიროვნების ფსიქიკური უნარი, რომელიც მონაწილეობს აღმოჩენის პროცესში. იგი მას იკვლევს ინტუიციური ცოდნის თვალსაზრისით. ცდა ემპირიული ცოდნის, ხოლო ლოგიკა ლოგიკური ცოდნის წყაროა. არსებობს თუ არა მათგან განსხვავებული, განსაკუთრებული უნარი — ინტუიციის სახით, რომელიც იქნებოდა ინტუიციური ცოდნის წყარო? — აი კითხვა, რომელსაც პასუხი უნდა გასცეს ფილოსოფიამ.

ინტუიციური ცოდნის თავისებურება. რათა ნათლად გავაცნობიეროთ ინტუიციური ცოდნის თავისებურება, საჭიროა იგი დავახასიათოთ ემპირიულ და ლოგიკურ ცოდნასთან მიმართებაში.

ემპირიული ცოდნა განპირობებულია ცდით. მისი ჭეშმარიტება-მცდარო-

ბის დადგენა ხდება არა უშუალოდ, არამედ გაშუალებით. იგი საჭიროებს დამტკიცებას, რომელიც ემყარება ცდას, ამიტომ მას აქვს არა აბსოლუტურად უტყუარი და უეჭველი, არამედ ალბათური ხასიათი.

ლოგიკური ცოდნა არის დედუქციური — "თუ — მაშინ". მისი ამოსავალია წანამძღვრები, საიდანაც ლოგიკურად გამომდინარეობს დასკვნები. იგი ანალიზური ხასიათისაა, ამიტომ უტყუარი და უეჭველია. მაგრამ მისი უეჭველობა პირობითია (გაშუალებულია), რადგან დამოკიდებულია წანამძღვრებსა და ლოგიკის წესებზე.

ამგვარად, არც ემპირიული და არც ლოგიკური ცოდნა თავისთავად ჭეშმარიტი არ არის. ორივე საჭიროებს დამტკიცებას. ეს ნიშნავს, რომ მათი ჭეშმარიტების დადგენა ხდება არა უშუალოდ, არამედ გაშუალებით. პირველი ემყარება ცდას, მეორე კი ლოგიკას.

ინტუიციური ცოდნა არა თუ განსხვავდება ემპირიული და ლოგიკური ცოდნისაგან, არამედ მათი საპირისპიროა. მას ახასიათებს შემდეგი ნიშნები:

1) იგი არის უშუალო. მისი ჭეშმარიტების წვდომა შესაძლებელია უშუალო ჭვრეტით, ამიტომ მას არ სჭირდება არც ცდისეული შემოწმება და არც ლოგიკური დამტკიცება.

2) იგი არის იმდენად ცხადი და ნათელი, რომ მისი მოაზრება გამორიცხავს ყოველგვარ ეჭვს.

3) იგი აბსოლუტურად უტყუარი და უეჭველი ცოდნაა.

ინტუიციური ცოდნის უტყუარობა და უეჭველობა იმდენად ნათლად მტკიცდება, რომ გამორიცხულია მისი სხვაგვარად მოაზრების შესაძლებლობა. ამის გამო იგი არ მოითხოვს არც ცდისეულ და არც ლოგიკურ დასაბუთებას. უშუალო ჭვრეტა არის ჭეშმარიტების წვდომის აუცილებელი და საკმარისი პირობა.

მაშასადამე, ინტუიციური ცოდნა არის თავისთავად ცხადი და ნათელი დებულება, რომელიც გამორიცხავს ყოველგვარ ეჭვს, ამიტომ მისი სხვაგვარად მოაზრება შეუძლებელია. იგი არ საჭიროებს შემდგომ დამტკიცებას, რადგან მისი ჭეშმარიტება დგინდება უშუალო ჭვრეტის მეშვეობით. ამიტომ არის აბსოლუტურად უტყუარი და უეჭველი.

ინტუიციის სახეები. განასხვავებენ სამი ტიპის ინტუიციას — გრძნობადს, ინტელექტუალურს და მისტიკურს. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ ადამიანის რომელი უნარია მიჩნეული ინტუიციური წვდომის საშუალებად. სამივე შემთხვევაში ინტუიცია არის რაიმეს უშუალო ხილვა. განსხვავება ეხება ჭვრეტის წყაროს. რა საშუალებით ხორციელდება იგი? თუ უშუალო განცდა ხორციელდება გრძნობადი აღქმის მეშვეობით, მაშინ საქმე გვაქვს გრძნობად ინტუიციასთან. თუ უშუალო ხედვა ხორციელდება გონების, ინტელექტის მეშვეობით, მაშინ სახეზეა ინტელექტუალური ინტუიცია. თუ უშუალო ჭვრეტა ხორციელდება რაღაც ზეადამიანური, ზებუნებრივი უნარის საშუალებით, მაშინ საქმე გვაქვს მისტიკურ ინტუიციასთან. იგი ირაციონალური, ზეგონებრივი უნარია.

გრძნობადი ინტუიციის არსებობას ამართლებდნენ კანტი და ფოიერბახი. კანტი

თვლიდა, რომ გრძნობადი ჭვრეტა არის საგნის მოცემულობის, მაგრამ არა შემეცნების საშუალება. ადამიანი იმეცნებს მოვლენებს და არა ნივთებს თავისთავად. რატომ? იმიტომ, რომ მას შეუძლია მხოლოდ იმის შემეცნება, რაც მისთვის უშუალოდ მოცემულია. რადგან ადამიანს აქვს გრძნობადი ჭვრეტის უნარი, ამიტომ მისთვის უშუალოდ მოცემულია მოვლენა, მაგრამ არა ნივთი თავისთავად. მას, რომ ჰქონოდა ინტელექტუალური ინტუიციის უნარი, მაშინ იგი შეძლებდა ნივთების თავისთავადის შემეცნებას. მაგრამ იგი ამ უნარს მოკლებულია, ამიტომ მისი შემეცნება შემოსაზღვრულია მარტოოდენ მოვლენათა სფეროთი.

ფოიერბახი მიიჩნევდა, რომ მხოლოდ გრძნობადი შემეცნებაა ინტუიციური. იგი ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ უპირობო, უეჭველი, ნათელი როგორც მზე არის მხოლოდ გრძნობადი, ამიტომ ინტუიციური შემეცნების გასაღები მოცემულია გრძნობად ჭვრეტაში.

ინტელექტუალურ ინტუიციას აღიარებდნენ ახალი დროის რაციონალისტები — დეკარტე, სპინოზა და ლაიბნიცი. აგრეთვე, XX საუკუნის გამოჩენილი ფილოსოფოსი — ჰუსერლი. დეკარტე წერდა: ინტუიცია მე მესმის არა როგორც გრძნობათა მერყევი მოწმობის რწმენა ან მოუწესრიგებელი წარმოსახვის მცდარი მსჯელობა, არამედ ნათელი და ყურადღებიანი გონების ცნება იმდენად მარტივი და მკაფიო, რომ იგი არ ტოვებს არავითარ ეჭვს იმაში, რასაც ჩვენ ვიაზრებთ. სინათლეს და სიცხადეს წარმოშობს გონების ბუნებრივი სინათლე, რის გამოც იგი იძენს უფრო მეტ უეჭველობას, ვიდრე თვით დედუქცია.

დეკარტეს მიხედვით ინტუიცია გონების, ინტელექტის უნარია, ამიტომ რაციონალურია. მართალია, იგი განსხვავდება ლოგიკური (დემონსტრაციული) აზროვნებისაგან, მაგრამ რჩება რაციონალური შემეცნების ფარგლებში. დეკარტეს ინტელექტუალური ინტუიცია სჭირდება იმისათვის, რომ დაფუძნოს ფილოსოფიის ამოსავალი ძირითადი დებულება, რომელიც იქნება აბსოლუტურად უტყუარი და უეჭველი. მისი აზრით, ასეთი პრინციპია — ვაზროვნებ, მაშასადამე, ვარსებობ.

ჰუსერლი განასხვავებს გრძნობად და ინტელექტუალურ ინტუიციას. პირველი მიმართულია ფაქტზე, რომელიც დროულ-ვრცეულია ანუ რეალურია, მეორე კი — არსებაზე, რომელიც იდეალურია. ინტელექტუალური ინტუიცია არის არსების ჭვრეტა.

რელიგიაში მისტიკური ინტუიციის მაგალითია გამოცხადება, რომლის მეშვეობით ადამიანი უშუალოდ იხილავს ღმერთს. ფილოსოფიაში ამგვარ ინტუიციას აღიარებდნენ პლოტინი და ბერგსონი.

პლოტინი თვლის, რომ ღმერთის წვდომა ადამიანს არ შეუძლია აზროვნების გზით. ამის ერთადერთი საშუალებაა ინტუიცია. ეს არის ექსტაზის, აღტყინების მდგომარეობა, როდესაც სული განერიდება სხეულს და უშუალოდ შეერწყმება ღმერთს. ბერგსონის პოზიცია ინტუიციის შესახებ შემდეგია: გონებას ემყარება მეცნიერება, რომლის მეშვეობით მას შეუძლია შეიმეცნოს არაცოცხალი ბუნება, ე. ი. ის, რაც მკვდარია, უცვლელი და უძრავია. მაგრამ მას არ შეუძლია სიც-

ოცხლის შემეცნება, რადგან იგი დროში მიმდინარე პროცესია, რომელიც განიცდის მუდმივ განახლებას, ინდივიდუალურია და ახასიათებს შემოქმედება. სიცოცხლე, დრო, ინდივიდუალობა და შემოქმედება გონებისათვის მიუწვდომელია. მათი შემეცნება შესაძლებელია მხოლოდ ინტუიციით, უშუალო ჭვრეტით. იგი გვაძლევს იმის საშუალებას, რომ უშუალოდ შევიდეთ საგანში, რათა შევერწყათ იმას, რაც უნიკალურია და ენით გამოუთქმელი. ამგვარ შემეცნებას ახორციელებს ფილოსოფია, ამიტომ იგი მეტაფიზიკაა და არა მეცნიერება.

ჰლოტინისა და ბერგსონის აზრით ინტუიციური ცოდნა ირაციონალურია, რადგან იგი გონებისათვის დაფარული და მიუწვდომელია.

ინტუიტივიზმი. ინტუიტივიზმი არის მოძღვრება, რომელიც ინტუიციას მიიჩნევს ფილოსოფიური ცოდნის მოპოვებისა და დაფუძნების ერთადერთ საშუალებად. ფილოსოფიის საფუძველია არა ცდა ან ლოგიკა, არამედ ინტუიცია. სწორედ ეს უკანასკნელია ფილოსოფიური შემეცნების მეთოდი — ასეთია ინტუიტივიზმის ამოსავალი პრინციპი.

მაგრამ ინტუიციის აღიარება და გამართლება ჯერ კიდევ არ ნიშნავს ინტუიტივიზმს. შეიძლება აღიარო ინტუიცია, მაგრამ არ იყო ინტუიტივისტი. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ტიპის ინტუიციის გამართლებას ეხება ბჭობა. გრძნობადი ინტუიცია არ გადის ემპირიზმის ფარგლებს გარეთ. ფოიერბახი რჩება ემპირიკოსად, როდესაც მიიჩნევს, რომ არსებობს გრძნობად-ინტუიციური შემეცნება.

ინტელექტუალური ინტუიციის გამართლება შესაძლებელია რაციონალიზმის ფარგლებში. დეკარტე თვლის, რომ ინტელექტუალური ინტუიცია რაციონალური შემეცნების უმაღლესი საფეხურია. იგი არ არის დემონსტრაციული (ლოგიკურად დასაბუთებადი), მაგრამ რაციონალურია, რადგან მისი უშუალო ხედვა ხორციელდება გონების (რაციოს) საშუალებით. მაშასადამე, ინტელექტუალური ინტუიციის აღიარება რაციონალიზმია და არა ინტუიტივიზმი.

ინტუიტივიზმის საფუძველია მხოლოდ მისტიკური ინტუიციის აღიარება. იგი ამართლებს მისტიკურ-ინტუიციური ცოდნის შესაძლებლობას. ადამიანს აქვს რაღაც ზეგონებისეული, ზებუნებრივი უნარი, რომლის მეშვეობით შეუძლია უშუალოდ შეერწყას საგანს და ისე მიიღოს აბსოლუტურად უტყუარი და უეჭველი ცოდნა.

ინტუიტივიზმი უნდა შეფასდეს უარყოფითად, რადგან ადამიანს არ გააჩნია არავითარი ზებუნებრივი უნარი, რომელიც მას საგანთან უშუალო შერწყმის საშუალებას მისცემდა. ღმერთის უშუალო ხილვა, რომელსაც მორწმუნე ექსტაზის მდგომარეობაში განიცდის, ილუზიაა და არა სინამდვილე. სად არის კრიტერიუმი, რომელიც მოჩვენებას გამიჯნავს რეალობისაგან? ამგვარი კრიტერიუმი ინტუიტივიზმს არ გააჩნია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რისთვის მიმართავდნენ ინტუიციას ფილოსოფიაში? რა მიზნით ხდებოდა ფილოსოფიაში ინტუიციის შემოტანა და გამართლება?

ინტუიციას მიმართავდნენ მხოლოდ ის ფილოსოფოსები, რომლებიც ცდილობდნენ აბსოლუტურად უტყუარი და უეჭველი ცოდნის დაფუძნებას. მათი აზრით ამგვარი ხასიათი უნდა ჰქონდეს ფილოსოფიის ამოსავალ საწყის დებულებას. თუ ფილოსოფიური სისტემა დაეფუძნებოდა ალბათურ ან საეჭვო პრინციპს, მაშინ მისი შინაარსიც შესაბამის სახეს მიიღებდა. ვისაც სურდა, რომ აეგო უტყუარი და უეჭველი სისტემა, იგი ცდილობდა მოეპოვებინა აბსოლუტურად სარწმუნო დებულება, რომელიც გამორიცხავდა ყოველგვარ ეჭვს. რა გზით შეიძლება მოვიპოვოთ ამგვარი პრინციპი?

ცდის საფუძველზე შესაძლებელია მხოლოდ ალბათური ცოდნის მოპოვება, ამიტომ იგი არ გამოდგება აღნიშნული პრინციპის დასადგენად. არც ლოგიკა იძლევა ამის საშუალებას. ლოგიკური დამტკიცება ემყარება წანამძღვრების დაშვებას. იგი სადღაც უნდა შეწყდეს, რათა საწყისი დებულებები დამტკიცების გარეშე მივიღოთ. მათი დაფუძნება ლოგიკური საშუალებებით შეუძლებელია.

ამგვარად, არც ცდა და არც ლოგიკა არ გამოადგებათ იმ ფილოსოფოსებს, რომლებიც ცდილობენ აბსოლუტურად უტყუარი და უეჭველი ცოდნის დაფუძნებას. იმისათვის, რომ ამგვარი ცოდნა გაამართლონ, ისინი იძულებულნი არიან მიმართონ ინტუიციას. მხოლოდ უშუალო ჭვრეტა იძლევა იმის გარანტიას, რომ ფილოსოფიურ სისტემას მოეძებნოს მყარი და საიმედო დასაყრდენი.

ფილოსოფიის ისტორიაში არსებობდა ისეთი მიმართულებაც, რომელიც საერთოდ უარყოფდა ინტუიციური ცოდნის შესაძლებლობას. ამის გამო იგი არ ამართლებს ინტუიციას, როგორც განსაკუთრებული ტიპის ცოდნის დაფუძნების საშუალებას. სანიმუშოდ შეიძლება დავასახელოთ ლოგიკური პოზიტივიზმი. იგი ამართლებს მხოლოდ ორი სახის ცოდნას — ემპირიულს და ლოგიკურს. პირველი შეიცავს ცოდნას ფაქტის შესახებ, ემყარება ცდას, ამიტომ სინთეზურია და ალბათური. მეორე არაფერს არ ამტკიცებს ფაქტის შესახებ, ამიტომ აპრიორულია. იგი ლოგიკურად უტყუარია, რადგან ანალიზური და ტავტოლოგიურია. სხვა სახის ცოდნა, რომელიც ინტუიციას დაემყარებოდა, არ არსებობს.

ამგვარად, ლოგიკურმა პოზიტივიზმმა სინამდვილის შესახებ გაამართლა მხოლოდ ალბათური ცოდნა, რითაც გამორიცხა აბსოლუტურად უტყუარი და უეჭველი ცოდნის შესაძლებლობა. ბუნებრივია, რომ მან უარყო ინტუიცია როგორც ცოდნა. არ შეიძლება ინტუიცია იყოს ცოდნა და პირიქით, ცოდნა ინტუიციური. მათი შერწყმა პრინციპულად შეუძლებელია.

მეცნიერება და ინტუიცია. როგორც ვნახეთ, ინტუიციურ ცოდნასთან დაკავშირებით ფილოსოფიაში ჩამოყალიბდა ორი მიმართულება: ერთი, რომელიც ამართლებს მის შესაძლებლობას, ხოლო მეორე — უარყოფს მას. ახლა გავარკვიოთ საკითხი იმის თაობაზე თუ რომელი პოზიცია მივიჩნიოთ მართებულად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უპირველეს ყოვლისა, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ინტუიტივიზმი როგორც ფილოსოფიური მიმართულება მიუღებელია. იგი ეწინააღმდეგება თანამედროვე მეცნიერებას ორი მიზეზის გამო: ჯერ-ერთი, მეცნიერება გამორიცხავს მისტიკურ- ინტუიციურ ცოდნას, რადგან იგი არ არის ობიექტური და ინტერსუბიექტურად დასაბუთებადი, მეორე, მეცნიერება არ ამართლებს აბსოლუტურად უტყუარი და უეჭველი ცოდნის შესაძლებლობას. იგი აღიარებს ცოდნის უტყუარობას და უეჭველობას მხოლოდ შეფარდებით, გარკვეული პირობით. მაგალითად, ემპირიული ცოდნა უეჭველია ცდის, ხოლო ლოგიკური ცოდნა — ლოგიკის ფარგლებში. მაგრამ თავისთავად ცხადი და ნათელი ცოდნა, რომელიც გამორიცხავდა ყოველგვარი ეჭვის შესაძლებლობას, არ არსებობს. მეცნიერებისათვის მიუღებელია დებულება, რომელიც არ საჭიროებს დასაბუთებას.

ინტუიტივიზმის მიუღებლობა ხომ არ გულისხმობს საერთოდ ინტუიციური ცოდნის უარყოფას? ცხადია, არა. ინტუიტივიზმის უკუგდებით ჩვენ უარვყოფთ მისტიკურ-ინტუიციური ცოდნის შესაძლებლობას. მაგრამ არსებობს გრძნობად-ინტუიციური და ინტელექტუალურ-ინტუიციური ცოდნა. მათი აღიარება აუცილებლობით არ გულისხმობს ინტუიტივიზმს. საკითხი ისმის ამ ორი ტიპის ინტუიციური ცოდნის შესახებ. მათი აღიარება თავსებადია თუ არა მეცნიერებასთან?

ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ მეცნიერული შემეცნების პროცესი და მეცნიერების, როგორც სისტემის ჩამოყალიბება. პირველი ემყარება საგანგებო კვლევა-ძიებას, რომელშიც შეიძლება გამოვყოთ ორი ძირითადი — გრძნობადი და აბსტრაქტული ეტაპი. ორივე ეტაპზე ინტუიცია, ადამიანის სხვა ფსიქიკურ უნარებთან ერთად, მონაწილეობს და მნიშვნელოვან როლს ასრულებს შემეცნების პროცესში. მაგრამ არ არსებობს ინტუიციური შემეცნება როგორც დამოუკიდებელი, რომელიც იქნებოდა შემეცნების პროცესის მესამე ეტაპი. გუმანი, მიხვედრა, უეცარი განათება და ა.შ. ეხმარება მეცნიერს ფაქტების და იდეების მიგნებაში. ეს არის აღმოჩენის პროცესი, რომელშიც მნიშვნელოვან როლს ინტუიციაც ასრულებს.

მაგრამ სულ სხვა ხასიათი აქვს მეცნიერების როგორც სისტემის ჩამოყალიბებას. იგი მოიცავს არა თვითონ კვლევა-ძიების პროცესს, არამედ მის შედეგებს. ის, რაც მეცნიერმა გამოიკვლია, კრიტიკულად შეამოწმა და გარკვეული უტყუარობით დაასაბუთა, შედის მეცნიერულ სისტემაში. იგი უკვე ცნებათა და დებულებათა სისტემაა. მისი ავება მოითხოვს ორი პროცედურის შესრულებას: ცნებათა განსაზღვრებას და დებულებათა დამტკიცებას. ბუნებრივია, რომ ეს პროცესი უსასრულოდ ვერ გაგრძელდება. ცნებათა განსაზღვრება ემყარება საწყის ცნებებს, რომლებიც მიიღება განსაზღვრების გარეშე, ხოლო დებულებათა დამტკიცება — საწყის დებულებებს, რომლებიც მიიღება დამტკიცების გარეშე. ხომ არ გულისხმობს მათი შემოტანა ინტუიციის მოშველიებას? ხომ არ არის ინტუიციური ცოდნა მეცნიერების აუცილებელი შემადგენელი ნაწილი? ამ კითხვებს უნდა გაეცეს უარყოფითი პასუხი. მეცნიერული სისტემის აგებისას საწყისი ცნებების და დებულე-

ბების შემოტანა ემყარება არა ინტუიციურ ცოდნას, არამედ კრიტიკულ ანალიზს, არჩევანსა და შეთანხმებას. განვიხილოთ ეს საკითხი აქსიომის მაგალითზე.

რა არის აქსიომა? აქსიომას უწოდებენ ფორმალური მეცნიერების საწყის დებულებას, რომელიც მიღებულია დამტკიცების გარეშე.

აქსიომის ორგვარი გაგება არსებობს — ტრადიციული და თანამედროვე. პირველი სათავეს იღებს ევკლიდეს გეომეტრიიდან და გრძელდება XIX საუკუნის პირველ ნახევრამდე. მეორე იწყება მას შემდეგ, რაც შეიქმნა არაევკლიდური გეომეტრიები და საბოლოო სახით ჩამოყალიბდა თანამედროვე მეცნიერების ლოგიკაში.

ტრადიციული გაგებით აქსიომა არის თავისთავად ცხადი და ნათელი დებულება, რომელიც არ საჭიროებს დამტკიცებას. იგი დგინდება უშუალოდ, ინტუიციის გზით. თეორემა კი ისეთი დებულებაა, რომელიც აუცილებლად მოითხოვს დამტკიცებას. ამიტომ განსხვავება აქსიომასა და თეორემას შორის აბსოლუტურია: აქსიომა არ შეიძლება იყოს თეორემა და პირიქით.

თანამედროვე გაგებით აქსიომა შეიძლება იყოს თეორიის ნებისმიერი დებულება, რომელიც მიიღება დამტკიცების გარეშე. მაგრამ არა იმიტომ, რომ დამტკიცებას არ საჭიროებს, რადგან თავისთავად ცხადი და ნათელია, არამედ იმიტომ, რომ ჩვენ ვღებულობთ მას დამტკიცების გარეშე.

განსხვავება აქსიომასა და თეორემას შორის არ არის აბსოლუტური. დებულება, რომელიც ერთ სისტემაში აქსიომაა, შეიძლება სხვა სისტემაში დამტკიცდეს როგორც თეორემა. მაგალითად, ევკლიდეს გეომეტრიის ერთ-ერთი აქსიომაა დებულება წრფეთა პარალელურობის შესახებ, ხოლო დებულება, რომ სამკუთხედის კუთხეების ჯამი 180^0-ის ტოლია, არის თეორემა. შეიძლება ევკლიდეს გეომეტრია ისე აიგოს, რომ აქსიომად მივიღოთ დებულება სამკუთხედის კუთხეების ჯამის შესახებ, ხოლო დებულება წრფეთა პარალელურობის შესახებ დამტკიცდეს როგორც თეორემა.

აღნიშნული გარემოება მეტყველებს იმაზე, რომ აქსიომასა და თეორემას შორის პრინციპული განსხვავება არაა. მკვდარია ტრადიციული თვალსაზრისი, რომელიც პირველს მიიჩნევს ინტუიციურად ცხად და ნათელ დებულებად, ხოლო მეორეს — არა. ორივე მოკლებულია უტყუარობას და უეჭველობას, ამიტომ დასაბუთებას საჭიროებს როგორც პირველი, ისე მეორე. მათ შორის განსხვავება მხოლოდ პირობითია, რადგან აქსიომა მიღებულია დამტკიცების გარეშე, თეორემა კი მასზე დაყრდნობით მტკიცდება. შეიძლება პირიქითაც მოხდარიყო — თეორემა მივიღო აქსიომად და მასზე დაყრდნობით დაგვემტკიცებინა ის, რაც ადრე აქსიომად იყო მიჩნეული.

რა განაპირობებს აქსიომის მიღების აუცილებლობას? ის გარემოება, რომ დამტკიცება შეუძლებელია უსასრულო რეგრესის პირობებში. საჭიროა სადღაც მისი შეწყვეტა, რაც ხორციელდება სწორედ იმით, რომ დამტკიცების გარეშე ვღებულობთ საწყის დებულებებს. ეს არის იძულებითი ნაბიჯი, რომლის თავიდან აცილება შეუძლებელია. მაგრამ ამოცანა ისაა, რომ დამტკიცების გარეშე მივიღოთ რაც შეიძლება დებულებათა მხოლოდ მცირე რაოდენობა, რაოა მაოზე დაყრდ-

ნობით შევძლოთ დებულებათა დიდი რაოდენობის დამტკიცება.

აქსიომების არჩევა ხდება არა თეორიული, არამედ პრაქტიკული მოსაზრებების საფუძველზე. ეს ნიშნავს, რომ საკითხი დგას არა მათი ჭეშმარიტება-მცდარობის, არამედ მიზანშეწონილების, ეფექტურობის შესახებ. არსებობს რამდენიმე პრაქტიკული ხასიათის მოთხოვნა, რომელთაც აქსიომების არჩევა უნდა აკმაყოფილებდეს. კონკრეტულად თუ რომელ დებულებებს მივიღებთ აქსიომებად, ეს უკვე ჩვენი საქმეა.

აქსიომის ბუნების თანამედროვე გაგება უფლებას გვაძლევს გავაკეთოთ ზოგადი ხასიათის დასკვნა. ნებისმიერი მეცნიერული სისტემა შეიცავს დებულებებს, რომლებიც მიღებულია დამტკიცების გარეშე. მაგრამ არა იმიტომ, რომ ისინი ინტუიციურად ჭეშმარიტი, თავისთავად ცხადი და ნათელი დებულებებია, რომლებიც არ საჭიროებენ დამტკიცებას, არამედ მხოლოდ პრაქტიკული მოსაზრებების გამო. რასაკვირველია, ყოველი დებულება, მათ შორის საწყისიც, საჭიროებს დამტკიცებას, მაგრამ ეს პრაქტიკულად შეუძლებელია, ამიტომ მათ ვღებულობთ როგორც დაშვებებს. სხვაგვარად დამტკიცების პროცესი საერთოდ ვერ განხორციელდებოდა, რადგან თავიდან ვერ ავიცილებდით უსასრულობაში რეგრესს.

ამგვარად, მეცნიერება არ შეიცავს ინტუიციურ ცოდნას როგორც აუცილებელ შემადგენელ მომენტს. მათი ერთმანეთთან შეთავსება გამორიცხულია.

ინტუიციური ცოდნის შესაძლებლობის პრობლემა. მეცნიერების ფარგლებში შეუძლებელია ინტუიციური ცოდნის არსებობა. მაგრამ აქედან არ გამომდინარეობს მისი შესაძლებლობის უარყოფა. შეიძლება იგი არსებობს როგორც არამეცნიერული ცოდნა. საკითხი დგება ასე: შესაძლებელია თუ არა საზოგადოდ ინტუიციური ცოდნის არსებობა? ამ კითხვას უნდა გაეცეს დადებითი პასუხი. გავარკვიოთ მისი ბუნება.

ჩვენ უარვყავით მისტიკურ-ინტუიციური ცოდნა, რადგან იგი წმინდა სუბიექტური ხილვაა, რომელიც მოკლებულია ინტერსუბიექტური შემოწმების შესაძლებლობას. იგი მოჩვენებაა და არა რეალობა. მაგრამ სხვაგვარად წყდება საკითხი გრძნობად-ინტუიციური ცოდნის შესაძლებლობის შესახებ.

გრძნობად-ინტუიციური ცოდნა არის ცოდნა, რომელიც უშუალოდ მიწვდომება გრძნობის ორგანოების საშუალებით. იგი არ საჭიროებს შემდგომ დამტკიცებას, რადგან მისი ჭეშმარიტების გარანტია არის უშუალო გრძნობადი ჭვრეტა. მაგალითად, დებულება — "მე ვხედავ, რომ მზე ანათებს" ატარებს გრძნობად-ინტუიციურ ხასიათს. მისგან განსხვავდება მტკიცება — "მზე ანათებს". ეს უკანასკნელი ემპირიული დებულებაა, რომელიც ემყარება ცდას და საჭიროებს ცდისეულ შემოწმებას. პირველი დებულება ამტკიცებს არა იმას, რომ მზე ანათებს, არამედ იმას, რომ მე ვხედავ მის ნათებას. აქ ბჭობა ეხება არა ფაქტს, არამედ ჩემს მიერ ფაქტის უშუალო ხედვას, ამიტომ იგი ინტუიციური და არა ემპირიული ხასიათისაა.

ნებისმიერი გრძნობადი აღქმის მიმართ უნდა განვასხვავოთ ორი ტიპის ცოდნა: პირველი გამოხატავს თვითონ გრძნობად აღქმას, ხოლო მეორე ამ აღქმის საფუძველზე ადგენს რაღაც ფაქტობრივ ვითარებას. პირველი გრძნობად-ინტუიციური, მეორე კი დაკვირვებისეული, ამიტომ ემპირიული ცოდნაა. გრძნობად-ინტუიციური ცოდნა გამოთქვამს იმას, რაც აღქმის მეშვეობით უშუალოდ ეძლევა ადამიანს. მაგალითად, მსჯელობა "მე ვხედავ, რომ ეს ვარდი წითელია". იგი ჩემთვის უშუალოდ მოცემულია ისეთი სიცხადით და სინათლით, რომ გამორიცხავს სხვაგვარად მოაზრების შესაძლებლობას. ამის გამო იგი ჩემთვის აღარ საჭიროებს შემდგომ დამტკიცებას. სულ სხვაგვარი ხასიათისაა დებულება, რომელსაც მე გამოვთქვამ აღნიშნული აღქმის საფუძველზე: "ეს ვარდი წითელია". იგი უკვე ეხება არა ჩემს აღქმას, არამედ თვით ფაქტს, რომ ვარდს ახასიათებს სიწითლის თვისება. პირველი ცოდნის ჭეშმარიტების უეჭველობა და უტყუარობა ჩემთვის უშუალოდ მოცემულია, ამიტომ იგი ინტუიციურია. მეორე ცოდნის ჭეშმარიტების დადგენა დამოკიდებულია ფაქტობრივ ვითარებაზე — შეესაბამება თუ არა იგი მას. მისი უტყუარობა ჩემთვის არ არის უშუალოდ მოცემული. ამიტომ იგი საჭიროებს ცდისეულ შემოწმებას.

გრძნობად-ინტუიციური ცოდნა არის გრძნობადი აღქმის გამომხატველი ცოდნა, რომელიც ყოველ ინდივიდს ეძლევა ისეთი სიცხადით და სინათლით, რომ იგი უშუალოდ განიცდის მისი ჭეშმარიტების უტყუარობას და უეჭველობას. თუმცა ეს უტყუარობა და უეჭველობა არის არა აბსოლუტური, არამედ შეფარდებითი, რადგან განპირობებულია ინდივიდის ფსიქო-ფიზიკური თავისებურებით.

ინტელექტუალურ-ინტუიციური ცოდნის ბუნების გასარკვევად მივმართოთ განსხვავებას თეორიასა და მეტათეორიას შორის. პირველი ბჭობს ობიექტების, მათი თვისებებისა და მიმართებების შესახებ. იგი შეიძლება იყოს ემპირიული ან ლოგიკური. პირველი შემთხვევაში იგი იყენებს დამტკიცების ემპირიულ, ხოლო მეორე შემთხვევაში — ლოგიკურ მეთოდებს. შესაბამისად თეორია ემპირიულად ან ლოგიკურად დამტკიცებადია. მაგრამ თეორიის აგება და მისი დებულებების დამტკიცება საჭიროებს გარკვეულ მოსაზრებებს, რომლებიც ყალიბდება მეტათეორიაში. ეს უკანასკნელი ბჭობს არა ობიექტების, არამედ თვით თეორიის შესახებ. მეტათეორიის საიმედობა და უტყუარობა ემყარება არა დამტკიცებას, არამედ ინტუიციურ სიცხადესა და სინათლეს. შესაძლებელია მოცემული მეტათეორიის დამტკიცება, მაგრამ ამისათვის საჭირო იქნება ახალი მეტათეორიის ჩამოყალიბება. ასე, რომ მეტათეორიულ მსჯელობებს ვერასოდეს თავს ვერ დავაღწევთ. რომელიმე თეორიის აგება აუცილებლობით მოითხოვს შესაბამისი მეტათეორიის ჩამოყალიბებას. იგი მოიცავს ისეთ დებულებებსა და მოსაზრებებს, რომლებიც არის არა დამტკიცებადი, არამედ ინტუიციურად ცხადი და ნათელი.

რა განაპირობებს მეტათეორიის უტყუარობას და უეჭველობას? იგი არ ეფუძნება ცდისეულ ან ლოგიკურ დამტკიცებას. მისი საფუძველია ინტუიცი-

ური სიცხადე და სინათლე, რომელთაც განაპირობებს საღი აზრი ანუ ნორ-მალურ-ადამიანური გონება. ეს არ არის არც კანტის მიერ აღიარებული ტრან-სცენდენტალური ცნობიერება, რომელიც ზოგად-ადამიანურია და ყველასათვის ერთიანია. იგი არც ჰეგელის მიერ აღიარებული აბსოლუტური გონებაა, რომელ-იც ზეადამიანური და ღვთაებრივია.

ნორმალურ-ადამიანური გონება არის ცნობიერება, რომელიც აკმაყოფილებს საღი აზრის მოთხოვნებსა და ნორმებს. იგი ყალიბდება შესაბამის სოციალ-ურ და კულტურულ ვითარებაში. ამიტომ არ არის საყოველთაო და ზოგად-მნიშვნელადი. მას ძალა აქვს მხოლოდ იმ ადამიანებისათვის, რომლებიც მოცემუ-ლი გარემოს მოთხოვნებისა და ნორმების შესაბამისად აზროვნებენ.

მეტათეორიული ცოდნა ემყარება არა დამტკიცებას, არამედ ინტუიციურ სიცხ-ადესა და სინათლეს. მაგრამ ეს არის არა გრძნობადი, არამედ ინტელექტუალური ინტუიცია, რადგან მას საფუძვლად უდევს ნორმალურ-ადამიანური გონების მოთხ-ოვნები და ნორმები. იგი ინტელექტუალურ-ინტუიციური ცოდნაა. მისი უტყუარობა და უეჭველობა არის არა აბსოლუტური, არამედ შეფარდებითი, რადგან მას ძალა აქვს მხოლოდ მოცემულ სოციო-კულტურულ გარემოში.

თანამედროვე მეცნიერება განასხვავებს ლოგიკას და მეტალოგიკას, მათემ-ატიკას და მეტამათემატიკას. ეს განსხვავება შეიძლება განვაზოგადოთ და გავავრცელოთ მთელ მეცნიერებაზე. შესაბამისად ერთმანეთისაგან უნდა გან-ვასხვავოთ მეცნიერება და მეტამეცნიერება. მეცნიერება იძლევა ცოდნას რაღაც ობიექტების, მათი თვისებებისა და მიმართებების შესახებ. მეტამეცნიერება იძლ-ევა ცოდნას თვით მეცნიერების შესახებ.

მეცნიერება არის ცნებათა და დებულებათა ისეთი სისტემა, რომელიც მტ-კიცდება და მოწმდება ინტერსუბიექტური მეთოდების საშუალებით. ფორმალური მეცნიერების მეთოდია ლოგიკური დამტკიცება, რეალური მეცნიერების — ცდის-ეული შემოწმება, ხოლო ისტორიული მეცნიერების — ისტორიული წყაროების კრიტიკული ანალიზი. მეცნიერება გამორიცხავს ინტუიციას. იგი შეიცავს მხოლოდ ისეთ დებულებებს, რომლებიც მოითხოვენ და საჭიროებენ დამტკიცებას.

მაგრამ მეცნიერება, რომ აიგოს და ჩამოყალიბდეს გარკვეულ სისტემად, ამისათვის აუცილებელია მეტამეცნიერება. იგი არის არა მისი შემადგენელი ნაწილი, არამედ მის გარეთაა და ბჭობს მის შესახებ. მეტამეცნიერული ბჭობა ემყარება ინტუიციურ სიცხადეს და სინათლეს, ამიტომ იგი ინტუიციური ხასიათისაა. ამგვარი ცოდნის გარეშე მეცნიერება არ აიგება და არ დაფუძ-ნდება. მაგალითად, ფიზიკამ ცდების შედეგად დაადგინა, რომ წყალი ბარის პირობებში დუღს 100^0 — ცელსიუსის, ხოლო მთის პირობებში — უფრო ნა-კლებ ტემპერატურაზე. ექსპერიმენტატორმა, რომელმაც ეს ცდები ჩაატარა, გრძნობადი აღქმის საფუძველზე უნდა დააფიქსიროს თერმომეტრის სკალის ჩვენება და გამოთქვას დებულება: "მე ვნახე, რომ თერმომეტრის სკალა ამა და ამ დროს, ამა და ამ ადგილას აჩვენებდა ამა და ამ ტემპერატურას".

ფიზიკის მეცნიერებაში შედის არა ეს დებულება, რომელიც ინტუიციური ხასიათისაა, არამედ ცდით დადგენილი და შემოწმებული ფაქტი, რომ წყალი ბარისა და მთის პირობებში დუღს სხვადასხვა ტემპერატურაზე.

ამგვარად, მეტამეცნიერება მოიცავს ინტუიციურ ცოდნას, რომელიც არ არის მეცნიერების შემადგენელი ნაწილი, მაგრამ მის გარეშე მეცნიერება არ აიგება და არ ჩამოყალიბდება.

ინტუიციური ცოდნა შესაძლებელია არა მეცნიერების, არამედ მეტამეცნიერების ფარგლებში. იგი არამეცნიერული ცოდნაა, მაგრამ ისეთი, რომელიც აუცილებელია მეცნიერების აგებისა და დაფუძნებისათვის.

მართალია, მეტაფიზიკა მეცნიერების ფარგლებს მიღმაა, მაგრამ იგი არ არის მეტამეცნიერება, რადგან ბჭობს არა მეცნიერების, არამედ სინამდვილის შესახებ. მისი შემეცნების საგანია ზეგრძნობადი და ზებუნებრივი სინამდვილე, რომლის შემეცნება მეცნიერული მეთოდებით შეუძლებელია. იგი ემყარება სპეკულატურ აზროვნებას ან მისტიკურ ინტუიციას. მეტაფიზიკური ცოდნის ინტერსუბიექტური მეთოდებით შემოწმება და დაფუძნება არ შეიძლება. იგი მეცნიერულის საპირისპირო ანუ ანტიმეცნიერული ცოდნაა. იგი მოკლებულია ინტუიციურ სიცხადეს და სინათლეს. მეტაფიზიკის ფარგლებში ინტუიციური ცოდნის გამართლების შესაძლებლობა გამორიცხულია.

მაშასადამე, ინტუიციური ცოდნა შესაძლებელია როგორც მეტამეცნიერული ცოდნა. იგი ისეთი არამეცნიერული ცოდნაა, რომელიც ეხება მეცნიერების აგებას და დაფუძნებას. ამიტომ ინტუიციური ცოდნა არის მეტამეცნიერული, მაგრამ არა მეტაფიზიკური ცოდნა.

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲣᲚᲘ ᲪᲝᲓᲜᲘᲡ ᲔᲛᲞᲘᲠᲘᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲗᲔᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲓᲝᲜᲔᲔᲑᲘ. განასხვავებენ მეცნიერული ცოდნის ორ — ემპირიულ და თეორიულ დონეს. მოკლედ დავახასიათოთ თითოეული.

ემპირიული დონე ამოსავლად იღებს ცდის შედეგებს და ახდენს მათ ინდუქციურ განზოგადებას. ცდა თანამედროვე მეცნიერების ფუნქციობისა და განვითარების საფუძველია. **ცდა ანუ ექსპერიმენტი არის ხელოვნურ პირობებში მოვლენათა წარმოქმნა და მათზე დაკვირვება.** დაკვირვება არის საგანგებო მიზნით, განსაკუთრებული ყურადღებით გამახვილებული აღქმა. იგი შეიძლება განხორციელდეს ორგვარ — ბუნებრივ და ხელოვნურ პირობებში. პირველ შემთხვევაში ადამიანი არ ერევა მოვლენათა მსვლელობაში, იგი მხოლოდ აკვირდება მათ. მაგალითად — მთვარის დაბნელებაზე დაკვირვება. ადამიანი არ წარმოქმნის ამ მოვლენას, მას მხოლოდ მასზე დაკვირვების წარმოება შეუძლია. ცდის ჩატარება გულისხმობს მოვლენის წარმოქმნას ხელოვნურ პირობებში და მისი მიმდინარეობის წარმართვას ადამიანის მიერ. მეცნიერს შეუძლია მოვლენა გაათავისუფლოს ხელის შემშლელი ფაქტორებისაგან და შექმნას მისი მიმდინარეობის ხელისშემწყობი პირობები, რათა მივიღოთ იგი წმინდა სახით. ბუნებრივ გარემოში მოვლენა გაბუნდოვნებულია, ხშირად დამახინჯებულია. ცდა საშუალებას იძლევა

წარმოვქმნათ პროცესები ჩვენთვის სასურველ პირობებებში და ისე დავუკვირდეთ მათ. ცდის შედეგი აუცილებლად დაკვირვებაში უნდა მოგვეცეს. ასე, რომ ცდა რაგინდ რთული და მრავალმხრივიც არ უნდა იყოს, მისი შედეგების დაფიქსირება ხდება სათანადო ინსტრუმენტების საშუალებით, რომელთა აღწერა გადმოიცემა ოქმისეული წინადადებების საფუძველზე. ოქმისეული ენა ყოველი მეცნიერული კვლევის ემპირიული ბაზისია.

მაგრამ მეცნიერული კვლევის ემპირიული დონე ამით არ ამოიწურება. შემდგომ ხდება ცდის შედეგების განზოგადება, რაც ხორციელდება ინდუქციისა და მისი მეთოდების გამოყენებით. ინდუქცია არის ერთეული ფაქტების განზოგადება და ზოგად ცოდნაზე გადასვლა.

მეცნიერული ცოდნის ემპირიული დონე მოიცავს როგორც ცდის მონაცემებს, ასევე მათ ინდუქციურ განზოგადებას.იგი ცდის მონაცემების განზოგადებაა.

მეცნიერული ცოდნის თეორიული დონე გამოხატავს თეორიის ჩამოყალიბებისა და მისი შედეგების ცდისეული შემოწმების პროცესს. იგი ემპირიული დონის საპირისპიროა. ემპირიული ცოდნა მიიღება ცდის მონაცემების ინდუქციური განზოგადების გზით. თეორიული ცოდნის ჩამოყალიბება ხდება ცდისაგან დამოუკიდებლად — ჰიპოთეზურ-დედუქციური გზით. გარკვეული დაშვებებისა და ჰიპოთეზების საფუძველზე აიგება მათემატიკური თეორია, რომელიც შემდგომ იღებს რეალურ შინაარსს. დამატებითი პოსტულატებისა და დაქვემდებარების წესების შემოტანით იგი უკავშირდება ცდას. ცდის მონაცემების საფუძველზე ხდება თეორიის ნაწილობრივი ინტერპრეტაცია. ამ შემთხვევაში ცდა არის არა თეორიის ჩამოყალიბების საფუძველი, არამედ უკვე ჩამოყალიბებული თეორიის ინტერპრეტაციის და შემოწმების საშუალება. მაგალითად, ფიზიკაში ატომური თეორიის აგება სწორედ აღნიშნული წესით ხდება. ატომური თეორია არ ყალიბდება ცდის მონაცემების განზოგადების გზით, რადგან ატომური და ელემენტარული ნაწილაკები არადაკვირვებადი ობიექტებია. მათი დაკვირვება და ამ გზით შესაბამისი თეორიის აგება შეუძლებელია. აქ თეორიის აგება ხდება ემპირიულის საპირისპირო გზით. ჯერ ვახდენთ თეორიის კონსტრუირებას, ხოლო შემდეგ ვაკავშირებთ ცდასთან. ცდა არის ატომური თეორიის ნაწილობრივი ინტერპრეტაციის და ემპირიული შემოწმების საშუალება.

ამგვარად, მეცნიერული ცოდნის ემპირიული და თეორიული დონე თეორიის აგების ორ ურთიერთსაპირისპირო წესს გამოხატავს: პირველი ამოდის ცდიდან და ინდუქციური განზოგადების გზით მიდის თეორიამდე, ხოლო მეორე — თეორიას აყალიბებს ჰიპოთეზურ-დედუქციური გზით და მიდის ცდისაკენ. ცდა ცოდნის ემპირიული დონის ჩამოყალიბების საფუძველია, ცოდნის თეორიული დონისათვის კი — მისი შედეგების შემოწმების საშუალებაა.

ემპირიზმი და აპრიორიზმი, რაციონალიზმი და ირაციონალიზმი. ფილოსოფიის ისტორიაში არსებობს შემეცნების პროცესის სხვადასხვაგვარი გაგება, რამაც განაპირობა განსხვავებული თეორიების ჩამოყალიბება.

მათ მიეკუთვნება: ემპირიზმი და აპრიორიზმი, რაციონალიზმი და ირაციონალიზმი. მოკლედ გავაანალიზოთ ისინი.

ეროვნული

ემპირიზმი არის თეორია, რომელიც ცდას აღიარებს შემეცნების ერთადერთ წყაროდ. იგი არ უარყოფს გონების, ე. ი. აბსტრაქტული აზროვნების როლს შემეცნების პროცესში, მაგრამ კატეგორიულად კრძალავს მის მიერ ცდის საზღვრებს მიღმა გასვლას. აზროვნება, თუკინდ ოეორიული და აბსტრაქტული, ოღონდ ცდის ფარგლებში –ასეთია ემპირიზმის მოთხოვნა.

ავსტრიელი პოზიტივისტის შლიკის მოხდენილი განმარტებით ემპირიზმი არის თეორია, რომელიც უარყოფს სინთეზურ-აპრიორული ცოდნის შესაძლებლობას. სინთეზური ცოდნა ემპირიულია, ანალიზური კი – აპრიორული. შეუძლებელია, პრინციპულად გამორიცხულია, რომ სინთეზური ცოდნა იყოს აპრიორული. შლიკი კატეგორიულად უარყოფს კანტის თვალსაზრისს, რომელიც ამართლებდა სინთეზურ-აპრიორული ცოდნის შესაძლებლობას. XX საუკუნეში ემპირიზმის სრულყოფილი თეორია ჩამოაყალიბა ლოგიკურმა პოზიტივიზმმა (ვიტგენშტაინი, შლიკი, კარნაპი, რაიხენბახი).

აპრიორიზმი. (ლათ. სიტყვა აპრიორი ნიშნავს ცდამდელს, რაც ცდას წინ უსწრებს) არის თეორია, რომელიც აღიარებს ცდისაგან დამოუკიდებელ ცოდნას სინამდვილის შესახებ. მას შესაძლებლად მიაჩნია რეალობის შემეცნება ცდის გარეშე. ეს ნიშნავს, რომ იგი ამართლებს სინთეზურ-აპრიორულ ცოდნას, ე. ი. ცოდნას, რომელიც ერთდროულად სინთეზურია (ცოდნაა სინამდვილის შესახებ) და აპრიორულია (ცდისაგან დამოუკიდებელია). აპრიორიზმის თეორიული დაფუძნება მოგვცა კანტმა.

ემპირიზმი და აპრიორიზმი ურთიერთგამორიცხული თეორიებია.

რაციონალიზმი არის თეორია, რომელიც გონებას, რაციოს აღიარებს შემეცნების ერთადერთ წყაროდ. გონებას ყველაფრის შემეცნება შეუძლია, მისთვის არაფერია დაფარული და მიუწვდომელი. რაციონალიზმის წარმომადგენელია პლატონი, დეკარტე, სპინოზა და ჰეგელი. ჰეგელმა თავისი ფილოსოფიური სისტემის ამოსავლად მიიღო თეზისი გონების ყოვლადძლიერების შესახებ. გონება იმდენად ძლიერია, რომ მთელი სინამდვილე მისი რეალიზაცია და გამოვლენაა. გონებისათვის არაფერია მისტიკური, ე. ი. დაფარული და საიდუმლო. მას ყველაფერი შეუძლია.

ირაციონალიზმი. (ლათ. სიტყვიდან ირაციონალის ნიშნავს არაგონებისეულს) არის თეორია, რომელიც აღიარებს ზეგონებისეული შემეცნების შესაძლებლობას. იგი არ უარყოფს გონების როლს, მაგრამ თვლის მას შეზღუდულად. არსებობს სინამდვილის ისეთი სფეროები, რომელთა შემეცნება გონებას არ შეუძლია. ისინი მისთვის დაფარულია. მათი წვდომა ხდება ზეგონებისეული უნარებით; მაგალითად, ინტუიციით, გამოცხადებით და ა. შ. ირაციონალიზმის წარმომადგენელია XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისის ფრანგი ფილოსოფოსი ბერგსონი. მოკლედ მისი პოზიცია შემდეგია: გონება (მეცნიერება) იმეცნებს არაცოცხალ ბუნებას. მაგრამ მას არ შეუძლია

სიცოცხლის შემეცნება, რადგან იგი დროში მიმდინარეობს და მუდმივ განახლებას განიცდის, ინდივიდუალურია და ახასიათებს შემოქმედება. სიცოცხლეა დროული ინდივიდუალობა და შემოქმედება გონებისათვის მიუწვდომელია. მათი შემეცნება შეიძლება მხოლოდ ინტუიციის გზით. ინტუიცია არის ინტელექტუალური სიმპათიის სახე, რომელიც საშუალებას გვაძლევს შევიდეთ საგანში და შევერწყათ იმას, რაც უნიკალურია და ენით გამოუთქმელი. ამგვარ შემეცნებას ახორციელებს მეტაფიზიკა. ფილოსოფია არის მეტაფიზიკა და არა მეცნიერება. იგი იძლევა ინტუიციურ ცოდნას, რომელიც ირაციონალურია.

რაციონალიზმი და ირაციონალიზმი ურთიერთგამომრიცხველი თეორიებია.

ადამიანის თავისუფლების პრობლემა

თავისუფლების ცნება. თავისუფლების ცნება ორი — უარყოფითი (ნეგატიური) და დადებითი (პოზიტიური) მნიშვნელობით იხმარება. პირველი გულისხმობს საგნის გათავისუფლებას შეზღუდულობისა და შებოჭილობისაგან, იმ ხელიშემშლელი პირობებისაგან, რომლებიც აბრკოლებენ მის ნორმალურ არსებობასა და ფუნქციობას. ამ აზრით იგი მიეწერება სამყაროს ნებისმიერ მოვლენას, მაგალითად, შემდეგ კონტექსტებში: "მდინარე თავისუფლად მიედინება კალაპოტში", "ჩიტი თავისუფლად დანავარდობს". არც მდინარესა და არც ფრინველს თავისუფლება არ ახასიათებს. მიუხედავად ამისა, გარკვეულ სიტუაციებში მაინც მივაწერთ მათ ამ ნიშანს. მდინარის თავისუფალი დინება ნიშნავს, რომ იგი სრულად გაშლილია კალაპოტში და მის დინებას არ ზღუდავს გარეგანი ფაქტორები. ჩიტის ბუნებრივი მდგომარეობაა თავისუფალი ფრენა. როდესაც იგი გამოშწყვდეული არ არის გალიაში, მაშინ ვამბობთ, რომ იგი თავისუფლად დანავარდობს. ხშირად საზოგადოებრივი მოვლენების მიმართაც იხმარება თავისუფლების ცნება უარყოფითი მნიშვნელობით, მაგალითად, ვამბობთ: "ჩვენმა ჯარებმა გაათავისუფლეს ესა და ეს ქალაქი", "პეტრე გაათავისუფლეს პატიმრობიდან" და სხვა.

ყოველ საგანს აქვს თავისი არსებობისა და ფუნქციობის ბუნებრივი წესი. როდესაც გარეგანი ფაქტორები ხელს უშლიან, ბოჭავენ მის ნორმალურ ქმედებას, მაშინ ვამბობთ, რომ იგი მოკლებულია თავისუფლებას. ნამდვილად კი მას არავითარი თავისუფლება არ ახასიათებს. ამგვარ სიტუაციებში თავისუფლების ცნება იხმარება არასაკუთრივი, უარყოფითი მნიშვნელობით.

მაგრამ თავისუფლების ცნებას აქვს დადებითი მნიშვნელობა, რომელიც გამოხატავს მის საკუთრივ, ჭეშმარიტ აზრისს. ამ აზრით იგი იხმარება მხოლოდ ადამიანის მოქმედების დასახასიათებლად. ადამიანის ქცევა შეიძლება იყოს ან არ იყოს თავისუფალი. ადამიანი თავისუფალია, თუ იგი მოქმედებს საკუთარი ნებით — ნებაყოფლობით, ხოლო არ არის თავისუფალი, თუ მოქმედებს სხვისი ნებით — იძულებით.

ადამიანს აქვს გარკვეული ვიტალური მოთხოვნილებანი, რომლებიც მას აიძულებს შეასრულოს შესაბამისი მოქმედება, რათა დაიკმაყოფილოს ისინი.

იგი ცხოვრობს სოციალურ გარემოში, რომელიც მას აკისრებს მოვალეობებს, სახელმწიფოს მიერ დადგენილია ქცევის ნორმები, რომელთა დაცვა ყოველი მოქალაქისათვის სავალდებულოა. გარდა ამისა, საზოგადოებაში შეიქმნილია ზნეობრივი ნორმები, რომელთა დარღვევა სასტიკ გაკიცხვას იმსახურებს. ადამიანი მათი მხრიდან განიცდის ზეწოლას, ზემოქმედებას, რომელიც განსაზღვრავს მის ქცევას. მაგრამ მას შეუძლია არ დაემორჩილ;ოს ამ მოთხოვნებს და იმოქმედოს მათ წინააღმდეგ. რა ძალაა ისეთი, რომელიც ადამიანს შესაძლებლობას აძლევს წინააღმდეგობა გაუწიოს ამგვარ ზეწოლას და შეასრულოს მისი საპირისპირო ქცევა? ეს არის ნება, რომელიც ცხოველისაგან განსხვავებით ახასიათებს მხოლოდ ადამიანს. ნება არის ცნობიერი გადაწყვეტილების მიღების უნარი, **რომლის საფუძველზეც კეთდება არჩევანი და სრულდება შესაბამისი ქცევა.** მაშასადამე, ნებელობითია ისეთი ქცევა, რომელსაც ადამიანი ასრულებს საკუთარი გადაწყვეტილებით. მაგალითად, სტუდენტს სურს წავიდეს კონცერტზე. მას აქვს ამის მოთხოვნილება, მაგრამ მან ხვალ უნდა ჩააბაროს სერიოზული გამოცდა სპეციალობაში. მას აქვს მოვალეობისა და პასუხისმგებლობის ძლიერი გრძნობა. იგი დგას დილემის წინაშე: სახლში დარჩენა მას მოაკლებს იმ სიამოვნებას, რასაც კონცერტზე მიიღებდა. სტუდენტმა აწონ-დაწონა თავისი ქცევის მოსალოდნელი შედეგები და მიიღო მტკიცე გადაწყვეტილება დარჩეს სახლში და არ წავიდეს კონცერტზე. ეს არის ნებელობითი ქცევა, რომელიც სრულდება ცნობიერად, შეგნებულად მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე.

თავისუფალი ქცევა უსათუოდ ნებელობითია, მაგრამ არა პირიქით – ყოველი ნებელობითი ქცევა არ არის თავისუფალი. ადამიანმა შეიძლება გადაწყვეტილება მიიღოს არა საკუთარი, არამედ სხვისი ნების კარნახით ანუ იძულებით. მაგალითად, ადამიანს არ სურს იქურდოს, მაგრამ იგი ისეთ წრეში მოხვდა, რომელიც მას აიძულებს გადადგას ეს სამარცხვინო ნაბიჯი. მას დაეშუქრნენ მოკვლით, თუ იგი არ მოიპარავდა. მან გაითვალისწინა მოსალოდნელი მძიმე შედეგები, ნათლად გააცნობიერა და მიიღო გადაწყვეტილება, რომ დათანხმებულიყო მისთვის არასასურველ წინადადებას. ამ შემთხვევაში ადამიანმა გააკეთა არჩევანი, მაგრამ არა თავის სურვილით. ამგვარი ქცევა ნებელობითია, მაგრამ არაა თავისუფალი.

თავისუფლება იძულების საპირისპირო ქცევაა. ისინი გამორიცხავენ ერთმანეთს. იქ სადაც იძულებაა, თავისუფლება არ არსებობს და პირიქით. თავისუფალი ქცევა ისეთი ნებელობითი ქცევაა, რომელიც სრულდება ნებაყოფლობით ანუ საკუთარი ნებით. ადამიანი აკეთებს იმას, რაც მას უნდა, რაც მას სურს. იგი ავტონომიური, იძულებისაგან დამოუკიდებელი ქცევაა. მე ვაკეთებ სწორედ იმას, რაც მე მინდა და არა იმას, რაც სხვას უნდა.

მაგრამ თავისუფლება ხომ არ არის თვითნებობა? ეს უკანასკნელი ნებელობითი ქცევაა, როდესაც ადამიანი მოქმედებს თავისი სურვილის შესაბამისად. სწორედ იმას აკეთებს, რაც მას უნდა. ამიტომ სავსებით კანონიერია კითხვა: თავისუფლება და თვითნებობა

ხომ არ ემხვევა ერთმანეთს? ამ კითხვას უნდა გაეცეს უარყოფითი პასუხი. თავისუფლებასა და თვითნებობას შორის არსებითი განსხვავებაა, რაზეც აშკარად მეტყველებს შემდეგი: თვითნებობა ისეთი ქმედებაა, რომელიც ანგარიშს არ უწევს არავითარ აუცილებლობას (არც გარეგანს და არც შინაგანს), მისთვის არ არსებობს შემაკავებელი ფაქტორები. ადამიანი აკეთებს იმას, რაც მას მოესურვება, ასე ვთქვათ, რაც მას მოერიანება. იგი ადამიანის კარიზის, ჟინის განხორციელებაა. ასე იქცევა ტირანი. მაგალითად, რომის იმპერატორის, კალიგულას გადაწყვეტილებით სენატის სხდომებს ესწრებოდა მისი ცხენი. ამის არც კანონიერი და არც ზნეობრივი საფუძველი არსებობდა, მაგრამ იგი მაინც მოხდა, რადგან ასე სურდა ტირანს. ეს იყო მისი ახირება, რომ მოემოქმედა სწორედ ისეთი რამ, რომელიც არ თავსდებოდა არავითარი ადამიანური ნორმების ფარგლებში. თვითნებობა არ არის ჯერარსული ქმედება, ე. ი. ისეთი, რომელიც უნდა შესრულდეს. იგი არ უნდა შესრულდეს, მაგრამ მაინც ხდება, რადგან ასეთია ტირანის კაპრიზი.

თავისუფალი ქცევა ჯერარსულია, ე. ი. ისეთი, რომელიც უნდა შესრულდეს. მისი შესრულება სავალდებულოა, რადგან ამას მოითხოვს შესაბამისი ღირებულებები თუ ზნეობრივი ნორმები. მაგალითად, ადამიანმა სიცოცხლე გაწირა სამშობლოს დასაცავად. მან დათმო ყველაზე ძვირფასი. და ეს გააკეთა შეგნებულად, რადგან ამას მოითხოვდა მისგან სამშობლო და პატრიოტული გრძნობა. რა თქმა უნდა, მას შეეძლო ასე არ მოქცეულიყო და საკუთარი სიცოცხლის გადარჩენის ფასად გამოეჩინა დეზერტირობა. მაგრამ მისი ამგვარი ქმედება წინააღმდეგობაში აღმოჩნდებოდა იმ ზნეობრივ და მოქალაქეობრივ მოვალეობასთან, რომელიც ადამიანისაგან მოითხოვს თავგანწირვას. და მან გააკეთა ის, რაც უნდა გაეკეთებინა, ე. ი. შეასრულა ჯერარსის მოთხოვნა.

თვითნებობის დროს ადამიანი აკეთებს იმას, რაც არ უნდა გააკეთოს. თავისუფლების დროს კი იგი აკეთებს სწორედ იმას, რაც უნდა გააკეთოს. მეორე ჯერარსულია, პირველი — არა. თუ ეს ასეა, მაშინ ჩვენს წინაშე დგება ახალი სიძნელე: ჯერარსი ხომ ნიშნავს იმას, რაც სავალდებულოა, რაც უსათუოდ უნდა განხორციელდეს. ე. ი. მისი შესრულება აუცილებელია. აუცილებლობა ხომ არ გამორიცხავს თავისუფლებას? საჭიროა გაირკვეს აუცილებლობისა და თავისუფლების მიმართების საკითხი. განასხვავებენ ორი სახის — გარეგან და შინაგან აუცილებლობას. გარეგანია აუცილებლობა, როდესაც იგი ცალსახად განპირობებულია გარეგანი ფაქტორებით. იგი გარედანაა თავსმოხვეული ანუ მას აქვს იძულებითი ხასიათი. გარეგანი აუცილებლობა იგივეა, რაც იძულება. შინაგანია აუცილებლობა, რომელიც განპირობებულია შინაგანი ფაქტორებით. მისი საფუძველია საგნის შინაგანი აქტიობა, რომელიც ავტონომიურია, ამიტომ დამოუკიდებელია გარეგანი ფაქტორებისაგან. ადამიანის მიმართ განსხვავება გარეგანსა და შინაგან აუცილებლობას შორის შემდეგია: გარეგანია ის აუცილებლობა, რომელიც ადამიანს თავს ეხვევა გარედან, როგორც იძულება; შინაგანია ის აუცილებლობა, რომელსაც ადამიანი განიცდის როგორც საკუთარ მოთხოვნილებას. იგი მას გარედან თავს არ ეხვევა იძულების

სახით. ეს მისი მოთხოვნილებაა, რომლის გარეშეც მას არსებობა და სიცოცხლე შეუძლებლად მიაჩნია. გავიხსენოთ გერმანელი განმანათლებლის მარტინ ლუთერის (1483-1540) სიტყვები: "მე აქ ვდგავარ და სხვაგვარად არ ძალძიძს. დაე, მფარავდეს ღმერთი". აქ გამოთქმულია ის შინაგანი აუცილებლობა, რომელსაც განიცდიდა ლუთერი. ეს იყო ის მოწოდება, სულის მოთხოვნა, რომელიც მას კარნახობდა მოქცეულიყო ასე და არა სხვაგვარად.

ამგვარად, თავისუფლება უპირისპირდება არა აუცილებლობას საზოგადოდ, არამედ მხოლოდ გარეგან აუცილებლობას (იძულებას). იგი არა თუ უპირისპირდება შინაგან აუცილებლობას, არამედ პრიქით, გულისხმობს მას. თავისუფლება იმ შინაგანი აუცილებლობის რეალიზაციაა, რომელსაც ადამიანი განიცდის როგორც საკუთარ მოთხოვნილებას.

თავისუფლება ისეთი აქტია, სადაც იძულება მოხსნილია და იგი განიცდება, როგორც ადამიანის შინაგანი მოთხოვნილება ანუ საკუთარი აუცილებლობა. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ რწმენის საშუალებით. ადამიანმა უნდა ირწმუნოს, დაიჯეროს რომ აუცილებლობა, რომელიც მან უნდა განახორციელოს, ეს მისი აუცილებლობაა. ე. ი. მან იძულება უნდა გადააქციოს თავის საკუთარ მოთხოვნილებად, ეს კი შესაძლებელია არა ცოდნის, არამედ რწმენის მეშვეობით.

ახლა შეგვიძლია მოკლედ ჩამოვაყალიბოთ თავისუფლების ცნება პოზიტიური მნიშვნელობით: თავისუფლება ნების თავისუფლების პრობლემაა. იგი ისეთი ნებელობითი ქმედებაა, რომელსაც ადამიანი ახორციელებს საკუთარი სურვილით, იგი აკეთებს იმას, რაც მას სურს, მაგრამ მას სწორედ ის სურს, რაც უნდა გააკეთოს, ე. ი. ჯერარსი. თავისუფლება უპირისპირდება თვითნებობას, მაგრამ არა შინაგან აუცილებლობას.

თავისუფლების სტრუქტურა. რა ელემენტებისაგან შედგება თავისუფლება? იგი მოიცავს შემდეგ მომენტებს: ალტერნატივების გაცნობიერება-გადაწყვეტილება (არჩევანი) – რწმენა – მოქმედება-პასუხისმგებლობა. მოკლედ დავახასიათოთ თითოეული.

ალტერნატივების გაცნობიერება თავისუფლების აუცილებელი მომენტია. წარმოვიდგინოთ სამყარო, სადაც ყველაფერი გარდაუვალია და გამორიცხულია ყოველგვარი სხვა შესაძლებლობა. ცხადია, ამგვარ სამყაროში არც თავისუფლებაა შესაძლებელი, რადგან არჩევანი აზრს კარგავს. რაც არ უნდა აირჩიოს ადამიანმა, გარდაუვალი მაინც მოხდება. ამიტომ შესაძლებლობების, ალტერნატივების არსებობა თავისუფლების ობიექტური საფუძველია. ადამიანს შეუძლია მათი გაცნობიერება, მოსალოდნელი შედეგების აწონდაწონა და შეფასება.

გადაწყვეტილება, რომელსაც ადამიანი იღებს, ალტერნატივების გაცნობიერებას ეყარება. ამიტომ იგი არჩევანს აკეთებს ცნობიერად, შეგნებულად. რაღაცნაირ არჩევანს ცხოველიც აკეთებს, მაგრამ ეს ინსტინქტურად და არა ცნობიერად ხდება. XIV საუკუნის ფრანგ ფილოსოფოსს – ბურიდანს მიაწერენ მაგალითს, რომელიც "ბურიდანის ვირის" სახელითაა ცნობილი. ვირი რომ მოვათავსოთ ორი ერთნაირი თივის ზვინს შუა, თითქოს მშიერი მოკვდება, რადგან ვერც ერთ მათგანს ვერ მისცემს უპირატესობას, რის გამოც არჩევანს ვერ გააკეთებს, ამიტომ შიმშილით ამოძვრება სული. ვირი არც ისე სულელი ცხოველია, რომ ყოყმანსა და ფილოსოფიურ ეჭვებს მიაკვლევინოს თავი.

იგი სწრაფად მიიღებს გადაწყვეტილებას, ჯერ ერთ ზვინს მოულებს ბოლოს, ხოლო შემდეგ — მეორეს. მაგრამ ამას იგი აკეთებს არა ცნობიერად, შეგნებულად, არამედ ინსტინქტურად. შიშილის ინსტინქტი აიძულებს მას განახორციელოს ეგზისტენციალური ფაქტობრივად ეს არც არის არჩევანი. იგი იძულებითია და არა თავისუფალი.

ანალოგიურ სიტუაციაში ადამიანი გააცნობიერებს მოსალოდნელ შედეგებს და მიიღებს სათანადო გადაწყვეტილებას. იგი ნათლად გაიაზრებს იმ საგალალო შედეგს, რომელიც შეიძლება მოჰყვეს მის ყოყმანსა და გაუბედაობას. მას შიშილით სიკვდილი მოელის. ამის გამო იგი სრულიად შეგნებულად და მიზანდასახულად მიიღებს გადაწყვეტილებას, რათა მოახდინოს შესაბამისი არჩევანი.

მაგრამ ალტერნატივების გაცნობიერება და შეგნებული არჩევანი არ არის თავისუფლების საკმარისი პირობა. ამისათვის აუცილებელია იძულების მოხსნა, რათა იგი გადაიქცეს ჩემს საკუთარ მოთხოვნილებად, ე. ი. დაემთხვეს ჩემს სურვილს. მე თვითონ უნდა მინდოდეს, მსურდეს იგი. ვთქვათ, მე გავაცნობიერე სიკვდილის გარდაუვალობა. იგი ჩემში იწვევს შიშსა და ძრწოლას. ვარ თუ არა მე თავისუფალი? რასაკვირველია, არა, რადგან მე მას განვიცდი როგორც იძულებას, რომელიც ჩემი სურვილის საწინააღმდეგოდ აუცილებლად აღსრულდება. მე თავისუფალი ვიქნები იმ შემთხვევაში, თუ მას მივიღებ ნებაყოფლობით, როგორც ჩემთვის სასურველს, რომელიც მე თვითონ მინდა. მე იგი უნდა ვაქციო ჩემს შინაგან მოთხოვნილებად. მაგრამ ამას გარდაუვალობის ვერავითარი გაცნობიერება ვერ უშველის. ცოდნა იმისა, რომ სიკვდილი გარდაუვალია, მე თავისუფალს ვერ გამხდის. ამისათვის აუცილებელია ვირწმუნო, რომ იგი ჩემს სურვილს ემთხვევა, რომ იგი სწორედ ისაა, რაც მე ძალიან მინდა. ამის საფუძველი კი არის არა ცოდნა, არამედ რწმენა. გავაანალიზოთ ფაქტი, რომელიც ეხება ძველ ბერძენ ფილოსოფოსს — სოკრატეს. მას სასამართლომ სიკვდილის განაჩენი გამოუტანა. საპატიმროში მყოფ სოკრატეს მოწაფეები სთავაზობდნენ გაქცევას, რაზეც მან კატეგორიული უარი განაცხადა და ნებაყოფლობით დალია საწამლავი, რის შედეგად გარდაიცვალა. რამ განაპირობა სოკრატეს ამგვარი ნაბიჯი? რწმენამ. მას სჯეროდა სულის უკვდავება, რომ სიკვდილის შემდეგ სული თავისუფლდება სხეულის ბორკილებისაგან და იწყებს ჭეშმარიტ, ნამდვილ ცხოვრებას. მან არა მარტო იცოდა ეს გარემოება, არამედ სწამდა კიდეც. უფრო სწორად, მისთვის სულის უკვდავების ცოდნა იგივე რწმენა იყო, რამაც მას სრულიად შეგნებულად, ყოველგვარი შიშისა და დრტვინვის გარეშე გადაადგმევინა აღნიშნული ნაბიჯი. სოკრატეს ეს ქცევა იყო თავისუფალი და არა იძულებითი.

თავისუფლების აუცილებელი მომენტია ქცევა. ეს არის ნებელობითი ქცევა, რომელიც ავტონომიურია, ე. ი. იძულებისაგან დამოუკიდებელია და სრულდება ადამიანის სურვილის მიხედვით.

დასასრულ, თავისუფლების ფუნქციაა პასუხისმგებლობა. იქ, სადაც თავისუფლება არაა, არც პასუხისმგებლობაა. არც ბუნება და არც ცხოველი პასუხს არაფერზე

აგებენ, რადგან მათ თავისუფლება არ ახასიათებთ. მხოლოდ ადამიანია თავისუფალი, ამიტომ პასუხისმგებლობაც მას ეკისრება. ეს არის მძიმე ტვირთი, რომელიც ტარებაც მას ბედმა განუწესა. ყოველი ადამიანი პასუხისმგებელია თავისი ქმედებისათვის. იგი მას თავიდან ვერ მოიცილებს და ვერც სხვას გადააბარებს. ფრანგი ფილოსოფოსის – სარტრის აზრით ადამიანს მისჯილი აქვს თავისუფლება და თუ ეს ასეა, მაშინ პასუხისმგებლობაც აქვს მისჯილი. ეს არის წყევლა, რომელიც ადამიანის ხვედრია და, რომელსაც იგი ვერასოდეს გაექცევა.

თავისუფლების დეტერმინირებულობის ხასიათი. თავისუფლება არ არის თვითნებობა, ამიტომ გარკვეულწილად დეტერმინირებულია, ე. ი. განპირობებულია. მაგრამ როგორია მისი დეტერმინაციის ხასიათი? დეტერმინაციის ერთ-ერთი ფორმაა მიზეზობრიობა. არის თუ არა თავისუფლება მიზეზობრივად განპირობებული? არა, არ არის და პრინციპულად არც შეიძლება იყოს. მიზეზობრიობა და თავისუფლება შეუთავსებადი მოვლენებია. მიზეზობრიობის ფარგლებში თავისუფლების არსებობა შეუძლებელია. ამას განსაზღვრავს მიზეზობრიობის ხასიათი. საქმე ისაა, რომ მიზეზი აუცილებლობით იწვევს შედეგს. ეს არის გარეგანი აუცილებლობა, სადაც მიზეზი აიძულებს შედეგს იყოს სწორედ ისეთი, როგორც იგი მოხდა. შედეგი რომ ასეთია და არა სხვაგვარი, ეს ცალსახად განსაზღვრა მიზეზმა. შედეგი არ ირჩევს თავის თავს, მისი არსებობა დამოკიდებულია მიზეზზე.

მიზეზობრივი ჯაჭვი არის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის უწყვეტობა, სადაც უმიზეზო მოვლენა არ არსებობს. ყოველი ხდომილობა რაღაცის შედეგია, რომელიც თავის მხრივ სხვა მოვლენის მიზეზია და ა. შ. დაუსრულებლივ. ამ ჯაჭვს არც დასაწყისი აქვს და არც ბოლო. ამ პროცესში არ მოიძებნება არც ერთი ხდომილობა, რომელიც იქნება ავტონომიური, ე. ი. დამოუკიდებელი მიზეზისაგან. თავისუფლება კი ქცევის ავტონომიურობას გულისხმობს. თუ იგი მიზეზობრივ ჯაჭვშია ჩართული, მაშინ გამორიცხულია მისი თავისუფალი ხასიათი. თუ ნება მიზეზითაა განპირობებული, მაშინ მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება (არჩევანი) იძულებითია და იგი შეუძლებელია იყოს თავისუფალი.

მიზეზობრივი დეტერმინიზმი, რომელიც აღიარებს მიზეზობრიობის უნივერსალიზაციას, კატეგორიულად უარყოფს თავისუფლების არსებობას. ყოველ მოვლენას მიზეზი აქვს. უმიზეზო მოვლენა არ არსებობს. ადამიანი და მისი ნებაც ბუნების ერთ-ერთი მოვლენაა, რომელიც ჩართულია მიზეზობრივ ჯაჭვში. ისიც მკაცრად ექვემდებარება მიზეზობრიობის პრინციპს. ადამიანი, რომ ნების საფუძველზე გადაწყვეტილებას იღებს, ამას თავისი მიზეზი აქვს, ამიტომ იგი ცალსახადაა განსაზღვრული. მას არ შეეძლო სხვა გადაწყვეტილება მიეღო, რადგან ამას გამორიცხავდა ის მიზეზი, რომელმაც იგი განაპირობა. ადამიანმა არჩევანი გააკეთა, მაგრამ იძულებით და არა უმიზეზოდ. ნების თავისუფლება არ არსებობს, რადგან იგი გულისხმობს არჩევანს, რომელსაც მიზეზი არა აქვს. ასეთი რამ კი შეუძლებელია მიზეზობრივ ჯაჭვში.

მიზეზობრივი დეტერმინიზმის წარმომადგენელია სპინოზა. იგი განასხვავებს

თავისუფლების სამ ცნებას: 1) **თავისუფლება, როგორც შინაგანი აუცილებლობა.** იგი ახასიათებს ისეთ საგანს, რომელიც თვითმიზეზის მქონეა. მისი მიზეზია არა მის გარეთ, არამედ თვით მასში. ასეთია სუბსტანცია, რომელიც არის ღმერთი. იგი თავისუფალია, რადგან თვითონაა თავისი თავის მიზეზი, მაგრამ ექვემდებარება აუცილებლობას. მას არ შეუძლია თავისი ნებით და სურვილით მოქმედება. ღმერთს არ ახასიათებს თვითნებობა, ე. ი. უმიზეზობა. ისიც მკაცრად დეტერმინირებულია, მაგრამ არა გარეგანი, არამედ შინაგანი მიზეზობრიობით. თვითმიზეზი განსაზღვრავს შინაგან აუცილებლობას. სწორედ ესაა ღმერთის თავისუფლება.

2) **თავისუფლება, როგორც უმიზეზო მოვლენა.** ეს არის ნების თავისუფლება, რომელიც თვითნებურად, ე. ი. უმიზეზოდ ღებულობს გადაწყვეტილებას და ახდენს არჩევანს. ამგვარი თავისუფლება არ არსებობს, რადგან ეწინააღმდეგება მიზეზობრიობის პრინციპს. იგი ილუზიაა, მოჩვენებაა, რომელიც ემყარება მიზეზების უცოდინარობას. ადამიანს ეჩვენება, რომ მან თვითნებურად მიიღო გადაწყვეტილება, როდესაც არ იცის შესაბამისი მიზეზი, რომელმაც ცალსახად განსაზღვრა მისი არჩევანი.

3) **თავისუფლება, როგორც გონების ბატონობა ვნებებსა და აფექტებზე.** ადამიანი არაა თავისუფალი, როდესაც თავისი ვნებების და ლტოლვების მონაა. იგი თავისუფალია, როდესაც გონივრულად, ე. ი. გონების მეშვეობით იმორჩილებს და წარმართავს მათ. შეძლო თუ არა სპინოზამ თავისუფლების დაფუძნება მიზეზობრიობის ფარგლებში? ამ კითხვას უნდა გაეცეს უარყოფითი პასუხი. ჯერ-ერთი, თავისუფლების გაგება როგორც თვითმიზეზის (შინაგანი აუცილებლობის) არამართებულია. თვითმიზეზის ცნება ლოგიკური წინააღმდეგობის შემცველია. მიზეზი ყოველთვის გარეგანია შედეგის მიმართ. არ არსებობს მოვლენა, რომელიც თავისი თავის მიზეზია. მისი მიზეზი ყოველთვის გარეთაა. თავისუფლება გულისხმობს შინაგან აუცილებლობას, მაგრამ არ არის მისი იგივეობრივი. შინაგანი აუცილებლობა თავისუფლება არაა. მეორე, თავისუფლება არ არის გონების ბატონობა აფექტებზე. ვნებების მოთოკვა და მათი გონივრული მართვა ჯერ კიდევ არ ნიშნავს თავისუფლებას. ეს მისი აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა.

მიზეზობრივი დეტერმინიზმი, რომელიც მიზეზობრიობის უნივერსალიზაციას ახდენს, პრინციპულად ვერ გაამართლებს თავისუფლებას. მიზეზობრივი ჯაჭვის ფარგლებში თავისუფლების არსებობა გამორიცხულია. მიზეზობრიობა ან თავისუფლება — ასეთია დილემა. იგი ნათლად გააცნობიერა კანტმა, რომელმაც ჩამოაყალიბა შედეგი ანტინომიის (წინააღმდეგობის) სახით: ბუნების მოვლენათა სფეროში, სადაც ბატონობს მიზეზობრიობა, არის აუცილებლობა და არა თავისუფლება. თავისუფლება შესაძლებელია იმ სფეროში, სადაც არ მოქმედებს მიზეზობრიობა. ასეთი კი არის არა მოვლენათა, არამედ თავისთავად ნივთების სფერო.

ამგვარად, თავისუფლება არ არის მიზეზობრივად დეტერმინირებული.

ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ იგი საერთოდ არადეტერმინირებულია? არა, არ ნიშნავს. თავისუფლება განპირობებულია, რომლის თავისებურება ისაა, რომ მას აქვს მოტივაციის ხასიათი. ნება ავტონომიურია, დამოუკიდებელია მიზეზისაგან, მაგრამ მოტივირებულია. ადამიანი ღებულობს გადაწყვეტილებას და ახდენს არჩევანს იმის საფუძველზე, რომ აცნობიერებს ალტერნატივებს და ითვალისწინებს მოსალოდნელ შედეგებს. იგი მიმართავს ვარიანტების გათვლას, რომელთაგან ერთ-ერთს აძლევს უპირატესობას. მან არჩევანი გააკეთა სათანადო არგუმენტირების ანუ მოტივირების შემდეგ. აძლენად ადამიანის მიერ მიღებული გადაწყვეტილება მოტივირებულია და არა მიზეზობრივად დეტერმინირებული.

თავისუფლების რაციონალისტური და ირაციონალისტური დაფუძნება. რაციონალიზმი თავისუფლებას ამართლებს გონების, ხოლო იარციონალიზმი — გონების მიღმურ სფეროში. პირველს თავისუფლება ესმის ცოდნის, ხოლო მეორეს — რწმენის ფუნქციად. აქედან მომდინარეობს თავისუფლების ორგვარი — რაციონალისტური და ირაციონალისტური დაფუძნება. მათ შორის განსხვავება ვაჩვენოთ ჰეგელის და კირკეგორის შესედულებათა დაპირისპირების საფუძველზე.

ჰეგელი რაციონალისტია, რომლის თანახმად სინამდვილე აბსოლუტური გონის განხორციელებაა. გონება წარმართავს ისტორიას და არა შემთხვევითობა. ისტორიული პროცესების ზედაპირზე ისე მოჩანს თითქოს აქ ქაოსია და ბატონობს თვითნებობა. თითქოს ადამიანები ახორციელებენ თავიანთ მიზნებს, ვნებებს და ლტოლვებს. მაგრამ ეს ილუზია და მოჩვენებაა, რადგან სინამდვილეში ყველაფერი პირიქითაა. ისტორია მკაცრად დეტერმინირებულია აბსოლუტური გონის მიერ. იგი ადამიანებს აკეთებინებს იმას, რაც მას უნდა. ისინი ახორციელებენ არა თავიანთ, არამედ აბსოლუტური გონის მიზნებს. ისტორია კანონზომიერი პროცესია, სადაც ყველაფერი აუცილებლობითაა განპირობებული და მას განსაზღვრავს აბსოლუტური გონის მიზანი სრულად მოახდინოს თავისი თავის რეალიზაცია.

არის თუ არა ადამიანი თავისუფალი? იგი აბსოლუტური გონის რეალიზაციას ახდენს. ადამიანები ერთმანეთს ებრძვიან, ცდილობენ თავიანთი ვნებები დაიკმაყოფილონ, ილტვიან ძალაუფლების მოსაპოვებლად, თვითნებობენ და ძალმომრეობენ. მაგრამ ინტერესთა ამ შეჯახებასა და დაუნდობელ ჭიდილში აბსოლუტური გონი თავის მიზანს ახორციელებს. ეს ობიექტური აუცილებლობაა, რომელსაც ვერც ერთი ადამიანი, თუნდაც გამოჩენილი, გმირი თავს ვერ დააღწევს. ამ უკანასკნელის უპირატესობა ისაა, რომ იგი ყველაზე უკეთ აცნობიერებს ისტორიულ აუცილებლობას და შეგნებულად იბრძვის მისი რეალიზაციისათვის. მაშასადამე, თავისუფლება არის აუცილებლობის გაცნობიერება. იგი აუცილებლობაა, ოღონდ გაცნობიერებული, შემეცნებული. ადამიანი თავისუფალია, როდესაც მოქმედებს ცნობიერად, ხოლო არ არის თავისუფალი, როდესაც მოქმედებს ბრმად, ცოდნის გარეშე. გონებაა ის იარაღი, რომლის მეშვეობით ადამიანს შეუძლია ეზიაროს თავისუფლებას. თავისუფლების

ძირი ცოდნაა – ასეთია რაციონალიზმის არსი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანიელი ფილოსოფოსი კირკეგორი დაუპირისპირდა ჰეგელიანურ რაციონალიზმს. იგი ირაციონალისტია. მისი ამოსავალია ინდივიდი, პიროვნება, რომელიც ერთეულია და განუმეორებელი. მისი მოქმედების საფუძველი არ შეიძლება იყოს გონება, რადგან იგი ზოგადია და უნივერსალური. არჩევანი, რომელსაც პიროვნება აკეთებს, ინდივიდუალურია, რომელსაც ვერ დააფუძნებს ზოგადი მოსაზრებები. ცოდნა ყოველთვის ზოგადია, ამიტომ იგი არ შეიძლება იყოს თავისუფლების საფუძველი. გონება თავისუფლების მკვლელია – ასკვნის კირკეგორი. თავისუფლების ძირი რწმენაა, რადგან იგი ინდივიდუალური აქტია. ყოველი ადამიანი თვითონ, სხვებისაგან დამოუკიდებლად, ღებულობს გადაწყვეტილებას. ვერავინ სხვა მას ამაში ვერ დაეხმარება. ერთადერთი, რაც ამ აქტს განსაზღვრავს, ეს მისი რწმენაა.

თავისუფლების, როგორც რაციონალისტური, ისე ირაციონალისტური დაფუძნება ცალმხრივია. იგი არც მხოლოდ ცოდნის და არც მხოლოდ რწმენის ფუნქციაა. ორივე მონაწილეობს მის არსებობასა და ფუნქციობაში. ალტერნატივების გაცნობიერება მხოლოდ ცოდნის მეშვეობითაა შესაძლებელი. აუცილებლობის შემეცნება გონების ფუნქციაა. ეს აქტი თავისუფლების აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა. ამისათვის საჭიროა მეორე აქტი, ის რომ აუცილებლობა გადაიქცეს ჩემს საკუთარ მოთხოვნილებად, ჩემს მოწოდებად, რომლის გარეშე სოცოცხლე და არსებობა ვერ წარმომიდგენია. ამის მიღწევა ცოდნის მეშვეობით შეუძლებელია მისი საფუძველია მხოლოდ რწმენა.

ფატალიზმი და ვოლუნტარიზმი. ფატალიზმი და ვოლუნტარიზმი არის თეორიები, რომლებიც ერთმანეთის საპირისპიროდ წყვეტენ ნების თავისუფლების პრობლემას. ფატალიზმი აღიარებს გარდაუვალობას, რომელიც გამორიცხავს შემთხვევითობას. ცხადია, რომ ამგვარ სამყაროში თავისუფლების გამართლება შეუძლებელია. იქ, სადაც არ არსებობს შემთხვევითობა და შესაძლებლობა, ე. ი. ალტერნატივები, თავისუფლებაც მოკლებულია ობიექტურ საფუძველს. რაც არ უნდა არჩევანი გააკეთოს ადამიანმა, რაც არ უნდა მოიმოქმედოს მან, იგი გარდაუვალობას მაინც ვერ შეცვლის. გარდაუვალობა და თავისუფლება ურთიერთგამომრიცხველი ფენომენებია. ფატალიზმი აღიარებს პირველს და, ბუნებრივია, უარყოფს მეორეს.

ფატალიზმი პირველად წარმოიშვა, როგორც ბედისწერის თეორია. იგი მიიჩნევდა, რომ ბედისწერა არის ის ძალა, რომელიც განსაზღვრავს სამყაროში არსებულ მკაცრ აუცილებლობას ანუ გარდაუვალობას. მაგრამ შემდგომ ფილოსოფიის ისტორიაში ამ თეორიის შინაარსი გაფართოვდა და იგი გავრცელდა ისეთ მოძღვრებებზე, რომლებიც საერთოდ არ აღიარებდნენ ბედისწერის არსებობას. მაგალითად, მიზეზობრივი დეტერმინიზმი ფატალიზმია, თუმცა იგი უარყოფს ბედისწერას. რა საერთო აქვს ბედისწერის თეორიას და მიზეზობრივ დეტერმინიზმს? ის, რომ ორივე აღიარებს გარდაუვალობის არსებობას სამყაროში,

თუმცა განსხვავებულად ხსნიან ამ გარდაუვალობის საფუძველს. პირველი მას ხსნის ბედისწერის, ხოლო მეორე – მიზეზობრივი ჯაჭვის მეშვეობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღნიშნულის გამო მიზანშეწონილია ფატალიზმის ძირითად ფრთად მივიჩნიოთ გარდაუვალობის დაფუძნება და არა ბედისწერის აღიარება. ყოველი თეორია, რომელიც მიიჩნევს, რომ სამყაროში გარდაუვალობა ბატონობს, ფატალისტურია, მნიშვნელობა არა აქვს, ამ გარდაუვალობის საფუძვლად მიიღებს ბედისწერას, მიზეზობრიობას, აბსოლუტურ გონს თუ სხვას.

როგორი დამოკიდებულებაა ფატალიზმსა და დეტერმინიზმს შორის? ფატალიზმი უსათუოდ დეტერმინიზმია, მაგრამ პირიქით არ არის სავალდებულო. დეტერმინიზმი შეიძლება არ იყოს ფატალისტური, მაგალითად, სტატისტიკური დეტერმინიზმი.

ფატალიზმის საპირისპირო თეორიაა ვოლუნტარიზმი (ლათ. სიტყვიდან ვოლუნტას, რაც ნიშნავს ნებას). იგი უარყოფს გარდაუვალობას. მას მიაჩნია, რომ სამყარო შემთხვევითობათა ქაოსია, რის გამოც ყველაფერი შესაძლებელია. არ არსებობს ობიექტური კანონზომიერება, რომელიც განსაზღვრავდა მოვლენის მოხდენის აუცილებლობას. იგი ხდება შემთხვევით, რადგან არ არსებობს მიზეზი, რომელიც მას გამოიწვევდა აუცილებლობით.

ანალოგიური მდგომარეობაა ისტორიაშიც. არც აქ არსებობს ობიექტური კანონზომიერება. ყველაფერი შემთხვევითია და შესაძლებელი. რა შეუძლია მოიმოქმედოს ადმიანმა? რისი გაკეთება ძალუძს მას? იგი არ არის შებოჭილი, შეზღუდული რაიმე აუცილებლობით. მას ახასიათებს ნების თავისუფლება, რომელიც არ არის დეტერმინირებული. ადამიანი აკეთებს არჩევანს, რომელიც მთლიანად მასზეა დამოკიდებული. მას შეუძლია განახორციელოს თავისი გადაწყვეტილება, თუ აქტიურად და ენერგიულად იბრძოლებს მისთვის. ეს უკვე დამოკიდებულია ადამიანის ნებაზე, რამდენად ძლიერი და მტკიცეა იგი. საქმე ისაა, რომ ყოველთვის არსებობს ალტერნატიული არჩევანის შესაძლებლობა, რომლისთვისაც იბრძვიან სხვა ადამიანები. მათაც აქვთ ნება და აქტიურობენ რათა განახორციელონ თავიანთი მიზნები და მისწრაფებები. ისტორია არის განსხვავებული ნებისა და ვნებების მქონე ადამიანთა ჭიდილი. გაიმარჯვებს ის, ვისაც აქვს ძლიერი ნება. იგი განსაზღვრავს ისტორიის მსვლელობას. მოხდება თუ არა რაიმე, ეს განპირობებულია არა ობიექტური აუცილებლობით, არამედ ადამიანის ნებით, მისი სიმტკიცით და სიძლიერით.

ვოლუნტარიზმის ერთ-ერთი წარმომადგენელია გერმანელი ფილოსოფოსი ნიცშე (1844-1900). მისი მსოფლმხედველობის ამოსავალი "სიცოცხლის ფილოსოფიაა". იგი სამყაროს განიხილავს სიცოცხლის კანონზომიერების მიხედვით. რა არის მისი ძირითადი თავისებურება? ეს არის ბრძოლა არსებობისათვის. იგი დაუნდობელი და შეურიგებელია. იმარჯვებს ის, ვინც ძლიერია, ხოლო სუსტი მარცხდება. ყოველი ცოცხალი ისწრაფვის ბატონობისაკენ, რაც შეიძლება მეტი ძალა მოიპოვოს და სივრცე დაიპყროს. ამას ნიცშე უწოდებს ძალაუფლების

ნებას. იგი ახასიათებს არა მარტო დამიანს, არამედ ცოცხალის ყოველ სახეობას. ყოველი ხე ისწრაფვის მზისაკენ, რათა დაჩრდილოს სხვა ხეები. ყოველი ცხოველი ცდილობს მოიპოვოს ლიდერობა. ადამიანი იბრძვის, რათა დაჩრდილოს სხვები და იბატონიოს მათზე.

ძალაუფლებისათვის ბრძოლა სასტიკი და დაუნდობელია — გადარჩება ძლიერი და მოისპობა სუსტი. სიცოცხლის განვითარება და ფუნქციობა მოითხოვს ძალას, ენერგიას, ჯანმრთელობას და სიჯანსაღეს. როგორ უნდა მოვეპყრათ სუსტებსა და ავადმყოფებს? მათ, რომ დავეხმაროთ, ეს გამოიწვევდა სუსტებისა და ავადმყოფების გამრავლებას, რაც ეწინააღმდეგება სიცოცხლის განვითარებას. თუ გვინდა, რომ სიცოცხლე გავაძლიეროთ და დავამკვიდროთ, მაშინ ყოველი, რაც ხელს უშლის კი არ უნდა გავამრავლოთ, არამედ მოვსპოთ და გავანადგუროთ. სუსტები და უსუსურნი, ავადმყოფები და მახინჯები უნდა მოისპონ — ასეთია ჩემი კაცთმოყვარების პირველი მცნება, ასკვნის ნიცშე. დაცემული კი არ უნდა წამოაყენო, არამედ ჩაწიხლო — მოგვიწოდებს იგი.

კი, მაგრამ ეს ხომ ამორალურია, არაზნეობრივია — იკითხავს აღშფოთებული მკითხველი? რა არის მორალი? — სვამს კითხვას ნიცშე. იგი ნორმებისა და მცნებების ერთობლიობაა, რომელიც მოგვიწოდებს დავეხმაროთ სუსტს, არ დავჩაგროთ იგი და დავიცვათ ძალმომრეობისაგან. მორალი სჭირდება სუსტს და არა ძლიერს. იგი გამოიგონეს სუსტმა ადამიანებმა, რდგან მათ არ შეუძლიათ საკუთარი თავის დაცვა და მოუწოდებენ სხვებს, რომ დაიცვან ისინი. ძლიერ ადამიანებს მორალი არ სჭირდება. ისინი თვითონ დაიცავენ თავიანთ თავს. რა არის კარგი და რა არის ცუდი? — კითხულობს ნიცშე და პასუხობს: კარგია ის, რაც ძლიერია, ხოლო ცუდია ის, რაც სისუსტეს უწყობს ხელს.

ნიცშე სასტიკად აკრიტიკებს ქრისტიანობას და მის მორალს. ეს არის სიყვარულზე დაფუძნებული რელიგია. იგი მოითხოვს დავრდომილთა და დაჩაგრულთა სიყვარულს, მათ თანაგრძნობას და დახმარებას, შეწყნარებას და პატიებას. ყოველივე ეს სიცოცხლის დამკვიდრებას უშლის ხელს, ამიტომ ერთხელ და სამუდამოდ უნდა უარვყოთ იგი. ქრისტიანული მორალი ადამიანის გადაგვარების და დაცემის მაჩვენებელია. უნდა მოხდეს ღირებულებათა გადაფასება. მომავლის ადამიანი უნდა იყოს ზეკაცი, რომელიც იქნება სიკეთისა და ბოროტების მიღმა. იგი დაემორჩილება არა საზოგადოებაში დადგენილ ზნეობრივ ნორმებს და მცნებებს, არამედ იმოქმედებს თავისი ნებისა და სურვილის მიხედვით. მისთვის ყველაფერი ნებადართული და დასაშვებია. არაფერი აკრძალული არ არის, რაც ხელს უწყობს სიცოცხლის დამკვიდრებასა და გაძლიერებას.

ახლა შევაფასოთ ფატალიზმი და ვოლუნტარიზმი. ფატალიზმი თვლის, რომ ადამიანი გარდაუვალობის მონაა. მას არფრის შეცვლა არ შეუძლია. მან რაც არ უნდა მოიოქმედოს, მოსახდენი მაინც მოხდება. ადამიანის ბედი მთლიანად განსაზღვრულია გარეგანი ძალების მიერ. იგი მის ხელთ არაა. ვოლუნტარიზმი უარყოფს გარდაუვალობას, რაღგან ყველაფერი შემთხვევით ხდება. ადამიანს

ახასიათებს ნების თავისუფლება, რომელიც მას საშუალებას აძლევს თვითონ განსაზღვროს თავისი ბედი. იგი არ არის დეტერმინირებული. ობიექტური კანონზომიერებით. ადამიანი ცხოვრობს შესაძლებლობათა სამყაროში. თუ რას აირჩევს და განახორციელებს იგი, ეს მასზეა დამოკიდებული. არავითარი ნორმები და კანონები არ ზღუდავს მას. ერთადერთი, რასაც იგი ემყარება, ეს მისი ნებაა. მისთვის არაფერია აკრძალული. ყველაფერი ნებადართული და დასაშვებია.

როგორც ფატალიზმი, ისე ვოლუნტარიზმი ცალმხრივი თეორიებია. ადამიანი არც გარდაუვალობის მონაა, მაგრამ არც აბსოლუტურად თავისუფალია. მას ახასიათებს შეფარდებითი თავისუფლება. იგი თავისუფალია, მაგრამ ობიექტური კანონზომიერების ფარგლებში. მას ყველაფერი არ ძალუძს, არც ყველაფერია ნებადართული და დასაშვები.

ადამიანის ღირებულებით-შეფასებითი მიმართება სამყაროსადმი

შემეცნება და შეფასება. ჩვენ უკვე დავახასიათეთ ადამიანის შემეცნებითი მიმართება სამყაროსადმი. იგი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ადამიანის საქმიანობაში, მაგრამ არ ამოწურავს მას. არანაკლებ მნიშვნელოვანია ადამიანის მიერ სამყაროს მოვლენათა შეფასება, რომელიც არსებითად განსხვავდება შემეცნებისაგან.

შემეცნება და შეფასება ადამიანის სამყაროსთან მიმართების ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული სახეა. რა განსხვავებაა მათ შორის?

შემეცნების პროცესში ადამიანი ცდილობს გამოიკვლიოს არსებული, დაადგინოს მისი არსი და ნიშან-თვისებები. ამ დროს ყალიბდება ცოდნა ყოფიერების ანუ არსის შესახებ, რომელიც გამოთქვამს იმას, რაც არის ან იმას, რაც არ არის. მაგალითად, ცოდნას გამოხატავს შემდეგი მსჯელობები: "ვარდი წითელია", "რკინა ლითონია", "ხე ბუჩქზე მაღალია", "საქართველო მთა-გორიანი ქვეყანაა", "ძაღლი არ არის ლომი" და ა. შ. დასახელებული მსჯელობები ახასიათებს საგნობრივ ვითარებას და არაფერს ამბობს ადამიანის დამოკიდებულებაზე მისადმი.

შეფასების პროცესში ადამიანი გამოხატავს თავის დამოკიდებულებას საგნისადმი. ამ დროს იგი მას კი არ ახასიათებს, არამედ აფასებს. შეფასება სუბიექტურია, რადგან იგი არის არა საგნობრივი ვითარების დადგენა, არამედ ადამიანის მიერ მისი მოწონება-არმოწონება, აღიარება-არაღიარება. ცხადია, რომ შეფასებას ადამიანი ახდენს თავისი სუბიექტური პოზიციიდან. ის რაც მისთვის მისაღებია, მას დადებითად, რაც მიუღებელია, მას უარყოფითად აფასებს.

ადამიანის მიერ სამყაროს მოვლენათა შეფასება ხორციელდება ორ — ემოციურ და თეორიულ დონეზე. იგი მათ უშუალოდ განიცდის, ამიტომ თავის დამოკიდებულებას გამოხატავს სიყვარულით ან სიძულვილით, სიხარულით ან მწუხარებით, უშფოთველობით ან შეშფოთებით, იმედით ან შიშით და ა. შ.

მათ ბაზაზე ადამიანს უყალიბდება შესაბამისი გუნება-განწყობილება, რომელიც სამყაროსადმი მისი ემოციური დამოკიდებულების შედეგია. იგი სუბიექტური-ინდივიდუალურია, რადგან გაპირობებულია ინდივიდის ბიო-ფსიქიკური ორგანიზაციის თავისებურებით. ის, რაც ერთისათვის სასიამოვნოა, მეორისათვის უსიამოვნოა, ის, რაც ერთში სიყვარულს იწვევს, მეორეში სიძულვილს აღძრავს. ის, რაც ერთისათვის სასიხარულოა, მეორისათვის სამწუხაროა და სხვა. ასე, რომ ყოველ ინდივიდს სამყაროს პირადი, საკუთარი განცდა აქვს.

სამყაროს ემოციური განცდის ანალიზი ფსიქოლოგიის და არა ფილოსოფიის ამოცანაა. უკანასკნელს აინტერესებს ადამიანის სამყაროსთან მიმართების რაციონალურ-თეორიული ასპექტი.

სამყაროს მოვლენათა თეორიული შეფასება გამოხატავს ადამიანის სუბიექტურ დამოკიდებულებას, მაგრამ იგი ხორციელდება არა ემოციების, არამედ რაციონალური გააზრების დონეზე. მას აქვს ობიექტურობის პრეტენზია. ემოციური შეფასება სუბიექტურ-ინდივიდუალურია, თეორიული კი — სუბიექტურ-ობიექტური. იგი გამოხატავს არა იმას, თუ რას განიცდის ადამიანი, არამედ იმას, თუ როგორია საგანი ობიექტურად. თეორიულ შეფასებას გამოთქვამს შემდეგი ტიპის მსჯელობები: "ეს ვარდი ლამაზია (უშნოა)", "პეტრე მამაცია (ლაჩარია)", "ესა და ეს ქცევა კეთილია (ბოროტია)" და ა. შ. დასახელებული მსჯელობები გამოხატავს არა მოვლენათა ადამიანისეულ აღქმას (განცდას), არამედ მათ ობიექტურ შეფასებას. მაგალითად, მსჯელობა "ეს ვარდი ლამაზია" ამტკიცებს არა იმას, რომ ვარდი მე ლამაზად მეჩვენება, არამედ იმას, რომ იგი ობიექტურად ასეთია.

მაშასადამე, ემოციურ და თეორიულ შეფასებას საერთო აქვს ის, რომ ორივე გამოხატავს მოვლენათა მიმართ ადამიანისეულ, სუბიექტურ დამოკიდებულებას, მაგრამ მათ შორის არსებითი განსხვავებაა. პირველი ემოციურია, ამიტომ განცდისეული, ხოლო მეორე — რაციონალურია, ამიტომ აზრისეული.

თეორიული შეფასებისას ადამიანი გამოთქვამს არა თავის პირად, ინდივიდუალურ, არამედ ობიექტურ, ინტერსუბიექტურ დამოკიდებულებას საგნისადმი. ეს ისეთი შეფასებაა, რომელიც საკალდებულოა სხვებისათვისაც. მაგალითად, "ვეფხის ტყაოსანი" მხატვრულად შშვენიერია არა იმიტომ, რომ მე მას ასეთად ვთვლი, არამედ იმიტომ, რომ იგი ობიექტურად ასეთია. რა განაპირობებს სუბიექტური შეფასების ობიექტურობას? მას საფუძვლად უდევს ღირებულება. შეფასება, რომელიც გამოხატავს ადამიანის სუბიექტურ დამოკიდებულებას საგნისადმი. ობიექტური იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი დაეფუძნება ღირებულებას. ეს უკანასკნელი არის ის მასშტაბი, რომლითაც გაიზომება შეფასების ობიექტურობა.

ᲪᲝᲓᲜᲐ ᲓᲐ ᲦᲘᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ. ღირებულების დახასიათება უნდა მოხდეს ცოდნასთან მიმართებაში. მათ შორის არა მარტო განსხვავებაა, არამედ დაპირისპირებაც.

ცოდნა არსებულის ანუ ყოფიერების გამოხატულებაა. ამ შემთხვევაში

არსებული უნდა გავიგოთ ფართო აზრით. იგი აღნიშნავს არა მხოლოდ რეალურს, არამედ ირეალურსაც, არა მხოლოდ ნამდვილს, არამედ ფანტასტიკურს და გამოგონილს. მაგალითად, ზევსი ძველბერძნული მითოლოგიის თანახმად ჭექა-ქუხილის ღმერთია. ამ ვითარების გაცნობიერება და გამოთქმა ცოდნაა, თუმცა იგი ირეალური, მითოლოგიური ცნობიერების მიერ შეთხზული ფაქტია. შეიძლება ზოგადად ვთქვათ, რომ ცოდნა არსის გამოხატულებაა.

ღირებულება არ არის ყოფიერების გამოხატულება. იგი აღნიშნავს ისეთ რაიმეს, რაც არ არსებობს. იგი არარსის გამოხატულებაა, მაგრამ ეს ისეთი არარსია, რომელიც მნიშვნელობის მქონეა. **იგი არ არის მაგრამ უნდა იყოს, რადგან მნიშვნელობს.** ასეთი არარსი არ არის არარა. მართალია, იგი არ არსებობს, მაგრამ უნდა არსებობდეს, ამიტომ მისი განხორციელება სავალდებულოა. **მნიშვნელობის მქონე არარსებულს, რომლის განხორციელება სავალდებულოა, ეწოდება ჯერარსი.** ღირებულება ჯერარსის გამოხატულებაა. იგი არ არსებობს, მაგრამ მისი განხორციელება სავალდებულოა, რადგან მნიშვნელობს. ღირებულება გამოხატავს იმას, რაც არ არის, მაგრამ უნდა იყოს. სწორედ ეს არის ჯერარსი.

მაშასადამე, ერთმანეთისაგან განსხვავდება არსი და ჯერარსი. პირველს გამოხატავს ცოდნა, ხოლო მეორეს — ღირებულება.

ცოდნა ობიექტურია. იგი მთლიანად დაცლილია სუბიექტურობის მომენტისაგან. ცოდნა გამოხატავს არა სუბიექტის დამოკიდებულებას ობიექტისადმი, არამედ თვით ობიექტს. იგი მას ახასიათებს თავისთავად, სუბიექტთან მიმართების გარეშე. ცოდნა საგნობრივი ვითარების გამოთქმაა. იგი გვეუბნება თუ რა არის ან რა არ არის საგანი.

ღირებულება სუბიექტურია, მაგრამ ისეთი, რომელსაც პრეტენზია აქვს ობიექტურობაზე. იგი სუბიექტურიცაა და ობიექტურიც. ერთის მხრივ, იგი გამოთქვამს იმას, თუ როგორი უნდა იყოს საგანი. ეს კი დამოკიდებულია არა ობიექტზე, არამედ სუბიექტზე. საგანი უნდა იყოს ისეთი, როგორც ამას სუბიექტის ინტერესები მოითხოვს. მეორეს მხრივ, სუბიექტს უნდა, რომ მისი ინტერესები სხვებისათვისაც იყოს სავალდებულო, ამიტომ თავის მტკიცებას ანიჭებს ობიექტურ ხასიათს. ეს არის ობიექტურობა, რომელსაც განსაზღვრავს არა ობიექტი, არამედ სუბიექტი. ამიტომ იგი არის სუბიექტური ობიექტურობა.

ცოდნა ჭეშმარიტია ან მცდარი, რაც განისაზღვრება მისი შესატყვისობით საგნობრივ ვითარებასთან.

ღირებულება არც ჭეშმარიტია და არც მცდარი. იგი ამ თვისებებს მოკლებულია, რადგან არ გამოხატავს საგნობრივ ვითარებას. ღირებულება გამოხატავს ჯერარსს, ე. ი. იმას, რაც უნდა იყოს. ეს უკანასკნელი განისაზღვრება იდეალით. საგანი უნდა იყოს ისეთი, როგორც ამას იდეალი მოითხოვს. ღირებულება სწორედ მას უნდა შეესაბამებოდეს.

ღირებულება და იდეალი. რა არის იდეალი? იგი წარმოსდგება სიტყვიდან იდეა. ეს უკანასკნელი ფილოსოფიაში დამკვიდრა პლატონმა. მან ერთმანეთისაგან განასხვავა ყოფიერება და არარა. პირველი არსებობს, მეორე კი — არა. მათ

შორის მოთავსებულია გრძნობად საგანთა ხილული სამყარო. იგი ყოფიერების და არარსის ნაზავია. მისი საგნები ერთსაც შეიცავს და მეორესაც, ამიტომ ცვალებადია და წარმავალი. ყოფიერება შედგება იდეებისაგან. იგი იდეათა სამყაროა. ადამიანი არის გრძნობადი საგნის პირველსახე, ნიმუში. იგი სრულყოფილებაა, ამიტომ ხილულ სამყაროში ვერასოდეს სრულად ვერ განხორციელდება. გრძნობად საგნებს შეუძლიათ მხოლოდ მისი მიბაძვა, რითაც მას ნაწილობრივ ეზიარება.

ყოფიერებას ანუ იდეათა სამყაროს ახასიათებს ნამდვილი, ჭეშმარიტი არსებობა. ხილული სამყაროც არსებობს, მაგრამ მისი არსებობა მოჩვენებითი, ილუზორულია. იდეა უცვლელი და მარადიულია, რადგან იგი სრულყოფილებაა, ამდენად მას რაიმესაკენ სწრაფვა არ სჭირდება. გრძნობადი საგანი ნაკლოვანია, მას სრულყოფილება აკლია, ამიტომ იგი ისწრაფვის ეზიაროს იდეას, დაემსგავსოს მას. იგი იდეის მიბაძვაა, მისი აჩრდილია და სხვა არაფერი.

პლატონის შემდეგ ფილოსოფიაში დამკვიდრდა იდეალის ცნება. იგი აღნიშნავს რაიმეს პირველსახეს, ნიმუშს, რაც სრულყოფილების განსახიერებაა. მისი სრული განხორციელება შეუძლებელია. იგი შეიძლება იყოს მხოლოდ მიბაძვის, მისწრაფების საგანი. იდეალი უმაღლესი მიზანია, რომლისაკენაც ისწრაფვის ადამიანი, მაგრამ მას ვერასოდეს ვერ მიაღწევს. იგი განუხორციელებელი მიზანია, თუმცა იმდენად მნიშვნელოვანი და მიმზიდველი, რომ მისკენ სწრაფვა ადამიანის დაუოკებელი სურვილია.

იდეალის დადგენა ადამიანის ნებაზეა დამოკიდებული. იგი არ არსებობს ობიექტურად როგორც ბუნებრივი ან საზოგადოებრივი აუცილებლობა. მას თვითონ ადამიანი ირჩევს და განსაზღვრავს. მაგალითად, ფული, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ადამიანის ეკონომიკურ საქმიანობაში, თავისთავად იდეალი არ არის. იგი იდეალად შეიძლება გადაიქცეს იმის შესაბამისად, მას ადამიანი გახდის თუ არა თავისი ცხოვრების უმაღლეს მიზნად. ფული იდეალია იმათთვის, ვინც თვლის, რომ ფულის დაგროვება მისთვის არის არა საშუალება, არამედ ცხოვრების მიზანი. რაიმე საგანი იდეალია არა თავისთავად, არამედ იძენს აღნიშნულ სტატუსს თუ ადამიანმა იგი აღიარა თავისი ცხოვრების საზრისად. კონკრეტულად თუ რას მიიჩნევს ადამიანი იდეალად, გაპირობებულია არა მხოლოდ ეპოქის, არამედ თვით მისი ხასიათით. ეპოქათა ცვალებადობის კვალობაზე იცვლება იდეალებიც, მაგრამ ერთსა და იმავე ეპოქაში ინდივიდებს განსხვავებული იდეალები აქვთ. ეს კი უკვე გაპირობებულია მათი ხასიათის – ინტერესებისა და მისწრაფებების განსხვავებით.

ღირებულება, დოვლათი და შეფასება. ერთმანეთისაგან განასხვავებენ ღირებულებას, დოვლათსა და შეფასებას. დოვლათი, ანუ სიმდიდრე არის ღირებულების მქონე მატერიალურ ან სულიერ ფასეულობათა ერთობლიობა, რომელიც აკმაყოფილებს ადამიანის მოთხოვნილებებს. **მოთხოვნილება** არის ადამიანის მიერ რაიმეს საჭიროების განცდა, რომლის დაკმაყოფილების სურვილსაც იგი აცნობიერებს როგორც აუცილებლობას. მას საფუძვლად უდევს შესაბამისი საჭიროების განცდა, რომელიც არის ადამიანის მიერ რაღაცის უკმარისობის

შეგრძნება. შესაბამისად, ადამიანს უყალიბდება მოთხოვნილება, რომელიც ითულებს იზრუნოს მის დასაკმაყოფილებლად. მაშასადამე, მოთხოვნილება არის ადამიანის მიერ რაიმე საჭიროების გაცნობიერება, რომლის დაკმაყოფილება ადამიანს გადაუდებელი აუცილებლობაა.

ადამიანს აქვს უამრავი მოთხოვნილება: ბიოლოგიური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, ინტელექტუალური და სხვა. მოთხოვნილებანი ადამიანის აქტიობის წყაროა. მათ დასაკმაყოფილებლად იგი ეწვა აქტიურ საქმიანობას, რომლის შედეგად ქმნის მატერიალურ და სულიერ ფასეულობათა სიუხვეს. მისი მოხმარება ადამიანს აძლევს საშუალებას დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნილებანი. კულტურის განვითარების კვალობაზე მათი რიცხვი იზრდება და სულ უფრო მრავალფეროვანი ხდება.

ამგვარად, დოვლათი არის რაღაც ფასეულობათა ერთობლიობა, რომელსაც ადამიანი ქმნის საგანგებოდ, რათა დაიკმაყოფილოს თავისი მზარდი და მრავალფეროვანი მოთხოვნილებანი. იგი საშუალებაა და არა მიზანი. ამ უკანასკნელს მიეკუთვნება მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. მაგალითად, ფული არის დოვლათი, სიმდიდრე, რომელიც აუცილებელია, რათა ადამინმა შეძლოს მისთვის საჭირო საქონლის შეძენა. ფული არის არა ღირებულება, არამედ ღირებულების მქონე საგანი, რომელიც ადამიანისათვის ფასობს იმდენად, რამდენადაც აკმაყოფილებს მის ეკონომიკურ მოთხოვნილებებს.

დოვლათი არსია და არა ჯერარსი. იგი ადამიანის მიერ წარმოებულ ფასეულობათა ერთობლიობაა, რომელიც ყოფიერების შემადგენელი ნაწილია. დოვლათი არსია, მაგრამ ისეთი, რომელსაც აქვს ღირებულება. სხვაგვარად, ეს არის ყოფიერება, რომელშიც რეალიზებულია, განხორციელებულია შესაბამისი სახმარი ღირებულება. იგი ფასობს, მნიშვნელობს იმდენად, რამდენადაც ადამიანს აძლევს საშუალებას დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნილებანი.

ღირებულება არც არსია და არც მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საშუალება. იგი არ არსებობს, მისი მეშვეობით ადამიანი ვერავითარ მოთხოვნილებას ვერ დაიკმაყოფილებს. მაგრამ ღირებულება მნიშვნელობს, ამის გამო სავალდებულოა მისი განხორციელება. თუ იგი არ არსებობს, მაშინ რა მნიშვნელობა აქვს მას? რისთვის სჭირდება იგი ადამიანს? რა როლს ასრულებს ღირებულება ადამიანის ცხოვრებაში?

ღირებულება ემსახურება ადამიანის ცხოვრების საზრისის განხორციელებას. იგი აძლევს ადამიანს ორიენტირს, მიმართულებას, რომლის მიხედვითაც უნდა იცხოვროს მან. ღირებულება გამოხატავს არა იმას, თუ როგორ ცხოვრობს ადამიანი (ეს არსია, რეალობაა), არამედ იმას, თუ როგორ უნდა იცხოვროს მან (ეს კი ჯერარსია). გარდა ამისა, ღირებულება ადგენს მასშტაბს, ნიმუშს, რომლის მიხედვით ადამიანი ზომავს – შეფასებას აძლევს ყოფიერებას. აქ იგულისხმება არა მარტო საგანთა სამყარო, არამედ ადამიანის ქცევაც.

რა განსხვავებაა ღირებულებას და შეფასებას შორის? შეფასება არის

აქტი, რომელსაც კონკრეტული ინდივიდი ახორციელებს დროსა და სივრცეში. იგი თავის შეფასებას გამოთქვამს შესაბამისი მსჯელობებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეფასება როგორც ფსიქიკური აქტი რეალობაა, რომელიც ხორციელდება ინდივიდის მიერ კონკრეტულ დროსა და სივრცეში. იგი ღირებულების რეალიზაციაა, რაც მას ანიჭებს ობიექტურობას. შეფასება გამოხატავს სუბიექტის აზრს საგნის ღირებულების შესახებ. იგი თავის აზრს ანიჭებს ობიექტურ მნიშვნელობას. შემფასებელი თვლის, რომ საგანი ან ქცევა მას არა მარტო ეჩვენება ამგვარად (კარგად ან ცუდად), არამედ ობიექტურად ასეთია. რა განსაზღვრავს მისი მტკიცების ობიექტურობას? ის ღირებულება, რომელიც ავალდებულებს არა მარტო მას, არამედ სხვებსაც სწორედ ასე შეაფასოს იგი. შეფასება სუბიექტურია, რადგან გამოხატავს ადამიანის დამოკიდებულებას საგნისადმი, მაგრამ იგი ობიექტურია, რადგან ემყარება ღირებულებას, რომელიც სავალდებულოა იმათთვის, ვინც მას იზიარებს.

დოვლათი და შეფასება რეალობის შემადგენელი ნაწილია, ამიტომ არსია. ღირებულება ჯერარსია, რომლის განხორციელება სავალდებულოა. დოვლათი იმ რეალურ საგანთა ერთობლიობაა, რომელიც ფლობს სახმარ ღირებულებას. შეფასება მოწონება-არმოწონების რეალური აქტია, რომელიც ემყარება ღირებულების სავალდებულობას.

ღირებულება, შეფასება და ნორმა. ადამიანის საქმიანობის ყოველ სფეროს თავისი ღირებულებები აქვს. მეცნიერებას — ჭეშმარიტება და მცდარობა, ხელოვნებას — მშვენიერება და სიმახინჯე, ზნეობას — სიკეთე და ბოროტება, პოლიტიკას — სამართლიანობა და უსამართლობა, სამართალს — კანონიერება და უკანონობა და ა. შ. მათ ბაზაზე ყალიბდება შესატყვის ღირებულებათა მთელი სპექტრი, რომელთა მნიშვნელობა განიზომება ძირითადი ღირებულებებით. მაგალითად, ზნეობრივი სიკეთის გამომხატველი ღირებულებებია: სათნოება, ქველმოქმედება, გულწრფელობა, სინდისი, მიტევება, ერთგულება და სხვა. ზნეობრივი ბოროტების გამოვლენაა გულგრილობა, გულქვაობა, უსინდისობა, ორპირობა, მიუტევებლობა, ღალატი და სხვა. ანალოგიურია ვითარება ადამიანური საქმიანობის ყველა სფეროში. შესაბამისად, არსებობს ძირითადი და არაძირითადი ღირებულებები. პირველს მიეკუთვნება ის ღირებულებები, რომლებიც იდეალის, როგორც უმაღლესი მიზნის გამოხატულებაა. მეორეს მიეკუთვნება ის ღირებულებები, რომლებიც იდეალის განხორციელებას ემსახურება. ისინი ძირითადი ღირებულებების რეალიზაციის პირობაა.

ადამიანი თავის მოღვაწეობაში მიზნად ისახავს გარკვეული იდეალის განხორციელებას. მეცნიერების მიზანია ჭეშმარიტების დადგენა და მცდარობის გამორიცხვა, ზნეობის — სიკეთის დამკვიდრება და ბოროტების თავიდან აცილება, ხელოვნების — მშვენიერების მხატვრული სახეებით გამოსახვა და სიმახინჯის უარყოფა, პოლიტიკის — სამართლიანობის მიღწევა და უსამართლობის დაძლევა, სამართლის — მართლწესრიგის უზრუნველყოფა

და უკანონობის აღკვეთა. ის, რაც იდეალის განხორციელებას ემსახურება, მიეკუთვნება დადებით ღირებულებათა სფეროს, ხოლო რაც მისი საპირისპიროა — უარყოფითს. შესაბამისად, არსებობს დადებითი და უარყოფითი ღირებულებანი. ცხადია, რომ ადამიანის მოღვაწეობის იდეალია დადებით ღირებულებათა დამკვიდრება და უარყოფით ღირებულებათა თავიდან აცილება.

იმისათვის, რომ იდეალი განხორციელდეს, საჭიროა შესრულდეს გარკვეული მოთხოვნები. ერთმანეთისაგან განსხვავდება **მოთხოვნა და მოთხოვნილება.** პირველი გამოხატავს იმას, რისი შესრულებაც სავალდებულოა, რათა შესაძლებელი გახდეს დასახული მიზნის მიღწევა. მოთხოვნილება გამოხატავს ადამიანის ლტოლვას იმისაკენ, რაც მას აკლია და რისი მოპოვებაც მას აუცილებლად სჭირდება ან სასურველად მიაჩნია. აუცილებლობა ეხება სასიცოცხლო ანუ ვიტალურ მოთხოვნილებებს. მათი დაუკმაყოფილებლობა გამოიწვევდა ორგანიზმის დაღუპვას. სასურველობა ეხება არავიტალურ მოთხოვნილებებს, რომელთა დაუკმაყოფილებლობა გამოიწვევდა ადამიანის სულიერ დისკომფორტს. მაგალითად, რომელიმე ადამიანს აქვს სიყვარულის ან მეგობრობის მოთხოვნილება. იგი ეძებს პარტნიორებს, რათა მათთან ურთიერთობაში შეძლოს აღნიშნული გრძნობების რეალიზაცია. თუ იგი ამას ვერ ახერხებს, მაშინ მას ეუფლება სულიერი შფოთვა.

ამგვარად მოთხოვნას შესრულება, ხოლო მოთხოვნილებას დაკმაყოფილება სჭირდება. პირველი სავალდებულოა, მეორე კი — აუცილებელი.

მოთხოვნათა ჩამოყალიბება ხდება ნორმების სახით. ნორმა არის მოთხოვნის გამოხატულება, რომელიც ზუსტად განსაზღვრავს ადამიანის ქცევას ან მოქმედების წესს — რა უნდა გააკეთოს ან რა არ უნდა გააკეთოს მან. იგი ნებართვის ან აკრძალვის დადგენაა.

საზოგადოებაში ადამიანთა ქცევებისა და ურთიერთობების რეგულირება ხდება ნორმათა სისტემების მეშვეობით. ისინი არ გამოხატავენ ადამიანთა ბუნებრივ მიდრეკილებებსა და მოთხოვნილებებს, ამიტომ მათი დადგენა და ჩამოყალიბება ხდება ხელოვნურად. ცხოველებს არავითარი ნორმათა სისტემა არ სჭირდებათ, რადგან მათ ქცევას განსაზღვრავს ინსტინქტი, რომელიც ხორციელდება ბუნებრივად და გამორიცხავს ხელოვნურ რეგულირებას.

ადამიანი თავისუფალი არსებაა, რომელსაც შეუძლია მოიქცეს ასეც და სხვაგვარადაც. მას შეუძლია შეასრულოს მოთხოვნა, მაგრამ შეუძლია არ შეასრულოს იგი. ეს გარემოება განაპირობებს ადამიანთა შორის საზოგადოებრივ ურთიერთობათა რეგულირების აუცილებლობას. არ არსებობს რაიმე ბუნებრივი კანონი, რომელიც მას განსაზღვრავდა. ამ მიზნით საზოგადოება ადგენს ნორმათა სისტემას, რომლის მეშვეობით იგი ცდილობს ხელოვნურად მოაგვაროს ადამიანთა ქცევები და ურთიერთობები. ნორმა ზუსტად აწესებს იმ მოთხოვნებს, რომელთა შესრულება სავალდებულოა. რას ემყარება იგი? იდეალის განხორციელების მიზანშეწონილების აღიარებას. თუ გვინდა, რომ ზნეობრივი იდეალი

განხორციელდეს, მაშინ კეთილი ვინებოთ და შევასრულოთ მისი შესატყვისი მოთხოვნები. თუ გვინდა, რომ საზოგადოებაში მართლწესრიგი დამყარდეს, მაშინ კეთილი ვინებოთ და შევასრულოთ ის ნორმები, რომელთა დაცვა მას უზრუნველყოფს. თუ ადამიანს არ უნდა არც ზნეობრივი იდეალის და არც მართლწესრიგის დამკვიდრება, მაშინ მას შეუძლია შესატყვისი ნორმების დარღვევა. მაშასადამე, ნორმათა დაცვა სავალდებულოა არა იმიტომ, რომ მათი დარღვევა შეუძლებელია, არამედ იმიტომ, რომ ამას მოითხოვს დადებით ღირებულებათა განხორციელების მიზანშეწონილების აღიარება. ის, ვინც მას ცნობს, ვალდებულია დაიცვას ისინი, ხოლო ვინც არ ცნობს, შეუძლია მათი დარღვევა.

ნიჰილიზმი და ღირებულებათა გადაფასების პრობლემა. ყოველ ეპოქას თავისი შესატყვისი ღირებულებები აქვს, რაც გაპირობებულია ეპოქის ხასიათით. ანტიკური ეპოქის ღირებულებებს განსაზღვრავდა მითოლოგია და ფილოსოფია. შუა საუკუნეებში გაბატონებული მდგომარეობა მოიპოვა რელიგიამ, რამაც განაპირობა შესაბამის ღირებულებათა წარმოქმნა. აღორძინების ეპოქაში ჰუმანისტურმა და საერო იდეალებმა მოიპოვეს უპირატესობა. ახალ დროში კაპიტალიზმის ჩამოყალიბებას და დამკვიდრებას თან მოყვა საბაზრო ეკონომიკის და დემოკრატიის შესაბამისი ღირებულებები. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ეპოქაში წამყვანი ფასეულობა გახდა მეცნიერება და ტექნიკა.

როგორც ვნახეთ ეპოქათა ცვალებადობის კვალდაკვალ ხდება ღირებულებათა შეცვლა. იმსხვრევა ძველი ღირებულებები და მათ ადგილს თანდათანობით იკავებს ახალი. ეს არის ღირებულებათა **გადაფასების** პროცესი, რომლის შედეგად მიმდინარეობს ძველი ეპოქის გამომხატველი ღირებულებების შეცვლა ახალი ეპოქის შესატყვისი იდეალებით. იგი ნორმალური პროცესია, რადგან მას აუცილებლობით მოითხოვს საზოგადოებრივი პროგრესი.

სულ სხვა ვითარებასთან გვაქვს საქმე, როდესაც ბჭობა ეხება **ნიჰილიზმს.** იგი წარმოსდგება ლათინური სიტყვიდან "ნიჰილ", რაც ნიშნავს არარას. ნიჰილიზმი არის თეორია, რომელიც მოითხოვს არა ღირებულებათა გადაფასებას, არამედ საერთოდ უარყოფს ყოველგვარ ღირებულებათა მნიშვნელობას. იგი არ ატარებს პრინციპულ განსხვავებას დადებით და უარყოფით ღირებულებებს შორის. რომელს დაამკვიდრებს ადამიანი — ჭეშმარიტებას თუ სიცრუეს, სამართლიანობას თუ უსამართლობას, კანონიერებას თუ უკანონობას, ამას არავითარი ღირებულება არ გააჩნია. მისთვის დადებით და უარყოფით ღირებულებებს ერთნაირი ფასი აქვს, ამიტომ სულერთია მათგან რომელს განახორციელებს ადამიანი. ეს არის ღირებულებათა გაუფასურების, დევალვაციის პროცესი, რადგან თუ ჭეშმარიტებას და მცდარობას, ზნეობას და უზნეობას ერთნაირი მნიშვნელობა აქვს, მაშინ რა ფასი აქვს მათ შორის განსხვავებას? ამით საერთოდ ყოველგვარი ღირებულება, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი უფასურდება. თუ უაზრობაა მათ შორის რაიმე განსხვავება, მაშინ მე ვერავითარ უპირატესობას ვერ მივანიჭებ რომელიმე მათგანს. არჩევანი აზრს კარგავს. ყველაფერი დამოკ-

იდებულია პიროვნების ნებაზე. ყოველ ინდივიდს შეუძლია აირჩიოს ის, რაც მას მოესურვება. ვისაც უნდა სიკეთე, შეუძლია განახორციელოს იგი, მაგრამ ვისაც უნდა ბოროტება, იმავე უფლებით შეუძლია მისი განხორციელება. ყველაფერი შესაძლებელია, ამიტომ დასაშვები და ნებადართულია.

ნიჰილიზმის პრაქტიკული შედეგია ვოლუნტარიზმი — თვითნებობა და განუკითხაობა. არავის არაფერი არ ეკისრება. ვისაც რა უნდა, ის აკეთოს. არ არსებობს ობიექტური კრიტერიუმები, რომლის მიხედვით შესაძლებელი იქნებოდა ვინმეს ქმედების შეფასება და განსჯა, რადგან არ არსებობს სავალდებულო და ზოგადმნიშვნელადი ღირებულებანი. ყველა ღირებულება სუბიექტურია, ასე ვთქვათ, ერთნაირად ფასობს. ამიტომ ვისაც რა უნდა, იმას აირჩევს და გააკეთებს. ამ მხრივ, ადამიანს აქვს აბსოლუტური, შეუზღუდავი თავისუფლება.

ნიჰილიზმი იგივე სკეპტიციზმია, ოღონდ ღირებულებათა სფეროს მიმართ. არც ერთ მორალს უპირატესობა არ გააჩნია. ყოველ ინდივიდს თავისი მორალი აქვს, ამიტომ ვერავინ სხვას ვერ განსჯის. არ არსებობს საყოველთაო და სავალდებულო მორალი, რომლის მიხედვით შესაძლებელი იქნებოდა ობიექტური განსჯა ან შეფასება.

ნიჰილიზმის ისტორიული ფორმაა ნიცშეს მიერ ტრადიციულ ღირებულებათა უარყოფის თეორია. მათ საფუძვლად ნიცშე მიიჩნევდა რწმენას ღმერთის არსებობის შესახებ. მან წამოაყენა თეზისი, რომ ღმერთი მოკვდა. ამით ნიადაგი გამოეცალა ძველ ღირებულებებს და მათ ყოველგვარი ფასი დაკარგეს. მორალი და რელიგია მოწოდებულია იმისათვის, რომ დაიცვას სუსტებისა და ავადმყოფების უფლებები. ამ უკანასკნელთ არ ძალუძთ თავის დაცვა, ამიტომ გამოიგონეს ზნეობრივი და რელიგიური ნორმები, რომელთაც მიანიჭეს საყოველთაო და სავალდებულო მნიშვნელობა, რათა მათი მეშვეობით უზრუნველყონ თავიანთი ინტერესების დაცვა და განხორციელება.

ნიცშე უარყოფს მორალისა და რელიგიის ღირებულებას, რადგან მათ მიერ დაწესებული ნორმები ზღუდავს და ბოჭავს ადამიანის თავისუფლებას. ამგვარი შეზღუდვა სჭირდება სუსტებს, მაგრამ მიუღებელია ძლიერისათვის. იგი არის ზეკაცი, რომელიც სიკეთის და ბოროტების მიღმაა. მისთვის არ არსებობს საყოველთაო და სავალდებულო მორალი. იგი თვითონ ადგენს მორალს. მისთვის ყველაფერი დასაშვები და ნებადართულია.

ნიჰილიზმი როგორც თეორია და პრაქტიკა უნდა შეფასდეს უარყოფითად, რადგან ღირებულებათა გაუფასურება საზოგადოებაში აკანონებს ქაოსსა და ანარქიას. ყოველი ქმედება აზრს კარგავს, რადგან ერთი ფასი აქვს დადებითსა და უარყოფითს, სიკეთესა და ბოროტებას.

ნიჰილიზმის თეორიული დაძლევა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ გამართლებულ იქნა ღირებულების ობიექტურობა. თუ არსებობს ზოგადმნიშვნელადი ღირებულებები, რომელთა დაცვა სავალდებულოა ადამიანისათვის, მაშინ ვოლუნტარიზმს ნიადაგი ეცლება. მათი აღიარება გამორიცხავს თვითნებობას და განუკითხაობას ღირებულებათა არჩევის საკითხში. ყოველი ად-

ამიანი ვალდებულია აირჩიოს ზოგადმნიშვნელადი ღირებულებები, ამიტომ ყველაფერი ნებადართული და დასაშვები არაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რას ნიშნავს ღირებულების ობიექტურობა? იგი განსხვავდება ცოდნის ობიექტურობისაგან. ეს უკანასკნელი გაპირობებულია ობიექტური ვითარებით. ცოდნა არის ჭეშმარიტი ან მცდარი, რასაც განსაზღვრავს საგნობრივი ვითარება და არა სუბიექტის ნება. ადამიანს სურს თუ არ სურს, აღიარებს თუ არ აღიარებს მოცემული ვითარების ჭეშმარიტებას ან მცდარობას, ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. თუნდაც, რომ ადამიანი არ ცნობდეს ჭეშმარიტად, იგი მაინც ჭეშმარიტი იქნება თუ კი შეესაბამება საგნობრივ ვითარებას.

მაშასადამე, ცოდნის ობიექტურობა გამოიხატება მისი ჭეშმარიტება-მცდარობით, რაც ადამიანის ნებისაგან დამოუკიდებელია და ცალსახად განისაზღვრება საგნობრივი ვითარებით.

სულ სხვაგვარი ხასიათი აქვს ღირებულების ობიექტურობას. იგი სუბიექტურია, რადგან საფუძვლად უდევს ადამიანის ნება. ღირებულება გამოხატავს ჯერარსს, რომელიც არ არის, მაგრამ უნდა იყოს. ეს "უნდა" არის არა აუცილებელი, არამედ სავალდებულო. მისი მოთხოვნის დარღვევა ადამიანს შეუძლია, ამიტომ იგი აუცილებელი არაა. მაგრამ მისი დაცვა ადამიანისათვის სავალდებულოა, რადგან სხვაგვარად იდეალის განხორციელება შეუძლებელი იქნებოდა. ზნეობრივი ნორმების დარღვევა ცხოვრებაში ჩვეულებრივი მოვლენაა. ეს არსია, რეალობაა. ბოროტებას ვაწყდებით ყოველ ფეხის ნაბიჯზე. საქმე ისაა, რომ ბოროტება არ უნდა არსებობდეს, რადგან ეწინააღმდეგება იმ იდეალებს, რომელთა დამკვიდრებას მოითხოვს ადამიანური ყოფიერება. ეს არის სიკეთე. იგი ჯერარსია, რომელიც არ არის, მაგრამ უნდა იყოს. მისი განხორციელება სავალდებულოა, მაგრამ არა აუცილებელი. ღირებულებათა ობიექტურობა განისაზღვრება არა რეალობით, არამედ იდეალით, ე. ი. ადამიანური ყოფიერების უმაღლესი მიზნით.

ამგვარად, ცოდნისა და ღირებულების ობიექტურობის განსხვავება მოკლედ შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს: ცოდნის ობიექტურობა გამოიხატება მისი ჭეშმარიტება-მცდარობით, რომელიც განისაზღვრება არსებულით: რამდენად შეესაბამება იგი მას. აქ ადამიანური ყოფიერება არავითარ როლს არ ასრულებს. ცოდნის ობიექტურობა ადამიანის ნებისაგან დამოუკიდებელია. ცოდნა ჭეშმარიტია ან მცდარი ადამიანის ნება-სურვილის მიუხედავად.

ღირებულების ობიექტურობა გამოიხატება იმ მნიშვნელობით, რომელსაც იგი ავლენს ადამიანურ ყოფიერებასთან მიმართებაში. აქ მთავარია შესაბამისობა არა რეალობასთან, არამედ იდეალთან, ე. ი. ჯერარსთან ანუ იმასთან, რაც არ არის, მაგრამ უნდა იყოს. მართალია, იგი აუცილებელი არაა, მაგრამ სავალდებულოა, რადგან ამას მოითხოვს ადამიანური ყოფიერება. ადამიანი ვალდებულია დაიცვას ზნეობრივი ნორმები თუ მას უნდა იცხოვროს ადამიანურად. თუ მას ეს არ უნდა და სურს იცხოვროს როგორც ცხოველმა, მაშინ შეუძლია მათი დარღვევა. ეს დამოკიდებულია ადამიანის ნებაზე,

მის არჩევანზე — რას აირჩევს იგი და რას დაისახავს თავის იდეალად.

ხაზი უნდა გაესვას ერთ არსებით მომენტს: ბჭობა არ ეხება ფაქტობრივ არჩევანს, რომელსაც ადგილი აქვს რეალურ ცხოვრებაში. იგი გაჯერებულია ინდივიდის მოთხოვნილებებით და ინტერესებით, რაც დამოკიდებულია კონკრეტულ სიტუაციაზე. ადამიანთა უმრავლესობა მოქმედებს ანგარებით, თავისი ინტერესებიდან გამომდინარე. ერთს გამდიდრება სურს, მეორეს — უსაქმურად დროსტარება, მესამეს — შრომა, მეოთხეს — ბრძოლა ა. შ. ინდივიდებს განსხვავებული ინტერესები აქვთ, შესაბამისად, მათი არჩევანიც სხვადასხვაა. ეს ეხება ფაქტობრივ ვითარებას, ე. ი. იმას, რაც არის. მაგრამ ღირებულება ხომ ჯერარსს ეხება, ე. ი. არა იმას, რაც არის, არამედ იმას, რაც უნდა იყოს. ადამიანმა უნდა იცხოვროს ადამიანურად. ეს ნიშნავს, რომ მან უნდა დაამკვიდროს ზოგადადამიანური იდეალები, ისეთი ფასეულობები და ღირებულებები, რომლებიც ზოგადმნიშვნელადი და სავალდებულოა. მათ მნიშვნელობა უნდა ჰქონდეთ არა რომელიმე კონკრეტული ინდივიდისათვის, არამედ საზოგადოდ ადამიანისათვის. თუნდაც, რომ ესა თუ ის ინდივიდი მას არ ცნობდეს, იგი მაინც ინარჩუნებს ღირებულებას, რადგან შეესაბამება საზოგადოდ ადამიანურ ყოფიერებას. ამგვარ ფასეულობებს მიეკუთვნება ჭეშმარიტება და მშვენიერება, სიკეთე და სამართლიანობა, კანონიერება და ღირსეული სიცოცხლის უზრუნველყოფა. მათი დამკვიდრების გარეშე ინდივიდის ყოფიერება არ იქნება ადამიანური. მისი ცხოვრება დაემსგავსება ცხოველის და არა ადამიანის არსებობას.

ღირებულებათა ობიექტურობა განისაზღვრება ზოგადმნიშვნელობით და სავალდებულობით, რადგან მათ დამკვიდრებას მოითხოვს ზოგადადამიანური ყოფიერება.

ყოველ კულტურას — ანტიკურს, შუა საუკუნეებს, აღორძინების ეპოქას, ახალი დროის და თანამედროვეს — თავისი სპეციფიკური, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ღირებულებები და ფასეულობები გააჩნია. ივივე ითქმის ეროვნული ღირებულებების შესახებაც. მაგრამ არსებობს ზოგადადამიანური ღირებულებები, რომლებიც ერთნაირად ფასობენ ყოველ კულტურაში. მათ რიცხვს მიეკუთვნება ძირითადი ღირებულებები. ყოველი კულტურა ისწრაფვის დაამკვიდროს ჭეშმარიტება და მშვენიერება, სიკეთე და სამართლიანობა, რათა გამოირიცხოს სიცრუე და სიმახინჯე, ბოროტება და უსამართლობა. სხვა საკითხია, ყოველ მათგანს თუ როგორ ესმის ეს იდეალები და როგორ აღწევს მათ განხორციელებას. მიუხედავად ამისა, ყოველ კულტურაში მეტ-ნაკლები სისრულით ვლინდება ზოგადადამიანური ღირებულებები და ფასეულობები.

თეორიულ და ნორმატულ მეცნიერებათა განსხვავება.

განასხვავებენ თეორიულ და ნორმატულ მეცნიერებებს. ამ შემთხვევაში ტერმინი "თეორიული მეცნიერება" სპეციფიკური აზრით იხმარება. იგი აღნიშნავს მეცნიერების ისეთ ტიპს, რომელიც იმეცნებს არსს, ე. ი. იმას, რაც არსე-

ბობს. მნიშვნელობა არა აქვს ეს მეცნიერება თავისი შინაარსით თეორიულია თუ აღწერითი. მაგალითად, თეორიულად ითვლება არა მარტო ფიზიოლოგია, რომელიც ადგენს ცხოველთა ორგანიზმის ფუნქციობის კანონზომიერებებს, არამედ ანატომიაც, რომელიც აღწერს ორგანიზმის შემადგენელ ორგანოებს და მათი მოქმედების თავისებურებას. ისინი თეორიულად ითვლება ნორმატიულის საპირისპიროდ, რადგან ეხება და იმეცნებს იმას, რაც არის ანუ ყოფიერებას. ნორმატულად იწოდება ის მეცნიერება, რომელიც ადგენს იმ მოთხოვნებსა და ნორმებს, რომელთა დაცვა და განხორციელება სავალდებულოა. იგი გამოხატავს ჯერარსს, ე. ი. იმას, რაც უნდა იყოს. მოკლედ, განსხვავება თეორიულ და ნორმატულ მეცნიერებას შორის შემდეგია: პირველი იმეცნებს არსს, ხოლო მეორე — ჯერარსს.

ნორმატული ხასიათისაა გამოყენებითი მეცნიერებანი — ტექნიკური, აგრონომიული და სამედიცინო. სანიმუშოდ შევეხოთ მედიცინას. იგი აღწერს ორგანიზმის დაავადებებს და მათი გამოვლენის სიმპტომებს. ამ ნაწილში იგი ემყარება თეორიულ მეცნიერებათა — გენეტიკის, ფიზიოლოგიის, ანატომიის, ფსიქოლოგიის და ა. შ. ფუნდამენტურ აღმოჩენებს. მათ საფუძველზე მედიცინა ადგენს ორგანიზმის პათოლოგიას ანუ ნორმიდან გადახრას, რაც იწვევს მისი ფუნქციობის დარღვევას. მედიცინის მიზანია ორგანიზმის განკურნება, ე. ი. პათოლოგიის დაძლევა და მისი ნორმალური ფუნქციობის აღდგენა. ამისათვის იგი აყალიბებს მოთხოვნებს ნორმების სახით, რომელთა დაცვა პაციენტისათვის სავალდებულოა. რა განაპირობებს მის სავალდებულობას? შესაბამისი ღირებულება, კერძოდ, ჯანმრთელობა. თუ პაციენტს უნდა, რომ ჯანმრთელი იყოს, მაშინ უნდა შეასრულოს ის მოთხოვნები, რომლებიც მას მკურნალმა ექიმმა წაუყენა. სხვაგვარად იგი ვერ განიკურნება. ამგვარად, მედიცინის მიზანია არა იმის დადგენა, რაც არის, არამედ მისი გადალახვა, აღდგენა იმისა, რაც უნდა იყოს. ამიტომ ითვლება იგი ნორმატულ მეცნიერებად.

თეორიული და ნორმატული მეცნიერებანი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან დებულებათა გამოთქმის მხრივაც. ისინი იყენებენ განსხვავებული ტიპის მსჯელობებს. პირველი ადგენს მიზეზობრივ კავშირს მოვლენებს შორის, რასაც გამოთქვამს კაუზალური მსჯელობის მეშვეობით. მაგალითად, მსჯელობა "ლითონის გათბობა იწვევს მის გაფართოებას" გამოთქვამს მიზეზობრივ კავშირს ლითონის გათბობასა და მის გაფართოებას შორის. ნორმატული მეცნიერება გამოხატავს კავშირს პირობასა და მიზანს შორის. თუ გვინდა, რომ მიზანი განხორციელდეს, მაშინ პირობა უნდა შესრულდეს. ამ ვითარებას იგი გამოთქვამს კონდიციონალური ანუ პირობითი მსჯელობის მეშვეობით. მაგალითად, ამგვარი მსჯელობაა შემდეგი: "თუ გვინდა, რომ ლითონი გაფართოვდეს, მაშინ იგი უნდა გავათბოთ". ის, რაც თეორიულ მსჯელობაში შედეგია, ნორმატულში მიზანია, ხოლო ის, რაც პირველში მიზეზია, მეორეში — პირობაა. თეორიული მსჯელობა გამოთქვამს აუცილებლობას, ხოლო ნორმატული სავალდებულობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეორიული მეცნიერების ამოცანაა დაადგინოს კანონები, რათა მათ საფუძველზე ახსნას მოვლენათა სამყარო. იგი თავისი შინაარსიდან გამომდინარეობს ყოველგვარ მიზანს. მას არ გააჩნია ტელეოლოგისტური ხასიათი. ერთადერთი, რაც მას აინტერესებს, არის ჭეშმარიტების დადგენა.

ნორმატული მეცნიერება თავისი შინაარსით ტელეოლოგისტური ხასიათისაა. მისი ამოცანაა არა ჭეშმარიტების დადგენა, არამედ მისი გამოყენება გარკვეული მიზნის მისაღწევად. იგი აყალიბებს მიზანს, როგორც ძირითად ღირებულებას და მისი მიღწევის საშუალებებს როგორც ნორმებს. მათი დაცვა სავალდებულოა, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში მიზანი განუხორციელებელი დარჩება. სწორედ მიზნის განხორციელებაა ნორმატული მეცნიერების ძირითადი ამოცანა.

XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში მწვავე დისკუსია გაჩაღდა თეორიულ და ნორმატულ მეცნიერებათა მიმართებების შესახებ. გამოიკვეთა ორი დაპირისპირებული პოზიცია: ერთი, რომელიც მიიჩნევდა, რომ ძირითადია თეორიული მეცნიერება, ამიტომ ნორმატული მეცნიერება მას უნდა დაეფუძნოს. იმისათვის, რომ დავადგინოთ ჯერარსი, უნდა ვიცოდეთ არსი. მხოლოდ ყოფიერების ცოდნა არის გასაღები იმისა, რაც უნდა იყოს. ამგვარ თვალსაზრისს იცავდა ჰუსერლი. იგი თვლიდა, რომ ნორმატული დებულება ემყარება თეორიულს. მაგალითად, მსჯელობა: "მეომარი უნდა იყოს მამაცი" წანამძღვრად გულისხმობს შემდეგ თეორიულ მსჯელობას: "მხოლოდ მამაცი ადამიანი არის ნამდვილი მეომარი".

საპირისპირო თვალსაზრისი, რომელსაც იზიარებდნენ ვინდელბანდი და რიკერტი, მიიჩნევდა, რომ ძირითადია ნორმატული მეცნიერება, ხოლო თეორიული მას უნდა დაეფუძნოს. იმისათვის, რომ გავიგოთ არსი, უნდა ვიცოდეთ ჯერარსი. ცოდნა იმისა, რაც უნდა იყოს, არის გასაღები არსებულის გაგებისა. თეორიული მსჯელობა, რომ "მხოლოდ მამაცი ადამიანი არის ნამდვილი მეომარი" ემყარება შემდეგ ნორმატულ მსჯელობას "სიმამაცე არის ის ძირითადი ღირებულება, რომლითაც უნდა შეფასდეს მეომარი".

განსაკუთრებით დავა მიმდინარეობდა ორი მეცნიერების — ლოგიკის და ეთიკის შესახებ. ერთნი თვლიდნენ, რომ ეს მეცნიერებანი თეორიული, ხოლო მეორენი — ნორმატული ხასიათისაა.

აღნიშნული პოზიციები იმდენად შეურიგებელი აღმოჩნდა, რომ ჩამოყალიბდა რადიკალური თვალსაზრისი, რომლის თანახმად საერთოდ უარყოფილ იქნა ნორმატულ მეცნიერებათა არსებობის შესაძლებლობა. ამგვარი შეხედულება გამოთქვა რუსმა ფილოსოფოსმა პ. სოროკინმა. იგი საგანგებოდ არკვევდა ეთიკის, როგორც მეცნიერების დაფუძნების პრობლემას. ამასთან დაკავშირებით მის წინაშე დადგა საკითხი საზოგადოდ ნორმატულ მეცნიერებათა ბუნების შესახებ. სოროკინმა წამოაყენა შემდეგი თეზისი: ეთიკა, როგორც ყველა სხვა მეცნიერება, არ შეიძლება იყოს ნორმატული, რადგან ნორმატუ-

ლი სისტემა არ არის მეცნიერება. ეს უკანასკნელი შეიძლება იყოს მხოლოდ თეორიული, რომელიც შეიმეცნებს არსებულს როგორიც იგი არის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ არის მართებული ნორმატულ მეცნიერებათა უარყოფა. გამოყენებითი მეცნიერებანი ნორმატული ხასიათისაა. მართალია, ისინი ეფუძნებიან თეორიულ მეცნიერებებს, მაგრამ მათზე არ დაიყვანებიან. საქმე ისაა, რომ გარდა თეორიული ცოდნისა, ნორმატულ მეცნიერებათა საფუძველია ღირებულება. როგორც ზემოთ უკვე ვაჩვენეთ, ღირებულებასა და ცოდნას შორის არსებითი განსხვავებაა, ამიტომ მათი ურთიერთდაყვანა ან შენაცვლება შეუძლებელია.

ნორმატულ მეცნიერებათა შინაარსი მთლიანად თეორიულ ცოდნაზე არ დაიყვანება. მას თავისი სპეციფიკა აქვს, რაც განისაზღვრება ღირებულების როგორც ზოგადმნიშვნელადი და სავალდებულო ფასეულობის აღიარებით.

ნორმატული მეცნიერების თავისებურება, რაც მას არსებითად განასხვავებას თეორიულისაგან, არის ის, რომ იგი ძირითადი ღირებულების, როგორც მიზნის აღიარების საფუძველზე აყალიბებს მისი განხორციელების პირობებს ნორმათა სისტემის სახით. ნორმები ზოგადმნიშვნელადი ხასიათისაა. ამიტომ მათი დაცვა და შესრულება სავალდებულოა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნაწილი მესამე

კულტურა და საზოგადოება

კულტურის ზოგადი დახასიათება

კულტურის ცნება. კულტურის ცნების შესახებ უკვე ზემოთ გვქონდა ბჭობა, როდესაც ვარკვევდით ადამიანური ყოფიერების თავისებურებას. მოკლედ ჩამოვაყალიბოთ კულტურის ცნების ძირითადი მნიშვნელობანი. ივი მოიხმარება სამი აზრით:

1) ადამიანის მიერ ბუნების მოვლენების გარდაქმნა ან ხელოვნურად შექმნა, მიწის დამუშავება, ცხოველთა მოშინაურება, მცენარეთა კულტურული ჯიშების გამოყვანა და სხვა სამეურნეო საქმიანობა.

2) გარკვეული ნიმუშების და წესების ერთობლიობა, განათლების დონისა და დახვეწილი მანერების ათვისება. ამ აზრით ამბობენ: "შრომის კულტურა", "ქცევის კულტურა", "კულტურული ადამიანი" და სხვა. ამგვარ კონტექსტებში სიტყვა "კულტურა" იხმარება ჩამორჩენილობის და ველურობის საპირისპიროდ.

3) ივი მოიცავს ყველაფერს, რაც ადამიანის ფიზიკური და სულიერი საქმიანობის შედეგადაა შექმნილი. ეს არის იდეალებისა და ღირებულებების, ფასეულობებისა და დოვლათის, ინსტიტუტებისა და ორგანიზაციების, ინდივიდუალური და საზოგადოებრივი ურთიერთობების ერთობლიობა. ივი ადამიანის მიერ ხელოვნურად შექმნილი ახალი რეალობაა, რომელიც თვისებრივად განსხვავდება ბუნებისაგან. ამ შემთხვევაში კულტურა არის ბუნების საპირისპირო. მისი განმარტება უარყოფითად ასე შეიძლება: კულტურა არის ყველაფერი, რაც არ არის ბუნება. "კულტურული" უპირისპირდება "ბუნებრივს". პირველი ხელოვნურად იქმნება ადამიანის მიერ, ხოლო მეორე ხდება თავისით, თვით საგნის არსიდან გამომდინარე. კულტურას ადამიანი ქმნის, სრულყოფს და აუმჯობესებს. ბუნება ადამიანის ან სხვა რაიმე ზებუნებრივი ძალის ჩარევის გარეშე აწარმოებს და არეგულირებს თავის თავს. ბუნების პროცესი, რომელშიც ადამიანი ჩაერევა, უკვე კულტურის ფენომენია.

ქვემოთ "კულტურის" ცნებას მოვიხმართ ფართო აზრით. კულტურა არის ბუნებისაგან განსხვავებული, ადამიანის მიერ შექმნილი სამყარო, რომელიც მოიცავს როგორც მატერიალურ, ისე სულიერ ფასეულობათა ერთობლიობას.

ცივილიზაცია. სიტყვა "ცივილიზაცია" წარმოსდგება ლათინური სიტყვიდან "ცივილის", რაც ნიშნავს სამოქალაქოს, სახელმწიფოებრივს. თავდაპირველად ადამიანები მოხეტიალე, მომთაბარე ცხოვრებას ეწეოდნენ. ისინი არსებობდნენ ჯოგების სახით და მათი ცხოვრება დიდად არ განსხვავდებოდა ცხოველების არსებობისაგან. ეს იყო ველურობისა და ბარბარობის პე-

რიოდი, როდესაც ადამიანები ცხოვრობდნენ სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის გარეშე. შემდგომ ადამიანი გადავიდა ბინადარ ცხოვრებაზე. მან თავისი არსებობა და საქმიანობა დაუკავშირა გარკვეულ ტერიტორიას, მიეჯაჭვა მას, დაიწყო მისი დამუშავება და ათვისება. ტომობრივ-თემური გაერთიანების ნაცვლად თანდათან ჩამოყალიბდა სახელმწიფო. ამ უკანასკნელს მოყვა სამეურნეო და კულტურული საქმიანობის გაფართოება. გაღრმავდა შრომის საზოგადოებრივი დანაწილება, დასაბამი მიეცა სასაქონლო წარმოებას, რასაც შედეგად მოყვა ვაჭრობის გაცხოველება. შეიქმნა დამწერლობა, განვითარდა რელიგია, ფილოსოფია, მეცნიერება, ხელოვნება, ტექნიკა. ადამიანი იწყებს პოლიტიკურ და სამართლებრივ საქმიანობას. ჩნდება ქალაქები, რითაც დასაბამი ეძლევა ქალაქურ ცხოვრებას. ერთი სიტყვით, ძირფესვიანად იცვლება ადამიანის ცხოვრების და აზროვნების წესი. იგი თანდათან გამოდის ველურობის მდგომარეობიდან და გადადის ცხოვრების ცივილიზებულ წესზე. ამიერიდან მისი საზოგადოებრივი საქმიანობა რეგულირდება სახელმწიფოს მეშვეობით. იგი იწყებს ცივილიზებულ ანუ სახელმწიფოებრივ ცხოვრებას. კაცობრიობა შედის თავისი არსებობის სრულიად ახალ ფაზაში, რასაც ცივილიზაცია ეწოდება. ამგვარად, ცივილიზაციის თავდაპირველი მნიშვნელობაა საზოგადოების ორგანიზაციის და მართვის სახელმწიფოებრივი ფორმა. ამით იწყება ახალი ერა კაცობრიობის ისტორიაში.

თანამედროვე ფილოსოფიაში ცივილიზაციის ცნება ძირითადად იხმარება ორი აზრით:

1) იგი გაიგივებულია კულტურასთან. ეს ორი ცნება მიჩნეულია სინონიმებად და აღნიშნავენ ერთსა და იმავეს. მაგალითად, XVII-XIX საუკუნეებში ჩამოყალიბდა ტრადიცია, რომლის თანახმად კულტურა და ცივილიზაცია გაიგივებულია ერთმანეთთან. დღესაც ზოგიერთი მოაზროვნე უგულებელყოფს განსხვავებას მათ შორის და არსებითად იგივეობრივი მნიშვნელობით მოიხმარს აღნიშნულ ცნებებს. ამის დასტურია შემდეგი გამოთქმები, რომლებიც ხშირად გვხვდება თანამედროვე ფილოსოფიურ ლიტერატურაში: "ანტიკური კულტურა" და "ანტიკური ცივილიზაცია", "ინდუსტრიული კულტურა" და "ინდუსტრიული ცივილიზაცია", "ტექნიკური კულტურა" და "ტექნიკური ცივილიზაცია".

2) მიჩნეულია, რომ არსებითი განსხვავებაა კულტურასა და ცივილიზაციას შორის. მაგალითად, XX საუკუნის გამოჩენილი გერმანელი ფილოსოფოსი ოსვალდ შპენგლერი თვლის, რომ ცივილიზაცია კულტურის ბოლო სტადიაა. იგი მოასწავებს კულტურის სიბერეს, რომელსაც მოყვება დასასრული — სიკვდილი. ცივილიზაცია არის შემოქმედებით ენერგიას მოკლებული კულტურა. იგი უკვე აღარ ვითარდება, თანდათან მიმდინარეობს მისი დაცემა, რასაც აუცილებლად მოყვება აღსასრული. შპენგლერის აზრით, ამგვარ სტადიაზე იმყოფება ევროპული კულტურა.

რუსი ფილოსოფოსი ბერდიაევი შენიშნავს, რომ განსხვავება კულტურასა და ცივილიზაციას შორის პოპულარული გახდა შპენგლერის შემდეგ. მისი

აზრით, ტერმინოლოგია აქ პირობითია. მაგალითად, ფრანგები უპირატესობას აძლევენ ტერმინს "ცივილიზაცია", რომლითაც აღნიშნავენ კულტურას, გერმანელები კი უპირატესობას ანიჭებენ სიტყვას "კულტურა". რაც შეეხება რუსებს, ადრე ისინი უპირატესად მოიხმარდნენ სიტყვას "ცივილიზაცია", ხოლო XIX საუკუნის დასაწყისიდან იყენებენ სიტყვას "კულტურა".

ბერდიაევის თანახმად გარკვეული სხვაობა ცივილიზაციასა და კულტურას შორის მაინც არსებობს. პირველი უფრო ძველია, ვიდრე მეორე. ტექნიკური იარაღების გამოგონება პირველყოფილი ადამიანების მიერ უკვე არის ცივილიზაციის დასაწყისი. ასევე ცივილიზაციაა ნებისმიერი სოციალიზაციის პროცესი. ლათინური სიტყვის "ცივილიზაციის" მნიშვნელობა მიუთითებს აღნიშნული პროცესის სოციალურ ხასიათზე. ამიტომ ცივილიზაცია უნდა გავიგოთ როგორც სოციალურ-კოლექტიური, ხოლო კულტურა როგორც ინდივიდუალური და პიროვნული მოვლენა. მაგალითად, ვამბობთ: "ამ კაცს მაღალი კულტურა აქვს", მაგრამ არ ვამბობთ: "ამ კაცს მაღალი ცივილიზაცია აქვს". ანალოგიურად, ვამბობთ: "სულიერი კულტურა" და არ ვამბობთ: "სულიერი ცივილიზაცია". ცივილიზაცია გულისხმობს ობიექტივაციის და სოციალიზაციის მაღალ ხარისხს. იგი დაკავშირებულია მასების აქტიობასა და ტექნიკის გამოყენებასთან. კულტურა ინდივიდუალურ-პიროვნულია და დაკავშირებულია ადამიანური გონის შემოქმედებით საქმიანობასთან.

მაინც როგორ უნდა გავიგოთ კულტურის და ცივილიზაციის მიმართება? უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ყველა სიტუაციაში ისინი ერთი და იმავე მნიშვნელობით არ მოიხმარება, ამიტომ მათი გაიგივება დაუშვებელია. კულტურა ფართო ცნებაა, რომელიც მოიცავს ყველაფერს, რაც ადამიანის მიერაა შექმნილი. იგი ბუნებისაგან განსხვავებულ მოვლენათა ერთობლიობაა. ველურობა და ბარბაროსობაც კულტურას ეკუთვნის, ვინაიდან ადამიანის საქმიანობისათვისაა დამახასიათებელი. მხოლოდ ადამიანების, მაგრამ არა ცხოველების მიმართ შეიძლება მტკიცება, რომ ისინი ველურები და ბარბაროსები არიან. ცივილიზაცია კულტურის განვითარების გარკვეულ ეტაპზე წარმოიქმნება. იგი მისი განსაკუთრებული სახეა, რომელიც დაკავშირებულია სახელმწიფოებრივ-სამართლებრივ რეგულირებასთან. ადამიანის მოქმედება შეიძლება ცივილიზებულიც იყოს და არაცივილიზებულიც. დემოკრატიული საზოგადოება, რომელიც სამართლებრივი ნორმებით, კანონიერების სრული დაცვით აწესრიგებს ადამიანთა ურთიერთობებს, ცივილიზებულია. დიქტატურა, რომელიც არღვევს ელემენტარულ სამართლებრივ ნორმებს და ემყარება ტერორსა და რეპრესიებს, არაცივილიზებულია. ცივილიზაციის საპირისპიროა ბარბაროსობა და ველურობა.

ამგვარად, კულტურა მოიცავს საზოგადოდ ადამიანური მოღვაწეობით შექმნილ მატერიალურ და სულიერ, საზოგადოებრივ და ინდივიდუალურ ფასეულობათა ერთობლიობას.

ცივილიზაცია კულტურის განვითარების ისეთ საფეხურს გამოხატავს, როდესაც

ადამიანთა საქმიანობის და მათი ურთიერთობების მოგვარება ხდება სახელმწიფო-ბრივ-სამართლებრივი ნორმების, ზნეობრივ-ჰუმანისტური ღირებულებების დაცვით.

საზოგადოების არსი. საზოგადოების ცნება მრავალი მნიშვნელობით იხმარება როგორც ყოველდღიურ მეტყველებაში, ისე მეცნიერებაში. ხშირად ამბობენ: "საზოგადოება ამ აზრს მოწონებით ან აღშფოთებით შეხვდა", "საზოგადოება მოვიდა ან არ მოვიდა" და ა. შ. ამგვარ კონტექსტებში სიტყვა "საზოგადოება" აღნიშნავს ადამიანთა გარკვეულ სიმრავლეს, მაგრამ არ ახასიათებს მას შინაარსობრივად.

არსებობს რაღაც საქმიანობის მიხედვით გაერთიანებული ადამიანთა ჯგუფი, რომელსაც უწოდებენ საზოგადოებას. მაგალითად, "მუსიკალური საზოგადოება", "ფილოსოფიური საზოგადოება", "შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება" და სხვა. ასეთ შემთხვევებში ადამიანებს აერთიანებს წინასწარ შემუშავებული წესდება და პროგრამა, რომლებიც ნათლად განსაზღვრავენ საზოგადოების მიზნებსა და ამოცანებს, აგრეთვე მისი წევრების უფლება-მოვალეობებს.

ზოგჯერ საზოგადოებას ახასიათებენ გარკვეული სტრუქტურული ნიშნის მიხედვით. მაგალითად, მონათმფლობელური საზოგადოება არის ადამიანთა ისეთი გაერთიანება, რომელიც ემყარება მონობის ინსტიტუტს. ანალოგიური აზრით გამოყოფენ ფეოდალურ ან კაპიტალისტურ საზოგადოებას. აგრარული და ინდუსტრიული საზოგადოება გამიჯნულია ერთმანეთისაგან ტექნოლოგიების მიხედვით. დემოკრატიულ და ტოტალიტარულ საზოგადოებას განასხვავებენ პოლიტიკური რეჟიმის მიხედვით და სხვა.

მიუხედავად განსხვავებისა, აღნიშნულ კონტექსტებში სიტყვა "საზოგადოებას" ერთი საერთო ნიშანი აქვს. იგი აღნიშნავს ადამიანთა გარკვეულ გაერთიანებას, ერთობას. მაგრამ დროსა და სივრცეში ადამიანთა ერთად ყოფნა, მაგალითად, გემით მგზავრობისას ადამიანთა გარკვეული ჯგუფის ერთად თავმოყრა ჯერ კიდევ არ არის საზოგადოება. რატომ? იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში სახეზეა ადამიანთა თავმოყრა, მაგრამ არა გაერთიანება. ეს ნიშნავს, რომ ადამიანთა ერთობა ნებისმიერი საზოგადოების არსებობის აუცილებელი პირობაა.

მაგრამ ამჯერად ჩვენი ბჭობა ეხება არა **ნებისმიერი**, არამედ **გარკვეული** ტიპის საზოგადოების არსის დახასიათებას. კერძოდ, საკითხი დგას იმ საზოგადოების შესახებ, რომელიც ადამიანთა თანაცხოვრების და კოლექტიური საქმიანობის აუცილებელი ფორმაა. იგი მოიცავს ინდივიდების მთლიან ცხოვრებას — პოლიტიკურ, სოციალურ, სულიერ და კულტურულ საქმიანობას. კონკრეტულ ბუნებრივ-ისტორიულ პირობებში ადამიანები თანაარსებობენ. ისინი იწყებენ ერთად ცხოვრებას და საქმიანობას. მათ განცალკევებულად, განმარტოებით არსებობა არ შეუძლიათ. ამის გამო ისინი ერთმანეთთან ამყარებენ კავშირს და არეგულირებენ ურთიერთობას, რათა აწარმოონ კოლექტიური საქმიანობა. ინდივიდი მიჯაჭვულია არა მარტო ბუნებას, არამედ საზოგადოებას. იგი მხოლოდ მასში და მისი მეშვეობით საქმიანობს. ინდივიდები ერთმანეთს

უზიარებენ იდეებს, შეხედულებებს, გამოცდილებას, აწარმოებენ საქონელთა ურთიერთგაცვლას, აერთიანებენ ძალისხმევას და ა. შ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ინდივიდების ერთად ცხოვრების პირობებში მყარდება არა მარტო თანამშრომლობა, არამედ დაპირისპირება, რასაც ხშირად მივყავართ კონფლიქტებამდე, ომებამდეც კი. ამიტომ აუცილებელია შეიქმნას სისტემა, რომელიც მოაწესრიგებს ურთიერთობებს ინდივიდებს შორის, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მათი თანაცხოვრების სტაბილურობა და კოლექტიური საქმიანობა. სწორედ ამგვარი სისტემაა საზოგადოება, რომელიც შესაძლებელს ხდის ადამიანთა თანაცხოვრებას და კოლექტიურ საქმიანობას.

თანაარსებობა და კოლექტიური საქმიანობა აუცილებელია ცხოველებისათვისაც. ცხოველის ნებისმიერი სახეობა არსებობს პოპულაციის ფორმით. **პოპულაცია არის ცხოველთა რომელიმე სახეობის ინდივიდთა ერთობლიობა, რომელიც ხანგრძლივად ბინადრობს სივრცის გარკვეულ არეალში და შედარებით გამოცალკევებულია იმავე სახეობის სხვა ერთობლიობისაგან.** მისი რიცხობრივი შემადგენლობა და გავრცელების არეალი გაპირობებულია მოცემული სახეობის ბიოლოგიური თავისებურებით და გარემოპირობებით. პოპულაციის შიგნით ცხოველები არსებობენ ჯოგების, გუნდების და ოჯახების სახით. მათ ინდივიდებს შორის კავშირი მყარდება სიგნალების საშუალებით. ისინი ერთმანეთთან თანამშრომლობენ, რათა მოიპოვონ საჭმელი და თავი დაიცვან მტრებისაგან.

როგორც ვხედავთ, თანაცხოვრება და კოლექტიური საქმიანობა აუცილებელია ცხოველებისათვისაც. მაგრამ მათი ერთობლიობა საზოგადოებას არ წარმოადგენს. ეს უკანასკნელი მხოლოდ ადამინთა ერთად ცხოვრების ფორმაა. ამიტომ საზოგადოების არსი, რომ გავარკვიოთ შევადაროთ იგი ცხოველთა ჯოგურ არსებობას. რა განსხვავებაა მათ შორის? ამ მიზნით ნათლად ჩამოვაყალიბოთ რამდენიმე ნიშანი, რომლებიც ცხადყოფენ არსებით განსხვავებას საზოგადოებასა და პოპულაციას შორის.

1) ცხოველთა ურთიერთობა არ გადის ბუნების ფარგლებს გარეთ. ისინი იზღუდებიან მხოლოდ იმით, რაც ბუნებისაგან მიიღეს. ამ მიზნით არ ქმნიან ხელოვნურად რაღაც დამატებით საშუალებებს, რათა საკვები მოიპოვონ, არ სჭირდებათ შრომის იარაღები, გადაადგილებისას არ იყენებენ სატრანსპორტო საშუალებებს, თავიანთი ურთიერთობის რეგულირებისათვის არ აყალიბებენ მმართველობის ორგანოებს და ა. შ. ყოველგვარ საქმიანობას ისინი ასრულებენ თავიანთი სხეულებრივი ორგანიზაციის გამოყენებით.

სულ სხვაგვარია ვითარება საზოგადოებაში. იმისათვის, რომ ადამიანებმა მოაგვარონ თავიანთი ურთიერთობა, იძულებულნი არიან გასცდნენ ბუნების ფარგლებს. ამ მიზნით მათ უხდებათ საგანგებოდ შექმნან ხელოვნური სა-

შუალებები: შრომის იარაღები, კავშირგაბმულობის საშუალებები, მმართველობის ორგანოები და ა. შ. ერთი სიტყვით, ადამიანთა თანაცხოვრება და კოლექტიური საქმიანობა აუცილებლობით მოითხოვს ბუნებისაგან განსხვავებული ხელოვნური რეალობის შექმნას, რასაც კულტურა ეწოდება.

ამგვარად, პოპულაცია მყარდება ბუნების, ხოლო საზოგადოება — კულტურის ფარგლებში.

2) განსხვავებულია მექანიზმი, რომელიც განსაზღვრავს ურთიერთობას ერთის მხრივ, პოპულაციის ინდივიდებს, ხოლო მეორეს მხრივ — საზოგადოების წევრებს შორის. პირველ შემთხვევაში ურთიერთობას არეგულირებს ინსტინქტი, ხოლო მეორე შემთხვევაში — ცნობიერება. ადამიანები თავიანთ ურთიერთობას არეგულირებენ ცნობიერების საფუძველზე.

3) პოპულაციას არ გააჩნია ინდივიდებს შორის ურთიერთობის მოგვარების ერთი ცენტრი. მათ შორის შრომა არ არის განაწილებული. ამგვარ ფაქტებს ადგილი აქვს მხოლოდ ცალკეული ოჯახების ფარგლებში. მაგალითად, ფუტკრების ოჯახში შრომა განაწილებულია და მისი ინდივიდების ქცევას წარმართავს დედა-ფუტკარი. მაგრამ ამგვარი რამ მთლიანად პოპულაციას არ ახასიათებს.

შრომის განაწილება და მის სახეებს შორის ერთიანი ცენტრის შექმნა საზოგადოების არსებობის და ფუნქციობის აუცილებელი პირობაა.

4) პოპულაციის ინდივიდებს არ გააჩნიათ უფლებები და მოვალეობები. მათი ქცევების შეზღუდვა და რეგულირება არ ხდება დადგენილი კანონებისა და ნორმების საშუალებით. მათთვის არაფერია აკრძალული ან ნებადართული. ისინი თავისუფალნი არიან თავიანთ ქცევებში. ერთადერთი, რაც მათ ქცევებს წარმართავს, არის სახეობისათვის დამახასიათებელი ბიოლოგიური მექანიზმი. ცხოველი აკეთებს ყველაფერს იმას, რის საშუალებასაც მას ინსტინქტი და გარემო აძლევს. რაიმე ოპერაციის შესრულებას მას არც არავინ ავალებს და არც უკრძალავს.

საზოგადოებაში მკაცრად განაწილებულია უფლებები და მოვალეობები. მის წევრებს რაღაც აკრძალული და რაღაც ნებადართული აქვთ. თუ რომელიმე მათგანი თავის უფლებებს გადააჭარბებს ან დაკისრებულ მოვალეობას არ შეასრულებს, მას დასჯიან. ამ პროცესის რეგულირება ხდება ტრადიციების, რელიგიური და ზნეობრივი ნორმების ან სახელმწიფოს მიერ დადგენილი და სანქცირებული კანონების საფუძველზე.

შეიძლება სხვა განმასხვავებელი ნიშნების მითითება, მაგრამ აღნიშნული საკმარისია იმისათვის, რომ ზოგადად განვმარტოთ საზოგადოების არსი. საზოგადოება არის ადამიანთა თანაცხოვრების და კოლექტიური საქმიანობის აუცილებელი ფორმა, რომელიც ყალიბდება კულტურის ფარგლებში. იგი ცნობიერების საფუძველზე მართვადი სისტემაა, რომელიც ემყარება შრომის საზოგადოებრივ განაწილებას და მისი წევრების უფლება-მოვალეობათა მკაცრ რეგლამენტირებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ვხედავთ, საზოგადოება არის ადამიანთა არა ყოველი გაერთიანება, არამედ გარკვეული სისტემა. საზოგადოების ჩამოყალიბება ხდება არა თავისთავად, ბუნებრივად, არამედ გარკვეული ძალისხმევით და იძულებითი ცნობიერებ-თა გაერთიანებას არ სჭირდება არავითარი ძალდატანება. მას ბუნება აწესრიგებს შესაბამისი ინსტინქტების საფუძველზე. ადამიანთა გაერთიანება საზოგადოებად ძალის გარეშე შეუძლებელია. იგი აუცილებელია არა მარტო იმისათვის, რომ ადამიანები გაერთიანდნენ, არამედ იმისათვისაც, რომ უზრუნველყოფილ იქნეს მათი ერთიანობის შენარჩუნება და დაცვა.

მაშასადამე, საზოგადოების წარმოშობა და ფუნქციობა დამყარებულია გარკვეულ ძალაზე. მაგრამ იგი არც ბუნებრივი და არც ზებუნებრივი ძალაა. მას ქმნიან ადამიანები, რომლებიც მოქმედებენ ცნობიერად და მიზანდასახულად. საზოგადოების საფუძველი კულტურაა და არა ბუნება.

კულტურის და საზოგადოების მიმართება. კულტურა და საზოგადოება განსხვავდება ერთმანეთისაგან, რაც ნათლად ჩანს ყოველდღიური ცნობიერების დონეზეც კი. მაგალითად, არსებობს ეროვნული (ქართული) კულტურა, მაგრამ არ არსებობს ეროვნული (ქართული) საზოგადოება. არსებობს ევროპული კულტურა, მაგრამ არა — ევროპული საზოგადოება.

საზოგადოებას თავისი ორგანიზაციის ფორმები აქვს. თავდაპირველად იგი არსებობდა გვარ-ტომობრივი გაერთიანების სახით, რომლის საფუძველზეც ყალიბდებოდა თემები. პირველყოფილი საზოგადოება თემური ხასიათისაა. თემური წყობილების რღვევის შედეგად წარმოიქმნა სახელმწიფო, რომელიც გახდა საზოგადოების ორგანიზაციის ძირითადი ფორმა. სახელმწიფოს ფარგლებში და მისი ძალისხმევით ხდებოდა ადამიანთა გაერთიანება საზოგადოებად. იმის გამო, რომ არ არსებობს ერთიანი სახელმწიფო, არც ერთიანი საზოგადოებაა. იგი დაქუცმაცებულია ცალკეულ სახელმწიფოებად. მათ შორის მყარდება გარკვეული კავშირები, მაგრამ ისინი გამოყოფილი და განცალკევებულია ერთმანეთისაგან.

არც კულტურაა ერთიანი. არსებობს მისი განსხვავებული სახეები, მაგრამ მათი დაყოფა არ ხდება სახელმწიფოების მიხედვით. სანიმუშოდ განვიხილოთ ძველი ბერძნული კულტურა. ძველ საბერძნეთში არ არსებობდა ერთიანი სახელმწიფო, ამიტომ არც ერთიანი ბერძნული საზოგადოება იყო. იქ არსებობდა უამრავი ქალაქ-სახელმწიფო (პოლისი), რომლებიც ერთმანეთისაგან დამოუკიდებლები იყვნენ. მართალია, ისინი თანამშრომლობდნენ, მაგრამ ხშირად ერთმანეთს შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ომებს აწარმოებდნენ. მიუხედავად ამისა, ძელმა ბერძენმა ხალხმა შექმნა ერთიანი კულტურა, რომელიც თვითმყოფადია და ორიგინალობა ახასიათებს.

ანალოგიურია ვითარება თანამედროვე ევროპული კულტურის მიმართ.

ახლა ერთმანეთს შევადაროთ კულტურა და საზოგადოება მოცულობის მხრივ. რომელი უფრო ფართოა?

კულტურა ჩვენ განვმარტეთ ფართო აზრით, რომელიც მოიცავს ყოველივე

იმას, რაც ადამიანის დამუშავების შედეგია. საზოგადოებას ადამიანი ქმნის, ამიტომ იგი კულტურის ფენომენია. საზოგადოება მთელი თავისი ორგანიზაციებით, დაწესებულებებით, კონსტრუქციული თუ დესტრუქციული პროცესებით, პროგრესით თუ რეგრესით კულტურის აუცილებელი ელემენტია. მაგრამ კულტურა საზოგადოებაზე არ დაიყვანება. ივი მოიცავს ბუნების ზოგიერთ მხარეს, რომელიც საზოგადოების სტრუქტურაში არ შედის. მაგალითად, მოშინაურებული ცხოველები და კულტურულ მცენარეთა ჯიშები კულტურის შემადგენელი ელემენტია, რადგან ადამიანის მიერაა დამუშავებული. ასევე პარკები, ყანები, გზები, ხიდები, სახლები და ა. შ. მიეკუთვნება კულტურას, მაგრამ არა საზოგადოებას.

მართებულად უნდა მივიჩნიოთ დასკვნა, რომლის თანახმად საზოგადოება კულტურის ძირითადი, მაგრამ ერთ-ერთი და არა ერთადერთი ფორმაა. კულტურა მოიცავს ადამიანის მიერ შექმნილ სულიერ და მატერიალურ ფასეულობათა ერთობლიობას.

შეიძლება შემოგვედავონ: განა საზოგადოება არ ქმნის კულტურას? გარკვეული აზრით, რასაკვირველია, ქმნის. მაგრამ თუ ყურადღებით გავანალიზებთ ფაქტებს, მაშინ დავადგენთ შემდეგ ვითარებას: კულტურას ქმნიან ადამიანები, ინდივიდები — ზოგჯერ გაერთიანებულნი საზოგადოებად და ერთიანი, კოლექტიური ძალისხმევით, ხოლო ზოგჯერ — განცალკევებით, ინდივიდუალური უნარებისა და ნიჭის წყალობით. მაგალითად, ხელოვნების შედევრების შექმნა და მეცნიერული აღმოჩენები ინდივიდუალური და არა საზოგადოებრივი შემოქმედების შედეგია. "ვეფხის ტყაოსანი" დაწერა რუსთაველმა და არა საზოგადოებამ, მსოფლიო მიზიდულობის კანონი აღმოაჩინა ნიუტონმა, მაგრამ არა საზოგადოებამ.

ამიტომ მართებულად უნდა მივიჩნიოთ დებულება, რომლის თანახმად კულტურას ქმნიან ადამიანები. ისინი ქმნიან თვით საზოგადოებასაც, როგორც კულტურის ძირითად ფორმას.

ამგვარად, **კულტურა უფრო ფართოა, ვიდრე საზოგადოება.** ივი მოიცავს მას და არა პირიქით.

ადამიანი არა მხოლოდ კულტურის შემოქმედია, არამედ მისი შემადგენელი, განუყოფელი ნაწილი. ივი მასში ცხოვრობს და საქმიანობს. კულტურის ქმნადობასთან ერთად ყალიბდება თვით ადამიანი. მათი ფორმირება და განვითარება ერთიანი ისტორიული პროცესია. არ არსებობს ცალკე კულტურა და ცალკე ადამიანი. კულტურა მოიცავს ადამიანს, როგორც მის შემოქმედსა და აქტიურ მონაწილეს. ის, რაც ითქვა კულტურის შესახებ, ეხება საზოგადოებასაც. მას ადამიანები ქმნიან. ადამიანი თავისი არსით საზოგადოებრივი არსებაა. სხვებთან ურთიერთობა, კოლექტიური საქმიანობა, შრომის განაწილება, ცოდნისა და გამოცდილების ურთიერთგაზიარება ადამიანური მოღვაწეობის აუცილებელი და

არა შემთხვევითი ფორმაა. ეს არ არის არც მისი კაპრიზი ან არჩევანის შედეგი. ადამიანისათვის საზოგადოებაში არსებობას და საქმიანობას ალტერნატივა არა აქვს. იგი მხოლოდ საზოგადოებაში ყალიბდება და ვითარდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რადგან კულტურის ძირითადი ფორმა საზოგადოებაა, ამიტომ მისი ქმნადობისა და განვითარების ისტორია, არსებითად საზოგადოების ისტორიაცაა. **ადამიანი კულტურულ-საზოგადოებრივი არსებაა.**

კულტურა და ისტორია. ისტორია არის ქმნადობა. იგი გულისხმობს რაღაცის წარმოშობას, ცვალებადობას და ბოლოს მოსპობას. ისტორიას აქვს დასაწყისი, ცვალებადობის სტადიები და დასასრული. იგი დროში მიმდინარე პროცესია, რაც გულისხმობს მისი მომენტების თანმიმდევრულ მონაცვლეობას. მას თავისი ხანგრძლიობა აქვს — იწყება რომელიღაც დროს და შესაბამისად მთავრდება რომელიღაც დროს. იგი ყოველთვის მოქცეულია დროის ორ მომენტს — დასაწყისსა და დასასრულს შორის.

ისტორია იხმარება ორი — ფართო და ვიწრო აზრით. პირველი მნიშვნელობით იგი მიეყენება ბუნებას მთლიანად და მის ცალკეულ სფეროებს. მაგალითად, ლაპარაკობენ ბუნების ისტორიაზე, მის წარმოშობასა და ცვალებადობაზე. მოგვითხრობენ თუ როგორ წარმოიშვა მზის სისტემა, როგორ გაჩნდა დედამიწაზე სიცოცხლე, ევოლუციის რა გზა გაიარა მან და ა. შ. ვიწრო აზრით ისტორია იხმარება მხოლოდ კულტურის მიმართ. იგი მოგვითხრობს თუ როგორ გაჩნდა ადამიანთა მოდგმა დედამიწაზე და ცვალებადობის რა ეტაპები განვლო მან: როგორ მოხდა ეთნიკური ერთეულების ხალხებად, შემდეგ ერებად ჩამოყალიბება, როგორ შექმნეს მათ სახელმწიფოები, ცვალებადობის რა გზა განვლო ამა თუ იმ ერმა, სახელმწიფომ.

ვიწრო აზრით გაგებული ისტორია უპირისპირდება ბუნებას. განასხვავებენ რეალობის ორ სფეროს — ბუნებას და ისტორიას. ისტორიული პროცესები თავისი არსით განსხვავდება ბუნებრივი პროცესისაგან. ჩვენ მხედველობაში გვექნება ისტორია ვიწრო გაგებით და მას გამოვიყენებთ მხოლოდ კულტურის მიმართ.

არსებობს ისტორია როგორც მეცნიერება. რაზე მოგვითხრობს იგი? ამა თუ იმ ხალხის წარსულზე. მაგალითად, საქართველოს ისტორია აღწერს თუ როგორ გაერთიანდა ქართველური ტომები ქართველ ხალხად, რის შედეგად შეიქმნა საქართველო; როგორ წარმოიქმნა ერთიანი ქართული სახელმწიფო, შემდეგ როგორ მოხდა მისი დაქუცმაცება ცალკეულ სამეფოებად. რა საქმიანობას ეწეოდა ქართველი ხალხი; რა კულტურა შექმნა, როგორ იბრძოდა გარეშე თუ შინაური მტრების წინააღმდეგ. ერთი სიტყვით, იგი მოგვითხრობს ქართველი ხალხის თავგადასავალზე.

არ არსებობს ისტორია საზოგადოდ. იგი ყოველთვის არის ამა თუ იმ კონკრეტული ქვეყნის, მაგალითად, საქართველოს, სომხეთის, რუსეთის, გერმანიის ისტორია. არის თუ არა მსოფლიო ისტორია ერთიანი პროცესი? ამ საკითხზე აზრთა ხვადასხვაობაა. ერთნი მიიჩნევენ, რომ არსებობს მსოფლიო ისტორია, როგორც

ერთიანი და ზეალმავალი პროცესი, სხვები კი უარყოფენ ამგვარ შესაძლებლობას.

პირველ თვალსაზრისს იზიარებდენენ ჰეგელი (1770-1831) და მარქსი (1818-1883).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰეგელი თვლის, რომ მსოფლიო ისტორია ერთიანი პროცესია, რომელსაც წარმართავს აბსოლუტური ანუ მსოფლიო გონი. მისი მიზანია განახორციელოს თავისი თავი ისტორიულ პროცესში. ეს არის სწრაფვა თავისუფლებისაკენ. ამიტომ ისტორიას აქვს მიზანი — თავისუფლების გაცნობიერება და განხორციელება. ისტორიული პროცესი სწორედ ამის გამოვლენა და განამდვილებაა. აღმოსავლეთის ქვეყნებში ერთი მონარქი იყო თავისუფალი. ანტიკურ სამყაროში ზოგიერთმა მიაღწია მას. გერმანულ სამყაროში ყველა გახდება თავისუფალი. ამით ისტორია თავის მიზანს მიაღწევს და იგი კიდეც დასრულდება.

მარქსიც მიიჩნევს, რომ ისტორია ერთიანი და პროგრესული პროცესია, რომელიც მიემართება საზოგადოების წინაისტორიიდან ნამდვილი ისტორიისაკენ. ამ პროცესში მან გამოყო საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციები როგორც განვითარების ძირითადი ეპოქები. საზოგადოების წინაისტორია იწყება წარმოების აზიური წესით, გაივლის ანტიკურს, ფეოდალურს და მთავრდება ბურჟუაზიულით. ამ უკანასკნელის მსხვრევისა და უარყოფის საფუძველზე მყარდება სრულიად ახალი — კომუნისტური საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია, რომლითაც იწყება საზოგადოების ნამდვილი ისტორია. კომუნიზმის განხორციელება არის ისტორიის მიზანი, რომლის შემდეგ არსებითად მთავრდება იგი.

შპენგლერმა უარყო მსოფლიო ისტორია როგორც ერთიანი და ზეალმავალი პროცესი. მან იგი გაიგო როგორც ცალკეულ კულტურათა ისტორია. შპენგლერმა გამოყო რვა კულტურა — ეგვიპტური, ბაბილონური, ინდური, ჩინური, ბერძნულ-რომაული, ბიზანტიურ-არაბული, ევროპული და მაიას კულტურა. ისინი განვითარების ერთიან ხაზს კი არ ქმნიან, არამედ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად არსებობენ და ვითარდებიან.

შპენგლერის მიხედვით, კულტურა ცოცხალი ორგანიზმია. იგი ინდივიდია, რომელიც იბადება, იზრდება, ბერდება და კვდება. ყოველ კულტურას თავისი ბედი აქვს. იგი იწყებს თავისი შემოქმედებითი შესაძლებლობების გაშლას და აღწევს აყვავებას, რომლის შემდეგ მისი ენერგია იფიტება. იგი ბერდება და ბოლოს კვდება. ცივილიზაცია კულტურის დაბერების მაუწყებელია, რომელსაც მოყვება მისი სიკვდილი. ერთ კულტურას მეორე კი არ აგრძელებს და ავითარებს, არამედ იწყებს თავიდან. მას ცვალებადობის თავისი გზა აქვს, ამიტომ არ არის კულტურათა ზეალმავალი პროცესი. იგი არ ატარებს პროგრესულ ხასიათს, რადგან მას მიზანი არა აქვს.

შპენგლერის თვალსაზრისი, რომელიც უარყოფს მსოფლიო ისტორიას როგორც ერთიანსა და პროგრესულს, მართებულად უნდა მივიჩნიოთ. მსოფლიო დაყოფილი იყო რეგიონებად, რომელთაც ერთმანეთთან არავითარი შეხების

წერტილი არ ჰქონიათ. ანტიკურ სამყაროს არათუ რაიმე კონტაქტი, არამედ წარმოდგენაც კი არ ჰქონდა ჩინური ან მაიას კულტურების შესახებ. ამ განსხვავებული კულტურების გაერთიანება და მოქცევა ერთ ისტორიულ პროცესში ყოვლად დაუშვებელია. ყოველ მათგანს თავისი ისტორია აქვს.

ganatleba.ge

მაგრამ შპენგლერის თეორიას ერთი არსებითი ნაკლი აქვს. მას მხედველობიდან გამორჩა ცალკეულ ხალხთა, ერთა ისტორია. ყოველ მათგანს თავისი ისტორიული ბედი აქვს. მათი უგულებელყოფა ან შეცვლა კულტურათა ისტორიით გაუმართლებელია. ყოველი ერის ისტორიაში არსებობდა აღმავლობის და დაღმავლობის პერიოდები. მას არათუ სწორხაზოვანი და პროგრესული ხასიათი არ ჰქონია, არამედ მრავალი ხალხი გადაშენებულა და გამქრალა ისტორიული არენიდან. საკმარისია დავასახელოთ ისეთი კულტურის მქონე ხალხები, როგორიც იყვნენ ძველი ბერძნები და რომაელები.

ქართველ ხალხსაც ჰქონია თავისი აღზევების პერიოდი. ეს იყო თამარ მეფის ეპოქა, რომელსაც ოქროს ხანას უწოდებენ საქართველოს ისტორიაში. მონღოლების შემოსევის შემდეგ იწყება მისი დაღმა სვლა და დაცემა. დღესაც მას დაუდგა ძნელბედობის ჟამი. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მას ეყოფა შემოქმედებითი ენერგია, რათა თავი დააღწიოს ამ მძიმე განსაცდელს.

საზოგადოების არსებობის და ფუნქციობის მატერიალური პირობები

საზოგადოებას ადამიანები ქმნიან ცნობიერად, მიზანდასახულად. მაგრამ ქმნიან არა თვითნებურად, არა ცარიელ ადგილზე, არამედ კანონზომიერად, გარკვეულ ბუნებრივ და ისტორიულ პირობებში. ისინი ობიექტურია, ადამიანთა ნებისაგან დამოუკიდებელია. მათ ადამიანი არ ირჩევს. უპირველეს ყოვლისა, ეს არის მატერიალური ფაქტორები, რომელთა გარეშე საზოგადოება არათუ არ წარმოიქმნებოდა, არამედ ვერ იარსებებდა და ვერ ფუნქციებდა. მათ მიეკუთვნება: **გეოგრაფიული გარემო, მოსახლეობა და წარმოება.** დავახასიათოთ თითოეული მათგანი.

გეოგრაფიული გარემო. ეკოლოგიური პრობლემა. საზოგადოებამ, რომ იარსებოს, მას სივრცე, ადგილი, ტერიტორია სჭირდება. ეს არის დედამიწა თავისი ბუნებრივი პირობებით. საზოგადოებას უჭირავს მისი ზედაპირის რომელიღაც მონაკვეთი. ყოველი სახელმწიფო მოქცეულია ტერიტორიულ საზღვრებში, რომლის გადალახვის უფლება მას არა აქვს. დედამიწის განსაზღვრული ტერიტორია, რომელზეც ვრცელდება მოცემული სახელმწიფოს ძალაუფლება არის ის გეოგრაფიული გარემო, რომლის შიგნით და ბაზაზეც ივი არსებობს და ფუნქციობს.

გეოგრაფიული გარემო მოიცავს სამ ელემენტს: ნიადაგს, წყალს და ჰაერს. მთაგორიანია თუ მდელოებია; უდაბნოა თუ ტყიანი მასივებია; წიაღისეული სიმდიდრეებით მდიდარია თუ ღარიბი; ნიადაგი ნაყოფიერია თუ არა; ზღვას

ესაზღვრება თუ არა; მდინარეების რაოდენობა და განლაგება; როგორია ფლორა და ფაუნა; როგორია კლიმატური პირობები; ჰაერი ზომიერია თუ არა. ერთი სიტყვით, გეოგრაფიული გარემო მოიცავს ყველაფერს იმას, რაც მიწასთან, წყალთან და ჰაერთან არის დაკავშირებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გეოგრაფიული გარემოს ცნება არ მოიცავს მთლიანად ბუნებას. იგი მხოლოდ მის რაღაც ნაწილს ეხება, კერძოდ, იმას, რაც საზოგადოების არსებობასა და საქმიანობაზე უშუალო თუ გაშუალებულ გავლენას ახდენს. ეს არის დედამიწის კონკრეტული ტერიტორია თავისი ბუნებრივი რესურსებით და სიმდიდრეებით. შედის თუ არა გეოგრაფიულ გარემოში დედამიწის გარეთ არსებული მოვლენები და პროცესები? მხოლოდ ისეთი, რომლებიც ასე თუ ისე მონაწილეობენ დედამიწის ფორმირებასა და ქმნადობაში. მაგალითად, მზე გეოგრაფიული გარემოს აუცილებელი ელემენტია, რადგან მისი ენერგია განსაზღვრავს დედამიწაზე მიმდინარე პროცესებს.

ამგვარად, **გეოგრაფიული გარემო არის ბუნების ის ნაწილი, რომელიც უშუალოდ ან გაშუალებით ზემოქმედებას ახდენს საზოგადოების არსებობასა და საქმიანობაზე.**

რა როლს ასრულებს გეოგრაფიული გარემო საზოგადოების განვითარებაში? **მნიშვნელოვანს, მაგრამ არა განმსაზღვრელს.** რას ნიშნავს ეს? იმისათვის, რომ საზოგადოებამ იარსებოს, მას გარკვეული სივრცითი არეალი სჭირდება. იმისათვის, რომ მან თავისი მოთხოვნილებები დაიკმაყოფილოს, მან უნდა აწარმოოს, რათა შესაბამისი მატერიალური დოვლათი შექმნას. მაგრამ ამისათვის მას ბუნებრივი რესურსები სჭირდება. სხვაგვარად იგი ვერც ვერაფერს შექმნიდა. ამიტომ ბუნებრივი რესურსების სიუხვე და მათი ხელმისაწვდომობა აუცილებელია საზოგადოების არსებობისათვის. მაგრამ ბუნებრივ რესურსებს გამოყენება უნდა. ისინი თავისთავად არ მოქმედებენ საზოგადოებაზე. მხოლოდ მათი გონივრული და ეფექტური მოხმარების შემთხვევაში შეუძლია საზოგადოებას მიაღწიოს გარკვეულ წარმატებას. ეს კი უკვე დამოკიდებულია საზოგადოების ხასიათზე, მის ტექნიკურ და ეკონომიკურ პოტენციალზე. შეიძლება ბუნებრივი რესურსებით მდიდარი ქვეყანა განვითარების დონით და კეთილდღეობით ჩამორჩებოდეს მწირი რესურსების მქონე ქვეყანას. იაპონია მეტად არახელსაყრელ გეოგრაფიულ ზონაშია მოქცეული. დამანგრეველი მიწისძვრების სიხშირე, ნაყოფიერი ნიადაგის და ბუნებრივი რესურსების სიმცირე მისი განვითარების ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, იგი მსოფლიოს ერთ-ერთი მოწინავე და განვითარებული ქვეყანაა. მაშასადამე, მთავარია არა თვით ბუნებრივი რესურსების სიუხვე, არამედ მისი გონივრული და ეფექტური გამოყენების შესაძლებლობა. ამას კი უკვე განსაზღვრავს არა ბუნება, არამედ თვით საზოგადოება. გეოგრაფიულ გარემოს არ შეუძლია განსაზღვროს საზოგადოების განვითარების დონე.

კულტურის ადრეულ სტადიებზე საზოგადოება მეტად იყო დამოკიდებული გეოგრაფიულ გარემოზე. ივი სრულად ვერ იყენებდა მას, რასაც განაპირობებდა ცოდნისა და ტექნიკის განვითარების დაბალი დონე. ადამიანი ვერ სარგებლობდა წიაღისეული სიმდიდრეებით, რადგან არ შეეძლო მათი მოპოვება და გადამუშავება. ნავთობი არავითარ როლს არ ასრულებდა მის სამეურნეო საქმიანობაში. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის კვალობაზე იზრდება საზოგადოების ზემოქმედების ძალა ბუნებაზე. დღეს მან გლობალური ხასიათი მიიღო. თუ რა როლს შეასრულებს გეოგრაფიული გარემო საზოგადოების განვითარებაში, ეს დამოკიდებულია ამ უკანასკნელის ეკონომიკურ, მეცნიერულ და ტექნიკურ პოტენციალზე.

არსებობს მიმართულება გეოგრაფიული დეტერმინიზმი, რომელიც მიიჩნევს, რომ გეოგრაფიული გარემო განსაზღვრავს არა მხოლოდ საზოგადოების განვითარების დონეს, არამედ მის ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ სტრუქტურას. თითქოს სახელმწიფოებრივი წყობილების შინაარსი და ხასიათი დამოკიდებული იყოს ნიადაგის ნაყოფიერებაზე, მდინარეთა განლაგებაზე და კლიმატურ პირობებზე.

გეოგრაფიული გარემოს მნიშვნელოვანი როლი საზოგადოების განვითარებაში შეამჩნიეს ჯერ კიდევ ანტიკური ეპოქის მოაზროვნეებმა. საკმარისია დავასახელოთ პლატონი, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა ხელსაყრელი და მოხერხებული მდებარეობის მნიშვნელობა სახელმწიფოს არსებობისა და ფუნქციობისათვის. მაგრამ გეოგრაფიული დეტერმინიზმი როგორც მიმართულება ჩამოყალიბდა XVIII საუკუნეში, რომლის ფუძემდებლად ითვლება ფრანგი ფილოსოფოსი მონტესკიე. მან ყურადღება გაამახვილა კლიმატზე და ივი მიიჩნია იმ ძირითად ფაქტორად, რომელიც განსაზღვრავს საზოგადოების სტრუქტურას. მონტესკიე თვლის, რომ კლიმატზეა დამოკიდებული ადამიანის ხასიათი, რომლის შესაბამისად საზოგადოებაში დგინდება კანონები. თავის მხრივ კანონმდებლობა განაპირობებს საზოგადოების ბუნებას და სტრუქტურას.

XIX საუკუნეში გეოგრაფიული დეტერმინიზმი ჩამოყალიბდა როგორც სოციოლოგიის ერთ-ერთი გავლენიანი მიმდინარეობა, რომელიც ცდილობდა საზოგადოების ცვალებადობა აეხსნა ბუნებრივი ფაქტორების საფუძველზე. ის, რომ გეოგრაფიული გარემო მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ადამიანის სამეურნეო საქმიანობაზე, ეს ფაქტია და ივი დავას არ იწვევს. მაგრამ გეოგრაფიული დეტერმინიზმის თავისებურება ისაა, რომ ივი მას მიიჩნევს საზოგადოების ცვალებადობისა და განვითარების ერთადერთ განმსაზღვრელ ძალად.

ამგვარი პოზიცია საეჭვოა და ივი სამართლიანად უარყოფილ იქნა სხვა სოციოლოგიური მიმდინარეობების მიერ. ივი უმართებულოა სრულიად მარტივი გარემოების გამო: ბუნება არ ქმნის საზოგადოებას, ამიტომ ვერც მის სტრუქტურას და ხასიათს ვერ განსაზღვრავს. საზოგადოება კულტურის და არა ბუნების ფენომენია. ბუნება და კულტურა რეალობის ორი ერთმანეთისა-

გან განსხვავებული და დამოუკიდებელი სფეროა. მართალია, ისინი ერთმანეთთან კავშირში არიან, ურთიერთზემოქმედებენ, მაგრამ ერთმანეთს არ წარმოქმნიან – ამდენად არც ერთმანეთს განსაზღვრავენ.

სიცოცხლის გარემოსთან მიმართებას შეისწავლის ეკოლოგია, რომელიც ბიოლოგიური მეცნიერებაა. იგი ადგენს ზოგად კანონზომიერებას, რომლის თანახმად ცოცხალ ორგანიზმსა და გარემოს შორის არსებობს ბუნებრივი წონასწორობა. თუ იგი დაირღვა, მაშინ სიცოცხლე მოისპობა. საზოგადოების წინაშე იგივე პრობლემა დგას. მას და გარემოს შორის ბუნებრივი წონასწორობა არსებობს. საზოგადოებამ თავისი ზემოქმედებით არ უნდა დაარღვიოს იგი, წინააღმდეგ შემთხვევაში მის არსებობას საფრთხე დაემუქრება. ეს არის ეკოლოგიური პრობლემა, რომელიც საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე მწვავე და აქტუალური გახდა.

ადრე საზოგადოება თავისი სამეურნეო საქმიანობის ხასიათით და გარემოზე ზემოქმედების მასშტაბით არ ქმნიდა ბუნებრივი წონასწორობის დარღვევის საფრთხეს. დღეს სიტუაცია ძირფესვიანად შეიცვალა. გაჩნდა მუქარა, თანაც სერიოზული და საშიში. კონკრეტულად თუ რამ გამოიწვია იგი, შესაძლებელია თუ არა მისი თავიდან აცილება, ამ საკითხს ქვემოთ შევეხებით, როდესაც განვიხილავთ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის გლობალურ შედეგებს.

მოსახლეობა. დემოგრაფიული პრობლემა. საზოგადოების არსებობა და საქმიანობა მოითხოვს მრავალი პრობლემის მოგვარებას. მას სჭირდება წარმოება, მშენებლობა, ტრანსპორტი, სოფლის მეურნეობა, სახელმწიფო, სულიერი კულტურა, ომები, ტერიტორიის ათვისება და ა. შ. ამ მრავალმხრივი და რთული სამუშაოს ჩასატარებლად აუცილებელია ადამიანთა გარკვეული რაოდენობა. ეს არის ის მოსახლეობა, რომელიც საზოგადოების განკარგულებაშია. მისი გამოყენებით და დასაქმებით შეუძლია მას საქმიანობა და წარმატება. შესაბამისი მოსახლეობის გარეშე საზოგადოება საერთოდ ვერ იარსებებს.

მოსახლეობა შედგება გარკვეული ფიზიკური ორგანიზაციისა და ბიოლოგიური თვისებების მქონე ინდივიდებისაგან. მათ სხეული აქვთ, რომელთა ნორმალური ფუნქციობისათვის აუცილებელია ორი ფეხი, ორი ხელი, ორი თვალი, ამართული სიარული და ა. შ. ისინი ცოცხალი არსებანია, ამიტომ ემორჩილებიან ზოგად ბიოლოგიურ კანონზომიერებას: დაბადება და სიკვდილი; ზრდა – ბავშვობა, ყრმობა, სიბერე; სიცოცხლის შეზღუდული ხანგრძლიობა; სქესობრივი განსხვავება; თანდაყოლილი ინსტინქტები და მიდრეკილებები, ნიჭი და უნარები; გამრავლების საკუთარი ტემპი და დინამიკა; თაობათა მონაცვლეობა და ა. შ.

როგორც ვხედავთ, საზოგადოებას ქმნიან გარკვეული ფიზიკური ორგანიზაციის და ბიოლოგიური თვისებების მქონე ინდივიდები, რომლებიც ექვემდებარებიან ზოგად-ბიოლოგიურ კანონზომიერებას: ისმება კითხვა: ინდივიდების ფიზიკური და ბიოლოგიური თავისებურება ხომ არ განსაზღვრავს საზოგადოების სტრუქტურას და მის ხასიათს? სხვაგვარად, მოსახლეობა თავისი

შედგენილობით, თაობათა მონაცვლეობით, გამრავლების ტემპით და ა. შ. რომ არ განსაზღვრავს საზოგადოებრივ ცხოვრებას?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსახლეობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საზოგადოების საქმიანობაზე, მისი განვითარების დონეზე. იმისათვის, რომ საზოგადოებამ წარმატებით გადაჭრას მის წინაშე მდგომი ამოცანები, მას ესაჭიროება შრომისუნარიანი, ჯანმრთელი, პროფესიულად მომზადებული და ინტელექტუალურად განათლებული ადამიანები. თუ მოსახლეობა მათ ნაკლებობას განიცდის, მაშინ საზოგადოება ვერავითარ სერიოზულ პრობლემას ვერ გადაწყვეტს. ბავშვების, მოხუცების, ავადმყოფების სიჭარბე ზედმეტ ტვირთად აწვება საზოგადოებას, რადგან ისინი დამატებით სახსრებს მოითხოვენ მოვლა-პატრონობისათვის. იდეალური მდგომარეობაა, როდესაც მოსახლეობაში უმრავლესობა ჯანმრთელი და შრომისუნარიანია.

თაობათა მონაცვლეობა სიცოცხლის არსებობის ზოგად-ბიოლოგიური კანონზომიერებაა, რასაც ექვემდებარება მოსახლეობაც. მისი მუდმივი განახლება ხდება თაობათა მონაცვლეობის გზით. ყოველი თაობა ბერდება, მას ცვლის ახალი. ეს არის აუცილებელი არა მხოლოდ ბიოლოგიურად, არამედ სოციალურადაც. საქმე ისაა, რომ ერთ თაობას შეუძლია ერთი დიდი სოციალური პროგრამის ათვისება და განხორციელება. იმისათვის, რომ მისგან თვისებრივად განსხვავებული ახალი სოციალური პროგრამა განხორციელდეს, აუცილებელია ახალი თაობა. ძველი იმდენად დაბერებულია, ენერგიას და შემოქმედებას მოკლებულია, რომ იგი რაიმე ახალს ვერ შექმნის. ყოველ ახალ თაობას ცხოვრების თავისი ხედვა, რიტმი და სტილი მოაქვს. მას აღარ აკმაყოფილებს ძველი, ამიტომ ესწრაფვის ახალს. ძველ თაობას ხშირად ეს არ ესმის. ამის გამო, საზოგადოებაში დგება თაობათა მიმართების პრობლემა. ძველი თაობა უკმაყოფილებას გამოთქვამს ახლის მიმართ, რომ მისი წევრები არ ცხოვრობენ ისე, როგორც საჭიროა, რომ ისინი არღვევენ ტრადიციებს და ა. შ. თავის მხრივ, ახალი თაობაც უკმაყოფილოა ძველის მიმართ და მიიჩნევს მას კონსერვატულად და ჩამორჩენილად.

თაობათა ურთიერთობის პრობლემა საზოგადოების მუდმივი და რთული საკითხია.

ადამიანები სხვადასხვა ფიზიკური და ფსიქიკური უნარებით იბადებიან: ზოგი ფიზიკურად სუსტია, ადვილად იღლება, მეტი დასვენება სჭირდება, ამიტომ მათი შრომისუნარიანობა დაბალია. სხვები ფსიქიკურად განუვითარებელია, უნიჭოა, ათვისების უნარი დაბალი აქვთ, ამიტომ რაიმე სერიოზულ ინტელექტუალურ სამუშაოს ვერ შეასრულებენ. ინდივიდები მიდრეკილებებითაც განსხვავებულნი იბადებიან. ერთნი აგრესიულობას, სიფიცხეს, ჟინიანობას, დაუმორჩილებლობას ავლენენ, მეორენი კი — პირიქით, ზედმეტად პასიურნი და მორჩილნი არიან. ყოველივე ეს გავლენას ახდენს მათ საქმიანობაზე, რაც თავის მხრივ, აისახება საზოგადოების ცხოვრებაში.

ერთ-ერთი მეტად სერიოზული პრობლემა, რომელიც დგას საზოგადოე-

ბის წინაშე არის მოსახლეობის გამრავლების საკითხი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსახლეობის გამრავლება დამოკიდებულია ორი ფაქტორის შეფარდებაზე: როგორია მიმართება დაბადებასა და სიკვდილიანობას შორის. თუ დაბადებულთა რიცხვი ჭარბობს გარდაცვლილთა რაოდენობას, მაშინ მოსახლეობა იზრდება, ხოლო თუ პირიქით ხდება, მაშინ იგი მცირდება. ცხადია, რომ საზოგადოება ვერ შეურიგდება მოსახლეობის ვერც მუდმივ შემცირებას და ვერც მის უსაშველო გაზრდას. მისთვის ორივე დამღუპველია.

აღნიშნული ვითარება განაპირობებს იმის აუცილებლობას, რომ საზოგადოებამ უნდა მოახდინოს მოსახლეობის ზრდის რეგულირება.

მაგრამ შეიძლება კი მთლიანად მსოფლიოს მოსახლეობის ზრდის გეგმაზომიერი მართვა? კაცობრიობა დედამიწაზე არათანაბრადაა განსახლებული. ზოგან იგი მჭიდროდ, ხოლო ზოგან მეჩხრად არის განაწილებული. ზოგი ქვეყნის ტერიტორია გადატვირთულია მოსახლეობით, ზოგისა კი – არა. ზოგ ქვეყანასა თუ რეგიონში მოსახლეობის ზრდის მაღალი ტემპია, ხოლო ზოგან დაბალი. ერთი ქვეყანა მოსახლეობის ზრდის ტემპის შემცირებაზე ზრუნავს, მეორე კი – მის გაზრდაზე. საკითხი ისმის თუ მთლიანად როგორი ვითარებაა თანამედროვე მსოფლიოში? რა ელის კაცობრიობას მომავალში? ეს არის დემოგრაფიული პრობლემა, რომელიც დღეს მეტად აქტუალური გახდა.

გადავავლოთ თვალი დედამიწაზე ადამიანთა მოდგმის გამრავლების ისტორიას.

როგორც უკვე ვიცით, თანამედროვე ადამიანის ბიოლოგიური სახეობა გაჩნდა დაახლოებით 50 ათასი წლის წინათ. მიჩნეულია, რომ მაშინ იგი ითვლიდა 500 ათას ინდივიდს. ჩვენი ერის დასაწყისისათვის მან მიაღწია 250-300 მილიონს. 1825 წ. იგი გახდა ერთი მილიარდი. დღეს მან ხუთ მილიარდს გადააჭარბა. ადრე მისი გამრავლების ტემპი ნელი იყო. მხოლოდ ბოლო ორასი წლის განმავლობაში გახდა იგი ინტენსიური. თუ ასე გაგრძელდა კაცობრიობის მატება, მაშინ შვიდი საუკუნის შემდეგ დედამიწის ყოველ კვადრატულ მეტრზე იცხოვრებს თითო ადამიანი. ცხადია, რომ ამგვარი სიტუაცია კატასტროფის ტოლფასია. კაცობრიობას მართებს სერიოზული დაფიქრება, რათა თავიდან აიცილოს მოსალოდნელი საფრთხე.

მატების ინტენსიური ტემპი და მისი რეგულირება არც ცხოველებისათვისაა უცხო. როდესაც პოპულაციაში ინდივიდების რიცხვი ზედმეტად იზრდება, მაშინ მათთვის სასიცოცხლო სივრცე მცირდება. ეს კი აძნელებს მათ გამოკვებას და ხელს უშლის ნორმალურ არსებობას. ამას ცხოველები გრძნობენ, რაზეც ინსტინქტურად რეაგირებას ახდენენ: იზრდება უნაყოფო მდედრის რიცხვი, იბადებიან ავადმყოფი ნაშიერები, მშობლები აღარ ზრუნავენ თავიანთ შვილებზე. ცნობილია, რომ ფრინველთა ზოგიერთი სახეობა ბარტყებს აგდებს ბუდიდან, როდესაც იქ სივიწროვეს გრძნობს. ამგვარად, ცხოველებს ახასიათებს გამრავლების თვითრეგულირების პროცესი, რასაც წარმართავს სახეობისათვის დამახასიათებელი გადარჩენის ინსტინქტი. ადამიანს გამრავლების ამგვარი მექანიზმი

არ გააჩნია. მან ცნობიერების საფუძველზე უნდა მოაგვაროს იგი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დემოგრაფიული პრობლემა მთელი სიმწვავით პირველად დაადგინა ინგლისელმა მღვდელმა და ეკონომისტმა თ. მალთუსმა. 1798 წ. მან გამოაქვეყნა წიგნი "ცდა ხალხთმოსახლეობის კანონის შესახებ", რომელშიც დაადგინა ბუნებრივი კანონი. ამ კანონის თანახმად, შეუსაბამობა არსებობს მოსახლეობის ზრდასა, ერთი მხრივ და საარსებო საშუალებების ზრდას შორის მეორე მხრივ. პირველი იზრდება გეომეტრიული, ხოლო მეორე — არითმეტიკული პროგრესიით. ამიტომ დედამიწას ემუქრება მოსახლეობის სიჭარბე, რომლის გამოკვებასაც იგი ვერ შეძლებს.

მალთუსის ეპოქაში დემოგრაფიული პრობლემა მწვავედ არ იდგა. მისი დამსახურება ისაა, რომ მან პირველმა იგრძნო იგი და კაცობრიობა გაფრთხილა მოსალოდნელი საფრთხის შესახებ. მართალია, ამ საკითხთან დაკავშირებით მან მრავალი არასწორი და უმართებულო შეხედულება გამოთქვა, მაგრამ მის მიერ მომავლის ხედვა პრინციპულად სწორი გამოდგა. დღეგანდელი სიტუაცია ამის ნათელი დადასტურებაა.

მალთუსმა ვერ გაითვალისწინა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი და მისი როლი საზოგადოების განვითარებაში. წარმოების დღეგანდელი დონის მიხედვით კაცობრიობას შეუძლია გამოკვების მოსახლეობის რამდენჯერმე უფრო მეტი რაოდენობა, ვიდრე დღეს დედამიწაზეა. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი საზოგადოების წინაშე ფართო პერსპექტივებს შლის, რომელთა ჩარჩოებში მას შეუძლია აღნიშნული პრობლემის მოგვარება. მაგრამ კონკრეტულად რა ფორმით და როგორ — ეს უკვე მომავლის საქმეა.

ახლა შეგვიძლია პასუხი გავცეთ ზემოთ დასმულ კითხვას. მოსახლეობა თავისი ფიზიკური ორგანიზაციით და ბიოლოგიური თვისებებით საზოგადოების ქმნადობისა და ფუნქციობის აუცილებელი ფაქტორია. იგი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მისი განვითარების ხასიათსა და ტემპებზე, მაგრამ არ განსაზღვრავს მის შინაგან სტრუქტურას. საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური სტრუქტურა არ არის დამოკიდებული მოსახლეობის ბიოფიზიკურ თავისებურებაზე. ეს უკანასკნელი ბუნების, ხოლო საზოგადოება კულტურის ევოლუციის შედეგია. ბუნება არ ქმნის საზოგადოებას. ამიტომ ბუნებრივ ფაქტორს, მოცემულ შემთხვევაში მოსახლეობას, არ შეუძლია განსაზღვროს მისი სტრუქტურა. ეს უკვე დამოკიდებულია კულტურაზე და მის ევოლუციაზე, რასაც ბუნებისაგან განსხვავებული კანონზომიერება ახასიათებს.

წარმოება. საზოგადოებამ, რომ იარსებოს მას ესაჭიროება მატერიალური დოვლათი: შრომის იარაღები, ტრანსპორტის და კავშირგაბმულობის საშუალებანი, შენობები და გზები, საყოფაცხოვრებო და სამედიცინო ტექნიკა, საარსებო საშუალებანი, კვების პროდუქტები და ა. შ. ყოველივე ეს ბუნებაში მზა სახით არ მოიპოვება. საზოგადოებამ იგი თვითონ უნდა შექმნას. ამისათვის ადამიანი მიმართავს საქმიანობის განსაკუთრებულ სახეს, რომელსაც წარმოება ეწოდება.

რა არის წარმოება? უპირველეს ყოვლისა ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ იგი ემყარება ადამიანთა შრომას. მაგრამ ყოველი შრომა არ არის წარმოება. მაგალითად, მძღოლი შრომობს, როდესაც ავტომობილს მართავს ადგილიდან ტვირთი გადაიტანოს; დიასახლისი, რომელიც საჭმელს ამზადებს, რათა ოჯახის წევრები გამოკვებოს; მეცნიერი, მწერალი, ხელოვანი დაძაბულ ინტელექტუალურ შრომას ეწევა. ამ შემთხვევებში სახეზეა ფიზიკური ან გონებრივი შრომა, მაგრამ არა წარმოება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზოგადოდ შრომას ახასიათებს შემდეგი ნიშნები:

1) ფიზიკური და გონებრივი ენერგიის ხარჯვა, რომლის შედეგად ადამიანი გრძნობს დაღლას;

2) რაღაც მიზნის განხორციელება. ადამიანი შრომობს იმისათვის, რომ გარკვეული საქმიანობა შეასრულოს, რომელიც მას დაგეგმილი აქვს.

3) იძულება. ადამიანი შრომობს იძულებით. თუნდაც, რომ მისი შრომა იყოს თავისუფალი, ე. ი. იგი შრომობდეს ნებაყოფლობით და არა ძალდატანებით, მისი შრომა მაინც იძულებითია, რადგან მას საფუძვლად უდევს მატერიალური დაინტერესება, მაგალითად, შესაბამისი ანაზღაურება.

აღნიშნული ნიშნების საფუძველზე შრომა ზოგადად შეიძლება დავახასიათოთ შემდეგნაირად: **შრომა არის მიზანდასახული, იძულებით გაპირობებული ფიზიკური და გონებრივი ენერგიის ხარჯვა რაღაც სამუშაოს შესასრულებლად.**

შრომა წააგავს თამაშს. ეს უკანასკნელიც ადამიანის ფიზიკური და გონებრივი ენერგიის ხარჯვაა, რომლის შედეგად იგი გრძნობს დაღლას. მაგრამ ეს მსგავსება მხოლოდ გარეგნულია, რადგან მათ შორის არსებითი განსხვავებაა.

თამაში ადამიანის ენერგიის ისეთი ხარჯვაა, რომელიც ხორციელდება მარტოოდენ გართობისა და დროსტარების მიზნით. მას საფუძვლად უდევს არა იძულება, არამედ სიამოვნება. როგორც კი დაღლის შედეგად ადამიანს გაუჩნდება უსიამოვნო შეგრძნება, იგი მაშინვე შეწყვეტს თამაშს.

სპორტი შრომაა და არა თამაში. მართალია, იგი მაყურებლის მიერ აღიქმება როგორც თამაში, მაგრამ მისი მონაწილისათვის მომქანცველი შრომაა, რომელსაც იგი მისდევს მატერიალური დაინტერესების გამო და არა გართობის მიზნით.

მარქსი თვლიდა, რომ შრომა კაპიტალიზმის პირობებში იძულებითია. მუშა შრომობს სასიცოცხლო აუცილებლობის გამო, რადგან იგი სხვაგვარად ვერ იარსებებდა. მარქსი ვარაუდობდა, რომ მომავალ კომუნისტურ საზოგადოებაში შრომა გახდებოდა თამაში. ადამიანის მოთხოვნილებებს სრულად დააკმაყოფილებდა საზოგადოება, ამიტომ იგი იშრომებდა არა იძულებით, არამედ საკუთარი სიამოვნებისათვის. ამგვარი ვითარების მიღწევა განუხორციელებელი ოცნებაა, რადგან შრომა ვერასოდეს გადაიქცევა თამაშად. ეს ორი ადამიანის

ქცევის განსხვავებული, მაგრამ აუცილებელი სახეა: პირველის მიზანია რაღაც სამუშაოს შესრულება, მეორის კი — გართობა და სიამოვნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განასხვავებენ ფიზიკურ და გონებრივ შრომას. მაგალითად, მიჩნეულია, რომ მუშის შრომა ფიზიკურია, ხოლო მეცნიერის — გონებრივი. მაგრამ შრომის ამგვარი დაყოფა პირობითია, რადგან ორივე მოიცავს როგორც ფიზიკური, ისე გონებრივი ენერგიის ხარჯვას. მიზნის გაცნობიერება და შესაფერისი ცოდნა ყოველი შრომის აუცილებელი მომენტია. იმის გამო, რომ მუშა ფიზიკურ ენერგიას უფრო მეტს ხარჯავს, ვიდრე გონებრივს, მის შრომას ფიზიკურს უწოდებენ. რაც შეეხება მეცნიერს, იგი თავის საქმიანობაში უფრო მეტ ინტელექტუალურ ენერგიას ხარჯავს, ვიდრე ფიზიკურს, ამიტომ მის შრომას გონებრივს უწოდებენ.

წარმოება შრომის განსაკუთრებული სახეა. კერძოდ, იგი გულისხმობს შესაბამისი პროდუქციის შექმნას. ე. ი. **წარმოება ისეთი შრომაა, რომლის შედეგად იქმნება რაიმე პროდუქცია.** იგი მოიცავს მატერიალურ და სულიერ ფასეულობებს: ტექნიკას, მასალებს, წიგნების ბეჭდვას, ფილმების შექმნას, საარსებო საშუალებებს, მაგალითად, კვების პროდუქტებს და სხვა.

წარმოება, რომ განხორციელდეს, საჭიროა სამუშაო ძალა და წარმოების საშუალებანი. სამუშაო ძალა არის პროფესიულად მომზადებული, სათანადო ჩვევებისა და უნარის მქონე ადამიანი. წარმოების საშუალებებს მიეკუთვნება შრომის საგანი და ტექნიკა. შრომის საგანია ბუნება თავისი სიმდიდრეებით. მათი გარდაქმნით და მათზე ზემოქმედებით ახორციელებს ადამიანი წარმოების პროცესს. ამ მიზნით იგი იყენებს ტექნიკას, რომელიც მოიცავს შრომის იარაღებს და დამხმარე საშუალებებს.

ზოგადად წარმოება შეიძლება შემდეგნაირად განვმარტოთ: **წარმოება არის სამუშაო ძალის მიერ ტექნიკის გამოყენებით ბუნების გარდაქმნა და მისთვის სასურველი ფორმის მიცემა, რის შედეგად იქმნება შესაბამისი პროდუქცია.**

წარმოება საზოგადოების არსებობისა და საქმიანობის საფუძველია. თუ მან რაიმე პროდუქცია არ აწარმოა, მაშინ იგი საერთოდ ვერაფერს შექმნის და ვერც თავის თავს გამოკვებავს. წარმოება და მისი მუდმივი განახლება საზოგადოების არსებობის აუცილებელი ფაქტორია.

წარმოება მნიშვნელოვან როლს ასრულებს საზოგადოების ცხოვრებაში. იგი განსაზღვრავს კულტურის ზოგად ტიპს და ხასიათს. საილუსტრაციოდ განვიხილოთ კულტურათა ძირითადი სტადიები, რომელთაც ადგილი ჰქონდა კაცობრიობის ისტორიაში. გამოყოფენ სამ სტადიას — პირველყოფილს, აგრარულს და ინდუსტრიულს.

პირველყოფილი კულტურა გრძელდება დღიდან ადამიანის წარმოშობისა, ე. ი. 50 000 წლიდან 8000 წლამდე ძვ. წ. ამ პერიოდში ადამიანის საქმიანობა ემყარება მომგროვებლობას და ნადირობას. ისინი მომთაბარეობენ პა-

ტარ-პატარა ჯგუფებად და იყენებენ პრიმიტიულ — ქვის და ხის იარაღებს. ადამიანი ძლივს ახერხებს გამოიკვებოს თავისი თავი, რადგან ჭირს ზედმეტი პროდუქტის შექმნა. ამის გამო მოსახლეობის ზრდის ტემპი დაბალია — ხუთასი ათასიდან იგი გაიზარდა ხუთ მილიონამდე.

აგრარული კულტურა ყალიბდება ძვ. წ. 8000-4000 წ.წ. ფარგლებში. ამ დროს ადამიანმა დაიწყო სასოფლო-სამეურნეო წარმოება. ხელი მიჰყო ხორბლის დამუშავებას, ცხოველების მოშინაურებას. ივი მიეჯაჭვა მიწას და მომთაბარეობიდან გადავიდა ბინადარ ცხოვრებაზე. ვარკვეული ტერიტორიის ათვისება, მისი მიელა-პატრონობა დაედო საფუძვლად ადამიანის საქმიანობას. მოხდა შრომის პირველი დიდი საზოგადოებრივი განაწილება — მესაქონლეობას გამოეყო მიწათმოქმედება. ადამიანმა დაიწყო ლითონების დამუშავება, რისთვისაც საჭირო გახდა ხელოსნობის როგორც შრომის განსაკუთრებული დარგის ჩამოყალიბება. გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, რის შედეგად იმატა ზედმეტმა პროდუქტმა. ამ გარემოებამ განაპირობა აღებ-მიცემობის და ვაჭრობის განვითარება. მოხდა მოსახლეობის ინტენსიური მატება — ხუთი მილიონიდან გაიზარდა ას მილიონამდე.

აგრარული კულტურა გრძელდება დაახლოებით 1750 წლამდე. ამის შემდეგ საზოგადოება შედის ახალ ფაზაში, რომელსაც უწოდებენ ინდუსტრიულ ან მეცნიერულ-ტექნიკურ კულტურას. მისი საფუძველია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, რომლის შედეგად შეიქმნა მანქანური მრეწველობა — მსხვილი ინდუსტრიის სახით. ამ კულტურისათვის დამახასიათებელია ზრდის არნახული ტემპები, რომლებიც მანამდე საერთოდ უცნობი იყო საზოგადოებისათვის.

როგორც ვხედავთ, წარმოება საზოგადოების განვითარების აუცილებელი ფაქტორია. მაგრამ არც ივი განსაზღვრავს მისი ორგანიზაციის კონკრეტულ ფორმებს. თუ როგორი იქნება საზოგადოების პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურა, ეს არ არის დამოკიდებული წარმოების განვითარების დონესა და ტემპებზე.

ჩვენ დავახასიათეთ სამი ძირითადი მატერიალური ფაქტორი — გეოგრაფიული გარემო, მოსახლეობა და წარმოება, რომლებიც აუცილებელია იმისათვის, რომ საზოგადოებამ იარსებოს. ისინი მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საზოგადოების ცხოვრებაში, კერძოდ, მის სამეურნეო საქმიანობაში. ეკონომიკის განვითარების დონე, მისი დინამიკა და აღმავლობა მნიშვნელოვნად გაპირობებულია აღნიშნული ფაქტორების თანაფარდობით. მაგრამ ისინი არ განსაზღვრავენ საზოგადოების ორგანიზაციის და სტრუქტურის კონკრეტულ ფორმებს.

საზოგადოების ეკონომიკური სტრუქტურა

ეკონომიკა და მისი არსი. საზოგადოების ეკონომიკური სტრუქტურა მოიცავს ადამიანთა ეკონომიკურ საქმიანობას და ამ პროცესში ჩამოყალიბებულ ურთიერთობათა სისტემას.

რატომ ეწევა ადამიანი ეკონომიკურ საქმიანობას? რისთვის სჭირდება მას ეს? ადამიანი ცოცხალი ორგანიზმია, რომელსაც აქვს მოთხოვნილებანი. ესენი მოიცავენ ფართო სპექტრს — ბიოლოგიურს, სოციალურს და სულიერს. ადამიანს სჭირდება საკვები, ტანსაცმელი და საცხოვრებელი. ეს არის პირველი აუცილებლობის მოთხოვნილებანი. გარდა ამისა, მას სჭირდება მომსახურება, გართობა, დასვენება, კომფორტი, ფუფუნება და სხვა. სულიერი მოთხოვნილებანი — ინტელექტუალური, ესთეტიკური და ეთიკური მნიშვნელოვან როლს ასრულებს ადამიანის ცხოვრებაში. ადამიანის მოთხოვნილებანი მრავალფეროვანი და განუსაზღვრელია. მათ არა აქვთ საზღვარი. საზოგადოების განვითარების კვალობაზე ისინი მატულობენ, ჩნდება სულ ახალი მოთხოვნილებანი და ამ პროცესს არა აქვს დასასრული.

იმისათვის, რომ ადამიანმა დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნილებანი, იგი აქტიურ საქმიანობას ეწევა. ცხოველიც აქტიურობს. იგი იბრძვის არსებობისათვის, რათა შეინარჩუნოს და გაიხანგრძლივოს სიცოცხლე. მაგრამ ადამიანის და ცხოველის საქმიანობას შორის არსებითი განსხვავებაა. ცხოველი ბუნებრივი რესურსების გამოყენებით ბიოლოგიური გზით იკმაყოფილებს თავის მოთხოვნილებებს. ამისათვის იგი არ მიმართავს ეკონომიკურ საქმიანობას. მას ეს არ სჭირდება და არც ამის მოთხოვნილება აქვს.

სულ სხვა წესით და ხერხებით იკმაყოფილებს ადამიანი თავის მოთხოვნილებებს. რასაკვირველია, იგი იყენებს და მოიხმარს ბუნებრივ რესურსებს, მაგრამ მათ გარდაქმნის და სასეს უცვლის. ამ მიზნით იგი მიმართავს საქმიანობის თავისებურ წესს, რომელიც ჩვენ ზემოთ დავახასიათეთ როგორც წარმოება. სწორედ მისი მეშვეობით ქმნის ადამიანი იმ მატერიალურ პროდუქტებსა და საგნებს, რომელთა განაწილებასა და მოხმარებას ახდენს. მაშასადამე, ადამიანი თავის მოთხოვნილებებს იკმაყოფილებს მის მიერვე წარმოებული და ხელოვნურად შექმნილი პროდუქტებით და საგნებით. მათი განაწილება და მოხმარება მისი არსებობის და ფუნქციობის აუცილებელი მომენტია.

საზოგადოების ეკონომიკური ცხოვრება მოიცავს პროდუქტების და მომსახურების წარმოებას, განაწილებას და მოხმარებას. ეკონომიკა არის იმ ურთიერთობათა სისტემა, რომელიც მყარდება აღნიშნულ სფეროებში ადამიანთა საქმიანობის შედეგად.

ეკონომიკის მიზანია აწარმოოს და შექმნას მატერიალური დოვლათი, რომლის მოხმარებით საზოგადოება შეძლებს დაიკმაყოფილოს თავისი მზარდი და პრაქტიკულად უსაზღვრო მოთხოვნილებანი.

რას ემყარება საზოგადოება ეკონომიკურ საქმიანობაში? ამ მიზნით იგი იყენებს ეკონომიკურ რესურსებს, რომელთაც მიეკუთვნება შემდეგი ელემენტები: ა) ბუნებრივი რესურსები (მიწა, წყალი და ჰაერი თავიანთი სიმდიდრეებით); ბ) ადამიანთა რესურსები (სამუშაო ძალა თავისი ჩვევებით და პროფესიული

დაოსტატებით, მეწარმეობის უნარი, მეცნიერული და ინტელექტუალური პოტენციალი); გ) წარმოების საშუალებანი (ტექნიკა, გზები, ხიდები, შენობები და ა. შ.)

საზოგადოების ეკონომიკური რესურსები შეზღუდულია. მათ არ შეუძლიათ სრულად დაკმაყოფილონ ადამიანის მოთხოვნილებანი. ამიტომ ადამიანის ეკონომიკურ საქმიანობას განსაზღვრავს ორი ურთიერთდაპირისპირებული ფაქტი: ერთის მხრივ, საზოგადოების მოთხოვნილებანი უსაზღვროა, ხოლო მეორეს მხრივ, ეკონომიკური რესურსები, რომელთა მეშვეობით უნდა მოხდეს მათი დაკმაყოფილება, შეზღუდულია. აღნიშნული გარემოება განაპირობებს იმ ძირითად მოთხოვნას, რომელიც ეკონომიკის ფუნქციობას განსაზღვრავს. ეს არის ეფექტიანობა. იგი გამოხატავს შეფარდებას დანახარჯებსა და მიღებულ შედეგებს შორის. რაც შეიძლება ნაკლები ეკონომიკური რესურსების დანახარჯებით, მეტი და მაღალი ხარისხის პროდუქციის და მომსახურების წარმოება. მხოლოდ ეკონომიკის ეფექტიანობის გაზრდით მოახერხებს საზოგადოება მაქსიმალურად დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნილებანი. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ამას ვერ შეძლებს, რადგან შეზღუდული ეკონომიკური რესურსები ამგვარ შესაძლებლობას გამორიცხავს.

ეკონომიკურ ურთიერთობათა საფუძველია საკუთრება. **რა არის საკუთრება?** საკუთრება არის რაიმეს ფლობის და განკარგვის უფლება. იგი გამოხატავს საზოგადოებრივ ურთიერთობას ეკონომიკური რესურსების მიმართ. მესაკუთრეს, რომელიც ფლობს მატერიალურ რესურსს, შეუძლია საკუთარი სურვილით მისი გამოყენება. მაგალითად, მიწის მფლობელს შეუძლია თავისი საკუთრების გაყიდვა, გასაჩუქრება, მემკვიდრეობით გადაცემა და ა. შ. ეს მისი იურიდიული უფლებაა, რომელიც დაკანონებულია სახელმწიფოს მიერ.

საკუთრება ისტორიული კატეგორიაა, რომლის ხასიათი და ფორმები იცვლება საზოგადოების განვითარების შესაბამისად. ჩამოყალიბდა საკუთრების განსხვავებული ტიპები და ფორმები. განასხვავებენ საკუთრების ორ ძირითად ტიპს — კერძოს და საზოგადოებრივს. კერძო შეიძლება არსებობდეს ინდივიდუალური ან ჯგუფური საკუთრების ფორმით. ანალოგიურად არსებობს საზოგადოებრივი საკუთრების განსხვავებული ფორმები, რომელთა შორის ძირითადია სახელმწიფო საკუთრება.

თუ ვის საკუთრებაშია მატერიალური რესურსები, ის განაგებს მათ გამოყენებას და მოხმარებას. იმის შესაბამისად კერძო მფლობელთა თუ სახელმწიფოს ხელშია ისინი თავმოყრილი, გადაწყდება მათი განკარგულების ბედიც.

ეს ვითარება განსაზღვრავს ეკონომიკურ ურთიერთობათა მთლიან სისტემას.

ამგვარად, ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემა მოიცავს მაწარმოებელი რესურსების საკუთრებას, პროდუქციის და მომსახურების წარმოებას, განაწილებას და მოხმარებას.

ეკონომიკის სახეობა. პირველყოფილი ადამიანი მისდევდა ნადირობას და მომგროვებლობას. მას ფაქტობრივად ეკონომიკა არც ჰქონდა. როდესაც იგი გადავიდა აგრარულ კულტურაზე, რის შედეგად დაიწყო მიწის დამუშავება და მომთაბარეობის ნაცვლად ბინადარ ცხოვრებას შეუდგა, თანდათანობით ჩამოყალიბდა ეკონომიკური სისტემა. იგი ემყარებოდა ტრადიციებს, დროთა განმავლობაში შეუმუშავებულ ჩვევებს, კლასობრივ და წოდებრივ შეზღუდვებს და ა. შ. ეს არის ტრადიციული ეკონომიკა, სადაც წამყვან როლს ასრულებდა არა ეკონომიკური ინტერესები, არამედ საზოგადოებაში გაბატონებული იდეოლოგიური, კულტურული და რელიგიური ღირებულებანი. ამგვარი ეკონომიკა ემყარებოდა ჩამორჩენილ ტექნიკას, რომლის პროგრესიც ნელი ტემპით მიმდინარეობდა. ამის გამო ეკონომიკის ზრდა ძლიერ შეზღუდული იყო. ხშირი იყო მისი გაყინვა და დაცემაც კი.

მიუხედავად ყოველივე აღნიშნულისა, ეკონომიკა მაინც ვითარდებოდა, რასაც საფუძვლად ედო ტექნიკური პროგრესი. როგორც უკვე აღვნიშნეთ XVIII საუკუნის ბოლოს წარმოიშვა ინდუსტრიული საზოგადოება, რომლის ფარგლებში ჩამოყალიბდა ახალი ტიპის ეკონომიკა. ეს არის კაპიტალიზმი. იგი არსებითად განსხვავდება ტრადიციული ეკონომიკისაგან. რათა ნათლად წარმოვიდგინოთ კაპიტალისტური ეკონომიკის არსი, მოკლედ დავახასიათოთ მისი ძირითადი პრინციპები.

1) **კერძო კაპიტალისტური საკუთრება:** მატერიალური რესურსები ეკუთვნის კერძო პირებს და არა სახელმწიფოს. მათ შეუძლიათ თავიანთი სურვილის მიხედვით გამოიყენონ ისინი და აწარმოონ ის პროდუქცია, რომელსაც საჭიროდ ჩათვლიან. კაპიტალისტური საკუთრების თავისებურება ისაა, რომ იგი ვრცელდება მხოლოდ კაპიტალზე, ე. ი. მატერიალურ რესურსებზე, მაგრამ არა ადამიანებზე. ტრადიციული საზოგადოების პირობებში კერძო საკუთრება ვრცელდება ადამიანებზეც. მონათმფლობელის საკუთრებას შეადგენდა არა მხოლოდ მატერიალური რესურსები, არამედ ადამიანებიც (მონები). ფეოდალის საკუთრებაში შედიოდა ყმა-გლეხები. კაპიტალისტური საკუთრება აღარ ვრცელდება ადამიანებზე. ისინი თავისუფალნი არიან ორი აზრით: ჯერ-ერთი, იურიდიულად — არავის არ მიეკუთვნებიან საკუთრებად და ეს დადგენილია სახელმწიფოს მიერ კანონის ძალით; მეორე, ისინი თავისუფალნი არიან

მატერიალურად, მოკლებულნი არიან კერძო საკუთრებას. ისინი ფლობენ სამუშაო ძალას, რომლის გამოყენებით მათ შეუძლიათ მოიპოვონ საარსებო საშუალებანი. კაპიტალისტს სჭირდება სამუშაო ძალა, რადგან სხვაგვარად იგი ვერ გამოიყენებს თავის რესურსებს, რათა რაიმე პროდუქცია აწარმოოს. მეორეს მხრივ, არსებობენ თავისუფალი ადამიანები, რომელთაც სჭირდებათ სამუშაო. სხვაგვარად ისინი ვერ იარსებებენ. ისინი ყიდიან თავიანთ სამუშაო ძალას, რის შედეგად ხდებიან კაპიტალისტური საწარმოს მუშები. გარიგება კაპიტალისტსა და მუშას შორის ფორმდება ხელშეკრულების სახით. ეს არის თავისუფალ ადამიანთა ურთიერთსასარგებლო გარიგება, რომელსაც საფუძვლად უდევს ეკონომიკური დაინტერესების პრინციპი.

2) **თავისუფალი მეწარმეობა და არჩევანის თავისუფლება.** თავისუფალი მეწარმეობა ნიშნავს, რომ კერძო პირებს და საწამოებს უფლება აქვთ შეიძინონ ეკონომიკური რესურსები, დაიქირავონ მუშები და აწარმოონ ის საქონელი, რომელსაც მიიჩნევენ საჭიროდ. შემდეგ თავიანთი წარმოებული პროდუქცია გაიტანონ ბაზარზე და გაყიდონ.

არჩევანის თავისუფლება ნიშნავს: ჯერ-ერთი, მესაკუთრეს შეუძლია თავისი სურვილის მიხედვით შეიძინოს და რეალიზაცია უყოს მატერიალურ რესურსებს; მეორე, მუშას შეუძლია თავისი სურვილის მიხედვით აირჩიოს ის სამუშაო, რომელიც მისთვის ყველაზე უფრო ხელსაყრელია.

3) **პირადი დაინტერესების პრინციპი.** პირადი დაინტერესება არის კაპიტალისტური ეკონომიკის ძირითადი მამოძრავებელი ძალა. მეწარმე დაინტერესებულია მიიღოს მაქსიმალური მოგება, ყოველ შემთხვევაში, დაზოგოს და მომჭირნედ გამოიყენოს ეკონომიკური რესურსები. მუშა დაინტერესებულია, რაც შეიძლება მეტი ხელფასი მიიღოს. მომხმარებელი დაინტერესებულია, რაც შეიძლება იაფად იყიდოს საქონელი. ერთი სიტყვით, პირადი დაინტერესება განსაზღვრავს ყველა ეკონომიკური ერთეულის მოქმედების წესს.

4) **კონკურენცია.** კონკურენცია არის ეკონომიკური მეტოქეობა საწარმოებს შორის, რაც შეიძლება მეტი საქონელი გაასაღონ, რათა მიიღონ მაქსიმალური მოგება. აგრეთვე მყიდველებს შორის არის მეტოქეობა, რაც შეიძლება იაფად შეიძინონ მაღალი ხარისხის და მეტი საქონელი. ამ ფაქტს განაპირობებს ის გარემოება, რომ როგორც მეწარმეები, ისე გამყიდველები არიან დამოუკიდებელი ერთეულები. მათ თავისუფლად შეუძლიათ შევიდნენ ან დატოვონ ესა თუ ის ბაზარი.

5) მექანიზმი, რომელიც არეგულირებს კაპიტალისტურ ეკონომიკას, არის საბაზრო სისტემა. **კაპიტალიზმი საბაზრო ეკონომიკაა.**

6) **მთავრობის შეზღუდული როლი.** კაპიტალისტური ეკონომიკა თვითმართვადი სისტემაა. მისი რეგულირება ხდება ბაზრისა და კონკურენციის მეშვეობით, ამიტომ არავითარი საჭიროება არ არსებობს იმისა, რომ მის ფუნ-

ქციობაში ჩაერიოს მთავრობა. ეს უკანასკნელი უშუალოდ არ მონაწილეობს ეკონომიკის მართვაში. მისი როლი ამოიწურება იმით, რომ იგი ქმნის საკანონმდებლო ბაზას, რომელიც განსაზღვრავს ეკონომიკური საქმიანობის ზოგად წანამძღვრებს. მისი ამოცანაა ყოველნაირად ხელი შეუწყოს ეკონომიკურ ზრდას.

ასეთია მოკლედ კაპიტალისტური ეკონომიკის ძირითადი პრინციპები.

მეოცე საუკუნეში სოციალისტური ბანაკის ქვეყნებში ჩამოყალიბდა ე. წ. სოციალისტური ეკონომიკა, როგორც კაპიტალისტური სისტემის ალტერნატივა. მას პრეტენზია ჰქონდა, რომ იგი წარმოადგენდა უფრო პროგრესულ სისტემას, რომელსაც შეეძლო დაეძლია კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელი მანკიერებანი. სოციალისტური ეკონომიკის ძირითადი პრინციპები შემდეგია:

1) სახელმწიფო საკუთრება. მატერიალური რესურსების ძირითადი მფლობელია სახელმწიფო.

2) ცენტრალიზებული მართვა. ეკონომიკას მართავს სახელმწიფო ორგანოები დირექტივებისა და ბრძანებების მეშვეობით.

3) დაგეგმვა. ცენტრი ადგენს და ამტკიცებს ერთიან გეგმას, რომლის შესრულება სავალდებულოა ყველა საწარმოსა და კოლექტივისათვის.

4) სახელმწიფოს აქტიური როლი. ხელისუფლება არა თუ ერევა ეკონომიკურ პროცესებში, არამედ თვითონ წარმართავს მათ.

სოციალისტური ეკონომიკა არის ერთიანი სამეურნეო მექანიზმი, რომლის მართვა ხორციელდება ცენტრალიზებულად ადმინისტრატულ-მბრძანებლური მეთოდებით. იგი ტოტალიტარული სისტემაა, რომელიც გამორიცხავს თავისუფალ მეწარმეობას და კერძო ინიციატივას. იგი არ არის ორიენტირებული ბაზარზე და კონკურენციაზე.

სოციალისტური ეკონომიკა არ არის საბაზრო სისტემა.

თითქმის ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში მიმდინარეობდა დავა კაპიტალისტურ და სოციალისტურ ეკონომიკას შორის. პრაქტიკამ აჩვენა საბაზრო ეკონომიკის უპირატესობა.

საბაზრო ეკონომიკა. წული და მისი წუნქციები.

რა არის ბაზარი? ბაზარი არის ადგილი, სადაც გამყიდველი და მყიდველი ერთმანეთს ხვდება და ერთმანეთთან ამყარებენ კონტაქტს. აქ ხორციელდება საქონლისა და მომსახურების ურთიერთგაცვლა. მყიდველი წარადგენს მოთხოვნას იმ საქონელზე, რისი ყიდვაც მას სურს და შეუძლია. მარტო სურვილი არ კმარა, აუცილებელია, რომ მყიდველს შეეძლოს მისი შეძენა. საქონლის ფასი მისთვის უნდა იყოს ხელმისაწვდომი. გამყიდველი ბაზარს აწვდის საქონლის გარკვეულ რაოდენობას. მაშასადამე, ბაზარი გამოხატავს თანაფარდობას მიწოდებასა და მოთხოვნას შორის. იგი განსაზღვრავს ურთიერთობას მყიდველსა და გამყიდველს შორის. მიწოდება უნდა იყოს მრავალფეროვანი, კარგი ხარისხის და ხელმისაწვდომ ფასებში, რათა დააკმაყოფილოს მომხმარებლის მოთხოვ-

ნილებანი.

მომხმარებელი და მისი ინტერესების დაკმაყოფილება არის ბაზრის მთავარი მიზანი. მიწოდება უნდა მოხდეს მხოლოდ ისეთი საქონლის, რაზეც მოთხოვნა არსებობს. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ გაიყიდება, ამიტომ მის წარმოებასა და ბაზარზე გატანას აზრი არა აქვს.

საბაზრო ეკონომიკის თავისებურება ისაა, რომ მის არსებობას და ფუნქციობას განსაზღვრავს მხოლოდ ბაზარი. ეკონომიკამ საქონელი, როგორი ხარისხის, რა რაოდენობის, როდის და რა პირობებში აწარმოოს და მიაწოდოს მომხმარებელს, ამის რეგულირება ხდება ბაზრის მეშვეობით. მოთხოვნის გაზრდის შესაბამისად ეკონომიკა ზრდის წარმოებას და მიწოდებას, ხოლო შემცირებისას — ამცირებს ან საერთოდ წყვეტს მას. მაშასადამე, მომხმარებელი, მისი მოთხოვნილებანი და ინტერესები არის საბაზრო ეკონომიკის განმსაზღვრელი და მარეგულირებელი ძალა.

საქონელთა ურთიერთგაცვლას, აღებ-მიცემობას, ვაჭრობას ადამიანები თითქმის ყოველთვის მისდევდნენ. შესაბამისად, ბაზარიც არსებობდა. განსაკუთრებით ვაჭრობა გაცხოველდა ანტიკურ ეპოქაში. ძველი ბერძნები, ფინიკიელები, რომაელები, კართაგენელები და სხვა ხალხები ერთმანეთთან ინტენსიურ ვაჭრობას აწარმოებდნენ. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მათ ჰქონდათ საბაზრო ეკონომიკა. ბაზრის და ვაჭრობის არსებობა ჯერ კიდევ არ ნიშნავს საბაზრო ეკონომიკის წარმოშობას. ნატურალური მეურნეობის პირობებშიც კი ადამიანები მისდევენ ვაჭრობას. მაგრამ იგი არ განსაზღვრავს მათ სამეურნეო საქმიანობას. ისინი ძირითადად აწარმოებენ, რათა დაიკმაყოფილონ საკუთარი მოთხოვნილებანი. თუ აღმოაჩნდათ რაიმე ზედმეტი პროდუქტი, მაშინ შეიძლება იგი გაცვალონ სხვა პროდუქტზე. მაგრამ ეს მათ საქმიანობაში ასრულებს მხოლოდ მეორეხარისხოვან, უმნიშვნელო როლს.

ნატურალური მეურნეობისაგან განსხვავებულია სასაქონლო წარმოება. საქონელი არის შრომის პროდუქტი, რომელიც მზადდება არა საკუთარი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, არამედ გასაყიდად. ამიტომ ბაზარი სასაქონლო წარმოების აუცილებელი მომენტია. ბაზრის მეშვეობით ხორციელდება საქონელთა ურთიერთგაცვლა. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ არის საბაზრო ეკონომიკა.

საბაზრო ეკონომიკა ისეთი სასაქონლო წარმოებაა, რომელსაც აქვს უნივერსალური და საყოველთაო ხასიათი, როდესაც წარმოება მთლიანად ექვემდებარება ბაზარს, სადაც ყველაფერი — მატერიალური და ადამიანური რესურსები შეიძლება გახდეს ყიდვა-გაყიდვის საგანი. ეკონომიკა, რომელიც მხოლოდ ბაზარზეა ორიენტირებული, ეკონომიკა, რომელსაც არეგულირებს და წარმართავს ბაზარი, არის საბაზრო ეკონომიკა. მისი ძირითადი მიზანია მომხმარებლის სრული და მაქსიმალური დაკმაყოფილება. ისტორიულად პირველი ამგ-

ვარი ეკონომიკა იყო კაპიტალიზმი.

რისი მეშვეობით ხორციელდება ურთიერთობა ბაზარზე გამყიდველსა და მყიდველს შორის? ეს შეიძლება მოხდეს ბარტერული წესით, ე. ი. საქონელი გაიცვალოს საქონელზე. ადრინდელ ეპოქებში ეს მართლაც ასე ხდებოდა. მაგრამ იგი მოუხერხებელია და არც არის ხელსაყრელი. თანდათან ისტორიულად ჩამოყალიბდა ისეთი ვითარება, რომ წარმოიქმნა ერთი საქონელი, რომელზეც ხდებოდა ყველა დანარჩენი საქონლის გაცვლა. ასე გაჩნდა ფული. რა არის ფული? ფული არის ისეთი საყოველთაოდ აღიარებული საქონელი, რომელზეც ყველა სხვა საქონელი გაიცვლება. იმისათვის, რომ რომელიმე საქონელი ფულად იქცეს, აუცილებელია, მყიდველმაც და გამყიდველმაც იგი აღიაროს როგორც საქონლის გაცვლის ერთადერთი საშუალება. ამგვარ საშუალებად იქცა ოქრო, რომლის ხმარება თანდათანობით შეიცვალა ქაღალდის ნიშნებით. ასე გაჩნდა ფული.

ფულის ძირითადი ფუნქციაა სამი:

1) იგი არის მიმოქცევის საშუალება. მისი მეშვეობით ხდება საქონელთა და მომსახურების საფასურის გადახდა. გამყიდველი ფულზე ყიდის თავის საქონელს, რათა შემდეგ მან თვითონ გამოიყენოს იგი თავისი სურვილის მიხედვით.

2) იგი არის ღირებულების საზომი. მისი მეშვეობით გაიზომება მატერიალური რესურსები, მათგან წარმოებული პროდუქცია და მომსახურება.

3) იგი არის დაგროვების საშუალება. ფული სიმდიდრის დაგროვების საუკეთესო ფორმაა, რადგან მისი შენახვა და გამოყენება ყველაზე უფრო იოლი და მოსახერხებელია.

ფული მნიშვნელოვან როლს ასრულებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მას "ბაზრის ენას" უწოდებენ. ფულის გამოგონება იყო უდიდესი სოციალური აღმოჩენა, რომელმაც მოსახერხებელი და ხელსაყრელი გახადა საქონელთა ურთიერთგაცვლის და მომსახურების პროცესი.

ეკონომიკის ადგილი და როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ეკონომიკა მნიშვნელოვან როლს ასრულებს საზოგადოების არსებობასა და ფუნქციობაში. ამ დებულების დასადასტურებლად საკმარისია აღინიშნოს ის მარტივი გარემოება, რომ მხოლოდ მისი მეშვეობით იქმნება მატერიალური დოვლათი, რომლის გამოყენებით და მოხმარებით შესაძლებელია ადამიანთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. სხვაგვარად საზოგადოება არა თუ ვერ გადაწყვეტს რაიმე მნიშვნელოვან ამოცანას, არამედ საერთოდ ვერ იარსებებს. მშენებლობა, ტრანსპორტი, მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, სამხედრო ტექნიკა, მომსახურება და ა.შ. შეიძლება განვითარდეს მხოლოდ იმ პირობებში, თუ საზოგადოების განკარგულებაში იქნა შესაბამისი რაოდენობის და ხარისხის მატერიალური დოვლათი. ამიტომ ეკონომიკის სტაბილურობა და მისი განუხრელი ზრდა საზოგადოებრივი პროგრესის აუცილებელი პირობაა.

სხვა საკითხია ეკონომიკა განსაზღვრავს თუ არა საზოგადოების სოციალურ, პოლიტიკურ და სულიერ სტრუქტურას. არის თუ არა იგი ბაზისი, რომელიც საზოგადოების მთელი ზედნაშენი აღიმართება? ამ კითხვაზე დადებითი პასუხი გასცა მარქსმა, რომელმაც შეიმუშავა ისტორიის მატერიალისტური გაგება. ამ თეორიის ამოსავალი პრინციპი არის დებულება. რომ საზოგადოებრივი ყოფიერება განსაზღვრავს საზოგადოებრივ ცნობიერებას. საზოგადოებრივი ყოფიერების სტრუქტურაში განმსაზღვრელი ადგილი უკავია წარმოებას, რომელიც ორი მხარის — საწარმოო ძალების და წარმოებით ურთიერთობათა ერთიანობაა. საწარმოო ძალების[4] განვითარების შესაბამისად, ადამიანთა ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად ყალიბდება წარმოებითი ურთიერთობანი, რომელთა ერთობლიობა არის ეკონომიკა. იგი არის სწორედ ის რეალური ბაზისი, რომელიც განსაზღვრავს საზოგადოების პოლიტიკურ, სოციალურ და სულიერ ცხოვრებას.

საზოგადოებრივი იდეებისა და მათი შესაბამისი დაწესებულებების ერთობლიობა, რომელიც ცალსახად დეტერმინირებულია ბაზისის მიერ, არის ზედნაშენი.

მარქსის მიერ შემუშავებული თეორიას აგრეთვე უწოდეს ეკონომიკური დეტერმინიზმი, რადგან მან საზოგადოების განვითარების განმსაზღვრელ ძალად ეკონომიკა გამოაცხადა. აღნიშნული თვალსაზრისი სოციოლოგიურმა მეცნიერებამ არ გაიზიარა. ეკონომიკა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს, მაგრამ არ განსაზღვრავს საზოგადოების პოლიტიკურ, სოციალურ და სულიერ ცხოვრებას. ეს უკანასკნელი მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული, რომელთა შორის ეკონომიკას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, მაგრამ არა ერთადერთი, გადამწყვეტი და წამყვანი როლი განეკუთვნება.

საზოგადოების სოციალური სტრუქტურა.

სოციალური სტრუქტურის ცნება. ტერმინი "სოციალური" ორი — ფართო და ვიწრო აზრით იხმარება. პირველი მნიშვნელობით იგი ემთხვევა "საზოგადოებრივს". სოციალური იგივეა, რაც საზოგადოებრივი. ამ გაგებით სოციალური ურთიერთობები მოიცავს ეკონომიკურ, პოლიტიკურ, კულტურულ და სხვა საზოგადოებრივ ურთიერთობებს. ვიწრო აზრით "სოციალური" აღნიშნავს საზოგადოებრივ ურთიერთობათა სპეციფიკურ ტიპს. ეს არის საკუთრივ სოციალური ურთიერთობანი, რომელთა ერთობლიობა შეადგენს საზოგადოების სოციალური სტრუქტურის არსს. შევეცადოთ დავაზუსტოთ მისი შინაარსი. საზოგადოების სოციალური სტრუქტურა გამოხატავს საზოგადოების არაერთგვაროვნებას, მის დიფერენციაციას, დანაწევრებას განსხვავებულ ჯგუფებად და ფენებად.

საზოგადოების დიფერენციაცია შეიძლება მოხდეს სხვადასხვა ნიშნის მიხედვით. ბიო-ფსიქიკური მახასიათებლების მხრივ ინდივიდები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მრავალი თვისებით და შესაბამისად შესაძლებელია მათი

დაყოფა. მაგალითად, სქესის, ჯანმრთელობის, ნიჭის, ასაკის ნიშნით განვასხვავოთ საზოგადოების წევრები ერთმანეთისაგან. ასევე შეიძლება მათი დაყოფა მოხდეს რასობრივი, ეთნიკური ან ენობრივი კუთვნილების მიხედვით. მაგრამ არც ერთი აღნიშნული დიფერენციაცია არ შეადგენს სოციალურ სტრუქტურას, რადგან მას საფუძვლად უდევს ბუნებრივი ან ისტორიული კრიტერიუმები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზოგადოების სოციალური სტრუქტურა გულისხმობს მისი წევრების შესაბამის ჯგუფებად ისეთ დაყოფას, რომელსაც საფუძვლად უდევს მხოლოდ საზოგადოებრივი კრიტერიუმები. მაგალითად, პოლიტიკური, სამართლებრივი, კულტურული, პროფესიული, ღირებულებითი ორიენტაციები, ინტერესები და სხვა. ამგვარი ნიშნები შეიძლება იყოს: ძალაუფლება, თანამდებობა, საკუთრება, სიმდიდრე, სოციალური მდგომარეობა, როლი, სტატუსი, პროფესია, განათლება, ცხოვრების დონე, შემოსავალი და მრავალი სხვა ისეთი ფაქტორი, რომლებიც გაპირობებულია მხოლოდ საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემით.

თანამედროვე სოციოლოგიაში არ არსებობს სოციალური დიფერენციაციის საყოველთაოდ მიღებული სქემა, რომელსაც ეწნებოდა უნივერსალური ხასიათი. განსხვავება ეხება არა მხოლოდ განხილვის მსოფლმხედველობრივ და მეთოდოლოგიურ საფუძვლებს, არამედ კრიტერიუმებს, რომელთა მიხედვით უნდა მოხდეს საზოგადოების დანაწევრება სოციალურ ჯგუფებად და ფენებად. ჩვენი მიზანი არაა განსხვავებულ შეხედულებათა ანალიზი. ჩვენი ამოცანაა ნათელყოთ სოციალური სტრუქტურის ცნება. სანიმუშოდ ავიღოთ რამდენიმე ფაქტორი, მაგალითად შემოსავალი, თანამდებობა და პროფესია, რათა კონკრეტულად ვაჩვენოთ თუ როგორ ხდება საზოგადოების სოციალური დაყოფა.

შემოსავალი ადამიანებს განასხვავებს სიმდიდრის მიხედვით: არიან მდიდრები, შეძლებულები და ღარიბები. მათი დიფერენციაცია ხდება შემოსავლის ოდენობის და ხასიათის შესაბამისად. ზოგი იმდენად მდიდარია, რომ ფუფუნებაში ცხოვრობს, სხვები მათთან შედარებით ნაკლებად მდიდარია. საზოგადოების გარკვეული ნაწილი შეძლებულია, ე. ი. არც მდიდარია, მაგრამ არც ღარიბი. ღარიბებს შორისაც განსხვავებაა. ზოგი სიღარიბის ზღურბლზეა, ზოგი კი — მთლიანად ღატაკია და ა. შ.

სახელმწიფო იერარქიული აღნაგობისაა. იგი კიბის საფეხურების მსგავსადაა მოწყობილი. არსებობს დაბალი და მაღალი ინსტანციები, რომელთა შორის დაქვემდებარების დამოკიდებულებაა — ქვემდგომი ემორჩილება ზემდგომს. შესაბამისად ინდივიდები თავიანთი მდგომარეობისა და სტატუსის მიხედვით ერთმანეთისაგან განსხვავდებიან იმით, თუ იერარქიული კიბის რა საფეხურზე დგანან ისინი. მათ განსხვავებული უფლებები და მოვალეობები აქვთ. სახელმწიფოს მეთაური თავისი სოციალური მდგომარეობით განსხვავდება საზოგადოების სხვა წევრებისაგან. მაშასადამე, თანამდებობა ადამიანებს ერთმანეთისაგან განასხვავებს სოციალურად.

დასასრულ, ადამიანები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან პროფესიის მიხედ-

ვით. ისინი განსხვავებულ საქმიანობას ეწევიან, რასაც საფუძვლად უდევს შრომის საზოგადოებრივი განაწილება. საზოგადოების განვითარების გზებზე ჩნდება საქმიანობის ახალ-ახალი დარგები, რომელთა დაუფლება მოითხოვს საგანგებო დაოსტატებას და ხელოვნებას. ამის შედეგად საზოგადოება ამზადებს პროფესიონალებს, რომელთა მოვალეობაა შესაბამის სფეროში საქმიანობა. ექიმის საქმეა მკურნალობა, მასწავლებლის — სწავლა, მშენებლის — შენება, გლეხის — მიწის დამუშავება, მეცნიერის — კვლევა, მწერლის — წიგნის დაწერა და ა. შ. ისინი სხვადასხვა სოციალურ ფენას შეადგენენ, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან თავიანთი საქმიანობის წესით და როლით.

ამგვარად, საზოგადოებაში ადამიანები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან თავიანთი სოციალური სტატუსით. ეს უკანასკნელი გულისხმობს იმ მდგომარეობას, რომელიც ინდივიდს საზოგადოებაში უკავია და იმ როლს, რომელსაც იგი ასრულებს. შესაბამისად ადამიანები ქმნიან განსხვავებულ სოციალურ ჯგუფებს და ფენებს. მათი ერთობლიობა გამოხატავს საზოგადოების სოციალურ სტრუქტურას, რომელიც გვიჩვენებს მის არაერთგვაროვნებას, დანაწევრებას სხვადასხვა სტატუსის მქონე ადამიანთა ჯგუფებად და ფენებად.

კლასები და კლასობრივი შრომიერთობანი. საზოგადოება, რომ სოციალურად არაერთგვაროვანია, ეს შეამჩნიეს ჯერ კიდევ ანტიკურმა მოაზროვნეებმა. პლატონმა საზოგადოებაში გამოყო სამი წოდება — მიწათმოქმედები და ხელოსნები, მხედრები და მმართველები. მათ განსხვავებული ადგილი უკავიათ საზოგადოებაში და ფუნქციაც სხვადასხვა აქვთ დაკისრებული. მიწათმოქმედები და ხელოსნები შრომობენ და მატერიალურ დოვლათს ქმნიან; მხედრების საქმეა სახელმწიფოს დაცვა, ხოლო მმართველების — მისი მართვა. მონები პლატონმა საერთოდ გამოტოვა, რადგან ისინი არ ითვლებოდნენ თავისუფალ მოქალაქეებად. მათი ამგვარი უგულებელყოფა სავსებით გასაგებია, რადგან მონათმფლობელური საზოგადოება მათ ადამიანებად საერთოდ არ თვლის. ამ ეპოქისათვის დამახასიათებელია მონების გაიგივება შინაურ პირუტყვთან, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ისინი მეტყველნი არიან.

საზოგადოების კლასებად დაყოფა მოგვიანებით მოხდა. კერძოდ, XVIII საუკუნის მეორე ნახევარში. კლასის ცნება გულისხმობს ადამიანთა ჯგუფების ერთმანეთისაგან გამიჯვნას საკუთრების ფორმების და შემოსავლის წყაროს მიხედვით. აღიარებულ იქნა სამი კლასის — ბურჟუაზიის, პროლეტარიატის და მემამულეთა არსებობა. ბურჟუაზია კაპიტალის მესაკუთრეა და მისი შემოსავლის წყაროა მოგება. პროლეტარიატი საკუთრებას მოკლებულია და მისი შემოსავლის წყაროა ხელფასი. მემამულე მიწის მესაკუთრეა და მისი შემოსავლის წყაროა რენტა.

კლასებს განსხვავებული მდგომარეობა უკავიათ საზოგადოებაში. ერთი გაბატონებულია, მეორე კი — მასზე დამოკიდებული. ამიტომ პირველი ჩაგრავს და ექსპლოატაციას უწევს მას. ეს გარემოება განაპირობებს კლასთა ინტერე-

სების დაპირისპირებას, რაც იწვევს მათ შორის შეურიგებელ ბრძოლას.

მოძღვრება კლასებისა და კლასობრივი ბრძოლის შესახებ ისტორიის მატერიალისტური გაგების აუცილებელი შემადგენელი მომენტი გახდა. მარქსი აღნიშნავს, რომ მას არ ეკუთვნის არც კლასების და არც კლასობრივი ბრძოლის აღმოჩენა. სიახლე, რომელიც მან ამ მოძღვრებაში შეიტანა, შემდეგია: 1) კლასი ისტორიული კატეგორიაა. მისი წარმოქმნა და ცვალებადობა დაკავშირებულია წარმოების განვითარების ფაზებთან. კლასობრივი საზოგადოება წარმოიშვა წარმოების განვითარების გარკვეულ საფეხურზე, როდესაც შესაძლებელი გახდა ზედმეტი პროდუქტის შექმნა და მისი მითვისება. ასე გაჩნდა მონათმფლობელური საზოგადოება, რომლის ძირითადი კლასებია -- მონათმფლობელები და მონები. წარმოების განვითარების შესაბამისად იგი შეიცვალა ფეოდალური საზოგადოებით, რომლის ძირითადი კლასებია – ფეოდალები და ყმა-გლეხები. დასასრულ, მსხვილი მრეწველობის განვითარების კვალდაკვალ ჩამოყალიბდა კაპიტალიზმი, რომლის შესატყვისი კლასებია – ბურჟუაზია და პროლეტარიატი. ყველა დასახელებული საზოგადოება ანტაგონისტურ ხასიათს ატარებს და მისი მამოძრავებელი ძალა კლასობრივი ბრძოლაა. 2) კლასთა ბრძოლას აუცილებლობით მივყავართ პროლეტარიატის დიქტატურამდე. 3) ეს უკანასკნელი წარმოადგენს გარდამავალ საფეხურს, რომლის მეშვეობით მოისპობა კლასები და აშენდება უკლასო საზოგადოება.

ამგვარ საზოგადოებას მარქსი უწოდებდა კომუნისტურს, სადაც გაქრება არა მარტო კლასები და კლასობრივი ბრძოლა, არამედ საერთოდ ყოველგვარი სოციალური დიფერენციაცია. ივი იქნება სოციალურად ერთგვაროვანი. აქ წაიშლება განსხვავება სიმდიდრის, თანამდებობის და პროფესიის მიხედვით. აღარ იქნებიან მდიდრები და ღარიბები, რადგან საზოგადოება ყველას დააკმაყოფილებს მოთხოვნილების მიხედვით. აღარ იქნება თანამდებობები, რადგან არ იარსებებს სახელმწიფო. აღარ იქნება პროფესიული მიჯაჭვულობა საქმიანობის ერთი სფეროსადმი, რადგან ადამიანს თავისუფლად შეეძლება აირჩიოს ის საქმე, რომელიც მას მოესურვება.

სოციალურად ერთგვაროვანი საზოგადოების ჩამოყალიბების კომუნისტური იდეა უტოპიური აღმოჩნდა. ამგვარი საზოგადოება არც არასოდეს ყოფილა და არც მომავალში ოდესმე წარმოიქმნება. სოციალური დიფერენციაცია საზოგადოების არსებობის და ფუნქციობის აუცილებელი პირობაა.

სოციალური ჯგუფები, ფენები, წოდებები და ელიტა. სოციალური ჯგუფი არის ადამიანთა ისეთი ერთობლიობა, რომელთაც აერთიანებთ საერთო ინტერესები და ურთიერთთანაშრომლობა. მაგალითად, რომელიმე ორგანიზაციის ან დაწესებულების კოლექტივის წევრებს აერთიანებს საერთო საქმე და ინტერესები. სოციალური ჯგუფის წევრებს არ გააჩნიათ ერთნაირი სოციალური სტატუსი. მაგალითად, სკოლის დირექტორის და მასწავლებლის მდგომარეობა და როლი ერთმანეთისაგან განსხვავებულია.

სოციალურ ფენას წარმოქმნის ერთნაირი სოციალური სტატუსის მქონე ადამიანები. მაგალითად, მასწავლებლები ერთ სოციალურ ფენას მიეკუთვნება. ანალოგიურად ითქმის ინჟინრების, მწერლების, მხატვრების, დიასახლისების, ვაჭრების შესახებ. სოციალური ფენის წევრები არ არიან გაერთიანებულნი ერთ ჯგუფად. მათ შეიძლება ერთმანეთთან რაიმე კონტაქტიც კი არ ჰქონდეთ. მაგალითად, სხვადასხვა ქალაქის მასწავლებლები შეიძლება ერთმანეთს არც კი იცნობდნენ. მიუხედავად ამისა, ისინი ქმნიან ერთ სოციალურ ფენას, რადგან მათ აერთიანებთ პროფესია და საქმიანობის ერთნაირი წესი.

წოდება არის ისეთი სოციალური ფენა, რომელსაც აქვს სახელმწიფოს მიერ დაკანონებული სხვა სოციალური ფენებისაგან განსხვავებული უფლებები. მათი გადაცემა ხდება მემკვიდრეობით. წოდებები მეტ-ნაკლებად ჩაკეტილი სისტემებია. ერთი წოდებიდან მეორეში გადასვლა იშვიათად ხდება. ივი გამონაკლისია. ამგვარი სოციალური ფენების არსებობა დამახასიათებელი იყო ფეოდალური საზოგადოებისათვის, რომელიც გაუქმა კაპიტალისტურმა წყობილებამ. მან მოსპო წოდებრივი განსხვავებანი და ადამიანები იურიდიულად გათანაბრა. კანონის წინაშე ყველა თანასწორია, რადგან სახელმწიფომ მათ ერთნაირი უფლებები მიანიჭა.

წოდების თავისებური სახეა კასტა. ივი არის მკაცრად ჩაკეტილი სოციალური ჯგუფი, რომელიც გამოყოფილია სხვებისაგან. საზოგადოების კასტური დაყოფა დამახასიათებელი იყო ძველი ინდოეთისათვის.

ელიტა არის ისეთი სოციალური ფენა, რომელიც გამორჩეულია სხვებისაგან და აქვს გარკვეული პრივილეგირებული სოციალური სტატუსი. მას ეს კანონით კი არა აქვს მინიჭებული, არამედ თვითონ მოიპოვა თავისით. ამის მიზეზი შეიძლება იყოს სხვადასხვა: ქონება, განათლება, ნიჭი, ხელისუფლება, ენერგიულობა, პრესტიჟი, ავტორიტეტი და ა. შ. ელიტას განსხვავებულად განმარტავენ, მაგრამ ერთი რამ უდავოდ არის მიჩნეული. ეს არის რჩეულ ადამიანთა ფენა, რომელიც წამყვან როლს ასრულებს საზოგადოებაში. ივი ყოველთვის უმცირესობაა და უპირისპირდება უმრავლესობას, რომელსაც უწოდებენ მასას.

ელიტა ყოველთვის არსებობდა საზოგადოებაში. ძველ საბერძნეთში მის წარმომადგენლებს არისტოკრატებს, ხოლო ძველ რომში — პატრიციებს უწოდებდნენ. პირველის საპირისპირო იყო დემოსი, ხოლო მეორის — პლებეი.

ელიტა არსებობს თანამედროვე საზოგადოებაშიც, მაგრამ მისი თავისებურება ისაა, რომ ივი ღია სოციალური ფენაა, რომლის წევრად გახდომა შეუძლია ნებისმიერ ადამიანს, რა თქმა უნდა, თუ მას სათანადო მონაცემები ექნება.

სოციალური სტრატიფიკაცია და მობილობა. თანამედროვე სოციოლოგიამ უარი თქვა საზოგადოების კლასებად დაყოფაზე. მან საერთოდ განდევნა კლასის ცნება ან იმდენად შეუცვალა შინაარსი, რომ ფაქტობრივად ივი დაიყვანა სოციალური ფენის ცნებაზე. დღეს თითქმის საყოველთაოდ მიღებულია საზოგადოების სოციალურ ფენებად დანაწევრების თვალსაზრისი, რასაც ეწოდება სო-

ციალური სტრატიფიკაციის თეორია. ლათინური სიტყვა "სტრატუმ" ნიშნავს ფენას. ამ თეორიის თანახმად საზოგადოება შედგება სოციალური ფენებისაგან ანუ სტრატებისაგან, რომლებიც გამოხატავენ ადამიანის სტატუსს ან ადგილს საზოგადოებაში. ერთ სტრატას მიეკუთვნება ის ინდივიდები, რომელთაც ერთნაირი სოციალური სტატუსი აქვთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოციალური ფენები ღიაა და არა კარჩაკეტილი. ეს ნიშნავს, რომ ინდივიდებს თავისუფლად შეუძლიათ ერთი სტრატიდან მეორეში გადასვლა. ამგვარ მოძრაობას სოციალური მობილობა ეწოდება. იგი შეიძლება იყოს ვერტიკალური ან ჰორიზონტალური. საქმე ისაა, რომ სტრატები ერთ დონეზე ან იერარქიულად არიან განლაგებულნი ერთმანეთის მიმართ. არსებობს მაღალი და დაბალი დონის ფენები. მობილობა ვერტიკალურია, როდესაც ხდება მაღალი დონის სტრატიდან დაბალში ან პირიქით გადასვლა, შესაბამისად ხდება დაღმასვლა ან აღმასვლა. ამგვარი მობილობის კრიტერიუმია ინდივიდის სოციალური სტატუსის შეცვლა. ჰორიზონტალური მობილობის მაჩვენებელია ერთნაირი დონის სტრატებში ურთიერთგადასვლა, როდესაც არ იცვლება ადამიანის სოციალური სტატუსი. ვთქვათ, მასწავლებელი ერთი სკოლიდან გადავიდა მეორეში, სადაც იმავე მოვალეობას ასრულებს.

საზოგადოების პოლიტიკური სტრუქტურა

საზოგადოების პოლიტიკური ცხოვრება. საზოგადოების პოლიტიკური სტრუქტურის შემადგენელი ელემენტებია: პოლიტიკური სისტემა, ადამიანთა პოლიტიკური ცნობიერება და საქმიანობა.

პოლიტიკური სისტემა არის პოლიტიკური ურთიერთობების მომწესრიგებელი, მარეგულირებელი ორგანიზაციების, დაწესებულებების და სოციალური ინსტიტუტების ერთობლიობა. იგი დაკავშირებულია პოლიტიკური თეორიებისა და იდეების ფორმირებასთან, შესაბამისად, ადამიანის აქტივობასა და საქმიანობასთან.

ყოველივე ზემოთქმული, რომ გავიგოთ აუცილებელია განვმარტოთ სიტყვა "პოლიტიკური". მისი მნიშვნელობა მომდინარეობს ტერმინიდან "პოლიტიკა". ეს უკანასკნელი წარმოსდგება ბერძნული სიტყვიდან "პოლისი", რაც ძველი ბერძნებისათვის აღნიშნავდა ქალაქ-სახელმწიფოს. პლატონმა და არისტოტელემ საგანგებო ნაშრომები მიუძღვნეს მის ანალიზს, რომლის შემდეგ სიტყვა "პოლიტიკა" დამკვიდრდა როგორც შესაბამისი დარგის აღმნიშვნელი ტერმინი.

სახელმწიფო წარმოიშვა საზოგადოების განვითარების გარკვეულ ეტაპზე, როდესაც იგი გადავიდა აგრარულ კულტურაზე. ამ დროს ადამიანის წინაშე დადგა ახალი ამოცანები — დაკავებული ტერიტორიის ათვისება, მისი დაცვა, მოვლა-პატრონობა და დაცვა გარეშე მტრებისაგან. ირღვევა გვარ-ტომობრივი გაერთიანება და მის ნაცვლად ყალიბდება ახალი ისტორიული ერთობა — ხალხი. თემური წყობილება აღარ შეესაბამება საზოგადოების განვითარების დონეს და

თანდათანობით ყალიბდება ორგანიზაციის სრულიად სხვა ტიპი — სახელმწიფო.

სახელმწიფოს წარმოშობამ და ფუნქციობამ განაპირობა ადამიანთა საქმიანობის გარკვეული, სპეციფიკური სახე — პოლიტიკური მოღვაწეობა. ეს ფენომენი შესაბამისი დაწესებულებები, ორგანიზაციები და სოციალური ინსტიტუტები, რომელთა დანიშნულებაა სახელმწიფოებრივი საქმიანობის განხორციელება. გაჩნდა ახალი სოციალური ფენა — პოლიტიკოსები, რომლებიც მოღვაწეობენ მოცემულ სფეროში. სახელმწიფოს ორგანიზაციასა და მოქმედებასთან დაკავშირებით გაჩნდა პოლიტიკური იდეები და შეხედულებები, რომელთა ერთობლიობამ შეადგინა საზოგადოების პოლიტიკური ცნობიერება.

საზოგადოების პოლიტიკური ცხოვრება მოიცავს ადამიანთა სპეციფიკურ საქმიანობას, რომელიც ეხება პოლიტიკური სისტემის ფუნქციობას, შესაბამისი იდეების და შეხედულებების ფორმირებას. პოლიტიკური სისტემის ბირთვი სახელმწიფოა, ამიტომ პოლიტიკური მოღვაწეობა არის სახელმწიფოს ფუნქციობასთან დაკავშირებული პრაქტიკული და სულიერი საქმიანობა.

სახელმწიფოს არსი და მისი ფუნქციები. რა არის სახელმწიფო? **სახელმწიფო არის პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც საზოგადოებას** მართავს ძალაუფლების საშუალებით. ძალაუფლების განხორციელება ემყარება ძალისმიერი მეთოდების და იარაღების გამოყენებას. სახელმწიფო ძალადობის ორგანოა, რომლის გარეშეც იგი არ არსებობს, მაგრამ საზოგადოებაში იგი უნდა იყოს ერთადერთი ოფიციალურად დაშვებული იძულების იარაღი. მან სხვა — კერძო პირთა, დაწესებულებათა ან ორგანიზაციათა მხრიდან ძალადობა უნდა გამორიცხოს. მხოლოდ სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ძალადობა არის საზოგადოების მიერ კანონიერად მიჩნეული და ამიტომ დასაშვები. ეს არის აუცილებელი, რადგან სხვაგვარად უკვე მას არსებობა და ფუნქციობა აღარ შეუძლია.

სახელმწიფოს ახასიათებს შემდეგი ნიშნები:

1) **ხელისუფლება.** ხელისუფლება არის იმ ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ერთობლიობა, რომელთა მიზანია ძალაუფლების განხორციელება. იგი იქმნება საგანგებოდ, ე. ი. სწორედ იმისათვის, რომ ეს ამოცანა შეასრულოს. მას მიეკუთვნება მთავრობა თავისი უწყებებით და სამინისტროებით; ძალოვანი სტრუქტურები — ჯარი, პოლიცია, სპეციალური დანიშნულების რაზმები; პარლამენტი, მართვა-გამგეობის ორგანოები და სხვა. ხელისუფლების ერთადერთი დანიშნულებაა ძალაუფლების განხორციელება. სხვა ფუნქცია მას არ გააჩნია.

2) **სამართალი.** სამართალი არის სახელმწიფოს მიერ დადგენილი კანონებისა და აქტების ერთობლიობა, რომელთა მეშვეობით იგი ახორციელებს თავის ძალაუფლებას. იგი სანქცირებულია სახელმწიფოს მიერ და ხორციელდება ძალისმიერი მეთოდების გამოყენებით. სამართალი სახელმწიფოს გარეშე არ არსებობს. მათი წარმოშობა ერთად ხდება და ქმნიან ერთიან სისტემას.

3) **ტერიტორია.** ყოველ სახელმწიფოს თავისი შესაბამისი ტერიტორია აქვს,

რომელზეც მისი ძალაუფლება ვრცელდება. მოკვეთული ტერიტორიული სახლეობები სახელმწიფო სახლვრებია, რომელთა ფარგლებს მიღმა მისი ხელისუფლება არ ორიენტირდება. მოსახლეობა, რომელიც ამ ტერიტორიაზე ცხოვრობს, სახელმწიფოს ექვემდებარება და ექვემდებარება მის იურისდიქციას. მის წევრებს აერთიანებს არა სისხლით ნათესაობა ან ეთნიკური კუთვნილება, არამედ მხოლოდ სახელმწიფოსადმი დაქვემდებარება. ტერიტორიული დაყოფა სახელმწიფოს აუცილებელი ნიშანია.

4) **გადასახადები.** სახელმწიფოს ესაჭიროება სახსრები, რათა მან შეძლოს არსებობა და ფუნქციობა. მან უნდა უზრუნველყოს სამეურნეო, კულტურული, სოციალური, სამხედრო, სამედიცინო თუ სხვა ტიპის საქმიანობა. გარდა ამისა, არჩინოს სახელმწიფო აპარატში დასაქმებულ მოხელეთა და მუშაკთა მთელი არმია. ყოველივე ამას სჭირდება მატერიალური სახსრები, უპირველეს ყოვლისა, ფინანსები.

სახელმწიფოს შემოსავლის ძირითადი წყაროა გადასახადები. მოსახლეობა თავისი შრომის წყალობით ქმნის ზედმეტ პროდუქტს, რომლის დიდ ნაწილსაც სახელმწიფო ითვისებს გადასახადების მეშვეობით.

სახელმწიფოს აქვს ორი — საშინაო და საგარეო ფუნქცია. შესაბამისად, იგი ახორციელებს საშინაო და საგარეო პოლიტიკას.

სახელმწიფოს საშინაო ფუნქციაა მოაწესრიგოს ურთიერთობანი ქვეყნის შიგნით, რათა უზრუნველყოს მართლწესრიგი. ამისათვის იგი გამოსცემს კანონებს, ალასრულებს მათ და ახორციელებს მართლმსაჯულებას. ეს ნიშნავს, რომ ყოველ ხელისუფლებას სამი ფუნქცია აქვს: საკანონმდებლო (გამოსცეს კანონები), აღმასრულებელი (ალასრულოს ისინი) და სასამართლო (დაიცვას მართლმსაჯულება).

სახელმწიფოს საგარეო ფუნქციაა დაიცვას თავისი ტერიტორიული მთლიანობა და მოაგვაროს ურთიერთობანი უცხო სახელმწიფოსთან.

სახელმწიფოს უმაღლესი მიზანია თავისი სუვერენიტეტის დაცვა. სუვერენიტეტი არის ქვეყნის პოლიტიკური დამოუკიდებლობა და თავისთავადობა, რომელიც გამორიცხავს უცხო სახელმწიფოთა ჩარევას როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაში. სუვერენიტეტის დაკარგვასთან ერთად სახელმწიფო კარგავს თავის დამოუკიდებლობას, რითაც იგი ისობა როგორც სახელმწიფო ან იქცევა უცხო სახელმწიფოს ქვეშევრდომად. ამის გამო ყოველმა სახელმწიფომ, თუ მას უნდა შეინარჩუნოს თავისი სახელმწიფოებრიობა, უნდა შეძლოს სუვერენიტეტის დაცვა.

სახელმწიფოს ორგანიზაციისა და მმართველობის ფორმები. სახელმწიფოები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ორგანიზაციისა და მმართველობის ფორმების მხრივ. სახელმწიფოს ორგანიზაცია გულისხმობს მის მოწყობას შემადგენელ ერთეულებად — შეიცავს თუ არა ავტონომიურ, ე. ი. გარკვეული უფლებებით აღჭურვილ დამოუკიდებელ წარმონაქმნებს. ამ მიმართებით განასხვავებენ უნიტარულ, ფედერაციულ და კონფედერაციულ სახელმწიფოებს.

— **სახელმწიფო უნიტარულია** თუ იგი არ უშვებს ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ავტონომიას. მან შეიძლება დაუშვას მხოლოდ კულტურული ავ-

ტონომია კომპაქტურად დასახლებული ეთნიკური ჯგუფებისათვის ან ეკონომიკური დამოუკიდებლობა მიანიჭოს რომელიმე რეგიონს. იგი არის ერთიანი და არა ავტონომიურ წარმონაქმნთა კავშირი ან გაერთიანება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფედერაციული სახელმწიფო არის დაყოფილი ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ავტონომიებად, რომლებიც შეზღუდული უფლებებით აღჭურვილ სახელმწიფოებრივ წარმონაქმნებს წარმოადგენენ. მათ არ გააჩნიათ სუვერენიტეტი, მაგრამ სარგებლობენ დამოუკიდებლობით ადგილობრივი მმართველობის მხრივ. ფედერაციული სახელმწიფო არის ავტონომიურ წარმონაქმნთა გაერთიანება. იგი უნიტარულია უმაღლესი ხელისუფლების მხრივ, რადგან ემორჩილება ტერიტორიული მთლიანობის და ფედერაციული მმართველობის პრინციპებს. ამგვარ სახელმწიფოებს მიეკუთვნება ამერიკის შეერთებული შტატები და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა.

კონფედერაცია არის სუვერენულ, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა გაერთიანება. ეს არის დროებითი კავშირი, რომელიც გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე. მას ქმნიან სამხედრო ან ეკონომიკური მიზნით. იგი მხოლოდ ფორმალური გაერთიანებაა და ფაქტობრივად არც წარმოადგენს ერთიან სახელმწიფოს.

სახელმწიფოს მმართველობის მხრივ განასხვავებენ მონარქიას და რესპუბლიკას. **მონარქია** არის ისეთი სახელმწიფო, რომელსაც მართავს მეფე ან იმპერატორი. აქ ხელისუფლების გადაცემა ხდება მემკვიდრეობით. **რესპუბლიკა** არის ისეთი სახელმწიფო, სადაც მმართველობას ახორციელებენ ხალხის მიერ არჩეული ორგანოები და პირები. აქ ხელისუფლების გადაცემა მემკვიდრეობით დაუშვებელია.

თანამედროვე პირობებში განასხვავება მონარქიასა და რესპუბლიკას შორის ფორმალურია. დღეს არსებობენ კონსტიტუციური მონარქიები, მაგალითად, ინგლისი და იაპონია, სადაც მეფის ძალაუფლება შეზღუდულია კონსტიტუციურად. ხელისუფლებას ახორციელებს არა მეფე, არამედ ხალხის მიერ არჩეული პარლამენტი. ამიტომ ფაქტობრივად ისინი რესპუბლიკებია.

რესპუბლიკებს განასხვავებენ **საპრეზიდენტო** და **საპარლამენტო** მმართველობის მხრივ. **საპრეზიდენტო რესპუბლიკა** გულისხმობს მმართველობის ისეთ ფორმას, სადაც აღმასრულებელი ხელისუფლება ეკუთვნის პრეზიდენტს და მას ირჩევს ხალხი. იგი არის სახელმწიფოს და მთავრობის მეთაური. ამგვარი რესპუბლიკებია ამერიკის შეერთებული შტატები და საფრანგეთი. **საპარლამენტო რესპუბლიკა** არის მმართველობის ისეთი ფორმა, სადაც აღმასრულებელი ხელისუფლება ეკუთვნის მთავრობას პრემიერ-მინისტრის მეთაურობით. მას ირჩევს პარლამენტი. იგი ასევე ირჩევს პრეზიდენტს, რომელიც ითვლება მხოლოდ სახელმწიფოს მეთაურად, მაგრამ მას არ ეკუთვნის აღმასრულებელი ხელისუფლება. ამგვარი რესპუბლიკებია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა და იტალია.

საქართველოს კონსტიტუცია ითვალისწინებს საპრეზიდენტო მმართველობას.

დემოკრატია, დიქტატურა და ტოტალიტარიზმი. ქვეყანაში დემოკრა-

ტიაა, დიქტატურა თუ ტოტალიტარიზმი, ეს დამოკიდებულია იმაზე — რა ფორმებით და მეთოდებით ახორციელებს ხელისუფლება თავის მმართველობას. ამის შედეგად სახელმწიფოში მყარდება შესაბამისი **პოლიტიკური რეჟიმი.** იგი შეიძლება იყოს დემოკრატიული, დიქტატორული ან ტოტალიტარული. პოლიტიკური რეჟიმი დამოკიდებულია არა სახელმწიფოს მმართველობის ფორმაზე — იგი მონარქიაა თუ რესპუბლიკა, არამედ ძალაუფლების განხორციელების მეთოდებსა და ხერხებზე — როგორ და რა მეთოდებით ახორციელებს იგი თავის ძალაუფლებას.

დემოკრატია წარმოდგება ძველბერძნული სიტყვიდან და ნიშნავს ხალხის მმართველობას. ეს არის ამ სიტყვის თავდაპირველი მნიშვნელობა, რაც არ შეესაბამება მის თანამედროვე გაგებას. საქმე ისაა, რომ სახელმწიფო და ხალხის მმართველობა ერთმანეთს გამორიცხავს. იქ, სადაც ხალხის მმართველობაა, სახელმწიფო არ არსებობს. ამგვარი წყობილება არსებობს პირველყოფილ თემურ საზოგადოებაში, სადაც მმართველობას ახორციელებს თვითონ ხალხი, ამიტომ მას სახელმწიფო არ სჭირდება. ეს უკანასკნელი გულისხმობს საგანგებო ორგანიზაციის შექმნას, რომელიც ხალხისაგან გამოყოფილია. სახელმწიფო წარმოიშობა მხოლოდ იქ, სადაც უკვე ხალხი ვეღარ ახორციელებს მმართველობას. იგი სპეციალურად შექმნილ დაწესებულებათა და ორგანიზაციათა სისტემაა, რომლის დანიშნულებაც საზოგადოების მართვაა. თუ საზოგადოებას ხალხი მართავს, მაშინ სახელმწიფო არ არსებობს. თუ საზოგადოებას სახელმწიფო მართავს, მაშინ ხალხის მმართველობა გამორიცხულია. სახელმწიფოს მართვა ხალხს არც შეუძლია და არც ევალება. ეს მისი ფუნქცია არაა. სახელმწიფოს უნდა მართავდნენ პოლიტიკოსები, ე. ი. საგანგებოდ მომზადებული პროფესიონალები, რომელთა დანიშნულება სწორედ ამ ფუნქციის შესრულებაა. მათ სხვა დანიშნულება არ გააჩნიათ.

აღნიშნული საკმარისია იმის ნათელსაყოფად, რომ დემოკრატია არ შეიძლება იყოს ხალხის მმართველობა. თანამედროვე გაგებით დემოკრატიას ახასიათებს შემდეგი ნიშნები:

1) ხელისუფლების ლეგიტიმურობა. სიტყვა "ლეგიტიმური" ლათინური წარმოშობისაა და ნიშნავს კანონიერს. ხელისუფლება ლეგიტიმურია, თუ იგი არჩეულია კანონის მიერ დადგენილი წესით. დემოკრატია ემყარება არჩევნებს, რომლებიც ტარდება რეგულარულად და კანონიერების მკაცრი დაცვით. მისი ორგანოების პერიოდული განახლება ხდება ზუსტად დადგენილ ვადებში. მაშასადამე, თუ ხელისუფლების ფორმირება მოხდა კანონიერად, მაშინ იგი ლეგიტიმურია.

2) ხელისუფლების შეზღუდვა კანონით. კანონი განსაზღვრავს არა მარტო ხელისუფლების ჩამოყალიბებას, არამედ მის საქმიანობას. საზოგადოების მიერ წინასწარ დადგენილია კანონები, რომლებიც განსაზღვრავენ ხელისუფლების უფლებებსა და მოვალეობებს. მას არ შეუძლია თვითნებურად იმოქმედოს. მისთვის ყველაფერი არ არის ნებადართული და დასაშვები. თუ რისი უფლება აქვს მას და რისი არა, ეს კანონით არის სანქცირებული. ხელისუფლება ხშირად

მიმართავს ძალადობას, მაგრამ მხოლოდ კანონიერების ფარგლებში.

3) **ძალაუფლების განაწილება.** ხელისუფლების ძალაუფლება არ არის თავმოყრილი ერთი ორგანოს ან პირის ხელში. იგი განაწილებულია ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ ორგანოს შორის: საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნის პარლამენტს, აღმასრულებელი — მთავრობას, ხოლო მართლმსაჯულება — სასამართლოს. არც ერთ მათგანს არა აქვს უფლება სხვის საქმეში ჩაერიოს, რადგან ფუნქციები მკაცრად გამიჯნულია.

4) **ოპოზიციის ლეგიტიმურობა.** ოპოზიცია არა თუ აკრძალული არ არის, არამედ კანონიერად ითვლება. ამის გამო დაშვებულია დისიდენტობა, ე. ი. სხვაგვარად აზროვნება. კანონიერად ითვლება არა მარტო ხელისუფლების მიერ მიღებული ოფიციალური აზრი, არამედ მისი საწინააღმდეგოც. ამის გამო არსებობს სიტყვის, პრესის, სინდისის და მოქმედების თავისუფლება.

როგორც ვხედავთ, დემოკრატია არ არის ხალხის მმართველობა. მაგრამ იგი ხალხს აძლევს საშუალებას თავისუფლად გამოხატოს საკუთარი ნება. რაც შეეხება ხელისუფლებას, იგი ემყარება არა ხალხის ნებას, არამედ კანონს და სარგებლობს უმრავლესობის მხარდაჭერით. ოპოზიცია უმცირესობაა. იგი კანონის ფარგლებში ებრძვის ხელისუფლებას და თუ მან მოიპოვა უმრავლესობის მხარდაჭერა, მაშინ მას ეძლევა საშუალება თვითონ მოვიდეს ხელისუფლებაში.

დემოკრატიის უმაღლესი ფასეულობაა პიროვნების თავისუფლება, მისი ღირსების და ხელშეუხებლობის დაცვა.

დიქტატურა დემოკრატიის საპირისპირო მმართველობის ფორმაა, ამიტომ მას ახასიათებს შემდეგი ნიშნები: 1) **ხელისუფლების არალეგიტიმურობა.** იგი მოსულია ხელისუფლებაში არაკანონიერად — სამხედრო გადატრიალებით ან სხვა ძალადობის გზით. 2) **კანონით შეუზღუდავი ძალაუფლება.** მისი მმართველობა ემყარება არა კანონს, არამედ უხეშ ძალას — რეპრესიებს, შეიარაღებულ რაზმებს და ა. შ. 3) **ძალაუფლების გაუნაწილებლობა.** ძალუფლება მთლიანად თავმოყრილია ერთი პირის — დიქტატორის ხელში. მას ეკუთვნის საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ფუნქციები. იგი სარგებლობს განუსაზღვრელი ძალაუფლებით. 4) **ოპოზიციის აკრძალვა.** ოპოზიცია არაკანონიერად ითვლება და ისჯება მთელი სიმკაცრით.

დიქტატურის მრავალი შემთხვევა იცის ისტორიამ. არც მეოცე საუკუნე ყოფილა ამ მხრივ გამონაკლისი. საყოველთაოდ ცნობილია ფაშისტური დიქტატურა გერმანიაში და ბოლშევიკური ყოფილ საბჭოთა კავშირში.

დიქტატურა თრგუნავს ხალხის ნებას. არ აძლევს მას საშუალებას თავისუფლად გამოავლინოს იგი. დიქტატურის პირობებში ხელყოფილია პიროვნების თავისუფლება, იბღალება მისი ღირსება და ხელშეუხებლობა.

დიქტატურას დემოკრატიისაგან განასხვავებს არა ძალადობა, არამედ მისი გამოვლენის ფორმები და წესი. ყოველი სახელმწიფო, მათ შორის, დემოკრატიულიც, ძალადობას ემყარება. იძულების გამოყენების გარეშე საერთოდ

სახელმწიფო არ არსებობს. განსხვავება ეხება მისი გამოყენების ფორმას და წესს. დიქტატურა იყენებს ძალადობას არაკანონიერად, ხოლო დემოკრატია — კანონიერების ფარგლებში. პირველი ამყარებს პოლიტიკურ რეჟიმს, ხოლოდ ემყარება რეპრესიებს და უხეშ ძალადობას, ხოლო მეორე — კანონს და კანონით სანქცირებულ ძალას.

ტოტალიტარიზმი არის თეორია, რომელიც ამართლებს მთელი ძალაუფლების სახელმწიფოს ხელში თავმოყრას. ტოტალიტარული რეჟიმის დროს სახელმწიფო მთლიანად აკონტროლებს საზოგადოების ცხოვრებას. პოლიტიკა, ეკონომიკა, სოციალური ურთიერთობანი, სულიერი სფერო ექვემდებარება მკაცრ კონტროლს სახელმწიფოს მხრიდან. არსებობს ოფიციალური ცენზურა, რომლის ნებართვის გარეშე არ შესრულდება რაიმე მნიშვნელოვანი ქმედება. ადამიანის პირადი ცხოვრებაც კი ექვემდებარება მის კონტროლს. სახელმწიფო საიდუმლო ორგანიზაციებისა და აგენტების საშუალებით თვალყურს ადევნებს მოქალაქეთა საქმიანობას. მის ხელში თავმოყრილია არა მხოლოდ ძალაუფლება, არამედ მთელი ინფორმაცია საზოგადოებრივი ცხოვრების შესახებ.

დემოკრატია პრინციპულად გამორიცხავს ტოტალიტარიზმს, რადგან იგი ეწინააღმდეგება სახელმწიფოს ხელში მთელი ძალაუფლების თავმოყრას. დიქტატურა გულისხმობს ტოტალიტარიზმს, რადგან იგი ემყარება განუსაზღვრელ ძალაუფლებას, რომელიც მთლიანად აკონტროლებს საზოგადოებრივ ცხოვრებას. მაგრამ ტოტალიტარიზმი ყოველთვის არ გულისხმობს დიქტატურას, რადგან სახელმწიფოს მხრიდან კონტროლი შეიძლება განხორციელდეს რეპრესიების გარეშე, კანონიერების მეტ-ნაკლები დაცვით.

ДЕМОКРАТИИС ИСТОРИЧЕСКИЙ ОПЫТ. დემოკრატია წარმოიშვა ძველ საბერძნეთში. ზოგიერთი პოლისი გარკვეული დროის განმავლობაში მიმართავდა მას და ამკვიდრებდა შესაბამის პოლიტიკურ რეჟიმს. შემდეგ მას ამხობდნენ და იგი იცვლებოდა ტირანიით ან სხვა პოლიტიკური რეჟიმით. მაგრამ დემოკრატია როგორც ხელისუფლების მოწყობის და საზოგადოების მართვის გარკვეული ფორმა ისტორიულად პირველად ჩამოყალიბდა სწორედ ბერძნულ პოლისებში. ამ მხრივ ყველაზე დიდ წარმატებას მიაღწია ათენის სახელმწიფომ ძვ. წ. V-IV საუკუნეებში.

დემოკრატიის საშობლო ძველი საბერძნეთია. ბერძნული დემოკრატიის ძირითადი თავისებურება ისაა, რომ იგი იყო უშუალო. ეს ნიშნავს, რომ თვითონ ხალხი წყვეტდა სახელმწიფოს მნიშვნელოვან საკითხებს. ათენის მოსახლეობის გარკვეული ნაწილი, კერძოდ, მოწიფული მამაკაცები, დაახლოებით 5-6 ათასი კაცი, იკრიბებოდა მოედანზე და ღია კენჭისყრით ღებულობდა გადაწყვეტილებებს.

ბერძნული დემოკრატია შეზღუდული იყო. ჯერ-ერთი, მასში მონაწილეობას არ იღებდნენ მონები, რაც გამოწვეული იყო მონათმფლობელური საზოგადოების კლასობრივი ბუნებით; მეორე, ქალები არ ღებულობდნენ მონაწილეობას პოლიტიკურ ცხოვრებაში.

მიუხედავად ნაკლოვანებებისა, დემოკრატიის აღმოჩენა და დამკვიდრება ანტიკური ეპოქის ერთ-ერთი უდიდესი პოლიტიკური მიღწევაა. თუმცა, მან ვერ მოიპოვა დაღებითი შეფასება ბერძნულ ფილოსოფიაში. პლატონმა და არისტოტელემ იგი უარყოფითად შეაფასეს.

პლატონი მიიჩნევს, რომ დემოკრატიის ძირითადი ფასეულობაა თავისუფლება, რომლის სიჭარბე საზოგადოებაში იწვევს ანარქიას და თვითნებობას. ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს აკეთოს ის, რაც მას მოესურვება. ამის გამო ირღვევა ყოველგვარი — დაწერილი თუ დაუწერელი კანონი. აბსოლუტურ თავისუფლებას მივყავართ აბსოლუტურ მონობამდე, რის შედეგად ყალიბდება ტირანია. ეს უკანასკნელი დემოკრატიის განვითარების აუცილებელი და კანონზომიერი შედეგია.

არისტოტელეს მიხედვით დემოკრატიის დამახასიათებელი ნიშნებია — თანასწორობა და თავისუფლება. ყველა სარგებლობს ერთნაირი უფლებებით, არავის რაიმე უპირატესობა არ გააჩნია. უმრავლესობა არის უბრალო ხალხი, ამიტომ იგი მართავს სახელმწიფოს. რა საშუალებებით ხორციელდება სახელმწიფო მმართველობა? მას ახორციელებენ თანამდებობის პირები, რომლებიც ემყარებიან არა კანონს, არამედ სახალხო კრების გადაწყვეტილებებს. დემოკრატიის მთავარ ნაკლად არისტოტელეს მიაჩნია ის გარემება, რომ უპირატესობა ეძლევა არა კანონს, არამედ ხალხის ნებას, რაც გამოიხატება სახალხო კრების დადგენილებებით. ამგვარი დემოკრატია საერთოდ სახელმწიფო წყობილების უარყოფაა, რადგან იქ, სადაც არ არსებობს კანონის ძალაუფლება, არც სახელმწიფოა. კანონი უნდა ბატონობდეს ყველასა და ყველაფერზე — ასკვნის არისტოტელე.

ამგვარად, პლატონი და არისტოტელე უარყოფით შეფასებას აძლევენ დემოკრატიას, რაც გაიზიარა ანტიკური კულტურის თითქმის ყველა დიდმა მოაზროვნემ. ანტიკურ ეპოქაში დემოკრატია უარყოფითად შეფასდა და იგი მიჩნეულ იქნა სახელმწიფო მმართველობის ერთ-ერთ ცუდ ფორმად. შემდგომ იგი გაუიგივეს ოხლოკრატიას ანუ ბრბოს მმართველობას (ბერძნ. "ოხლოს" ნიშნავს ბრბოს). ესეც სავსებით კანონზომიერი მოვლენა იყო, რადგან ბერძნულ ენაში სიტყვები "დემოს" და "ოხლოს" არსებითად ერთიანობრივი მნიშვნელობით იხმარება და აღნიშნავს — ხალხს, ბრბოს.

შუა საუკუნეების ეპოქაში დემოკრატია ძირითადად განდევნილ იქნა სახელმწიფო მმართველობის ფორმებიდან. ამას თავისი ობიექტური მიზეზები ჰქონდა. საქმე ისაა, რომ ევროპაში დამკვიდრდა ფეოდალური საზოგადოება, რომელიც ემყარება კლასობრივ და წოდებრივ შეზღუდვებს, ეკლესიის ურყევ ავტორიტეტსა და რელიგიურ იდეოლოგიას. ამგვარ საზოგადოებაში სახელმწიფო ორგანიზაციის ყველზე მისაღები და შესატყვისი ფორმა მონარქია. მეფის შეუზღუდავი თუ შეზღუდული ძალაუფლება პოლიტიკური მმართველობის თითქმის ერთადერთი ფორმა აღმოჩნდა. ცხადია, რომ აღნიშნულ პირობებში დემოკრატიამ დაკარგა ყოველგვარი მნიშვნელობა. ამ გარემებამ ასახვა ჰპოვა შუა საუკუნეების ეპოქის აზროვნებაში. იგი ამართლებდა მეფის ხელისუფლებას

და ასაბუთებდა მის ღვთაებრივ წარმომავლობას. ხალხის მმართველობის, ე. ი. დემოკრატიული წყობილების შესაძლებლობისა და მიზანშეწონილობის საკითხი საერთოდ არ დამდგარა დღის წესრიგში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დემოკრატიისადმი პოზიტიური შემობრუნება იწყება ახალ დროში. ამ ეპოქის დიდმა განმანათლებლებმა — ლოკმა, მონტესკიემ, რუსომ და სხვებმა გადამწყვეტი როლი ითამაშეს დემოკრატიული მმართველობის პრინციპების ჩამოყალიბებასა და გავრცელებაში. თუმცა ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ აღნიშნულ მოაზროვნეებს დემოკრატია არ მიაჩნდათ საზოგადოებისათვის მისაღებ ფორმად. ამის მთავარ მიზეზად ისინი ასახელებდნენ ადამიანისათვის დამახასიათებელ მანკიერებებს. იმის გამო, რომ ადამიანები ნაკლოვანი არსებებია, მათთვის შეუფერებელია ისეთი სრულყოფილი მმართველობა, როგორიც დემოკრატიაა. ამ მხრივ საინტერესოა რუსოს შემდეგი დებულება: "რომ არსებულიყო ისეთი ხალხი, რომელშიც ყველა ღმერთი იქნებოდა, იგი დემოკრატიულად უნდა მართულიყო. ასეთი სრულყოფილი მმართველობა ადამიანებისათვის შეუფერებელია".[16]

მიუხედავად ამისა, XVII-XVIII საუკუნეების დიდმა განმანათლებლებმა ჩამოაყალიბეს ის ძირითადი პრინციპები, რომლებიც დემოკრატიის ახლებურ გაგებას დაედო საფუძვლად. კერძოდ, მათ ხაზი გაუსვეს და დაასაბუთეს შემდეგი:

1) ადამიანთა თანასწორობა კანონის წინაშე. ყველა ადამიანი თავისი ბუნებით თავისუფალი, თანასწორი და დამოუკიდებელია. არავის არ უნდა ჰქონდეს დაკანონებული რაიმე უპირატესობა. კლასობრივი და წოდებრივი პრივილეგიები, რომლებიც დამახასიათებელი იყო მანამდე არსებული საზოგადოებისათვის, უნდა გაუქმდეს.

2) ადამიანთა ბუნებრივი ანუ ხელშეუხები უფლებების აღიარება. ლოკი მათ მიაკუთვნებდა სიცოცხლეს, თავისუფლებას და საკუთრებას. არაკის აქვს მათი ხელყოფის უფლება.

3) ხალხის ნების უზენაესობის აღიარება. სახელმწიფოს წარმოშობა გულისხმობს საზოგადოების გაყოფას ორ ნაწილად — მმართველებად და მართულებად. რა აიძულებს მართულებს მართვის უფლება გადასცეს სხვებს და ამით მათ დაქვემდებარებაში აღმოჩნდნენ? ხომ არ აქვთ რაიმე უპირატესობა მმართველებს, რაც მათ სხვების მართვის უფლებას ანიჭებს? არავითარი, რადგან ყველა ადამიანი — მმართველიც და მართულიც თანასწორია კანონის წინაშე. ერთადერთი, რაც მათ ამის უფლებას აძლევს არის ხალხის ნება. ადამიანებმა ნებაყოფლობით, არჩევნების გზით უნდა გადაწყვიტონ თუ ვის მისცენ ამგვარი უფლება. მმართველობა უნდა ხორციელდებოდეს იმათი თანხმობით, ვისაც მართავენ. ამის ერთადერთი საშუალებაა ხალხის ნების თავისუფალი გამოვლენა.

4) ძალაუფლების განაწილება. ეს პრინციპი წამოაყენა ლოკმა, რომელიც

---

[16] ჟ. ჟ. რუსო, საზოგადოებრივი ხელშეკრულება. თბ., 1997, გვ. 89.

გულისხმობდა აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების გამიჯვნას. მისი სრული სახით დაფუძნება, რომელიც მოიცავს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და მართლმსაჯულებითი ხელისუფლების დამოუკიდებლობას და ურთიერთშეზღუდვას, მოგვცა მონტესკიემ.

5) კანონის უზენაესობა. მმართველობა უნდა ხორციელდებოდეს მხოლოდ კანონების საფუძველზე. კატეგორიულად დაგმობილია დესპოტიზმი, რომლის დროს საზოგადოებას მართავს დესპოტი არა კანონების, არამედ საკუთარი ნებისა და სურვილის მიხედვით.

აღნიშნულმა პრინციპებმა ასახვა ჰპოვა ამერიკის და საფრანგეთის რევოლუციების შედეგად მიღებულ კონსტიტუციებში. XIX საუკუნეში დემოკრატია მიჩნეულია საზოგადოების მართვის ერთადერთ ყველზე მისაღებ და გამართლებულ ფორმად.

ამგვარად, დემოკრატიის პოზიტიური გაგება თანამედროვე ეპოქის მონაპოვარია. იგი უცნობია ანტიკური კულტურისათვის. დემოკრატიის პირველი ყლორტები სწორედ მან მოგვცა, მაგრამ შეაფასა უარყოფითად. ამგვარი მეტამორფოზა განაპირობა იმ უდიდესმა ცვლილებებმა, რაც საზოგადოების განვითარებაში მოხდა. უპირველეს ყოვლისა, იგი დაკავშირებულია სრულიად ახალი ტიპის საზოგადოების – კაპიტალიზმის წარმოშობასთან. მისი შესატყვისი მმართველობის ფორმა შეიძლება იყოს ერთადერთი – პარლამენტური დემოკრატია. ეს არის წარმომადგენლობითი დემოკრატია, როდესაც საზოგადოებას მართავს არა თვითონ უშუალოდ ხალხი, არამედ მის მიერ არჩეული წარმომადგენლები. მათ ეს უფლება ეძლევა დროებით – გარკვეული ვადით, სანამ სარგებლობენ უმრავლესობის მხარდაჭერით და თანხმობით.

დემოკრატიის დადებითი შეფასება არ გულისხმობს, რომ იგი მმართველობის სრულყოფილი ფორმაა. ისიც ნაკლოვანია, მაგრამ იგი ერთადერთია, რომელიც ხალხის ნების თავისუფალი და სრული გამოხატვის საშუალებას იძლევა. თუ ამოსავლად და ჭეშმარიტ დებულებად მივიღებთ პრინციპს, რომლის თანახმად ადამიანები თანასწორნი და დამოუკიდებელნი არიან, მაშინ მმართველობის ერთადერთი ადექვატური ფორმა შეიძლება იყოს მხოლოდ დემოკრატია. იგი მისაღებია არა იმიტომ, რომ სრულყოფილი და უნაკლოა, არამედ იმიტომ, რომ მასზე უკეთესი საზოგადოებას ჯერ არ აღმოუჩენია. მისი მიზანშეწონილება გამართლებულია უკეთესის უქონლობის გამო. ამ მხრივ საყურადღებოა ჩერჩილის მოხდენილი გამოთქმა: დემოკრატია მმართველობის ყველაზე ცუდი ფორმაა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ, რომ სხვა ფორმები უარესია.

სამოქალაქო საზოგადოება

სამოქალაქო საზოგადოების არსი. სამოქალაქო საზოგადოების ორი გაგება არსებობს. ერთი, რომელიც ჩამოყალიბდა ისტორიულად და მეორე, რომელიც მოცემულია თანამედროვე დასავლურ კონცეფციებში.

სამოქალაქო საზოგადოების ისტორიული გაგება სათავეს იღებს არისტოტელეს ნაშრევში. იგი ერთმანეთთან აიგივებს სამოქალაქო საზოგადოებას და სახელმწიფოს. ამგვარი პოზიცია შეესაბამება იმდროინდელ ისტორიულ რეალობას. ძველ საბერძნეთში სახელმწიფო იყო პოლისი, ე. ი. ქალაქი, ამიტომ მისი წევრი (ადამიანი) ითვლებოდა მოქალაქედ. სახელმწიფო სხვა არაფერია თუ არა მოქალაქეთა გაერთიანება ანუ სამოქალაქო საზოგადოება. ცხადია, რომ ეს ეხება თავისუფალ ბერძენს და არა მონას ან ბარბაროსს.

არისტოტელე ადამიანს განსაზღვრავდა როგორც პოლიტიკურ, სახელმწიფოებრივ ცხოველს. მას მიაჩნდა, რომ ადამიანის ბუნებრივი მდგომარეობაა სახელმწიფოში ცხოვრება და საქმიანობა, ე. ი. მოქალაქედ ყოფნა. ეს ნიშნავს, რომ ადამიანი თავისი ბუნებით მოქალაქეა. სახელმწიფოს (ქალაქის) გარეშე იგი მხეცია ან ღმერთი. ადამიანი არც ერთია და არც მეორე. იგი მხოლოდ ქალაქში (სახელმწიფოში) მცხოვრები ცხოველია, ამიტომ მოქალაქეა.

ახალ დროში ინგლისელმა ფილოსოფოსმა ჰობსმა გაიზიარა არისტოტელეს თვალსაზრისი, რომლის თანახმად სახელმწიფო და სამოქალაქო საზოგადოება ერთმანეთთან გაიგივებულია. მაგრამ იგი დაუპირისპირდა ძველ ბერძენ მოაზროვნეს ადამიანის არსის გაგებაში. ჰობსმა ერთმანეთისაგან განასხვავა ადამიანის ბუნებრივი და ხელოვნური მდგომარეობა. პირველი გამოხატავს ადამიანის არსებობას ბუნებრივ პირობებში — სახელმწიფოს გარეშე. მათი ცხოვრება ცხოველების ანალოგიურია. ისინი მოკლებულნი არიან უფლებებსა და მოვალეობებს. ყველას ყველაფრის უფლება აქვს, რაც წარმოშობს დაუნდობელ ბრძოლას ერთმანეთს შორის. აქ მიმდინარეობს ომი ყველასი ყველას წინააღმდეგ. ბუნებრივ მდგომარეობაში ადამიანი ადამიანისათვის მგელია. რათა ერთმანეთი არ მოსპონ და გადარჩნენ, ისინი მიდიან ურთიერთშეთანხმებამდე: დებენ ხელშეკრულებას, რომლის ძალით ქმნიან მმართველობის ერთ ორგანოს, მას გადასცემენ გარკვეულ უფლებებს, რითაც ზღუდავენ თავიანთ თავს და კისრულობენ შესაბამის ვალდებულებებს. ასე წარმოიქმნება სახელმწიფო ანუ სამოქალაქო საზოგადოება, რომლის ქვეშევრდომნი ხდებიან მოქალაქენი.

მაშასადამე, ჰობსის მიხედვით სახელმწიფო ანუ სამოქალაქო საზოგადოება წარმოიქმნება ხელოვნურად. მას ქმნიან ადამიანები ხელშეკრულების საფუძველზე. ადამიანი თავისი ბუნებით არასახელმწიფოებრივი, არაპოლიტიკური ცხოველია. იგი მგელია და არა მოქალაქე. მგლობისაგან გათავისუფლება მას შეუძლია ხელოვნურ პირობებში, როდესაც ქმნის სახელმწიფოს. მისი ქვეშევრდომი უკვე არის არა მგელი, არამედ მოქალაქე.

არისტოტელეს დროს სახელმწიფო იგივეა, რაც ქალაქი. შესაბამისად სახელმწიფო იგივეა, რაც სამოქალაქო საზოგადოება. ჰობსის ეპოქაში ვითარება საპირისპიროა — სახელმწიფო არ არის ქალაქის იგივეობრივი. ისინი არა თუ ემთხვევიან, არამედ უპირისპირდებიან ერთმანეთს. სახელმწიფო მოიცავს ქალაქებს, როგორც მის შემადგენელ ნაწილს. ბუნებრივად ისმის კითხვა: ამგ-

ვარ სიტუაციაში ჰობსმა რატომ გააიგივა სახელმწიფო სამოქალაქო საზოგადოებასთან? ამის საფუძველია სახელმწიფოს წარმოქმნის ხელშეკრულების თეორია, რომელსაც ჰობსი იზიარებს. სახელმწიფო არის არა ბუნებრივად ღვთაებრივი წარმონაქმნი, არამედ მას ადამიანები ქმნიან ხელოვნურად — ხელშეკრულების ძალით. იგი შექმნეს მოქალაქეებმა და არა მგლებმა ურთიერთშეთანხმების გზით, რის გამოც სახეზეა სამოქალაქო საზოგადოება.

მიუხედავად არისტოტელეს და ჰობსის შეხედულებათა განსხვავებისა, მათთვის საერთოა ერთი ძირითადი იდეა, რომლის თანახმად სახელმწიფო და სამოქალაქო საზოგადოება ერთი და ივივეა. ამ იდეას ემყარება სამოქალაქო საზოგადოების ისტორიული გაგება.

უნდა აღინიშნოს, რომ ახალი დროის ზოგიერთმა მოაზროვნემ გააცნობიერა სამოქალაქო საზოგადოების ისტორიული გაგების შეზღუდულობა. მათ დასაბამი მისცეს შეხედულებას, რომლის მიხედვით სახელმწიფო და სამოქალაქო საზოგადოება არ ემთხვევა ერთმანეთს. ჰეგელმა განასხვავა ოჯახი, სამოქალაქო საზოგადოება და სახელმწიფო. ეს უკანასკნელი პირველი ორის ერთიანობაა. სამოქალაქო საზოგადოება მოიცავს ადამიანების ინდივიდუალურ მოთხოვნილებებსა და მატერიალურ ურთიერთობებს. ივი მათი მოწესრიგების სამართლებრივი სისტემაა. აქ ინდივიდები თვითონ აგვარებენ თავიანთ ურთიერთობებს და იკმაყოფილებენ მოთხოვნილებებს. XIX საუკუნის ფრანგი ისტორიკოსი გიზო თვლიდა, რომ სახელმწიფოს და სამოქალაქო საზოგადოებას შორის მიმართება არის ურთიერთობა ხელისუფლებასა და ინდივიდუალურ თავისუფლებას შორის. რაც უფრო განვითარებულია სამოქალაქო საზოგადოება, მით უფრო მეტი საშუალება ეძლევა სახელმწიფოს განავითაროს თავისი დემოკრატიული ფორმები.

თანამედროვე კონცეფცია ემყარება იდეას, რომლის მიხედვით სამოქალაქო საზოგადოება განსხვავდება სახელმწიფოსაგან. ისინი ერთმანეთს არ ემთხვევა. მათი გამიჯნვის კრიტერიუმია ხელისუფლებისადმი მიკუთვნებულობის პრინციპი. სამოქალაქო საზოგადოება მოიცავს ინდივიდების ურთიერთობათა ისეთ სფეროს, რომელსაც არ ქმნის და არ მართავს ხელისუფლება. მას მიეკუთვნება ის ორგანიზაციები და სოციალური ინსტიტუტები, რომლებიც არ შედის ხელისუფლების სტრუქტურებში.

თანამედროვე გაგების მიხედვით სამოქალაქო საზოგადოება ზოგადად შეიძლება შემდეგნაირად განვმარტოთ: იგი არის არასამთავრობო ორგანიზაციების და ინსტიტუტების; გაერთიანებებისა და კავშირების ერთობლიობა, რომელსაც ქმნიან მოქალაქეები ნებაყოფლობით, ურთიერშეთანხმების და ხელშეკრულების საფუძველზე. მას მიეკუთვნება საზოგადოებრივი ორგანიზაციები თუ გაერთიანებები, რომლებიც შექმნილია სრულიად განსხვავებული მიზნით — პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, მეცნიერული, შემოქმედებითი, სპორტული, გართობის, საქველმოქმედო და სხვა. ისინი წარმოიქმნებიან და იშლებიან. მათი მართვა არ ხდება ცენტრალიზებული გზით. არ არსებობს ერთი ორგანო, რომელსაც ისინი ექვემდებარებიან. ყოველი მათგანი

ავტონომიურია, დამოუკიდებელია, რომელიც ფუნქციობს საკუთარი წესდებისა და პროგრამის საფუძველზე. დეცენტრალიზაცია და დაქსაქსულობა სამოქალაქო საზოგადოების დამახასიათებელი ნიშანია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების ისტორია. სად და როდის ჩაისახა სამოქალაქო საზოგადოების პირველი ყლორტები? იგი ჩაისახა ძველ საბერძნეთში და პერიოდული აღმავლობით ვითარდებოდა ანტიკურ ეპოქაში. ამ მიმართულებით განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწია ათენის სახელმწიფომ ძვ. წ. V-IV საუკუნეებში.

ათენის მოქალაქენი ეწეოდნენ აქტიურ საზოგადოებრივ ცხოვრებას. ისინი მონაწილეობდნენ სახელმწიფოებრივ საქმეთა გადაწყვეტაში. სამოქალაქო საქმეები ირჩეოდა სასამართლოში, სადაც ერთმანეთს უპირისპირდებოდა ბრალდება და დაცვა. ამგვარი პრაქტიკა ხელს უწყობდა ლოგიკური აზროვნების და მოქალაქეთა დამოუკიდებელი ქცევის განვითარებას.

ათენში გაჩნდა განათლების და კულტურის მრავალი კერა. იქმნებოდა ფილოსოფიური სკოლები და სამეცნიერო ცენტრები. განსხვავებულ შეხედულებათა დაპირისპირება და ჭიდილი, პლურალიზმი და მრავალფეროვნება მოქალაქეთა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი საქმიანობის ნიშანდობლივი თავისებურება იყო.

ანალოგიურ ვითარებას ჰქონდა ადგილი ძველ რომში. აქ განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია სასამართლო პრაქტიკა და საქმიანობა. საგანგებოდ შექმნილი იურიდიული კანონებისა და ნორმების მეშვეობით ხდებოდა მოქალაქეთა საჩივრებისა და დავის გარჩევა. სასამართლო გახდა საზოგადოებრივ ურთიერთობათა მოგვარების საფუძველი. რომაელებმა შექმნეს სამოქალაქო კოდექსი. მასში ჩამოყალიბებული იყო ბევრი ისეთი სამართლებრივი ნორმა, რომელსაც დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა და თანამედროვე კანონმდებლობის ფუნდამენტურ პრინციპად ითვლება.

ანტიკურ ეპოქაში არ შეიძლებოდა ჩამოყალიბებულიყო სამოქალაქო საზოგადოება თანამედროვე გაგებით. ეს ბუნებრივია, რადგან ანტიკური დემოკრატია კლასობრივი ხასიათის იყო, ამიტომ ვერ აღიარებდა ადამიანის თავისუფლების და თანასწორობის საყოველთაო იდეას. იგი მას ავრცელებდა მხოლოდ თავისუფალ მოქალაქეებზე. მიუხედავად ამისა, ანტიკური კულტურის უდიდესი დამსახურებაა, რომ მან დასაბამი მისცა არა მხოლოდ სამოქალაქო საზოგადოების დამკვიდრებას ცხოვრებაში, არამედ შესაბამის იდეებსა და კონცეფციებს.

შუა საუკუნეების ხანაში საერთოდ შეფერხდა სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების პროცესი. ესეც კანონზომიერი მოვლენა იყო, რადგან ამ დროს შეიქმნა იერარქიული საზოგადოება, რომელიც ემყარებოდა კლასობრივ და წოდებრივ შეზღუდვებს. ეკლესია და ავტორიტარული ხელისუფლება არ იძლეოდა სამოქალაქო ცხოვრების საშუალებას.

თანამედროვე სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება იწყება კაპიტალიზმის

წარმოშობასა და განვითარებასთან ერთად. შეიძლება ითქვას, რომ იგი კაპიტალიზმის პირმშოა. ამას განაპირობებს ორი ფაქტორი, რომლებიც ამ საზოგადოებრივი წყობილების საფუძველია საფუძველია. ესენია — კაპიტალისტური დემოკრატია და საბაზრო ეკონომიკა. პირველი აღიარებს ადამიანთა თავისუფლებისა და თანასწორობის ხელშეუხებ უფლებებს, ხოლო მეორე უშვებს თავისუფალ მეწარმეობას, რომლის ორგანიზებას და საქმიანობას უკვე აღარ წარმართავს ხელისუფლება.

კაპიტალისტურმა დემოკრატიამ და საბაზრო ეკონომიკამ შექმნა ის წანამძღვრები, რომელთა ბაზაზეც თანდათან ჩამოყალიბდა და განვითარდა სამოქალაქო საზოგადოება.

ხელისუფლება და სამოქალაქო საზოგადოება. როგორია დამოკიდებულება ხელისუფლებასა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის? ამ კითხვაზე არ არსებობს ცალსახა პასუხი, რაც გაპირობებულია საზოგადოებაში დამყარებული პოლიტიკური რეჟიმით — ტოტალიტარულია თუ დემოკრატიულია იგი.

ტოტალიტარული ხელისუფლება ებრძვის და აბშობს სამოქალაქო საზოგადოებას. იგი კრძალავს არასამთავრობო ორგანიზაციების არსებობას. ყოველ ორგანიზაციას ქმნის და აკონტროლებს მთლიანად ხელისუფლება. მაგალითად, საბჭოთა კავშირში მოქმედებდა ერთი მმართველი პარტია და სხვა, მით უმეტეს, ოპოზიციური პარტიის საქმიანობა დაუშვებელი იყო: არსებობდა ახალგაზრდობის ერთი კავშირი — კომკავშირი და სხვა მსგავსი ორგანიზაციის შექმნა აკრძალული იყო.

ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში არასამთავრობო ორგანიზაციის შექმნა შესაძლებელია მხოლოდ არალეგალურად. ხელისუფლება მას დევნის და აღმოჩენის შემთხვევაში სასტიკად უსწორდება მის მონაწილეებს. ცხადია, რომ ამგვარ სიტუაციაში შეუძლებელია სამოქალაქო საზოგადოების ლეგალური არსებობა და ფუნქციობა. მაგრამ ტოტალიტარიზმი მთლიანად მაინც ვერ აბშობს მას. მისი ცალკეული და ეპიზოდური გამოვლინებები მეტ-ნაკლები ხარისხით მაინც იჩენს თავს. თუმცა ადამიანებს ეს ძვირად, ზშირად სიცოცხლის ფასადაც უჯდებათ. ამიტომ ტოტალიტარულ საზოგადოებაში მოქალაქედ ყოფნა დიდ რისკთან და ზნეობრივ გმირობასთანაა დაკავშირებული. ტოტალიტარიზმს სჭირდება ქვეშევრდომი და არა მოქალაქე, მორჩილი და არა კრიტიკულად მოაზროვნე ადამიანი.

სულ სხვაგვარია დემოკრატიული ხელისუფლების დამოკიდებულება სამოქალაქო საზოგადოებისადმი. მართალია, იგი არ ქმნის სამოქალაქო საზოგადოებას, მაგრამ წარმოშობს იმ წანამძღვრებს, რომელთა ბაზაზეც შესაძლებელია მისი ლეგიტიმური არსებობა და ნორმალური ფუნქციობა. ამგვარი პირობები გამომდინარეობს დემოკრატიის ბუნებიდან. იგი უშვებს პიროვნების თავისუფლებას და პლურალიზმს, რაც ადამიანებს საშუალებას აძლევს გამოავლინონ საკუთარი ნება და გამოიჩინონ ინიციატივა. ისინი ხელისუფლებისაგან დამოუკიდებლად, მისი დიქტატისა და კონტროლის გარეშე, თვითონ ირჩევენ თავიანთი

ცხოვრების წესს. თუ რა კავშირები და ორგანიზაციები შექმნან ამას განსაზღვრავს არა ხელისუფლება, არამედ მოქალაქეთა ნება-სურვილი. ისინი ნებაყოფლობით ქმნიან და შლიან ორგანიზაციებს, მონაწილეობენ ან არ მონაწილეობენ მათში. ამასთან მათ შეუძლიათ შექმნან ერთიდაიმავე ტიპის რამდენიმე ორგანიზაცია, ვთქვათ, პარტია, მწერალთა კავშირი და სხვა.

ხელისუფლების და სამოქალაქო საზოგადოების ფუნქციები ერთმანეთისაგან გამიჯნულია. საკანონმდებლო, აღმასრულებელი და მართლმსაჯულების განხორციელების ფუნქციები ხელისუფლების პრეროგატივაა, რომელსაც მოკლებულია სამოქალაქო საზოგადოება. ეს უკანასკნელი კანონებს არ გამოსცემს, არ აღასრულებს მათ და არ ახორციელებს მართლმსაჯულებას. რა ფუნქციები აქვს სამოქალაქო საზოგადოებას?

სამოქალაქო საზოგადოება ძირითადად ყალიბდება ორი მიზნით: ჯერ-ერთი, დაკმაყოფილოს ადამიანთა კერძო ინტერესები. დემოკრატიულ საზოგადოებაში მათ აკმაყოფილებს არა ხელისუფლება, არამედ თვითონ ინდივიდები. ისინი თავიანთი შესაძლებლობებისა და უნარების შესაბამისად ცდილობენ საკუთარი ინტერესების დაცვას და მიზნების რეალიზაციას. მეორე, ყოველ სახელმწიფოში, მათ შორის დემოკრატიულშიც ადგილი აქვს ძალაუფლების ბოროტად გამოყენებას. ხელისუფლება ამეტებს თავის უფლებამოსილებას და არღვევს ადამიანის უფლებებს. ამის თავიდან ასაცილებლად საჭიროა ხელისუფლების მუდმივი კონტროლი, რათა შეიზღუდოს და კანონიერების ფარგლებში მოექცეს იგი. შესაბამისად სამოქალაქო საზოგადოების მეორე ძირითადი ფუნქციაა — ხელისუფლების შეზღუდვა და კონტროლი.

თავის მხრივ, სამოქალაქო საზოგადოებასაც სჭირდება კონტროლი. მან უნდა დაიცვას სახელმწიფოში მოქმედი კანონები და არ დაუშვას უკანონობა. საქმე ისაა, რომ თავისუფლების ბოროტად გამოყენებაც შეიძლება, ამიტომ არც სამოქალაქო საზოგადოებაშია გამორიცხული კანონსაწინააღმდეგო ქმედებანი. მათი აღკვეთა უკვე ხელისუფლების პრეროგატივაა. მართალია, ხელისუფლება არ მართავს, მაგრამ არეგულირებს სამოქალაქო საზოგადოების საქმიანობას კანონის საფუძველზე. კანონის დაცვა ორივესათვის სავალდებულოა. სამოქალაქო საზოგადოება დაინტერესებულია არა ხელისუფლების მოსპობით ან დასუსტებით, არამედ შეზღუდვით. მას სჭირდება ძლიერი, მაგრამ შეზღუდული ხელისუფლება. იგი ძლიერი უნდა იყოს თავის სფეროში, ამყარებდეს და იცავდეს მართლწესრიგს, მაგრამ არ უნდა ერეოდეს სამოქალაქო საზოგადოების მართვაში. ხელისუფლება უნდა არეგულირებდეს სამოქალაქო საზოგადოების საქმიანობას კანონიერების ფარგლებში. აქ შეიძლება გავატაროთ ანალოგია მსაჯის მოვალეობასთან: იგი არ მონაწილეობს თამაშის პროცესში, მაგრამ იცავს თამაშის წესებს. მსაჯი არის არა თამაშის მონაწილე, არამედ მხოლოდ მისი მარეგულირებელი.

დემოკრატიული ხელისუფლება არა თუ ებრძვის სამოქალაქო საზოგადოებას,

არამედ ყოველნაირად ხელს უწყობს მის ნორმალურ და ლეგალურ საქმიანობას. მან, რომ გამორიცხოს კანონიერების დარღვევები, იგი უნდა გააკონტროლოს ისეთმა ორგანიზაციებმა, რომლებიც მისგან დამოუკიდებელია და მას არ ექვემდებარება. სწორედ ასეთია სამოქალაქო საზოგადოება, ამიტომ დემოკრატიულ საზოგადოებაში მისი ლეგიტიმური არსებობა და ნორმალური ფუნქციობა აუცილებელია.

მაშასადამე, სამოქალაქო საზოგადოებას და ხელისუფლებას შორის შემდეგი ურთიერთობაა: ისინი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელია, მაგრამ ერთმანეთს ზღუდავენ და აკონტროლებენ.

სამოქალაქო საზოგადოება არ არის სახელმწიფოს ეკვივალენტური. ეს უკანასკნელი მოიცავს ხელისუფლებას და საზოგადოების დანარჩენ ნაწილს, რომელსაც იგი მართავს ან არეგულირებს. სამოქალაქო საზოგადოება სახელმწიფოს ის ნაწილია, რომელსაც ხელისუფლება არ მართავს, მაგრამ არეგულირებს.

სამოქალაქო საზოგადოება სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლად არ არსებობს. იგი ხელისუფლებისაგან, მაგრამ არა სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელია. იგი მხოლოდ სახელმწიფოს ფარგლებში არსებობს და ფუნქციობს. მაგრამ განსხვავებულია მისი სტატუსი ტოტალიტარულ და დემოკრატიულ სახელმწიფოში. პირველში იგი არალეგიტიმურია, ამიტომ არალეგალურად არსებობს, ხოლო მეორეში პირიქით — კანონიერია და ლეგალურად ფუნქციობს.

ᲥᲕᲔᲨᲔᲕᲠᲓᲝᲛᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲒᲐᲜᲡᲮᲕᲐᲕᲔᲑᲐ. სამოქალაქო საზოგადოება შედგება მოქალაქეებისა და არა ქვეშევრდომებისაგან. რა განსხვავებაა მათ შორის? ტოტალიტარულ ხელისუფლებას სჭირდება ქვეშევრდომი, რომელიც მორჩილებს მას და უსიტყვოდ ასრულებს მის ბრძანებებს. სახელმწიფოში ქვეშევრდომი მონაა და არა თავისუფალი. მისგან განსხვავებით მოქალაქე თავისუფალი ადამიანია, რომელიც ემორჩილება არა ხელისუფლებას, არამედ კანონს. მას გაცნობიერებული აქვს თავისი უფლება-მოვალეობანი, შეუძლია დაიცვას თავისი უფლებები და შეგნებულად შეასრულოს მოვალეობები.

ქვეშევრდომის და მოქალაქის ცნობიერება არსებითად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ქვეშევრდომი თვლის, რომ ის შეზღუდული უფლებები, რომელიც მას აქვს, მინიჭებულია ხელისუფლების მიერ. ამ უკანასკნელის პრეროგატივაა მისი მინიჭება და წართმევა. ამის გამო ქვეშევრდომის ცნობიერების მიხედვით არ არსებობს ხელშეუხები უფლებები. ისინი ხელისუფლების მიერ გაღებული წყალობაა, რისთვისაც იგი მას მადლობას უხდის. რაც შეეხება მოვალეობებს, რომლთაც ხელისუფლება ქვეშევრდომს აკისრებს, მათ იგი უსიტყვოდ ასრულებს. ხელისუფლებისადმი მადლიერება და სრული მორჩილება — ასეთია ქვეშევრდომის ცნობიერება. იგი თავისი არსით მონური ხასიათისაა.

პრინციპულად სხვაგვარია მოქალაქის ცნობიერება. იგი თვლის, რომ ადამიანის ფუნდამენტური უფლებები ხელისუფლების ნაბოძები საჩუქარი კი არაა, არამედ მისი განუყრელი ნაწილია. იგი კი არ იძენს მათ, არამედ დაბადებიდანვე უშუალოდ ღებულობს ბუნებისაგან. ხელისუფლებას არც მათი

მინიჭება და არც წართმევა შეუძლია. ისინი მისი ბუნებრივი უფლებებია, რომელთა ხელყოფა დაუშვებელია. ხელისუფლება მოვალეა დაიცვას ესენი და თუ იგი მათ მაინც დაარღვევს, მაშინ მოქალაქეს გაცნობიერებული აქვს მათი დაცვის შესაძლებლობა და მექანიზმი. მოქალაქე ასევე შეგნებულად უდგება თავისი მოვალეობების შესრულებასაც. იგი ბრმად არ მიყვება ხელისუფლების დიქტატს. ასრულებს მხოლოდ კანონიერ და არა უკანონო მოთხოვნებს. იგი კანონის და არა ხელისუფლების მორჩილია. ამიტომ მოქალაქის ცნობიერება თავისუფალია პიროვნების და ავტორიტეტის მორჩილებისაგან. ერთადერთი, რასაც იგი ემორჩილება, არის კანონი.

ქვეშევრდომი თავისი ცნობიერებით კერპთაყვანისმცემელია, ხოლო მოქალაქე — კრიტიკულად მოაზროვნე ადამიანი.

შესაბამისად განსხვავებულია ქვეშევრდომის და მოქალაქის მდგომარეობა სახელმწიფოში. პირველი ხელისუფლების დამატება და საშუალებაა. იგი სახელმწიფო მანქანის ერთ-ერთი რიგითი და უბრალო ხრახნია. ამიტომ ქვეშევრდომის ბედი მის ხელთ არაა, მას მთლიანად განაგებს ხელისუფლება. მისი ცხოვრება და საქმიანობა გაუცხოებულია. მოქალაქე ხელისუფლების არც დამატება და არც საშუალებაა. იგი თვითონ საკუთარი ნებით განაგებს თავის ბედს. ამიტომ მოქალაქე პიროვნებაა, რომელიც მოქმედებს არა სხვისი კარნახით, არამედ კანონის გაცნობიერებით და შეგნებით. მას მეტნაკლებად დაძლეული აქვს თავისი არსებობის და საქმიანობის გაუცხოება.

ადამიანი მოქალაქედ არ იბადება. მისი ჩამოყალიბება ხდება სამოქალაქო საზოგადოებაში. იქ, სადაც სამოქალაქო საზოგადოება ძლიერია თავისი კულტურით და ტრადიციებით, მოქალაქის ფორმირება დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს. იქ, სადაც სამოქალაქო საზოგადოება სუსტია, მისი ჩამოყალიბება დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული.

როგორია ვითარება საქართველოში? ჩვენ მხოლოდ ახლა ვიწყებთ სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობას. შეიქმნა მრავალი არასამთავრობო ორგანიზაცია. მაგრამ მათი გავლენა ხელისუფლებაზე ჯერ კიდევ სუსტია. ცხადია, რომ არ არსებობს სამოქალაქო კულტურა და ტრადიციები, რაც ხელს უშლის მოქალაქეთა ფორმირების პროცესს.

სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება საქართველოში მომავლის საქმეა.

სამოქალაქო საზოგადოების როლი და მნიშვნელობა.

სამოქალაქო საზოგადოება და ხელისუფლება არის ადამიანთა საზოგადოებრივი ცხოვრების ორგანიზაციის ორი განსხვავებული, მაგრამ ერთმანეთთან დაკავშირებული სფერო. ისინი განსხვავდებიან მიზნებით, ფუნქციებით და მართვის სისტემებით.

სამოქალაქო საზოგადოების მიზანია ადამიანთა ცხოვრების კერძო, ხოლო ხელისუფლების — საერთო, სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვა. სამოქალაქო საზოგადოება ზღუდავს ხელისუფლებას, აკონტროლებს და ზემოქმედებას ახდენს მის საქმიანობაზე. ხელისუფლება არ მართავს, მაგრამ კანონების მეშვეობით არ-

ეგულირებს სამოქალაქო საზოგადოების არსებობას და ფუნქციობას. სამოქალაქო საზოგადოება მოიცავს ინდივიდების მიერ ურთიერთშეთანხმებით, ნებაყოფლობით, შექმნილ ორგანიზაციებს, რომლებიც ეფუძნებიან და ახორციელებენ [illegible] მართველობას. ხელისუფლება კი პირიქით — მმართველობის ისეთი ფორმაა, რომელიც ემყარება ძალისმიერ მეთოდებს. სამოქალაქო საზოგადოების საფუძველია მოქალაქეთა თავისუფალი ნება და კერძო ინიციატივა, ხოლო ხელისუფლების — დიქტატი და მორჩილება.

არ არსებობს ალტერნატივა — სამოქალაქო საზოგადოება თუ ხელისუფლება. მათ ერთმანეთის გარეშე არსებობა და ფუნქციობა არ შეუძლიათ. სამოქალაქო საზოგადოებაში დაისადგურებს ქაოსი და ანარქია, თუ ხელისუფლება შეწყვეტს მის რეგულირებას. ამიტომ იგი დაინტერესებულია ხელისუფლების შეზღუდვით. მას სჭირდება ძლიერი, მაგრამ შეზღუდული ხელისუფლება. იგი ძლიერი უნდა იყოს თავისი უფლებამოსილების ფარგლებში და არ უნდა გადაამეტოს თავის ძალაუფლებას. თავის მხრივ, ხელისუფლების კანონიერი საქმიანობისათვის აუცილებელია სამოქალაქო საზოგადოება. ამ უკანასკნელის მხრიდან მუდმივი კონტროლის გარეშე, იგი გადაიზრდება ტოტალიტარულ რეჟიმში, რომელსაც თან მოყვება განუკითხაობა და თვითნებობა. ამიტომ ხელისუფლება დაინტერესებულია სამოქალაქო საზოგადოების არა დათრგუნვით, არამედ მისი დემოკრატიული სულისკვეთების და ტენდენციების დამკვიდრებით.

სამოქალაქო საზოგადოება არ გამორიცხავს დანაშაულებრივი და კრიმინალური ჯგუფების წარმოქმნას და საქმიანობას. ეს ბუნებრივია, რადგან ადამიანის თავისუფლება და კერძო ინიციატივა, რომელთაც იგი ემყარება, შეიძლება ბოროტად გამოყენებულ იქნეს. ამის გამო სამოქალაქო საზოგადოება შეიცავს სიკეთესაც და ბოროტებასაც. ყველაფერი დამოკიდებულია სამოქალაქო შეგნებაზე. თუ იგი მაღალი და მტკიცეა, მაშინ ბოროტებას ნაკლები გასაქანი ექნება. ბოროტების სრული აღმოფხვრა არც ერთ, მათ შორის, არც სამოქალაქო საზოგადოებას შეუძლია. აქ ბჭობა ეხება მხოლოდ მის შეზღუდვას და მასშტაბების შემცირებას.

სამოქალაქო საზოგადოება ბოროტებაა თუ სიკეთე? პასუხი კატეგორიულია. რასაკვირველია, სიკეთეა, რადგან იგი ადამიანს საშუალებას აძლევს სრულად გამოავლინოს თავისი ინდივიდუალური უნარები და შესაძლებლობები. იგი ადამიანის თვითდამკვიდრების, მისი "მე"-ს რეალიზაციის ყველაზე ეფექტურ საფუძველს ქმნის. მაგრამ სამოქალაქო საზოგადოება ადამიანური სიკეთეა, ამიტომ არ გამორიცხავს ბოროტების წარმოქმნის შესაძლებლობას. ადამიანთა ურთიერთობების სფერო შეიცავს ბოროტების და სიკეთის მუდმივ ჭიდილს. მათგან თუ რომელი გაიმარჯვებს, ეს დამოკიდებულია ადამიანის შეგნებასა და აქტიობაზე.

სამოქალაქო საზოგადოება თავისთავად არაფრის გარანტიას არ იძლევა. იგი ავტომატურად არ უზრუნველყოფს სიკეთის გამარჯვებას ბოროტებაზე. სამოქალაქო საზოგადოება მხოლოდ მისი განხორციელების შესაძლებლობას იძლევა. თუ ადამიანებმა ეს ვერ მოახერხეს, მაშინ უნდა დაამბალ-

ონ თავიანთ თავს და არ გადააბრალონ სხვას. ერთი რამ უდავოა, სამოქალაქო საზოგადოება ადამიანს არ უტოვებს სხვაზე გადაბრალების შესაძლებლობას. წარმატებაც და მარცხიც მის ხელთაა. ამ ფაქტის გაცნობიერებით იწყება სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბების პროცესი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლიტიკა, სამართალი და ზნეობა.

პოლიტიკა ზემოთ უკვე დავახასიათეთ. აქ აღვნიშნავთ მხოლოდ შემდეგს: პოლიტიკა იმ ურთიერთობათა სფეროა, რომელიც უკავშირდება სახელმწიფო ძალაუფლების მოპოვებას, განმტკიცებას ან აღსრულებას. მისი არსი განისაზღვრება სახელმწიფოს ბუნებით და ფუნქციობით.

სახელმწიფოს არსებობასა და საქმიანობასთან დაკავშირებულია აგრეთვე სამართალი.

სამართალი. სამართალი არის იმ ნორმატული კანონებისა და აქტების ერთობლიობა, რომელიც მიღებული და სანქცირებულია სახელმწიფოს მიერ. იგი არეგულირებს მოქალაქეთა ქცევას, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა საქმიანობას.

სამართალი წარმოიშვა სახელმწიფოსთან ერთად. ამ უკანასკნელს არ შეუძლია საზოგადოების მართვა ადათ-წესებისა და ტრადიციების საფუძველზე. ამ მიზნით იგი საგანგებოდ გამოსცემს სათანადო კანონებსა და აქტებს, რომელთა შესრულება სავალდებულოა. სამართლის გარეშე არსებობა და ნორმალური ფუნქციობა სახელმწიფოს არ შეუძლია. რისთვის სჭირდება მას იგი? რას ემსახურება სამართალი?

სამართალი ემსახურება სახელმწიფოს; მოქალაქეებს, სახელმწიფო თუ არასახელმწიფო ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს ურთიერთობა აქვთ ერთმანეთთან. განსხვავებულია არა მარტო მათი საქმიანობის ხასიათი, არამედ მათი ადგილიც საზოგადოებაში. საქმიანობა გულისხმობს უამრავი, ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული ხასიათის სამუშაოს შესრულებას — ადმინისტრაციულს, ეკონომიკურს, სოციალურს, კულტურულს, ინტელექტუალურს, სამართალდაცვითს, თავდაცვითს და ა. შ. გარდა ამისა სახელმწიფოს აქვს იერარქიული სტრუქტურა. არსებობენ მაღლამდგომი და ქვემდგომი ინსტანციები. პირველნი გამოსცემენ ბრძანებებსა და განკარგულებებს, მეორენი კი ვალდებულნი არიან დაემორჩილონ მათ. სხვაგვარად საზოგადოების მართვა შეუძლებელია. ხელისუფლება შესაბამისი სტრუქტურების მეშვეობით მართავს იმათ საქმიანობას, ვინც მას ექვემდებარება ანუ მისი ქვეშევრდომია. გარდა ამისა, მოქალაქეებს აქვთ პირადი ცხოვრება, ეწევიან საყოფაცხოვრებო საქმიანობას.

ყოველივე აღნიშნული ნათლად გვიჩვენებს თუ რაოდენ რთული და მრავალმხრივი ურთიერთობები მყარდება საზოგადოებაში. სახელმწიფომ როგორღაც უნდა მოაგვაროს ისინი, სხვაგვარად იგი მართვის ფუნქციას ვერ შეასრულებდა. მან უნდა დაამყაროს წესრიგი, რადგან უწესრიგობა და ანარქია გამორიცხავს ყოველგვარი მართვის შესაძლებლობას. იმისათვის, რომ სახელმწიფომ დაამყაროს წესრიგი, მას სჭირდება სათანადო იარაღი, ინსტრუ-

მენტი. სწორედ ამგვარ იარაღს წარმოადგენს სამართალი. მხოლოდ მისი მეშვეობით შეუძლია სახელმწიფოს დაამყაროს წესრიგი. სამართლის საშუალებით დამყარებულ და გარანტირებულ წესრიგს ეწოდება მართლწესრიგი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშასადამე, სამართალი სახელმწიფოს სჭირდება მართლწესრიგის დასამყარებლად, ხოლო სამართლის დანიშნულებაა ემსახუროს მას ამ ამოცანის შესრულებაში.

წესრიგი გარკვეულ შეზღუდვებს გულისხმობს. სრული და აბსოლუტური თავისუფლების პირობებში იგი ვერ დამყარდება. თუ ყველას ყველაფრის უფლება ექნება, მაშინ ქაოსი და ანარქია გარდაუვალია. ამის გამო სახელმწიფო მოქალაქეთა საქმიანობას ზღუდავს. მათ ზოგი რამ ეკრძალებათ. შესაბამისად უფლებებთან ერთად მოქალაქეებს ეკისრებათ მოვალეობები. **უფლება** არის ის, რაც სახელმწიფოს მიერ დაშვებულია და რისი მოთხოვნაც მოქალაქეს შეუძლია. **მოვალეობა** არის ის, რის შესრულებაც მოქალაქეს ეკისრება და რისი დარღვევის უფლება მას ეკრძალება.

ანალოგიურია ვითარება სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მიმართ. ამგვარად, სახელმწიფოს მიერ რაღაც ნებადართულია და რაღაც — აკრძალული. ამის დაფიქსირება და განმტკიცება ხდება სათანადო ნორმატული აქტებით და კანონებით. სწორედ მათი ერთობლიობა არის სამართალი.

სამართალი განსაზღვრავს მოქალაქეთა უფლებებსა და მოვალეობებს: რისი გაკეთება შეუძლიათ მათ და რა ეკრძალებათ. ყოველივე ეს ყალიბდება ქცევის გარკვეული ნორმების სახით. რომელთა დარღვევა სისხლის სამართლის დანაშაულად ითვლება და კანონით ისჯება. სახელმწიფო ქმნის შესაბამის კოდექსებს, რომლებიც კონკრეტულად განსაზღვრავენ დანაშაულის სიმძიმეს და მას უფარდებენ სასჯელის ზომას.

სამართალი იძულებას ემყარება. მისი ნორმების და აქტების დაცვა სავალდებულოა ყველასათვის. ვინც შეეცდება მათი მოთხოვნების დარღვევას, მის მიმართ გამოყენებული იქნება ძალა. იგი მიეცემა პასუხისგებაში, სათანადო გამოძიებისა და გასამართლების შემდეგ მას შეეფარდება სასჯელის ზომა. ყოველივე ამას აღასრულებს სამართალდამცავი ორგანოები იძულების გამოყენებით. სასჯელის ზომა სხვადასხვაა და განისაზღვრება დანაშაულთა სიმძიმით. ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობით უაღრესად მძიმე დანაშაულისათვის განკუთვნილია სასჯელის უმაღლესი ზომა — სიკვდილით დასჯა.

ამგვარად, სამართლის ძირითადი თავისებურება ისაა, რომ იგი ემყარება სახელმწიფოს მიერ იძულების განხორციელებას. ხელისუფლების ორგანოები ძალით უზრუნველყოფენ მისი მოთხოვნების შესრულებას. სახელმწიფოს გარეშე სამართალი არ არსებობს. იგი სანქცირებულია სახელმწიფოს მიერ და მისი შესრულების გარანტიც სახელმწიფოა.

სამართლებრივი და არასამართლებრივი სახელმწიფო. სა-

მართალი სახელმწიფოს აუცილებელი ატრიბუტია. ხომ არ ნიშნავს ეს, რომ ყოველი სახელმწიფო სამართლებრივია და არასამართლებრივი სახელმწიფო საერთოდ არ არსებობს? ამ კითხვაზე დადებითი პასუხი საკითხის არსის გაუგებრობის შედეგია. საქმე ისაა, რომ სახელმწიფოს დაყოფა სამართლებრივად და არასამართლებრივად სულ სხვა პრინციპს ემყარება.

www.nplg.gov.ge

გავრცელებული თვალსაზრისის მიხედვით სამართლებრივია ის სახელმწიფო, სადაც დამკვიდრებული და გარანტირებულია კანონის უზენაესობა. ყველა — ხელისუფლების წარმომადგენელი თვით პრეზიდენტის ჩათვლით და რიგითი მოქალაქე — ერთნაირად ემორჩილება კანონს. ეს პრინციპი არის არა მხოლოდ ფორმალურად აღიარებული, არამედ რეალურად დაკანონებული და მკაცრად დაცული სახელმწიფოს საქმიანობაში.

კანონის უზენაესობის პრინციპის აღიარება და ცხოვრებაში გატარება სამართლებრივი სახელმწიფოს დამახასიათებელი ნიშანია, რომლის გარეშეც იგი საერთოდ არ არსებობს. მაგრამ ეს ნიშანი არ არის განმსაზღვრელი. მას საფუძველად სხვა ძირეული მიზეზი უდევს და კანონის უზენაესობა მისი გარეგანი გამოვლენაა. რა არის სამართლებრივი სახელმწიფოს არსი?

ის, რომ სახელმწიფო მმართველობა კანონებს უნდა ემყარებოდეს და არა ცალკეულ ადამიანებს, თუნდაც ხალხის ნებას, ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში წამოაყენეს პლატონმა და არისტოტელემ. პლატონმა დაწერა ტრაქტატი "კანონები", რომელშიც საგანგებოდ განიხილა კანონების არსი და მნიშვნელობა სახელმწიფოსათვის. არისტოტელემ მიიჩნია, რომ კანონების ძალაუფლების გარეშე საერთოდ სახელმწიფო არ არსებობს. მიუხედავად ამისა, არც პლატონი და არც არისტოტელე არ ითვლება სამართლებრივი სახელმწიფოს კონცეფციის ფუძემდებლად. საქმე ისაა, რომ საზოგადოების მართვა კანონების საფუძველზე ნებისმიერი სახელმწიფოს, მათ შორის, სამართლებრივის დამახასიათებელი ნიშანია.

სამართლებრივი სახელმწიფოს იდეა ეკუთვნის ციცერონს. იგი თვლის, რომ სახელმწიფო (რესპუბლიკა) არის არა უბრალოდ ხალხის საქმე, არამედ სამართლებრივი წარმონაქმნი. იგი არის თავისუფალ მოქალაქეთა იურიდიულად და სამართლებრივად გაფორმებულ ურთიერთობათა ერთობლიობა. სახელმწიფო არა მხოლოდ პოლიტიკური, არამედ სამართლებრივი ორგანიზაციაა. ამ იდეის გამო ციცერონი ითვლება სამართლებრივი სახელმწიფოს თეორიის ფუძემდებლად. თუმცა, ტერმინი "სამართლებრივი სახელმწიფო" ციცერონს არ ეკუთვნის. იგი გაცილებით გვიან დამკვიდრდა და შემოიტანეს გერმანელმა იურისტებმა XIX საუკუნის პირველ ნახევარში.

სამართლებრივ სახელმწიფოში ძირეულად იცვლება სამართლის სტატუსი. იგი უკვე აღარ განიხილება როგორც პოლიტიკის დამატება და იარაღი. სამართალი პოლიტიკისაგან დამოუკიდებელია, ამიტომ არ არის მისი მსახური. პირიქით, პოლიტიკა ხდება მასზე დამოკიდებული. მას მხოლოდ იმის განხორციელება შეუძლია, რაც სამართლებრივად გამართლებულია. სახელმწიფოში ჩამოყალიბებულია

ისეთი სოციალური ინსტიტუტები და შემუშავებულია ისეთი მექანიზმები, რომ ხელისუფლებისათვის არასამართლებრივი საქმიანობა გამორიცხულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამართლებრივ სახელმწიფოში სამართალი ხდება თვითმიზანი და თავისთავადი ღირებულების მქონე. პოლიტიკა ექცევა სამართლის ფარგლებში. იგი ექვემდებარება მათ მოთხოვნებსა და ნორმებს. უკვე არა სამართალია პოლიტიკური, არამედ პირიქით — პოლიტიკა ხდება სამართლებრივი.

სამართლის სტატუსის რადიკალური შეცვლის შედეგია სასამართლოს როლისა და ადგილის შეცვლა დემოკრატიულ საზოგადოებაში. სასამართლო აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელია. იგი ემორჩილება მხოლოდ კანონს და მასზე ზემოქმედება თვით პრეზიდენტსაც არ შეუძლია. პირიქით, სახელმწიფოს მეთაური ვალდებულია დაემორჩილოს სასამართლოს გადაწყვეტილებებს. შექმნილია საკონსტიტუციო სასამართლო, რომელსაც უფლება აქვს გააუქმოს აღმასრულებელი ხელისუფლების განკარგულებები, თუ მათ არაკონსტიტუციურობას ცნობს.

აღნიშნული განაპირობებს იმ ფაქტს, რომ სამართლებრივ სახელმწიფოში მკვიდრდება კანონის უზენაესობა. კანონი ყველასათვის ერთია და იგი ყველა სიტუაციაში აუცილებლად სრულდება. კანონის უზენაესობის პრინციპს კარგად გამოხატავს ძველი რომაელების შეგონება: თუნდაც იცოდე, რომ ხვალ სამყარო დაინგრევა, დღეს დამნაშავე მაინც უნდა დაისაჯოს. რატომ? — იკითხავს ვაკვირვებული ადამიანი — ხვალ ყველა — დამნაშავეც და უდანაშაულოც — ერთად არ დავიღუპებით? ეს არის არასამართლებრივ სახელმწიფოში გაზრდილი კაცის მსჯელობა. სამართლებრივია ისეთი სახელმწიფო, სადაც კანონის აღსრულება თვითმიზნადაა ქცეული. იგი ყველასა და ყველაფერზე მაღლა დგას. მისი აღსრულება სავალდებულოა არა პრაქტიკული მიზანშეწონილების გამო, არამედ ამას მოითხოვს კანონის უზენაესობის პრინციპი.

დიქტატურის პირობებში სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბება გამორიცხულია, რადგან საზოგადოებას მართავს არა კანონი, არამედ დიქტატორის ნება. კანონის ძალაუფლების ნაცვლად გაბატონებულია ერთი ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის ნება-სურვილი.

თავისთავად არც დემოკრატიული მმართველობა წარმოადგენს სამართლებრივ სახელმწიფოს. იგი მხოლოდ მისი ჩამოყალიბების პირობებს ქმნის, რისთვისაც აუცილებელია შემდეგი: 1) შესაბამისი სამართლებრივი, საკანონმდებლო ბაზის შექმნა, რომელიც მოიცავდა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მნიშვნელოვან მხარეს. 2) კანონის უზენაესობის რეალური დამკვიდრება, რითვისაც აუცილებელია სათანადო ინსტიტუტების და მექანიზმების ჩამოყალიბება. 3) შესაბამისი სამართლებრივი მენტალიტეტის ფორმირება.

აღნიშნულ პირობათა ჩამოყალიბებას გარკვეული დრო სჭირდება, რაც შესაძლებელია დემოკრატიის სრულყოფისა და განვითარების საფუძველზე. ამიტომ დემოკრატიული სახელმწიფო და სამართლებრივი სახელმწიფო იგი-

ვეობრივი არ არის. ეს უკანასკნელი პირველის სრულყოფის და განვითარების შედეგია. ამის გამო მართებულია დებულება, რომლის თანახმად სამართლებრივი სახელმწიფო დემოკრატიული სახელმწიფოს სრულყოფილი ფორმაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამართლებრივი სახელმწიფოს ჩანასახი ანტიკურ ეპოქაში, განსაკუთრებით რომის რესპუბლიკაში უნდა ვეძებოთ. მის განვითარებას ფეოდალიზმი გადაეღობა. სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმირების პროცესი კაპიტალისტური დემოკრატიის კვალდაკვალ მიმდინარეობს. იგი ძირითადად დასრულდა ცივილიზებულ ქვეყნებში XX საუკუნის 50-60-იან წლებში.

საქართველო მხოლოდ ახლა დგამს პირველ ნაბიჯებს ამ მიმართულებით. მისი ჩამოყალიბება დამოკიდებულია დემოკრატიული და სამოქალაქო სტრუქტურების განმტკიცებასა და განვითარებაზე.

მორალი. მორალი ანუ ზნეობა აყალიბებს ადამიანის ქცევის წესებსა და ნორმებს. იგი განსაზღვრავს პიროვნების დამოკიდებულებას სხვა ადამიანებთან, ოჯახთან, სახელმწიფოსთან, საზოგადოებასთან, სამშობლოსთან და სხვა. მისი საფუძველია სიკეთის დამკვიდრება და ბოროტების გამორიცხვა. ზნეობრივია ის ქცევა, რომელიც სიკეთეს, ხოლო უზნეოა, რომელიც ბოროტებას თესავს ადამიანებს შორის. ამგვარად, ზნეობრივსა და უზნეოს შორის გამიჯნვის კრიტერიუმია განსხვავება სიკეთესა და ბოროტებას შორის. მაგრამ სიძნელე სწორედ აქაა: როგორ განვასხვავოთ სიკეთე ბოროტებისაგა? რა არის სიკეთე და რა არის ბოროტება? ეს არის კითხვები, რომლებიც დასაბამიდან აწუხებს ადამიანს და მათზე ნათელი და ერთმნიშვნელოვანი პასუხი ჯერ კიდევ არ მოუპოვებია. ეთიკა ის ფილოსოფიური დისციპლინაა, რომელიც ცდილობს ამ საკითხების გარკვევას.

სიკეთის კრიტერიუმად ფილოსოფიის ისტორიაში სხვადასხვა პრინციპი იყო წამოყენებული. სანიმუშოდ განვიხილოთ რამდენიმე მათგანი. ერთ-ერთი იყო ბედნიერების პრინციპი. სიკეთეა ის, რასაც ბედნიერება მოაქვს ადამიანისათვის. ეთიკას, რომელიც ამ პრიმციპს ემყარება, ეწოდება ევდემონისტური. "ევდემონია" ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს ბედნიერებას, ნეტარებას. მეორე იყო სიამოვნების პრინციპი. ეთიკას, რომელიც მას ემყარება, ეწოდება პედონისტური. "პედონ"-ი ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს ტკბობას. სიკეთეა ის ქცევა, რასაც ადამიანისათვის სიამოვნება მოაქვს, ათავისუფლებს ტანჯვისაგან და ანიჭებს სულის სიმშვიდეს. მესამე არის უტილიტარული ეთიკა ("უტილიტას" — ლათინური სიტყვაა და სარგებლობას ნიშნავს), რომელსაც სიკეთის საფუძვლად მიაჩნია სარგებლიანობის პრინციპი.

რა გინდ განსხვავებული არ უნდა იყოს აქ წარმოდგენილი თვალსაზრისები, მათ საერთო საფუძველი აქვთ. ეს არის ის, რომ ისინი ემყარებიან ადამიანის მიდრეკილებებს, ლტოლვებს. ადამიანი ესწრაფვის ბედნიერებას, ცდილობს მიანიჭოს სულს სიმშვიდე და გამოიყენოს ის, რაც მისთვის სასარგებლოა. სამივე ადამიანის ბუნების დაფარულ და დაუფარავ სურვილებს ეფუძნება. განსხვავებას ქმნის მხოლოდ ის თუ კერძოდ რომელ პრინციპს ირჩევენ ისინი

ეთიკის საფუძვლად: ევდემონიზმი — ბედნიერებას, ჰედონიზმი — სიამოვნებებს, ხოლო უტილიტარიზმი — სარგებლიანობას ირჩევს ამოსავალ პრინციპად.

კანტი იყო ის ფილოსოფოსი, რომელიც რადიკალურად დაუპირისპირდა ეთიკის ამგვარ დაფუძნებას. გერმანელი მოაზროვნის მიხედვით ეთიკა უნდა ემყარებოდეს ადამიანის არა მიდრეკილებებსა და მისწრაფებებს, არამედ მოვალეობას. მან დასაბამი მისცა სრულიად ახალი ტიპის — მოვალეობის ეთიკას. ამ მოძღვრების მიხედვით ეთიკური მხოლოდ ისეთი ქცევაა, რომელიც სრულდება მორალური კანონის შესაბამისად. რა აიძულებს ადამიანს, როდესაც აღნიშნულ ქმედებას ახორციელებს? არა გრძნობები და მიდრეკილებები, რა გინდ კეთილშობილურიც არ უნდა იყოს ისინი, არამედ კანონის პატივისცემა. მაგალითად, ადამიანმა დახმარების ხელი გაუწოდა დაჩაგრულს. ზნეობრივია თუ არა მისი ქცევა? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა შეიძლება მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც გავარკვევთ თუ რა მოტივით გადადგა მან ეს ნაბიჯი. თუ მან ეს გააკეთა დაჩაგრულის სიყვარულით ან სიბრალულის გამო, მაშინ მისი ქცევა არ არის მორალური. სიყვარული და სიბრალული სუბიექტური გრძნობებია, რომლებიც შეიძლება გქონდეს ერთის, მაგრამ არა მეორეს მიმართ. თუ შენ დაჩაგრულს იმიტომ ეხმარები, რომ გიყვარს ან გებრალება იგი, ხომ შეიძლება სხვის (ვთქვათ, მტრის მიმართ) ამგვარი გრძნობები არ გაგიჩნდეს, მაშინ მას არ დაეხმარები. ამიტომ მოცემულ შემთხვევაში შენი ქცევა ვერ შეფასდება როგორც მორალური. ზნეობრივი ქცევა ყველას მიმართ ერთნაირია, დამოუკიდებლად იმისა, შენი მოძმე თუ მტერია იგი. დაჩაგრულს, თუნდაც მტერი იყოს და გძულდეს, ისევე უნდა დაეხმარო, როგორც შენს ახლობელს, რომელიც გიყვარს. ამას მოითხოვს ზნეობრივი კანონი, რომელიც კანტმა ჩამოაყალიბა კატეგორიული იმპერატივის სახით: "მოიქეცი ისე, რომ კაცობრიობას, გინდ შენი, გინდ ნებისმიერი სხვა ადამიანის სახით, მოეპყრა ისე, როგორც მიზანს და არასოდეს არ მოეპყრა ისე, როგორც მხოლოდ საშუალებას". ეს ნიშნავს, რომ მორალური ქცევა მოითხოვს ნებისმიერი ადამიანი (გინდ ახლობელი, გინდ უცხო) განიხილო როგორც მიზანი და არა როგორც მხოლოდ საშუალება. ზნეობრივია ადამიანის ისეთი ქმედება, როდესაც იგი სხვა ადამიანზე ზრუნავს როგორც მიზანზე.

ნიცშემ გაილაშქრა, საერთოდ მორალის, კერძოდ, კანტის ეთიკის და მისი კატეგორიული იმპერატივის წინააღმდეგ. იგი თვლის, რომ "სათნოება", "მოვალეობა", "სიკეთე" თავისთავად, რომლებიც ატარებენ უპიროვნო და საყოველთაო ხასიათს, ქიმერებია, რომლებშიც მყლავნდება ადამიანის დაცემა, სიცოცხლის დაუძლურება. არ არსებობს სიკეთე და მოვალეობა პირადი ,დაინტერესების გარეშე. მათ პიროვნული და სუბიექტური ხასიათი აქვთ. სიცოცხლის ზრდისა და შერჩევის კანონები გვკარნახობს, რომ ყოველმა ადამიანმა თვითონ უნდა ნახოს თავისი სათნოება და თავისი კატეგორიული იმპერატივი. ხალხს დალუპვა ემუქრება თუ იგი თავის მოვალეობას ვერ გამიჯნავს მოვალეობისაგან საზოგადოდ. ნიცშემ იდიოტობად მიიჩნია კანტის მცდელობა, რომ გაემართლებინა

კატეგორიული იმპერატივის აბსტრაქტულობა და საყოველთაობა.

ნიცშეს აზრით მორალი, საზოგადოდ, სუსტების მოგონილია, ძალა არ შესწევთ, რომ თავი დაიცვან, ამიტომ ჩამოაყალიბეს მოთხოვნები და მეგონებები, რომლებიც კრძალავენ და ზღუდავენ ძალას, ძალაუფლების ნებას. ძლიერებს მორალი არ სჭირდებათ. ზეკაცი, რომელიც მომავლის ადამიანია, სიკეთისა და ბოროტების მიღმაა.

სიკეთის გაგების წარმოდგენილი თვალსაზრისების მოკლე მიმოხილვა ნათლად გვიჩვენებს, რომ არ არსებობს ამ საკითხის გადაწყვეტის ყველასათვის მისაღები თეორია. ყოველი მათგანი ცალმხრივია და სიკეთის ერთი რომელიმე მხარის ხაზგასმით ვერ წვდება მის არსს. ჩვენს მიზანს არ შეადგენს ამ უაღრესად რთული ფენომენის ისეთი განსაზღვრა, რომელსაც ყველა გაიზიარებდა. დღემდე ეს ვერავინ მოახერხა და, ცხადია, ჩვენთვისაც მიუწვდომელია. ჩვენ მხოლოდ ზნეობის ზოგიერთ მომენტს დავახასიათებთ:

1) ზნეობრივი ქცევა უანგაროა. იგი გამორიცხავს არა მხოლოდ მატერიალური სარგებლობის მიღებას, არამედ ადამიანის ბუნებრივი ლტოლვის — ჟინის ან სურვილის დაკმაყოფილებას. თუ ადამიანი უმწეოს ეხმარება იმ მოტივით, რომ აქედან რაღაც სარგებლობა მიიღოს ან თავისი ჟინი აღისრულოს, მაშინ მისი ქცევა არაზნეობრივია.

2) ზნეობის მიზანი — ადამიანი, მისი ღირსება და ბედნიერებაა. ამასთან, მას მხედველობაში აქვს ადამიანი საზოგადოდ, დამოუკიდებლად მისი მრწამსისა, რასობრივი თუ ეროვნული კუთვნილებისა, სოციალური თუ კლასობრივი წარმოშობისა. რომელიმე კონკრეტულ ადამიანზე ვზრუნავთ არა იმიტომ, რომ იგი ჩვენთვის ნაცნობია, საყვარელი კაცია, არამედ იმიტომ, რომ ადამიანია. ჰუმანიზმის, კაცთმოყვარეობის, "კაი-კაცობის" იდეალების დამკვიდრება — აი ზნეობის უმაღლესი მიზანი.

3) ზნეობა გამორიცხავს ყოველგვარ ძალადობას. ეს უკანასკნელი არ გამოიყენება არა მხოლოდ სიკეთის დასამკვიდრებლად, არამედ თვით ბოროტების წინააღმდეგ. თუ მომავალი სიკეთის რეალიზაციისათვის მივმართეთ ძალადობას, მაშინ თვითონ ჩვენ ვამკვიდრებთ ბოროტებას. ყოველი თეორია, რომელიც ძალადობის მეშვეობით მოითხოვს სიკეთისათვის ბრძოლას, უზნეობის პრინციპებს ემყარება, რა გინდ კეთილშობილური მიზნები არ უნდა ამოძრავებდეს მათ. პრაქტიკულად თუ რა ტრაგიკული შედეგები მოაქვთ ამგვარ თეორიებს ადამიანისათვის, ჩვენ ეს საკუთარი გამოცდილებიდანაც კარგად ვიცით, რომ არაფერი ვთქვათ ისტორიულ გამოცდილებაზე. თუ ბოროტებას ძალადობით ვებრძვით, მაშინ ჩვენ თვითონ ვთესავთ მას. ბოროტებას ძალადობით ვერ აღმოფხვრი, პირიქით, კიდევ უფრო გაამრავლებ — ასეთია ზნეობის პრინციპი. ამიტომ კრძალავს იგი ყოველგვარი ძალისმიერი საშუალებების გამოყენებას, რა მაღალი იდეალებითაც არ უნდა ხდებოდეს მათი გამართლება.

— მაშ, რით უნდა ვებრძოლოთ ბოროტებას? ისევ სიკეთით, სათნოებით და ქველმოქმედებით — ასეთია ზნეობის მოთხოვნა. რა ვუყოთ შურისძიების

გრძნობას, რომელიც ადამიანის ბუნებრივი მოთხოვნილებაა. იგი არაზნეობრივია და უნდა შეიცვალოს მიტევებით, შენდობით. სხვათა დანაშაულს ისევ დანაშაულით კი არ უნდა ვუპასუხოთ, არამედ დავგმოთ და გავკიცხოთ. ამასკერებათა მხილება, გამომეღავნება არა იმ მიზნით, რომ ისინი ძალისმიერი მეთოდებით ამოვკვეთოთ, არამედ შთაგონებით და ლმობიერებით განკურნოთ.

მაგრამ თუ ახსოვს ისტორიას, რომ ვინმეს ამგვარი მეთოდებით დაეძლია ბოროტება? მიუხედავად იმისა, რომ ქრისტიანობა, რომელიც სიყვარულის რელიგიაა, უკვე ორი ათასი წელია არსებობს, ბოროტება მაინც ბატონობს და მძლავრობს სიკეთეზე. "ღმერთი სიყვარული არს" — ამბობს წმინდა მოციქული იოანე. "გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი" — არის ქრისტიანობის ერთ-ერთი ძირითადი მცნება. მაგრამ შედეგი? არა სიყვარული და კაცთმოყვარეობა, არამედ სიძულვილი და მტრობა, არა ჭეშმარიტება და სათნოება, არამედ სიცრუე და ბოროტება მართავს კაცობრიობას. უფრო მეტიც, ქრისტიანობა, როდესაც შუა საუკუნეებში გაბატონებული იდეოლოგია გახდა, თვითონ იქცა ბოროტების წყაროდ. ჯვაროსნული ომები, ინკვიზიცია, ერეტიკოსების დევნა და ა. შ. ამის ნათელი დადასტურებაა, რადგან მათი განხორციელება ხდებოდა ქრისტეს სახელით. ეს რეალობაა, რომელსაც ვერსად ვაექცევი: რაზე მეტყველებს იგი? იმაზე, რომ მხოლოდ ზნეობა და სიკეთე უძლურია დაძლიოს უზნეობა და ბოროტება. პირიქით, ბოროტება უფრო ძლიერია სიკეთესთან შედარებით, რადგან იგი ყოველგვარ საშუალებებს იყენებს თავისი მიზნის მისაღწევად, მაშინ როდესაც სიკეთეს არ შეუძლია ყველა, კერძოდ, ძალისმიერი მეთოდების გამოყენება ბოროტებასთან ბრძოლაში. ნეოპლატონიზმის იდეა, რომელიც რუსთაველმა სატოვნად გამოტქვა — "ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია" — უფრო სურვილია, ვიდრე რეალობა. სინამდვილე საწინააღმდეგოს ამტკიცებს და ჩვენ აქ მივადეგით ზნეობის ერთ თავისებურებას, რომლის ნათლად გაცნობიერება აუცილებელია.

4) ზნეობა გამოხატავს არა იმას, რაც არის, ესე იგი რეალობას, არამედ იმას, რაც უნდა იყოს. ზნეობრივი არ არის, მაგრამ აუცილებლად უნდა იყოს. ეს ნიშნავს, რომ ზნეობა არა არსის (რეალობის), არამედ ჯერარსის (უნდა-ს) გამოხატულებაა. ბიბლიური მცნებები — არა კაც-ჰკლა, არა იმრუშო, არა იპარო, არა ცილი სწამო — მოთხოვნებია, რომლებიც ადამიანმა უნდა განახორციელოს. ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ამგვარ უზნეობებს სინამდვილეში ადგილი არა აქვს. პირიქით, რეალობა, გინდ ისტორიული, გინდ თანამედროვე, სავსეა ამ უმსგავსობებით. დღიდან დასაბამისა ადამიანი დაუნდობლად ებრძვის მათ, მაგრამ კლების ნაცვლად ისინი მატულობენ. უფრო დახვეწილი და მასობრივი ხდებიან. ზნეობა მოგვიწოდებს, რომ ვიყოთ კეთილნი და სათნონი, ქველმოქმედნი და გულმოწყალენი. იგი იმას კი არ ამტკიცებს, რომ ჩვენ ასეთები ვართ, არამედ იმას, რომ უნდა ვიყოთ ასეთები, არა ვართ, მაგრამ უნდა გავხდეთ კეთილნი. ეს არის ჯერარსი (უნდა), რომელიც, მართალია, არ არსებობს, მაგრამ სავალდებულოა, აუცილებელია, რომ არსებობდეს. ამას მოითხოვს ად-

ამიანურობის, კაცთმოყვარეობის იდეალი, რომლის გამოვლენაც არის ზნეობა.

5) ზნეობა გამოხატავს არა იძულებას, არამედ თავისუფლებას. თუ ადამიანს არ სურს, მაგრამ იძულებულია სხვას დაეხმაროს, მაშინ მისი ქცევა არაზნეობრივია; მორალური მხოლოდ ისეთი ქცევაა, როდესაც ადამიანი იმას აკეთებს, რაც მას სურს. ეს ნაბიჯი მისი არჩევანის შედეგია. მას შეუძლია ასეც მოიქცეს და სხვაგვარადაც, დაეხმაროს ან არ დახმაროს უმწეოს, მაგრამ იგი ზნეობრიობის პრინციპის გამო ირჩევს, თვითონ იღებს გადაწყვეტლებას, რომ მას დაეხმაროს და გვერდში ამოუდგეს. ეს მისი კეთილი ნების გამოვლენაა, რომელიც თავისუფალი არჩევანის შედეგია. ცხოველთა ქცევებს ჩვენ არ ვაფასებთ მორალურობის კატეგორიებით. რატომ? იმიტომ, რომ ისინი არ არიან თავისუფალნი. ცხოველი იქცევა ასე (ვთქვათ, მგელი ჭამს შვლის ნუკრს) არა იმიტომ, რომ მას ასე სურს, არამედ იმიტომ, რომ იგი ბუნებამ ასე მოაწყო. მას ბუნების ევოლუციის შედეგად ისეთი გენური კოდი ჩამოუყალიბდა, რომელიც აიძულებს მოიქცეს სწორედ ასე და არა სხვაგვარად. მისი ქცევა ინსტინქტურია და არ ემყარება ნების თავისუფლებას. ამის გამო მგლის ქცევას ჩვენ ვერ შევაფასებთ როგორც უზნეოს. იგი მორალის მიღმაა. ადამიანის ანალოგიური საქციელი შეფასდება როგორც უზნეო. ამგვარი შეფასება გამართლებულია იმიტომ, რომ ადამიანის ქცევა ემყარება ნების თავისუფლებას და არა ინსტინქტს. მას შეუძლია მოიქცეს სხვაგვარად — არ მოკლას და გემრიელად არ მიირთვას შვლის ნუკრი, მაგრამ იგი ამას აკეთებს იმიტომ, რომ ასე სურს. ეს მისი არჩევანის, მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შედეგია, ცხოველი მოიქცა ასე იმიტომ, რომ სხვაგვარად არ შეეძლო. ადამიანი კი მოიქცა ასე იმიტომ, რომ ასე ისურვა. სხვაგვარად შეეძლო, მაგრამ ასე ამჯობინა. პირველი იძულებულია ასე აკეთოს, მეორე კი — თავისუფალი. ამიტომ ცხოველი მორალის, ბოროტისა და სიკეთის მიღმაა, ადამიანი კი — მორალის ფარგლებში. მხოლოდ ადამიანს წაეყენება ზნეობრივი მოთხოვნები და მისი ქცევა შეფასდება მორალური პრინციპებით.

6) ზნეობრივ ქცევას საფუძვლად უდევს ადამიანის გულის კარნახი, მისი შინაგანი ხმა — სინდისი. იგი კარნახობს ადამიანს მოიქცეს ასე და არა სხვაგვარად. გადაწყვეტილება, რომელიც მან მიიღო სინდისისმიერია. სინდისმა უკარნახა, ასე ვთქვათ, ურჩია მას, რომ ასე ემოქმედა. სხვაგვარი ქცევა კონფლიქტში მოვიდოდა მისი გულის კარნახთან.

თუ ადამიანი ზნეობრივია, მაშინ უზნეობის ჩადენისას განიცდის სინანულს და სინდისის ქენჯნას. მორალის თვალსაზრისით უზნეობის სასჯელის ზომა მხოლოდ ერთია — საზოგადოების მხრიდან დაშნაშავის გაკიცხვა, მაგრამ მისთვის მიტევება, ხოლო დაშნაშავის მხრიდან — მონანიება და სინდისის ქენჯნა. სხვა სასჯელი, რომელიც ძალისმიერი მეთოდების გამოყენებას ემყარება — სიკვდილით დასჯა, პატიმრობა, ჩაქოლვა და ა. შ. — არაზნეობრივია, ამიტომ გაუმართლებელია და მიუღებელი.

პოლიტიკის, სამართლის და მორალის მიმართება. პოლიტიკა

და სამართალი სახელმწიფოსთან დაკავშირებული მოვლენებია. ისინი არსებობენ მასთან ერთად. მათ თავისებურებას და ფუნქციებს განსაზღვრავს სახელმწიფო. რასაკვირველია, პოლიტიკა და სამართალი ერთმანეთისაგან განსხვავებულია, მაგრამ თავიანთი არსის მიხედვით ისინი პრინციპულად ერთიდაიმავე რიგის მოვლენებს განეკუთვნებიან. ორივეს წარმოშობას და ხასიათს განსაზღვრავს სახელმწიფო.

სულ სხვა ბუნებისაა მორალი. მისი წარმოშობა და არსი სახელმწიფოსთან არ არის დაკავშირებული. იგი მანამდე არსებობდა როგორც ადამიანთა ქცევის რეგულირების თავდაპირველი ფორმა. ამის გამო, მორალი უფრო ადრე გაჩნდა, ვიდრე პოლიტიკა და სამართალი. მისი შეფასებები და კრიტერიუმები, არ არის დამოკიდებული და განსაზღვრული სახელმწიფოს საქმიანობით და ინტერესებით.

განსხვავებულია პოლიტიკის და სამართლის ურთიერთობა, ერთი მხრივ, და მათი დამოკიდებულება ზნეობასთან, მეორე მხრივ.

პოლიტიკის და სამართლის მიმართება მორალთან პრინციპულად ერთნაირია. რომ გავამარტივოთ ვითარება, შეგიძლიზეუდებით პოლიტიკის და ზნეობის მიმართების განხილვით. მაგრამ მხედველობაში უნდა გვქონდეს ის გარემოება, რომ არსებითად ანალოგიურია სამართლისა და ზნეობის ურთიერთდამოკიდებულებაც.

შეიძლება თუ არა პოლიტიკა იყოს ზნეობრივი? ამ კითხვას უნდა გაეცეს უარყოფითი პასუხი. დღეს ხშირად გაისმის მოწოდებანი, რომ პოლიტიკა გავხადოთ მაღალზნეობრივი. თითქოს ცივილიზებულ ქვეყნებში იგი ემორჩილებოდეს ზნეობის მოთხოვნებსა და პრინციპებს. ამგვარი მოსაზრებანი გაუგებრობაზეა დაფუძნებული, რისი ძირიც არის ის, რომ გაუთვალისწინებელი რჩება პოლიტიკისა და მორალის არსობრივი შეუთავსებლობა. ისინი თავიანთი ბუნების მიხედვით გამორიცხავენ ერთმანეთს, ამიტომ მათი ურთიერთშერწყმა ან თუნდაც დაკავშირება შეუძლებელია. გავიხსენოთ პოლიტიკისა და ზნეობის განმასხვავებელი ზოგიერთი მომენტი, რომელიც ჩვენ ზემოთ დავადგინეთ.

1) პოლიტიკის სუბიექტი სახელმწიფოა. იგი გამოხატავს და იცავს მის ინტერესებს. ზნეობის სუბიექტი პიროვნებაა. იგი გამოხატავს და იცავს მის ღირსებას და ხელშეუხებლობას.

2) პოლიტიკა ძალადობას ემყარება, ზნეობა კი არა. პირველი მოითხოვს დამნაშავის დასჯას, ხოლო მეორე კატეგორიულად კრძალავს ამგვარ ქმედებას. მორალის თვალსაზრისით დანაშაული უნდა დავგმოთ, გავკიცხოთ, მაგრამ თვით დამნაშავე უნდა შევიწყნაროთ. მას ცოდვა უნდა მივუტევოთ და ვაპატიოთ.

3) პოლიტიკა ადამიანს განიხილავს როგორც საშუალებას, რადგან მისთვის მთავარი მიზანია სახელმწიფოს ინტერესების დაცვა. ზნეობა კი ადამიანს განიხილავს როგორც მიზანს, რადგან მისთვის გადამწყვეტია სიკეთის და კაცთმოყვარეობის დამკვიდრება.

4) განსხვავებულია პოლიტიკის და მორალის დამოკიდებულება პრინ-

ციპთან — "მიზანი ამართლებს საშუალებას". იგი მეთექვსმეტე საუკუნის პირველ ნახევარში იეზუიტთა ორდენმა წამოაყენა პროტესტანტიზმის წინააღმდეგ. ამიტომ მას უწოდებენ იეზუიტურ პრინციპს. მისი თეორიული დასაბუთება მოცემულია იტალიელი პოლიტიკოსისა და მოაზროვნის ნიკოლო მაკიაველის შრომებში, თუმცა მას იგი ამგვარი ფორმულის სახით არ ჩამოუყალიბებია.

აღნიშნული პრინციპი პოლიტიკაში გამართლებულია, ხოლო ზნეობის მიერ სასტიკად დაგმობილი. ომი, დეზინფორმაცია, მკვლელობა, მოქრთამვა, მოტყუება, მუქარა, ძალის გამოყენება და ა. შ. პოლიტიკაში დაშვებული და მიღებული მეთოდებია. ზნეობის თვალსაზრისით მათი გამოყენება კატეგორიულად დაუშვებელია. დათმობა და კომპრომისი, უკანდახევა და ბოროტებასთან შერიგება პოლიტიკოსის მოღვაწეობაში ჩვეულებრივი მოვლენაა. მორალის პოზიციიდან ისინი მიუღებელია, რადგან შეუთავსებელია ზნეობრივ სინდისთან. ზნეობრივი ადამიანისათვის შეუძლებელია კომპრომისი ბოროტებასთან ან თავისი პრინციპების დათმობა.

აღნიშნული საკმარისია იმის ნათელსაყოფად, რომ პოლიტიკის და ზნეობის ურთიერთშეთავსება გამორიცხულია. ზნეობრივი პოლიტიკის გამართლება ისეთივე უაზრობაა, როგორც მრგვალი კვადრატის დაშვება. იგი შინაგანი წინააღმდეგობის შემცველი მითხოვნაა. ბუნებრივად ისმის კითხვა: თუ ზნეობრივი არაა, მაშინ უზნეო ხომ არ უნდა იყოს პოლიტიკა? ამით ხომ არ ვამართლებთ პოლიტიკის უზნეობას? არავითარ შემთხვევაში. საქმე ისაა, რომ სახელმწიფო, პოლიტიკა და სამართალი არაზნეობრივი ურთიერთობის გამოსახატველი კატეგორიებია. მათი საქმიანობის შეფასება არ ხდება ზნეობის პრინციპებით და ნორმებით. ისინი მორალის მიღმაა. ეს არ ნიშნავს მათ ზემორალურობას, მორალზე მაღლა დგომას. ისინი საზოგადოდ არ ექვემდებარებიან მორალურ ნორმებს, რადგან გამოსახავენ ისეთ ურთიერთობებს ადამიანებს შორის, რომლებიც არ რეგულირდება ზნეობის პრინციპებით.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ზნეობის სუბიექტი არის პიროვნება და არა სახელმწიფო. ეს ნიშნავს, რომ ზნეობრივი კრიტერიუმებით შეიძლება შეფასდეს ცალკეული ადამიანების, ინდივიდების ქცევა. რაც შეეხება სახელმწიფოს, იგი მორალის მიღმური სფეროა, ამიტომ მისი საქმიანობის შედეგების შეფასება არ შეიძლება დაემყაროს ზნეობის პრინციპებს. იგივე ითქმის პოლიტიკასა და სამართალზე, რადგან ისინი სახელმწიფოს ფუნქციებია.

ახლა დავაზუსტოთ ცნება "არაზნეობრივი". იგი არ ემთხვევა ცნებას "უზნეო". უზნეო (ამორალური) ზნეობრივის (მორალური) საპირისპიროა. არაზნეობრივი (არამორალური) კი ზნეობრივს არ უპირისპირდება. იგი გამოხატავს ისეთ ქმედებას, რომელიც სიკეთის და ბოროტების მიღმურ სფეროს ეხება. ამიტომ მისი დახასიათება არ შეიძლება არც როგორც ზნეობრივის და არც როგორც უზნეოსი. მას საერთოდ არ მიეყენება აღნიშნული კატეგორიები. მაგალითად, ბუნებას ზოგჯერ უბედურება მოაქვს ადამიანებისათვის, მაგრამ იგი არც ზნეობრივია და არც უზნეო. იგი საზოგადოდ მორალის მიღმაა, ამიტომ მას ვერ შევაფასებთ ზნეობის პრინციპებით.

შეიძლება მავანი დაეჭვდეს, რომ მოტანილი მაგალითი ეხება სფეროს, რომელიც ცნობიერებისა და წინასწარგანზრახვის გარეშე მოქმედებს. საზოგადოების სფეროში კი საქმიანობენ ადამიანები, რომელთაც მიზნები და ვნებები ამოძრავებთ. სახელმწიფოს ხომ ადამიანები, კერძოდ, პოლიტიკოსები მართავენ? ბუნებრივად ისმება კითხვა: რამდენად მიზანშეწონილია მათი ზნეობრიობის მიღმა დაყენება? ამით ხომ არ ვამართლებთ მათ ამორალურ ქცევას? ისტორია ხომ იცნობს მრავალ პოლიტიკურ მოღვაწეს – დიქტატორს თუ არადიქტატორს, რომელთაც სახელი გაითქვეს თავიანთი უზნეობით და თვითნებობით?

როდესაც პოლიტიკური მოღვაწის დადებით ან უარყოფით შეფასებას ვახდენთ, უნდა ვიხელმძღვანელოთ არა ზნეობრიობის, არამედ სამართლიანობის კრიტერიუმით. რამდენად სამართლიანი იყო იგი თავის მოქმედებაში. პოლიტიკოსი უნდა დავგმოთ და გავაკრიტიკოთ არა ზნეობრიობის, არამედ სამართლიანობის ნორმების და პრინციპების დარღვევისათვის. თუ ზნეობრიობის პრინციპით შევაფასებდით მას, მაშინ ყველა პოლიტიკოსი უზნეოდ უნდა გამოგვეცხადებინა, რადგან სფერო, რომელშიც ისინი მოღვაწეობენ ძალადობას ემყარება, რაც მორალთან პრინციპულად შეუთავსებელია.

პოლიტიკის რეგულირება ხდება არა ზნეობრივი, არამედ სამართლებრივი პრინციპებით და ნორმებით. იგი სამართლის და არა ზნეობის სფეროა, ამიტომ შეიძლება იყოს სამართლიანი ან უსამართლო, მაგრამ არა ზნეობრივი ან უზნეო. შესაბამისად ითქმის პოლიტიკოსის შესახებაც.

სამართლიანობის და ზნეობის მიმართება. ახლა გავარკვიოთ სამართლიანობისა და ზნეობის დამოკიდებულების საკითხი. ისინი ერთმანეთს არ ემთხვევა, მათ შორის არსებითი განსხვავებაა.

სამართლიანობა დაკავშირებულია აუცილებლობასთან. ის, რაც აუცილებელია, სამართლიანია. პოლიტიკურად სამართლიანია ის, რაც სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარეობს, რაც მათ დასაცავად გარდაუვალია. ავიღოთ ომი, რომელიც სასტიკი და დაუნდობელია მოწინააღმდეგე მხარეებისათვის. იგი არაზნეობრივია, მაგრამ შეიძლება იყოს სამართლიანი ან უსამართლო. თუ ომი სახელმწიფოს ინტერესების დასაცავად მიმდინარეობს, მაშინ იგი სამართლიანია, წინააღმდეგ შემთხვევაში – უსამართლო.

სამართლიანი და სამართლებრივი ზოგჯერ არ ემთხვევა ერთმანეთს. უკანასკნელი ნიშნავს კანონიერს, ე. ი. მხოლოდ იმას, რაც მოქმედი კანონმდებლობის შესატყვისია და მისგან გამომდინარეობს. მაგალითად, მობინადრემ არ გადაიხადა ბინის ქირა. სასამართლომ რამდენიმე გაფრთხილებისა და გადავადების შემდეგ გამოიტანა განაჩენი მისი გამოსახლების შესახებ. მობინადრე წვრილშვილიანია, ეკონომიკურად უჭირს და არაფრით არ შეუძლია ბინის ქირის გადახდა. ზნეობა მოითხოვს, რომ გაჭირვებულ მობინადრეს დავეხმაროთ, ჰუმანურობა გამოვიჩინოთ და არ გამოვასახლოთ. კანონი კი საწინააღმდეგოს გვეუბნება. იგი მოითხოვს, რომ ურჩი გადამხდელი (მას არ აინტერესებს მოტივები – თუ რატომ

ვერ იხდის მობინადრე ბინის ქირას) დაისაჯოს და გამოსახლდეს ბინიდან, რათა დაცულ იქნეს კანონიერება და აღსდგეს სამართლიანობა. ამ შემთხვევაში კანონიერი სამართლიანია, მაგრამ არა ზნეობრივი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კანონიერი სამართლიანია, მაგრამ პირიქით არ არის სავალდებულო. "სამართლიანი" უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე ცნება "კანონიერი". სამართლიანობა აუცილებლობას გამოხატავს, რომელიც ყოველთვის არ არის კანონით სანქცირებული, ამდენად არ შეიძლება ითქვას, რომ იგი კანონიერია. ზნეობასთან მიმართების გარკვევისას პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს მათ განსხვავებას, ამიტომ ისინი შეიძლება გავაიგივოთ.

სამართლიანობა კანონიერებას ემყარება და გამოხატავს აუცილებლობას. ზნეობა კაცთმოყვარეობას ემყარება და გამოხატავს თავისუფლებას. ისინი არა თუ ერთმანეთს არ ემთხვევა, არამედ ხშირად ურთიერთგამომრიცხველნიც არიან. სამართლიანი შეიძლება უზნეო იყოს, ხოლო ზნეობრივი — უსამართლო. ზემომოტანილ მაგალითში მობინადრის გამოსახლება ბინიდან სამართლიანია, მაგრამ — უზნეო, ხოლო მისი დატოვება ბინაში ზნეობრივია, მაგრამ — არასამართლიანი.

როდესაც პოლიტიკურ მოღვაწეთა შეფასებას ვახდენთ, მხედველობაში უნდა გვქონდეს ის გარემოება, რომ პოლიტიკა სამართლის და არა ზნეობის სფეროა. მორალს არ ევალება სახელმწიფოს ფუნქციობის რეგულირება. იგი მასზე ადრე წარმოიშვა და არსებობდა. სახელმწიფოსთან ერთად შეიქმნა სამართალი, როგორც მისი რეგულირების აუცილებელი ინსტრუმენტი. სწორედ ესაა სამართლის ძირითადი ფუნქცია. მას სხვა მიზანი და დანიშნულება არ გააჩნია. ზნეობის სფერო კი სხვაა, ამიტომ მისი დანიშნულებაც საზოგადოებაში თავისებური და განსხვავებულია. იგი არეგულირებს ადამიანთა ურთიერთობებს კაცთმოყვარეობის, სიბრალულის, სიყვარულის, მიტევების და ა. შ. კუთხით, რაც დამოკიდებულია პიროვნების სინდისსა და მრწამსზე, მის თავისუფალ არჩევანსა და გადაწყვეტილებაზე. ამიტომ ზნეობის შეფასების სფერო მხოლოდ პიროვნება და მისი საქმიანობის შედეგია.

მაშასადამე, განსხვავებული კრიტერიუმით უნდა მოხდეს პოლიტიკური მოღვაწის და პიროვნების შეფასება: პირველი — სამართლიანობის, მეორე კი — ზნეობის თვალთახედვით. განა პოლიტიკური მოღვაწე პიროვნება არ არის? რა თქმა უნდა, პოლიტიკოსი ამავე დროს პიროვნებაცაა, მაგრამ ეს ორი სრულიად განსხვავებული ფენომენია. ერთია ადამიანი, როგორც პოლიტიკური მოღვაწე, რომელიც უნდა შეფასდეს მისი საქმიანობის შედეგებით: გაართვა თუ არა მან თავი მასზე დაკისრებულ მოვალეობას და რამდენად სამართლიანად იქცეოდა იგი. მეორეა ადამიანი როგორც პიროვნება, რომელიც უნდა შეფასდეს მისი სინდის-ნამუსის მიხედვით: მოქმედებდა თუ არა იგი კაცთმოყვარეობის კარნახით და რამდენად აწუხებდა მას საკუთარი სინდისის ხმა. ეს ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული სფეროა, ამიტომ მათი განსჯისა და შეფასების კრიტერიუმებიც სხვადასხვაა.

სანიმუშოდ განვიხილოთ დავით აღმაშენებლის მოღვაწეობა: იგი როგორც პოლიტიკური მოღვაწე ფასდება მისი სახელმწიფოებრივი საქმიანობის გამო. ბრძენმა მეფემ თავისი ენერგიული და შორსმჭვრეტელური პოლიტიკით თითქმის შეუძლებელი შეძლო. მან გაწმინდა საქართველო მტრებისაგან, გააერთიანა იგი და შექმნა ძლიერი სახელმწიფო. რა საშუალებებით მიაღწია მან ქვეყნის აყვავებას და გაძლიერებას? ცეცხლითა და მახვილით. მას დასჭირდა გამუდმებული ომების წარმოება შემოსეულ ურდოებთან. იგი დაუნდობელი იყო გარეშე თუ შინაური მტრების მიმართ; მსტოვართა ინსტიტუტი აიყვანა სახელმწიფოს დონეზე. მტერთან ბრძოლის დროს მიმართავდა მოულოდნელ თავდასხმებს, მოტყუებას, ეშმაკობას და ა. შ. რითაც მუსრს ავლებდა მას. უდავოა, რომ მის მიერ გამოყენებული მეთოდები ზნეობის თვალსაზრისით მიუღებელი და დაუშვებელია, ამიტომ ჩვენი დიდებული მეფე, რომელიც მათ მიმართავდა, ხომ არ უნდა შევაფასოთ როგორც უზნეო და სისხლისმსმელი? რა თქმა უნდა, არა. რატომ? მხოლოდ იმიტომ, რომ ეს პოლიტიკის სფეროა, რომელიც არ ექვემდებარება ზნეობას და არ რეგულირდება მისი ნორმებით და პრინციპებით. აქ საკითხი უნდა დაისვას აუცილებლობის თვალსაზრისით. აუცილებელი იყო თუ არა აღნიშნული მეთოდების გამოყენება? სხვაგვარად შეეძლო თუ არა მეფეს იმ კონკრეტულ ისტორიულ სიტუაციაში რაიმე სასურველი მიზნის მიღწევა? ცხადია, რომ მიტევებით და შენდობით, კაცთმოყვარეობით და ლმობიერებით არა თუ გაიმარჯვებდა, არამედ ოდნავი წარმატებაც კი გამორიცხული იყო. მაშასადამე, მეფე იძულებული იყო მათთვის მიემართა. სხვაგვარად მას, როგორც პოლიტიკურ მოღვაწეს, სრული კრახი მოელოდა. ამიტომ დავით აღმაშენებლის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა როგორც მიზნის, ისე მეთოდების მხრივ, სამართლიანი იყო. აქ მიზანი (სახელმწიფოს ეროვნული ინტერესები) ამართლებს საშუალებას (ომს, ძალადობას, მოტყუებას და ა. შ.)

სულ სხვა კრიტერიუმებით უნდა მოხდეს დავით აღმაშენებლის, როგორც პიროვნების, შეფასება. აქ ძირითადია ზნეობრივი პრინციპები და ნორმები. კაცთმოყვარეობა და შემწყნარებლობა, ქველმოქმედება და სათნოება — აი თვისებები, რომელთაც მეფე უხვად აფრქვევდა პოლიტიკური სფეროს მიღმა — ჩვეულებრივი ადამიანური ურთიერთობების დროს. რაც მთავარია, მას როგორც პიროვნებას აწუხებდა თავისი სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის ზოგიერთი შედეგი, რის გამოც განიცდიდა სინდისის ქენჯნას და მიტევებას სთხოვს უფალს. ამის დასტურია მისი "გალობანი სინანულისანი", სადაც იგი ამბობს: "თითოეულსა მხეცთაგან მხეცს ვემსგავსე, მრავალგვარსა და მრავალხატსა".

ჩვენს წინაშეა ორი სრულიად განსხვავებული სულის მქონე ადამიანი — პოლიტიკოსი და პიროვნება. დავით აღმაშენებელი, როგორც პოლიტიკური მოღვაწე, სასტიკი და დაუნდობელია. დავით აღმაშენებელი, როგორც პიროვნება, კაცთმოყვარე და შემწყნარებელია. პირველი სამართლიანია და არა ზნეობრივი, მაგრამ არავითარ შემთხვევაში უზნეო, მეორე კი — ზნეობრივია, ზოგჯერ

არასამართლიანია, მაგრამ არავითარ შემთხვევაში უსამართლო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღნიშნული დახასიათება პარადოქსულად გამოიყურება, მაგრამ ეფექტურად აიხსნება თუ გავითვალისწინებთ განსხვავებას პოლიტიკურ და პიროვნულ ურთიერთობებს შორის. პირველი სამართლიანობა-უსამართლობის, ხოლო მეორე ზნეობრიობა-უზნეობის სფეროა. შესაბამისად, პოლიტიკოსი შეიძლება დახასიათდეს როგორც სამართლიანი ან უსამართლო, ხოლო პიროვნება – როგორც ზნეობრივი ან უზნეო. თუ მოხდა მათი აღრევა, მაშინ შეფასებებიც უმართებულო იქნება. აღმოჩნდება, რომ ძლიერი და დიდი პოლიტიკოსი უფრო უზნეოდ გამოიყურება, ვიდრე პოლიტიკოსი, რომელმაც თავისი უნებისყოფობისა და უნიათობის გამო ვერც სიკეთე დათესა და ვერც ბოროტება.

ამგვარად, პოლიტიკა სამართლის და არა ზნეობის სფეროა. იგი სამართლებრივი და არა ზნეობრივი უნდა იყოს. შესაბამისად, პოლიტიკოსი უნდა იყოს სამართლიანი, მაგრამ ვერ იქნება ზნეობრივი. რაც შეეხება მას, როგორც პიროვნებას, იგი შეიძლება იყოს ზნეობრივი ან უზნეო. პოლიტიკოსი, რომელიც სამართლიანია, არ ნიშნავს, რომ იგი როგორც პიროვნება უსათუოდ ზნეობრივია და პირიქით, ზნეობრივი პიროვნება არ გულისხმობს, რომ იგი როგორც პოლიტიკოსი უეჭველად სამართლიანი იქნება.

ПАСУХИСМГЕБЛОБИС САХЕОБИ. პასუხისმგებლობა ზოგადად ზემოთ დავახასიათეთ ადამიანის თავისუფლების პრობლემასთან მიმართებაში. ახლა შევეხოთ პასუხისმგებლობის სახეებს. განასხვავებენ სამი სახის – პოლიტიკურ, იურიდიულ და ზნეობრივ პასუხისმგებლობას.

პოლიტიკური პასუხისმგებლობა განისაზღვრება სახელმწიფოს საქმიანობით – მისი წარმატებით თუ წარუმატებლობით. იგი ეკისრებათ პოლიტიკურ მოღვაწეებს, უპირველეს ყოვლისა ხელისუფლების წარმომადგენლებს. ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობაზე ძირითადად პასუხს აგებს ხელისუფლება. თავისი წარუმატებლობის სხვაზე გადაბრალება მის უსუსურობაზე მეტყველებს. ვის ევალება პოლიტიკური პასუხისმგებლობის შეფასება? დემოკრატიის პირობებში ხელისუფლების კრიტიკა კანონით დაშვებულია და ოპოზიცია მას სრულად იყენებს. მაგრამ იგი მსაჯულად არ გამოდგება, რადგან დაინტერესებულია ხელისუფლების შეცდომების მხილებით, რათა მიაღწიოს კონკრეტულ მიზანს – აიძულოს იგი გადადგეს, რომ თვითონ აიღოს ხელში სახელმწიფოს მართვა. ამ დავაში თუ ვინ არის მართალი – ხელისუფლება თუ ოპოზიცია – საბოლოო პასუხის გაცემა შეუძლია მხოლოდ ისტორიას. ამიტომ პოლიტიკური პასუხისმგებლობის პირუთვნელი მსაჯული ისტორიაა.

იურიდიული პასუხისმგებლობა განისაზღვრება სახელმწიფოში მოქმედი კანონმდებლობით. მოქალაქე, რომელიც დაარღვევს მას, სისხლის სამართლის დამნაშავეა და ამისათვის პასუხს აგებს. იურიდიულად პასუხისმგებელია მხოლოდ დანაშაულის ჩამდენი და მისი თანამონაწილე. სხვა, გინდ მშობელი, უახლოესი ნათესავი ან მეგობარი, თუ მას მონაწილეობა არ მიუღია დანა-

შაულის მოხდენაში, იურიდიულად პასუხს არ აგებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იურიდიული პასუხისმგებლობის მსაჯული არის მხოლოდ სასამართლო. სხვას არავის აქვს უფლება მოქალაქე ცნოს დამნაშავედ. სასამართლო განაჩენის გამოტანამდე იგი ითვლება ეჭვმიტანილად და არა დამნაშავედ. მაგრამ სასამართლო ხომ შეიძლება შეცდეს და გამოიტანის არაკანონიერი განაჩენი? რა თქმა უნდა, შეიძლება. სასამართლოს მიერ გამოტანილი არაკანონიერი განაჩენის არაკანონიერება უნდა დაადგინოს ისევ სასამართლომ და არა სხვა რომელიმე ინსტანციამ. აქ საბოლოო სიტყვა ეკუთვნის უმაღლეს სასამართლოს. ხელისუფლების სხვა ორგანოს, მთავრობას ან სახელმწიფოს მეთაურს უფლება არა აქვს არაკანონიერად ცნოს სასამართლოს განაჩენი. მათ შეუძლიათ გამოიყენონ ამნისტიის ან შეწყალების უფლება.

ზნეობრივი პასუხისმგებლობა განისაზღვრება იმ მორალური პრინციპებით და ნორმებით, რომელთაც ზოგადსაკაცობრიო ღირებულება აქვთ. ინდივიდი, რომელიც მათ დაარღვევს ზნეობრივად დამნაშავეა. ვის ეკისრება ზნეობრივი პასუხისმგებლობა? არა მარტო იმას, ვინც დანაშაული ჩაიდინა ან თანამონაწილეა, არამედ იმასაც, ვისაც არავითარი მონაწილეობა არ მიუღია მასში. მშობელი შვილისათვის, ძმა ძმისთვის, მეგობარი მეგობრისათვის და ა. შ. ზნეობრივად პასუხს აგებს. უფრო მეტიც, ადამიანმა შეიძლება პასუხი აგოს სრულიად უცნობის საქციელისათვის. მაგალითად, ქუჩაში გამვლელი შემთხვევით გადაეყარა ძალადობის ფაქტს. თუ მან მონაწილეობა არ მიიღო მის აღკვეთაში და გულგრილად ჩაიარა, მაშინ იგი ზნეობრივად პასუხისმგებელია. ხშირად გულგრილობა, ჩაურევლობა, დუმილი უფრო დიდ დანაშაულს იწვევს, ვიდრე ბოროტებისადმი მხარდაჭერა და თანაგრძნობა.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ პასუხისმგებლობა თავისუფლების საფასურია. მაგრამ ადამიანი ხომ ყოველთვის ნებაყოფლობით არ მოქმედებს? იგი ზოგჯერ იძულებულია აკეთოს ის, რაც არ უნდა. აგებს თუ არა იგი პასუხს ამგვარ სიტუაციებში? რასაკვირველია, პასუხს აგებს. მან შეიძლება თავი იმართლოს: მე მოკვლით დამემუქრნენ და შიშის გამო იძულებული შევიქენი მემოქმედა ჩემი სურვილის წინააღმდეგ. იძულება ადამიანს არ ართმევს ნების თავისუფლებას. ეს უნარი მას საშუალებას აძლევს გააკეთოს არჩევანი და თუ მან ეს შესაძლებლობა არ გამოიყენა, ეს უკვე მისი სილაჩრის ბრალია. სიმხდალე კი ზნეობრიობის საზომად არ გამოდგება. მორალური პრინციპების დაცვა ხშირად თავგანწირვას და გმირობას მოითხოვს. თუ ეს თვისებები ადამიანს არ აღმოაჩნდა, შეიძლება მას გავუგოთ და შეგვებრალოს. მაგრამ ჩვენი სიბრალული მას ვერ გაათავისუფლებს ზნეობრივი პასუხისმგებლობისაგან.

ვინ არის ზნეობრივი პასუხისმგებლობის მსაჯული? სინდისის ქენჯნა და საზოგადოებრივი აზრი. ზნეობრივ ადამიანს საკუთარი სინდისი ქენჯნის, ამიტომ განიცდის სინანულს. თუ მას ამგვარი გრძნობები არ აღეძვრის მაშინ იგი უზნეოა. საზოგადოებრივი აზრის მიერ ზნეობრივი დანაშაულის გაკიცხვა მხოლოდ დემოკრატიულ საზოგადოებაში შეიძლება იყოს პირუთვნელი. დიქტატურის პირობებში იგი ხელისუფლების მორჩილია, ამიტომ ვერ იქნება ობიექტური.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაცობრიობა იყოფა რასებად, ხალხებად და ერებად.

რასა. იგი ბიოლოგიური კატეგორიაა. თანამედროვე ადამიანი ერთ სახეობას — ჰომო საპიენსს (გონიერ ადამიანს) მიეკუთვნება. გენეტიკურად ყველა ადამიანი ერთია და ამ მხრივ ისინი ერთმანეთისაგან არ განსხვავდებიან. სხვა სახეობის ადამიანი დღეს დედამიწაზე არ არსებობს. მაგრამ ადამიანები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ზოგიერთი ბიოლოგიური და მორფოლოგიური თვისების მიხედვით. მაგალითად, კანის, თვალის და თმის ფერის, სახის მოყვანილობის, თვალების ფორმის და ა.შ. თავისებურებანი მათ აშკარად მიჯნავს ერთმანეთისაგან. აღნიშნული ნიშან-თვისებების მქონე ადამიანები ქმნიან დიდ ჯგუფებს, რომელთაც რასებს უწოდებენ.

საყოველთაოდ მიღებულია, რომ არსებობს სამი რასა — მონღოლოიდური (ყვითელი), ნეგროიდული (შავი) ევროპოიდული (თეთრი). ადამიანთა მოდგმის დაყოფა რასებად არ არის დამოკიდებული კულტურაზე და მის ევოლუციაზე. ვარაუდობენ, რომ იგი გამოწვეულია გარემო პირობებთან შეგუების აუცილებლობით.

ბიოლოგიური თუ ინტელექტუალური უნარების მხრივ რასები თანასწორია. ერთ რასას მეორეზე რაიმე უპირატესობა არ გააჩნია. ცივილიზაციის მაღალი დონე შექმნეს როგორც თეთრი, ისე ყვითელი რასის წარმომადგენლებმა.

რასიზმი არის თეორია, რომელიც ამტკიცებს ერთი რასის უპირატესობას მეორეზე. იგი კაცობრიობას ყოფს მაღალ და დაბალ რასებად. ამგვარი თვალსაზრისი პრინციპულად მცდარია, რადგან რასებს შორის განსხვავება ბიოლოგიური და ინტელექტუალური შესაძლებლობების მხრივ არ არსებობს. გენეტიკურად ისინი ტოლფასოვნები არიან.

ხალხი. კაცობრიობის დაყოფა ხალხებად სულ სხვა პრინციპს ემყარება. იგი გამოწვეულია არა ბიოლოგიური, არამედ ისტორიული კანონზომიერებით. ხალხი ისტორიული კატეგორიაა, რადგან მისი ჩამოყალიბება ხდება ისტორიული ცვალებადობის პროცესში. თავდაპირველად ადამიანები გვარებად ცხოვრობდნენ. გვარი ემყარება სისხლით ნათესაობას. იგი მოიცავს ერთი ოჯახის ან მისი განაყოფის წევრებს, რომლებიც ერთად ცხოვრობენ და ერთიან საქმიანობას ეწევიან. შემდეგ ხდება გვარების გაერთიანება ტომებად. ტომი რამდენიმე გვარის ერთობაა. იგი უკვე წარმოადგენს ეთნიკურ ჯგუფს, რომლის წევრებს აერთიანებს სისხლით ნათესაობა, ენა, ადათ-წესები, ჩვეები და კოლექტიური საქმიანობა.

მონათესავე ტომების გაერთიანების ან განსხვავებული ტომების აღრევის შედეგად ყალიბდება ხალხი. ეს არის ხანგრძლივი ისტორიული პროცესის შედეგი. ევროპელი ხალხები წარმოიქმნენ ბარბაროსული ტომების ლათინურ ტომებთან აღრევის შედეგად. ქართველი ხალხი ჩამოყალიბდა იბერიული და კოლხური ტომების აღრევით. ეს მოხდა დაახლოებით VIII-IX საუკუნეებში,

როდესაც გაჩნდა ტერმინები "ქართველი" და "საქართველო". ეს უკანასკნელი აღნიშნავდა ქართველებით დასახლებულ ტერიტორიას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალხი ისტორიულად ჩამოყალიბებული კულტურული ერთობაა. ეს არ არის ბიოლოგიური და არც ეთნიკური ერთობაა, რადგან მას არ აერთიანებს არც სისხლით ნათესაობა და არც ერთი ეთნოსისადმი მიკუთვნება. უფრო მეტიც, ხალხი შეიძლება შეიქმნას რასობრივი აღრევის შედეგად, რისი დადასტურებაც არის ამერიკელი და რუსი ხალხების ჩამოყალიბების ისტორია. ამერიკელი ხალხი შექმნეს ევროპელი წარმომავლობის ემიგრანტებმა და აფრიკელმა ზანგებმა. რუსი ხალხი ჩამოყალიბდა ევროპოიდული და მონღოლური რასის აღრევის შედეგად.

ხალხს როგორც ისტორიულ-კულტურულ ერთობას ახასიათებს შემდეგი ნიშნები:

1) ერთიანი კულტურა: დაახლოებით ერთნაირი ადათ-წესები, ჩვეულები და ტრადიციები, ყოფა-ცხოვრების წესი და სამეურნეო საქმიანობა.

2) ენა. მისი წევრები მეტყველებენ ერთ ან სხვადასხვა, მაგრამ მონათესავე ენაზე. მაგალითად, ქართველები მეტყველებენ სამ ენაზე — ქართულზე, მეგრულზე და სვანურზე, რომლებიც ერთ — ქართველურ ენათა ოჯახს მიეკუთვნებიან.

3) ტერიტორია. მოსახლეობს და საქმიანობს ერთ ტერიტორიაზე, რომელიც მისმა წინაპრებმა სისხლითა და ოფლით მოიპოვეს.

ხალხის არსებობის აუცილებელი პირობა არ არის სახელმწიფოებრივი გაერთიანება. ძველ ბერძნებს არ ჰქონდათ ერთი სახელმწიფო. არსებობდა მრავალი, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი პოლისი, რომელთა შორის ხშირად სამკვდრო-სასიცოცხლო ომები მიმდინარეობდა. მიუხედავად ამისა, ბერძენი ხალხი როგორც ისტორიულად ჩამოყალიბებული კულტურული ერთობა მაინც არსებობდა. მას აერთიანებდა კულტურა, ენა და ტერიტორია.

ქართველი ხალხი როგორც ისტორიულ-კულტურული ერთობა ჩამოყალიბდა VIII-IX საუკუნეებში. სახელმწიფოებრივ გაერთიანებას მან მიაღწია XI-XII საუკუნეებში. XV საუკუნიდან საქართველო დაიყო ცალკეულ სამეფოებად და სამთავროებად. მიუხედავად ამისა, ქართველი ხალხი არსებობდა როგორც ისტორიულად ჩამოყალიბებული კულტურული ერთობა.

ერი. ხალხი განვითარების გარკვეულ ეტაპზე შეიძლება ჩამოყალიბდეს ერად. ეს ნიშნავს, რომ ერი ხალხია, მაგრამ არა — პირიქით — ყოველი ხალხი არ არის ერი. იგი, რომ ერად ჩამოყალიბდეს მან უნდა მიაღწიოს კონსოლიდაციის და შეკავშირების გარკვეულ დონეს. ერი ისტორიულად ჩამოყალიბებული უფრო მყარი ერთობაა, ვიდრე ხალხი. მაშასადამე, ერს იგივე ნიშნები ახასიათებს, რაც ხალხს, მაგრამ აქვს სპეციფიკური, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ნიშნები. შევეცადოთ გავაანალიზოთ ერის ბუნება.

როგორც ხალხი, ისე ერი არ არის არც რასობრივი, არც ეთნიკური და არც სოციალური ერთობა. მაგრამ ხალხისაგან განსხვავებით ხომ არ არის იგი პოლიტიკური ერთობა? საქმე ისაა, რომ თანამედროვე დასავლურ კონ-

ციფციებში ერი გაიგივებულია სახელმწიფოსთან. მას განსაზღვრავენ როგორც ხალხს, რომლის წარმომადგენლებს აერთიანებს ამა თუ იმ სახელმწიფოს მოქალაქეობა. მნიშვნელობა არა აქვს მათ რასობრივ და ეთნიკურ კუთვნილებას ან სოციალურ მდგომარეობას. მთავარია, რომ ისინი მოცემული ქვეყნის მოქალაქეები არიან და ექვემდებარებიან მის იურისდიქციას. მაგალითად, თანამედროვე ამერიკელი ერი აერთიანებს ქვეყნის მოქალაქეებს. მათ სხვა ეროვნება არ გააჩნიათ გარდა ერთისა: ყოველი მათგანი ამერიკელია. მნიშვნელობა არა აქვს თუ წარმომავლობით ვინ არის იგი – ფრანგი, ინგლისელი, იტალიელი, ესპანელი თუ ზანგი. მათ აერთიანებს ქვეყნის კონსტიტუცია, კანონები, ცხოვრების წესი და საერთო საქმიანობა.

აღნიშნული თვალსაზრისი უარყოფითად უნდა შეფასდეს. ერი არ არის პოლიტიკური მოვლენა, ამიტომ იგი არ შეიძლება მივიჩნიოთ სახელმწიფოებრივ გაერთიანებად. თუმცა სახელმწიფო მნიშვნელოვან როლს ასრულებს ერის ნორმალური არსებობისა და საქმიანობის უზრუნველყოფის საქმეში. იგი მისი შეკავშირებისა და კონსოლიდაციის აუცილებელი პირობაა. სახელმწიფოს გარეშე ერს ემუქრება საფრთხე დაკარგოს თვითმყოფადობა და თავისთავადობა.

სახელმწიფო პოლიტიკურ-სამართლებრივი წარმონაქმნია, რომელიც აერთიანებს მოქალაქეებს. ერი არ არის მოქალაქეთა კავშირი. იგი სულ სხვა ბუნების მოვლენაა. ერი არის ადამიანთა კულტურულ-ისტორიული ერთობა. ეს ნიშნავს, რომ იგი ყალიბდება ადამიანთა ერთად ცხოვრების და ერთიანი საქმიანობის ისტორიულ პროცესში საერთო კულტურისა და კოლექტიური ცნობიერების ბაზაზე. ერთად ცხოვრებისა და საქმიანობის შედეგად მათ უმუშავდებათ საერთო ჩვეები, ტრადიციები, ადათ-წესები, უყალიბდებათ ერთიანი ცნობიერება, ხასიათი და ტემპერამენტი.

ადამიანთა ერთად ცხოვრების და საქმიანობის ისტორიულ-კულტურული პროცესი არის ის საფუძველი, რომელსაც საბოლოოდ მივყავართ ერის წარმოქმნამდე. ეს ხანგრძლივი, წინაალმდეგობებით სავსე რთული პროცესია, რომლის ძირითადი საფეხურებია – ოჯახი, გვარი, ტომი, ხალხი და ბოლოს ერი. ეს უკანასკნელი ხალხის განვითარების უფრო მაღალი, მისი შეკავშირების და ორგანიზაციის თავისებური ფორმაა. ერს ახასიათებს ზოგიერთი ისეთი ნიშანი, რომელიც მას განასხვავებს ხალხისაგან.

1) ერთიანი ცხოვრების წესი, რომელიც ხალხს ერთმანეთთან აკავშირებს პოლიტიკურად, ეკონომიკურად, სოციალურად, კულტურულად და ყოფა-ცხოვრებით. იგი მთლიანი ორგანიზმია, რომლის ფუნქციობა ექვემდებარება ერთიან ცენტრს. მას ახასიათებს მრავალფეროვანი, სისხლსავსე ცხოვრება, რომელიც გაერთიანებულია საერთო ღირებულებებით და იდეალებით, ნორმებით და ტრადიციებით. ამის საფუძველია ერთიანი კულტურა.

2) ერთიანი ლიტერატურული ენა და დამწერლობა, რომელიც გამოიყენება საზოგადოებრივ მოღვაწეობაში. ერის გარკვეული ჯგუფები შეიძლება მეტყველებდნენ სხვადასხვა ენაზე. ეს ხდება ინდივიდუალურ და ყოფა-ცხოვრების

დონეზე. მაგრამ ლიტერატურული ენა, რომელიც ოფიციალურად მიღებულია საზოგადოებრივი საქმიანობის ენად არის ერთი. მიუხედავად იმისა, რომ ქართველები მეტყველებენ სამ მონათესავე ენაზე, მათ აქვთ ერთი ლიტერატურული ენა – ქართული, რომელიც გამოიყენება საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივ საქმიანობასა და მწერლობაში.

3) ერთიანი სამშობლო, რომლის გარეშე ერი არ არსებობს. სამშობლო დაკარგული ან სამშობლოს მოწყვეტილი ერი თანდათან წყვეტს ფუნქციობას. თუ ეგი სხვის ტერიტორიაზე ცხოვრობს და მაინც ინარჩუნებს ეროვნულ სახეს, მაშინ ეგი ეროვნებაა და არა ერი. რა არის სამშობლო? ეგი დაკავშირებულია ტერიტორიასთან, მიწასთან, მაგრამ არ არის მისი ეგივეობრივი. მ. გოგიბერიძის სამართლიანი შენიშვნით, სამშობლო გაჩნდა მას შემდეგ, რაც ადამიანი მოხეტიალე ცხოვრებიდან გადავიდა ბინადრობაზე. მისი ცხოვრება და საქმიანობა დაუკავშირდა გარკვეულ ტერიტორიას. მან დაიწყო მისი ათვისება და დამუშავება, მორწყა თავისი ოფლით და სისხლით. წინაპრებმა საკუთარი სიცოცხლის ფასად დაიცვეს და შემოუნახეს ეგი შთამომავლობას. სამშობლოა არა მხოლოდ ის კუთხე, სადაც დაბადა და გაიზარდა ინდივიდი. არამედ მთელი ტერიტორია, რომელიც ხალხის ისტორიული საცხოვრისია. ეგი მან მიიღო მემკვიდრეობით როგორც წინაპრების შრომით და ბრძოლით მოპოვებული მიწა. მის მიმართ მას უჩნდება მძაფრი განცდა, რომ ეს მისი მამულია, მშობლიური მხარეა. ეგი მთლიან ტერიტორიას, და არა მხოლოდ მის რომელიმე კუთხეს, განიცდის როგორც მშობელს და გამზრდელს. ამ მიწამ შობა, გამოზარდა და მანვე უნდა მიიბაროს ეგი.

ერის აუცილებელი ნიშანია სამშობლო და არა მისი ტერიტორია. ეს უკანასკნელი სახელმწიფოს ატრიბუტია. ადამიანი შეიძლება სხვის სახელმწიფო ტერიტორიაზე ცხოვრობდეს, მაგრამ ის არ იყოს მისი სამშობლო, რადგან არ განიცდის მას როგორც თავის მამულს. ეგი მასთან დაკავშირებულია მხოლოდ საქმიანობით და არა ისტორიულობის განცდით და სიყვარულით.

სამშობლო მოიცავს არა მხოლოდ მიწას, არამედ იმ კულტურასაც, რომელიც ამ მიწაზე წინაპრების მიერ არის შექმნილი, მოვლილი და შემონახული. ქართველისათვის სამშობლოა არა მარტო ქართული მიწა, არამედ ვაზი, სვეტიცხოველი და "ვეფხის ტყაოსანი". ქართველი ყოველ მათგანს განიცდის როგორც მშობლიურს, რომლისათვისაც მას გული შესტკივა და მზადაა ყოველნაირად იზრუნოს მათზე.

4) ერთიანი ეროვნული ცნობიერება და თვითცნობიერება. ერი აცნობიერებს თავის ერთობას ერთიანი სამშობლოს ფარგლებში. ინდივიდები მიაკუთვნებენ თავიანთ თავს მოცემულ ერს. ინდივიდი ქართველია არა იმიტომ, რომ მის ძარღვებში ქართული სისხლი ჩქეფს, არამედ იმიტომ, რომ იცის – ქართული მიწა მისი მამულია, ხოლო ქართული კულტურა მისთვის მშობლიურია. ქართველს, რომელსაც ასეთი განცდა არა აქვს, ქართველი არაა. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს მის ბიოლოგიურ წარმომავლობას. მთავარია მას

ჰქონდეს ეროვნული ცნობიერება და თვითცნობიერება.

ამგვარად, ერთიანი — ეროვნული ცნობიერების და თვითცნობიერების ჩამოყალიბება ერის აუცილებელი ნიშანია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერი შეიძლება შემდეგნაირად განვმარტოთ: ერი არის ტერიტორიულად, ეკონომიკურად, კულტურულად და სახელმწიფოებრივად გაერთიანებული ხალხი, რომელსაც აქვს ერთი სამშობლო, ერთიანი კულტურა, ლიტერატურული ენა და დამწერლობა, ცნობიერება და თვითცნობიერება.

ეროვნება არის რომელიმე ეთნიკური ჯგუფი, რომელიც სხვა ერის ტერიტორიაზე ცხოვრობს. ეს მიწა არ არის მისი სამშობლო. ქართველები, რომლებიც მოსახლეობენ საფრანგეთსა ან რუსეთში წარმოადგენენ ეროვნებას. იგივე ითქმის სხვა ერის წარმომადგენლებზე, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრობენ.

ერ(ე)ვნული ურთ(ი)ერთ(ე)ბანი. ერები ერთმანეთისაგან განცალკევებულნი არიან. ისინი ქმნიან თავიანთ კულტურას, რომელსაც ახასიათებს თვითმყოფადობა და თავისთავადობა. ყოველ ერს თავისი კულტურა აქვს, რომელშიც ვლინდება მისი შემოქმედებითი ხასიათი და თავისებურება. ამ მხრივ არც ერთ ერს რაიმე უპირატესობა არ გაჩნია მეორის მიმართ. ყოველ მათგანს სამყაროს თავისი ხედვა და განცდა აქვს, რომელიც აისახება მისი საქმიანობის შედეგებში.

მაშასადამე, ერები თანასწორნი არიან შესაძლებლობის და ორიგინალობის მიხედვით. ყოველი მათგანი ქმნის თვითმყოფად და ორიგინალურ კულტურას, რითაც თავისი წვლილი შეაქვს კაცობრიობის საგანძურში. არ არსებობს სრულფასოვანი და არასრულფასოვანი, მაღალი და დაბალი რანგის ერები. ისინი თანასწორუფლებიანი არიან.

მაგრამ ერებს შორის გარკვეული განსხვავებაა: ჯერ-ერთი, რაოდენობრივად ერთი ერი მეტია მეორეზე. შესაბამისად არსებობს დიდი და პატარა ერები. მეორე, სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული დონის მიხედვით ერთი უფრო დაწინაურებულია, ვიდრე მეორე. მესამე, მსოფლიო ისტორიაში თავისი გავლენისა და პოტენციალის გამო ერთი ერი მეორეზე უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებს. ეს არ არის მისია, რომელიც ერს დააკისრა განგებამ ან ბედისწერამ. იგი არის ფუნქცია, რომელსაც ესა თუ ის ხალხი იძენს კონკრეტულ-ისტორიულ პირობებში. ისტორიული ეპოქების შესაბამისად ერების როლიც იცვლებოდა მსოფლიო ისტორიის განვითარებაში.

ერების განცალკევებულობა არ გამორიცხავს მათ შორის კავშირებს. ისინი ერთმანეთთან ამყარებენ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ურთიერთობებს. მათი ხასიათი შეიძლება იყოს ორგვარი:

ა) თანამშრომლობა და ურთიერთდახმარება. ეს არის ერებს შორის ისეთი ურთიერთობა, როდესაც არ ილახება არც ერთი მათგანის ინტერესები.

ბ) ჩაგვრა და ექსპლოატაცია. ერთი ერი ლახავს მეორის ინტერესებს — პოლიტიკურად, ეკონომიკურად ან სხვა მხრივ. ეს შეიძლება გამოიხატოს აგრესიით, პოლიტიკური და ეკონომიკური ზეწოლით ან დაპყრობით.

შესაბამისად ერებს შორის მყარდება განსხვავებული დამოკიდებულება: მეგობრული ან მტრული, თანამშრომლობითი ან კონფლიქტური. კონფლიქტები უფრო ხშირად წარმოიშობა ტერიტორიულ პრეტენზიებთან დაკავშირებით. რა კრიტერიუმით უნდა მოხდეს მათი მოგვარება?

ერებს შორის ტერიტორიული კონფლიქტები უნდა მოგვარდეს საერთაშორისო სამართლის ნორმებით, კერძოდ, მისი ორი ფუძემდებლური პრინციპის მიხედვით: პირველი არის ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობა და პატივისცემა, ხოლო მეორე — ერთა თვითგამორკვევის უფლების დაცვა.

ზოგიერთი თვლის, რომ ხშირად ეს პრინციპები ერთმანეთს ეწინააღმდეგება, როდესაც მრავალეროვნულ სახელმწიფოში ერთი ერი მოითხოვს გამოყოფას და ცალკე სახელმწიფოს შექმნას. აღნიშნულ პრინციპებს შორის არავითარი დაპირისპირება არაა, თუ ზუსტად დაცული იქნა მათი მოთხოვნები. ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობის პრინციპი გულისხმობს ისტორიული საზღვრების ურღვევობას, რომელიც საერთაშორისო სამართლის მიერ კანონიერად არის მიჩნეული. ერთა თვითგამორკვევის უფლება წმინდათა-წმინდა და ხელშეუხებია, მაგრამ იგი არ გულისხმობს უსათუოდ ცალკე სახელმწიფოს სახით გამოყოფას. ეს უკანასკნელი უნდა განხორციელდეს მხოლოდ მაშინ, თუ შენი ისტორიული საშობლო დაპყრობილია და მიტაცებულია სხვა ქვეყნის მიერ. სხვისი ტერიტორია ხელშეუხებია და მისი ცალკე გამოყოფა იმ მოტივით, რომ შენ ამჟამად იქ მოსახლეობ, ყოვლად დაუშვებელია. თუ ისტორიულად დადგენილია და საერთაშორისო სამართლის მიერ აღიარებულია, რომ ეს შენი ძირძველი მიწა არ არის, მაშინ მნიშვნელობა არა აქვს რამდენი ხნის წინ დასახლდი და მომავალში რამდენ ხანს იცხოვრებ, იგი შენი ისტორიული საშობლო არასოდეს გახდება. ერთა თვითგამორკვევის უფლება არ გულისხმობს სხვისი ტერიტორიის გამოყოფას. ეს მტაცებლობაა, რაც აგრესიის ტოლფასია.

რა არის ერთა თვითგამორკვევის უფლების არსი? იგი მოითხოვს, რომ ყოველმა ერმა ნათლად გააცნობიეროს თავისი წარმომავლობა, გენეზისი და ამჟამინდელი მდგომარეობა — იგი სხვის თუ საკუთარ ისტორიულ ტერიტორიაზე ცხოვრობს. გამოყოფის უფლება მას აქვს მხოლოდ ერთ შემთხვევაში: თუ მისი ძირძველი ტერიტორია მიტაცებული და დაპყრობილია სხვის მიერ. სხვა შემთხვევაში მისი მოთხოვნა ცალკე სახელმწიფოდ გამოყოფის შესახებ, უსაფუძვლო და უკანონოა.

ერ() და კაც(ᲘᲐ)ბრ()(ᲘᲐ)ბა. ქართველმა მოაზროვნემ მიხაკო წერეთელმა სწორად მიუთითა ერის და კაცობრიობის განსხვავებაზე. ერი მთლიანი ორგანიზმია, კაცობრიობა კი — არა. მაგრამ აქედან არასწორი დასკვნა გააკეთა, როდესაც უარყო კაცობრიობის არსებობა და სოციალურ ფიქციად გამოაცხადა.

კაცობრიობა ნამდვილად არსებობს, მაგრამ არა განყენებულად, ერებისაგან დამოუკიდებლად, არამედ როგორც მათი ერთობლიობა. იგი არის არა ერების ერთიანობა, არამედ მრავალფეროვნება. ყოველი ერი უნიკალური და განუმეო-

რებელია. მას თავისი ისტორია აქვს, მისი ბედი თავისებურია. რომელიც შეძლება გარეგნულად ჰგავდეს სხვა ერის ბედს, მაგრამ არავითარ შემთხვევაში მისი იგივეობრივი არაა. რა თქმა უნდა, მსგავსება არ გულისხმობს ...

განსხვავებული ერების და მათ მიერ შექმნილი კულტურების სიმრავლე კაცობრიობის სიმდიდრეა. ყოველი ერი განსაკუთრებულია და თავისი წვლილი შეაქვს საერთო, საკაცობრიო კულტურაში – ზოგს მეტი, ზოგს ნაკლები, ზოგს მნიშვნელოვანი, ზოგს უმნიშვნელო – მაგრამ რა გინდ უმნიშვნელო წვლილი არ უნდა შეიტანოს ერმა საკაცობრიო კულტურის საგანძურში, იგი თავისი არსებობით უკვე მისი განუყოფელი ნაწილია, რადგან ერთადერთი და განუმეორებელია.

ყოველი ერი ინდივიდის მსგავსია, რომლის გაქრობა სიკვდილის ტოლფასია. მისი აღდგენა გამორიცხულია. ნებისმიერი ერის მოსპობით კაცობრიობა კარგავს რაღაც განსაკუთრებულს და განუმეორებელს. ამიტომ მისი მუდმივი ზრუნვის საგანი უნდა იყოს ყოველი ერის, მისი თვითმყოფადობის და უნიკალობის შენარჩუნება.

ერების შერწყმა, რომელსაც შედეგად მოყვება მათი გაქრობა და ერთ ერად ჩამოყალიბება, ყოვლად დაუშვებელია. ეს არა მარტო გააღარიბებდა, არამედ მოსპობდა თვით კაცობრიობას, რადგან დარჩებოდა რაღაც უსახო, საშუალო მასა. ერების შერწყმის ყოველი თეორია კატეგორიულად დასაგმობი და უარსაყოფია.

კაცობრიობის მიზანი ერთა მრავალფეროვნების შენარჩუნება და განვითარებაა. ეს არ გამორიცხავს მათ დაახლოებას და ინტეგრაციას, მაგრამ ისე, რომ არ მოხდეს ნიველირება და ინდივიდუალობის დაკარგვა. კაცობრიობისათვის ყოველი ერი თავისთავადი ღირებულებაა, რომელსაც არ მოეპოვება შემცვლელი.

კაცობრიობის მომავალია ერთა ინტეგრაცია, მაგრამ არავითარ შემთხვევაში შერწყმა.

თეორიები ერთა ურთიერთობის შესახებ. ერებს შორის ურთიერთობები იმდენად რთული და წინააღმდეგობრივია, რომ ადამიანებში აღძრავს განსხვავებულ ემოციებსა და გრძნობებს. შესაბამისად გაჩნდა თეორიები, რომელთაგან აღსანიშნავია პატრიოტიზმი, ნაციონალიზმი, შოვინიზმი, სეპარატიზმი, კოსმოპოლიტიზმი და ინტერნაციონალიზმი.

პატრიოტიზმი არის თეორია, რომელიც მოითხოვს საკუთარი სამშობლოს სიყვარულს, მასზე ზრუნვას და საჭიროების შემთხვევაში სიცოცხლის გაწირვასაც კი. მისი უმაღლესი ფასეულობა სამშობლოა. მასზე უფრო მაღალი ღირებულება, თუნდაც ჭეშმარიტება, მისთვის არ არსებობს.

ნაციონალიზმი არის თეორია, რომელიც აღიარებს საკუთარი ერის სხვებისაგან გამორჩეულობას და მათზე მაღლა დაყენებას. იგი იბრძვის ისეთი ეროვნული სახელმწიფოს შესაქმნელად, რომლის მოქალაქეები მხოლოდ ერთი ერის წარმომადგენლები იქნებიან. გერმანია მხოლოდ გერმანელებით, ხოლო საქართველო მხოლოდ ქართველებით იქნება დასახლებული. გარდა ამისა, ნაციონალიზმი მოითხოვს ეროვნული სახელმწიფოს აღდგენას ისტორიულ საზღვრებში. მაგალითად,

ნაციონალიზმის გამოვლენაა, როდესაც ზოგიერთი ქართველი ოცნებობს ალადგინოს დავით ალმაშენებლის დროინდელი საქართველო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაციონალიზმი განსხვავდება შოვინიზმისაგან. ეს უკანასკნელი აღიარებს და პრაქტიკულად თესავს სხვა ერებისადმი სიძულვილს.

სეპარატიზმი არის თეორია, რომელიც მოითხოვს პრაქტიკულ ბრძოლას რომელიმე სახელმწიფოსაგან უკანონოდ გამოყოფისათვის. გამოყოფის კანონიერი მოთხოვნა სეპარატიზმი არაა. ეს უკანასკნელი ისეთ გამოცალკევებას გულისხმობს, რომელიც არაკანონიერია და გაუმართლებელ მოთხოვნებს ემყარება. თუ სეპარატიზმი ძალისმიერ მეთოდებს მიმართავს, მაშინ იგი აგრესიულია. ყოველგვარი სეპარატიზმი, განსაკუთრებით აგრესიული საერთაშორისო სამართლის ნორმებით დაგმობილი და დაუშვებელია.

კოსმოპოლიტი ბერძნული წარმომავლობის სიტყვაა და ნიშნავს მსოფლიო მოქალაქეს. კოსმოპოლიტიზმი არის თეორია, რომელიც უარყოფს ეროვნული სამშობლოს არსებობას და მსოფლიოს მიიჩნევს ერთადერთ სამშობლოდ. კოსმოპოლიტისათვის სამშობლოა არა რომელიმე კონკრეტული ქვეყანა, არამედ მთელი მსოფლიო. სოკრატეს მიაწერენ დებულებას, რომ იგი არის არა ათენელი ან კორინთელი, არამედ მსოფლიო მოქალაქე ანუ კოსმოპოლიტი. კოსმოპოლიტიზმის ძირითადი რინციპია: "სადაც კარგია, სამშობლოც იქაა".

ინტერნაციონალიზმი არის თეორია, რომელიც აღიარებს ერთა თანასწორობას, ურთიერთპატივისცემას, თანამშრომლობას და სოლიდარობას. მისი ძირითადი პრინციპია ერთაშორისი ურთიერთობების განვითარება, ურთიერთგამდიდრება და ინტეგრაციისაკენ სწრაფვა. ინტერნაციონალური კულტურა სცილდება ერთი ერის ფარგლებს და მრავალი ერის კუთვნილებაა. იგი ზოგადსაკაცობრიო კულტურაა და შეიცავს ისეთ ელემენტებს, რომლებიც მისაღებია ყველასათვის განურჩევლად ეროვნებისა და რასისა.

მიუხედავად იმისა, რომ ინტერნაციონალიზმი ხშირად ღებულობდა მახინჯ ფორმებს, რადგან გამოიყენებოდა ერთი ერის მიერ მეორის დაჩაგვრის და დაპყრობის იარაღად, იგი თავისი სულისკვეთებით პროგრესული თეორიაა. ერთა თანასწორობა და ურთიერთპატივისცემა უნდა იყოს მათი თანამშრომლობისა და ინტეგრაციის საფუძველი. ნაციონალური და ინტერნაციონალური არა თუ უპირისპირდება, არამედ ავსებს და ამდიდრებს ერთმანეთს. დაპირისპირებაა ნაციონალიზმსა და ინტერნაციონალიზმს შორის. ნაციონალიზმი ეროვნულის გააბსოლუტება და უნივერსალიზაციაა. იგი წარმოიშობა მაშინ, როდესაც ერს უჩნდება უპირატესობის გრძნობა სხვა ერების მიმართ და იბრძვის მათ დასამორჩილებლად. ცნობილია, ელინური ნაციონალიზმი, როდესაც ძველი ბერძნები სხვა ერებს ბარბაროსებად თვლიდნენ. ფაშისტების ნაციონალ-სოციალიზმის თეორია აღიარებდა გერმანელი ერის გამორჩეულობას და განსაკუთრებულ მისიას, რომ დაემყარებინა მსოფლიოს ახალი წესრიგი.

ეს გარემოება არ ნიშნავს, რომ ნაციონალიზმი ყოველთვის უარყოფით

როლს ასრულებდა ისტორიაში. როდესაც ერს სჭირდება თვითშეგნების და თვითცნობიერების გაღვიძება, მაშინ იგი გარკვეულად დადებით როლს ასრულებს. ეროვნული ფასეულობანი. შობს, მაგრამ იგი არ უნდა გადაიზარდოს შოვინიზმსა და რასიზმში.

პატრიოტიზმი და ჭეშმარიტება. პატრიოტიზმი ადამიანის ბუნებრივი გრძნობაა. იგი მას თანდათანობით ჩამოუყალიბდა მას შემდეგ, რაც მოხეტიალე ცხოვრებას თავი დაანება და გადავიდა ბინადარ ცხოვრებაზე. იგი მიეჯაჭვა მიწის გარკვეულ ნაწილს, რომელიც მის ისტორიულ სამშობლოდ იქცა. ეს არის მისი საცხოვრისი, რომლის გარეშეც მას არსებობა ვერ წარმოუდგენია. სამშობლოს მოწყვეტილი ადამიანი უმიწაწყლო, მოხეტიალე არსებაა. იგი ჰგავს ჰაერში გამოკიდებულ ხეს, რომელიც ფესვებიანად ამოთხრილია ნიადაგიდან. "სამშობლო, დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა" – ამბობს პოეტი და კარგად გამოხატავს იმ მძაფრ გრძნობას, რასაც ადამიანი განიცდის მშობლიური მიწის მიმართ.

პატრიოტიზმის საპირისპირო თეორიაა კოსმოპოლიტიზმი. იგი როგორც მოძღვრება წარმოიშვა ძველ საბერძნეთში დაახლოებით ძვ. წ. V-IV საუკუნეებში. როგორც ცნობილია, ძველი საბერძნეთი დაქსაქსული იყო პატარ-პატარა პოლისებად. ძველი ბერძნები თავისუფლად გადადიოდნენ ერთი ქალაქიდან მეორეში და რჩებოდნენ იქ, სადაც ყველაზე უკეთ გრძნობდნენ თავს. ამიტომ გაუჩნდათ მსოფლგანცდა, რომ ნებისმიერი პოლისი, სადაც ისინი უკეთესად მოაწყობდნენ თავის ცხოვრებას, მათი სამშობლოა. ბერძენისათვის სამშობლო გახდა არა რომელიმე კონკრეტული პოლისი, არამედ მთელი საბერძნეთი. მისი კოსმოპოლიტიზმი მხოლოდ ელადით შემოიისაზღვრებოდა. რასაკვირველია, გამორიცხულია, რომ ძველ ბერძენს ბარბაროსების ქვეყანა, მაგალითად, სპარსეთი მიეჩნია თავის სამშობლოდ და მიეღო მისი მოქალაქეობა.

ბერძნების კოსოპოლიტიზმს კონკრეტული შინაარსი ჰქონდა და იგი გამართლებული იყო. მაგრამ ჯერ რომაელებმა, ხოლო შემდეგ მომთაბარე ტომებმა აქციეს იგი თავის სამოქმედო პროგრამად, რათა გაემართლებინათ თავისი დაპყრობები. მონღოლების სამშობლო ცხენის უნაგირი იყო. აქედან უყურებდნენ და აფასებდნენ ისინი მთელ მსოფლიოს. მათთვის კოსმოპოლიტობა ნიშნავდა ყველა დაპყრობილი ქვეყნის მოქალაქეობას. სავსებით მართალია მ. გოგიბერიძე, რომელიც თვლის, რომ "კოსოპოლიტიზმი მოხეტიალე კაცის მსოფლმხედველობაა". იგი მიუღებელია პატრიოტისათვის, ე. ი. იმისათვის, ვისაც შესისხლხორცებული აქვს თავისი სამშობლოს სიყვარული.

მაგრამ პატრიოტიზმი არ უნდა იყოს ბრმა და ცალმხრივი. იგი არ არსებობს ინტერნაციონალიზმის გარეშე. პატრიოტიზმი, რომელიც მოკლებულია ინტერნაციონალიზმს, არის ნაციონალიზმი, ხოლო ინტერნაციონალიზმი, რომელიც მოკლებულია პატრიოტიზმს არის კოსმოპოლიტიზმი. პატრიოტი სწორედ ისაა, ვინც ამავე დროს არის ინტერნაციონალისტი.

არც ერთი ერი არ არის ღვთაებრივი, ე. ი. სრულყოფილი და უნაკლო.

ყოველ მთვანს აქვს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი, როგორც ჯანმრთელი, ისე ავადმყოფური თვისებები. ყოველი ერის ისტორიაში არსებობს ბნელი სასახელო, ისე სამარცხვინო ფაქტები, საბედისწერო შეცდომები. როგორ უნდა მოიქცეს ისტორიკოსი, რომელიც თავისი ქვეყნის პატრიოტია? მან უნდა მიჩქმალოს ერის ცხოვრების უარყოფითი მხარეები და შეალამაზოს ისტორია თუ პირუთვნელად, ობიექტურად აღწეროს და გამოამზეუროს ისინი? საშობლოს სიყვარული ხომ არ მოითხოვს ჭეშმარიტების დამახინჯებას? არავითარ შემთხვევაში. პატრიოტი სწორედ ისაა, ვინც სიმართლეს იტყვის. წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე გვექნება ცრუ, ვაი-პატრიოტიზმთან.

ხომ არ მეტყველებს ეს ფაქტი იმაზე, რომ ჭეშმარიტება უფრო მაღლა დგას, ვიდრე საშობლო? ამ კითხვას უნდა გაეცეს უარყოფითი პასუხი, რადგან იგი არასწორადაა დასმული. საქმე ისაა, რომ ჭეშმარიტება და საშობლო სხვადასხვა განზომილების და სფეროს კატეგორიებია. მათი შედარება საზოგადოდ — თუ რომელი უფრო მაღალი რანგის ფასეულობაა, არ არის სწორი.

ჭეშმარიტების დადგენა მეცნიერული კვლევის მიზანია. იგი მეცნიერების, მაგრამ არა სხვა რომელიმე სფეროს, მაგალითად, ხელოვნების უმაღლესი ფასეულობაა. მეცნიერებისათვის ჭეშმარიტებაზე უფრო მაღალი ღირებულება არ არსებობს. თუ ისტორია მეცნიერებაა, მაშინ მან ჭეშმარიტება უნდა დადგინოს და მისი თვალთახედვით შეაფასოს ერის საქმიანობა. ცხადია, რომ საშობლოს შესახებ მეცნიერული კვლევისას ჭეშმარიტების პრინციპით უნდა ვიხელმძღვანელოთ. ისტორიკოსი, რომელიც მას ღალატობს, არც მეცნიერია და არც პატრიოტი.

პატრიოტიზმი მეცნიერება არ არის. პატრიოტობა საშობლოს სიყვარული და მასზე ზრუნვის პრაქტიკული გამოვლენაა. მისი უმაღლესი ფასეულობა საშობლოს და ერის ინტერესებია. მისთვის სხვა უფრო მაღალი ღირებულება არ არსებობს. გავიხსენოთ თევდორე მღვდლის გმირობა. მან მტერი მოატყუა, რათა საშობლოსათვის ხიფათი აეცდინა. ახლა წარმოიდგინეთ ისტორიკოსი, რომელიც მის საქციელს ულირსად მონათლავდა და გაკიცხავდა. სწორედ ეს იქნებოდა ჭეშმარიტების ღალატი, რადგან თევდორე მღვდელს ამოძრავებდა არა მეცნიერული ინტერესები, არამედ პატრიოტული გრძნობები. პატრიოტიზმის მძაფრმა შეგნებამ აიძულა იგი ერი ჭეშმარიტებაზე და საკუთარ სიცოცხლეზე მაღლა დაეყენებინა. რა თქმა უნდა, ისტორიის მეცნიერული კვლევისას ჭეშმარიტების როგორც უმაღლესი ფასეულობის პრინციპით უნდა ვიხელმძღვანელოთ. ამის ნიმუშს იძლეოდა ივანე ჯავახიშვილი. მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ ჭეშმარიტება საშობლოს სიყვარულზე უფრო მაღლა დგას. პირველი მეცნიერულ-თეორიული განსჯის, ხოლო მეორე პრაქტიკულ-მზრუნველობითი მოქმედების საგანია. ამიტომ მათი შედარება იმ თვალთახედვით თუ რომელი უფრო მაღლა დგას ყოვლად დაუშვებელია.

ერი თავისთავადი ღირებულებაა, რომელიც ჭეშმარიტების მიხედვით არ იზომება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასების ამბოხი. ესპანელმა ფილოსოფოსმა და მოაზროვნემ ხოსე ორტეგა-ი-გასეტიმ (1883-1955) თანამედროვე ევროპული ცივილიზაციის არსებობა შეფასა როგორც კრიზისული. ეს არის ყველაზე დრამატული პერიოდი, რომელიც ოდესმე საზოგადოებას გადაუტანია. ამ კრიზისის საფუძვლად მან მიიჩნია მასების ამბოხი. მთელი ძალაუფლება საზოგადოებაში ხელთ იგდეს მასებმა. "რადგან მასები განსაზღვრების თანახმად არ უნდა მართავდნენ და არც შეუძლიათ მართონ საკუთარი ბედიც კი, რომ არაფერი ვთქვათ საზოგადოებაზე მთლიანად, აქედან გამომდინარეობს, რომ ევროპა ამჟამად განიცდის ყველაზე მძიმე კრიზისს, რომელიც შეიძლება თავს დაატყდეს ხალხს, ერს და კულტურას".[17]

გარეგნულად მასების ამბოხი გამოიხატება ნიშნით, რასაც ორტეგა-ი-გასეტი აღნიშნავს ტერმინებით: "შეჯგუფება", "შეკეცება" და "თავმოყრა". ამ ფენომენს ივი ახასიათებს შემდეგნაირად: "ქალაქები გადაჭედილია ხალხით, სახლები – მაცხოვრებლებით, სასტუმროები – ჩამოსულებით, გამოჩენილი ექიმების მისაღებები – პაციენტებით, კურორტები – დამსვენებლებით, თეატრები – მაყურებლებით"[18]. შეჯგუფება, გადაჭედილობა ადრე თითქმის არ იყო. "ინდივიდები, რომლებიც შეადგენენ ბრბოს, ადრეც არსებობდნენ, მაგრამ არა ბრბოში. მსოფლიოში გაფანტულები ცალ-ცალკე ან პატარ-პატარა ჯგუფებად, ისინი ეწეოდნენ განცალკევებულ, განმარტოებულ ცხოვრებას. ყოველ მათგანს ეკავა თავისი ადგილი სოფელში, დასახლებაში, დიდი ქალაქის კვარტალში".[19]

რა თქმა უნდა, მასები ადრეც არსებობდნენ, მაგრამ იყვნენ შეუმჩნეველნი. მათ ეკავათ სოციალური სცენის უკანა ადგილი. ახლა გამოვიდნენ ავანსცენაზე და დაიკავეს მთავარი მოქმედი პირების ადგილი. "გმირები გაქრნენ, დარჩა გუნდი".[20]

ყოველი საზოგადოება არის ორი ფაქტორის – უმცირესობის და უმრავლესობის დინამიური ერთიანობა. "უმცირესობა არის განსაკუთრებული სოციალური ღირსების პიროვნებები ან პიროვნებათა ჯგუფები. მასები – ეს არის ადამიანთა სიმრავლე განსაკუთრებული ღირსების გარეშე".[21]

სხვადასხვა პრინციპით ხდება უმცირესობის და უმრავლესობის გაერთიანება. უმრავლესობად წარმოქმნის წანამძღვარია მისი წევრების გემოვნების, იდეების, ცხოვრების წესის და სტილის ერთიანობა. უმცირესობის წევრები კი ინდივიდებია, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან სწორედ აღნიშნული ნიშნებით. მათ აერთიანებთ უმრავლესობისაგან განსხვავებულობა. "უმცირესობის გაერთიანება, რათა გამოყოს თავი უმრავლესობისაგან – მისი წარმოქმნის აუცილებელი წანამძღვარია".[22]

ადამიანის მასისადმი მიკუთვნება განისაზღვრება ფსიქოლოგიური ნიშ-

---

17. Хоссе Ортега-И-Гассет, Восстание масс, Вопросы философии, 1989, №3, с.119.
18. იქვე, გვ. 120.
19. იქვე.
20. იქვე.
21. იქვე, გვ. 121.
22. იქვე, გვ.121.

ნის მიხედვით. "მასის ადამიანი — ისაა, ვინც არ გრძნობს თავის თავში არავითარ განსაკუთრებულ უნარს ან განსხვავებულობას სხვებისაგან, ანუ ის, ვინც ცუდს, ვინც გრძნობს, რომ იგი ზუსტად ისეთივეა, როგორც დანარჩენები, და ამასთან ამით სულ არ არის შეწუხებული, პირიქით, ბედნიერია იგრძნოს თავისი თავი ისეთივედ როგორც ყველა".[23]

თუ არსებითად განვიხილავთ მასების ამბოხს, მაშინ მას ახასიათებს შემდეგი ორი გარემოება:

1) მასები ამჟამად ასრულებენ იმ საზოგადოებრივ ფუნქციებს, რაც ადრე მარტოოდენ გამორჩეულ უმცირესობათა პრეროგატივა იყო.

2) ამავე დროს მასები უკვე აღარ არიან ამ უმცირესობათა მორჩილნი. ისინი არა თუ აღარ ემორჩილებიან, მისდევენ და პატივს სცემენ, არამედ თავიდან იშორებენ და ავიწროვებენ მათ.

მასები ცხოვრების დონით გაუთანაბრდნენ უმცირესობას. ის, რაც ადრე ხელმისაწვდომი იყო რჩეულთათვის, ახლა იოლად მისაღწევია მასებისათვის. მაგრამ მასები არ იფარგლებიან ეკონომიკური სფეროთი. მათ პრეტენზია განაცხადეს პოლიტიკურ ბატონობაზეც.

"ძველი დემოკრატია გამოწრთობილი იყო ლიბერალიზმის მნიშვნელოვანი დოზით და კანონის წინაშე ქედის მოხრით. ამ პრინციპებისადმი სამსახური აიძულებდა ადამიანს დაეცვა მკაცრი თვითდისციპლინა. ლიბერალური პრინციპებისა და სამართლებრივი ნორმების საფარქვეშ უმცირესობებს შეეძლოთ ეცხოვრათ და ემოქმედათ. დემოკრატია და კანონი იყო განუყრელი. დღეს კი ჩვენ მოვესწარით ჰიპერდემოკრატიის ტრიუმფს, როდესაც მასები მოქმედებენ უშუალოდ კანონის გვერდის ავლით, როდესაც მთელ საზოგადოებას აბვევენ თავიანთ ნებას და გემოვნებას. მასების ახლებური ქცევა არ უნდა ავხსნათ იმით, რომ მათ მობეზრდათ პოლიტიკა და, რომ ისინი მზად არიან ივი დაუთმონ სპეციალისტებს. სწორედ ასე იყო ადრე, ლიბერალური დემოკრატიის პირობებში. მაშინ მასები ვარაუდობდნენ, რომ ბოლოსდაბოლოს პროფესიონალი პოლიტიკოსები, მიუხედავად მათი ნაკლისა და შეცდომებისა, მაინც ერკვევიან საზოგადოებრივ პრობლემებში, ვიდრე თვითონ. ახლა კი პირიქით, მასები თვლიან, რომ მათ უფლება აქვთ მსვლელობა მისცენ და სახელმწიფო კანონად აქციონ თავიანთი საუბრები კაფეში. ვეჭვობ, რომ ისტორიაში მოიძებნება კიდევ სხვა ეპოქა, რომ მასები ბატონობდნენ ისე აშკარად და უშუალოდ, როგორც დღეს, სწორედ ამიტომ ვლაპარაკობ მე "ჰიპერდემოკრატიის" შესახებ"[24].

რა შედეგებამდე მიიყვანა ევროპა მასების ბატონობამ? ორტეგა-ი-გასეტი პასუხობს: "პრობლემა ისაა, რომ ევროპა დარჩა მორალის გარეშე. მასის ადამიანმა უკუაგდო მოძველებული მცნებები არა იმისათვის, რომ შეეცვ-

---

[23] იხ. ხოსე ორტეგა-ი-გასეტის ზემოთ დასახელებული ნაშრომი გვ. 121.

[24] იქვე, გვ. 122.

ალა ისინი ახლით, უკეთესით, არა, მისი სასიცოცხლო წესების არსი, ისა, რომ იცხოვროს მცნებებისადმი დამორჩილების გარეშე".[25]

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროპის კრიზისის ეს ღრმა ანალიზი ხოსე ორტეგა-ი-გასეტმ გამოაქვეყნა 1930 წელს. მან უფრო მეტად იწინასწარმეტყველა მომავალი, ვიდრე შეეხო აწმყოს. მასების ამბოხის ნამდვილი ტრიუმფი ჯერ მხოლოდ იწყებოდა. ეგი დღესაც გრძელდება. მან საქართველოში ჰპოვა გამოძახილი. ხალხის, მასების და პიროვნების ურთიერთობის პრობლემას არც დღეს დაუკარგავს აქტუალური ჟღერადობა.

უპირველეს ყოვლისა დავაზუსტოთ ცნებები: "მასა", "ბრბო", "პიროვნება".

მასა და პიროვნება.

მასა არც ეთნიკური და არც ისტორიული ერთობაა. ეგი გარკვეული ტიპის ადამიანთა სიმრავლეა. მათ აერთიანებთ არა ეროვნულობა, არა რომელიმე სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილება ან პროფესიული საქმიანობა, არამედ საქმიანობის და აზროვნების გარკვეული დონე და ხასიათი. თუ მას რაოდენობრივად დავახასიათებთ, მაშინ ეგი საზოგადოების უმრავლესობაა. თვისებრივი მახასიათებლის მიხედვით კი ეგი გამოხატავს ადამიანის საშუალო დონეს. ეს არის ადამიანი ყოველდღიურობაში, რომელსაც არა აქვს თავისი "მე", დაკარგული აქვს თავისი ინდივიდუალობა და პიროვნულობა. მასის ყოველი წარმომადგენელი ერთმანეთს ჰგავს. ისინი არაფრით გამოირჩევიან ერთმანეთისაგან, რადგან არსებითად ერთნაირად აზროვნებენ და მოქმედებენ. მასა არ არის ცალკეულ ადამიანთა ჯამი. ეგი საშუალობა, უსახობა და უპიროვნობაა. ეს არის ადამიანი, რომელიც ჰაიდეგერმა აღნიშნა ტერმინით "მან"-ი (man). მან-ი გერმანულ ენაში არის განუსაზღვრელი პირის ნაცვალსახელი, რომელიც გამოხატავს ისეთ მოქმედებას, როდესაც გაურკვეველია, თუ ვინ ასრულებს მას. მაგალითად, როდესაც არ არის დადგენილი, თუ ვინ ამბობს ან წერს, მაშინ ვხმარობთ ასეთ გამოთქმებს: "ამბობენ", "წერენ". მან-ი ისეთი ადამიანია, რომელიც განუსაზღვრელია, განურჩეველია სხვებისაგან. ეგი ზუსტად ისეთია, როგორც ყველა დანარჩენი. მასაში ყველა საშუალია, რადგან განსხვავებანი ნიველირებულია, წაშლილია და დაყვანილია საერთო მახასიათებელზე.

მოკლედ, მასა შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც საშუალო ადამიანი, მან-ი, რომელსაც დაკარგული აქვს თავისი ინდივიდუალობა.

ვინ არის პიროვნება? პიროვნება ადამიანური ინდივიდია, მაგრამ არა ყოველი ინდივიდი. ეგი ისეთი ინდივიდია, რომელიც სხვებისაგან გამოირჩევა თავისი ცნობიერებით და თვითცნობიერებით, ნიჭით და უნარებით. ეგი მკვეთრად გამორჩეული ინდივიდუალობაა, რომელსაც თვითმყოფადი და დამოუკიდებელი სახე აქვს. მაგალითად, დავით აღმაშენებელი და გიორგი ბრწყინვალე, რუსთაველი და გალაკტიონი. მათ სხვებისაგან გამორჩეული სრულიად დამოუკიდებელი ადგილი დაიმკვიდრეს საზოგადოებაში თავიანთი აზროვნებით და მოღვაწეობით. პიროვნებას თავი-

---

[25] ის. ხოსე ორტეგა-ი-გასეტის ზემოთ დასახელებული ნაშრომი.

სი ხელწერა, თავისი სტილი და განუმეორებელი, ყველასაგან გამორჩეული სახე აქვს. ივი არის "მე", რომელსაც თავისი მტკიცე პოზიცია აქვს და აუცილებლად შეუძლია იბრძოლოს მის დასაცავად და დასამკვიდრებლად.

მოკლედ, პიროვნება შეიძლება შემდეგნაირად დავახასიათოთ: პიროვნება არის ადამიანური ინდივიდი, რომელსაც სხვებისაგან გამორჩეული თვითმყოფადი სახე აქვს და აქტიურად იბრძვის საკუთარი მე-ს დასამკვიდრებლად.

როგორც ვხედავთ, მასას და პიროვნებას ურთიერთსაპირისპირო ნიშნები ახასიათებთ, ამიტომ ისინი ერთმანეთს გამორიცხავენ. მასა პიროვნებებისაგან არ შედგება, ხოლო პიროვნება მასას არ მიეკუთვნება. პირველი სწორედ იმგვარ ადამიანთა სიმრავლეა, სადაც პიროვნებები არ არსებობენ. მეორე კი ისეთ ინდივიდებს მოიცავს, რომელიც მასისაგან გამოყოფილი და გამორჩეულია. რაოდენობრივად მასა უმრავლესობაა, ხოლო პიროვნება — უმცირესობა. მასის სიძლიერე სიმრავლეშია, პიროვნების კი — ინდივიდუალობაში.

ზოგიერთი მიიჩნევს, რომ მასა მშრომელებია, ხოლო პიროვნება — ინტელიგენცია. თითქოს პირველს მიეკუთვნებიან ფიზიკური შრომით დასაქმებული ადამიანები — მუშები და გლეხები, ხოლო მეორეს — მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი. ამგვარი შეხედულება არამართებულია.

მასის და პიროვნების გამიჯნვა ხდება არა სოციალური საქმიანობის, არამედ ყოფიერებისა და აზროვნების ტიპის მიხედვით. რომელ ტიპს — საშუალოს თუ აღმატებულს მიეკუთვნება ადამიანი, თავისი კულტურული განვითარების დონით, ცხოვრებისეული პოზიციის და ინდივიდუალური ნიჭის მიხედვით? თუ ადამიანი არაფრით განსხვავდება უმრავლესობისაგან და საშუალო დონისაა, მაშინ ივი მასას მიეკუთვნება. თუ ადამიანი საშუალოზე აღმატებულია, ე. ი. უმრავლესობისაგან გამორჩეულია, მაშინ პიროვნებაა.

მასის და პიროვნების გამიჯვნის კრიტერიუმი არც ეროვნულობა, არც სოციალური წარმომავლობა და არც პროფესიული საქმიანობაა. მაგალითად, განვიხილოთ რუსთაველი და მისი თანამედროვე პოეტები, რომელთაგან ბეკრის სახელიც კი არ შემორჩა ისტორიას. მათ ეროვნება ერთი აქვთ — რუსთაველიც და ისინიც ქართველები არიან, ერთ სოციალურ ფენას მიეკუთვნებიან და ერთნაირ საქმიანობას ეწევიან — ლექსებს წერენ. მაგრამ რუსთაველი პიროვნებაა, დანარჩენი — მასა. რატომ? რუსთაველი მკვეთრად გამორჩეული ინდივიდუალობაა, რომელმაც მსოფლიო შედევრი შექმნა, სხვებმა კი ვერაფრით გამოიჩინეს თავი. ისინი იმდენად უსახონი აღმოჩნდნენ, რომ ისტორიამ მათი სახელებიც კი არ შემოინახა.

ამგვარად, მასად ან პიროვნებად ყოფნა არ არის სოციალური ფენის დამახასიათებელი ნიშანი. ყოველ ფენას თავისი მასა და პიროვნება ყავს. ნებისმიერი მისი წარმომადგენელი შეიძლება მიეკუთვნებოდეს ერთს ან მეორეს. მასა არ არის კლასი, სოციალური ფენა ან ჯგუფი. ივი გარკვეული ტიპის ადამიანია, რომელიც არსებობს ნებისმიერ მათგანში. ივივე ითქმის პიროვნებაზეც.

მასა და ბრბო. ბრბო სოციალური ჯგუფია, რომლის წევრები გაერ-

თიანებულნი არიან ერთი იდეით და მოქმედებენ ერთსაირად. მათთვის დამახ-ასიათებელია უკიდურესი ეგზალტირება და აღტყინება. იგი ემოციურად და მუხტულია, აგზნებულია და მზადაა წალეკოს ყველაფერი, რაც გზაზე გადა-ეღობება. ბრბოა მიტინგზე მოსულ ადამიანთა ჯგუფი, რომელიც ტაშისცე-მით და მოწონების შეძახილებით უსმენს ერთს, მაგრამ არ უსმენს და სტვენით ხვდება მეორეს. იგი ამას აკეთებს არა განსჯით, არამედ ემოციურად, რად-გან მის ქცევას წარმართავს გრძნობები და არა გონება. ბრბოა აგზნებულ ადამიანთა ჯგუფი, რომელიც ლინჩის წესით უსწორდება დაბნაშავეს, ამტვრევს მაღაზიების ვიტრინებს, იტაცებს ქონებას და სხვა.

ბრბო არაორგანიზებული, უდისციპლინო მასაა, რომელიც უეცარი და უნებლიე აგზნების სადუძველზე მოქმედებს ყველგვარი გეგმისა და მიზნის გარეშე. ბრბოა ჯარისკაცების ჯგუფი, რომელიც მოიცვა პანიკურმა შიშმა, ამიტომ უწესრიგოდ და თავქუდმოგლეჯით გარბის ბრძოლის ველიდან.

ბრბო არ არის მყარი სოციალური ერთობა, რომლის წევრები ხანგრძლივად იქნებოდნენ ერთმანეთთან დაკავშირებულნი. ეს ისეთი ჯგუფია, რომლის წარმოშობა შემთხვევითი და მოულოდნელი ხდება, ამიტომ იგი შეიძლება უეცრად წარმოიქმ-ნას, მაგრამ ასევე უეცრად დაიშალოს. მასში შეიძლება გაერთიანდეს სრულიად განსხვავებული შეხედულების ან პროფესიის, ეროვნების ან კლასის წარმომადგენ-ელი. გაერთიანების მიზანი შეიძლება იყოს ასევე სრულიად განსხვავებული: შიში, უკმაყოფილება, შიშმილი, პროტესტი, სიხარბე, მოქრთამვა, ფანატიზმი და სხვა. ბრბოს წარმოქმნას სჭირდება შესაფერისი ფონი, რომელიც ხელისშემწყობი გარემოა. ეს არის კრიზისული სიტუაციის არსებობა საზოგადოებაში.

მასა ბრბო არ არის., მათ შორის არსებითი განსხვავებაა, რაც შეიძლე-ბა დახასიათდეს შემდეგი ძირითადი ნიშნებით: 1) ბრბო სოციალური ჯგუ-ფია, მასა – არა. ბრბო შემთხვევით და მოულოდნელად წარმოიქმნება და იშლება, მასა – არა, 2) ბრბო ერთი აზრით და გრძნობით დამუხტული ჯგუფია. მის წევრებს მთლიანად იპყრობს რაღაც გრძნობა, ემოციურად აღაგზნებს და ერთ მუშტად კრავს მათ, რათა ენერგიულად იმოქმედონ ერთად. მასა არ არის ერთი აზრით და გრძნობით შეკრული ჯგუფი. მის წევრებს არ აერთიანებთ ერთი იდეა და ემოცია. ამ მხრივ იგი არაერთგვაროვანი და ამორფულია. 3) ბრბო ეგზალტირებულია, აღგზნებულია, დამუხტულია ენერგიით, ამიტომ აგრე-სიულია. იგი მზადაა გაანადგუროს ყველა და ყველაფერი, რაც გზაზე შეხ-ვდება, ამიტომ დესტრუქციულია. მასა არ არის ეგზალტირებული და დამუხტუ-ლი, ამიტომ ნეიტრალურია და არა აგრესიული. იგი შეიძლება იყოს დესტრუ-ქციულიც და კონსტრუქციულიც. ეს დამოკიდებულია იმაზე თუ რა მიზნით დავრაზმავთ მას და რა მიმართულებით წარვმართავთ მის ქცევას. 4) ბრბოს ცნობიერება ფსიქოზურია. იგი ჩაკეტილია, დახშულია, ამიტომ მასთან კამათი და დიალოგი გამორიცხულია. იგი უსიტყვოდ იღებს იმას, რასაც მისი კერპი ეუბნება, მაგრამ ასევე უყოყმანოდ უკუაგდებს ყოველივეს, რაც მისი ლიდერი-

სათვის მიუღებელია. იგი აგრესიულად მორჩილია. მორჩილია თავისი კერპის, ხოლო აგრესიული — მისი ოპონენტის მიმართ. მასის ცნობიერება არ არის ფსიქოზური, ამიტომ მასთან კამათი და დიალოგი შესაძლებელია. მასაც ბორ-ჩილია, მაგრამ არა აგრესიულად მორჩილი. ისიც კერპთაყვანისმცემელია, მა-გრამ მას არ ჰყავს ერთი კერპი. მასის ერთი ნაწილი ერთ კერპს სცემს თაყ-ვანს, მეორე კი სხვას. მასობრივი ფსიქოზი ახასიათებს ბრბოს და არა მასას.

არც ერთი სოციალური ჯგუფი თავისთავად ბრბო არ არის, მაგრამ ნებ-ისმიერი მათგანი შეიძლება ბრბოდ იქცეს. მაგალითად, ჯარი ბრბო არ არის, რადგან იგი მკაცრად ორგანიზებული და დისციპლინირებულია. მაგრამ თუ იგი დაიშალა, მისი დისციპლინა მოიშალა და მისმა ცალკეულმა ჯგუფებმა დაიწყეს თვითნებური მოქმედება, მაშინ იგი ბრბოდ იქცევა. ასევე ინტელიგენტთა ჯგუფიც შეიძლება ბრბოდ იქცეს, როდესაც იგი ქვეყნის ხელმძღვანელს ფეხქვეშ ეგება და მის მიმართ კარგავს კრიტიკული აზროვნების უნარს.

ამგვარად, ბრბო არ არის ერთი რომელიმე სოციალური ფენა ან ჯგუფი. არ შეიძლება იმის თქმა, რომ მუშები, გლეხები, ინტელიგენტები, ჯარისკა-ცები და ა. შ. ბრბოა. მაგრამ ნებისმიერი მათგანი შეიძლება გარკვეულ პირობებ-ში ბრბოდ იქცეს. ამგვარ მეტამორფოზას ერთი დადგენილი მიზეზი არა აქვს. ეს შესაძლებელია შემთხვევით და მოულოდნელად მოხდეს. ბრბო არ არის მყარი სოციალური ერთობა, რომელიც ხანგრძლივად არსებობს. იგი სიტუაციების მიხედვით წარმოიქმნება და იშლება.

ბრბოს და მის ცნობიერებას (მასობრივ ფსიქოზს) უნდა ვებრძოლოთ. მისი აგრესიულობის აღსაკვეთად ძალაც შეიძლება გამოვიყენოთ. მასას და მის ცნობიერებას ძალით არ უნდა ვებრძოლოთ. მასთან დიალოგია საჭირო.

პიროვნების პრობლემის ორი ასპექტი. პიროვნების პრობლემა დაისმის ორ განსხვავებულ სიბრტყეში. ერთი ეხება პიროვნების ურთიერთო-ბას საზოგადოებასთან, ხოლო მეორე — პიროვნების როლს ისტორიაში. დავახ-ასიათოთ თითოეული მათგანი.

პიროვნების და საზოგადოების ურთიერთობის პრობლემა გულისხმობს შემდეგს: პიროვნება ყოველთვის ცხოვრობს და საქმიანობს საზოგადოებაში. ეს უკანასკნელი შეიძლება იყოს თემი, სახელმწიფო, ქალაქი, სოფელი, სამუშაო ან სასწავლო ადგ-ილი და ა. შ. პიროვნება ინდივიდია, რომელსაც აქვს თავისი საკუთარი მოთხოვ-ნილებანი და ინტერესები, ვუწოდოთ მათ ინდივიდუალური ინტერესები. საზოგადოებას თავისი მოთხოვნები და ინტერესები აქვს. ვუწოდოთ მათ საზოგადოებრივი ინტერე-სები. **პიროვნების და საზოგადოების ურთიერთობის პრობლემა არის ინდივიდუ-ალური და საზოგადოებრივი ინტერესების მიმართების საკითხი.** ისინი არა თუ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, არამედ ხშირად უპირისპირდებიან და გამორიცხ-ავენ ერთმანეთს. ამის გამო ხშირია კონფლიქტი პიროვნებას და საზოგადოებას შორის. როგორ უნდა მოგვარდეს მათი ურთიერთობა? რომელს უნდა მიეცეს უპირატესობა — პიროვნებას თუ საზოგადოებას? ამ კითხვებზე არ არსებობს ერთგვაროვანი პასუხი.

ერთნი პიროვნებას აძლევენ უპირატესობას, მეორენი — საზოგადოებას.

ის, რომ ადამიანი საზოგადოებაში ცხოვრობს და უნდა იცხოვრის, ეჭვი არავის სადავო. საზოგადოებაა მისი საქმიანობის არენა, მაგრამ საზოგადოება ბოჭავს, ზღუდავს, თრგუნავს თუ გასაქანს აძლევს ადამიანის ინდივიდუალობას? ე. ი. საკითხი დგას იმის თაობაზე, საზოგადოება ახშობს, კლავს პიროვნებას თუ შესაძლებლობას აძლევს სრულად გამოავლინოს თავისი ნიჭი და ინდივიდუალური უნარები. აქ დგას ადამიანის პირადი თავისუფლების პრობლემა. პირადი თავისუფლება პიროვნებად არსებობის აუცილებელი პირობაა, რომლის გარეშეც იგი არ ჩამოყალიბდება. პიროვნება იმ საზოგადოებაში არსებობს, რომელიც ადამიანს აძლევს პირად თავისუფლებას. ეს კი დამოკიდებულია საზოგადოების სტრუქტურაზე, უპირველეს ყოვლისა პოლიტიკურ სისტემაზე — დემოკრატიულია იგი თუ დიქტატორული. პირველი უზრუნველყოფს პიროვნების თავისუფლებას, მეორე — არა.

მაშასადამე, პიროვნების თავისუფლების პრობლემა სოციალური საკითხია. ერთ საზოგადოებაში იგი შეიძლება თავისუფალი იყოს, მეორეში კი — არა, თუმცა როგორც ადამიანი იგი ყოველთვის თავისუფალია. მონა როგორც პიროვნება, რამდენადაც იგი მოკლებულია პოლიტიკურ და სოციალურ უფლებებს, არ არის თავისუფალი. მაგრამ ივივე მონა როგორც ადამიანი, რამდენადაც ცხოველებისაგან განსხვავებული არსებაა, ფლობს ნების უნარს და ამდენად შეუძლია იყოს თავისუფალი.

პიროვნების თავისუფლების პრობლემა განსხვავდება ადამიანის თავისუფლების პრობლემისაგან. პირველი სოციალური საკითხია და დაისმის საზოგადოებასთან მიმართების სიბრტყეში, მეორე კი ანთროპოლოგიური პრობლემაა და დაისმის ადამიანის ნებასთან მიმართების ასპექტით.

ახლა გავარკვიოთ პიროვნების პრობლემის მეორე ასპექტი. იგი გულისხმობს საკითხის დასმას პიროვნების როლის შესახებ. რა როლს ასრულებს იგი ისტორიაში? ეს საკითხი უკვე ეხება გამოჩენილ პიროვნებებს. მაგრამ ამ კითხვებს რომ ვუპასუხოთ საჭიროა გავაანალიზოთ ხალხის და მასის ურთიერთდამოკიდებულების საკითხი.

ხალხის და მასის ურთიერთმიმართება. ხალხი და მასა არ არის იგივეობრივი. ზოგიერთი აიგივებს მათ ერთმანეთთან და ხმარობს გამოთქმას "მასა ანუ ხალხი". ამგვარი მოსაზრება პრინციპულად მცდარია. ამის ნათელსაყოფად ერთმანეთს შევადაროთ "ხალხის" და "მასის" ცნებები.

ხალხი ისტორიულად ჩამოყალიბებული ადამიანთა ერთობაა, მასა კი არ არის ერთობა — არც ისტორიული და არც სოციალური. იგი გარკვეული ტიპის ადამიანთა სიმრავლეა.

ხალხი უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე მასა. ამ უკანასკნელს პიროვნება არ მოიეკუთვნება. როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, ისინი ერთმანეთს გამორიცხავენ. რაც შეეხება ხალხს, იგი მოიცავს როგორც მასას, ისე პიროვნებას. ორივე მისი აუცილებელი შემადგენელი ნაწილია. ქართველი ხალხია არა მხოლოდ

მშრომელი მასა, არამედ გამოჩენილი პიროვნებებიც. დავით აღმაშენებელი და თამარ მეფე, ილია და აკაკი ისევე მიეკუთვნებიან ქართველ ხალხს, როგორც ნებისმიერი რიგითი მშრომელი. ამგვარად, **ხალხი მასის და გამოჩენილი პიროვნებათა ერთიანობაა.** ერთმანეთს უპირისპირდება არა ხალხი და გამოჩენილი პიროვნება, არამედ მასა და გამოჩენილი პიროვნება.

თუ ხალხს და მასას გავაიგივებთ ერთმანეთთან, მაშინ აღმოვჩნდებით აბსურდულ მდგომარეობაში: ხალხს არ უნდა მივაკუთვნოთ გამოჩენილი პიროვნებები. გამოდის, რომ ქართველი ხალხი უპიროვნო, უსახო მასაა, რომელსაც არ მიეკუთვნება დავით აღმაშენებელი და თამარ მეფე, ილია და აკაკი. ამგვარი თვალსაზრისის აბსურდულობა აშკარაა.

თეზისი, რომ ხალხი ქმნის ისტორიას არასწორად იქნა ინტერპრეტირებული ლენინის მიერ. თითქოს ხალხის მასები ქმნიან ისტორიას, ხოლო გამოჩენილი პიროვნებები მასში მონაწილეობენ მარტოოდენ იმით, რომ აჩქარებენ ან ანელებენ მას. გამოდის, რომ ომს იგებს ჯარისკაცი და არა სარდალი. პოეზიას ქმნის საშუალო და არა გამოჩენილი პოეტი და ა. შ. თითქოს განმსაზღვრელი და მთავარი ხალხის მასაა, ხოლო გამოჩენილი პიროვნება მეორეხარისხოვანი და არამთავარია. ე. ი. დიდგორის ომის მოგებაში განმსაზღვრელი როლი შეასრულეს რიგითმა მეომრებმა, ხოლო დავით აღმაშენებელმა — მეორეხარისხოვანი და უმნიშვნელო. ქართული პოეზიის განვითარებაში განმსაზღვრელი როლი ითამაშეს უცნობმა პოეტებმა, მაგრამ არა რუსთაველმა, გურამიშვილმა, ბარათაშვილმა, ვაჟა-ფშაველამ და ა. შ.

ისტორიას მართლაც ხალხი ქმნის, მაგრამ — არა მხოლოდ ხალხის მასები. პირველი მეორეზე არ დაიყვანება, რადგან მოიცავს გამოჩენილ პიროვნებებსაც. თეზისი, რომ ისტორიის შემოქმედი ხალხია, სწორია და ნიშნავს შემდეგს: ისტორიას ქმნიან ხალხის მასები და გამოჩენილი პიროვნებები ერთად, მაგრამ — არც ერთი ცალ-ცალკე. ისინი ერთმანეთის გარეშე ვერაფერს შექმნიან. პიროვნება მასებზე დაყრდნობით, ხოლო მასები მისი ხელმძღვანელობით ქმნიან ისტორიას. არც ერთს არ შეიძლება მიეცეს რაიმე უპირატესობა, რადგან სხვადასხვა როლს ასრულებენ ისტორიაში: გამოჩენილი პიროვნება ხელმძღვანელია, მასა — შემსრულებელი. ისინი ერთმანეთს ვერ შეცვლიან და ვერც ერთმანეთის გარეშე იარსებებენ. პიროვნებას შემსრულებელი სჭირდება მასის სახით, ხოლო მასას ხელმძღვანელი — პიროვნების სახით.

ქართველი ხალხი და მასების ამბოხი. ზოგჯერ ხდება ქართველი ხალხის გაიდეალება, როდესაც მას ახასიათებენ როგორც სრულყოფილსა და ღვთაებრივს. თითქოს მას რაღაც განსაკუთრებული მისია ჰქონდეს დაკისრებული. ქართველი ხალხი ბრძენია და კეთილი — ამტკიცებს მავანი. ამგვარი მტკიცებანი თუ ნაციონალისტური არა, გულუბრყვილობა და მიამიტობაა. პატრიოტიზმის პრეტენზიით არავის აქვს უფლება დაკარგოს რეალობის გრძნობა და იმსჯელოს თავისი სურვილის და ემოციების მიხედვით.

არც ერთი ხალხი არ არის სრულყოფილი და ღვთაებრივი. ყველას თავისი ღირსება და ნაკლი აქვს. არც ერთი მათგანი ღმერთს არ მოუვლენია ამ ქვეყნად რაიმე განსაკუთრებული მისით. ყოველი ხალხი გარკვეულ ისტორიულ პირობებში ჩამოყალიბდა და ასრულებდა რაღაც როლს — ზოგი მნიშვნელოვანს და ზოგიც უმნიშვნელოს — მსოფლიო ცივილიზაციის განვითარებაში. რამდენი ხალხი, ისეთებიც კი, რომლებმაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს მსოფლიო კულტურის განვითარებაში, ისტორიული ბედ-უკულმართობის გამო აღიგავენ პირისაგან მიწისა. საკმარისია გავიხსენოთ ძველი ბერძენი ხალხი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ევროპულ ცივილიზაციას, გაქრა და აირია სხვა ერებში. ძველ ბერძნებს თავისი დადებითი და უარყოფითი თვისებები ჰქონდათ. ბევრი საამაყო, მაგრამ მრავალი სამარცხვინო მომენტებიც ჰქონიათ თავის ისტორიაში. მართალია, ძველ საბერძნეთს უხვად ჰყავდა გამოჩენილი პიროვნებები, რომლებიც დაჯილდოვებულნი იყვნენ სიბრძნით და ზნეობით, მაგრამ მისი მასა (როგორც ყველა ხალხის მასა) შედგებოდა საშუალო ნიჭის, უნიჭოებისა და რეგვენებისაგანაც კი.

ანალოგიურად უნდა ვიმსჯელოთ ქართველი ხალხის შესახებაც. იგი არავის მოუვლენია ამ ქვეყნად რაღაც განსაკუთრებული მისით. დროა, საბოლოოდ უკუვაგდოთ მესანიზმის იდეა, რომ თითქოს ქართველ ხალხს აქვს რაღაც განსაკუთრებული მისია მსოფლიო ცივილიზაციის წინაშე. იგი ჩამოყალიბდა გარკვეულ ისტორიულ პირობებში და თავის რეგიონში ასრულებდა ხან მნიშვნელოვან, ხან კი უმნიშვნელო როლს. მისი ისტორია სავსეა გმირული, მაგრამ ასევე სამარცხვინო მომენტებით. მის შვილებს ხშირად უჩვენებიათ სიბრძნის და ზნეობის, მაგრამ ასევე უგუნურების და უზნეობის მაგალითებიც. ის, რომ ქართველ ხალხს მრავალი დადებითი თვისება აქვს, ეს უდავოა. მაგრამ მას ასევე ახასიათებს ნაკლიც, რაც ხშირად აღუნიშნავთ, როგორც ქართველ, ისე უცხოელ ავტორებს.

ქართველი ხალხი არ არის რაღაც განსაკუთრებული, მსოფლიოს სხვა ერებზე მაღლა მდგომი. იგი კაცობრიობის, როგორც მთელის, ერთ-ერთი შემადგენელი, განუყრელი ნაწილია, რომელსაც შეძლებისდაგვარად თავისი მორიდებული წვლილი შეაქვს მის განვითარებაში. მას საკუთარი თვითმყოფადი და დამოუკიდებელი სახე აქვს, რითაც განსხვავდება ყველა სხვა ხალხისაგან. მაგრამ ეს გარემოება არ მიუთითებს მის რაიმე პრივილეგიასა და უპირატესობაზე. სხვა ერების მსგავსად ისიც შედგება მოკვდავი ადამიანებისაგან, რომელთა შორისაა ბრძენიცა და რეგვენიც, ნიჭიერიც და უნიჭოც, ზნეობრივიც და უზნეოც, უდანაშაულოც და დამნაშავეც. უაზრობაა იმის ვარაუდი, რომ მხოლოდ "კაი" და არა ცუდი ყმაა ქართველი. სამწუხაროდ ეს ასე არ არის. დამნაშავე და უზნეოც ქართველია, ჩვენი სისხლი და ხორცია. ამიტომ ვინც ქართველი ხალხის იდეალიზებას ახდენს და გულწრფელად სჯერა ეს, იგი უბრალოდ მიამიტია. იდეალური ხალხი ჯერ არ არსებულა დედამიწის ზურგზე და არც ქართველია ამ მხრივ გამონაკლისი. რაც შეეხება დებულებას, რომ "ქართველი ხალხი ბრძენი და კეთილგონიერია" — არის უს-

აზრისო, რადგან არ გააჩნია თეორიული შინაარსი. საქმე ისაა, რომ ცნებები "ბრძენი" და "კეთილგონიერი" მიეწერება არა ხალხს, არამედ პიროვნებას. მაგალითად, ცალკეული ადამიანი შეიძლება იყოს ბრძენი და კეთილი, მაგრამ — არა ხალხი. ეს უკანასკნელი განსხვავებულ ადამიანთა (ბრძენთა და არაბრძენთა, ზნეობრივთა და უზნეოთა) ისტორიულად ჩამოყალიბებული ერთობაა, რომელსაც თავისი ღირსება და ნაკლი აქვს. ქართველი ხალხი არ არის ბრძენი და კეთილი არა იმიტომ, რომ იგი სხვა ხალხებისაგან განსხვავებით ამ თვისებებს მოკლებულია, არამედ იმიტომ, რომ საზოგადოდ არც ერთი ხალხი არ შეიძლება დახასიათდეს აღნიშნული კატეგორიებით. თუ ეს დებულება იხმარება როგორც მეტაფორა — გადატანითი მნიშვნელობით, მაშინ იგი მხოლოდ მხატვრული ხერხია და მეტი არაფერი. მაგრამ თუ იგი მტკიცდება როგორც თეორიული შინაარსის მქონე დებულება, მაშინ — უსაზრისოა, რადგან ხალხს მიაწერს ისეთ თვისებებს, რაც მას საერთოდ არ ახასიათებს. დაახლოებით ეს ისეთივე უაზრობაა, როდესაც უსულო საგნებს მიაწერენ სულიერის ნიშნებს. მართალია, ხელოვნებაში ეს ჩვეულებრივი ხერხია, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ იგი დაუშვებელია მეცნიერებაში.

მარქსისტულ ფილოსოფიურ ლიტერატურაში გავრცელებული იყო თვალსაზრისი, რომლის თანახმად ხალხი ყოველთვის მართალია, რომ იგი არასოდეს ცდება. შეიძლება შეცდეს ცალკეული ადამიანი, მაგრამ არა ხალხი. ამგვარი წარმოდგენები ყოველგვარ მეცნიერულ საფუძველს მოკლებულია. არც ერთი მოვლენა, ბუნების თუ კულტურის ქმნილება იქნება იგი, არ არის და არც შეიძლება იყოს იდეალური. არც ხალხია გამონაკლისი. ისიც ცდება და ისიც ხშირად საბედისწერო შეცდომასაც უშვებს. გავიხსენოთ ფაშიზმის წარმოქმნა გერმანიაში. განა გერმანელ ხალხს არ მიუძღვის გარკვეული ბრალი ამ ბოროტების წარმოშობასა და გავრცელებაში? განა ხალხმა არ გააღმერთა და კერპად აქცია ჰიტლერი? და ეს დაემართა ისეთი დიდი კულტურის და ენერგიის მქონე ერს, როგორიც გერმანელი ხალხია. არც სხვა ხალხებია დაზღვეული მსგავსი ტრაგიკული შეცდომებისაგან. ქართველ ხალხსაც მრავალი საბედისწერო ნაბიჯი გადაუდგამს ისტორიაში.

ქართველი ხალხი არც მასაა და არც ბრბო, თუმცა მას ჰყავს თავისი მასა, რომლის ცალკეული ჯგუფები კონკრეტულ სიტუაციებში შეიძლება ბრბოდ გადაიქცეს. განსაკუთრებით უკანასკნელი დროის მოვლენებში ამის დამადასტურებელი მრავალი მაგალითია. მასობრივმა ფსიქოზმა მასის გარკვეული ნაწილი მოიცვა და მისი ცალკეული ჯგუფები ბრბოდ აქცია, ამ ფაქტის აღნიშვნა სრულებით არ ნიშნავს, რომ ქართველი ხალხი გადაიქცა მასად ან ბრბოდ. ამგვარი მეტამორფოზა არა მარტო ქართული, არამედ მსოფლიო მოვლენაა. ყოველ ხალხს თავისი მასა ჰყავს. რომლის გარკვეული ნაწილი ამა თუ იმ სიტუაციაში შეიძლება ბრბოდ გადაიქცეს. ცივილიზებული ერებიც კი არ არიან თავისუფალი ამ მოვლენისაგან. ამიტომ მასის რომელიღაც ნაწილის ბრბოდ გადაქცევა განპირობებულია არა ქართული ხასიათის რაღაც თავისებურებით,

არამედ საზოგადოების ზოგადი კანონზომიერებით. ეს არ არის ეროვნული მხოლოდ ქართველების ტრაგედია. იგი გლობალური მოვლენაა, რომელიც ეტაბ-ნაკლებად აწუხებს ყველა ხალხს, მათ შორის, ცივილიზებულ ერებსაც. ორ-ტეგა-ი-გასეტი თავის დროზე მიუთითებდა, რომ დღეს მთელ მსოფლიოს ახ-ასიათებს მასად გადაქცევის ტენდენცია.

როდესაც ორტეგა-ი-გასეტი და ჰაიდეგერი უარყოფითად ახასიათებენ მასას და ბრბოს, მათ მხედველობაში არ ჰყავთ მხოლოდ ესპანელი და გერმანელი, მით უმეტეს ქართველი ხალხი. ამით ისინი ახასიათებენ თანამედროვე ეპოქას, რადგან მიაჩნიათ, რომ მასების ამბოხი და ბრბოს აგრესიულობა მეოცე საუკუნის საზოგადოების განვითარების ზოგადი თავისებურებაა. რასაკვირველია, არც ქართველი ხალხია მისგან თავისუფალი. აქ საშიშროება ისაა, რომ ამ პროცესმა არ მიიღოს ტოტალური ხასიათი და მთელი ქართველი ხალხი არ აქციოს ბრბოდ. ამიტომ საჭიროა დროზე ჩავაქროთ მასების ამბოხით გაჩენილი ხანძარი. ამის გარანტი შეიძლება იყოს დემოკრატია, რომლის საყრდენია არა მასები და მათი ნება, არამედ ხალხი და კანონი.

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია და მისი გლობალური შედეგები

მეოცე საუკუნის 50-იანი წლებიდან კაცობრიობა შევიდა მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ფაზაში. ტექნიკა გახდა ის ძირითადი ფაქტორი, რომლის გამოყენების ხასიათზე დამოკიდებულია მისი ბედი. ერთი მხრივ, იგი უზრუნველყოფს ადამიანის კომფორტს და მატერიალურ კეთილდღეობას, უზრუნველ და უდარდელ ცხოვრებას. ტექნიკა განიცდება როგორც ადამიანის ბედნიერებისა და წარმატების საწინდარი. მაგრამ მეორე მხრივ, იგი კაცობრიობას აძლევს ისეთ იარაღს, რომლის მეშვეობით მას შეუძლია ჩაიდინოს მრავალი ბოროტება და მოსპოს სიცოცხლეც კი დედამიწაზე. იგივე ტექნიკა განიცდება როგორც განადგურებისა და ტრაგედიის მომტანი.

ტექნიკას მართლაც შეუძლია ერთიც და მეორეც. მას მოაქვს სიკეთეც და ბოროტებაც, ბედნიერებაც და უბედურებაც, სიხარულიც და ტრაგედიაც. უფრო მეტიც: დღეს ტექნიკის გამოყენებაზეა დამოკიდებული კაცობრიობის ყოფნა-არყოფნა. რა მოელის მას — აყვავება თუ კატასტროფა? როგორც ვიცით, ეს უკვე მსოფლმხედველობითი კითხვაა, რომლის გარკვევის გარეშე ფილოსოფიას არ ძალუძს შეასრულოს თავისი ფუნქცია. ტექნიკის არსის, როლისა და ადგილის საკითხი გახდა ერთ-ერთი აქტუალური პრობლემა. შეიქმნა ახალი მიმართულება — ტექნიკის ფილოსოფია.

აღნიშნულის საფუძველზე სავსებით სამართლიანია ნ. ბერდიაევის (1874-1948) შემდეგი დებულება: "არ იქნება გადაჭარბებული თუ ვიტყვით, რომ ტექნიკის საკითხი გახდა ადამიანის ბედის და კულტურის ბედის საკითხი. სუსტი რწმენის საუკუნეში. არა მარტო რწმენის, არამედ XIX საუკუნის

ჰუმანისტური რწმენის დასუსტების ეპოქაში, თანამედროვე ცივილიზებულმა ადამიანის ერთადერთ ძირითად რწმენად იქცა რწმენა ტექნიკის, მისი სიძლიერისა და უსასრულო განვითარების შესახებ. ტექნიკა ადამიანის უკანასკნელი სიყვარულია და იგი მზადაა შეცვალოს საკუთარი სახე თავისი სიყვარულის ობიექტის გავლენით. და ყველაფერი, რაც სამყაროში ხდება, კვებავს ადამიანის ამ ახალ რწმენას. ადამიანს სწყეროდა სასწაულები და მას ეჩვენებოდა რომ ისინი შეწყდნენ და ტექნიკა ნამდვილ სასწაულებს ახდენს".[26]

რა არის ტექნიკა? სიტყვა ტექნიკა წარმოსდგება ბერძნული სიტყვა "ტეხნე"-საგან, რაც ნიშნავს – ხელოვნებას, ოსტატობას, მოხერხებულობას. ძველ ბერძნებს ტექნიკა ესმოდათ ფართოდ. იგი აღნიშნავდა ბუნების საპირისპიროს. რაც ბუნებრივია, იგი თავისთავადია, მისი წარმოშობა და არსებობა ადამიანზე არ არის დამოკიდებული. ტექნიკა გაიგივებულია ხელოვნურობასთან, რაც ადამიანის ხელით შექმნილია, ყველაფერი ტექნიკაა. ძველი ბერძნებისათვის ხელოვნებაც ტექნიკაა.

შემდგომ მოხდა ტექნიკის შემოსაზღვრა და იგი გავრცელდა მხოლოდ იარაღებსა და ინსტრუმენტებზე, რომელთაც ადამიანი იყენებს თავის საქმიანობაში. თანამედროვე გაგებით ტექნიკის ცნება შემდეგნაირად განიმარტება: **ტექნიკა არის იარაღების და მოწყობილობების ერთობლიობა, რომელსაც ადამიანი ქმნის საგანგებოდ, რათა ისინი გამოიყენოს თავის საქმიანობაში.**

ტექნიკა საშუალებაა და არა მიზანი. ადამიანი აქტიურ საქმიანობას ეწევა იმისათვის, რომ დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნილებანი. ცხოველებისათვის არსებობს მხოლოდ ვიტალური (ბიოლოგიური) მოთხოვნილებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ მათ არსებობასა და გამრავლებას. ამას ისინი ახორციელებენ თავიანთი სხეულებრივი ორგანიზაციის მეშვეობით. ამ მიზნით ცხოველები საგანგებოდ არ ქმნიან იარაღებს. მათთვის ტექნიკა არ არსებობს და არც სჭირდებათ იგი. ცხოველი არ განიკდის მის ნაკლებობას და შესანიშნავად ართმევს თავს მის წინაშე მდგომ ამოცანებს. ეს არის არა მისი ნაკლი, არამედ თავისებურება.

ადამიანის საქმიანობას ახასიათებს ორი თავისებურება: ჯერ-ერთი, ვიტალურის გარდა ადამიანს აქვს სოციალური, სულიერი და გონითი მოთხოვნილებანი. მათ დასაკმაყოფილებლად საკმარისი არ არის ბუნება. ამისათვის საჭირო მის ფარგლებს გარეთ გასვლა და სრულიად ახალი ხელოვნური სფეროს შექმნა. ამგვარ სამყაროს ადამიანი ქმნის კულტურის სახით. მეორე, ადამიანის სხეულებრივი ორგანიზაცია, რაც მან ბუნებისაგან მიიღო, მისი საქმიანობის აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა. ამ ნაკლის შესავსებად იგი საგანგებოდ ქმნის იარაღებს და ინსტრუმენტებს, რომელთა გამოყენებით თავს ართმევს მის წინაშე მდგომ ამოცანებს. სხვაგვარად ადამიანი არა თუ ვერ იმოქმედებდა, არამედ საერთოდ ვერ იარსებებდა. ტექნიკის შექმნა და გამოყენება ადამიანის არსებობისა და ფუნქციობის აუცილებელი პირობაა. ეს მისთვის არც კარგია და არც ფუჭუნება. ტექნიკა ადამიანის გარდაუვალი ხვედრია.

---

[26] Н. Бердяев, Человек и машина, Вопросы философии, 1989, №2, с. 147-148

ასე ვთქვათ, ბედისწერაა, რომელსაც იგი ვერსად გაექცევა.

ადამიანი ეწევა მრავალმხრივ და რთულ საქმიანობას. არ არსებობს მისი საქმიანობის არც ერთი სფერო, რომელსაც იგი ახორციელებს ტექნიკის გამოყენების გარეშე. ადამიანის მოღვაწეობის სფეროები თავისი ხასიათით და თავისებურებებით ერთმანეთისაგან განსხვავებულია, შესაბამისად არსებობს ტექნიკის განსხვავებული სახეები: ადამიანი აშენებს სახლებს, ხიდებს, გზებს და ა. შ. შესაბამისად არსებობს სამშენებლო ტექნიკა. ადამიანი ახდენს გადაადგილებას სივრცეში და ამყარებს კავშირ-ურთიერთობებს, შესაბამისად არსებობს სატრანსპორტო და კავშირგაბმულობის ტექნიკა. ადამიანი აწარმოებს ომებს, შესაბამისად არსებობს სამხედრო ტექნიკა, ადამიანს სჭირდება მკურნალობა, შესაბამისად ქმნის სამედიცინო ტექნიკას, მრეწველობისა და მიწათმოქმედების მიზნით იყენებს სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას. საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად იქმნება საყოფაცხოვრებო ტექნიკა. მეცნიერულ კვლევა-ძიებას სჭირდება სამეცნიერო ტექნიკა და ა. შ.

ამგვარად, ადამიანის საქმიანობის ნებისმიერ სფეროს თავისი შესატყვისი ტექნიკა აქვს.

ტექნიკის განვითარება და მისი ძირითადი ეტაპები. ტექნიკა პირველად გაჩნდა, როდესაც წარმოიშვა ადამიანის ახალი სახეობა ჰომო საპიენსი (გონიერი ადამიანი). მათი არსებობა და ფუნქციობა ერთმანეთისაგან განუყრელია. ადამიანი არც ერთ სიტუაციაში და არასოდეს ტექნიკის გარეშე არ არსებობს. მაგრამ ტექნიკა განიცდის განვითარებას. პრიმიტიული იარაღებიდან თანდათანობით ევოლუციის შედეგად მან მიაღწია თანამედროვე ავტომატიზირებულ სისტემებამდე. ეს არის ტექნიკის სრულყოფისა და გაუმჯობესების ხანგრძლივი პროცესი, რომელიც მოიცავს როგორც ევოლუციურ (რაოდენობრივ), ისე რევოლუციურ (თვისებრივ) ცვლილებებს. პირველყოფილი ადამიანი ქმნიდა და იყენებდა ქვის და ხის იარაღებს. შემდეგ მან დაიწყო ლითონების დამუშავება და მათ ბაზაზე შექმნა ტექნიკური საშუალებები.

ტექნიკის წარმოების საფუძველია ბუნება და მისი რესურსები. მაგრამ ადამიანი არ დაკმაყოფილდა მხოლოდ მათი გამოყენებით. მან შექმნა ხელოვნური მასალები, რომელთა დანერგვით მიაღწია ტექნიკის განვითარების ახალ დონეს.

უდავოა, რომ ტექნიკა განიცდის მუდმივ განახლებას და გაუმჯობესებას. მოძველებული იცვლება ახლით, არასრულყოფილი — სრულყოფილით და ა.შ. რასაც არასოდეს ეწნება დასასრული. არნახულია ის წარმატება, რასაც მან დღემდე მიაღწია, მაგრამ კიდევ უფრო ფანტასტიკური და წარმოუდგენელია მისი მომავალი. ეს არის ტექნიკური პროგრესი, რომელსაც ვერ შეაჩერებს ვერავითარი ძალა. სანამ საზოგადოება იარსებებს, მანამ მას აუცილებლად ეწნება ადგილი.

რა არის ტექნიკური პროგრესის მაჩვენებელი? საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების ზრდა. იმას, რასაც ადამიანი ანდომებდა დიდ დროსა და ენერგიას, გაუმჯობესებული იარაღების გამოყენებით აღწევს ნაკლები დროისა

და ენერგიის ხარჯვით. იმას, რაზეც ივი ფიზიკურ შრომას ხარჯავდა, ახლა აკეთებს ავტომატების საშუალებით. ასე, რომ ტექნიკური პროგრესის კვალზე ბაზე ადამიანი თანდათანობით თავისუფლდება უშუალო წარმოებისგან და უფრო მეტ ყურადღებას უთმობს საქმიანობის სხვა სფეროებს.

ტექნიკური პროგრესის პროცესში გამოიყოფა ორი სახის ცვლილება — ევოლუციური და რევოლუციური. პირველი გულისხმობს პრინციპულად ერთი ტიპის ტექნიკის ფარგლებში მის სრულყოფასა და გაუმჯობესებას, მეორე გულისხმობს თვისებრივად ახალი ტიპის ტექნიკის წარმოქმნას და განვითარებას. ამ დროს ხდება რევოლუციური გადატრიალება ტექნიკის განვითარებაში, რომლის შედეგად ერთი ტიპის ტექნიკა იცვლება თვისებრივად ახლით.

ტექნიკური პროგრესის ისტორიაში შეიძლება აღვნიშნოთ სამი ძირითადი ეტაპი, როდესაც ადგილი ჰქონდა რევულუციურ გადატრიალებებს. დავახასიათოთ ისინი:

1) პირველი ეტაპი დაკავშირებულია შრომის საზოგადოებრივი განაწილების პროცესთან, როდესაც მოხდა ხელოსნობის გამოყოფა მიწათმოქმედებისაგან და იგი ჩამოყალიბდა ცალკე დარგად. ეს მოხდა მაშინ, როდესაც ადამიანი პრიმიტიული იარაღებიდან თანდათან გადავიდა ლითონების გამოყენებაზე. მათი დამუშავება და მათგან იარაღების დამზადება მოითხოვს პროფესიულ ცოდნასა და უნარს, საგანგებო დაოსტატებას და გამოცდილებას. ჩნდება ახალი სოციალური ფენა — ხელოსნები, რომელთა დანიშნულებაა ლითონების დამუშავების საფუძველზე შესაბამისი ხელსაწყოებისა და ინსტრუმენტების შექმნა. მათ ერთობლიობას ეწოდება ხელოსნური ტექნიკა, რომელსაც ქმნიან ხელოსნები ანუ ადამიანები, რომელთაც აქვთ სათანადო პროფესიული ცოდნა და გამოცდილება. ისინი თავიანთი საქმის ოსტატები არიან.

ხელოსნური ტექნიკა იყო ანტიკური და ფეოდალური საზოგადოების საფუძველი. რა თქმა უნდა, ივი განიცდის სრულყოფას და გაუმჯობესებას, მაგრამ ეს ხდება ერთი ტიპის, კერძოდ, ხელოსნური ტექნიკის ფარგლებში. ამ დროს არ ხდება პრინციპულად ახალი ტიპის ტექნიკის წარმოქმნა. ეს არის ტექნიკური, მაგრამ არა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, რადგან მეცნიერება არ მონაწილეობს ამ პროცესში.

მეცნიერება როგორც კულტურის დამოუკიდებელი დარგი ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში ჩამოყალიბდა. ივი ძირითადად გაიგივებული იყო ფილოსოფიასთან და მას არ ჰქონდა პრაქტიკული დანიშნულება. ივი არ იყო ორიენტირებული ტექნიკაზე. მისი მიზანი იყო მოეცა სამყაროს თეორიული ჭვრეტა. ცხადია, რომ ამგვარი მეცნიერება ვერ გახდებოდა ტექნიკის განვითარების საფუძველი.

შუა საუკუნეების მეცნიერება გახდა თეოლოგიის მსახური. მისი მიზანი იყო დაედასტურებინა ღვთაებრივი სიბრძნე. ივი ბუნებას იმეცნებდა არა იმიტომ, რომ მისი კანონები დაედგინა, არამედ მხოლოდ ერთი მიზნით, რათა მასში უმაღლესი შემოქმედის კვალი აღმოეჩინა. რასაკვირველია, არც ამგვარად გაგებული მეცნიერება გამოდგებოდა ტექნიკის შექმნის საფუძვლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ანტიკურ ეპოქაში, ისე შუა საუკუნეებში მეცნიერებას ჰქონდა თეორიული, ფილოსოფიური ხასიათი. სხვა ტიპის მეცნიერება თითქმის არ არსებობდა ან თუ არსებობდა, როგორც გამონაკლისი. ამის გამო აღნიშნულ პერიოდს არ მოუცია ე. წ. გამოყენებითი ანუ ტექნიკური მეცნიერებანი. ეს ის მეცნიერებანია, რომლებიც ახდენენ ფუნდამენტურ მეცნიერებათა აღმოჩენების დანერგვას პრაქტიკაში. სწორედ მათი მეშვეობით იქმნება ტექნიკური მოწყობილობანი.

აღნიშნულის გამო ანტიკურ ეპოქასა და შუა საუკუნეებში მეცნიერებას პრინციპულად არ შეეძლო გავლენა მოეხდინა ტექნიკის განვითარებაზე. თუ ამგვარი ზემოქმედების ცალკეულ შემთხვევებს მაინც ჰქონდა ადგილი, იგი ატარებდა შემთხვევით და ეპიზოდურ ხასიათს. ამ პერიოდში მეცნიერება და ტექნიკა ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, პარალელურად ვითარდება. მეცნიერება არ არის ორიენტირებული ტექნიკაზე, ხოლო ტექნიკა არ არის მეცნიერული.

ხელოსნური ტექნიკის შექმნას არც სჭირდება მეცნიერული ცოდნა. ამისთვის საკმარისია ის პროფესიული დაოსტატება და გამოცდილება, რომელიც ხელოსანს აქვს. იგი ოსტატია და არა ინჟინერი.

2) ტექნიკური პროგრესის მეორე ეტაპი დაკავშირებულია მსხვილი ინდუსტრიის წარმოშობასთან. ეს მოხდა მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს, როდესაც ინგლისში განხორციელდა სამრეწველო რევოლუცია. შემდეგ იგი გავრცელდა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, ხოლო მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან — ამერიკის შეერთებულ შტატებში. მეოცე საუკუნის დასაწყისში იგი ფეხს იკიდებს რუსეთსა და იაპონიაში.

პირველი სამრეწველო რევოლუციის შედეგად შეიქმნა ახალი ტიპის — მანქანური ტექნიკა. იგი არსებითად განსხვავდება ხელოსნური ტექნიკისაგან. მათ შორის განსხვავება შემდეგია:

ა) ხელოსნური ტექნიკის წყაროა ადამიანის ან ცხოველის ფიზიკური ენერგია. მანქანური ტექნიკის წყაროა ორთქლის ან ელექტროენერგია.

ბ) ხელოსნურ ტექნიკას ქმნის ოსტატი თავისი პროფესიული ცოდნისა და დახელოვნების მეშვეობით. მას არ გააჩნია მეცნიერული ცოდნა, იმიტომ, რომ საერთოდ არ სჭირდება იგი. მანქანურ ტექნიკას ქმნის ინჟინერი. იგი ოსტატისაგან იმით განსხვავდება, რომ დაუფლებულია როგორც თეორიული, ისე გამოყენებითი მეცნიერების საფუძვლებს. ამგვარი ცოდნის გარეშე მანქანადანადგარების შექმნა პრინციპულად გამორიცხულია. ამის გამო მანქანური ტექნიკის საფუძველი უკვე ხდება მეცნიერება.

გ) იცვლება მუშის ადგილი და როლი შრომის პროცესში. ხელოსნობის პირობებში შრომის პროდუქტს ქმნის მუშა, რომელიც იყენებს შესაბამის იარაღს. აქ მთავარია მუშის ფიზიკური შრომა, ხოლო იარაღი — მისი დამატებაა. მსხვილი ინდუსტრიის პროცესში კი პირიქით, სამუშაოს ასრულებს მანქანა, ხოლო მუშა — მისი დამატებაა.

მანქანური ინდუსტრიის შექმნა აუცილებლობით ემყარება მეცნიერებას. იგი

შეიძლება წარმოიშვას, ფუნქციობდეს და ვითარდებოდეს მხოლოდ მის საფუძველზე. ამისთვის საკმარისი აღარაა ხელოსნის შრომა, მისი დაოსტატება და გამოცდილება. მანქანების შექმნა და მისი წარმოებაში დანერგვა მეცნიერული ცოდნას მოითხოვს. ეს შეიძლება იყოს ბუნებისმეტყველება, მაგრამ სრულიად ახალი ტიპის, ვიდრე ეგი ანტიკურ და შუა საუკუნეებში იყო. ამ ბუნებისმეტყველების თავისებურებაა ორი გარემოება: ა) მას აქვს არა ფილოსოფიური, არამედ მათემატიკური ხასიათი. ეგი იყენებს მათემატიკურ აპარატს, რომლის მეშვეობით ზუსტად აყალიბებს ბუნების კანონებს.

ბ) მისი საფუძველია ექსპერიმენტი (ცდა), რომლის ბაზაზეც ახდენს აღმოჩენებს და შემდეგ ამოწმებს თავისი დასკვნების ჭეშმარიტება-მცდარობას. ტექნიკის საფუძველია ექსპერიმენტული ბუნებისმეტყველება, რომელიც იყენებს მათემატიკურ აპარატს. სწორედ ამგვარი მეცნიერება ჩამოყალიბდა მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნეებში კლასიკური მექანიკის სახით. მის მიერ აღმოჩენილი და ზუსტი მათემატიკური ფორმით ჩამოყალიბებული კანონები დაედო საფუძვლად მანქანური ტექნიკის შექმნას.

მაგრამ ბუნებისმეტყველება თავისთავად ტექნიკას არ წარმოშობს. საჭიროა მისი აღმოჩენების ინჟინერულ-ტექნიკური გადაწყვეტა, რომლის შედეგად შეიძლება შეიქმნას მანქანები, დაზგები, ჩარხები და სხვა რთული მოწყობილობანი. ეს კი მოითხოვს ახალი ტიპის მეცნიერების წარმოქმნას და განვითარებას. ჩნდება მეცნიერის ახალი ტიპი — ინჟინერ-გამომგონებელი. სწორედ მისი დაძაბული და ინტენსიური შრომა ქმნის ტექნიკას.

მაგრამ ტექნიკის შექმნით არ მთავრდება პროცესი. საჭიროა მისი დანერგვა წარმოებაში. ეს კი მოხდება იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოება ეკონომიკურად დაინტერესებული იქნება ახალი ტექნიკის გამოყენებით. თუ ამგვარ დაინტერესებას არ ექნა ადგილი, მაშინ ეგი დარჩება რეალიზაციის გარეშე. ერთი მაგალითი საზოგადოების განვითარების ისტორიიდან ნათელყოფს ამ ფაქტს. ორთქლის ძრავა შეიქმნა 1776 წელს. მისმა დანერგვამ წარმოებაში გამოიწვია ის გადატრიალება, რომელმაც მიგვიყვანა სამრეწველო რევოლუციამდე. ორთქლის ძრავის ტექნიკური განხორციელება საზოგადოებას შეეძლო ჯერ კიდევ პირველ საუკუნეში, როდესაც რომაელმა მეცნიერმა გერონმა შექმნა ეგი. მაგრამ ეგი არ დანერგილა წარმოებაში და დარჩა ბავშვების გასართობ სათამაშოდ. რატომ? იმიტომ, რომ რომის საზოგადოება იყო მონათმფლობელური, რომელიც არ იყო დაინტერესებული ახალი ტექნიკის დანერგვით. ეგი ემყარებოდა მონურ შრომას. მას ჰყავდა იაფი მონური სამუშაო ძალა, რომლის გამოყენება მისთვის უფრო მომგებიანი იყო, ვიდრე ტექნიკური სიახლის დანერგვა წარმოებაში. ეს უკანასკნელი ზედმეტ ეკონომიკურ დანახარჯებს მოითხოვდა. მონათმფლობელურმა საზოგადოებამ გამორიცხა მისი რეალიზაციის შესაძლებლობა.

ის, რაც შეიძლებოდა მომხდარიყო პირველ საუკუნეში, მოხდა მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს. ეს განაპირობა საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკურმა და

ეკონომიკურმა ბუნებამ. ის, რისი შესაძლებლობაც გამორიცხა მონათმფლობელურმა საზოგადოებამ, განახორციელა კაპიტალიზმმა, რადგან მისი ეკონომიკის სტრუქტურა და ორგანიზაციის პრინციპი აუცილებლობით მოითხოვს ტექნიკურ პროგრესს. ეს უკვე შესაძლებელია მხოლოდ მეცნიერული ბუნებისმეტყველების საფუძველზე. ამან განაპირობა ის გარემოება, რომ ტექნიკის განვითარება დაემყარა მეცნიერებას და დასაბამი მისცა მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს.

მაშასადამე, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი იწყება კაპიტალიზმის წარმოშობისა და ჩამოყალიბების კვალდაკვალ.

3) ტექნიკური პროგრესის მესამე ეტაპი დაკავშირებულია მეცნიერულ-ტექნიკურ რევოლუციასთან, რომელიც იწყება მეოცე საუკუნის შუა ხანებში და გრძელდება დღესაც. იგი არის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შედეგი, რადგან მან გარკვეულ ეტაპზე გამოიწვია თვისებრივად ახალი ტექნიკის შექმნა. ეს არის ტექნიკა, რომელიც ემყარება ინფორმატიკას და ელექტრონიკას, ავტომატიზაციას და კომპიუტერიზაციას. სამრეწველო რევოლუციას ამგვარი ტექნიკა არ წარმოუქმნია, რადგან მაშინდელი მეცნიერება ამის საშუალებას არ იძლეოდა. კლასიკური მექანიკის საფუძველზე შესაძლებელი იყო მხოლოდ მსხვილი მანქანური ინდუსტრიის შექმნა. მეოცე საუკუნის ბუნებისმეტყველების განვითარების დონემ, მისმა აღმოჩენებმა და ახალმა დარგებმა განაპირობა სრულიად ახალი ტიპის ტექნიკის შექმნა. მისი ფუნდამენტური დისციპლინებია ატომური ფიზიკა, კიბერნეტიკა და გენეტიკა. სწორედ მათმა აღმოჩენებმა დაუდო სათავე თვისებრივად ახალ ტექნიკას. ატომურმა ფიზიკამ ადამიანს საშუალება მისცა მიეღო ენერგიის ახალი წყარო — ბირთვული ენერგია. კიბერნეტიკამ შექმნა ელექტრონულ-გამომთვლელი ანუ თვითმარეგულირებელი მანქანები, რომელთა ბაზაზე შეიქმნა ავტომატიზირებული და კომპიუტერული ტექნიკა. გენეტიკა საშუალებას იძლევა შეიქმნას გენური ინჟინერია, რომლის მეოხებით განხორციელდება მემკვიდრეობითობის მართვა. ეს მიმართულება ახლა იწყებს განვითარებას, რომლის გამოც მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია შედის მის ახალ — ბიოლოგიურ ფაზაში.

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის არსი. მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია არ არის ერთადერთი რევოლუცია ტექნიკური პროგრესის გზაზე. იგი რიგით მესამეა — ხელოსნობის და მანქანური ინდუსტრიის შემდეგ. პირველი ტექნიკური რევოლუცია იყო ხელოსნობის გაჩენა, რომელმაც პრიმიტიული ტექნიკა შეცვალა ლითონების დამუშავებით და გამოყენებით. მეორე ტექნიკური რევოლუცია იყო სამრეწველო გადატრიალება, რომელმაც ხელოსნური ტექნიკა შეცვალა მანქანური ინდუსტრიით. მესამე ტექნიკური რევოლუციაა მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია, რომელმაც მოახდინა წარმოების ავტომატიზაცია და კომპიუტერიზაცია.

– რა მიმართებაა მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესსა და მეცნიერულ-ტექნიკურ რევოლუციას შორის? ტენიკური პროგრესი ტექნიკის განვითარების, მისი

სრულყოფისა და გაუმჯობესების პროცესია. თუ იგი მიმდინარეობს ისე, რომ არ ემყარება მეცნიერებას, მაშინ მას არ აქვს მეცნიერული ხასიათი. ხელოვნების წარმოშობა და განვითარება ტექნიკური, მაგრამ არა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესია. თუ ტექნიკის განვითარება ემყარება მეცნიერების ფუნდამენტურ აღმოჩენათა პრაქტიკულ რეალიზაციას, მაშინ იგი ატარებს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ხასიათს. მაშასადამე, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი ტექნიკის ისეთი განვითარებაა, როდესაც იგი ემყარება ბუნებისმეტყველების ფუნდამენტური აღმოჩენების პრაქტიკულ რეალიზაციას და დანერგვას ტექნიკაში.

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია არსებითად იმავე ხასიათისაა, რაც მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, რადგა მისი საფუძველიც მეცნიერებაა. მაგრამ იგი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ერთ-ერთი ეტაპია, მისი გარკვეული ფაზაა, ამიტომ ისინი არ ემთხვევიან ერთმანეთს. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი იწყება მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს, რომელმაც მეოცე საუკუნის შუა ხანებში მიგვიყვანა თვისებრივ ცვლილებამდე ტექნიკის განვითარებაში. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ამ სტადიას უწოდებენ მეცნიერულ-ტექნიკურ რევოლუციას. მას აქვს დასაწყისი და ექნება დასასრული. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი ამით არ დასრულდება. იგი გაგრძელდება, რომელიც მიგვიყვანს ახალ — მეცნიერულ-ტექნიკურ რევოლუციამდე და ა. შ. მანამ, სანამ საზოგადოება იარსებებს დედამიწაზე.

ამგვარად, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია შეიძლება დავახასიათოთ როგორც მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ერთ-ერთი ეტაპი, მისი განვითარების გარკვეული სტადია.

მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ შეცვალა წარმოების ხასიათი და მასში მუშების ადგილი და როლი. წარმოების პროცესის მართვა ხორციელდება ავტომატურად, კომპიუტერული ტექნიკის მეშვეობით. სამუშაოს ავტომატური დანადგარები ასრულებს, ხოლო მათ მართვას ახორციელებს კომპიუტერი. ადამიანი უკვე უშუალოდ აღარ მონაწილეობს წარმოების პროცესში. მუშა კლასიკური გაგებით იყო ადამიანი, რომელიც დაზგასთან ან ჩარხთან იდგა და ფიზიკურ სამუშაოს ასრულებდა. ამას უკვე ავტომატური დანადგარი აკეთებს, ამიტომ მუშა, როგორც ასეთი, ამოვარდა წარმოების პროცესიდან. იგი შეცვალა საინჟინრო-ტექნიკურმა პერსონალმა. წარმოების პროცესის მიმდინარეობა აღარ მოითხოვს მუშის შრომას, რადგან იგი მიმდინარეობს ავტომატურად. რა როლი რჩება ადამიანს ამ პროცესში? მხოლოდ ტექნიკური მომსახურების ფუნქცია. ადამიანი მეთვალყურეობას უწევს და აკონტროლებს წარმოების პროცესს. თუ მოხდა რაიმე შეფერხება ან დაზიანება, მაშინ ჩაერევა იგი, რათა გამოასწოროს დარღვევა და აღადგინოს მუშაობის ნორმალური რიტმი. დანადგარების გამოცვლა, გარემონტება ან გადაიარაღება არის ადამიანის საქმე. ყოველივე ეს კი არის არა მუშური შრომა, არამედ ტექნიკური მომსახურება. მუშათა კლასი თანდათანობით იდევნება წარმოების უშუალო პროცესიდან. ჩნდება ახალი სოციალური ფენა

— საინჟინრო-ტექნიკური პერსონალი.

ასეთია მოკლედ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის არსი. ახლა დავახასიათოთ მისი გლობალური შედეგები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის შედეგების ზოგადი დახასიათება. მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ ძირფესვიანად შეცვალა თვითონ მსოფლიო, ადამიანის ადგილი, ცხოვრების წესი და მსოფლმხედველობა. მოკლედ შევეხოთ თითოეულს.

მსოფლიო გახდა ერთიანი, რომლის სხვადასხვა მხარე და რეგიონი ორგანულად დაკავშირებულია ერთმანეთთან. ადრე იგი დაყოფილი იყო რეგიონებად, რომელთა შორის კავშირი საერთოდ არ არსებობდა, ან იმდენად სუსტი იყო, რომ ისინი ურთიერთზეგავლენას ვერ ახდენდნენ. ბერძნული კულტურა ძირითადად ვრცელდებოდა ხმელთაშუა ზღვის და მის მიმდებარე ტერიტორიაზე. რომაულმა კულტურამ გააფართოვა თავისი გავლენის არეალი იმით, რომ გაავრცელა იგი ევროპის და აფრიკის ქვეყნებზე. ანტიკური ცივილიზაციის ნანგრევებზე შეიქმნა ევროპული კულტურა, რომელმაც საერთოდ არაფერი იცოდა ამერიკული კონტინენტის და ინდიელთა ცივილიზაციების არსებობის შესახებ. მათი შეხვედრა მოხდა 1492 წელს, როდესაც კოლუმბმა აღმოაჩინა ამერიკა. ამას თანდათანობით მოჰყვა ევროპელთა გადასახლება ამერიკის კონტინენტზე და მისი ტერიტორიების ათვისება. ამან გამოიწვია ინდიელთა ცივილიზაციების განადგურება.

კაპიტალიზმის წარმოშობამდე მსოფლიოს არ ჰქონდა განვითარების ერთი ხაზი. იგი დაყოფილი იყო ლოკალურ ცივილიზაციებად, რომლებიც ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ვითარდებოდნენ. ყოველ მათგანს განვითარების თავისი გზა ჰქონდა: იგი წარმოიშობოდა დედამიწის გარკვეულ რეგიონში, ავრცელებდა თავისი გავლენის სფეროს, აღწევდა აყვავებას, რომლის შემდეგ იწყებოდა მისი დაცემა, ბოლოს და ბოლოს იგი ილუპებოდა და მის ნაცვლად ჩნდებოდა ახალი ცივილიზაცია.

კაპიტალიზმმა დაიწყო მსოფლიოს პოლიტიკური და ეკონომიკური გაერთიანების პროცესი. კაცობრიობის ისტორია თანდათან ხდება ერთიანი და განუყოფელი. ამის დასტურია ორი მსოფლიო ომი, რომელიც კაცობრიობამ მეოცე საუკუნეში გადაიტანა. ომები ადრეც არსებობდა, კაცობრიობას თითქმის ერთი დღეც არ უარსებია მათ გარეშე, მაგრამ ისინი ატარებდნენ ლოკალურ ხასიათს. შემოსაზღვრული იყვნენ რომელიმე რეგიონით. მსოფლიო ომი კი უკვე ეხება კაცობრიობას მთლიანად. მასში მეტ-ნაკლებად მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაა ჩართული.

მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ კიდევ უფრო გააღრმავა მსოფლიოს ინტეგრაციის პროცესი. თანამედროვე მსოფლიო არის წინააღმდეგობებით და კონფლიქტებით აღსავსე, მაგრამ მაინც ერთიანი სოციალური სისტემა. ამან გამოიწვია გლობალური პრობლემების გაჩენაც. გლობალური ეწოდება ისეთ პრობლემას, რომელიც ეხება არა ერთ რომელიმე ქვეყანას ან რეგიონს, არამედ კაცობრიობას მთლიანად. მისი გადაწყვეტა შეიძლება არა რომელიმე ერთი

ქვეყნის ან თუნდაც ქვეყნების ჯგუფის, არამედ მთელი მსოფლიოს ერთობლივი ძალისხმევით და მოქმედებით. კაცობრიობა ამ სიტყვის ზუსტი გაგებით, ადრე არც არსებობდა. იგი შესაძლებელი გახადა მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუ-ციამ. ამ უკანასკნელმა გააერთიანა ადამიანთა მოდგმა ერთი ბედით და მიზნით: ბედი არის სიცოხლის მოსპობის საფრთხე, ხოლო მიზანი — ბრძოლა მის გადასარჩენად. ისტორიაში შეიქმნა უპრეცედენტო შემთხვევა, როდესაც ადამიანს შეუძლია მოსპოს სიცოცხლე დედამიწაზე და ეს მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის შედეგია, რადგან მან ადამიანს მისცა ისეთი იარაღი, რომლის გამოყენებით მას ძალუძს გაანადგუროს ის ძვირფასი და უნიკალური, რაც ბუნებამ სიცოცხლის სახით წარმოქმნა.

შეიცვალა ადამიანის ადგილი სამყაროში. იგი გახდა პლანეტარული არსება. ადრე ადამიანი იყო ერთ-ერთი რიგითი არსება სხვა ცოცხალ არსებათა შორის. მართალია, იგი სხვა ცხოველებისაგან გამოირჩეოდა გონებით და მოხერხებულობით, მაგრამ არავითარ განსაკუთრებულ ძლიერებას მათ მიმართ არ გრძნობდა. იგი უმწეოდ იდგა ბუნების მრისხანე ძალების წინაშე და მიჯაჭვული იყო მის რომელიმე ვიწრო არეალს. ისე, რომ უძლური იყო ზემოქმედება მოეხდინა დედამიწის სხვა რეგიონებზე. ერთი სიტყვით, ადამიანი იყო ლოკალური არსება, რომლის საქმიანობის მასშტაბები და შედეგები შემოსაზღვრული იყო არა მარტო გარემოპირობებით, არამედ საკუთარი შესაძლებლობებით. მას ოცნებაც კი არ შეეძლო იმაზე, რომ ოდესმე გაბატონდებოდა ბუნებაზე. მისი მთავარი ოცნება იყო როგორმე შეენარჩუნებინა არსებობა და გაეგრძელებინა თავისი მოდგმა. ამისთვის იგი სასტიკ ბრძოლას ეწეოდა ბუნების წინააღმდეგ.

დღევანდელ ადამიანს ხელთ უპყრია განუსაზღვრელი ძალაუფლება ბუნების მიმართ. იგი დაეპატრონა მთელ დედამიწას და თავს გრძნობს მის ბატონად. ადამიანი ბუნების უმოწყალო ექსპლოატაციას ეწევა და ამ ექსპლოატაციის ობიექტია არა ერთი რომელიმე რეგიონი თავისი რესურსებით, არამედ მთელი დედამიწა თავისი მრავალფეროვნებით და სიუხვით.

მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ არსებითად შეცვალა ადამიანის ცხოვრების წესი. ახალმა ტექნიკამ მოიცვა ადამიანის საქმიანობის ყველა სფერო: წარმოება, ტრანსპორტი, ვართობა, დასვენება, კერძების დამზადება, თამაში, სწავლების პროცესი, მკურნალობა და ა. შ. თანდათანობით ხდება მათი ავტომატიზაცია და კომპიუტერიზაცია. გაიზარდა ადამიანის მომსახურების დონე, მატერიალური კეთილდღეობა, კომფორტული და მიმზიდველი გახდა ცხოვრება. შემცირდა სამუშაო დრო, რამაც შესაბამისად გაზარდა არასამუშაო დრო და თავისუფალი დრო: მკურნალობის პროცესი გახდა უფრო საიმედო და უმტკივნეულო, გახანგრძლივდა სიცოცხლე და შემცირდა სიკვდილიანობა. ერთი სიტყვით, მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ უახლესი ტექნიკური საშუალებებით და აპარატურით მოამარაგა ადამიანი მისი საქმიანობის ნებისმიერ სფეროში, რითაც გააიოლა და გაამრავალფეროვნა ცხოვრება.

შეიცვალა ადამიანის მსოფლმხედველობაც. ყოველ ეპოქას თავისი ღირებულებითი ორიენტირები და პრიორიტეტები აქვს. ისინი გამოხატავენ მოცემული ეპოქის სულისკვეთებას. ანტიკურ ეპოქაში ამგვარ ორიენტირებს წარმოადგენდა მითოლოგია და ფილოსოფია, შუა საუკუნეებში — რელიგია და თეოლოგია, აღორძინების ეპოქაში — ადამიანი და ჰუმანიზმი, ახალ დროში — გონება და რაციონალიზმი. რაც შეეხება მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ეპოქას, აქ ძირითად ორიენტირებს წარმოადგენს მეცნიერება და ტექნიკა. ეს არის ექსპერიმენტული ბუნებისმეტყველება, რომელიც იყენებს მათემატიკურ აპარატს. თანამედროვე ადამიანს სწამს მეცნიერების და ტექნიკის ყოვლისშემძლეობის. მას სჯერა, რომ იგი მათი მეშვეობით ბოლოს და ბოლოს გადაჭრის ყველა პრობლემას და გამოიცნობს სამყაროს საიდუმლოებას.

ეკოლოგიური პრობლემა. ცოცხალ არსებათა ყოველ სახეობას ბუნებასთან დამოკიდებულების სპეციფიკური, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი წესი აქვს, რაც განპირობებულია მათი ყოფიერების სტრუქტურით. ცხოველის და ადამიანის ურთიერთობა ბუნებასთან არსებითად განსხვავებულია.

ცხოველის ურთიერთობა ბუნებასთან უშუალო და პირდაპირია, რადგან არ არსებობს სხვა, რაღაც გამშუალებელი რგოლი, რომელიც მათ ერთმანეთთან დააკავშირებდა. მისი ბუნებაზე ზემოქმედების მასშტაბი და ძალა შეზღუდულია. იგი ზეგავლენას ახდენს მხოლოდ მის იმ ნაწილზე, რომელიც მისი ბინადრობის არეალშია მოქცეული. მას არ შეუძლია ზემოქმედება მოახდინოს ბუნებაზე მთლიანად. იგი მოიხმარს ბუნების მოვლენებს ისე, რომ მუდამ ტოვებს მათი აღდგენის შესაძლებლობას.

ცხოველსა და გარემოს შორის დამყარებულია წონასწორობა, რომელსაც არ ემუქრება დარღვევა. ცხოველი თავის საქმიანობაში მთლიანად ექვემდებარება გარემოს და მასთან შეგუებულია. მისი ურთიერთობა ბუნებასთან მომხმარებლურია და არა მტაცებლური.

სულ სხვაგვარია ადამიანის ბუნებასთან დამოკიდებულება, რაც განპირობებულია მისი ყოფიერების წესით. იგი ქმნის ახალ გარემოს — კულტურას, რომლის მეშვეობით ზეგავლენას ახდენს გარემოზე. ამიტომ ადამიანის და ბუნების ურთიერთობა გაშუალებულია კულტურით. ცხადია, ადამიანს არ შეუძლია ბუნების გარეშე არსებობა და მოღვაწეობა. იგი გარდაქმნის ბუნების საგნებს, იყენებს და მოიხმარს მის ძალებს, რათა დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნილებანი. მაგრამ ყოველივე ეს კეთდება კულტურის, უპირველეს ყოვლისა ტექნიკის, საშუალებით. ტექნიკის განვითარების დონე და სიმძლავრე განსაზღვრავს ბუნებაზე ზემოქმედების მასშტაბს და ხასიათს.

ადამიანის ბუნებასთან ურთიერთობა არ არის ყოველთვის ერთნაირი. იგი იცვლება, რაც განპირობებულია კულტურის განვითარებით. ველური და ცივილიზებული ადამიანიც ბუნებაში არსებობს და მის საფუძველზე საქმიანობს, მაგრამ განსხვავებულია მათი გარემოზე ზემოქმედების მასშტაბი და ხასიათი. ველური იყენებს პრიმიტიულ იარაღებს, ამიტომ მისი ზემოქმედება

ბუნებაზე სუსტი და შეზღუდულია. იგი მთლიანად მიჯაჭვულია თავის საცხოვრისს და არ შეუძლია მისი საზღვრების გადალახვა. ცივილიზებული ადამიანი თანდათანობით აფართოებს თავისი მოქმედების არეალს, ზრდის ბუნებაზე ზემოქმედების მასშტაბსა და ძალას. ამის საფუძველია ტექნიკური პროგრესი.

ადამიანსა და გარემოს შორის არსებობს ბუნებრივი წონასწორობა, რომელიც სიცოცხლის ხანგრძლივი ევოლუციის პროცესში ჩამოყალიბდა. ადამიანი გარემოში ცხოვრობს და მის გარეშე არსებობა არ შეუძლია. გარემი კი მას სამოღვაწეო არეალს უქმნის და ამარაგებს სათანადო რესურსებით, რომელთა გადამუშავებით და გარდაქმნით იგი იკმაყოფილებს თავის მოთხოვნილებებს. თუ დაირღვა ბუნებრივი წონასწორობა, მაშინ ადამიანს დაღუპვა და გადაშენება ელის. ამის მიზეზი ტექნიკურ პროგრესში უნდა ვეძიოთ. მეცნიერუ-ტექნიკურმა პროგრესმა ამ წონასწორობას საფრთხე შეუქმნა, რის შედეგად ადამიანი დადგა **ეკოლოგიური კრიზისის წინაშე.** ცხადია, ჯერ კრიზისი არ დამდგარა, მაგრამ გამოჩნდა სიმპტომები, რომლებიც მიგვანიშნებს, რომ თუ საზოგადოების განვითარება ასე გაგრძელდა, მაშინ მისი წარმოქმნა არც თუ შორეული მომავლის საქმეა. დავასახელოთ ძირითადი ფაქტორები, რომლებიც განაპირობებენ ეკოლოგიურ კრიზისს:

1) ადამიანის სამეურნეო საქმიანობის ხასიათისა და შინაარსის შეცვლა. ინდუსტრიული საზოგადოების ტექნიკური საფუძველია მსხვილი მანქანური მრეწველობა. მის მიერ გამოყოფილი ნარჩენების და გამონაბოლქვების გადამუშავება ბუნებას უჭირს. სოფლის მეურნეობაში სულ უფრო ფართო მასშტაბით გამოიყენება შხამქიმიკატები. ყოველივე ეს აჭუჭყიანებს გარემოს სამივე ელემენტს — მიწას, წყალს და ჰაერს, რაც იწვევს ფლორისა და ფაუნის განადგურებას.

2) დედამიწის ბუნებრივი რესურსების სულ უფრო მზარდი მოცულობით გამოყენება. ადრე ადამიანს ეგონა, რომ დედამიწის ბუნებრივი სიმდიდრე განუსაზღვრელი და ულევია. დღეს აღმოჩნდა, რომ იგი არც თუ ისეთი დიდია, რომ შეიძლებოდეს მისი განუკითხავად ხარჯვა. ამასთან, ზოგიერთი ბუნებრივი რესურსის აღდგენა საერთოდ არ ხდება. ყოველივე ამან ადამიანი დააყენა დედამიწის წიაღისეული მარაგის თანდათანობით შემცირებისა და საბოლოოდ გამოფიტვის წინაშე.

3) მოსახლეობის მატება და მისი ექსპანსიის ზრდა. დღეს მსოფლიოს მოსახლეობის ზრდის ტემპები ძალიან მაღალია. ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისისათვის დედამიწაზე ცხოვრობდა დაახლოებით 250-300 მილიონი ადამიანი. 1825 წელს მისმა რაოდენობამ მილიარდს მიაღწია. 1935 წელს იგი გახდა ორი მილიარდი, 1960 წელს — 3 მილიარდი, 1977 წელს — 4 მილიარდი, ხოლო 10 წლის შემდეგ 5 მილიარდს მიაღწია. თუ მოსახლეობის ზრდის ტემპი შენარჩუნებულ იქნა, მაშინ საუკუნის ბოლოს მისი რაოდენობა 6 მილიარდს გადააჭარბებს.

თუ დავიკვირდებით მოსახლეობის ზრდის დინამიკას, მაშინ ვნახავთ შემდეგს: წარსულში მისი ზრდის ტემპი დაბალი იყო, რასაც განსაზღვრავდა ცხოვრების ძნიშ პირობები და მოშასხურების დაბალი დონე. კაცობრიობამ ათიათასი

ორი ათასი წელი მოანდომა, რომ მეოცეა ერთი მილიარდისათვის. სურათი ძალიან იცვლება მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეებში. იმისათვის, რომ გაორმაგებულიყო, მას დასჭირდა 110 წელი. შემდეგ დროის ეს ხანგრძლივობა კიდევ უფრო მცირდება. მომავალში შემცირების ეს ტენდენცია გაგრძელდება. თუ მოსახლეობის მატების ამგვარი მაღალი ტემპი შენარჩუნებულ იქნა, მაშინ ვარაუდობენ, რომ დახლოებით 7 საუკუნის შემდეგ დედამიწის ყოველ კვადრატულ მეტრზე იცხოვრებს თითო ადამიანი. ცხადია, ეს შეუძლებელია მოხდეს, მაგრამ რა საშუალებით შეძლებს კაცობრიობა ამ კატასტროფის თავიდან აცილებას, სრულიად უცნობია. ჯერ-ჯერობით დედამიწის მოსახლეობა იზრდება და აფართოებს თავის ექსპანსიას, როდესაც ითვისებს სულ ახალ-ახალ სივრცეებს. ოდესღაც დიდი დედამიწა, რომელიც ადრე ადამიანს უსასრულო ეგონა, აღმოჩნდა სასრული და ძალიან პატარა.

4) ურბანიზაციის პროცესი. ინდუსტრიული საზოგადოება იწვევს ქალაქების ზრდას. ხდება მოსახლეობის კონცენტრაცია მსხვილ ქალაქებში. ქალაქი თავისი სტრუქტურით, ყოფა-ცხოვრებით და საქმიანობით ბუნების დაუძინებელი მტერია.

არის თუ არა ეკოლოგიური კრიზისი გარდაუვალი? შეძლებს თუ არა კაცობრიობა მის თავიდან აცილებას? ამ კითხვებზე პასუხი არაერთგვაროვანია: არიან პესიმისტები, რომლებიც წინასწარმეტყველებენ ეკოლოგიურ სიკვდილს. არიან ოპტიმისტები, რომლებიც ამგვარ შესაძლებლობას გამორიცხავენ. არგუმენტები მოეპოვება პესიმისტურ და ოპტიმისტურ თვალსაზრისსაც, მაგრამ პრობლემის საბოლოო გადაწყვეტა არც ერთს შეუძლია და არც მეორეს. დღეს ყველაზე გამართლებულია ალარმისტების პოზიცია, რომლებმაც ატეხეს განგაში ეკოლოგიური საფრთხის გამო (ალარმე – ფრანგული სიტყვაა და ნიშნავს განგაშს). ალარმისტების თანახმად მდგომარეობა საგანგაშოა. ამიტომ კაცობრიობას მართებს სერიოზული დაფიქრება და ძალისხმევა აღნიშნულ საკითხზე.

უპირველეს ყოვლისა, ადამიანმა უნდა შეცვალოს თავისი ღირებულებითი ორიენტაცია ბუნებისადმი. ადრე იგი ბუნების მონა იყო, დღეს კი მის ბატონად გადაიქცა. ამგვარი მეტამორფოზა გამოიწვია მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა. თანამედროვე ადამიანი ბუნების უმოწყალო და განუკითხავ ექსპლუატაციას ეწევა. მისი დამოკიდებულება ბუნებასთან მომხმარებლური ყოველთვის იყო. დღეს კი იგი მტაცებლური გახდა. ადამიანი ცდილობს რაც შეიძლება მეტი წაართვას, წაგლიჯოს ბუნებას, ხოლო სანაცვლოდ არაფერს აძლევს. უნდა მოხდეს მისი ღირებულებითი ორიენტაციის რადიკალური შეცვლა. მან თავი უნდა დაანებოს ბუნების ძარცვა-გლეჯას. რასაკვირველია, უნდა მოიხმაროს იგი, რადგან სხვაგვარად ვერ იარსებებს, მაგრამ ამავე დროს კიდეც უნდა იზრუნოს მასზე. ეს ნიშნავს, რომ ადამიანის მომხმარებლურ-მტაცებლური დამოკიდებულება ბუნებისადმი უნდა შეიცვალოს მომხმარებლურ-მზრუნველობითი დამოკიდებულებით. ადამიანმა ნათლად უნდა გააცნობიეროს ის გარემოება, რომ ბუნება მისთვის მარტოოდენ საშუალება როდია. იგი ამავე დროს მიზანიცაა, რომელიც მოითხოვს სათუთ და ყურადღებით მოპყრობას. ადამიანმა არ უნდა დაივი-

წოს, რომ იგი ბუნების შვილია და მის მიმართ უნდა გამოიჩინოს მზრუნველობა, როგორც მშობლის მიმართ. წინააღმდეგ შემთხვევაში ბუნება ადამიანზე შურს იძიებს და გადაუხდის სამაგიეროს უმადურობისთვის.

ადამიანის დაუოკებელი სურვილი და აუხდენელი ოცნება იყო ბუნებაზე გაბატონება. მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ მას ამ სანუკვარი ოცნების განხორციელების ილუზია შეუქმნა. იგი იმდენად გათამამდა და გათავხედდა, რომ მიზნად დისახა ბუნებაზე გაბატონება, მისი სრული დამორჩილება და მართვა. მაგრამ ეს უტოპიაა, რადგან ამას ადამიანი ვერასოდეს ვერ მოახერხებს. იგი ვერ დაამარცხებს ბუნებას. ერთადერთი გამოსავალია მასთან დიალოგი და თანამშრომლობა.

რა უშლის ხელს ადამიანს დაამყაროს ბუნებასთან აღნიშნული ურთიერთობა? პრაქტიკული საქმიანობა და ეკონომიკური ანგარება. საქმე ისაა, რომ ბუნების ექსპლუატაცია ეკონომიკურად მომგებიანი და სარფიანი საქმეა, მასზე ზრუნვა კი – წამგებიანი. ტყეების გაჩეხვა ჩემთვის სასარგებლოა, მათი მოვლა-პატრონობა კი წამგებიანი, რადგან ჩემგან მოითხოვს დამატებით ხარჯებს. ეკოლოგია დღეს ეკონომიკურად წამგებიანია. ამიტომ არ შეიძლება გახდეს ადამიანის საქმიანობის წამყვანი დარგი. კაცობრიობა იძულებულია მას ანგარიში გაუწიოს, რადგან სხვაგვარად კატასტროფა გარდაუვალია. მაგრამ იმდენად მცირეა მის მიერ ამ მიმართულებით გაწეული ხარჯები, რომ სანუგეშოს არაფერს გვპირდება. სიტუაცია რადიკალურად შეიცვლება, თუ ეკოლოგია ეკონომიკურად მომგებიანი დარგი გახდება. ამ დილემის გადაწყვეტის გზა ისევ მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესში უნდა ვეძებოთ მეცნიერებამ უნდა შექმნას ისეთი ტექნიკური საშუალებები, რომლებიც გააუვნებელყოფენ ადამიანის ბუნებაზე ზემოქმედების უარყოფით შედეგებს და ხელს შეუწყობენ მის აღდგენას. თანაც ყოველივე ეს მომგებიან და სარფიან საქმედ უნდა იქცეს. მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესში უნდა მოიძებნოს საშუალებანი იმ უარყოფითი ეკოლოგიური შედგების თავიდან ასაცილებლად, რომელთაც თვითონვე იწვევს. პარადოქსია, მაგრამ სხვა გამოსავალი არ არსებობს. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შეჩერება შეუძლებელია და თუ მან თავის თავში არ აღმოაჩინა ამგვარი საშუალებანი, მაშინ ეკოლოგიური კატასტროფა გარდაუვალია.

ომისა და მშვიდობის პრობლემა. ომი კაცობრიობის მუდმივი თანამგზავრია. თითქმის არ მოიძებნება არც ერთი წელი ისტორიაში, რომ ადამიანს ომი არ ეწარმოებია. ადრე არსებობდა ლოკალური ომები. მეოცე საუკუნემ მოიტანა მსოფლიო ომები. კაცობრიობა სულ მუდამ იმყოფებოდა ომსა და მშვიდობას შორის. ისინი გამუდმებით ცვლიდნენ ერთმანეთს: მშვიდობა მყარდებოდა იმისთვის, რომ დაწყებულიყო ახალი ომი და დღემდე გრძელდება ეს უგუნურება.

მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ ძირფესვიანად შეცვალა ომისა და მშვიდობის მიმართების პრობლემის გადაწყვეტა. ადრე ომი განიხილებოდა პოლიტიკის გაგრძელებად, რომლის მეშვეობით უნდა მოხდეს სადავო საკითხების

გადაჭრა. ომი არის მოწინააღმდეგე მხარეებს შორის კონფლიქტის მოგვარების მცდელობა შეიარაღებული ბრძოლისა და შეტაკების გზით. მას უამრავი ტანჯვა და უბედურება მოუტანია კაცობრიობისათვის. იგი აშკარად უგუნურია და უაზრობაა, ბუნებრივად ჩნდება კითხვა: თუ კი ომი ასეთი აბსურდია, მაშინ რატომ ვერ შეძლო ადამიანმა მისი თავიდან აცილება? ადამიანი ხომ გონიერი არსებაა და რატომ სჩადის იგი ასეთ უგუნურებას? საქმე ისაა, რომ პოლიტიკა ძალას ემყარება, რომლის გარეშეც იგი უძლურია რაიმე სერიოზული პრობლემა გადაწყვიტოს. ძალის დემონსტრაციის ყველაზე ეფექტური და საუკეთესო საშუალება ომია. ომში იმარჯვებს ის, ვინც ძლიერია და გონივრულად ისარგებლებს თავისი სიძლიერით.

პოლიტიკოსები, რომლებიც კონფლიქტებს ვერ აგვარებენ მოლაპარაკებისა და დიპლომატიის გზით, ყოველთვის მიმართავდნენ ომს და ეს გასაგებიცაა, რადგან ამ ომში შეიძლებოდა გამარჯვების მიღწევა. ამის გამო ომი განიხილებოდა როგორც პოლიტიკის გაგრძელება და მისი განხორციელების საშუალება ძალისმიერი მეთოდების გამოყენებით.

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის შედეგად შეიქმნა მასობრივი მოსპობის იარაღი, რომლის გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს არა მარტო ცივილიზაციის, არამედ საერთოდ სიცოცხლის განადგურება. თუ მესამე მსოფლიო ომი მოხდა, ამას შეიძლება მოჰყვეს ამგვარი კატასტროფა. ამ ომში არავინ იქნება გამარჯვებული. იგი ორივე მხარისათვის არის საბედისწერო, ამიტომ იგი აღარ შეიძლება იყოს პოლიტიკური პრობლემის მოგვარების ინსტრუმენტი.

ომი ყოველთვის უგუნერებაა, მაგრამ მისი გამოყენება მაინც გასაგები და გამართლებული იყო, რადგან შეიძლებოდა მასში გამარჯვების მოპოვება. დღეს მან ამგვარი მიმზიდველობაც დაკარგა: თანამედროვე იარაღმა გამორიცხა გამარჯვების შესაძლებლობა. მსოფლიო ომში არ იქნება გამარჯვებული. იგი ურთიერთგანადგურებით დამთავრდება.

ბუნებრივად ჩნდება კითხვა: როგორ განვიხილოთ ლოკალური ომები? ისინი ხომ არ იწვევენ ასეთ კატასტროფას? მათი მეშვეობით ხომ შეიძლება გამარჯვების მოპოვება? ეს მართლაც ასეა, ამიტომ არსებობს ლოკალური ომები და კიდევ დიდხანს იარსებებს. მათ შორის ზოგი იქნება სამართლიანი და ზოგი – უსამართლო. მიუხედავად ამისა, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ეპოქაში ყოველგვარი ლოკალური ომი უაზრობაა. ჯერ-ერთი, ყოველთვის არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ ლოკალური ომი გადაიზარდოს გლობალურში. მეორე, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში არსებობს ატომური ენერგეტიკა. ომმა შეიძლება გამოიწვიოს მისი დაზიანება, რასაც მოყვება კატასტროფული შედეგები.

მეცნიერეულ-ტექნიკური რევოლუციის ეპოქაში ომი აღარ შეიძლება განხილულ იქნეს პოლიტიკის წარმოების ინსტრუმენტად. ეს ეხება როგორც გლობალურ, ისე ლოკალურ ომებს.

ომი ზნეობრივად ყოველთვის გაუმართლებელი და დაუშვებელია. მეცნიერ-

ულ-ტექნიკურმა რევოლუციამ აჩვენა, რომ იგი პოლიტიკურადაც გაუმართლებელია. დღეს მშვიდობას არ გააჩნია ალტერნატივა. ცხადია, ეს არ ნიშნავს, რომ მსოფლიოში მშვიდობა დაისადგურებს. სამწუხაროდ ამგვარ პერსპექტივას ჯერ-ჯერობით მომავალი არა აქვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეცნიერის როლი საზოგადოებაში და მისი პასუხისმგებლობის პრობლემა.

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ეპოქაში გაიზარდა მეცნიერების როლი საზოგადოების განვითარებაში. ეს გარემოება სავსებით ბუნებრივი და კანონზომიერია. ტექნიკა, რომელიც შეიჭრა და გაბატონებული მდგომარეობა დაიკავა ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროში, უკვე დამოკიდებულია მეცნიერებაზე. პოლიტიკა, ეკონომიკა, განათლება, სამხედრო საქმე და ა.შ. მეცნიერებას ემყარება. თანამედროვე საზოგადოების წარმატება თუ წარუმატებლობა უმეტესწილად განპირობებულია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესით. ამგვარ ვითარებაში მნიშვნელოვნად იზრდება მეცნიერების როლი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. ერთ-ერთი ასეთი სფერო არის პოლიტიკა. განვიხილოთ პოლიტიკისა და მეცნიერების მიმართების საკითხი მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის შედეგების გათვალისწინებით.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პოლიტიკა სახელმწიფო საქმიანობას ეხება. სახელმწიფომ უნდა დაიცვას თავისი სუვერენიტეტი და დამოუკიდებლობა. ამისთვის მას სჭირდება მაღალგანვითარებული ეკონომიკა და სამხედრო ძლიერება. იგი ტექნიკის საშუალებით განსაზღვრავს ეკონომიკისა და სამხედრო საქმის განვითარების დონეს. თუ სახელმწიფოს არ ჰყავს თანამედროვე, უახლესი ტექნიკით შეიარაღებული, პროფესიულად გაწვრთნილი და დისციპლინირებული ჯარი, მაშინ იგი ვერ შეძლებს დამოუკიდებელი საშინაო და საგარეო პოლიტიკის გატარებას. ერთი სიტყვით, სახელმწიფოს სჭირდება თანამედროვე იარაღი. ვინ ქმნის მას? თუ ადრე იარაღს ქმნიდა ხელოსანი, დღეს უკვე მისი შექმნა მეცნიერის საქმეა. ეს გარემოება ახლებურად აყენებს, ერთი მხრივ, პოლიტიკისა და მეცნიერების, ხოლო მეორე მხრივ, პოლიტიკოსისა და მეცნიერის მიმართების საკითხს.

პოლიტიკა და მეცნიერება საზოგადოებრივი მოღვაწეობის ორ სრულიად განსხვავებულ სფეროს გამოხატავს. პირველი ეხება და არეგულირებს სახელმწიფო ძალაუფლების განხორციელებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს. იგი პრაქტიკული მოღვაწეობაა, რომლის მიზანია ძალაუფლების მოპოვება, განმტკიცება და დაცვა. მეორე ეხება საგანთა კვლევა-ძიებას და შემეცნებას. იგი თეორიული მოღვაწეობაა და მისი მიზანია ჭეშმარიტების დადგენა. ერთიც და მეორეც პროფესიაა, ამიტომ მოითხოვს სპეციფიკურ ნიჭსა და უნარს, შესაბამის მომზადებასა და განათლებას. პოლიტიკის წარმოება პოლიტიკოსების, ხოლო მეცნიერული კვლევისა — სწავლულების საქმეა. ისინი ერთმანეთს ვერ შეცვლიან. მეცნიერის საქმე არ არის პოლიტიკა, ისე, როგორც პოლიტიკოსის საქმე არ არის მეცნიერება. ამას მოითხოვს შრომის საზოგადოებრივი დანაწილების პრინციპი, რომლის დაუცველობა მოსპობს პროფესიონალიზმს და სპეციალ-

იზაციას. ამის გარეშე შეუძლებელია საზოგადოების წინსვლა.

ამ გარემოების გათვალისწინება აუცილებელია იმასთან დაკავშირებით, რომ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ეპოქამ ააღორძინა ძველი იდეა, რომლის თანახმად სახელმწიფოს უნდა მართავდნენ მეცნიერები ანუ სწავლულები. ეს თვალსაზრისი პირველად წამოაყენა პლატონმა ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში. იგი თვლიდა, რომ თუ სახელმწიფოს სურს განთავისუფლდეს ბოროტებისაგან, მაშინ მას უნდა მართავდნენ ფილოსოფოსები. პლატონი თავის ნაშრომში "სახელმწიფო" წერდა: "სანამ სახელმწიფოში არ გამეფდებიან ფილოსოფოსები ან ე. წ. ახლანდელი მეფეები და მბრძანებლები არ დაიწყებენ კეთილშობილურ და საფუძვლიან ფილოსოფოსობას და ეს არ შეიკვრება ერთად – სახელმწიფო ძალაუფლება და ფილოსოფია და სანამ სავალდებულო წესით არ იქნებიან გადაყენებულნი ის პირები – ხოლო ისინი ბევრია – რომლებიც ახლა ცალცალკე ცდილობენ დაეუფლონ ძალაუფლებას ან ფილოსოფიას, მანამ სახელმწიფოები ვერ განთავისუფლდებიან ბოროტებისაგან".[27].

პლატონი აიგივებს ფილოსოფიას და მეცნიერებას. ფილოსოფია იგივეა, რაც მეცნიერება, ამიტომ პლატონის გაგებით ფილოსოფოსი და მეცნიერი ერთი და ივივეა. მისი იდეა, რომ ფილოსოფოსები უნდა მართავდნენ სახელმწიფოს, ნიშნავს იმას, რომ მეცნიერები უნდა მართავდნენ სახელმწიფოს.

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ეპოქაში აღნიშნულმა იდეამ ახალი ჟღერადობა შეიძინა. ამის საბაბი გახდა ის, რომ მეცნიერებამ, კერძოდ, ბუნებისმეტყველებამ ტექნიკის მეშვეობით მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა პოლიტიკის ბედი. გაჩნდა ე. წ. ტექნოკრატიული თეორიები, რომელთა მიხედვით მეცნიერულ-ტექნიკური ინტელიგენციის წარმომადგენლები უნდა ჩაუდგნენ სათავეში სახელმწიფოს.

აღნიშნული თვალსაზრისი არასწორია, რადგან ეწინააღმდეგება შრომის საზოგადოებრივი დანაწილების პრინციპს, რომელიც მარტივად გამოითქმება ასე: ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს – პოლიტიკოსმა უნდა მართოს სახელმწიფო, ხოლო მეცნიერმა – აწარმოოს კვლევა-ძიება. სხვაგვარად თავიდან ვერ ავიცილებთ დილეტანტიზმს და არაკომპეტენტურობას. პოლიტიკოსი პროფესიონალია, რომლის დანიშნულებაა სახელმწიფოს მართვა. მას სხვა ფუნქცია არა აქვს. მეცნიერის მიერ სახელმწიფოს მართვა ნიშნავს თავის პროფესიაზე უარის თქმას და სხვისი საქმის კეთებას.

ამგვარად, მეცნიერმა არ უნდა შეცვალოს პოლიტიკოსი. სახელმწიფოს მართვა მისი ფუნქცია არაა. მიუხედავად ამისა, მეცნიერი დიდ როლს თამაშობს პოლიტიკის სფეროში. ეს ძირითადად განპირობებულია იმ გარემოებით, რომ იგი ქმნის იარაღს, რომელსაც შემდეგ იყენებს პოლიტიკოსი. ეს იარაღი იმდენად მძლავრია, რომ ზოგჯერ გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს პოლიტიკის გატარე-

---

[27] Платон, Государство, Соч., т. 3, ч. Шб с. 275.

ბაში. მისი გამოყენება შეიძლება საბედისწერო აღმოჩნდეს მთელი კაცობრიობისათვის. ეკისრება თუ არა მას პასუხისმგებლობა იმ საბედისწერო შედეგებისათვის, რასაც მის მიერ შექმნილი იარაღი იწვევს? ვინ აგებს პასუხს პოლიტიკოსი თუ მეცნიერი? პრობლემა გავაანალიზოთ ატომური ბომბის მაგალითზე.

1945 წლის აგვისტოში იაპონიის ქალაქებში – ხიროსიმასა და ნაგასაკში ამერიკელებმა ჩამოაგდეს ორი ატომური ბომბი, რასაც შედეგად მოჰყვა ორას ათასამდე უდანაშაულო ადამიანის მოსპობა. ბრძანება გასცა აშშ-ის პრეზიდენტმა ტრუმენმა, შეასრულა მფრინავმა, ბომბი შექმნა, ხუთწლიანი დაძაბული ძიებისა და შრომის შემდეგ, მეცნიერთა, ინჟინერთა და მუშათა კოლექტივმა. მთელი ამ საქმეს მეცნიერ-ხელმძღვანელი იყო ფიზიკოსი რობერტ ოპენჰეიმერი. იგი მეცნიერია, მაგრამ არა ფუნდამენტური, არამედ გამოყენებითი მეცნიერების წარმომადგენელი. ოპენჰეიმერი გამომგონებელია და არა აღმოჩენი. თავის საქმიანობაში იგი ემყარება იმ აღმოჩენებს, რომლებიც XX საუკუნის ფიზიკამ მოიპოვა. ამ აღმოჩენათა ავტორები გამოჩენილი ფიზიკოსები არიან: პლანკი, აინშტაინი, ედინგტონი, ბორი, ჰაიზენბერგი, დირაკი, ჰანი და სხვა. რომ არა ეს აღმოჩენები, ატომური ბომბი არ გაკეთდებოდა, მაშასადამე, იარაღს უშუალოდ ქმნის გამომგონებელი, მაგრამ გაშუალებით ამ პროცესში მონაწილებს აღმოჩენიც.

სანამ ვინმეს დავაკისრებდეთ პასუხისმგებლობას, მანამ საჭიროა დავაზუსტოთ რომელი სახის პასუხისმგებლობას ეხება ბჭობა – იურიდიულს, პოლიტიკურს თუ ზნეობრივს? იურიდიული პასუხისმგებლობის საკითხი აქ საერთოდ არ დგას, რადგან საქმე არა გვაქვს სისხლის სამართლის დანაშაულთან. სახეზეა პოლიტიკური აქტი. პოლიტიკური პასუხისმგებლობა ეკისრება მხოლოდ პრეზიდენტს, რადგან მან მიიღო გადაწყვეტილება და გასცა განკარგულება. არც მეცნიერს და არც მფრინავს ამ გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობა არ მიუღიათ, ამიტომ მათ მოხსნილი აქვთ პოლიტიკური პასუხისმგებლობა.

ახლა საკითხი ეხება ზნეობრივ პასუხისმგებლობას. ვის ეკისრება იგი? უპირველეს ყოვლისა პრეზიდენტს, რადგან მან გასცა ბრძანება, შემდეგ მფრინავს, რომელმაც შეასრულა ეს ბრძანება. მაგრამ ეკისრება თუ არა მორალური პასუხისმგებლობა მეცნიერს? მას ხომ არც გადაწყვეტილების მიღებასა და არც ბრძანების შესრულებაში მონაწილეობა არ მიუღია?

მეცნიერზე დამოკიდებულია იარაღის შექმნა, მაგრამ არა მისი გამოყენება. ეს უკანასკნელი პოლიტიკოსის საქმეა. იგი გადაწყვეტილებას ღებულობს მის შემქმნელთან შეთანხმების გარეშე. ეს ნიშნავს, რომ ადგილი აქვს გაუცხოებას. იარაღი, რომელიც მეცნიერმა შექმნა, გადადის სხვის ხელში. უკვე მას აღარავინ ეკითხება მის გამოყენებას. ვინ, როდის და რატომ გამოიყენებს იარაღს, ეს უკვე სხვაზეა დამოკიდებული. მაშასადამე, მეცნიერმა პოლიტიკოსს მისცა მძლავრი იარაღი და შექმნა მისი გამოყენების შესაძლებლობა. ამის გამო იგი ზნეობრივად პასუხისმგებელია.

ეს ბჭობა ეხება მეცნიერ-გამომგონებელს, რომელმაც შექმნა იარაღი. მა-

გრამ შეიძლება თუ არა იგი გავრცელდეს მეცნიერ-აღმომჩენზე, რომელსაც მის შექმნაში არ მიუღია უშუალო მონაწილეობა? რომ მისი აღმოჩენები არა, გამომგონებელი ვერ შექმნიდა ატომურ ბომბს. აღმომჩენმა მისცა ადამიანს შესაძლებლობა, ამიტომ ისიც ინაწილებს ზნეობრივ პასუხისმგებლობას.

მეცნიერული აღმოჩენები და გამოგონებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საზოგადოების განვითარებაზე. მათ შეუძლიათ მთლიანად შეცვალონ კაცობრიობის ბედი. შედეგები შეიძლება იყოს დადებითიც და უარყოფითიც. მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს მოაქვს ერთიც და მეორეც. მეცნიერი ზნეობრივად პასუხისმგებელია ორივესათვის. მას თანაბრად იზიარებს გამომგონებელიც და აღმომჩენიც.

ამგვარად, მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ გაზარდა მეცნიერის როლი საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველ სფეროში და პასუხისმგებლობა კაცობრიობის წინაშე.

მასების ამბოხი და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი. მასების ამბოხი ჩვენ ზემოთ დავახასიათეთ. ახლა გავარკვიოთ მისი კავშირი მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესთან.

ორტეგა-ი-გასეტი ასახელებს სამ ფაქტორს, რომელთაც შეუქმნეს ფონი და მისცეს ახალი სარბიელი თანამედროვე ადამიანს. იგი წერს: "სამმა ფაქტორმა გახადა შესაძლებელი ამ ახალი სამყაროს შექმნა: ლიბერალური დემოკრატია, ექსპერიმენტული მეცნიერება და ინდუსტრიალიზაცია. მეორე და მესამე შეიძლება გავაერთიანოთ და გამოვთქვათ ერთი სახელით "ტექნიკა".[28]

ორტეგა-ი-გასეტი თვლის, რომ აღნიშნულმა ფაქტორებმა მთლიანად შეცვალა ადამიანის ყოფიერება და მისი სასიცოცხლო პირობები. ლიბერალურმა დემოკრატიამ ადამიანი გაათავისუფლა კლასობრივი, რელიგიური და მორალური შეზღუდვებისაგან. მან მოხსნა აკრძალვები და ყველას მისცა თანასწორი უფლებები. ამან საშუალო ადამიანი, ე. ი. მასა ჩააყენა იმავე მდგომარეობაში, რაც ადრე გაბატონებულ უმცირესობას ეკავა. ტექნიკის განვითარებამ გაზარდა მატერიალური დოვლათი, რასაც მოჰყვა ადამიანის კეთილდღეობის ამაღლება და მისი სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველყოფა. ყველგან კომფორტი, მოხერხებული და იოლი ცხოვრება. ყოველივე ამან მიიღო სტაბილური ხასიათი. ცხოვრება ყოველდღიურად უმჯობესდება, რამაც შექმნა შთაბეჭდილება, თითქოს იგი რელსებზე მიექანება და მას ვერავითარი ძალა ვერ შეაჩერებს.

ადამიანის ცხოვრება გახდა იოლი, თავისუფალი იძულებისა, შებოჭილობისა და შეზღუდვებისაგან. თუ ადრე ყოველივე ეს უმცირესობის — ელიტის კუთვნილება იყო, დღეს იგი ხელმისაწვდომი გახდა მასებისათვის. ორტეგა-ი-გასეტი წერს: "ამგვარ თავისუფალ, შეუბოჭველ ცხოვრებას "საშუალო სულებში" უსათუოდ უნდა გამოეწვია გრძნობა, რომელიც შეიძლება გამოვთქვათ ძველი ესპანური ანდაზით "ფართოა ჩვენი კასტილია". "ახალი ადამიანი"

---

[28] იხ. ხოსე ორტეგა-ი-გასეტის ზემოთ დასახელებული ნაშრომი, გვ. 137-138.

გრძნობდა, რომ მისი ცხოვრება, — განთავისუფლებაა ტვირთისაგან, ყოველგვარი ხელისშემშლელი პირობებისაგან და შეზღუდვებისაგან. ამ ფაქტის მნიშვნელობა ყველასათვის გასაგები იქნება როდესაც გავიხსენებთ, რომ წარსულში ცხოვრების ასეთი თავისუფლება უბრალო ადამიანებისათვის აბსოლუტურად მიუღწეველი იყო. პირიქით, მათთვის ცხოვრება იყო მძიმე ტვირთი, ფიზიკურადაც და ეკონომიკურადაც. დაბადებიდანვე ისინი გარემოცულნი იყვნენ აკრძალვებით და დაბრკოლებებით, მათი ხვედრი იყო — ტანჯვა, მოთმენა, შეგუება".[29]

მასის განთავისუფლება დაკანონდა სამართლებრივადაც. ყველა ადამიანს მიენიჭა თანაბარი უფლებები. "უკვე აღარ არსებობს კასტები და წოდებები. აღარ არსებობს სამართლებრივი პრივილეგიები. საშუალო ადამიანი იგებს, რომ ყველა ადამიანი თანასწორი უფლებების მქონეა".[30]

ცხოვრების აღნიშნულმა გაიოლებამ და განთავისუფლებამ გამოიწვია ის ფენომენი, რასაც ორტეგა-ი-გასეტიმ უწოდა მასების ამბოხი. როგორც ვნახეთ, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი ამ მოვლენის წარმოშობის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია.

ასეთია მოკლედ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ზოგიერთი ძირითადი შედეგი.

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია — სიკეთეა თუ ბოროტება? მეცნიერულ-ტექნიკურ რევოლუციას აქვს დადებითი და უარყოფითი შედეგები. მან ბევრი სიკეთე, მაგრამ ასევე მრავალი ბოროტებაც მოუტანა ადამიანს, ამიტომ ბუნებრივად ისმის კითხვა: მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია სიკეთეა თუ ბოროტება? თავისთავად მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია სიკეთეა, რადგან ავლენს ადამიანის ინტელექტუალურ და ფიზიკურ შესაძლებლობებს. იგი მისი შემოქმედების და ფანტაზიის ტრიუმფია. მაგრამ მის შედეგებს შეუძლია ბედნიერებაც და უბედურებაც მოუტანოს ადამიანს. იგი ორივე შესაძლებლობას მოიცავს თავის თავში. თუ მათგან რომელი გაიმარჯვებს, ეს უკვე ადამიანის გონებაზე, მის სიბრძნესა და ზნეობრივ სიწმინდეზეა დამოკიდებული. შეძლებს თუ არა ადამიანი ამ მძიმე ტვირთის ზიდვას, ამას მომავალი გვიჩვენებს.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შეჩერება შეუძლებელია. უკან ბუნებისაკენ — ლოზუნგი, რომელიც ადრე გაისმოდა და დღესაც გაისმის, განუხორციელებელია, ადამიანი მიისწრაფვის წინ და ამ სწაფვას არ ექნება დასასრული, სანამ თვით ადამიანი იარსებებს ამ ქვეყანაზე.

---

[29] იხ. ხოსე ორტეგა-ი-გასეტის ზემოთ დასახელებული ნაშრომი, გვ. 137-138.

[30] იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი

წინასიტყვაობა

ნაწილი პირველი
ფილოსოფიის არსი და თავისებურება

ფილოსოფიის წარმოშობა და განვითარება 4
ფილოსოფიის საგანი 25
რა არის მეტაფიზიკა? 27
ფილოსოფია და მეცნიერება 33
ფილოსოფია და მსოლმხედველობა 40
ფილოსოფია და მითოლოგია 44
ფილოსოფია და რელიგია 47
ფილოსოფია და იდეოლოგია 56
რისთვის სჭირდება ფილოსოფიის სწავლება
სტუდენტ ახალგაზრდობას? 63

ნაწილი მეორე
სამყარო და ადამიანი

სამყაროს ზოგადი დახასიათება 66
ყოფიერება და მისი სახეები 75
რა არის კულტურა? 81
სამყაროს კანონზომიერების პრობლემა 83
კატეგორიის არსი 88
მიზეზი და შედეგი 94
აუცილებლობა და შემთხვევითობა 98
შესაძლებლობა და სინამდვილე 102
ერთეული და ზოგადი 105
არსება და მოვლენა 109
ფორმა და შინაარსი. სისტემა და სტრუქტურა 112
ადამიანის არსი და სპეციფიკა 115
ცნობიერება 126
ადამიანი და ენა 134
ადამიანის შემეცნებითი მიმართება სამყაროსთან 146
ინტუიცია და მისი როლი შემეცნების პროცესში 157
ადამიანის თავისუფლების პრობლემა 171
ადამიანის ღირებულებით-შეფასებითი მიმართება სამყაროსადმი 182

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნაწილი მესამე
კულტურა და საზოგადოება

კულტურის ზოგადი დახასიათება	196
კულტურა და ისტორია	204
საზოგადოების არსებობის და ფუნქციობის მატერიალური პირობები	206
გეოგრაფიული გარემო. ეკოლოგიური პრობლემა	206
მოსახლეობა. დემოგრაფიული პრობლემა	209
წარმოება	212
საზოგადოების ეკონომიკური სტრუქტურა	215
საზოგადოების სოციალური სტრუქტურა	223
საზოგადოების პოლიტიკური სტრუქტურა	228
სახელმწიფოს არსი და მისი ფუნქციები	229
დემოკრატია, დიქტატურა და ტოტალიტარიზმი	231
სამოქალაქო საზოგადოება	237
პოლიტიკა, სამართალი და ზნეობა	246
სამართლებრივი და არასამართლებრივი სახელმწიფო	247
მორალი	250
პასუხისმგებლობის სახეები	260
ერი და ეროვნული ურთიერთობები	262
მასის და პიროვნების მიმართების პრობლემა	272
მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია და მისი გლობალური შედეგები	282
ტექნიკის განვითარება და მისი ძირითადი ეტაპები	284
მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის არსი	288
მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის შედეგების ზოგადი დახასიათება	290
ეკოლოგიური პრობლემა	292
ომისა და მშვიდობის პრობლემა	295
მეცნიერის როლი საზოგადოებაში და მისი პასუხისმგებლობის პრობლემა	297
მასების ამბოხი და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი	300

ეროვნული
ბიბლიოთეკა

№ 144
21/IX 2000

სააქციო საზოგადოება
"პირველი სტამბა"
თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50

4ეს.
2000-144
ეროვნული
ბიბლიოთეკა